



ქართული
ISSN 0183-599X
საქართველოს

მეცნიერება



10

1990

ბ ი ლ ო ც ა ვ თ !

1990 წლის 28 ოქტომბერს საქართველოში ჩატარდა უზენაესი საბჭოს მრავალპარტიული არჩევნები. 1919 წლის შემდეგ ჩვენმა ერმა პირველად გამოხატა თავისი ჭეშმარიტი ნება. ეს ღირსსახსოვარი მოვლენა რეალური ნაბიჯია საქართველოს დამოუკიდებლობისა და დემოკრატიისაკენ მიმავალ ძნელ გზაზე.

ღმერთმა დალოცოს ეს გზა!



მწიგნობი

წელიწადი 1940

№ 10

თბილისი, 1940 წ.

საქართველოს მწიგნობთა კავშირის ორგანო

შინაპირსი

ახალი აღთქმა — გამომცემლობა ილია ლავროვიძისა. თარგმანი — ქველბურძნულიდან. დასაბურთო 3

პროზა, პოეზია

მარი აბრამიშვილი — ლექსები	23
ლადო სულაბერიძე — ოთარ ჩხეიძე, ლექსი	29
ფრიდონ ხალვაში — წყალს ნაფობი ჩამოვარდნა. რომანი, გაგრძელება	36
დარეჯან ბატიაშვილი — ლექსები	68
ზურაბ ლომჯანიძე — ცოტნე, მოთხრობა	71
ალექსანდრე გაბაშვილი — ლექსები	88
თამარ გოთუა, ალექსანდრე გოთუა — თავგადასავალი ლექსი გოთუასი, დასაბურთო	91

კრიტიკა, პუბლიცისტიკა

მერაბ კოსტავა — მოსახლეობის მიგრაციის შესახებ	101
აკაკი ბაქრაძე — მწიგნობის მოთმინებება, გაგრძელება	106
ლია უბაძეშვილი — ოთარ ჩხეიძის სტილი	116
ვახტანგ გუგუშვილი — ქართველი გრიგორიანები	124
ანდრო გუგუშვილი — შანრისა და სტილის ჯოგირითი საკითხი ქართულ რომანტიკულ ლირიკაში	134

მეცნიერება

ნოდარ კანდელაკი, გუგუშვილი — ქრონიკონი: მისი ადგილი და როლი ქრისტიანულ წელთაღრიცხვებს შორის	144
როსტომ ჩხეიძე — კავლე ინგოროვება და ხეთების არგუმენტი	149
ვახტანგ გომილაძე — როდის მოღვაწეობდა ჯუანშერ ჯუანშერიანი?	159

ი. ბ. გეორგი ვერდი

მოგონებები, ფაქტები

ალექსანდრე სიგუა

მრავალი ნივთი შემგული



საქართველო

მთავარი რედაქტორი არჩილ სულაბაური

სარედაქციო კოლეგია:

ბრ. აბაშიძე, ი. აბაშიძე, რ. ამბუშკელი, მ. ბერძენიშვილი, გ. გვერდ-
ფითელი, ალ. გომიანაშვილი, გ. დოჩანაშვილი, გ. კალანდია, მ. ლე-
ჯანიძე, ე. მაღრაძე, ლ. მრეღაშვილი, გ. ნატროშვილი, ს. პაიჭაძე
(მთ. რედაქტორის მოადგილე), რ. პატარიძე, ჯ. ჩარკვიანი, ნ. წულუის-
აირი, ო. ჭილაძე, ბ. ხარბანაული (პ/მგ. მდივანი), რ. ჯაფარიძე.

ახალი აღთქმა

გამოცხადება იოანე ღვთისმეტყველისა

თავი პირველი

1. გამოცხადება იესო ქრისტესი, რომელიც მისცა მას ღმერთმა. რათა ეჩვენებინა თავისი მონებისათვის, რაც უნდა მოხდეს მალე; და უჩვენა კიდევ თავისი ანგელოზის მოვლენებით მონასთვისას იოანეს:

2. რომელმაც იმოწმა სიტყვა ღმრთისა და მოწმობა იესო ქრისტესი. — ყოველივე ის, რაც იხილა.

3. ნეტარია. ვინც კითხულობს და ისმენს ამ წინასწარმეტყველების სიტყვებს, და იმარბავს მასში დაწერილს რადგანაც ახლოა ეამი.

4. იოანე ასიის შვიდ ეკლესიას: მადლი თქვენდა და მშვიდობა მისგან, რომელიც არის და იყო და იქნება. და შვიდი სულისაგან. რომელნიც არიან მისი ტახტის წინაშე.

5. და იესო ქრისტესაგან. რომელიც არის სარწმუნო მოწმე, პირმშო განსვენებულთაგან და მიწიერ მეფეთა მთავარი. მას. ვინც შეგვიყვარა და ჩვენი ცოდვებისაგან განგვბანა თავისი სისხლით.

6. და მეფეებად და ღმრთისა და მამისთვისის მღვდლებად გვაქცია. — დიდება და ძალმოსილება უუუნიითი უუუნისამდე. ამინ.

7. აჰა, მოდის ღრუბლებით, და იხილავს მას ყოველი თვალი, და ისინიც, რომელთაც განგმირეს იგი. და ჰგოდებდეს მის წინაშე ქვეყნის ყოველი ტომი. ჰო, ამინ.

8. მე ვარ ანი და ჰაე, დასაბამი და

დასასრული. ამბობს უფალი, რომელიც არის და იყო და იქნება, ყოველისმპყრობელი.

9. მე, იოანე, ძმა თქვენი, და ქირისა და სუფევის თქვენისა და იესო ქრისტეს მოთმინებას თანაზიარი, ვიყავი კუნძულზე. რომელსაც ჰქვია პატმოსი. ღმრთის სიტყვისა და იესო ქრისტეს მოწმობისათვის.

10. ვიყავი სულით, კვირა დღეს, და მომესმა უცნიდან მგრგვინავი ხმა. როგორც საუვირის.

11. რომელმაც თქვა: მე ვარ ანი და ჰაე. პირველი და უკანასკნელი. და: რასაც ხედავ, დაწერე წიგნში, და დაუგზავნე ასიის ეკლესიებს — ეფესოში, სმირნაში, პერგამონში, თიატირაში, სარდესში, ფილადელფიასა და ლაოდიაქაში.

12. მე მივბრუნდი. რათა მეხილა; ხმა, რომელიც მესიტყვებოდა, და მიბრუნებულმა ვიხილე შვიდი სასანთლე ოქროსი.

13. და, შვიდ სასანთლეს შორის, მსგავსება კაცის ძისა, რომელსაც ემოსა გრძელი მოსასხამი, და მკერდს ერტყა ოქროს სარტყელი;

14. თავი მისი და თმანი — სპეტაკი, როგორც ქათქათა მატყლი, და როგორც თოვლი; ზოლო თვალნი მისნი. როგორც ალი ცეცხლისა;

15. და ფერხნი მისნი — ცეცხლში გაფარვარებული ელვარე რვალი. და ხმა მისი, როგორც ზათქი მრავალი წყლისა.

16. მარჯვენა ხელში ეპყრა შვიდი ვარსკვლავი, და მის ბაგეთაგან გამო-

დიოდა მახვილი ორღესული: და სახე მისი, როგორც მზე, სხივმფინარი თავისი ძალით.

17. და როცა ვიხილე იგი, მის ფერხით დავევარდი, როგორც მკვდარი, ხოლო მან დამადო თავისი მარჯვენა და თქვა, ნუ გეშინია: მე ვარ პირველი და უკანასკნელი;

18. და ვარ ცოცხალი: და ვიყავი მკვდარი, და, აჰა, ცოცხალი ვარ უკუნითი უკუნისამდე, ამინ, და მაქვს კლიტნი ჯოჯობეთისა და სიკვდილისანი.

19. მაშ, დაწერე, რაც იხილე, და რაც არის, და რაც იქნება ამის შემდეგ.

20. საიდუმლო შეიდი ვარსკვლავისა, რომელნიც იხილე ჩემს მარჯვენაში, და შეიდი სასანთლისა ოქროსი: შეიდი ვარსკვლავი შეიდი ეკლესიის ანგელოზნი არიან, ხოლო შეიდი სასანთლე ეკლესიისა შეიდი.

თავი მეორე

1. ეფესოს ეკლესიის ანგელოზს მისწერე: ამას ამბობს, ვისაც უპყრია შეიდი ვარსკვლავი მარჯვენაში, და ვინც იარება ოქროს შეიდ სასანთლეს შორის:

2. ვიცი საქმენი შენნი და შრომა შენი და მოთმინება შენი, და რომ არ შეგვიძლია დაითმინო უკეთურნი, და გამოსცადე ისინი, რომელთაც მოციქულებად მოაქვთ თავი და არ კი არიან, და ჰპოვე ისინი მტყუარნი.

3. და გაქვს მოთმინება, რი რამ იტვირთე ჩემი საბელისათვის და არ დაიქანცე.

4. მაგრამ შენს წინააღმდეგ მაქვს ის, რომ დაუტევე შენი პირველი სიყვარული.

5. მაშ, გაიხსენე, საიდან დაეცი, შეინანე, და უწინდელი საქმენი ქმენი, არა და, მალე მოვალ შენთან, და თავისი ადგილიდან დავძრავ სასანთლეს შენსას, თუკი არ შეინანებ.

6. მაგრამ ეს კი გაქვს, რომ გძულს

ნიკოლაელთა საქმენი, რომელნიც მძულს.

7. ვისაც ყური აქვს, ისმინოს, რას ეუბნება სული ეკლესიებს: მძლეველს ვაგვემინებ სიციცხლის ხისაგან, რომელიც არის ღმერთის სამოთხეში.

8. ხოლო სმირნის ეკლესიის ანგელოზს მისწერე: ამას ამბობს პირველი და უკანასკნელი, რომელიც მკვდარი იყო და გაიცოცხლდა:

9. ვიცი საქმენი შენნი და ჰირი და სიგლახავე (თუმცაღა მდიდარი ხარ), და გმობა მათი, რომელნიც ამბობენ, იუდეველნი ვართო, და არ კი არიან, არამედ საკრებულო სატანისა.

10. ნუ გეშინია ნურაფრისა, რაც უნდა მოიწიოს შენზე, აჰა, ეშმაკი აპირებს ზოგი თქვენგანის ჩაგდებას საპყრობილეში, გამოსაცდელად; და იქნებით ურვილნი ათი დღე, მორწმუნე იყავ, ვიდრე სიკვდილამდე, და მოგცემ შენი სიციცხლის გვირგვინს.

11. ვისაც ყური აქვს, ისმინოს, რას ეუბნება სული ეკლესიებს: მძლეველი არ დაითმენს ვნებას მეორე სიკვდილისაგან.

12. ხოლო პერგამონის ეკლესიის ანგელოზს მისწერე: ამას ამბობს ორღესული მახვილის მქონე.

13. ვიცი საქმენი შენნი, და რომ იქ მკვიდრობ, სადაც არის სატანის ტახტი, და იმარხავ ჩემს სახელს, და არ უარყავ ჩემი რწმენა, თვით იმ დღეებშიც, როცა თქვენს შორის, იქ, სადაც მკვიდრობს სატანა, მოკლულ იქნა ანტიპა, სარწმუნო მოწმე ჩემი.

14. მაგრამ მაქვს შენს წინააღმდეგ მკირეოდენი, ვინაიდან გყავს ზოგიერთნი, ბალაამის მოძღვრების მიმდევარნი, ბალაამისა, რომელმაც ასწავლა ბალაკს, საცდური დაედო ისრაელის ძეთა წინაშე, რათა ჰამდნენ კერპთათვის შენაწიოს და მრუშობდნენ.

15. აგრეთვე შენც გყვანან ნიკოლაელთა მოძღვრების მიმდევარნი, რომელნიც მე მძულს.

16. მაშ, შეინანე, არა და მალე მო-



ვალ შენთან, და შევერკინები მათ ბა-
გეთა ჩემთა მახვილით.

17. ვისაც ყური აქვს, ისმინოს, რას
ეუბნება სული ეკლესიებს: მძლევებს
მივცემ საქმელად დაფარულ მანანას,
და მივცემ მას სპეტაკ ქვას, და ქვაზე
დაწერილ ანაღ სახელს, რომელიც არა-
ვინ იცის, მიმღების გარდა.

18. ზოლო თიატიროს ანგელოზს მის-
წერე: ამას ამბობს ღმერთის ძე, ვისაც
აქვს თვალნი, როგორც ალი ცეცხლისა,
და ვისი ფერანიც მსგავსნი არიან ელ-
ვარე რვალის.

19. ვიცი საქმენი შენნი, და სიყვა-
რული და მსახურება, რწმენა და მოთ-
მინება შენი, და რომ უკანასკნელი სა-
ქმენი შენნი უმეტესნი არიან, ვიდრე
პირველნი.

20. მაგრამ მაქვს შენს წინააღმდეგ
მცირეოდენი, რადგანაც ნებას რთავ
შენს ქალს იეზაბელს, წინასწარმეტყვე-
ლად რომ მოაქვს თავი, ასწავლოს და
აღუთუნოს ჩემი მონები, რათა მრუშო-
ბდნენ და კერბთათვის შენაწირს ქამდ-
ნენ.

21. და მივეცი მას დრო, რათა შე-
ენანებინა თავისი სიძვა, მაგრამ, არ
ინება სინანული.

22. აჰა, დავამზობ მას სარეცელზე,
და მებძვთაც მასთან ერთად, და შავ
დღეს დავაყრი, თუკი არ შეინანებენ
თავიანთ საქმეთ.

23. და მოვაკედინებ სიკვდილით მის
შვილებს, და სენობს ყოველი ეკლე-
სია, რომ მე ვარ დაფარულ აზრთა და
გულთა მზილველი, და მივაგებ თვი-
თულ თქვენგანს მისი საქმისამებრ.

24. ზოლო თქვენ და დანარჩენთაც,
თიატირაში მყოფთ, რომელთაც არა აქვთ
ეს მოძღვრება და ვერ უცენიათ, რო-
გორც ამბობენ, სატანის სილომე, — გე-
ტყვიით, რომ აღარ გატვირთებიან
სივა სიმძიმეს.

25. მაოლოდ რაცა გაქვთ, ეგ იტვირ-
თეთ ჩემს მოსვლამდე.

26. ზოლო მძლეველი და ჩემი საქმის
დამმარაველი აღსასრულამდე, მიიღებს

ჩემგან ძალაუფლებას წაიშინებ
მპრძინებლოისას:

27. და დამწყემსავს მათ რკინის კვე-
რთხით: როგორც ქურქელნი თიხისანი
დაიმსხვრევიან, ისე მე მივიღე ხელმ-
წიფება მამის ჩემისგან.

28. და მივცემ მას ცისკოის ვარსკე-
ლავს.

29. ვისაც ყური აქვს, ისმინოს, რას
ეუბნება სული ეკლესიებს.

თავი მესამე

1. ზოლო სარდეს ეკლესიის ანგე-
ლოზს მისწერე: ამას ამბობს, ვისაც
აქვს ღმერთის შვიდი სული და შვიდი
ვარსკვლავი: ვიცი საქმენი შენნი: სა-
ხელი ისეთი გაქვს, თითქოს ცოცხალი
იყო, და მკვდარი კი ზარ.

2. იფიზელე და განამტყიე დანარ-
ჩენი, რაც უახლოვდება სიკვდილს, რა-
დგან ვერ ვპოულობ, რომ შენი საქმე-
ნი აღსრულებულნი არიან ღმერთის წი-
ნაშე.

3. გახსოვდეს, რაც მიგიღია და გსმე-
ნია, დაიმარბე და შეინანე: ზოლო თუ
არ იფიზლებ, მოვალ შენთან, როგორც
მპარავი, და ვერ გაიგებ, რა დროს
მოგივალ.

4. თუმცა გყავს სარდემში რამდენი-
მე კაცი, რომლებსაც არ შეუბილწავთ
თავიანთი სამოსი: და ივლიან ჩემთან
სისპეტაკით მოსილნი, ვინაიდან ღირსნი
არიან.

5. მძლეველი ასე სისპეტაკით მოსილი
ივლის, და არ ამოვული მის სახელს სი-
ციცხლის წიგნიდან, და ვალიარებ მის
სახელს მამის ჩემისა და მისი ანგელო-
ზების წინაშე.

6. ვისაც ყური აქვს, ისმინოს, რას
ეუბნება სული ეკლესიებს.

7. ზოლო ფილადელფიის ეკლესიის
ანგელოზს მისწერე: ამას ამბობს წმი-
და, ქეშმარიტი, ვისაც აქვს დავითის
კლიტე, რომელიც აღებს, და ვერავინ

დააშავს. და დახშავს. და ვერავინ აღებს.

8. ვიცი საქმენი შენნი: აჰა. მოგეცი შენს წინაშე გახსნილი კარი. და ვერავინ შესძლებს მის დახშვას. მცირედი გაქვს ძალა. მაგრამ დაიმარხე ჩემი სიტუვად. და არ უარყავ სახელი ჩემი.

9. აჰა. მე ვიქმ იმას. რომ სატანის საკრებულოდან. — მათგან. რომელნიც ანბობენ. იუდეველნი ვართო. და არ კი არიან. არამედ ცრუობენ: აჰა. მე ვიქმ იმას. რომ მოვიდნენ და თაყვანი გცენ შენს ფერხთა წინაშე. და სცნონ. რომ მე შეგიყვარე შენ.

10. რაკილა დაიმარხე სიტუვა ჩემი მოთმინებისა. მეც დაგიცავ განსაცდელის ჟამს. რომელიც მიიწევა მთელს ქვეყანაზე მიწის მკვიდრთა გამოსაცდელად.

11. აჰა. მოვალ მალე. მტკიცედ იპყარ. რაცა გაქვს. რათა არავინ წარგტაცოს შენი გვირგვინი.

12. მძლეველს ვყოფ ბურჯად მამის ჩემის ტაძარში. და აღარასოდეს გავა გარეთ. და დაწვერ მას სახელს ჩემი ღმერთისას და სახელს ჩემი ღმერთის ქალაქის — ახალი იერუსალემისას. რომელიც ზეციით ჩამოდის ჩემი ღმერთისგან. და ჩემს ახალ სახელს.

13. ვისაც ყური აქვს. ისმინოს. რას ეუბნება სული ეკლესიებს.

14. ხოლო ლაოდიკეის ეკლესიის ანგელოზს მისწერე: ამას ამბობს ამინი. მოწმე სარწმუნო და ქეშმარიტი. დასაბამი ღმრთის ქმნილებისა:

15. ვიცი საქმენი შენნი: არც ცივი ხარ და არც ცხელი: ოჰ. ნეტავ ცივი მაინც იყო. ან ცხელი.

16. მაგრამ რაკი ასე ნელ-თბილი ხარ. არც ცივი ხარ და არც ცხელი. ამიტომ გადმოგაფურთხებ ჩემს ბაგეთაგან.

17. ოადგანაც ამბობ: მდიდარი ვარ. გავმდიდრდი და აღარაფერი მჭირდებაო. და არ კი იცი. რომ უბადრუკი ხარ და საწყალობელი. გლახაკი. ბრმა და შიშველი.

18. გირჩევ იყილო ჩემგან ოქრო. ცეცხლით გაწმენდილი. რათა გამდიდრდე.

და სპეტაკი სამოსი. რათა შეიშლოს ალარ გამოჩნდეს შენი სიშიშვლის სი-რცხელი. და საოლავი იცხო თვალზე: რათა იხილო.

19. ვინც მიყვარს. მას ვამბილებ და ვწვრთნი. მაშ. ეშურე და შეინანე.

20. აჰა. კართან ვდგავარ და ვაკაკუნებ. თუ ვინმე გაიგებს ჩემს ხმას და კარს გამოიღებს. შევალ მისას და მასთან ვქამ პურს. ხოლო ის — ჩემთან.

21. მძლეველს ჩემს გვერდით დავისვამ ტახტზე. როგორც თავად ვძლიე და მამის ჩემის გვერდით დავჯექი მის ტახტზე.

22. ვისაც ყური აქვს. ისმინოს. რას ეუბნება სული ეკლესიებს.

თავი მათხა

1. შემდგომ ამისა. გავიხედე და. აჰა. კარი გაიღო ცაში. და ხმამ. რომელიც თავდაპირველად ჩამესმა როგორც ხმა საყვირისა. მითხრა: ამოდი აქ და გირეკნებ. რაც უნდა მოხდეს ამის შემდეგ.


2. და მყისვე ატაცებულ ვიქმენ სულის მიერ. და. აჰა. იდგა ტახტი ცაში. ხოლო ტახტზე იყო მჯდომარე.

3. და მჯდომარე იასპისა და სარდონის ქვას ჰგავდა სახით. და ცისარტყელა გარდაკაყლულიყო ტახტის თავზე. სმარავდის მსგავსი.

4. და ტახტის ირგვლივ ოცდაოთხი ტახტი. და მათზე მსხდომარე ოცდაოთხი უბუცესი. რომელთაც ემოსათ სპეტაკი სამოსი. და თავს ედგათ ოქროს გვირგვინნი.

5. და ტახტიდან გამოდიოდნენ ელვანი. გრგვინვა და გრიალნი. და ტახტის წინ ენთო შვიდი ლამპარი ცეცხლისა. რომლებიც არიან ღმერთის შვიდი სული.

6. და ტახტის წინ თითქოს მინის ზღვა. მსგავსი ბროლისა. და ტახტის შუა და ტახტის ირგვლივ ოთხი ცხოვეელი. წინიდანაც და უკნიდანაც თვლებით სავსენი.



7. პირველი ცხოველი ლომს ჩამოჰგავდა. მეორე კუროს. მესამე ცხოველს კაცის სახე ჰქონდა. ზოლო მეოთხე იყო მფრინავი არწივის მსგავსი.

8. და ამ ცხოველთაგან თვითუღს ექვსი ფრთა ესა ირგვლივ. შიგნიდან თვლებით სავსენი. და არც დღისით და არც ღამით არა აქვთ მოსვენება. არამედ ლაღადებენ: წმიდაა. წმიდაა. წმიდაა უფალი ღმერთი, ყოვლისმპყრობელი. რომელიც იყო და რომელიც არის და რომელიც იქნება.

9. და როცა ცხოველნი დიდებას, პატივს და მადლიერებას მიაგებენ ტახტზე მჯდომარეს. რომელიც ცოცხალია უკუნითი უკუნისამდე.

10. ოცდაოთხი უზუცესი დაემბობა ტახტზე მჯდომარის წინაშე. და თაყვანს სცემენ ცოცხალს უკუნითი უკუნისამდე. და ტახტის წინ ყრიან თავიანთ გვირგვინებს. და ამბობენ:

11. ღირსი ხარ, უფალო, რომ მიიღო დიდება და პატივი და ძლიერება. რადგანაც შენ შექქმენ ყოველი. და შენის ნებით არიან და შეიქმნენ.

თავი მეხუთე

1. და ვიხილე ტახტზე მჯდომარის მარჯვენაში წიგნი. შიგნიდან და გარედან დაწერილი. და შვიდი ბეჭდით დაბეჭდილი.

2. და ვიხილე ანგელოზი ძლიერი. რომელიც ედაგებდა მამაღლა: ვინ არის ღირსი იმისა. რომ გადაშალოს ეს წიგნი. და ბეჭედი ახსნას?

3. და ვერავინ ვერ შესძლო. ვერც ცაში. ვერც მიწაზე და ვერც მიწის ქვეშ. გაეშალა ეს წიგნი და შიგ ჩაებედა.

4. და მე დიდხანს ვტიროდი. რადგან არავინ აღმოჩნდა იმისი ღირსი. რომ გაეშალა ეს წიგნი და წაეკითხა. ან შიგ ჩაებედა მაინც.

5. და ერომა უზუცესთაგანმა მითხრა

მე: ნუ სტირი: აჰა. იმძლავრებოდა იუდას: ტომისაგან. დავითის ფესვმა. რომელიც გაშლის ამ წიგნს. და შვიდ ბეჭედს ახსნის მას.

6. და გავიხედე. და აჰა. ტახტსა. ოთხ ცხოველსა და უზუცესთა შორის მდგომარე კრავი. როგორც დაკლული. შვიდ რქიანი და შვიდ თვალიანი. რომელნიც არიან შვიდი სული ღმერთისა. მთელს დედამიწაზე მოვლინებულნი.

7. და მოვიდა. და ტახტზე მჯდომარის მარჯვენადან აიღო წიგნი.

8. და რა აიღო წიგნი. ოთხი ცხოველი და ოცდაოთხი უზუცესი დაემბო კრავის წინაშე: და თვითუღს ჰქონდა ჩანგი და ოქროს თასი. საკმევლით სავსე. რომელიც არის წმიდათა ღოცვა.

9. და გალობდნენ ახალ საგლობელს. და ამბობდნენ: ღირსი ხარ შენ წიგნის აღების და ბეჭდის ახსნისა. რადგანაც დაკლულ იქმენ. და შენი სიხსლით გამოგვისყიდე ღმერთისათვის. ყოველი ენისა და ერისა და ხალხისაგან.

10. და მეფეებად და ღმერთის ჩვენის მღვდლებად გვაქციე: და ვიმეფებთ ქვეყნად.

11. და ვხედავდი. და შესმოდა ტახტის ირგვლივ მრავალი ანგელოზისა და ცხოველთა და უზუცესთა ზმა: და სიმრავლე მათი იყო ათიათასჯერ ათიათასი და ათასჯერ ათასი:

12. და მამაღლა ამბობდნენ ასე: ღირსია კრავი დაკლული. რომ მიიღოს ძალა და სიმდიდრე. სიბრძნე და სიმტკიცე. პატივი. დიდება და კურთხევა.

13. და შესმოდა. რომ ყველა ქმნილება. რომელიც არის ცაში თუ მიწაზე. მიწის ქვეშ თუ ზღვაში. და ყველაფერი. რაც არის მათში. ამას ამბობდა: ტახტზე მჯდომარეს და კრავს კურთხევა და პატივი. დიდება და ძლიერება უკუნითი უკუნისამდე.

14. და ოთხი ცხოველი ამბობდა. ამინ. და ხუცესნი დაემხნენ და თაყვანი სცეს ცოცხალს უკუნითი უკუნისამდე.

თავი მეექვსე

1. და ვიხილე, რომ კრავმა ახსნა ერთ შვიდ ბეჭედთაგანი, და მომესმა ოთხ ცხოველთაგან ერთ-ერთის მგრგვინავი ხმა, რომელმაც თქვა: მოდი და იხილე.

2. და აჰა, თეთრი ცხენი, და ზედ მჯდომარე მხედარი შვილდოსანი; და მიეცა მას გვირგვინი, და გამოვიდა მძლეველი, რათა სძლიოს.

3. და როცა ახსნა მეორე ბეჭედი, მოესმა ხმა მეორე ცხოველისა, რომელმაც თქვა: მოდი და იხილე.

4. და გამოვიდა სხვა ცხენი, წითელი, და მასზე მჯდომს მიეცა მიწიდან მშვიდობის აღზოცის ძალა, რათა მუსრს ავლებდნენ ერთმანეთს; და მიეცა მას მახვილი დიდი.

5. და როცა ახსნა მესამე ბეჭედი, მომესმა ხმა მესამე ცხოველისა, რომელმაც თქვა: მოდი და იხილე. მე გავიხედე, და აჰა, შავი ცხენი, და მასზე მჯდომს ხელთ ეპყრა სასწორი.

6. და მომესმა ხმა ოთხ ცხოველს შორის, რომელმაც თქვა: კოფიო პური დინარად, და სამი კოფიო ქერი დინარად; ხოლო ღვინოსა და ზეთს ნუ ავნებ.

7. და როცა ახსნა მეოთხე ბეჭედი, მომესმა ხმა მეოთხე ცხოველისა, რომელმაც თქვა: მოდი და იხილე.

8. და შევხედე, და აჰა, ჩალისფერი ცხენი, ხოლო სახელი მისი მხედრისა—სიკვდილი; და ჯოჯოხეთი მოსდევდა მას; და მიეცა მას ხელმწიფება მეოთხედზე დედამიწისა, რათა მუსრი გაავლოს მახვილითა და შიმშილით, სიკვდილითა და მიწიერ მხეტოვან.

9. და როცა ახსნა მეხუთე ბეჭედი, ვიხილე საკურთხევის ქვეშ სულნი მოკლულთა ღმრთის სიტყვისა და მოწმობისათვის, რომელიც ჰქონდათ.

10. და შელადადეს ხმამალა და თქვეს: როდემდის, მეუფეო წმიდაო და ქეშმარიტო, არ განსჯი და შურს არ იძიებ ჩვენი სისხლისათვის მიწის მკვიდრთაგან?

11. და მიეცა მათ სპეტაკი სამოსნი.

და ითქვა მათ მიმართ, ვინც არ გასრულდებოდა მათ თანა-მონათა დძმათა რიცხვი, რომელნიც, მათსავე მსგავსად, მოკლულ უნდა იქმნენ.

12. და როცა ახსნა მეექვსე ბეჭედი, შევხედე და აჰა, იქმნა მიწისძვრა დიდი, და გაშავდა მზე, როგორც ძაძა, და სისხლივით გაწითლდა მთვარე.

13. და დაცვივდნენ ზეცის ვარსკვლავნი ქვეყნად, როგორც ლელვის ხე; მძინვარე ქართ რხეული, ყრის მიწაზე თავის ყვავილებს.

14. და, გრავნილივით შეგრავნილი, შეიკრა ზეცა, და ყოველი მთა და კუნძული თავიანთი ადგილიდან იძრნებ.

15. და მეფენი ქვეყნისა და მთავარნი, ათასისთავნი, მდიდარნი და ძლიერნი, ყოველი მონა და თავისუფალი მღვიმეებსა და მთის გამოქვაბულებს შეეფარნენ.

16. და მთებსა და კლდეებს შებლაგულეს; დაგვემხეთ თავს, და ტახტზე მჯდომარის სახისა და კრავის რისხვისაგან დაგვფარეთ;

17. რადგან მოვიდა დიადი დღე მისი რისხვისა, და ვინ შეიძლებს დადგომას?


თავი მეშვიდე

1. და შემდგომ ამისა ვიხილე ოთხი ანგელოზი, ქვეყნის ოთხსავე კიდეზე მდგარი, და ეპყრათ ოთხი ქარი მიწისა, რათა არ ექროლა ქარს არც ხმელზე, არც ზღვაზე, და არც რომელიმე ხის მიმართ.

2. და ვიხილე სხვა ანგელოზი, მზის აღმოსავლით აღმომავალი, რომელსაც ჰქონდა ცოცხალი ღმერთის ბეჭედი და შესძახა ხმამალა ოთხ ანგელოზს, რომელთაც მიეცათ ვნება მიწის და ზღვისა:

3. ნუ ავნებთ ნურც მიწას, ნურც ზღვას, ნურც ხეებს, ვიდრე არ აღვბეჭდავთ ბეჭდით ღმერთის ჩვენის მონათა შუბლებს.

4. მომესმა აღბეჭდილთა რიცხვი: ას ორმოცდაოთხი ათასი იყო აღბეჭდი-



ან რომოცდაოთ ი ათასი იყო აღბეჭდილი ისრაელის ძეთა ყოველი ტომისაგან:

5. იუდას ტომისაგან თორმეტი ათასი, რუბენის ტომისაგან თორმეტი ათასი, გადის ტომისაგან თორმეტი ათასი.

6. ასერის ტომისაგან თორმეტი ათასი, ნეფთალემის ტომისაგან თორმეტი ათასი, მანასეს ტომისაგან თორმეტი ათასი.

7. სიმონის ტომისაგან თორმეტი ათასი, ლევის ტომისაგან თორმეტი ათასი, ისაკარის ტომისაგან თორმეტი ათასი.

8. ზაბულონის ტომისაგან თორმეტი ათასი, იოსების ტომისაგან თორმეტი ათასი, ბენიამინის ტომისაგან თორმეტი ათასი.

9. და შემდგომ ამისა გავიხედე, და ამა უოციანი სიმრავლე ზალოხისა, რომლას აღრიცხვასაც ვერ შესძლებდა ვერვინ, ყოველი ზალოხისა და ტომისაგან, და ერისა და ენისაგან იდგა ტაბტის წინაშე და კრავის წინაშე, სპეტაკი სამოსით მოსილი, და ზვლთ ეპურა პალმის რტონი.

10. და ხმამაღლა დალაღებდნენ და აპზობდნენ, ესნა ღმერთის ჩვენის, ტაბტზე მკდომარისა, და კრავისაგან არის.

11. და ყველა ანგელოზი იდგა ტაბტის, უბუცესთა და ოთხი ცხოველის ირგვლივ, და პირვევ დაემხნენ ტაბტის წინაშე, და თავიანი სცეს ღმერთს:

12. და აპზობდნენ: ამინ, კურთხევა და დიდება, და სიბრძნე და მადლიერება, და პატივი და ძალი და სიმტკიცე ღმერთს ჩვენსას უყუნიითი უყუნიისამდე.

13. და მომხართა ერთმა უბუცესთაგანმა და მოთხრა: ვინ არიან ეს სპეტაკი სამოსით მოსილნი, ან საიდან მოსულან?

14. და მე მიუხევე მას: უფალო, შენ იყო, და მან მოთხრა მე: ესენი არიან დიდი უფიდან მოსულნი: მათ გარეცხეს და კრავის სისხლით გაასპეტაკეს თავიანთი სამოსით.

15. ამიტომაც არიან ღმერთის ტაბ-

ტის წინაშე, და მსახურებენ მას ტაბტის წინაშე, და მსახურებენ მას ტაბტის წინაშე, და მსახურებენ მას ტაბტის წინაშე, და მსახურებენ მას ტაბტის წინაშე.

16. და აღარ მოვივლებათ მათ, არც მოსწყურდებათ, და არც მზე დასწყევო და აღარც ხვატი.

17. რადგანაც კრავი, რომელიც არის ტაბტის შუა, დამწყემსავს მათ, და სიკოცალის წყლის წყაროსაკენ წარუძღვება მათ, და შეაშრობს ღმერთი მათ თვალებზე ყოველგვარ ცრემლს.

თავი მერვე

1. და როცა ასნა მეშვიდე ბეჭედი ასე, ნახევარი საათით დუმილი ჩამოვარდა ზევას.

2. და ვიხილე შვიდი ანგელოზი, რომლებიც იდგნენ ღმერთის წინაშე და მიეცა მათ შვიდი საყვირი.

3. და მოვიდა სხვა ანგელოზი, და დადგა საკურთხეველის წინაშე, და ჰქონდა სასაკმევლე ოქროსი: და მიეცა მას დიდძალი საკმეველი, რათა ყველა წმიდის ლოცვებთან ერთად დაედო იგი ოქროს საკურთხეველზე, რომელიც არის წინაშე ტაბტის.

4. და ავარდა საკმევლის კვამლი წმიდათა ლოცვებთან ერთად, ანგელოზის ზვლით, ღმერთის წინაშე.

5. და აიღო ანგელოზმა სასაკმევლე, და აავსო იგი საკურთხეველის ცეცხლით, და გადმოათია მიწას: და იქმნა გრგვინა და გრიალი, და ელვა და მიწისძვრა.

6. და შვიდი ანგელოზი, რომლებსაც ჰქონდათ შვიდი საყვირი, გაემზადა საყვირთა ჩასაბერად.

7. და პირველმა ჩააბერა, და იქმნა სეტყვა და ცეცხლი, სისხლში აოუღო, და მესამედი ბეთა დაიწვა, და მთელი მწვანე ბალახი დაიწვა.

8. და მეორე ანგელოზმა ჩააბერა, და თითქოს დიდი მთა, ცეცხლით მოლაპლაპე, ჩავარდა ზღვაში: და ზღვის მესამედი სისხლად იქცა.

9. და ამოწყდა სულდგმულთა მესამედი, ზღვაში მცხოვრები, და ხომალდთა მესამედი დაიღუბა.

10. და მესამე ანგელოზმა ჩაჰბერა, და ჩამოვარდა ზეცით ლამპარივით მოვლვარე ვეება ვარსკვლავი. და დაეცა მესამედს მდინარეთა და წყაროებს წყალთა.

11. და სახელად ვარსკვლავისა ითქმის აფსინთი: და წყლის მესამედი აფსინთად იქცა. და მრავალი კაცთაგანი ამოწყდა წყალთაგან. რადგანაც მწარენი გაჰდნენ.

12. და მეოთხე ანგელოზმა ჩაჰბერა. და მოიწყლა მესამედი მზისა. და მესამედი მთვარისა და მესამედი ვარსკვლავებისა. და დაბნელდა მესამედი მათი: და აღარ ნათობდა მესამედი დღისა, ისევე როგორც ღამის.

13. და ვიხილე და ვისმინე შუა ცაში მფრინავი ერთი ანგელოზი. რომელიც მკრავინავი ხმით ამბობდა: ვაი, ვაი, ვაი მიწის მკვიდრთ საყვირის ხმათაგან დანარჩენი სამი ანგელოზისა. რომელნიც აწი ჩაჰბერენ საყვირით.

თავი მეცხრე

1. და მეხუთე ანგელოზმა ჩაჰბერა, და ვიხილე ვარსკვლავი, რომელიც ზეცით ვარდებოდა ქვეყნად. და მიეცა მას გასაღები უფსკრულის ქისა:

2. და გააღო უფსკრულის ქა. და ამოვარდა კვამლი ჭიდან. როგორც ვეება ღუმელის კვამლი. და დაბნელდა მზე და ჰაერი ქის კვამლისაგან.

3. და გამოვიდა კვამლიდან კალის გუნდი ქვეყნად, და მიეცა მას ხელმწიფება, როგორც აქვთ ხელმწიფება მიწის მორიელთ.

4. და ითქვა მათ მიმართ. არა ავნონ რა არც ბალახს მიწისას. არც მწვანილს რასმე. არცა ხეს რასმე, არამედ მხოლოდ კაცთ, რომელთაც არა აქვთ შუბლზე ღმერთის ბეჭედი.

5. და მიეცა მათ არა მოკვლა მათი, არამედ წამება მათი ხუთი თვე; და წამება მათგან. როგორც წამება მორიელისგან, როდესაც მოწყლავს კაცს.

6. და იმ დღეებში სიკვდილს დაუწ-

ყებენ ძებნას კაცნი. და აინტურესებენ. ნეტა მოკვდეთო. მაგრამ სიკვდილი დაუხალტება მათ.

7. ხოლო კალიები მსგავსებით ცხენებსა ჰგვანდნენ. საომრად გამზადებულთ; და თავს ედგათ გვირგვინნი. როგორც ოქროსი; და სახე მათი, როგორც სახე კაცთა.

8. და ჰქონდათ თმანი, როგორც დიაცთა თმანი; ხოლო კბილები მიუგავდათ ღოჯებს ღომისას.

9. და ეცვათ ჯაჭვნი. როგორც რკინისანი; და მათი ფრთების ხმა. როგორც ცხენმრავალ ეტლთა გრიალი. რომელნიც დაჰქრიან ბრძოლად.

10. და ჰქონდათ კუდნი. მორიელთა კუდების მსგავსნი. ხოლო კუდებზე — ნესტარნი; და მათ კუდებში — ხელმწიფება კაცთა წამებისა ხუთი თვე.

11. და მეფედ ჰყავდათ უფსკრულის ანგელოზი. და სახელი მისი ებრაულად აბადონ. ხოლო ბერძნულად აპოლიონ.

12. ერთმა ვაებამ გადაიარა: აჰა. მოდის ამის შემდეგ ორი ვაება.

13 და მეექვსე ანგელოზმა ჩაჰბერა, და მომესმა ერთი ხმა ოთხ რქათაგან ოქროს საკურთხევლისა. რომელიც არის ღმერთის წინაშე;

14. და უთხრა მეექვსე ანგელოზს. საყვირის მქონეს: ახსენ ოთხი ანგელოზი, რომელნიც შეკრულნი არიან დიდ მდინარეზე ეფრატისა.

15. და ახსნილ იქნა ოთხი ანგელოზი. რომელნიც მზად არიან ყოველ საათს და დღეს, თვესა და წელს. მუსრი გაავლონ მესამედს კაცთა.

16. და რიცხვი მათი მხედრობისა — ორასი ათასჯერ ათასი: მომესმა რიცხვი მათი.

17. ასე ვიხილე ხილვით ცხენები და მათი მხედრები. რომლებსაც ეცვათ აბჯარნი ცეცხლის. იაკინთისა და გოგირდის ფერნი. თავები ცხენებისა. როგორც ღომების თავნი, და მათ პირთაგან იფრქვეოდა ცეცხლი. კვამლი და გოგირდი.

18. და ამ სამი წყულულებისაგან — ცეცხლის. კვამლისა და გოგირდისაგან.



რომლებსაც აფრქვევდნენ მათი პირნი, მესამედი ამოწყდა კაცთა.

19. რადგან ცხენების ძალა იყო მათ თავ-პარსა და მათ კუდებში: ზოლო კუდები გველებსა ჰვეანდნენ, და ჰქონდათ თავნი, რომლებითაც ვნებდნენ კაცთ.

20. ზოლო სხვა კაცთა, რომელნიც არ ამოწყდნენ ამ წყლულებისაგან, არ შეინანეს თავიანთ ხელთა საქმენი, რათა თაყვანი არ ეცათ ეშმაკთა და ოქროს, ვერცხლის, ოვალის, ქვისა და ხის კერპთათვის, რომელთაც არც ხედვა იალუძთ, არც სმენა და არც სვლა.

21. და არ შეინანეს არც თავიანთი მკვლელობა და არც თავიანთი მწამელელობა, არც თავიანთი სიძვა და არც თავიანთი მპარავობა.

თავი მათე

1. და ვიხილე სხვა ანგელოზი ძლიერი, რომელიც ჩამოდოდა ზეცით, და ემოსა ღრუბელი; და მის თავზე ცისარტყელა: ზოლო სააე მისი, როგორც მზე, და ფენი მისნი, როგორც სვეტნი ციციხლისა.

2. და ხელთ ეპყრა გადაშლილი წიგნი, და დააბჯინა მარჯვენა ფეხი ზღვას, ზოლო მარცხენა მიწას.

3. და წარმოსთქვა მგრგვინავი ხმით, როგორც ბუხუნებს ლომი, და როცა დაიგრგვინა, შვიდმა ქუხილმა გაილო თავისი ხმა:

4. და როცა შვიდმა ქუხილმა გაილო თავისი ხმა, მე დავაბირე წერა; მაგრამ მომესმა ხმა ზეცით, რომელმაც მითხრა: დაბეკდე, რაც თქვა შვიდმა ქუხილმა, და ნუ დასწერ.

5. და ანგელოზმა, რომელიც ვიხილე ზღვასა და ამელზე მდგარი, თავისი ხელი აღაპყრო ზეცად.

6. და რაიფიცა ცოცხალი უკუნითი უკუნისამდე, რომელმაც შეჰქმნა ცა და ყოველივე ციური, და მიწა და ყოველივე მიწიერი, და ზღვა და ყოველივე ხლიერი, რომ უკვი აღარ იქნება დრო:

7. არამედ იმ დღეებში, **ბიჭ-ქრისტიან** გაიღებს მეშვიდე ანგელოზი, როცა ის ჩაჰბერავს საყვირს, აღსრულდება ღმრთის საიდუმლო, რომელიც მან ახარა მონებს თვისას - წინასწარმეტყველთ.

8. და ხმამ, რომელიც მომესმა ზეცით, კვლავ მითხრა მე: მოდი და აღე გადაშლილი წიგნი ხელიდან ანგელოზისა, რომელიც დგას ზღვასა და ამელზე.

9. და მივედი ანგელოზთან, და ვუთხარი მას: მომეცო-მეტქი წიგნი; და მითხრა მე: აღე და შევკამე იგი; და გამიწარებს მუცელს, მაგრამ პირში იტენება თაფლივით ტკბილი.

10. და აღეღე წიგნი ანგელოზის ხელიდან, და შევკამე იგი, და ეტკბილა პირს ჩემსას, როგორც თაფლი, მაგრამ, რა შევკამე, გამიწარა მუცელი ჩემი.

11. და მითხრა მე: კვლავინდებურად გამართებს წინასწარმეტყველება ხალხთა და ერთა და ენათა და მეფეთათვის.

თავი მეთერთმეტი

1. და მომეცა მე კვერთხის მსგავსი ლერწამი, და ითქვა ჩემს მიმართ: ადექი და გაზომე ღმერთის ტაძარი და საკურთხეველი, და თაყვანის მცემელნი მასში.

2. ზოლო ეხო, რომელიც გარს აკრავს ტაძარს, გამორიცხე, და ნუ გაზომავ მას, რადგანაც მიეცა იგი წარმართთ, და დათრგუნავენ წმიდა ქალაქს ორმოცდაორი თვე.

3. და მივცემ ორ მოწმეს ჩემსას, და იწინასწარმეტყველებენ ათას ორას სამოცი დღე, ძაბით მოსილნი.

4. ესენი არიან ორი ზეთისხილი და ორი სასანთლე, რომელნიც დგანან დედამიწის უფლის წინაშე.

5. და თუ ვინმე მოინდომებს მათს ვნებას, ცეცხლი გამოვა მათი პირიდან, და შევკამს მათს მტრებს; და თუ ვინმე მოინდომებს მათს ვნებას, ამგვარად მოკლულ უნდა იქმნეს.



ქართული
ენების

6. ამათ აქვთ ხელმწიფება ზეცის დახშვისა, რათა არ წვიმდეს წინასწარმეტყველების მათის დღეებში; და აქვთ ხელმწიფება წყალთა მიმართ, რათა აქციონ სისხლად, და მოსწყლან ქვეყანა, როდესაც ნებავთ. ყოველგვარი წყლულით.

7. და როდესაც აღასრულებენ წინასწარმეტყველებას მათსას, მხეცი, უფსკრულიდან ამომავალი, შეებრძოლება მათ, და შემეუსრავს მათ, და მოაკვდინებს მათ.

8. და მათი ცხედრები დაიყრება მოედანზე დიდი ქალაქისა, რომელსაც სულიერად ეწოდება სოდომი და ეგვიპტე, სადაც ჯვარს აცვეს მათი უფალი.

9. და მრავალნი ხალხთა და ტომთაგან, და ენათა და ერთაგან სამ დღენახევარს უყურებენ მათ, და არავის დაანებებენ საფლავად დადებას მათსას.

10. და მიწის მკვიდრნი იხარებენ და ილბენენ მათ გამო, და ძღვენს უძღვნიან ერთმანეთს, რადგან ამ ორმა წინასწარმეტყველმა აწამა მიწის მკვიდრნი.

11. მაგრამ სამნახევარი დღის შემდეგ სიცოცხლის სული შევიდა მათში ღმრთისაგან, და ორივენი წამოდგნენ ფეხზე; და თავზარი დაეცა ყველას, ვინც კი უმზერდა მათ.

12. და მოესმათ მგრგვინავი ხმა ზეცით, რომელმაც უთხრა მათ: ამოდით აქ, და ავიდნენ ისინი ზეცას ღრუბლით, და იხილეს ისინი მათმა მტრებმა.

13. და იმავ საათს იქმნა მიწისძვრა დიდი, და მეთაერი ქალაქისა დაიქცა, და ამოწყდა მიწისძვრისას შვიდი ათასი სახელი კაცის; და სხვები შეძრწუნდნენ, და დიდება მიაგეს ღმერთს ცისას.

14. მეორე ვაებამ გადაიარა, და აპა, მოდის მალე მესამე ვაება.

15. და მეშვიდე ანგელოზმა ჩაჰბერა საყვირს, და გაისმა ცაში გრგვინვა, რომელიც ხმობდა: სამეფო ქვეყნისა გახნდა სამეფო უფლის ჩვენისა და მისი ქრისტესი; და იმეფებს უკუნიითი უკუნისამდე.

16. და ოცდაოთხი უჩუტესი, რომე-

ლნიც სხედან თავიანთსა ღმრთის წინაშე, პირქვე დაემხო და თავიანი სცა ღმერთს.

17. და თქვეს: გმადლობთ შენ, უფალი ღმერთო, ყოვლისმპყრობელო, რომელიც ხარ და რომელიც იყავ და რომელიც იქნები, რომ მიიღე დიადი ძალი შენი და მსუფვეც.

18. და წარმართნი განრისხდნენ, და მოვიდა რისხვა შენი, და ჟამი მკვდართა განსჯისა, და ნაცვლისგების შენისა — მონათა, წინასწარმეტყველთა, წმიდათა და სახელის შენის მოშიშთა, დიდთა თუ მცირეთა მიმართ, და მიწის დამღუპვეთა დაღუბვისა.

19. და გაიღო ტაძარი ცაში, და გამოჩნდა კიდობანი მისი აღთქმისა მისსავ ტაძარში, და იქმნა ელვა და ქუბილი, გრგვინვა, მიწისძვრა და სეტყვა დიდი.

თავი მეთორმეტი

1. და გამოჩნდა ცაში სასწაული დიდი: ქალი, რომელსაც ემოსა მზე, და მთვარე იყო მის ფეხქვეშ, და თავს ედგა თორმეტი ვარსკვლავის გვირგვინი.

2. მუცლად ეღო, და კიოდა საღმობისა და შობის ტკივილებისგან.

3. და გამოჩნდა სხვა სასწაული ცაში; და აპა, წითელი ურჩხული დიდი, რომელსაც ჰქონდა შვიდი თავი და ათი რქა, და თავს ედგა შვიდი გვირგვინი.

4. და კუდი მისი მოითრევდა მესამედს ცის ვარსკვლავებისას, და გადმოყარა ისინი ქვეყნად, და დადგა ურჩხული ქალის წინაშე, რომელსაც უნდა ეშვა, რათა, როდესაც შობდა, შთაენთქა მისი შვილი.

5. და შვა მან ძე, რომელსაც რკინის კვერთხი უნდა დაემწყემსა ყველა წარმართი, და წარტაცებულ იქნა მისი ძე ღმრთისა და მისი ტახტის მიმართ.

6. და ქალი ილტვოდა უდაბნოში, სადაც აქვს თავისი ადგილი, გამზადებული ღმერთის მიერ, რათა არჩენდნენ იქ ათას ორას სამოცი დღე.



7. და ატყდა ბრძოლა ცაში: მიქაელი და მისი ანგელოზნი ებრძოდნენ ურჩხულს, და ურჩხული და მისი ანგელოზნი ებრძოდნენ მათ.

8. და ვერ იმძლავრეს, და აღარ აღმოჩნდა მათი ადგილი ცაში.

9. და გადმოვარდა დიდი ურჩხული, დასაბამის გველი, რომელსაც ეწოდება ეშმაკი და სატანა, მთელი სამყაროს მაცდური; გადმოვარდა ქვეყნად, და თან გადმოჰყვენენ მისი ანგელოზნი.

10. და მომესმა მგრგვინავი ხმა ცაში, რომელმაც თქვა: აწ იქმნა ხსნა და ძალი და სუფევა ჩვენი ღმერთისა და ხელმწიფება მისი ქრისტესი, რადგანაც დაემხო ბრალმდებელი ჩვენი ძმებისა, რომელიც ბრალს სდებდა მათ ჩვენი ღმერთის წინაშე დღისით და ღამით.

11. და მათ სძლიეს მას კრავის სისხლით და მათი მოწმობის სიტყვით, და არ შეიყვარეს სული მათი, ვიდრე სიკვდილამდე.

12. მაშ. გიხაროდეთ, ცანო, და თქვენც, ვინც მკვიდრობთ მათში, ვაი მიწის და ზღვის მკვიდრთ, რადგანაც ჩამოხდა თქვენდა მომართ ეშმაკი, სასტიკი რისხვით სავსე, ვინაიდან იცის, რომ ცოტალა დარჩა ხანი.

13. და როცა იხილა ურჩხულმა, რომ დაემხო ქვეყნად, დევნა დაუწყო ქალს, რომელმაც შვა ვაჟი.

14. და მიეცა ქალს ორი ფრთა ვეება არწივისა, რათა ფრენდეს გველის წინაშე, უდაბნოში, თავის ადგილას, და თავს ირჩენდეს იქ დროის, დროთა და ნაჩვენაირი დროის მანძილზე.

15. და ამოასხა გველმა წყალი, როგორც მდინარე, თვისი პირიდან, ქალის კვალდაკვალ, რათა წაეღო იგი მდინარეს.

16. მაგრამ მიწა შეეწია ქალს, და განაჩენა მიწამ ბავენი, და შთანთქა მდინარე, რომელიც ურჩხულმა ამოასხა თავისი პირიდან.

17. და განრისადა ურჩხული ქალზე, და გასწია, რათა შეჭმოდა დანარჩენებს მისი მოღვემისვან, რომლებიც იმარბავენ

ღმერთის მცნებას, და აქვთ იესოსო.

თავი მეცამეტი

1. და დაედევნე ქვიშაზე ზღვისა, და ვიხილე მხეცი, ზღვიდან ამომავალი, ათრქიანი და შვიდთავიანი; და მის რქებზე ათი გვირგვინი, და მის თავებზე საბელნი გმობისანი.

2. და მხეცი, რომელიც ვიხილე, ჯიქსა ჰგავდა, და ფეხნი მისნი, როგორც დათვის ფეხნი, და ხახა მისი, როგორც ხახა ლომისა; და მისცა მას ურჩხულმა ძალი მისი და ტახტი მისი და ხელმწიფება დიდი.

3. და ვიხილე ერთ-ერთი თავი მისი, თითქოს სასიკვდილოდ მოწყულული, და განიკურნა სასიკვდილო წყულულება მისი, და განციფრდა ქვეყანა მთელი მხეცის კვალდაკვალ.

4. და თაყვანი სცეს ურჩხულს, რომელმაც მისცა მხეცს ხელმწიფება, და თაყვანი სცეს მხეცს, და ამბობდნენ: ვინ არის ამ მხეცის მსგავსი? ვინ შესძლებს მასთან ბრძოლას?

5. და მიეცა მას პირი მზავაობრად მეტყველი და მგმობელი, და მიეცა მას ხელმწიფება, რათა იბრძოდეს ორმოცდა ორი თვე.

6. და განაჩენა ბავენი თვისნი საგმობლად ღმერთის მიმართ, რათა ჰგმოს სახელი მისი და სამკვიდრებელი მისი და მკვიდრნი ცისანი.

7. და მიეცა მას ძალი წმიდათა მიმართ ბრძოლისა და მათი ძლევისა; და მიეცა მას ხელმწიფება, რათა მბრძანებლობდეს ყოველ ტომსა და ენასა და ხალხს.

8. და მიწის ყოველი მკვიდრი, რომელიც არ არიან ჩაწერილნი სიციოცხლის წიგნში ქვეყნის დასაბამიდან დაკლული კრავისა, თაყვანს სცემს მას.

9. ვისაც ყური აქვს, ისმინოს.

10. ვისაც ტყვედ მიჰყავს სხვა, თვითონაც ტყვედ წაიყვანება; ვინც მახვილით ჰკლავს სხვას, თვითონაც მარჯი-

ლით მოკვდება, აქაა წმიდათა მოთმინება და რწმენა.

11. და ვიხილე სხვა მხეცი, მიწიდან ამომავალი; და ჰქონდა ორი რქა. მსგავსი კრავისა, და იზრახდა, როგორც ურჩხული.

12. და მოქმედებს მის წინაშე პირველი მხეცის მთელი ხელმწიფებით და აიძულებს მთელს დედამიწას და მის მკვიდრთ, თაყვანი სცენ პირველ მხეცს, ვისი სასიკვდილო წყლულებაც განიკურნა.

13. და იქმს დიად სასწაულთ, ისე რომ ზეციით ჩამოაქვს ცეცხლი ქვეყნად კაცთა წინაშე.

14. და აცდუნებს მიწის მკვიდრთ სასწაულებით, რომელთაც ქმნაც მიეცა მას მხეცის წინაშე, და ეტყვის მიწის მკვიდრთ, შექმნან ხატი მხეცისა, რომელსაც აქვს წყლული მახვილისაგან და არის ცოცხალი.

15. და მიეცა იმისი ძალა, რომ სული ჩაუდგას მხეცის ხატს, რათა ხატი მოქმედებდეს და მეტყველებდეს, და იქმოდეს იმას, რომ ყველა, ვინც თაყვანს არა სცემს მხეცის ხატს, მოკლულ იქნეს.

16. და იქმს იმას, რომ ყველა, მცირე თუ დიდი, მდიდარი თუ დაბალი, თავისუფალი თუ მონა, ყველა აღიბეჭდოს ნიშნით მათს მარჯვენა ხელსა თუ შუბლზე.

17. და ვერაფერ იყიდის ან გაყიდის რასმე, გარდა იმისა, ვისაც აქვს ნიშანი, ან სახელი მხეცისა, ან მისი სახელის რიცხვი.

18. აქაა სიბრძნე, ვისაც აქვს გონება, გამოითვალოს მხეცის რიცხვი, ვინაიდან ესაა რიცხვი კაცისა; და რიცხვი მისი ექვსას სამოცდაექვსი.

თავი მეოთხეა

1. და გავიხედე, და აჰა, კრავი, სიონის მთაზე მდგომარე, და მასთან ას ორმოცდა ოთხი ათასი, რომლებსაც შუბლზე აწერიათ მისი და მამის მისის სახელი.

2. და მოესმა ხმა ზეციური ზათქი მრავალი წყლისა, და როგორც ხმა გრვენივის; და მოვისმა ხმა მეჩანგეთა, რომელნიც უკრავდნენ თავიანთ ჩანგებს.

3. და გალობდნენ ახალ საგალობელს ტაბტის წინაშე, და ოთხი ცხოველისა და უხუცესთა წინაშე, და ვერაფერ შესძლო ამ საგალობლის სწავლა, გარდა ას ორმოცდა ოთხი ათასისა, ქვეყნისაგან გამოსყიდულის.

4. ესენი არიან, რომელნიც არ შეიბილწნენ ქალებთან, რადგანაც არიან ქალწულნი; ესენი არიან, რომელნიც მისდევენ კრავს, სადაც უნდა ვიდოდეს იგი; ესენი არიან გამოსყიდულნი კაცთაგან, როგორც ღმრთისა და კრავისათვის პირველნაყოფნი.

5. და მათ ბაგეთათვის უცნობა ტყუილი, რადგანაც უბიწონი არიან ღმრთის ტაბტის წინაშე.

6. და ვიხილე სხვა ანგელოზი, შუცაში მფრინავი, და ჰქონდა საბარება მარადიული, რათა ეხარებინა მიწის მკვიდრთათვის, და ყოველი ხალხისა და ტომისა, და ენისა და ერისათვის.

7. და ამბობდა ხმამალა: გეშინოდეთ ღმრთისა, და მიაგეთ მას დიდება, ვინაიდან მოვიდა მისი სასჯელის ყამი, და თაყვანი ეცით მას, რომელმაც შექმნა ცა და მიწა და ზღვა და წყალთა წყარონი.

8. და მეორე ანგელოზი მოსდევდა მას და ამბობდა: დაემხო, დაემხო ბაბილონი, დიდი ქალაქი, რადგანაც ასეა ღვინო მისი სიძვის რისხვისა ყველა ხალხს.

9. და მესამე ანგელოზი მოსდევდა მას და ამბობდა ხმამალა: ვინც თაყვანს სცემს მხეცს, ან ხატს მისას, აღიბეჭდება შუბლი მისი ან ხელი მისი ნიშნით.

10. და სვამს ისიც ღმრთის რისხვის ღვინოს, რომელიც შეზავებულია წმიდად მისივე რისხვის სასმისში, და ეწამება გოგირდითა და ცეცხლით წმიდა ანგელოზთა წინაშე და წინაშე კრავის.

11. და კვამლი მისი წამებისა ავა



უკუნითი უკუნისამდე, და არ ექნებათ მოსვენება, არც დღისით და არც ღამით. მხეცისა და მისი ხატის თავიანისმცემელთ. ანდა მისი სახელის ნიშნით აღბეჭდილთ.

12. აქ არის მოთმინება წმიდათა, რომელნიც იმარბავენ ღმრთის მცენებებსა და იესოს რწმენას.

13. და მომესმა ხმა ზეცით, რომელმაც მითხრა: დაწერე: ნეტარ არიან მკვდარნი, რომელნიც მოკვდებიან უფლის მიერ ამიერიდან. ჰო, ამბობს სული, რათა განისვენონ თავიანთ შრომათაგან, და საქმენი მათნი კვალდაკვალ მიჰყვნენ მათ.

14. და გავიხედე, და აჰა, სპეტაკი ღრუბელი, და ღრუბელზე მკდომარე, მსგავსი კაცის ძისა; და თავს ედგა ოქროს გვირგვინი, და ხელთ ეპყრა ნამგალი გალესილი.

15. და გამოვიდა მეორე ანგელოზი ტაძრიდან, და შელაღადა ღრუბელზე მკდომარეს: მიუშვი შენი ნამგალი, და მომკე, რადგანაც მოვიდა მკის ჭამი, და მოიწია სამკალი ქვეყნად.

16. და დაუშვა ღრუბელზე მკდომარემ თავისი ნამგალი ქვეყნად, და მომკა ქვეყანა.

17. და გამოვიდა სხვა ანგელოზი ციური ტაძრიდან, და ჰქონდა მასაც ნამგალი წამახული.

18. და სხვა ანგელოზი, ცეცხლის მიმართ ხელმწიფების მქონე, გამოვიდა საკურობეელიდან, და ხმამაღლა შესძახა მას, რომელსაც ჰქონდა ნამგალი წამახული: მიუშვი ეგ წამახული ნამგალი, და მოისთვლე მტევანნი, ვინაიდან დამწიფდა ყურძენი ქვეყნად.

19. და დაუშვა ანგელოზმა ნამგალი ქვეყნად, და მოისთვლა მტევანნი ქვეყნისა, და ღმრთის რისხვის ვეება საწნახელში ჩაყარა ისინი.

20. და დაიწურა საწნახელი ქალაქგარეთ, და წარმოსდინდა სისხლი საწნახელს, ვიდრე ცხენთა აღვირამდე, ათას ექვასი უტევანის მანძილზე.

1. და ვიხილე სხვა სასწაული ცაში, დიდი და საკვირველი: შეიდი ანგელოზი, რომლებსაც ჰქონდათ შეიდი წყლულება უკანასკნელი, რადგანაც მათით სრულდებოდა ღმრთის რისხვა.

2. და ვიხილე თითქოს მინის ზღვა, ცეცხლშერეული, და მძლეველნი მხეცისა და მისი ხატისა, და მისი ნიშნისა და მისი სახელის რიცხვისა, მინის ზღვაზე მდგომარენი, და ხელთ ეპყრათ ღმრთის ჩანგები.

3. და გალობდნენ მოსეს, ღმრთის მონის საგალობელს, და საგალობელს კრავისას, და ამბობდნენ: დიდნი და საკვირველნი არიან საქმენი შენი, უფალო ღმერთო, ყოვლისმპყრობელო; მართალნი და ქეშმარიტნი არიან გზანი შენი, ხალხთა მეუფეო.

4. ვის არ ეშინოდეს, უფალო, და არ ადიდებდეს შენს სახელს? რადგან მხოლოდ შენა ხარ წმიდა; და ყველა ხალხი მოვა და თავყვანისცემად დაემზობა შენს წინაშე; რადგანაც გამოცხადდა სამართალი შენი.

5. და შემდგომ ამისა გავიხედე, და აჰა, გაიღო ტაძარი მოწმობის კარვისა ცაში.

6. და გამოვიდა ტაძრიდან შეიდი ანგელოზი, რომლებსაც ჰქონდათ წყლულება შეიდი, სელის წმიდა და ბრწყინვალე სამოსით მოსილნი, და მკერდზე ოქროს სარტყლით შემოგარსულნი.

7. და ერთმა ოთხ ცხოველთაგანმა მისცა შეიდ ანგელოზს შეიდი თასი ოქროსი, აღვსილნი უკუნითი უკუნისამდე ცოცხალი ღმერთის რისხვით.

8. და აღიესო ტაძარი ღმერთის დიდებისა და მისი ძლიერების კვამლით, და აღარავის შეეძლო ტაძარში შესვლა, ვიდრე არ აღესრულებოდა შეიდი ანგელოზის წყლულება შეიდი.

თავი მეთექვსმეტი

1. და მომესმა ტაძრიდან მგრგვინავი ხმა, რომელმაც შეიდ ანგელოზს უთხ-

რა: წადით და დასთხიეთ შვიდი თასი ღმერთის რისხვისა ქვეყნად.

2. და წავიდა პირველი, და დასთხია თავისი თასი ქვეყნად; და მოიწყლნენ სასტიკი და საზარელი წყლულებით კაცნი, რომელთაც ჰქონდათ მხეცის ნიშანი, და თაყვანს სცემდნენ მის ხატს.

3. და მეორე ანგელოზმა დასთხია თავისი თასი ზღვაზე, და იქმნა სისხლი, როგორც მკვდრისა, და ყოველი სულდგმული ამოწყდა ზღვაში.

4. და მესამემ დასთხია თავისი თასი მდინარეებსა და წყაროებზე და სისხლად იქცა.

5. და მომესმა ხმა წყალთა ანგელოზისა, რომელიც ამბობდა: მართალი ხარ, უფალო, რომელიც ხარ, და იყავი, და წმიდა, რადგანაც ასე განსაჯე.

6. რაკილა დასთხიეს წმიდათა და წინასწარმეტყველთა სისხლი, მიტომაც სასმელად სისხლი მიეცი მათ: ღირსნი არიან ამის.

7. და მომესმა ხმა საკურთხეველიდან, რომელიც ამბობდა: ჰოი, უფალო ღმერთო, ყოვლისმპყრობელო, მართალნი და ჭეშმარიტნი არიან სასჯელნი შენნი.

8. და მეოთხემ დასთხია თავისი თასი მზეზე, და მიეცა მას კაცთა დაწვა ცეცხლით.

9. და დაიწვნენ კაცნი სასტიკი სიციხით, და ჰკმეს სახელი ღმერთისა, რომელსაც აქვს ხელმწიფება მათი წყლულების მიმართ, და არ შეინანეს, რათა დიდება მიაგონ მას.

10. და მეხუთემ დასთხია თავისი თასი მხეცის ტახტზე, და დაბნელდა საუფლო მისი; და იკვნეტდნენ თავიანთ ენებს სიმწრისგან.

11. და ჰკმობდნენ ღმერთს ციურს თავიანთი სიმწრისა და თავიანთ წყლულებათა გამო, და არ შეინანეს საქმენათვისნი.

12. და მეექვსემ დასთხია თავისი თასი ღმერთის მდინარეებზე ევფრატისა, და დაშრა მისი წყალი, რათა გამზადებულ იქმნეს მეფეთა გზა, რომელნიც მოდიან მზის აღმოსავლით.

13. და ვიხილე ურჩულეს პირველ მხეცის პირით და არუწინასწარმეტყველთა პირით გამომავალი სამი უწმინდური სული, გომბეშოს მსგავსნი,

14. რადგანაც არიან ეშმაკთა სულნი, სასწაულთმოქმედნი; და გამოდიან მთელი ქვეყნის მეფეთა მიმართ, რათა საბრძოლველად შეკრიბონ ისინი ყოვლისმპყრობელი ღმერთის იმ დიად დღეს.

15. და აჰა, მოვალ, როგორც მპარავი; ნეტარია, ვინც ფხიზლობს და იცავს თავის სამოსს, რათა შიშვლად არ ვიდოდეს, და ხედავდნენ მის უხამსობას.

16. და შეკრიბა ისინი იმ ადგილას, რომელსაც ებრაულად ეწოდება არმაგედონ.

17. და მეშვიდემ დასთხია თავისი თასი ჰაერში, და მოისმა ციური ტაძრიდან და ტახტიდან მგრგვინავი ხმა, რომელმაც თქვა: აღსრულდა.

18. და იქმნა ელვა და ქუხილი და გრგვინვა და მიწისძვრა დიდი, რომლის მსგავსიც არ ყოფილა მას აქეთ, რაც კაცნი არიან ქვეყნად:

19. და სამ ნაწილად გაიყო ქალაქი დიდი, და ხალხთა ქალაქნი დაემხნენ, და ბაბილონი მოხსენიებულ იქმნა ღმერთის წინაშე, რათა მიეცეს მას სასმისით ღვინო მძვინვარების მისის რისხვისა.

20. და ყოველი კუნძული გაუჩინარდა, და გაქრნენ მთანი.

21. და სეტყვა: ტალანტის ოდენა, თავს დაატყდა ზეციდან კაცთ, და ჰკმო სეტყვით მოწყლულმა ხალხმა სახელი ღმერთისა, ვინაიდან მძიმე იყო წყლულება მისი.

თავი მერვედმეტე

1. და მოვიდა ერთი შვიდ ანგელოზთაგანი, რომლებსაც ჰქონდათ შვიდი თასი, და მითხრა მე, და თქვა: მოდი და გიჩვენებ შენ სასჯელს დიდი მეძავისას, რომელიც ზედ აზის მრავალ წყალს.

2. და რომელთანაც ისიძვეს ქვეყნს



მეფეებმა. და ქვეყნის ყოველი მკვიდრი დაითრო ღვინით მისი სიძვისა.

3. და წამიყვანა მე სულით უდაბნოში. და ვიხილე ქალი. რომელიც ზედ აქდა წიასულ მხედს. რომელსაც, გმობის სახელითი სავსეს. შვიდი თავი ჰქონდა და ათი რქა.

4. ხოლო ქალს ემოსა პორფირი და ძოწვეული. ოქროთი. პატროსანი ქვითა და მარგალიტებით შემკული. და ხელთ ეპყრა ბარძიმი. სავსე სიბილწითა და მისი სიძვის უწმინდურებით.

5. და ეწერა სახელი შუბლზე: საიდუმლო. ბაბილონი დიდი. მეძავთა და მიწიერ სიბილწეთა დედა.

6. და ვიხილე. რომ ქალი მთვრალი იყო წმიდათა სისხლით. და იესოს მოწმეთა სისხლით: და მიკვირდა. მის მბილველს. სავკირველებით დიდით.

7. და მითხრა მე ანგელოზმა: რად გიკვირს? მე გატყვი შენ საიდუმლოს ქალისას და მისი მტკირთველი მხეცისას. რომელსაც აქვს შვიდი თავი და ათი რქა.

8. მხეცი, რომელიც იხილე. იყო. და აღარ არის. და ამოვა უფსკრულით. და წარსაწყმედლად წავა. და გაკვირდებიან მიწის მკვიდრნი (რომელთა სახელებიც ჩაწერილი არ არის სიცოცხლის წიგნში ქვეყნის დასაბამიდან). როცა იხილავენ მხეცს. რომელიც იყო. და აღარ არის. და მოვა.

9. აქ არის გონება. რომელსაც აქვს სიბრძნე. შვიდი თავი შვიდი მთა არის. რომლებზედაც ზის ქალი.

10. და შვიდი მეფე. რომელთაგან ზუთი დაემხო. ერთი არის. ხოლო სხვა არ მოსულა ჯერაც; მაგრამ როდესაც მოვა. დიდხანს ვერ გაძლებს.

11. და მხეცი. რომელიც იყო. და აღარ არის. მერვეა შვიდთაგან. და წარსაწყმედლად წავა.

12. და ათი რქა. რომლებიც იხილე. ათი მეფეა. რომლებსაც ჯერ კიდევ არ მიუღიათ მეფობა. მაგრამ. როგორც მეფენი მიიღებენ ხელმწიფებას ერთი საათით. მხეცთან ერთად;

13. ერთი აზრი აქვთ. და თავიანთ ძა-

ლასა და ხელმწიფებას მისცემენ მათ.

14. ისინი შეებრძოლებიან მათ სძლევს მათ კრავი. რადგანაც არის უფალი უფლებათა და მეუფე მეუფეთა. და მასთან მყოფნი ხმობილნი არიან და სარწმუნონი და რჩეულნი.

15. და მითხრა მე: წყალნი. რომელნიც იხილე. სადაც ზის მეძავი. ხალხნი არიან და ბრბონი. ერნი და ენანი.

16. და ათი რქა. რომლებიც იხილე. და მხეცი. — ესენი მოიძულებენ მეძავს და გააჩანაგებენ და გააშისვლებენ მას. და შექამენ მის ხორცს. და ცეცხლით დაწვავენ მას.

17. რადგანაც ღმერთმა ჩაუდო მათ გულში. აღასრულონ მისი ნება. ყონ ერთი ნება. და მისცენ მათი სამეფო მხეცს. ვიდრე არ აღსრულდებიან სიტყვანი ღმრთისა.

18. და ქალი. რომელიც იხილე. არის ქალაქი დიდი. რომლის მეუფებასაც ამორჩილებს ქვეყნის ყოველი მეფე.

თავი მეთვრამეტი

1. და შემდგომ ამისა ვიხილე სხვა ანგელოზი. რომელიც ჩამოდიოდა ზეცით. და ჰქონდა ხელმწიფება დიდი. და მისი დიდებისაგან განათდა მიწა.

2. და შელაღადა. და ხმამალა თქვა: დაემხო, დაემხო ბაბილონი დიდი. და ეშმაკთა სამკვიდროდ. და ყოველი უწმინდური სულის სამყოფლად. და ყოველი უწმინდური და ბილწი ფრინველის საბუდრად იქცა.

3. რადგანაც მისი სიძვის მძვინვარე ღვინით დაითრო ყველა ხალხი. და ქვეყნის მეფეებმა ისიძვეს მასთან. და ქვეყნის ვაჟარნი დამდიდრდნენ ფუფუნების მისის სიუბვით.

4. და მომესმა მეორე ხმა ზეცით. რომელმაც თქვა: გამოდი მაგისგან. ჩემო ხალხო, რათა არ ეზიაროთ მის ცოდვებს. და არ მოიწყლოთ მისი წყლულებით.

5. რადგანაც უწიეს მისმა ცოდვებმა ზეცას. და გაიხსენა ღმერთმა უსამართლობა მისი.



6. მიაგეთ მას. როგორც მან მოგაგოთ თქვენ, და საქმეთა მისთაებრ ორმაგადაც მიაგეთ მას; სასმისით, რომლითაც გასმევლათ თქვენ. ორმაგად ასმევლეთ მას.

7. რამდენადაც თავი მოჰქონდა დიდებით და ფუფუნებით, იმდენი ტანჯვა და ვაება მიაგეთ მას, რადგანაც გულში ამბობს: ვზივარ დედოფლად, და არავარ ჭვრევი, და არ ვიხილავ გლოვას.

8. ამიტომაც მოვლენ ერთ დღეს მისი წყლულებანი, და სიკვდილი, გლოვა და შიმშილი, და დაიწვის ცეცხლით, რადგანაც ძლიერია უფალი ღმერთი, რომელიც განსჯის მას.

9. და იტირებენ და ივაგლახებენ მის გამო ქვეყნის მეფენი, რომელნიც სიძვიით და ფუფუნებით ცხოვრობდნენ მასთან, როდესაც იხილავენ მისი ზანძრის კვამლს.

10. და მისი ტანჯვის შიშით შორს გამდგარნი ასე იტყვიან: ვაი, ვაი, დიდო ქალაქო, ბაბილონო, მძლავრო ქალაქო! რადგანაც ერთ საათს მოვიდა განკითხვა შენი.

11. და ქვეყნის ვაჭარნი იტირებენ და ივაგლახებენ მის გამო, რადგანაც აღარავინ იყიდის საქონელს მათსას.

12. ოქროსა და ვერცხლის საქონელს, და პატოსანი ქვისას და მარგალიტისას, და ბისონისას და პორფირისას, და აბრეშუმისას და ძოწეულისას, და ყოველგვარ სურნელოვან ხეს, და ყოველგვარ ნაკეთობას სპილოს ძელისას, და ყოველგვარ ნახელავს ძვირფასი ხისას, რვალისას, რკინისას და მარმარილოსას.

13. და დარიჩინს და საკმეველს, და გუნდრუქს და მირონს, და ღვინოს და ზეთს, და ფქვილსა და ხორბალს, ცხვარსა და ძროხას, და ცხენთა და ეტლთ, და კაცთა ზორცსა თუ სულს.

14. და ხილი შენი სულის სურვილისა აღარ შეგრჩა, და ყოველივე პოხიერი და ბრწყინვალე გაგეცალა, და ველარასოდეს ვერ კპოვებ მათ.

15. ყოველივე ამით მოვაჭრენი, რომელნიც დამდიდრდნენ მისგან, შორს

დადგებიან მისი ტანჯვის მემკვიდრეობა იტირებენ და ივაგლახებენ.

16. და იტყვიან: ვაი, ვაი, დიდო ქალაქო, ბისონით, პროფირითა და ძოწეულით მოსილო, და შემკულო ოქროთი, პატოსანი თვლებით და მარგალიტებით! ვინაიდან ერთ საათში იავარ იქმნა სიმდიდრე ესოდენი.

17. და ყველა მესაქე, მეზომალდე და მენავე შორს დადგნენ.

18. და, მისი ზანძრის კვამლის შემწყურეთ, შებლავლეს, და თქვეს: რომელი ქალაქი იქნებოდა ამ დიდი ქალაქის მსგავსი?

19. და დაიყარეს თავზე ნაცარი, და ტირილითა და გლოვით ამბობდნენ: ვაი, დიდო ქალაქო, რომლის ძვირფასეულობითაც დამდიდრდა ყველა, ვისაც ჰქონდა ხომალდნი ზღვაში! რადგანაც ერთ საათში მოოხრებულ იქმნა.

20. ხარობდეთ მასზე, ცაო და წმიდაო მოციქულნო და წინასწარმეტყველნო, რადგანაც აღასრულა ღმერთმა სასჯელი თქვენი მასზე.

21. და ერთმა ანგელოზმა ძლიერმა აიღო ქვა, დიდი დოლაბის მსგავსი, ზღვაში ჩააგდო, და თქვა: ასე სწრაფად შთაინთქმება ბაბილონი, დიდი ქალაქი, და აღარ იქნება.

22. და ხმა მეჩანგეთა და მეწინწილეთა და მესტირეთა და მესაყვირეთა აღარ გაისმის შენში, და აღარ იქნება შენში არცერთი ხელოვანი, აღარცერთი ხელოვნება, და წისკვილის ხმა მიწყდება შენში.

23. და სანთლის ნათელი აღარ ინათებს შენში, და ხმა სიძისა და სძლისა ჩაკვდება შენში, რადგანაც ვაჭარნი შენნი ქვეყნის მთავარნი იყვნენ, და მწამვლელობით შენით შესცდა ყოველი ხალხი.

24. და პოვნილ იქმნა შენში წინასწარმეტყველთა და წმიდათა და ამ ქვეყნად ყოველი მოკლულის სისხლი.

თავი მცხარამება

1. და შემდგომ ამისა მომესმა ცაში მგრავინავი ხმა, რომელიც ამბობდა:



აღელუშა! ჩხნა და დიდება და პატივი და ძალი უფალს ღმერთს ჩვენსას!

2. რადგანაც კეშმარიტი და მართალი არიან მსჯავრნი მისნი, ვინაიდან განსაჯა დიდი მედავი, რომელმაც თავისი სიძვით გაბრწნა ქვეყანა, და იძია მისი ხელიდან მონათა თვისთა სისხლი.

3. და მეორედ თქვეს: აღელუშა! და კვამლი მისი ადის უკუნიით უკუნისამდე.

4. და დაემხნენ ოცდაოთხი უხუცესი და ოთხი ცხოველი, და თაყვანი სცეს ღმერთს, ტახტზე მჯდომარეს, და თქვეს: ამინ! აღელუშა!

5. და გამოვიდა ხმა ტახტით, რომელმაც თქვა: აქებდეთ ღმერთს ჩვენსას ყოველი მონა მისი, და მოშიშნი მისნი, მცირენი თუ დიდნი.

6. და მომესმა თითქოს დიდძალი ზაღის ხმა, და ზათვი მრავალი წყლისა, და გრგვინვა საზარი მეზისა, რომელმაც თქვა: აღელუშა! რადგანაც სუფევს უფალი ღმერთი ჩვენი, ყოვლისმპყრობელი.

7. გვიხაროდეს და ვილხენდეთ, და მივავოთ მას დიდება, რადგანაც მოვიდა ქორწილი კრავისა, და სასძლომ მისმა განიმზადა თავი.

8. და მიეცა მას, რათა შეიმოსოს ბისონი წმიდა და ბრწყინვალე, რადგანაც წმიდათა სიმართლეა ბისონი.

9. და მითხრა მე: დაწერე: ნეტარნი არიან კრავის საქორწინო სერობაზე წვეულნი, და მითხრა მე: ესენი არიან კეშმარიტი სიტყვანი ღმერთისა.

10. და დავეარდი მის ფეხქვეშ, რათა თაყვანი მეცა მისთვის; და მითხრა მე: მიყურე, ნუ იზამ ამას; თანა-მონა ვარ შენი და შენი ძმებისა, რომლებსაც აქვთ მოწმობა იესოსი; ღმერთს ეცი თაყვანი; რადგანაც იესოს მოწმობა არის წინასწარმეტყველების სული.

11. და ვიხილე გახსნილი ცა, და ამათერი ცხენი, და მასზე მჯდომს ეწოდება სარწმუნო და კეშმარიტი, რადგანაც სიმართლით განსჯის და იბრძვის.

12. და თვალნი მისნი, როგორც ალი ცეცხლისა, და თავს ედგა მრავალი გვი

რვეინი; და ჰქონდა სახელი ღმერთსა ლი, რომელმაც არავენ იყოს, და.

13. და ემოს სისხლით ნაღები სამოსი; და სახელი მისი — სიტვეა ღმერთისა.

14. და ციური მხედრობა მოსდევდა მას, თეთრ ცხენებზე ამხედრებული, და სპეტაკი და წმიდა ბისონით მოსილი.

15. და მის ბაგეთაგან გამოდიოდა მახილი ორღესული, რათა მოსრას წარმართნი, და მწყემსდეს მათ რკინის კვერთხით; და დაწურავს ყოვლისმპყრობელი ღმერთის რისხვისა და გულისწყრომის ღვინის საწნაჩელს.

16. და აწერია სამოსსა და თემოსთავზე მისი სახელი: მეუფე მეუფეთა და უფალი უფლებათა.

17. და ვიხილე ანგელოზი ერთი, მზებზე მდგომარე, და ხამალა შესძახა, და უთხრა შუა ცაში მტრინავ ყველა ფრინველს: მოდიოთ და შემოკრბით დიდ სერობაზე ღმერთისა.

18. რათა ჭამოთ ხორცი მეფეთა და ხორცი ათასისთავთა, და ხორცი ძლიერთა და ხორცი ცხენთა და მხედართა, და ხორცი ყველა თავისუფლისა და მონისა, მცირესი თუ დიდის.

19. და ვიხილე მხეცი და ქვეყნის მეფენი და მხედრობა მათი, შეკრებილნი, რათა შეზრძოლებოდნენ ცხენზე მჯდომს და მხედრობას მისას.

20. და შეპყრობილ იქმნა მხეცი და მასთან ერთად ცრუწინასწარმეტყველიც, რომელმაც ქმნა მის წინაშე სასწაულნი, რომლებითაც აცთუნა მხეცის ნიშნის მიმღებნი და მისი ხატის თაყვანისმცემელნი, და ჩავარდა ორივე გოგირდით მოგიზგიზე ცეცხლის ტბაში.

21. ხოლო დანარჩენნი მოისრნენ ცხენზე მჯდომის მანვილით, რომელმაც გამოდიოდა მის ბაგეთაგან, და ყველა ფრინველი მიიძღა მათ მორს.

თავი მეოცე

1. და ვიხილე ანგელოზი, ჩამომავალი ზეციით, რომელსაც ჰქონდა ვასა-



ეროვნული

ლები უფსკრულისა, და ხელთ ეპყრა ჯაქვი გრძელი.

2. და შეიპყრო ურჩხული, გველი დისაბამისა, რომელიც არის ეშმაკი და სატანა, და შეკრა იგი ათასი წლით.

3. და ჩააგდო იგი უფსკრულში, და დახშა კარი, და დაბეჭდა იგი; რათა ვედარ აცდუნებდეს ხალხებს, ვიდრე არ გასრულდება ათასი წელი; ხოლო შემდგომ ამისა თავს დაიხსნის მცირედი ხნით.

4. და ვიხილე ტახტნი, და მათზე მსხდომარენი, და მიეცა მათ მსჯავრი, და იესოს მოწმობისა და ღმრთის სიტყვისათვის თავმოკვეთილთა სულნი, რომელთაც თაყვანი არ სცეს არც მხეცსა და არც მის ხატს, და არ მიიღეს ნიშანი მისი თავიანთ შუბლსა თუ ხელზე, და ცხონდნენ და სუფევდნენ ქრისტესთან ერთად ათას წელს.

5. ხოლო დანარჩენი მკვდარნი არა ცხონდნენ, ვიდრე ათასი წლის გასრულებამდე; ეს არის აღდგომა პირველი.

6. ნეტარია და წმიდა, ვისაც წილი უდევს პირველ აღდგომაში. მეორე სიკვდილს არა აქვს ხელმწიფება მათზე, არამედ იქნებიან მღვდელნი ღმრთისა და ქრისტესი, და ექნებათ სუფევა მასთან ათას წელს.

7. ხოლო ათასი წლის გასრულების შემდეგ, სატანა დაიხსნება თავისი საპყრობილედან.

8. და გამოვა, რათა აცდუნოს ხალხნი, რომელნიც არიან ქვეყნის ოთხსავე კუთხეში, გოგი და მაგოგი, რათა საბრძოლველად შეკრიბოს ისინი, რომელთა სიმრავლე, როგორც ქვიშა ზღვისა.

9. და გამოვიდნენ მიწის სივრცეზე, და გარს შემოერტყნენ წმიდათა ბანაკსა და საყვარელ ქალაქს, და ჩამოეშვა ცეცხელი ღმრთისაგან ზეცით, და შთანთქა ისინი.

10. და ეშმაკი, მათი მაცდური, ჩავარდა ცეცხლისა და გოგირდის ტბაში, სადაც არიან მხეცი და ცრუწინასწარმეტყველი, და ეწამებიან დღე და ღამე, უკუნითი უკუნისამდე.

11. და ვიხილე საეტაკი ტახტი დი-

დი, და მასზე მჯდომარნი, რომელნიც იდგნენ ილტვოდნენ მიწა და ცა, და აღარ დარჩა ადგილი მათი.

12. და ვიხილე მკვდარნი, მცირენი თუ დიდნი, რომელნიც იდგნენ ტახტის წინაშე; და გადაშლილი იყო წიგნები; და გადაიშალა სხვა წიგნი, რომელიც არის სიციცხლისა; და თანაზმად წიგნებში დაწერილისა. საქმეთა მათებრ განისაჯნენ მკვდარნი.

13. და დააბრუნა ზღვამ მკვდრები, რომლებიც იყვნენ მასში; და სიკვდილმა და გოგოხეთმა დააბრუნეს მკვდრები, რომლებიც იყვნენ მათში, და საქმეთებრ მისისა განისაჯა ყოველი.

14. და სიკვდილი და გოგოხეთი დაინთქნენ ცეცხლის ტბაში. ეს არის მეორე სიკვდილი.

15. და ვინც სიციცხლის წიგნში არ იყო ჩაწერილი, ჩავარდა ცეცხლის ტბაში.

თავი ოცდამეერთე

1. და ვიხილე ახალი ცა და ახალი მიწა, რადგანაც უწინდელი ცა და უწინდელი მიწა გადაეგო, და ზღვა აღარ არის.

2. და მე, იოანემ, ვიხილე წმიდა ქალაქი, ახალი იერუსალემი, ღმრთისაგან ზეცით ჩამომავალი, გამზადებული, როგორც სასძლო, და სასიძოსათვის შემკული.

3. და მომესმა მგრგვინავი ხმა ზეცით, რომელმაც თქვა: აჰა, კარავი ღმრთისა კაცთა თანა, და დაემკვიდრება მათთან, და ისინი იქნებიან მისი ხალხი, და თვით ღმერთი იქნება მათთან.

4. და შეაშრობს ღმერთი მათ თვალებზე ყოველგვარ ცრემლს, და აღარ იქნება სიკვდილი; და აღარც გლოვა, აღარც ტირილი და აღარც ტანჯვა აღარ იქნება, რადგანაც გადაეგო ყოველივე უწინდელი.

5. და თქვა ტახტზე მჯდომარემ: აჰა, ვიქმ ყოველსავე ახალს, და მოთხრა მე: დაწერე; ეს სიტყვანი სარწმუნონი არიან და კეშმარიტნი.



6. და მითხრა მე: აღსრულდა. მე ვარ ანი და ჰაე. დასაბამი და დასასრული. და მივცემ მწყურვალს სიცოცხლის წყლის წყაროსგან უსასყიდლოდ.

7. მძლეველი დაიმკვიდრებს ყოველს, და ვიქნები მისი ღმერთი. და ის იქნება ჩემი ძე.

8. ხოლო მხდალთა და ურწმუნოთა. ბილწთა და მკვლელთა. მეძავეთა და მწამველთა. კერპთთაყვანისმცემელთა და ყოველთა ცრუთა ზედრი ტბაშია. ცეცხლთა და გოგირდით მოგიზგიზეში. ეს არის მეორე სიკვდილი.

9. და მოვიდა ჩემთან ერთი შვიდ ანგელოზთაგანი. რომელთაც ჰქონდათ შვიდი თასი, უკანასკნელი წყლულებით სავსენი. და მითხრა მე: მოდი და გიჩვენებ ქალს. სასძლოს კრავისას.

10. და წამიყვანა მე სულით დიდსა და მაღალ მთაზე. და მიჩვენა მე დიდი ქალაქი. წმიდა იერუსალემი. ღმრთისაგან ჩამომავალი ზეციით.

11. და ჰქონდა დიდება ღმრთისა. და მნათობი მისი მსგავსი პატიოსანი ქვისა. იასპის ქვისა. ბროლივით გამჭვირვალესი.

12. და ჰქონდა ზღუდე. დიდი და მაღალი. და თორმეტი ბჭე. და მათზე — თორმეტი ანგელოზი. და ზედ დაწერილი სახელები ისრაელის ძეთა თორმეტი ტომისა.

13. აღმოსავლეთით სამი ბჭე. ჩრდილოეთით სამი, სამხრეთით სამი, დასავლეთით სამი.

14. და ზღუდეს ქალაქისას ჰქონდა თორმეტი საფუძველი, და მათზე კრავის თორმეტი მოციქულის თორმეტი სახელი.

15. და ჩემთან მოსაუბრეს ჰქონდა ოქროს ლერწამი. რათა გაეზომა ქალაქი და მისი ბჭენი და მისი ზღუდენი.

16. და ქალაქი ოთხკუთხედად ძევს. და სიგრძე მისი. როგორც სიგანე. და გადაზომა ქალაქი ლერწმით თორმეტი ათას უტევანზე. და სიგრძე მისი. და სიგანე და სიმაღლე მისი ტოლნი არიან.

17. და გაზომა ზღუდე მისი. და იყო ას ორმოცდაოთხი წყროა. კაცთა საზო-

მით. როგორც არის საზომიც ანგელოზისა.

18. და იყო ნაგებობა მისი ზღუდისა იასპის; ხოლო ქალაქი — ბაჯალო ოქროსი. მსგავსი წმიდა მინისა.

19. ქალაქის ზღუდის საფუძველნი — ყოველგვარი პატიოსანი ქვით შემკულნი: პირველი საფუძველი იასპი. მეორე საფირონი. მესამე ქალკედონი. მეოთხე სმარაგდი.

20. მეხუთე სარდონიკი. მეექვსე სარდიონი. მეშვიდე ქრისოლითი. მერვე ბერილი. მეცხრე ტოპაზი. მეათე ქრისოპრასი. მეთერთმეტე ჰიაკინთი. მეთორმეტე ამეთისტო.

21. და თორმეტი ბჭე — თორმეტი მარგალიტი, თვითეული ბჭე თითო მარგალიტისა, და ქალაქის მოედანი ბაჯალო ოქროსი. მსგავსი ჭვირვალე მინისა.

22. ხოლო ტაძარი არ მიხილავს მასში. რადგან უფალი ღმერთი, ყოვლისმპყრობელი, არის მისი ტაძარი. და კრავი.

23. და ქალაქს არ სჭირდება არც მზე და არც მთვარე მნათობელად, რადგანაც დიდებამ ღმრთისამ გაანათა იგი. და სანთელი მისი — კრავი.

24. და დახსნილი ხალხები ივლიან მისი ნათლით, და ქვეყნის მეფენი მიიტანენ მასში თავიანთ დიდებას და პატივს.

25. და ბჭენი მისნი არ დაიხშვიან დღისით; ხოლო ღამე არ იქნება იქ.

26. და მიიტანენ მასში ხალხთა დიდებას და პატივს.

27. და ვერ შევლენ შიგ სიბილწისა თუ სიცრუის ვერცერთი მოქმედი და თანაზიარი, არამედ მხოლოდ ისინი, რომელნიც ჩაწერილნი არიან კრავის სიცოცხლის წიგნში.

თავი ოცდამეორე

1. და მიჩვენა მე წმინდა მდინარე სიცოცხლის წყლისა, ანკარა. როგორც ბროლი, ღმრთისა და კრავის ტაბტიისაგან გამომდინარი.

2. მისი მოედნის შუაში და მდინარის გაღმა-გამოღმა, ხე სიციოცხლისა, თორმეტგზის ნაყოფის გამოძლები, ყოველთვე ნაყოფის თვისის მომცემი, და ხის ფოთოლნი — ხალხთა საკურნებლად.

3. და აღარ იქნება არავითარი წყევლა; და ტახტი ღმრთისა და კრავისა იქნება მასში, და მონები მისი ემსახურებიან მას.

4. და იბილავენ სახეს მისას, და მათ შუბლებზე იქნება სახელი მისი.

5. და ღამე აღარ იქნება იქ, და აღარ დასკირდება სანთელი და აღარც ნათელი მზისა, რადგანაც უფალი ღმერთი გაანათლებს მათ, და ექნებათ სუფევა უკუნითი უკუნისამდე.

6. და მიიხრა მე; სარწმუნონი არიან ეს სიტყვანი და კეშმარტნი; და წმიდა წინასწარმეტყველთა უფალმა ღმერთმა მოავლინა თავისი ანგელოზი, რათა უჩვენოს მონებს თვისას, რაც უნდა მოხდეს მალე.

7. აჰა, მოვალ მალე, ნეტარია, ვინც იმარხავს ამ წიგნის წინასწარმეტყველების სიტყვებს.

8. და მე, იოანე, ვარ ამის მხილველი და მსმენელი; და როდესაც ვიხილე და ვისმინე, დავეარდი ანგელოზის ფერბით, რომელმაც მიჩვენა ყოველივე ეს, რათა თავიანი მეცა მისთვის.

9. მაგრამ მან მიიხრა მე; მიყურენუ იზამ ამას, რადგანაც თანა-მონა ვარ შენი და შენი ძმებისა — წინასწარმეტყველთა, და მათი, რომელნიც იმარხვენ ამ წიგნის სიტყვებს, თავიანი ღმერთს ეცი.

10. და მიიხრა მე; ნუ დაჰბეჭდავ ამ წიგნის წინასწარმეტყველების სიტყვებს; რადგანაც ახლოა ეამი.

11. უსამართლო კვლავ უსამართლო-

ბდეს ჯერ, ბილწი კვლავ ბილწობდეს ჯერ, მართალი კვლავ მართლობდეს ჯერ, წმიდა კვლავ წმიდობდეს ჯერ.

12. აჰა, მოვალ მალე, და ჩემთანაა ნაცელისგება ჩემი, და მისი საქმისამებრ მივაგებ თვითეთულს.

13. მე ვარ ანი და ჰაე, დასაბამი და დასასრული, პირველი და უკანასკნელი.

14. ნეტარნი არიან, რომელნიც აღასრულებენ მის მცნებებს, რათა ჰქონდეთ უფლება სიციოცხლის ხის მიმართ, და ბჭეთა გავლით შევიდნენ ქალაქში.

15. ხოლო გარეთ — ძაღლნი და მწყემლენი და მეძვენი და მკვლენი და კერპთმსახურნი და ყოველი მოყვარე და მოქმედი სიცრუისა.

16. მე, იესომ, მოვაველინე ანგელოზი ჩემი, რათა გამოწმოთ ეს ეკლესიებში, მე ვარ ფესვი და მოდგმა და ვითისა, კაშკაშა ვარსკვლავი ცისკრის.

17. და სული და სასძლო ამბობენ: მოდი! და მსმენელმა თქვას: მოდი და მწყურვალი მოვიდეს, და მსურველმა უსასყიდლოდ მიიღოს სიციოცხლის წყალი.

18. და ემოწმობ ყველას მიმართ, ვინც ისმენს ამ წიგნის წინასწარმეტყველების სიტყვებს: თუ ვინმე რასმე დაურთავს მათ, ღმერთი დაურთავს მას წყლულებს, რომლებიც სწერია ამ წიგნში.

19. და თუ ვინმე რასმე მოაკლებს ამ წიგნის წინასწარმეტყველების სიტყვებს, ღმერთი მოაკლებს მის წილს სიციოცხლის ხისას და წმიდა ქალაქისას და იმისას, რაც სწერია ამ წიგნში.

20. ამბობს, ვინც მოწმობს ამას; ჰო, მოვალ მალე! ამინ! ჰო, მოდი, უფალო იესო!

21. მადლი უფლის ჩვენის იესო ქრისტესი ყველა თქვენგანთან, ამინ.

მარი აბრამიშვილი

ღვთის მადლით

მკვდარი მეგონა,

ჩამკვდარი.

თურმე ყოფილა მძინარე:

ლეში მეგონა —

შამბნარში

ვეფხვი წოლილა მძვინვარე.

წყარო მეგონა —

დამშრალი.

გაშალა, შროლის მკლავები,

ცეცხლი მეგონა ჩამქრალი.

უცემ ავარდა ალუბი.

მეგონა, ბედმა გასწირა.

არ გაწირულან ღვთის მადლით.

მეგონა, დაწყდნენ.

დაზრდილან

ალგეთს ლეკვები მგლისანი.

1989 წლის გაზაფხული

გააქართველა საქართველო

იმ გაზაფხულმა

ამ საქართველომ ააზეირთა

ის გაზაფხული

ერთ და იმავე დროს.

ერთ და იმავე დროს

ჩანს დასაწყისი და...

დასასრული.

ჩვენი ღმერთი

ცხრა აპრილის იმ ღამით

მისი იქ მოხორძანება

ჭავდა მკვდრეთით აღმდგარი

ქრისტეს გამოცხადებას:

გარინდების წუთებში

გამოუცნობ მოლოდინს

ჰკვეთდა სანთელთ ალუბის

მდუმარე ღაღადება.

იმ თვალების, იმ სახის, იმ შხერის

მკმუნებარება

იყო კვლავაც მზად ყოფნა

გოლოვთაზე ასვლისა:

ღმერთსაც გმინვა აღმოხდა.

ზღვა ხალხის მდუმარება

როცა რკინის უჩინებელმა

შემზარავე ხმით გასრისა.

კვრეტდა ნათელმზილველი

ღამის სისჩლით თენებას.

მაგრამ რას ზეიმობდა

მტერი დამარცხებული?

გვეფარავს ქრისტეს ნათელი

და გვაქვს ბედნიერება

ჩვენთან იყოს ეს ღმერთი.

ჩვენთვის გაჩაყებული.

• • •

— მოითმინეთ!
— მოითმინეთ!
— მოითმინეთ!
და... აღივსო
მოთმინების ფიალა!
ისევ „ხვალე“,
ისევ ფიჭვი,
ისევ ტანჯვა, —
ისევ არ ჩანს,
ისევ დაიგვიანა!

• • •

სიტყვისა და კალმის გარდა,
გარდა ფუნჯის და
საჭრეთლის,
მოელვარე ნიჭით,
ან და
გაქედლილი ბედის მქედლით;
გარდა კვნესის გამომცემი
ვიოლინოს
სუსტი ხემის,

გარდა ჰანგთა მცელავ
ცელის —
კლავიშებზე მცურავ ხელის;
გარდა გულის,
ცხელი გულის
(სიყვარული სადაც მეფობს),
გარდა ჭკუის —
გონის ბრძნულის.
იარალი —
არ მწამს. ძმებო!

გულისტემა

წინაპართა სახელებს —
როდესაც ვეფერები.
გული მეჩურჩულება
სევდიან საჩურჩულოს,
მეკითხება: მეფენი —
ქართველი მეფეები
როგორ უმოყვრდებოდნენ
ჩვენს მტერსა და ურჯულოს?
როგორ, როგორ სტოვებდნენ
განსაცდელში ქვეყანას,
თვითონ უცხო კალთის ქვეშ
ხიზნად შეფარებულნი,
განა მისთვის მოვიდნენ,
რომ ქედი მოეხარათ,
ლექსად გადმოეღვარათ
რათა სევლა მეფური?

რომ ჩვენი საქართველო,
როგორც კრავი უმწიკვლო,
მგლისთვის ეჩუქებინათ —
კარგად შეგვიანახეთო.
რაც იმას ჰგავს, სატანას
სელი რომ გაუწვდინო,
შენი ღმერთი დაგმო და
ეშმაკი გააღმერთო;
განა ხალხის გულისტქმის,
მის კვნესის მოყურადეთ
იმად სურდათ სამეფო —
მტრისგან ნათვალთვალეფო.
შერჩენოდნენ ქართველთა
ისტორიის სურათებს,
უცხო თავსაბურავით
შეკონილი თავებით?



ვეფქრობ და ვეფქრობ:
 ვით შევაყვარო,
 ვის შევაყვარო
 ტანჯვანი ჩემი?
 ვის ვანდო გული მე
 უანგარო,
 როცა თვალებს მკრის სოფელი
 კრელი,

ვეფქრობ და ვეფქრობ:
 სად შევაფარო,
 რას შევაფარო
 ტანჯვანი ჩემი,
 უკიდვანო
 არის სამყარო
 და ერთადერთი ცა —
 გადამრჩენი.

შენ რომ გცოდნოდა

შენ რა იცოდი, რა ტანჯვისთვის
 უნდა გეშობე,
 უნდა გეზარდე რა სიმწრისთვის...
 საწყალო დედავ, გულუბრყვილოვ,
 სათნოვ ესოდენ.
 ახლაც არ იცი...
 ახლაც არ იცი...
 შენ რა იცოდი,
 საარსებო ჰურს რომ მაქმევედი,
 თუ ვით მახრჩობდა ცრემლი მდულარე,
 კირვეულ შვილს თუმც სხვა შვილებში
 გამომარჩევიდი.
 უვლიდი, მაგრამ...
 ვერ მოუარე.

შენ რა იცოდი, შეუმჩნეველად,
 თანდათანობით
 ვით იზრდებოდა კენჭი ქვალოდად, —
 პოეტიაო ჩემი შვილი —
 როგორ ხარობდი,
 რა გიხაროდა?
 რა გიხაროდა?
 ხანდახან მიკვირს, აქ მოსვლისთვის
 შენ ვით მიყვარდი?
 შენ რა იცოდი, თუ ვით ცოდო ვარ, —
 არ მომიყვანდი, გულმოწყალევ,
 არ მომიყვანდი.
 შენ რომ გცოდნოდა...
 შენ რომ გცოდნოდა...

მრავალგვარი გაგეჯით

სისულელეა!
 სისულელეა!
 სისულელეა ეს ყველაფერი!
 ეს — სიგიჟეა!
 ეს — სიგიჟეა!
 ეს — სიგიჟეა!
 სხვა — არაფერი!
 ეს უბოლოო მოლოდინია,
 ციდან ნათელის
 გამონათების,
 სამაცდუროა ეს სურათებიც,

ბუნების ხელით
 გამონათენი.
 ეს სიხარბეა ღია თვალების,
 ეს მონობაა —
 მარად ნათმენი,
 ეს — ტყუილია!
 ეს — სირცხვილია!
 ეს სიკედილია,
 სხვა —
 არაფერი!

თვით სიკვდილშიაც

ეროვნული
ბიბლიოთეკა

შალვა ქვედლოშვილი

შენ გაჩსოვს ალბათ...
მეც მახსოვს დღემდე...
გვემახსოვრება
თვით სიკვდილშიაც.
რაც მრავალი წლის
სიცოცხლის შემდეგ
გულის დაფიდან ვერ წაგვიშლია.
შენ ფიქრობ ალბათ...
მეც ვფიქრობ დღემდე...
ასე ვიფიქრებთ
თვით სიკვდილშიაც.

ვაგლახ! რა გვიყო,
ვისაც ჩვენ ვენდეთ.
ვისთვისაც გული გადაგვიშლია.
ჩვენ გვიყვარს მაინც,
ჩვენ გვიყვარს დღემდე.
ჩვენ გვეყვარება
თვით სიკვდილშიაც!
დღესაც ვისწორებთ
მოშვილდულ ქედებს.
სამშობლო —
დღესაც გასაჭირშია.

ისევ ისა ვარ

წარმოიდგინე —

მე ასეთი ვიყავ ყოველთვის;
უკმეხი, ურჩი, პირშიმტყმელი და პირდაპირი!
სიმართლის თქმაში მკირეოდენ შევბას ვპოვებდი,
სხვათა აზრებში სულ ვეძებდი საპირდაპიროს.
სიყმაწვილითვე ვერ ვიტანდი ლაქუსს ცვედანის,
არც მჭირდებოდა შეკახმული ცხენის ქენება,
რადგან ოცნების რაშის ვიყავ ლალი მხედარი,
ვერ მიბედავდა მით ლაჩარი გამოდევნებას.
ისევ ისა ვარ! შენ გეგონა, გამოვიცვალე?
წელთა სიმრავლით ჩაზნეკილ ქედს მითვლი მოხრილად?
უკუღმართობის ვიგემე რა ბევრი სიმწარე,
მე მოვიდალე, თორემ სული კი არ მოღლილა.
ბატონკაცური ვისაც უყვარს ქვეყნად ფართაში.
ისინი ალბათ, მნელად მიტანენ.
ერთხელ დამმალეს, გადამაგდეს დასაკარგავში,
მაგრამ დავბრუნდი და ეს წყლული ჩამოვიტანე.
რალა მიჭირდა, რომ შემეძლოს, ლექსში ჩავტიო,
რაც გულს აწუხებს სატყვიარი.

ჭირი ათასი, —

ვბატობ ყველას ყველას, მაგრამ

ვით ვაბატო.

ვინც დამიფხაჰნა საქართველოს ხატი ლამაზი.
მე რა ვიცოდი, სიყვარული სად წამიყვანდა,
დღესაც, რომ მომკლა, მაინც ვიტყვი.

რასაც ვამბობდი, —

მისი სახელი ვით დავმალე.

ვინც მე მიყვარდა.

თუ ჩემი სატრფო — საქართველო ძილშიც მამოდებს?



ცოცხალი ძეგლი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

დედას —
რამდენი შვილიც ჰყავს,
იმდენი მამულს ეძღვნება, —
შვილს —
ძუძუ უნდა დედისა,
პირველია თუ მეცხრეა.
დედას რამდენი შვილიც ჰყავს,
გულში იმდენი ცეცხლი აქვს.

თუმც ერთი შვილის პატრონის
ცეცხლი —
უფრორე მწველია.
ყველა კი მამულს ეკუთვნის,
დასაბამიდან ეგრეა, —
შვილი. გაზრდილი
ქვეყნისთვის,
მშობლის ცოცხალი ძეგლია.

თავისმართლება

მეუბნები —
მე არ მაქვსო ბრალი
(როგორ მინდა, დავიჭირო შენი!),
მოდი, აბა გამისწორე თვალი.

აბა, გულზე დაიდევო ხელი, —
სულ სხვას ამბობს
ჩალუნული თავი.
სულ სხვას ამბობს ეგ ასანთის
ღერი.

ნასული პოეტის იუბილე

შენ გაბსენებდნენ, გიორგი,
შენს ვაჟაკობას აქებდნენ,
შენს მარებს —
მოუხრელ შენს ქედსა
შეადარებდნენ ამ ქედებს.

შენ გადიდებდნენ, გიორგი,
შატბერაშვილო გეარადა,
თავად ამწევო იმ ლოდის,
ზიზამბარვლო თავადა.

• • •

ღმერთო, შენ უშველე
ყველა გაპირვებულს!
ღმერთო, მოუჩინე შვილი
ყველა დედას!
ღმერთო, შემახვედრე ვინმე
გაცილებულს,
თორემ სულ დამწუხრებულ
სახეებს ეხედავ.

ღმერთო, შენ უსმინე
ყველა მღალადებულს,
ღმერთო, შენ ისმინე
ჩემი ლალადისიც,
ღმერთო, მომასწარი
სანამ დაღამდება.
ნახვა მენატრება ვისიც —
ნახვა მისი.

ვერ ვტოვებ თბილისს

ო, რა ხანია, თბილისიდან
 გავსულვარ არსად.
 თითქოს თბილისში ჩარგული ხე ვარ,
 არ შეუძლია ადგილიდან რომელსაც
 დაძვრა
 და ამ ქარებში ატყდომია
 ტოტების რხევა.
 ვით შეიღს არ შეენის მიტოვება
 ავადმყოფ დედის,
 როგორღაც ისე ვერ ვტოვებ თბილისს,
 არ ვიცი, რა წუთს დამიძახებს,
 როდის რას მეტყვის,
 მზადა მაქვს ტაფად ხელისგული
 მოყვარულ შვილის.
 მე, რა თქმა უნდა, ვერ მოვკვდები
 მანამდე, ვიდრე
 არ შევაკვდები სიცოცხლეს მისთვის
 და პირჯვარს ვიწერ,
 და ელოცულობ
 და მე მუხლს ვიდრეკ,
 რომ დავინახო. უკვდავება აქ დგას,
 თუ მიდის.
 ზამთარია თუ ზაფხულია, აქ ვარ,
 ჩემს საბლში
 (იქნებ უეცრად დავკვირდე ვინმეს?),
 დავიხრუტები თბილისური ივლისის
 ზეატში,
 გულის ფიცარზე გავაფიცებ
 იანვრის ყინვებს.

ლადო სულაბერიძე

მოთარ ჩხეიძე

(ეტიუდები პორტრეტისათვის)

1

მოთარ ჩხეიძე — ეს თემაა დღევანდლობის.

ეს არის თემა:

რღვევა მიწის.

რღვევა ველობის.

სულისა რღვევა

ხორცის რღვევა.

რღვევა ერისა...

რღვევა

ლექსისა

ფუნჯებისა

და სიმღერისა.

ეს არის ჟამი მიცვალების ვასილ ბარნოვის.

ჰკნობისა ჟამი ორბელიანთ ლამაზ ბანოვნის.

ჟამია ენაამოგლეჯილ ისნის ზარების.

სისწლიან ხმლების ნინოს ჯვარზე გადაჯვარების.

ეს არის თემა:

დაქცეული სოფლის მიჯნების,

(ამ თემისათვის გრძელ ეტრატზე დღეს ვიჩიჩქნები.).

ვხატავ ამ თემას სხვა თემებზე აღმოცენებულს.

ვხატავ ავსულა ქარიშხლების როკვას ცერებულს.

როკვას ველურსა.

ურჩხულურსა.

ღევურს.

ვეშაპურს...

ვხატავ გოლოგოთას, ბაბილონის კოშკს და ეშაფოტს.

ყელქცეულიდან ვზომავ მანძილს ტაიგებამდე.

ლამის ნაბდები ჩემ ფერხთა ქვეშ გაიგება და
მივაღწევ თოვლის და სიღების უდაბნოებთან.

მე აღმოვაჩენ

ახალ წარღვნებში ჩამსკდარ სკივრებს ახალ ნოეთა.

მე აღმოვაჩინე უდაბნოთა სულთა ქარავნებს,
 წამებულების აჩრდილებთან მოვიკარავებ-
 შვევებები
 ყელქცეულის ღრუბლებიდან გამოჩხერილ მზეს...
 ეს დღევანდელი თემა არის — ოთარ ჩხეიძე.

2

იბადებოდა ზარატუსტრა ქართულ აზარტში.
 მუხაში ცეცხლი ღვივდებოდა. ქარში ნაზარდში.
 ქართული ხვატით ქობი იყო გაფიცებული.
 არ გაბზარულა სიტყვა. ღვთის წინ დაფიცებული.
 კოტეტიშვილი. „ზამთარიო“. ქექდა, ვახტანგი
 და ხელს აწვდენდა პოეზიის ღვთიურ ტახტამდი.
 ჯავახიშვილი, განდევნილი ერის საყდრიდან.
 წინაპარ გამირთა ხმალზე აყრილ წინჩხლებს გვაყრიდა.
 გუდიაშვილი ქაშუეთის გახდა ხიზანი.
 მიმოიმაღლენ პოეტები ბულბულ-ხმისანი.
 პარკეტს დაასკდა იაშვილის ცხელი ბერდანი.
 გადაღამღამდნენ ბედგამწყრალნი და შავებდანი.
 ყრმა პოეტებთან არაყს სვამდა სამადაშვილი,
 ლექსებად ჰქონდა
 თურმე მასაც დაქინძრული სული დაშლილი.
 სტუდენტურ მერხებს გადააწყდა ჩრდილი ყორნების.
 ზვავებმა დანიქეს სამამულო ლობე-ყორენი.
 საფლავშიც ველარ ჩაატიეს კუბო გლეხისა.
 ფესვი ააქრეს ვაზს ვაზებზე გადაგრეხილსა.
 ლორთქიფანიძე ნიკო. — ჰმუნვის ძრავად გზნებაო. —
 ჩაგვიჩინებდა:
 „საქართველო იყიდებაო“.

იბადებოდა ზარატუსტრა ქართულ აზარტში.
 მუხაში ცეცხლი ღვივდებოდა. ქარში ნაზარდში.

3

სულისა რღვევა, ქართულისა, წინაპრულისა,
 უპირველესად ღვინოს სმა და ჯამა პურისა. —
 მუცლითღორობა, მუცლით ხოხვა და მცოცაობა,
 არა ზეობა, ზე-ზეობა, არა ცაობა,
 ბაზარბაზრობა, ბოზ-ბუზობა, ბზიკობ-ბრაზობა,
 პოკერაობა, ჯოკერობა, ყომარბაზობა.
 და...
 ღვთის გმობა და...
 რწმუნის რღვევა...
 ხორცის ღრეობა...
 არა ზნეობის აღზეობა, ამაღლეობა.
 არა სულისა ღვთაებრივის მზეთა-მზეობა.

არა მიწისა მუშაკობა და მეზვრეობა.
 არამედ სიძვა,
 ლიქნა.
 კუდის მიმოქნეობა.
 ტახტის ყიდვა და ნაყიდ ტახტზე მძლევა-მძლეობა.

 სანამდე ფუნჯი სიტყვის სისხლზე შეზურდებოდა.
 გორის ციხესთან ლიახვს სული ეხუთებოდა.

4

ოთარ ჩხეიძე — ეს თემა დაურღვევლობის,
 გადარჩენილი ბალნარისა, მთის და ველობის.
 „ღმერთო, მამულსო შეეწიე, ნუ დაგვიშლიო...
 გადაგვირჩინე სულით-ხორციით, ჯიშად ჯიშო!“
 ღმერთოო, შენი ჭირიმეო... ღმერთის იმედით, —
 არა პასკალი,
 არც პლატონი,
 არც არქიმედი. —
 არამედ უჩინმაჩინივით დედულ-მამულში
 მოთქვამდა გორში, დიდგორშია და წიწამურში,
 ღმერთოო, თორემ ვილუბებით, გვკვამს დინოზავრი,
 აჰა, რასა ჰგავს რაინდიცა, მანდილოსანიც!
 გვინადგურდება ნაწინდარი და ნამყენიო,
 სხვა გვეუფლებს, სხვა შაჰი და სხვა ყუენიო,
 გვეჭურჩულა და გვეარაკა ქართლის ქარაგმით,
 აქა ლიახვი გვემღვრევაო, იქა — არაგვი,
 სხვა სოდომი გვეჭირს, სხვა გვაქვს ახლა ცეცხლის დეზაო...
 შორით კვლავ ნიკო მკმუნვარდება:
 „საქართველო იყიდებაო“.

იმ ზარზეიმში, ტაშფანდურში და ყრიამულში,
 ჩრდილში გოდებდა ქუდბედანა სინდის-ნამუსის.

5

პე, მუსიკოსო, საქართველო მოიხილეო,
 ხალხის გალობით და ჰანგებით მოგვიღებინეო.
 ვაი, თუ მართლა არეგია ერს ჰარმონიაც?!
 დრომ ხალხი გულში გალობანიც ხომ არ მოლია?!
 წა, მოგვიტანე, სიმღერები გადაგვირჩება,
 თორემ აღრეულ უცხოელთა ყაყანს მირჩება
 გალობა
 ერის,
 ბერის,
 ტაძრის.
 ეკლესიათა...
 შესისხლიანდა მიწა, შეღონ-შეკვნესიანდა.

ვაი. გალობის მოგზაურო, თოფების ქუხილს
 დაუწეწია გალობანიც დილის და მწუხრის.

6

„ჯვარს ეცვას. ჯვარსო! რა მეჩეჩი, რის მეჩეჩიო?!“

„სულო ამალლდი, ამალლება ჯვარზე გერჩიოს“.

„ზარზეიმების ხომალდები დროყამს მიაპობს,
 დიდი ვარსკვლავი არ ჩანს, მაგრამ იქ, შორს კიაფობს.
 სად დაინახა მეჩეჩიო... ჯვარზე გასვითო!“

„რას, რას იპოვით მირაქების გზაზე გასვლითო?!“

ტახტის კაცები:

წინ.

წინ.

წინა.

მხოლოდ წინაო!

მეჩეჩთან ჩვენი მდინარენი რამ გაპყინაო?!

ამ მზის ნაირად სხვა მზე არსად არ წვაეს, არ მზეობს!

ჯვარს ეცვას ეგე!

ჯვარზე.

ჯვარზე.

ჯვარზე.

ჯვარზეო!..

გორის ციხესთან შეეყუდა კედლებს ციხისას,
 ჯვარცმული ეგე გულქართულა მთამ შეიზიზნა.

7

დღევანდლობის თემა არის — მარიამიცა.

უფალო, სული მისი სულის ნექტრით ამიკარ.

დადრეკილია მის ფერხთა ქვეშ დროც და ჟამიცა.
 ჩხეიძეების თემა არის მარიამიცა.

ჯვარცმულის კვართი არ აზიდა მაღლა ამოდ.

სხვა ზარი დაკრა სამრეკლოზე მარიამმაო.

გადაიფარა ღრუბლიანიც, ქარიანი ცაც.

იმავე ჯვარზე აღემართა მარიამიცა.

„დღეაო ღვთისაე, მზეო მარიამ,

როგორც ნაწვიმარ სილაში ვარდი,

ჩემი ცხოვრების გზა სიზმარია

და შორეული ცის სილაყვარდე“.

პოეზიის ცა უმაღლესი, უზადესია.
და მარიამიც ამ ცისა წამს უმზადებს იას...
და იის წყალში ახალშობილ ქართველს ამობანს.
ჯვარცმულის ბედზე ძნელი იყო მარიამობა.
არა რღვევა და
უფლის გმობა.
არა მწირობა.
არამედ უფლის ცალობა და დედაშვილობა.
სანამ ოჯახი ძლიერია, ერიც მძლავრია...
უფლის მტრედები შეაფრინდა მხრებზე მარიამს.
.....
უფალო, სული მისი სულის ნექტრით ამიცარ.
.....
ჩხეიძეების თემა არის მარიამიცა.

8

ჰეი, თევდორე, ვერ ჩერდები მაგ სამკვიდროში...
მოსულხარ აქაც, ჩვენს არეულ გასაკვირ დროშიც.
მოგდგა ლაშქარი ხანძისათვის ახალ მპყრობელთა,
ხალხის ცრემლების ტბასთან დგები ასაშრობელთან.
ხალხისა სისხლის ტბორთან შესდექ გამოდენილთან.
ჯანყია ისევ მონათა და უღვთოდ დევნილთა.
წუხს ჩვენი დროცა ათას ექვსას ცხრა წლისნაირად.
და სულს უბუთავს ერსა და ბერს დამწვრის ჰაერი.
გვეძახი ისევ:

„ყველას არ ძალუძს, რო გაიგოს თქვენი წადილი,
ან ზოგს არ სჯერა, რო სიკეთე თქვენ გამოქმედებთ,
ან არ გენდობათ, არ ენდობა უკვე არავის,
ან თვითონ არის გულბილწი და ფიცის გამტეხი,
სხვისიც არა სწამს, ჰგონია სხვაც ჩემებრიოა...
მე თქვენი მჯერა, თქვენთან არი ჩემი ტაძარი,
გამოიტირეთ გულით წმინდით გამოსატირი...
აწ მოეფერეთ, დაიცავით ნაანდერძვეი
და გადაეციეთ შვილთა თქვენთა, შვილთა მრავალთა,
მხოლოდ სიმრავლე გადაგვარჩენს და ერთპირობა...
მხოლოდ სიმრავლე, ერთპირობა, სხვა არა გვინდა,
რო ჩვენს მიწა-წყალს ჩვენ თვითონვე დავეპატრონოთ“.

9

ვაბტანგ, მივიდეთ ყელქცეულის ბაღვენახებთან,
თბილისში გამწვართლული გული გაგვილადდება.
კიშკარს გააღებს იქ მებაღე, როგორც აღებდა,
იქ თავს შევიცნობთ უფრო ლაღად, უფრო ნაღებდად.
იქ მოვიხილოთ წინაპართა დიდი ლოდებიც,
ჯვარცმულ ძმაკაცზეც ცოტა რამ ვთქვათ, ნუ შევაწუხებთ.
მერე ფატისთან. — ისე, როგორც მუდამ ვგროვდებით. —
ფატმანახათუნებს თურმე, ძილში ვესიზმრეთ წუხელ.

„შე ძველო, — ვუთხრათ. — ვაშლისა და კომშის მკრეჭარს
 არ გაიგონებს სხვანაირად რაც არ ეფერო,
 გაგლეჯილი აქვს მოფერების შეგრძნების ნერვი.
 საქართველოს საფერები ვთქვათ ბევრზე-ბევრი.
 „ლიაბზეც“ ვუთხრათ, მდინარეზეც, აღმანაბზედაც,
 რომლის ფურცლებზე პოეზიის ცეცხლი აღზევდა.
 რკენა და ბრძოლა გაეახსენოთ გამომცემლებთან.
 ღამეს ათევდა რა იმედთან, რა ოცნებებთან?
 ვინ ავალუნდა?!
 ვინ უბრძანა?!
 ვინ აძალებდა?!

აგრემც შეერთდა დიდ წინაპარ წინამძღვარებთან.
 არ შეცდებოდა. მუხის ფრთას თუ მოაზომებდა,
 ახალი დასი

წინ გაიძლოა პოეტთა და მოაზროვნეთა.
 ეს გავუხსენოთ, ჩემო ვახტანგ, ყელქცეულთანაც,
 თავის მირაყებს, — კვლავ თქვენთანო, — დღეს შეუთვალა,
 იქ დაველოცოთ წინააპართა დიდი ლოდები,
 სხვას ნურას ვეტყვიოთ. მოფერებით ნუ შევაწუხებთ.
 მერე ფატისტან, — ისე, როგორც მუდამ ვგროვდებით,
 ფატმანხათუნებს თურქე ძილში ვესიზმრეთ წუბელ.

10

და იწურება...

აწრიალდა წუთისოფელი...

გაცეკვრით მინდვრებს აწლა ყვითლად მიფენ-მოფენილს,
 წუთისოფელი...

წუთისოფელი...

წუთისოფელი...

ქართულ გენიას გაუმარჯოს.

კაცის ცხოვრებას —

მოკლე-მოკლესაც,

ვრძელზე გრძელსაც,

მოწამებრივსაც,

გალაღებულსაც,

ფარ-ხმლიანსაც,

გაძალღებულსაც

თავისუფალსაც.

მონურსაცა...

და მიწიერსა

წუთისოფელი რო შეარქვა...

წუთისოფელი...

„წუთისოფელი რა არი

ავორებული ქვა არი.

საცა კი დავიბადებით.

იქვე საფლავი მზა არი“.

ქართული სიტყვის გენიაა ამოხეტქილი



ამ სტრიქონებში...

გვამცნობს ეამთა საათის ზრიალს.

ეს გურგურია ამირანის, ჯარჯის, ბუტყილის.

ქართული სისხლის საჩქეფი და სადინარია.

წუთისოფელი აწიოცდა და აწრილდა.

პა. ფეხშიშველა ბალახებთან მიდი ცვრიანთან.

გესმის.

მამულის მიწა იძრა, ეამი ძაგდაგენს.

ახურებულა ერი. ბერი ჯარად, ცალცალკე.

წუთისოფელი აწრილდა და აქოტქოტდა.

ამ წუთისოფლის კირვარამი ზო შენც მოგქონდა?!

მერე რაა, რომ იწურება?! მიწურვილა

ეამი კაცთა და მამულისა ეამი რვალია.

გამოდი. გამო მღვრიე-მღვრიე მირაფებიდან.

ქროლვას და ბრძოლას აგრძელებენ იმ რაშეებითა.

სამას არაგველს კრწანისში რო დარჩათ უმხედროთ.

ზო იძახოდი, ერის მძალავთ ლიბო უმჩეთო?!

ამზობენ. აჰა!.. —

მერე რაა, რომ მიწურვილა

წუთისოფელი... მუხლში კვლავ ძგერს მიწური ძალა

ძალა მიწური, მამულური. გამძლე-გამძლეთა.

აჰა, წინაპართ საუფლონი და სავანძეთი.

პა, მიწურვილა

წამის.

წამის.

წამი მსწრობელი

მამულისათვის გახარჯული წუთისოფელი.



ფრიდონ ხალვაში

ფხალს ნაფოტი ჩამოჰქონდა

რომანი

ბაკცევა

იმ წელიწადს სექტემბერი თავიდანვე ცივი დაიჭირა. საკვირველი ის იყო, ზედ პირველ სექტემბერზე მისვლამდე სულ დანდაგი პაანაქება იდგა. ყველაფერი სიცხემ დაბუგა. მრეში აღმური ასლიოდა მიწას.

დედაჩემი ძმის დასაფლავების შემდეგ შესამჩნევად შეიცვალა. თვალები სულ ჩაუშავდა, სულ ჩაულამდა. ჩაუცვივდა. დღე-ღამე შავი თავშალი მაგრად ჰქონდა მოხვეული თავკისერზე. ხშირად განცალკავდებოდა, მამაჩემის შიშით სადღაც კუთხეში შეიმალებოდა და იქ ხმადაბლა ტირიდა მწარედ. კვნესით, ვიშვიშით, კვითინით დიასახლისობდა, შინ ცეცხლს აჩაღებდა ბუხარში, კარდლებს რეცხავდა, ჰადს აკრავდა. ახორში ძროხას წველიდა თუ ხელტარს ატრიალებდა. სულ განუწყვეტლივ კვითინებდა. თავისთვის რაღაცას წვით, დაგვით იმეორებდა. სიტყვების გამორჩევა-ამოხსნა შეუძლებელი იყო. მაგრამ ხომ ვიცოდი რა ეწვოდა. ისიც შესამჩნევი იყო. თუ როგორ თანდათან ჰავრით და უკმაყოფილებით ივსებოდა მამაჩემი, გარკვეულ დრომდე ითმინა და უთანაგრძნო დედაჩემს. მაგრამ ბოლოს და ბოლოს დედაჩემის უსაშველო წუწუნი, კვითინი, ცრემლისღვრა მობეჭრდა. ერთხელ, ტახლა-სუფრის დადგმისას, დედაჩემი რომ დამალულად კურცხლებს იმალავდა და თავსწაკოკიდ ლეჩაქს თვალეზზე იფარებდა. მოთმინებაწარომულმა მამამ იქეკა:

— გეუო ამდენი, ქალო! შემარგე ორი დღე სიცოცხლემ! ჩემ სახლში ცრემლივით წუთხე და მწარეა ყველაფერი. ვაი! ტირი, ტირი. ტირი. აღარნა გათავდეს?! მე რას მატირებ მემრე, ჩემი ბრალია თუ?! — ახლოს მივიდა, გაცეცხლებული თვალეზით შეაშტერდა ქალს და კვლავ

დასქეკა. — წითრიე და იქ იტირე. აქ, ჩემს სახლში ნუ მიბედავ ტირილებს. მო, ასე ეს!

სექვეზე დაჯდა. მიბრუნდა. ბუხარში შეაფურთხა. ჰადს უკა მოატება და უტბილო პირში კახანს ლუკმა გაჭირვებით ატრიალა. მერე რაღაცა მოუხერხა. ხის კოვზით ჰამს ცოტა ლობიოც მოფხიკა. ისიც ტუტებით, უგემურად მოხოცა და წამოდგა. თავად მამაჩემიც მიწასავით, ყანა-ბაღჩევივით გამოგვალულ-გამომშრალ-გამომხმარი, გარეთ გავიდა და მოწუენილ ბუნებას შეერია.

მახსოვს, აგვისტოს ბოლო დღეც ძალიან სიცხიანი იყო. თუმცა მე სულ სხვა სიცხე მაშფოთებდა, მეორე დღეს, პირველ სექტემბერს, პირველად სკოლაში უნდა წავსულიყავი. სკოლიდან კი, როგორც მაშინ ჩვენში დადგინდა, მედრესეში უნდა გავვევლო და იქ, მოლასთან გვემეცაღინა. ვხედავდი, მესმოდა, ჩვენს ბალებს მედრესე იმდენად არ იზიდავდა, უფრო სკოლასაკენ მიუჩქაროდათ გულები, მაგრამ ამას აშკარად ვერც კი იტყოდნენ. რადგან ზოგ მორწმუნე მშობელს, შვილის სკოლაში გაშვება ცოდვად მიაჩნდა. გაურების სკოლას ეძახოდნენ სოფლის იმ პატარა ფიცრულს. ზაფხულში საუდრის გადმოდმა, ფერდობზე რომ ააგეს და ახლა პირველად შეადებენ კარს.

ერთი კვირის წინ ახალი მასწავლებელი მოვიდა. ახლა უკვე მამაკაცი, დათიკოს ეძახოდნენ, „გებრა“ (კოზირიანი ქული) ეზურა. გებრას კოზირი, წინ გაშვერილი ბზეკია იმიტომ გაუკეთესო. იტყოდნენ ჩვენი მოხუცები, კაცმა მაღლა, ცისკენ, ღმერთისკენ რომ არ აიხედოსო. ამიტომაც გებრას მხოლოდ ღმერთის ურწმუნო იხურავსო.

ზოგიერთი ჩვენი სოფელი ბიჭი ხიდზე ჩავიდა. სოფლსაბჭოსთან, ბათუმის შარაგზაზე რომ დახვედროდა ახალჩამოსულ მასწავლებელს

და აღმართში ბარგის ამოტანაში მიხმარებოდა. მუ დავიჩნახე. როგორ გაიპარა მურთაზიც. წაღ-
ლი გამოირკო ხვანჭარში და ნენეს დაუბარა.
ტყეში კვენდლებზე (წნელეში) მივალო. სინამ-
დვილესი. წაღლი დაღლა. ფიკვებთან. ქურცებ-
ში დამალა და ისე ტყე-ტყე სირბილით შარა-
გზაზე ჩავარდა. რაღაც უცნაურად გადარეული
და აღუღვებელი შეჩვენებოდა იმ დღეებში მუ-
რთაზი, ლოკებზე, ნიკაპზე და წაწილღებულ
ცხვირქვეშ ზედა ტუჩის მინდორზე ახალი, მე-
ჩხერი. ღბილი წვერი ამოსვლოდა. იმ დილაზე
კი, სოფელში ვიდაცასთან ის წვერი გააპარსვი-
ნა ოღონდ ზედა ტუჩზე უღვაში გამოიშენა.
თუმცა, უნდა ითქვას. ჩერ უღვაში არ უჩანდა,
არ ემჩნეოდა. მაგრამ ოდნავ მურწასმულივით,
მოშავო ლაქად მაინც ეტუბოდა. ეს უკვე მი-
სი დაკაცების ნიშანი იყო.

იღვანე ბავშვები თურმე მთელი დღე იქ, ხიდ-
თან. შარაზე და ბათუმთან ამომავალ „გურძა-
ვიკებს“ (სატვირთო მანქანები) ხვდებოდნენ.
არცერთზე ჯერჯერობით მასწავლებელი არ
ჩანდა. ბოლოს ერთი ხოლხი ავტომანქანა, რა-
ღაც ტომრებით დაზვინული, შედგა. ძარადან
კაცი გადმოხტა. შოფერს მივარდა. კიოხა, დუ-
ბე ესააო? კიო, უპასუხა შოფერმა. ბავშვები
ახლომოსულს შემოესიენ. მურთაზი განზე იდ-
გა. როცა მოსულმა თქვა, დღებში მასწავლებ-
ლად გამოემგზავნესო. მურთაზის წყენა შევატუ-
ვე. მალე აითესა კიდევ. ისევ ტყე-ტყე, ხოზან-
ხოზან ამოიპარა შინ, წაღლი ქურცებში დავი-
წყნოდა. ბაღენბა თქვეს, ქეთოს არდაბრუნე-
ბა ეწყინა მურთაზასო. ნენეი შეეკითხა, სად
წაიღე წაღლი... ე. მაშინ კი გაიქცა უკან. მთე-
ლი თვე ისე მოწყენილი დაიარებოდა.

პირველი სექტემბერი ქარის ქროლვამ გაათე-
ნა... ნახიცხარი სხები აღიდებულ მღინარე-
სავით აგრიალდნენ, შეგონა, ქვეყანას ლანქრ-
ბმა გადაუარეს-მეთქი, პირამომშრალი, გადაუ-
გულ-გადაფშეკილი უანა-ბაღჩები და კაპანი ტი-
ალები ქარმა უცებ ამტკერა, ააბულა და ცაში
ასროლილ კორიანტელში ჩაღის ფოთლები, ბზე,
კუწუწო, ნეღლი ფვროებიც კი ერთიმეორეს
ეხვეოდნენ, დაფრიალობდნენ, თანაც სულ მა-
ღლა-მაღლა მიისწრაფოდნენ. მაგონი ჩვენს მამა-
ლზე ადრე გამომელვია. ფადიმე და ნენეი ძა-
ლიან ეცადნენ, რომ როგორმე სკოლაში კოხ-
ტად გამოწყობილი გავეშვი. ხან მარჯვნივ, ხან
მარცხნივ მატრიალეს. გამოცვეთილი ლაშლის
წინდები დედაჩემს ღამით ამოეცმხა, გაერცხა,
გაგხალისებინა და ფხებზე ამოცმულს ახლა
ქუსლებზე მაწინავდა, უავრის უალიზზე წამო-
ცმა დავიწყნოდა, სველი წინდები ისე დაჯღურ-
კულები, პირდაპირ აივნის ხმელ ქარში გამშრა-
ლიყო და ასე დაგრებილ-დაგვირისტიებული ფე-
ხზე ძლივსძლივობით წამოშეთია. დაწაწავებულ
დავიწროებულ ძველ გალიფზე, საჯღომზე რომ
ორი გამოცვეთილ-გამოქლეკილი ეტყო, დედა-

ჩემს ღამით ორი საკერებელი დაედო... მაგონი
ლიყო. მართლაც, ნაკერი არ ემჩნეოდა. მაგონი
თვით ახლადნაკერები ნაქრები იმ გახუნებულ-
გადახეხილ ტალღებ ისე მკვეთრად გამორჩეუ-
ლიყო. გეგონებოდა, ლობიოს ორი დიდი ფეწ-
რი, მიკვროდა. ეს ცოტა ვიწყინე, მაგრამ ხმა გა-
ვიკმინდე.— შევშინდი, არ თქვან, ამფერითუ
სკოლაში არ წაიყვანები, მოვიცადოთ, როცა
ახალ შარვალს შეგიკერავთ. მაშინ წახვალო.
უმალ გავსწორდი წელში, ოდნავ შებაულებული
მუშტები თვალის უბეებში ამოვისხვი და აჩქა-
რებულმა დედას მივეშველე:

— კაია, ნენი, კაი, რა უშვავს...
— ახლა ზეიდან იმ ბლუზასაც რომ ჩაგაცვამ.
გარედან გულუშვებ და მაგ საკერებლებს დაგი-
ფარავს, შვილო. — დამამშვიდა.

ბლუზა შრობაში ოდნავ კიდევ დამოკლებუ-
ლიყო, როცა ჩამაცვეს და ზედ ვირომ სილამა-
ზისთვის დედაჩემის დაძველებული ჩარბალიც
(წელსაკოჭი) შემომმიკრეს, თლად დამოკლდა.
საქდომის საკერებლამდე ვეღარ ჩაწვდა. ამიტომ
ის ორი, დიდი, ლობიოს ფერისხედა დანაკერე-
ბი, ისევ ისე კარგად ჩანდა. გალიფეს გალიფისა
ალარაფერი ეცხო, იკით-აქეთ გვერდებზე გამ-
ვერილი ფარფლები, რაც ასეთი შარვლის მთა-
ვარი წნო და პეწია, დაჩუტულიყო. დაწირბე-
ლიყო, ფარფლებს ქვემოთ, მუხლისთავებიდან
მოყოლებული კი, დედას გვერდებში გრძელი
ნაწიბურები ჩაეშენებინა, რადგან შარვალი კა-
ნებებში ისე იყო დავიწროებული, წვივებზე არ-
ცკი ჩამომექმებოდა.

ლაშლის წინდებს კი ფადიმეს ნახმარი, შარ-
შანდელი წულეები შეურჩიეს. ქვეშ, ძირები ორ-
ორ ალაგას გამოცვეთილი და გამოხვრეტილიყო,
მაგრამ მამაჩემს საკალამნე ტუავისაგან ტულამა-
საგებლები ისე ზომამზე გამოექრა და შიგ ისე
ჩაეგო, ვერაფერს შეატუბოდი. გულში ცოტა არ
ვკადრულობდი გოგოს წულეებით სკოლაში, მის-
ვლას, თუმცა იმის იმედით მიბუტუავდა, ბავშ-
ვები ამას მაინც ვერ მიხვდებიან-მეთქი.

ჩანთა კი სრულიად ახალი შეკონდა. იგი ჩერ
კიდევ შარშანწინ, ზიქრის შევაკერინე და დე-
დაჩემს ჩავაბარე, რათა სკოვროს შეენახა. მა-
შინ ზიქრის ბოხის საკაბეებს რაც შორხა, პაწ-
პაწა ნაქრები, აი, იმ ნაქურტლებისგან შუათანა
დამ გამომიკერა მშვენიერი ჩანთა. მართალია,
სხვადასხვა ფერის ნაქრებისაგან შედგებოდა, მა-
გრამ მაინც ძალიან მომწონდა, ძალიან მელა-
მაზებოდა. ისე გემოზე გაანაწილა ზიქრის სხვა-
დასხვა ფერის ნაქრები და ისე შეიკერა, გეგო-
ნებოდა, ქსოვილი მთლიანია, ერთია, ოღონდ
ნაირნაირი ფერებითაა მოჩითულიო. წიგნიც ფა-
დიმეს ნახმარი მერგო. სხვა, ახალი არც იშოვე-
ბოდა, არც უცდია მამას ეძებნა, რადგან არც
იცოდა, სად შეიძლებოდა ახალი სახელმძღვანე-
ლო ეპოვნა. ფადიმეს წიგნი თითქმის ახალივით
იყო. მახსოვს ის წიგნი, დაწებებითი სკოლების

ქართული სახელმწიფოებრივი. ჩვენთვის, აჭარელი სპეციფიკაციის, ცალკე შეედგინათ. შიგ ჩახატულ ზიგებს და გოგონებსაც, კაცებსაც და ქალებსაც მუსლიმანური სახელები ერქვათ. ქემალი, ჩეგები, უდირი, მერქანი, აიშე ასიე, ფატუშე, მერქანი და სხვა. ზოლო ღორს, ღვინოს, გნბრას, ჭვარს და სხვა ამისთანა საგაურო რამეებს აჭაურებისთვის გამოცემულ ქართულ წიგნში ვერხად ნახავდი.

ჭვარი პირველად ქეთო მასწავლებლის უელზე დავინახე, სერიი ის იყო, რომ ვერცხლის ხორბში ძეწყვზე გამოკიდებული ციქნა, ციციმა ჭვარი, ქეთო რომ უელზე ჩამოკიდებულა დაატარებდა, აქ, სოფელ დუბენში ეშოვნა, სახელდობრ ვინგან იყიდა, ეს არავინ იცოდა, ვერც ვერავინ ვარკვია. ისე კი, როგორც გვიან გავიგე, აჭარაში, ზემოთის სოფლებში ახლაც ხლომად იპოვნება უძველესი ვერცხლის ქართული, კრისტაინული ნაქეთობანი, სიმაკულენიცი და საოჯახო ჭურჭლად სახმარი ნივთებიც.

საოცარია, გამუსლიმანებულმა ჩვენებურმა რომ ჭვარი მაინც ვერ დავიწეა, ხეს ზეწავს, ძაფით ქსოვს თუ კადს აკრავს, ყოველთვის ნახატ-ნახაზებში, სტიქიურად ჩახლართულ ფიგურებში, შემაჯამებელი, გამაერთიანებელი ცენტრალური მაინც ჭვარია.

იმ პირველ დილას, სკოლაში ფადიმე წამუვაგზა პერეის მხრიდან იყო, აღიოდა საუდარგორსზე, იქ, კორტოხაზე, კობტად იღვა პატარა, ორთახიანი, ყავრიოთ გადახურული ჩენი ახალი სკოლა, როცა მივუახლოვდით, მომეჩვენა, სახლი ქანობდა, ეზო ბაღნებით მოფენილიყო, ყრამული და უვირილ-ჭყინი იჭაურობს ანგრედა თითქოს, შედეკლასელები, უფრო გაჩვეულები და, რა თქმა უნდა, უფრო გაბედულებიც, უფრო არხენად და ბატონაკურად იქცეოდნენ, ისინი აჭაურობს სრულფლებიანად დაპატრონებოდნენ. ახალმოსულები კი, თანმოყოლილი უფროსების თანხლებით, ჭერ ეზოშიც ვერ შესულიყვნენ და, აგერ, ახალგაბთრილი გზის დაუტკეპინელ, ნედლი, აფუებულ გორბეში იღგენ და თვალებით მასწავლებელს ემებდნენ ამ დროს, თავმჯდომარე, ქემალ ბიძია, გამოჩნდა. გარღვია მოთამაშე ბავშვების ჭგრო და სკოლის აივანზე ააბიჯა, იქ დათიკო მასწავლებელიც შემოხვდა, ეზო მიჩუმიდა, თავმჯდომარემ რაღაც მკითხა, მასწავლებელმა თავი დაუქნია და თვალი ეზოს მოავლო, შეგონა მე და ფადიმესაც შეგვხვდა, ხელიც გამოიშვირა ჩემსკენ და გული შემოჩქროდა. ვიდაცამ, მეწინავემ ხელი დაიქნია და ჩენი ახალმოსულების კოლონა, მშობლებზე და უფროს დამებზე იღებჩაკოკილები, ნელ-ნელა დავიძარით. მასწავლებელი და თავმჯდომარე რატომღაც იციონოდნენ. ამან კი მე შალთან გამახალისა, და რწმენა შემმატა, ფადიმე რომ დამტოვებდა, მარტო აღარ შემეშინებოდა. მაგრამ რამდენიც მიუა-

ხლოვდით, ფადიმე სვლას ანუღებუკებერკის უფრო და უფრო იხვევდა, რსახე უცხო მამაკაცისთვის არ ეჩვენებინა, ეი, შენ ვინ დაგავალი უცხოს დაგრიდო, შევეუვირე, კახაში ხელი წამოიკავა, შენ ამას არავინ გკობხავსო. თერთმეტი წლისა ფადიმე უკვე ქალობდა, დათიკო მასწავლებელს შორიდან პირახვეულმა უკარნახა და ჩააწერინა ჩემი სახელი-გვარი. მერე თვალთავან გამოქრა, გრძელ ვიწრო „ბალკონს“ შუაზე მხოლოდ ერთადერთი ორსაფეხურიანი საცალფეხო კიბე ჰქონდა, რიგი დიდხანს არ მომიწევდა, ამიტომ ვავნებოვრდი, ეზოდან პირდაპირ „ბალკონზე“ ავაბიჭვადლაც დაბლა ჩემმა გალიფემ უხინდისოდ გაიარაწუნა. უშაღვე საქლომზე მოვისინჯე, მაგრამ, მაღლობა იღბალს, იჭაურობასაღლაში დამხვდა გაფხრწილი, შევატყევე, უფრო ქვეშ იყო, ამას კი აღარ ვჩიოდი, დათიკო მასწავლებელმა შემომხვდა, კეთილად გამიღიმა, მკონი, ჩემი გალიფეს ლალატს მიხვდა და იმ ერთი დიმილით ვითომ მითანგარსხო, თან ჩიბიდან პატარა ევეანი ამოიღო, უწნით მაღლა შემართა და ააწკრიოდა, ეს ევეანი მეცხო, ეტუობოდა, ვიდაცამ შინიდან მოიტანა, ზიანქარ თხას რომ მკიდებდნენ კისებზე, სწორედ ისეთი ევეანი იყო, მერე გავიგეთ, — ევეანი სკოლის დარაჯს მოეტანა.

ორ ოთახში ოთხი კლასი მოეწყო, ერთში — პირველი და მესამე, მეორეში — მეორე და მეოთხე, ორივე ოთახში, ჭერჭერობით, ერთდროულად ერთი მასწავლებელი, მხოლოდ დათიკო, ასწავლიდა, ჭერ ჩვენთან იყო, მერე — იქით, როგორც კი იმითან გადავიდოდა, ჩენი ოთახი აფრჩხუღებოდა. მე საწულადა, მორჩილად ვიქეცი, მაგრამ ვინ გაყლიდა, — ვიდაცა წამკრავდა თავზე, ან წკიპურტს უფრზე შემომკრავდა, მაინც უველაფერს ვიტანდი, პასუხს არ ვცემდი, მაგრამ ისეთი იღბალი მქონდა, — სხვა ისმარებდა, იეშმაკებდა, მასწავლებელი ვერ შენიშნავდა, მე ოდნავ ხმას გავიღებდი, ჩემსას გაიგონებდა მაინცდაპაინც, ოდნავ ხელს ვავანძრევი, ჩემსას დიანახავდა აუცილებლად. ამიტომ ვასუსული ვიქეცი და აქეთ-იქიდან, ვისაც როგორ მოვხალისებოდა, მიცაცუნ-მიშაპუნობდნენ, ერთხელ, აფლიკინებული რომ შემნიშნა, დათიკო მასწავლებელი თავს წამომადგა, რა გინდა, ვინმემ ხომ არ გაგლაბოა, მკითხა, მო-შეთქი, ვუთხარი მზაგადუდულად და იდავეი მოვიქნიე უკანა, მეზობელი მერხის მისამართით და ტირილი გულიდან ამოსკდა, ამაზე მთელი კლასი ახვიზინდა, დამკინეს, შემარწმუნეს, ეს კარგად მიხვდით, მაგრამ რა მქნა, — ნამეტანი დაჩაგრულად ვთვლიდი თავს და გული მტკიოდა, ვეღარ ვითმენდი, თუშეა მთელმა კლასმა რომ სიცილი დამაუარა, ავიღენე, — ეს უკვე აღარ ვიკადრე, ძალა მოვიკრიბე, ვავმაგრდი დათიკო მასწავლებელი ჩემს უკან მსხდომ

მეზობლებს გაუჩავრდა. ისინი დატუქა, ბოლო, როგორც კი თავად გვერდზე გადაბა, უკრზე ახალი წიკპურტები დამოინენს. ეს იმდენად არაფერი. — შესვენებაზე, ეკოში დამესიენ და სულ „შაიონი“ მიძახებს. მაგრამ დღეები დღეებს მიჰყუა და მეც ნელ-ნელა ვითარებას შევეჩვიე. ცემა-ტყეპასაც ეჩვევა ადამიანი თურმე.

ერთ დღეს ვთქვი, მოდი ახლა ცოტას მეც გავინძრევი და ვილაცას მეც ვაგვრძობინებ, რომ ჰკვდარი არც მე ვარაჟმთქი. შესვენებაზე ვილაცა რომ დამეჭახა, მეც დავეჭახე, დავეჭახე და მივაყუდე ღობეზე. ღობე ახალგაუდებული იყო. ფაშვალი დაიწყო და იმ ჩვენს კიდაობაში კიდევ წაიქცა. წაქცეულ ღობეზე ჩემთან მობურძღლავე ბიჭი დაეცა. იმას იუნუსი ერქვა და, ვიცანი, ყედიჩი ეფენდის ბაღში იყო. უცებ აყვირდა, ატირდა, აკოვლდა. მთელი სკოლის ბაღან-ბულანა იქ შეიყარა.

იუნუსა, საჯლომით დაცემული, ღობის ლურსხანზე წამოკრულიყო ალბათ. — სინხლი ჩახლიოდა შარვლის ტოტებში და ქალამანზეც წითელი წვეთები ეტყობოდა.

— დანა, მასტ, დანა! შუკრიმ ბაიბუთი ჩაართვა იუნუსას, მასტ. — მიაყარეს დათიკო მასწავლებელს. იუნუსა წამოაყენეს, ნაკაწრი შეუშრალეს. ვილაცა ციკამ ლეჩაქის ნახევი მოაფრიალა. ნატკენი შეუხვიეს. შემეშინდა. გავედი იქით და ტიალში ხელეხდაშეხებული გავჩერდი. მთელი ხალხი ჭავრით და გაოცებით შემომტკეპროდა. მაგას იმისთანა მონადირე ბაბაი ყვავს, უბებულოდ შეკლაში არ მოვიდოდნენ, ყველას გასაგონად ხმამაღლა ამოიძახა ვილაცამ. ვთქვი, მოეწყულები ახლა ადგილს და გავკრები აქედან-მეთქი, მაგრამ ვითომ ფეხებზე ლურსხნები ჩამაქედეს, ისე დავიკერე დედამიწას. დათიკო მასწავლებელი ნელა, თვალების ფახურით მომიახლოვდა. არ ვიცო, ეშინოდა ჩემი თუ ასეთი გაჭავრება ჩვეოდა. მომდგა, ამხედ-დამხედა, ამთვლიერ-ჩამათვლიერა. ხმელ-ხმელ წვივებიდან დაწყებული გარუჭულ-გაწვრილებულ კისრამდე თითები მომიჩქნა, მომინჯა, გამჩხრიკა, რაღაცას ეძებდა, მაგრამ რას იპოვიდა, რა ჰქონდა, რა გამაჩნდა. მაინც, შინ ჩემს დაბრუნებაზე, მამაჩემს ამბავი მიუვიდა, შენმა ბიჭმა მოლა ყედიჩის ბაღის ბებუთაი დაარტყაო. ბაბამ, ეტყობა წამში განსაზღვრა ყველაფერი ტყვილი იქნებო. ბებუთი თავად მახაც კი არ ჰქონდა, მე საიდან გამაჩნდებოდა. მას ბებუთი არ უყვარდა, მისი მართო წვერი ვარგა, პირით, ტარით დანად არ მოინმარებო. იგი სხვა, ფართოპირა მუშა დანას ატარებდა მუღამ. ძვლის გლუვად მოხვეწილი მსხვილი ტარი ჰქონდა, კარგად გალესილი იყო და საგანგებოდ შეეკრიბო ქარქაში ესვენა. იმ დანასაც მამა გვიძალავდა, არხად წაიღონ, ბავშვებთან არ ითამაშონ, ფათე-რას არაფერს გადაეყარონო. ჰოდა, როცა თურქე უხბრეს, შენმა ბლუშტმა ბებუთაი დაარ-

ტყა ყედიჩას ბაღისო, თავად უბასუნია, ყედიჩასთვის ედგუა ნეტაიო. ერთი სიტყვით, ახალი თუ ისე, ერთხელ გავბედე ზერიანად წამეთამაშა და ეგეც არ შემერგო. მოლა ყედიჩას ბაღში, იუნუსი, ორ-სამ დღეს კლასში აღარ მოსულა. დაკრილიაო, იძახოდნენ ბიჭები. ერთ-მა-ორმა კიდევ სილა შემომკრა, ვითომ ძმაცაცის გამო სისხლის ასადებოდ. მე კი, ჩვეულებრივად, ასახუი არ გამიცია, ბოლოს, როგორც იქნა, გამოჩნდა იუნუსი. დავინახე და დავერიდე. გვერდი ამიარა, თავისი ადგილი მონახა უკანა მერხზე და, რაღაცნაირი, დამშვიდებული, განაწყენებული, მისუსტებული, როგორც დიდი ხნის ნაავადმყოფარი, უსიტყვოდ დაქდა. ასე მეშინ არ შემბრალდება იუნუსაი, სისხლი რომ წასკდა. — ავდეკი და მასწავლებლის შემოსვლამდე მე თვითონ მივედი ბიჭთან, მან ღობეიერი, შემრიგებლური თვალებით შემომხედა.

— შენ რაი, ბებუთი დამარტყი და ქიბრობ?! — ისე ხმამაღლა თქვა. ყველას გასაგონად. — შენ რაფერ დამარტყამდი ბებუთს, მე თვითონ წიქვეცი და ლურსმანს წამოვკარი მენჭი, თვარა შენ რას მომერევოდი.

— ჰო, იუნუსავ, მეც ეგ ვთქვი, მარა... — ჩავილულულე თანხმობის ნიშნად.

კაი ბიჭი იყო იუნუსაი, იეშმაკა, რა თქმა უნდა, არ იკადრა ვილაცისაგან გაღაზვა, ყოველივე ეჭვები რომ გაფანტა, სკოლაში იმხანად მე დამიახლოვდა, დამიმგობრდა, მომეკრა, აღარ მცილდებოდა. მაშინ კი, მართლაც, ყველამ დაიჭერა, რომ მე ბებუთი არ მიხბარია.

გაკვეთილების შემდეგ, ყოველდღე, მედრეხეში ჩავდიოდით. — ერთი-ორი საათი იქ მუხლზე დაშვებულნი ვისხედით და ყველანი ერთად ვიმეორებდით ზოგის წარმოთქმულ ლოცვისთავებს არაბულად. ეს ძალიან ძნელი და გაუგებარი იყო. „ელოლოჰუ-ეჩბერ... ინენ ქელმ-შინუნ“... ან „ელოლოჰუ მესხველი-ლეღლა მუჰამმედ... ვეღლა-ალი-მუჰამმედ...“ და სხვა.

გამოთქმით, როგორც ახლა ვხვდები, არაბულ სიტყვებს ჩვენ, ბაღნები კი არა, თვითონ მოლა ცნორად ვერ გამოთქვამდა.

მაგრამ მოლა ყედიჩი თავში, ბუხართან იჭდა, გრძელი თხლის წიკპლა ხელში ეჭირა და ვინც მისი ზართი კარგად ვერ გამოთქვამდა, ან გუნდურ ამოძიხლში თავის ხმას დამალავდა, ისე იგი, მოიტყუებოდა (პირს დაადებდა, ხმას არ ამოუშვებდა), იმას თავზე ან პირდაპირ სახეში მოხვდებოდა. ზოგიერთი, ვისაც ლოცვისთავიდან ცალკეული სიტყვის სწორად წარმოთქვა-დამახსოვრება უჭირდა, ჩუმჩუმად რვეულში ქართული ანბანით ჩაიწერდა, რომ მერე, შინ მშვიდად ევარჯიშა. მაგრამ თუკი ამას ხოცა შენიშნავდა, დასჯა უფრო განსაკუთრებული და მრავალფეროვანი ხდებოდა.

ქართული ანბანით მუსლიმანური ხალოცავი სიტყვის დაწერა დიდ ცოდვად ითვლებოდა. ამი-

ტომ იყო, რომ მედრესეში მისულები სკოლის წიგნებს ფეხსაცმელთან ერთად გარეთ ვტოვებდით. ყველაზე მეტად საქმეს მაინც შიმშილი გვიკვირებდა. აღრე დილაზე ხეშმაღ ვახშმის ნარჩენი, ხმელი ჭადის ნატების შეკმას თუ მოვაწერებდი. ნატებ ჰადს ხანდახან ჩლეჩილა ყველის ნაფცქვენიც ახლდა, ზოგჯერ — ყურუთი. ხშირად კი ის ნატები ჭადი დერგულაში გამოღეული ყველის ნარჩენ მწათხში ამოივლებოდა. ასეთი ხეშით სანამდე გაძლებდი? სასკოლო გაკვეთილების გათავებამდე როგორმე კი მივალწევდით, მაგრამ მერე უკვე შიმშილი ისე მომეკიდებოდა, სკოლიდან მედრესესკენ მიმავალი ბილიყის გარდიგარდმო, დარებზე კუქუქმთავეებს და ბურწუმელებს (ეკალა) წვერებს წავაწყვეტდი და პირში ვიგოზავდი, რომ ცოტათი მაინც სული ჩამებრუნებინა.

ამდენ გახსენებაში ის ერთი დღე მაინც ძალიან მაგრად, გამორჩეულად მახსენდება.

დილით სკოლაში ვიწრო აივანზე რომ ავაბრაახუნეთ ფეხები, უცებ გადავირიე, — შიგნიდან ქეთო მასწავლებელმა გამოიხედა. აბა, ნუ ხმაურობთ, ბავშვებო. — მგონი ერთგვარი მოფერებით გვითხრა. არა, საკლასო ოთახში კი არ იყო, სკოლის სახლზე ჩიტის ბუდესავით, გვერდიდან მიშენებულ პატარა ოთახიდან იუშრებოდა ქეთო მასწავლებელი. მგონი მასაც მოვინატრებოდით, ისე ალერსით გვათვალიერებდა ბავშვებს, მასწავლებლისა თითქოს აღარაფერი ეცხო, რაღაც სხვანაირად მოშინაურებული და გაუბრალოებული მეჩვენა. მასწავლებელი ხომ უცხოა, სხვაა, უცნობია. მისი უნდა გეშინოდეს, გერიდებოდეს. იმან ყველაფერი იცის, იგი არც ჭამს, არც ფეხისალაგაში დადის, ეს კი, ქეთო მასწავლებელი, ჩემ ნენესავით და ჩემ ემსილესავით, მკლავებდაკოტავებული, რატომღაც შუბლზე პატარა ოფლის მარცვლებით, ღვას ბელურას ბუჭერივით ნახვევი თმით და ვადმოგვცქერის. მომეჩვენა, თითქოს ფერშეცვლილი იყო, რძესავით მკრთალი სახე დალილი და უზალისო ჩანდა, ხმაც აღარ მეცნო. მაშინ, ჩემს მოწაფეობამდე, ქეთო უფროა სხვანაირი იყო, ახლა — სხვანაირია, მაგრამ ქეთო ქეთოა, ვოქვი ჩემთვის. ჩემს კლასში იქნება ნეტავი? მინდა კი იყოს! მოფერება იცოდა, მახსოვს. ქეთო მასწავლებელი გათხოვილაო, მიჩურჩულა ვილაცამ. ქმარი თურმე ზროხის ექიმიაო, ჩაიხვივინა მეორემ. რას ხვიხვივინებს, ვითომ რაო, ზროხის ექიმობა რა მაგათი ქირდად ასაღებია? — გავიფიქრე წამით. ქირდად თავი აიღონ. — მივაყოლე ზედ. მარა, უცებ ჩემი მურთაზაი წარმომიდგა თვალწინ. რატომღაც შემეცოდა ჩემი ძმა და ის ვილაც ზროხის ექიმი მეც შემზარდა.

გაკვეთილი დაიწყო თუ არა, ჩემს კლასში ქეთო მასწავლებელი შემოვიდა. იქ, მაგიდაზე, ცარცის ნატებებსა და უჟალმისწვერებოდ მიყრილ კალმისტრებსა და წვერწაჭეკვილ ფანქრების

გვერდით, კრუხივით ჩაჩოქილ-ჩაჩოქილ იდო ქეთამივით მრეში და მოთქმულად მოხსენიებული ქული, დათიკო მასწავლებლის გებრა-ქული. იგი რამდენიმე დღეა მაგიდაზე დევს. ბევრჯერ მოვიწადინე შესვენებისას ერთი წუთით თავზე დამეხურა, მაგრამ ვერ გავებედე.

ქეთო მასწავლებელმა, სალაში ბავშვებოო, გვითხრა და გაგვიღიმა. ღიმილი იგივე ჰქონდა, — ჩემი ნაცნობი, შეუცვლელი. თბილი. მე კარგად მცნო, გვახსენდი, მერხთან ჩავლისას თავზე დამადო ხელი. მოსარსული ბალანი ჭაგარივით მაგარი, დახოშრებული უკვე კარგად ამომყროდა ხაპერზე და ქეთო მასწავლებელმა თავისი ხელის გული ერთხანს იფხანა ჩემს ჭაგარზე.

დათიკოს მოცემული გაკვეთილი გამოგვიკითხა, მერე მესამეკლასელებს მიუბრუნდა, მერე ისევ ჩვენ. დასასრულ გადახაწერი მოგვინიშნა. ძალიან ვეცადე. კარგად დამეწერა და ქეთოსთვის დამენახებინა, თუ სკოლაში ჩემი პირველი მიუვანიდან დღემდე როგორ გავიუმჯობესე ხელი. დარწმუნებული ვიყავი. ეს ქეთო მასწავლებელს ახსოვდა. შესვენებამდე გადაწერა ვერ მოვასწარი, ყველანი გარეთ გაგრიალდნენ, მე კი ისევ მერხზე დავჩაჩი. ქეთო მეზობელ კლასში გადავიდა დათიკო მასწავლებელთან. მართო რომ დავჩაჩი. თვალი ისევ იმ კოწირიან ქულისკენ გამექცა. ვეღარ მოვითმინე, მივედი, ავიღე და თავზე დავიდე. ტანში საშინლად დამეკინჭრა, ხელი წინ გაშვერილ კოწირზე მოვისვი და ტანში ისევ დამეკინჭრა. დანახვისაც შემეშინდა და ცოლდისაც. გებრა, გაიურის გებრა დავიხურე! მოვიძრე და ისევ თავის ალაგას დავდევი, მერხს მივუტევი, წერა ფრთხილად, გულმოდგინედ განვაგრძე. კარის ღრიტოში მასწავლებლების ხმა შემოდოდა. მაშინ ვერას მივხვდი.

— თათრები ყოფილან... ჩამესმა კაცის ნათქვამი.

— ვინა? ესენი? როგორ გითხრა... — შეტკეპნა ქალი.

— საცოდაობაცა და საშინელებაც. იქ, ვისთანაც ვარ, კაცი თუ შინ არაა, ქალი ჩემთან ვერ შემოდის. ვახშამს ტაბლაზე დაწყოილს ქალი კართან მოიტანს, დადგამს და თავად გაჭრება. ხმას ვავიგონებ, მივალ, ავწევ, ჩემს ოთახში შევიტან. წყალი მინდა, მაგალითად, ხომ? კაცი თუ შინ არ მეგულება, ვერ ვეძახი. არა, აქანა სხვაი ქვეყანა ყოფილა. თათრები, თათრები ყოფილან.

— პირველ ხანებში მეც ასე მეგონა, მაგრამ... იცით, ერთმა აქაურმა რა მითხრა? თქვენი, დანარჩენი საქართველოს შვილებს ბრალაა, ჩვენ რომ ამ დღეში ვართო. რატომ გვონიათ ასე-მეთქი, ვკითხე. როცხა დაგვიყურეს, როცხა გვიპირდა, სხვა კუთხეებმა ვერ შეძელით გამოგესენითო. იმის მაგიერ, მტერს დაჭახებოდით, ერთმანეთს ეჩხუბებოდითო. ჩვენ კი ჩავრჩით დუ-



შინის ხელში. მარტაი რანდა გვექნა. ისე გულამომქარი მელაარაკებოდა, ცრემლი მომავა და, მართლაც, თავი დამნაშავე მეგონა. — ქეთო გაჩერდა.

— ჩვენ რა შუაში ვართ? ისტორია ისტორიაა, თვითონ რატომ დამორჩილდნენ? არ უნდა დანებებოდნენ. — დაასვენა დათიკო მასწავლებელმა.

— მაშინ აღარც ის იქნებოდნენ, რანიც არიან. — მგონი ნადვლიანად უპასუხა ქეთო მასწავლებელმა. — მართალი გითხრა, ამნაირ ქართულ სიტუვას, აქ რომ შენახული, არ ველოდი. აკვირდებით? მე მგონია ესაა მთავარი.

— სიტუვამ თითონ გადირჩინა თავი, თვარა ესენი...

— ცოდვას ბრძანებთ, — შეაჩერა ქეთომ. — იცით, ზოგი ჰირი მარგებელიაო, მითხრა იმ აქაურმა. ჩადრმა ქალი შინ დააბა, ჩაქეტა, მაგრამ ამ ჩაქეტილობამ მშობელ ენსთან ერთად ამყოფა. ენა ქალმა, დედამ გადაგვირჩინაო. ეს მართლაც აშკარაა.

დავალბა დავწერ და გარეთ გავვარდი. ერთი გაკვეთილის შემდეგ კი მედრესესკენ დავმშვიტ. ისე მშობდა, ღობის იქით ათქვირებული ეკლას ლორთქო წვერების მოწვევტა და ჩახრამუნება მიხდოდა, მაგრამ ბაღნებისა შემრცხვა. ზოგს ჩანთაში ქაღის თითო ქერეჭი ჩაქეჭკა. ამრობდნენ და აქნატუნებდნენ.

ბოჯა რიბლესთან (ქითაბის გასაზღვლი დგამი) მორთხმით იქდა. თავზე ჩალმის მაგიერ თერთი კაბალაში წაქერა. ტიალ ოთახში არავითარი საჭდომი არ იყო. ფეხსაცმელები, წიგნები კარებთან, კედლის ძირას დავაწვევთ. თავზე კი უველამ რალაცა წავიკარით და შიგ შევიკრიბენით, ხმელ ძელებზე დავიშუბლეთ და ეფენდის შეუაცქერდით. სკოლის მერე მედრესე ერთი სამუაროდან მეორე სამუაროში გადასვლას გავდა. გრძელი და მოკლე წიქელები, გარგანები იქვე, ბოჯის გვერდით ძირს ეწყო. საქირო დროს ხელს გაიწვლიდა, რომელიც სჭირდებოდა, აიღებდა, რომ დამნაშავე დაესაჯა. ბოჯის დანარტუამზე ქემენები (ჩოქოხეთი) არ წვახვო, იტყოდნენ.

ჩემი ჩანგურის მტერი, უედერ ეფენდი, იქდა სათავეზე და მოწურული, შფოთიანი, უქმაყოფილო თვალებით, ერთგვარი ზოზლითაც კი, გვიუბრებდა. სკოლაში ნამყოფები უკვე დასწრილებად, ცოდვიანებად, მივაჩნდიო და ვეწიწვლებოდით. ამას ჩემი ბაღნური ჰქვიოთაც კარგად ვხვდებოდით.

მურთაზამ და მე ჩანგური ბევრნაირად ვბლიბეთ, ვაწვალეთ, მაგრამ ნაფოტებისაგან ხელმეორედ ვედარ შევკარით. ახლა კი ეს უედერ ეფენდი ზის აგერ უცოდველივით, წმინდანივით, მადლისმთესველივით და ჩავრიანი, მწყნერი თვალებით თვითოეულს გვაკვირდებოდა. თვალებით ჩვენს თვალბეში ეძებს, თურა ცვლილებას მოახდინა ჩვენს გამოხედვასი სკოლაში. ენაზე საჩვენებელი თითი დაიწყო და ქითაბი გა-

დაფურცლა. მერე ისევ იქ მსხდომნი ვადაფუვილიერა. ვინც თავლია იქდა, იმას გრძელ წესლის დაკვრით შეახსენა, რომ დერსის დროს მუსლიმანს თავზე უნდა ეხუროს. ზოგმა ჩიბიდან დაკმუხნილი ხაზოცი დაიდრო და თავზე წაიკოჯა. მე ეგვეც არ მქონდა. სხვა საშველი არ იყო. გავიხადე ბლუზა და თავზე მოვიხვიე. დავრჩი პერანგში. პერანგი ზურგზე ბოლომდე ჩახეული იყო. სახელოები — დაკუუკიანებული და დამოკლებული.

მეორე დერსი შუაზე არ იყო მიუვანილი, როცა ხაიდანაც საქმლის შემაფორიქებელი სუნი მეცა. სანამ მივხვდი, რა ხდებოდა, კარი გაიღო და სინზე დაწყობილი ნაირნაირი საკმელებით კაცი შემოვიდა. მან თავზე გადაგვიტარა ომნივარავარდნილი ცხელი ნაწუქები და ბოჯას წინ დაუდგა. ჩვენებური დიდი ქაღი, ურმიზა სიმიანდის ქაღი, მთვარესავით ჩანდა ტაბლაზე. იქით, ლანგარზე, მოხარულ დედალს ომნივარამოხვეული ბარკლები ზეცისკენ აღმართა. იქვე ეყარა ჩღეჩილა ყველის გრეხილები. პატარა ქეფჩაში მგონი თაფლი ესხა და შარბათით ხავხე ფინჩანიც გვერდით იღგა. ხოჯამ, აბა „ელლომუ-ექსბერი“! ზეპირად იმეორეთო, გვითხრა, ტუჩებზე ჩაწუწული ბაღნები თითებით ამოიკრიფა-გადაივარცხნა და პირის ტლაკუნით და ნერწყვების — ულაკვით საქმეს შეუდგა. ჩერ ის, დიდი, მთვარისნაირი ქაღი გატეხა, ზედ წვარდასმულზე გატეხა. ქაღი როგორც კი გატუდა, ავარდა ცხელი ომნივარი და ორთქლმა ბოჯის სახე თითქოს დაკეცა. მერე პირდაპირ ბარკალს ეძგერა. ბარკალი ქათამს უხმუროდ მოხსნა. პირში გამოივლო და გალოკალი ტიტველი ძვალი იმ წამშივე რიალზე დაარაკუნა. ამით ჩვენც დავგვემუქრა, წუნარად იუავით. მალაცეთო. შეუჩერებლად მოაძრო დედალს მეორე ბარკალიც და ისიც შეუჩერებლად გამოივლო პირში, ხორცი უმაღვე მოაცილა და მეორე ცარიელი ძვალიც ტაბლაზე დაარაკუნა. „ელლომუ-მესხველლა“ ნაძალადევადა, ძლივძლივობით ვლულულულებდით. იმდენი დამშვეული თვლი ერთად, სუფრიდან ბოჯის დაბჩენილი პირისაკენ ზედზედ გამალებით მიმავალ ლუკმებს შეაჭურებდა. ჩემს უან იუნუსი იქდა მუხლებზე. იმას თავი ჩედუნა, თითქოს ბაბუსას გამო რცხვენოდა, ერიდებოდა, მაგრამ ვერაფერს ამბობდა.

ამნაირი სურათის ცქერა საშინელი გასაძლებასატანი იყო. ქათამს ერთი ფრთაბარკალიც ააბლიჩა, იმ დახხრეკილმა ფრთამ ცოტა კი გაუქირა საქმე, მაგრამ ისე მიაბრუნ-მოაბრუნა, შემოუტარა კბილები და ამუშავა თითებიც, რომ ფრთა ხულ მალე ჩხირებად აქცია. ქაღის ისე ტეხდა და ისე ლუკმავდა, გეგონებოდა, ქონიან თითებს იწმენდსო. ხანდახან მეჩხრად გადაფოფინებულ წარბების ქვემოდან კროლა თვალბეს ჩვენსკენ მოატრიალებდა, გადაგვიედავდა, გადაგვაშოწმებდა. მგონი საიმოვნებდა ჩვენი სა-

ეროვნული დემოკრატია

სოწარკვეთილი შტერა, ჩვენი ნერწყვების გულ-
წახული ულაძე და გამოგვალული პირების
შლაქუნა.

ხოვამ მშვიდად და უკვე სულდათქმულად გა-
ნაგრძო დაწეებული. ქადის გული გამოფხვზა
და მწვნიან თასში ჩაფუნჩბა. კოვზით ჩაურ-
ამოურია და კარგა დატვირთული კოვზი პირი-
სკენ გააქაბა. უოველ ლუქმას ჩლეჩილა უველის
ნაბწენზე ახლეჩილ ზოლს მიაყოლებდა. შიგადა-
შიგ შარბათის სლუქვაც დაიწყო.

მე ვედარ გავუმელი უოველივე ამას და სიმ-
წრისგან ცრემლები წამსკდა. თავზე მოკოქილი
ბლუზა მოვიხადე და ამოვიწმინდე. ცხვირის
ხმაურობაც რომ გამოვეცი, ხოვამ ლექვა შეაჩე-
რა, გაჩავრდა, უველანი ბრაზიანად გადაგვათვა-
ლიერა, რა გპირანო, იუვირა, ვიდაცამ, ჩემს გვე-
რდით მუოფმა, მიაგება. — შუქრის შიპო. ზოგმა
ჩაიციხა. ზოგმა ამოიგვერეხა თანაგრძნობით. მე
პირზე მიდებული ბლუზის გაფხრწილ სახელო-
ში ვბედავდი, როგორ სწრაფად ჩაულაპა ხოვამ
ნაბეგრად გაღვირდი ლუქმა და თილის გრძე-
ლი წყეტლას მსხვილ ძირზე წაავლო ხელი. იმ-
სიგრიე იყო ის წყეტლა. ძლივს აზიდა მალდა.
ცალი თვალი დახუჭა. თოფის დამიწნებანავით
დამისწორა, წყეტლა უფრო მალდა აზიდა. და-
ქნია და ზევით. თავის კვინდისზე მლენა. წყე-
ტლა კარგა გრძელი იყო და წვერი ზურგზე გა-
დამარტუა. მაგრამ უკან კიდევ ვილაცას მიწვდა.
ეტუობა. გაფხრწილ პერანგში შიშველ ზურგ-
ზე მომხვდა, რადგან იქაც საშინლად ამეწვა.
რა დამეპართა, რა მოხდა. შემდეგ აღარ მახსოვს.
ვიცი. რომ ილიაში წიგნამოდებული, მეორე
ხელში დაგორგვადებული ბლუზით და ქალამ-
ნით შინისაკენ მივბობდი. თან ხმამალდა ვტი-
როდი. ერთხანს უკნიდან ვილაცის ფეხისხმა მე-
სმოდა. მოვიხედე. იუნუსხა მომდევდა, უედირ
უფენდის ბადში. ვიფიქრე, ჩემ დასაქერად გა-
მომადღენს-მეთქი, მაგრამ მერე, გვიან გავიგე,
რომ ჩემზე გადამარტუამი წყეტლას დიდი წვერი
მასაც ბაქერზე მოხვედრია, წამოვარდნილა, ატი-
რებულია და ისიც შინ გაქცეულა. დედაჩემმა პე-
რანგი ამარო და ზურგზე დამხედა. გრძელი
შეწითლებულ-შეშავებული ზოლი რომ დაინა-
ხა, თავადაც ატირდა.

იმ დღის მერე მედრესეში ფეხი აღარ დამი-
ბიჯებია. სკოლაში იუნუსხა მითხრა, შუქრი,
იცოდე, მედრესეში აღარც მე წაველო. იუნუსხი
უსაზღვროდ წუხდა ბაბუა უედირის უხეშობის
გამო. ერთი წლის შემდეგ მედრესე გაუქმდა.

უჩივანის ბაპიდვა

ამის შემდეგ სამი წელიწადი გავიდა. მეც კაი-
ხელა მოვიყარე.

აბურდულ-აბურდულად ხდებოდა უოველი
მოსახდენი. მე კი არა, მგონი, ვერც დიდებმა
ბევრი ვერაფერი გაუგეს ამ ამბებს.

სკოლიდან რომ დავბრუნდებოდი, მაშინვე
კარგ ხახიათზე თუ იყო. მთავარი კარგად
ავ, რაფერაა თქვენი სტალინიო. მე თავს ჩაველ-
ნავდი. რა უნდა მეთქვა. — რა ვიცოდარ სტა-
ლინი რაფერთა იყო. რად მეკითხებოდა, — ვჩავ-
რობადი.

მამაჩემი სტალინს ჩვენად. ახლებს კაცად
თვლიდა. ერიდებოდა. მგონი კიდევ ეშინოდა,
ბელადზე ჩვენთან რაიმე „გადაბრუნებული“ რომ
წამოცდებოდა. ბაღებს ისე აუვარებენ სტალ-
ნის, პირდამუწული დავდივარ, გლაბა აფერი
გამომეპაროსო, იჩივლებდა ზოგჯერ დედაჩემთან.
დიახ, პაწა წამოვიზარდე. „ბიკალია“ დამიძა-
ხა. ამიხსნა, შენ ხომ ღუბელები აღიას ბიჭს გე-
ძახიანო, მოდა მეც ბიჭ-აღიას დაგიძახებო. ასე
მირჩევნიაო.

მურთაზს შემოდგომაზე ქალი დაუნისნეს. გა-
ზაფხულზე მოუყვანეს. ასეთ დროს არ იცოდა
ჩვენში ქორწილები. მაგრამ მურთაზას ქორწი-
ლი მაისში მოეწყო. მურთაზამ ჩვენი სახლის
მოგძრო დერეფანს ბოლოში. გარედან ლამაფის
პატარა „ბუჭულია“ ოთახი მოადგა, დერეფნის
ბოლო კედლის ძელები გამოხედა და იმ ბუჭუ-
ლიაში გასასვლელი გააკეთა. იმ პატარა ოთახის
კუთხეში ფიცრის საწოლი გაპართა და ზედ
ძველი ხალი გადააფინა. ქორწილზე მეტიბონე
მოიყვანეს. მეტიბონეს მედოლევ მოუყა. დოლი
მედოლემ ეზოში დანთებულ ცეცხლზე აფიცხა
კახიხნა და გადაქიმულ აქა-ტუაუვე უსვა და
უსვა ხაოიანი ხელის გულები.

რამდენსაც აფიცხებდა, იმდენად ხმა ეხვეწე-
ბოდა, გეგონებოდა, დოლიში ხმა შვიფდებოდა,
მკვრივდებოდა. იქედებოდა. შებინდებულზე ვე-
ლადით, მაგრამ მექორწილენი იგვიანებდნენ.
მურთაზი შფოთავდა. ზიდის ღუქანიდან ბოთლი
ღვინო ამოიტანა ვილაცამ. მალე ითქვა. ღვინო
მოლა-უედირას ბადიშმა ამოიტანაო. იუნუსხი სა-
ინდანაც ამოძრა ჩვენთან. ხელი წამავლო და
ტუხისკენ წამიტყუა. იქ, ბუჩქებში. სამი-ოთხი
ბიჭი გველოდა. მე, როგორც ნეფის ძმა, უფრო
პატოვში ვიყავი. იუნუსამ ქურცებიდან (ეკალბა-
რდის ბუჩქებიდან) გამოაძრო თავისი ბოთლი.
ხმაურით ამოაძრო საცობი, შარვლის წიბიდან
ამოიღო ქიქა და ნახევრამდე ჩაასხა. თქვა:

— გავიშარქოს, ქო! — და ტუჩზე მიიღო.
ვილაცამ დაიყვირა

— ებერ, უედირ-ეფენდი მოდის. ე! — იუნუ-
სხა შეხტა. ქიქა და ბოთლი კინაღამ ხელიდან გა-
ავლო. მაგრამ ზუმრობას მალევე მიხვდა. მოწ-
რუბა, მოხვრიბა, თუმცა მალე ხალისი წაუხდა,
შუბლი შექმუნხა. უბა მოედრიცა, მაგრამ მიტო-
ვება არ იკადრა. — სასმელი ბოლომდე დაიყვა-
ნა. მერე ქიქა, მერგო მე. ვთქვი!

— გავიშარქოს, ქო! — და ღვინო მოვსვი. პი-
რველად სიცოცხლესი. რა გავიფიქრე? რა ასმე-
ვენ ამას? მწაქე, მძაგე, მომწარო, მომეჯო სით-
ხე ჩამდინდა უირუტონში და ცხელ-ცხელი თქო-
რები მოახხურა შიგნიულობას. კინაღამ გული



ამერიკა. მაგრამ მალე დადგინდა და კირსი დე-
კლის ჩადება მოხდა. ქვე წყალს წვერი წვე-
წყობი და აუზრამიუხე. ცარიელი ქება ციოთ
მთვრალი ვიკილი მოვიქციე და ზეს ვესრულე.
მაგრამ დავაყლია ბავშვი გაიქცენა, ქება მო-
ქებნეს. ნახეს, უკან ამოიტახეს. თავთავისი ევე-
ლამ დაღრა და ზევით ეზოში თოფი გავარდა.
მაყრულმა იქნა. დიდოფალი მოიყვანეს. ევე-
ლანი აღმა გავიქციეთ.

ქორწილზე ახლობლებმა, სიძებმაც უჩიბი
მოგვიყვანეს სახტურბად. წარჩაქით აქრლებუ-
ლი. რქებუქუქა. სქედლდუმიანი, უჩაღურად მო-
ბაკუნე უჩიბი. აბორში ერთმანეთს ეცახებოდ-
ნენ და კახაჭუბი შექორწილებსაც კი ესმოდათ.

დაახ, საყლავი იმდენი მოგვივიდა, ნაქორწი-
ლებს შვილი-რვა უჩი ბელუბლები დარჩა.

რამდენიმე დღეში კი, სკოლის არდადეგები
რომ დაიწყო, მამაჩემმა დედამს გამოუცხადა.

დედაჩემო, რაცხა საჭაღლი გამიქეთე სახვა-
დიოთ. უჩიბინა გადავდებო და ბათუმში დავუი-
დო. თვარა დენახავს მამათ თავმჯდომარე და...

მე სეკვეზე ვიწვიქი, არ შეძინა. ბაბა კი ნახი-
თზე მომეჩვენა, მკვდა ჩამოიჩვენა.

ა, ბიქალივე, წამომწყვიტი ბათუმში? შეგიკ-
ერო ახალი ქალბაინი თუ იარ ფეხით. შეგიკ-
რავ, ჩამოვიდოთ ევეანი ერთ ზიანქარ კოხს
და ჩაეღარუელით გუთუვეთ გზას.

ზეცას ვეწვი სხარულით. წამოვგევი და ბაბას
გათვრებულ წვერთან დოვაზე მივხუბეთ. იმ-
ხანაც მარჯვენა ხელის ღავაში ზურგზე მომიბრა-
გენა.

— მოყვდება ბაღვი ამხელე გზაზე. ფეხით. —
ოხვრით დაიხივლა დედა.

არ მოყვდები არა! წავეყვი ნენი წავე-
ყვი. ზღვას დევნახავ ქალაქს დევნახავ. მათ-
რებელს დევნახავ. გემს დევნახავ. მინდა ნენი,
მინდა — ატუდი.

მამაჩემმა ბაღვანი საქალაქნე ტყავის ნაქერი
ქაღალის წყალში ჩააღბო! ბაღანი არ გაფხიკა.
ხრეზიან გზაზე ბაღანი კიბანს გატარებსო. დი-
ლაზე შევაბლინინი მეხურაი ქალამნები ქერჭო-
საგან ნაგრები თანშებით კარებთან ეწყო. იქვე მშ-
არა დაწლის მყელი, მაგრამ კარგად გამოყვსი-
ლი წინდები. ადღუნზე გამაღვდა ბაბამ. ქერ-
ფეხის ცერზე მომიქრა ხელი. უშალვე გავაჭ-
ვადე თვლი. მიუარებდა. იყინოდა. რატომღაც
სიცილისას ორივე თვალზე თოვო ურწყხალი
მოახველდებოდა. ასეთ წუთებში ისე ღამაზი
ყო მამაჩემი. მომიხდებოდა ჩავხუტებოდი. —
პირი ბუჭხარ ქაღალზე ამესვ დამეხვა. მაგრამ
თვად თუ ამ მოიხურებდა, ამას რაფერ გავ-
სედავდი.

ქვის ობიდ-ობილი. ობიდ-ობილი ქურები
ქოლქტიუობამდე მონაყვანი ბორბალი შემოვ-
ფრჩხილდა) ჩამოკალიობა დედამ სკოლის ჩანთაში
და მომიკდა ზურგზე. წინდებში ჩავხალე ბოლო-
მოკლევილა შარავლის ტოტები ჩავისიხე ზედ

ახალშექალი ბაღვანი ქალამნებ. ბაღვანი
გავიდი. უჩიბი ბაბამ გამოუშვა. უჩიბი
ქოთ სულ გაოსტანულს. ეველზე ეველს
რქებდა. კახაჭუბულ უჩიბს. ეველს ეველს კახ-
რზე. ევეანი ეველი იყო. ბევრძრობანი ბევრ-
თხაცვრინი რომ ვყოფილვართ. ე. მამინდელი
ბაბას შეუნახავს. ევეანი ბებელში ნახდები და
ნათრვი. თოქოს წამბდარავო. მოწყენილიყო
ბმა დეკარგოდა. მაგრამ იმ საქადკომანტულმა უო-
ჩმა ისე გააკორწილა კინერზე, რომ ევეანს წარ-
თმეული წყრილი ისევე გააღებინა და ჩვენი
სოფლის ვიწრო, დაგრებული თავდაღმართი მზი-
არული ელრიალით ჩავლიეთ.

დილით შარაზე ერთ სატვირთო სატომოფ-
ილს აველო და ისეთი თეთრი მტვრის ფუტი
იგდა, უჩიბი თვალში დამეკარჯენ.

პკარისწყალი, დავოტავებული, გაღული, ქვა-
ლოდებში ბაწარავით გაწიწული, მიკლანელ-მო-
კლაკილი მილივლივებდა. მოიყვებოდა. ისეთი
ლურჯი იყო და გაჭკვრვალე. ვეგონებოდა, ც-
ღვარად მოვიდინებო.

ბავშვობიდან მიყვარს ზახულის მდინარე.
ჩა ძვირფასია. რა სანატრულიც ეს ღვევარდივით
სუფთა და სიკონხეხავით მოუხუნარო მთის
ნათურებით შემდგარი ჩქერების ასიარულენა.
იგი იყო ჩვენი ბავშვობის გამახალისებელი და
გამალამაზებელი.

მამის ვერ ვიტყვოდი. მაგრამ აი, ახლა ვამბობ:

— რამდენი რამ ახსოვს ამ წყალს, ამ ქოჩო-
რა. მკვირებლ და მოჩქაფუნე მდინარეს. ვაჩინა,
აღწევება ქვეუნისა და მხარისა. დავითის აღმა-
შენებლობა, თამარის დამშვენებულობა, შოთას
და ტბელის სიბრინე-სიტყვათმწერობა, რამდენი
შრომა, რამდენი ლოცვა, რამდენი ლბინი, მტერ-
თა მოჭრა, ბოცვა-ფლეთა. შინი, ძრწოლა, მო-
დრეკა, მორჩილება, ცვენა, დაცემა, დამუხლვა.

ბიდეები კი, ათასი წლისანი, ჩვენი სულის ც-
სარტყელებივით გადავლებიან გაღაბულ, მაგ-
ამ მარად გულციხებალ მდინარეს, თავიანთი
უტები დუმილებით თუკვავების სიმღერებად ქ-
ნდაყდებიან.

პკარის წყალი მართლაც პკარის ცრემლია. თუ-
მცა რაც უნდა ევეფროს ახლა ამ ტანვის მდი-
ნარეს, იმაზე ნაღდს შინაც ვერ ამოვთქვამ, რო-
გორც ამოუობრავს კახეკ მწევებს, სიყვარული
ცეცხლმოდებული რომ ჩასკეროდა ამ მოქაფ-
ქაფე ზეირთებს.

წყალს ნათესო ჩამოქვილი,
სული ხის ჩამონათალი,
წყელო, ვადეკ და მიიბარი
საყვარლის შემოხივლი

მზე, ქურაზე გადაღებულ დვიერ ტყინის ნა-
ქერივით, წითლად ჩანდა. შარავლის ბუღში ზურ-
გაზე მოჭირებული, მიგვაცილებდა დასავლეთ-
ისაკენ.

უჩიბი ვამაღუნენ, მატყლები დაირეკეს.

საქართველო
საბჭოთა კავშირი

დაიფრუტუნეს და ლაღი ბაკუნით გაჰყვენენ მტკრის ბუღღში გაწვარადინებულ გზას.

ჩემთვის, ალბათ, ეს გზა იყო ჩემი სიცოცხლის გზის დასაწყისი. მხოლოდ იმ დღი ხნის გზას. სხვის გაუვანილ გზას დავადექი სასიარულოდ (განა მერე, ოდესმე, ჩემი საყუთარი, თუნდაც მცირე ბილიკი დამიმჩნევია დედამიწაზე?)

ბაბაი მეუბნებოდა:

— კო, იცოდენა შენ. ის დანდალოა, იქ თამარ დედოფლის ხილია. ეს კოკატურია, ახო, გობრონეთი, აბუქეთა, ტიბეთა, კანტაური, აქეთ წონიარისი, ვარჯანისი, ზვარე, გაღმა. — ვაიო, კვაშტა, აქუცა, გამოღმა, — ზესოფელი.. ჰო. არ მიეღალო, არ დღუშვა ჩიჩვიარი... თვალი გაახილე, გუთქელი, არ მიეწყინო. იმფერი-იმფერ რამიებს დაგანახვებ, რომე მიდღემჩი გეყოფა.

მაგრამ ქალამანმა ისე მომიჭირა, სული დამეწირება ზორისგან.

ევენინი უჩი რომ დაწინაურდა, აღარ დამო შეწინავეობა, — თავიდანვე მეთაურობა გაითავისა. ეს ალბათ ევენმა შთააგონა. სხვა ყოჩებმაც ადვილად დაიჭრეს და მიიღეს მისი შეწინავეობა. აღარცერთი აღარ ცდილობდა წინ გასწრებას, ყველა მორჩილად მიუყვებოდა უკან.

სიცხე კი მატულობდა. მანქანის დანახვა უფრო ხშირად მინდოდა, მაგრამ იმ ერთის გარდა აღარ ჩანდა. თუმცა, მალე, მოსახვევიდან მომესმა დასიგანალება. კლდეებზე მტკრის ბაირადები აცურდა, გრაილით და ღრქალით მოგვიახლოვდა უშველებელი „ვერჯილა“, ზემოდან გადაჰქიმული ფართხუშა ბრეზენტს მოაფრიალებდა. ხალხს თავები გარეთ გამოეყოთ. მამა წინ გაიქრა, რათა უჩიები შუაგზიდან გადაეღრეკა, მე „ახტომოფილმა“ არ გამჰიკეყოს-მეთქი, შიშით ზემო მხარეს კლდეს მივეკარი, თანაც მოახლოებულ მანქანას გადარეული ვაკვირდებოდი. მანქანიდან ვილაყებმა თვალი მომარტყრეს, ერთი-მეორეს გადახედეს და ირიბად ჩაიღიმილეს.

იმ მანქანის სუნი ახლაც დამყვება. — ჩვენი საუკუნის სუნია.

ღიახ, კვამლის სუნი თითქოს მომეწონა. ახალი, უხილავი, მაღალი სამყაროს სუნი იყო. იგი სადღაც შორეთისაკენ მეძახოდა ვითომ, რაღაცებს მპირდებოდა. ვაი, იმ სუნს, რაც გვიყო და რასაც გვიშვება ახლა.

გზაზე მთლად გადმოშვერილი კლდეები რომა და ქვეშ რომ აჰარისწყალი ჩავრიაინი ფახა-ფუხით მიედინება, აი, იმ ალაგას, დიდ ფარას დავეწიეთ. ფარას მატულოანი ქუდებით მწყემსები მიუყვებოდნენ. მწყემსებს ვეება ბამბურა ძაღლებიც ახლდნენ.

ქერ ბევრი მომეჩვენენ, მერე კი დაცოტავდნენ. სამი კაცი გავარჩიე მხოლოდ უფრო, — ერთი კაცი, ორი ბიჭი.

ჩვენმა ევენინამა უჩიმა ერთი კი მოიხედა უკან. რას იტყვის პატრონიო. ისე კი ეტყობოდათ, ესამოვნათ ჩვენს უჩიებს იმ ცხერების დანახვა

და ფრუტუნ-ფრუტუნით, დღუშვებ კანდურით, ფარაში შერევა დაიწყეს.

მტკრის ბულიც მორე დიდ მტკრის ბულს შეუერთდა. აიწია, გაიშალა და იქაურობა სულ ნისლში გაახვია, მზე ქარქაშიდან ახალამოდებულ ბებუთივით რომ უპრიალებდა პირი. ოდნავ შეიხურა, ქალამნები კი ისე გახმა-გაიწყინდა, ფეხები ისე დამიკიკა. სიარული გამიჭირდა. ვერც ვამბობდი, მამაჩემის მეშინოდა, არ გამიჩავრდეს, რა ფაფის ორთქლივით ნაზი უოფილხარო, არ მითხრას-მეთქი, მაგრამ მოიხედა ბაბამ და როგორც კი შენიშნა, გაჰიერებით ვიღრეებოდი, შედგა. მომიცადა, რა გპირსო, მოფრებით მკითხა. მოგიჭირა მაგ უნამოსმომ?, ჰო-მეთქი, გამოვუტყდი გაუბედავად. პაით, წამოი, ჩვედეთ წყლისპირაი და მაგას ვუტირებ უოფასო. მიიხრა ბაბამ.

ჩემი უჩის ევენის წყარუნი სადღაც დაკარგულიდან ძლივს მიუყვებოდა. უჩიები არ დაგვეკარგონ-მეთქი. გამოვთქვი შიში და გავაურობილე მამა. არა, არ უშავს, წარწყინებებს უოველთვის მოუძებნითო. დამამშვიდა. ხედავ წინ მიმავალ ფარას? ჩვენი შველა ეგაა. ცხვარი ცხვარს აღარ მოცილდებო.

თასმები თავადვე შემხსნა. ქალამნებიდან ძლივს ამომპარობინა დაჰიკეული ფეხები. ძირებზე დახედა. ხალხები ოდნავ შეცვეთოდა. ჩაღმა ჩაამხო და ქვის ძირას მომცრო მდორეში ჩააწყურ, ზემოდან კი მოზრდილი ქვა დააღო. წყალმა არ წაღოსო.

— უჩიები? — ვკითხე ნერვიულად.

— იარონ, რა გვენადვლება. დევეწვეით, მად წევლენ აბა. — სიამოვნებით და აღერსით თქვა ბაბამ. ამოიღო თუთუნიაი ქისა. გაახვია ძიგარა, ჩამოჰკრა კვესი, ააღინა კვამლი აბედს, ჩაღო აბედი ძიგარის ტუჩში. გააბოლა ეშხიანად.

ცოტა ხანში ამოიღო ქალამნები წულიდან. მშრალზე აღმა მიაწყო ლოს.

— ახალია და იმტყომ გავწვალეს. მალე გაყალიბავს შენი ფეხები და ქალამანიც მოშინაერდება. — ამიხსნა ბაბამ.

მოსველო ამოვიცვი. ფეხზე შეგაშრეს და „გაყალიბდეს“ ცობიო, თქვა მამაჩემმა და მალე აჩქარებით გზას გავუყვით.

ორი მოსახვევის მერე ჩემი უჩის ევენაი გავიგონე. მწყემსები მესხები აღმოჩნდნენ. კოლექტის გადავუშალეთ ცოტ-ცოტაი და ახლე ბათუმში გაუიღვა მოვასწროთ გვირდაო. უთბრეს მამს. ისინი რაღაც უცხო, მოუხეშავ, გახამებულ ქართულს ლამარაკობდნენ. იმათ პირში და ბაგებზე სიტყვები დაჰრილ-დასხნეულბუღბუღით კვენესოდნენ თითქოს. არადა, უცხონი არ იყვნენ. სხვა ხალხის კაცებს არ გვანდნენ. თვალეებზე გრძელბეწვა მატულოანი წოწოლა ქუდები ეხურათ და ყვრიბალებზე, შუბლებზე, კისრებზე ოფლი დვარებდად ჩამოთხუქოდათ. ქუდებს რომ ვუყურებდი, სული მეტუთებოდა. რა ჩანდაბადუნდათ ამ ყიამეთ სიცხეში ამისიქე ბუხარავით



მზრვალე ქუდები? ვის კობხავდი. უველანი ში-
ვილიდით, უველანი კაცები ვიყავით, უველან
ჩვენ-ჩვენი ქუა და ადათი მიგვიქონდა.

ბაბამ მითხრა, ხწორედ სიციხის გამო ახურავთ
სქელი. ბეწვიანი ქუდებიო. თხელებში უფრო
დაიხრულებიანო.

ცხვარს ორი ფერდებჩაცვენილი ცხენიც მიყ-
ვებოდა. ავშარები ორივეს კისერზე ჰქონდა შე-
გდებული. ზურგზე ორივე ახულულებული,
ტომრებში შეკოკილი ტვირთები მიქონდათ.

ერთ ცხენს ხულ სხვაანაირი ტვირთი ექოდა.
ორივე ცხენი ნებაზე მიშვებული ნაბიჯით. უკან
მიპყვებოდა ფარას. უცნაურტვირთიან ცხენს
მიუვაზლოვდი და გვერდით ავედევენე. ტომარა-
წაფარებული ტვირთი ჩემკენ მობრუნდა. დავ-
ინახე; სახე, თვალები, ცხვირი, ტუჩები, ნიკაპი.
ეულიც. გოგონა იყო. კუპრივით შავ-შავი წარბ-
ები. ნახშირით დახატული გეგონებოდა. თვალ-
ები კი, არ ვიცო, იმისთანა ლურჯი და იმხელვანი
თვალები არხად მენახა. ისე გადმომხედა ცხენის
ზურგზე მქადარმა ცაცამ, ერთი შეშინება კიდევ
შემეშინდა. მთელ ტანზე, ყედიარ ეფენდის დარ-
ტმულ წყეპალსავით, რაღაცა გადამქრებს თით-
ქოს. ჩერ მესხელა. მერე ამეწვა.

შე რომ შემხედა, გოგონამ თავზე წამოხურუ-
ლი გაზუნებული ტომარა მხრებზე გადაიკდო.
ტომარა, მალე, უკან ცხენის ზურგზე ჩაიხრდა.
გოგომ ერთხელ კიდევ გადმომხედა, მგონი დამა-
ლულად გაეღიმა კიდევ. ჯულ-მეკრღზე ფერად-
ფერადი მძივებით მოქსოვილ-მონახატი ნაქარ-
გები აუციმციმდა. ყელზეც მხხვილი მძივები
ჰკიდობდალ ეკიდა. ეტკობა. ტომარა მზემ არ
დამწვასო, იმისათვის გადაეფარებინა. გამოა-
რანქული იქნა ცხენზე, გადმომურებდა მედი-
დურად. ვგრძნობდი, ჩემი დაქოქული ფეხები
გამოსათავებული მუხლები, ჩემი დალილობა
კიდევ სიამოვნებდა.

შემბალი ქალამნები გაბურებულ-გაგანიერებ-
ულმა ფეხებმა მართლაც მალე დაიგრძელეს თან-
მები კი, ამქერად თავიდანვე გენგიშად. თავის
ქუაზე დააყენეს. — ტუჩები გაუფართოვეს, ოდ-
ნავ ფოშოვოდ, ანუ მოშვებულად შევიკარი და...
მაგრამ ნელ-ჩელა მუხლები. კანქებო, წვივის
ძვლები და ბარძაყები ამტკვდა. ფეხის გულე-
ბიც თანდათან ამტკვდა.

მივევებოდი გოგოს ცხენს და ხუნი მცემდა
ცხენის მძავე ოფლისა. მაგრამ იგი ხუნი თითქო-
ს ერთგვარ სიჯანსაღეს აფრქვევდა. ამიტომ არ
მძავდა. პირიქით, კიდევ მსიამოვნებდა. გოგო
კი ცხენიდან დიდრონი ცისფერი თვალებით მა-
ღიზიანებდა. ხანაც ჩამომახებებდა მალულად:

— ვინდა შეგაჭინო?
— ვინდა! — დავუქნევდი თავს. ის კი მაშინ
თავშეკავებულად ჩაიკისკიებდა. მტვრის ბულ-
ში ჩვენ ზოგჯერ აღარც ვჩანდით ფლახ-ფლუხ.
ფლახ-ფლუხ — მიჩახსურებდა ბრეშოან გზაზე
ფლოქვეებს ცხენი და კისკისებდა ცხენზე შე-
ხი გოგო. შუადღე გადადგომარე იყო. მოძრაო-

ბისას რომ ბაერი გვეხახუნებოდა. თქვე-
რა ნიავეც იყო, თორემ ნაშდვილი ტანის-
ლა აღარხად ჩანდა. ვვერი ფოთოლიც არხად
ირხებოდა. გეგონებოდა. ფოთლის მავიერ ხეებს
რკინაში მოჭრილი. გაშეშებული შაურიანები ეკ-
დათ.

მახუნცეთი რომ ჩავიარეთ. იქით, სადაც
წყლისპირის ვაკეზე ფარა ჩაუშვეს და ჩვენც
ბის გრილობებში მიმოვეყარენით.

ერთი მატკლისქულიანი მესხი, სულ გრძელი,
კომბალი რომ ეჭირა ხელში, მდინარეს მიუახ-
ლოვდა, ზედ წყლისპირთან ჩახობდა. ფეხებზე
წაღები წაიძრო, მკლავები დაიკოტავა და „ავდე-
სის აღება“ [ლოცვისწინა ვანბანა] დაიწყო. კე-
შვით ხუთჯერ ამოღებული წყალი ხუთჯერ გამო-
ავლო პირში, ხუთჯერ შეისხურა, ცხვირში, ხუთ-
ჯერ — ურბებში და პირსახე მოიბანა, მკლავები
წაისველა იდაუვენამდე. ბოლოს ფეხები ჩააწყო
წყალში. როგორც თანასოფლელი ბერიკაცები,
ისიც ამ ცერემონიის დროს სულ ტუჩებს აც-
მაუენებდა. — რაღაც ლოცვებს ჩურჩულებდა.
მერე ადგა, მწვანე შოლი მოარჩია. შებრუნდა
სამხრეთისაკენ. უბლიხყენ. (მექამედინესკენ) და
ეულა-ნამაზის შესრულებას შეუდგა.

კიდევ ორი ახალგაზრდა ჩანდა: იმათი ლოცვის
ეამი ჩერარ დამდგარიყო აღბათ, მამაჩემი წელს
ითრევდა. ეზარებოდა „ავდესის აღება“ დალი-
ლზე ხელფეხის დაბანა. მერე იმდენი ჩოქვა-
დგომა, ხლიბვა ხელფეხისა და იმდენი ლოცვის-
თავის ჩაჩურჩულება არაბულად. ადვილი როდი
იყო. მესხი კი, ვინაც უცვ ლოცვად იდგა, მამა-
ჩემის ტოლი იყო. ამიტომ იუხერხულა მამამ
ადგა და თავადაც ჩაჩოქდა მდინარისპირას. წაი-
ხადა ტულაწაგებული თავისი დაძველებული
ქალამნები, უხალისოდ ამოკრა კეშვი სწრაფად
მიმდინარე ქაქთაფა ზვირთს. შორიდანვე შეის-
ხა ცხვირპირზე წააგორვალა სახელოები მკლა-
ვებზე. თავადაც ხუთ ხუთჯერ შეისხურა წყალი
პირში. ცხვირში, ურბებში, სველი ხელი ყაბალა-
ბის ქვეშაც შეიუო თავზე მოისვა. ბოლოს ფე-
ხებიც გაიბანა, დაიწრიდა. ისევ ჩაისმინა წინ-
და-ქალამნებო, შეიკრა დაალოცვად მდგომ მესხს
ვერდით გაუჭერდა.

მაშინ რა უნდა მეფიქრა, მაგრამ ახლა, აბდე-
ნი ხანის გასვლის შემდეგ, იმ სურათს და იმ
დღეს რომ მოგონებაში დავინახავ, დარღები და-
მქვანკავენ.

დგეს ორი ქართველი, მესხი და აქარელი. შო-
თახ, ტბელის და სხვათა უკვდავთა ახლობელთა
მიწათა შვილინი, სათესვნი იმ სულწნაათა, ოპიზ-
რის, ხანთისის, სხალთის, ტბეთის, შატბერდის აღ-
მაშენებელნი, პირველქმნილ მშობლიურ მადლი-
ს სიტყვათა პირველი მოქმენი, ვაწის ქვრის
პირველწინაარებნი, ერთგულნი რწმენისა ერისა
თვისისა, თას კიოში ხაქედნი, გამძღვარებულნი,
ბოლოს იმ კირთა მიერ იავარქმნილნი, მოუღრე-
კელნი, ნაგრამ უღმობელ, გაუთავებულ, უსახ-
ველო დაწოლით მანც გაბზარულ-გატეხილნი,

სულში, ქარში, ხახში დამსკრობლის რელიგია: ჩაჩილინი... დგას ორი დედი ქართველი და თავის საკუთარ მშობლიურ სალოცავზე ზურგშექცეული იზუბდება, უხანდრო, უმდაბლესი მოჩაღების დასტურად შუბლის მიწაზე დებს, სხვის ენაზე ილოცება და ფიცსლობს, ხოლო აქარის წყალი, — აქარის შადა ცრემლი, ასევე ისე მიედინება თავდადებოვნებზე რათა იქ, ქვემოთ, კორობს, ჩაეხვიოს, თავის სახელიც იქვე მიატრავს და თავადაც უყვე კორობადქცეული, ძველ მიწაზე, ძველი გზით იაროს ურუყვად მეჩვენება, რომ მდინარე წუხს, რცხვენია: ადამიანებს შეაკვლევინებს რწმენა-სახელი, მაგრამ გული მაგრდება იმის შეგნებით, რომ ბუნებაში, აქ, არაფერს არც მდინარეებს, არც მთებს, არც სოფლებს, არც ციხე-ტაძრებს, არც წყაროს და უბრალო ქედსაც კი თავისი სახელი არ შეუცვლია.

ის ერთი ბიჭი თავისი ბენჭება ქუდიტ ჩემზე ქარგა უფროსი ჩანდა იგი გვერდით მოწოლილ ძაღლს ეფერებოდა, მინდოდა მისვლა, დალაპარაკება, მაგრამ, ეტუობოდა, ბაღანად მთვლიდა და ჩემთან საუბარსაც არ კადრულობდა გულში ცოცხალი ვიწრონი წელ-ნელა თვითონ მივეჩქრნა, თანაც ძაღლის შემოინოდა, გაგონილი მქონდა, მწუხრის ძაღლები ცხვართან მოსულ კაცს არ ერჩიან, ისინი ნადირს ერჩიან მხოლოდო, მივჩქრნა, შეჩქრნა, სულ ახლოს მივედი, ბიჭი კი სულაც არ მიუტრებდა, ახ, ვინ იცის, იქნება წულის ჩურჩულში არც ესმოდა ფეხის ხმა ძაღლი ბიჭის გვერდით გაშოლილი იწვა და თვალებს ლულავდა.

სანამ ხმას გავიღებდი, ბიჭმაც მილულა თვალი, მე შევდექი და იქით გავიხედე, ფარაში იდგა გოგონ ცხენი, გოგო ისე იწვა ცხენზე, გეგონებოდათ, თანშურდილიაო, — არც შესველების დროს აპირებდა ჩამოხტომას.

მოხუცი მესხი დამუხლული იქდა, ლოცვა მოეთავებინა და ახლა ქარვის დიდლიტებიან კრიაღოსანს კაკლავდა, თანაც დასასვენებლად ქალაზე შეფერხლ ცხვრებსაც კენ იცქირებოდა, ცალი ხელი ცხენოსან გოგოსკენ გაიშვირა დაუქნია, აქვო გამოიყვანე და ძირს ჩამოდიო, გოგომ კისერზე დაიხარა, ცალი მხრიდან მოუთითუნა ხელი და ცხენი მობრუნდა, ტიალში გამოვიდა, გოგო უხანგებზე ადგა, ძირს ჩამოიხედა, თანაც თითქოს ჩემსკენ გამოაპარა მხერა, მეც არ დავაუოვნე, მივირბინე, ხელი შევაშველე და ძირს ჩამოსვლაში დავეხმარე, ხელს ვაშველებდი, იმან კი ფეხი პირდაპირ მხარზე დამაბიჯა, ჩამოხტომისხანს კისერზეც კი ვიგრძენი მისი მკლავები.

მიწაზე ჩამოხტარი გოგო უცებ სულ გამოიცვალა, ისეთი შალაი აღარ მეჩვენა, მგონი პაწაით მე შალაი ვიყუვი.

ცხენი კი იდგა და იცოხნებოდა, მაგრამ გოგომ ბებზე შემოპარა ხელი, წალი, მოძოფე ბალახიო, მიაძახა.

ჩემ ჩუხად მხარზე დავიხედავდი ხოლმე, იქ

თითქოს გოგონ ფეხის დანტყობის რატიომდაც არც ვიფერობხვდი.

— ზერა მქვია, შენ?

— შუქრი!

— დაგე, — მითხრა ზერამ, რივის ქვებზე ჩამოვჯექით, იქით, მოშორებულზე მდინარე მიხვივინებდა, თითქოს მე და ზერას დაგვეცნოდა, კი, კი, ასე გავიფიქრე წამით, მაგრამ მაშინ გულიდან ამოფხიკე ამნაირი ეკვი, ჩემი სიყვარული, აღბათ, ჩემს მდინარესაც უყვარს მეტი.

— რა ფიქრიათი უოფილხარ, შუქრი, — თქვა ზერამ.

— მე და მდინარე ველაპარაკებით ერთიგორებს, — სერიოზული ტონით მოვახსენე გოგონს.

— არ გაშიბმელი, რაზე ისაუბრეთ?

— შენი სიყვარული მეც მიყვარსო, მითხრა აქარისწალმა, — და თავადაც მომეწონა ჩემი ნათქვამი, ზერა დიდი ეშმაკი გოგო იყო, ჩაიციესკისა.

ჩემი ბაბა და შენი ბაბა, ხომ?

მეც იქით გავიხედე, მოხუციანი შევათვალე რე და ზერას უსიტველ თავი დაუქნინე, დედა ხადა გუავს-შეთქი, შეკითხა მხურდა.

— შამაჩემს მეშედი ქვია, შამაშენს?

— ალი! — მიასუნა ხალისიო, ჩანდა, ჩემთან საუბარი უნდოდა გოგონს, მაგრამ მე რატომდაც ვეღარ ვაფარებდი, არ გამოძლიოდა, ახლოდან ძალიან მეღამაზა ზერა და სიღამაზის გამო ვირნეოდი, იმათ კი, შამაჩვენებს, ლოცვა მოეთავებინათ ისხდნენ, მუსაფოზდნენ, ჩვენსკენ იცქირებოდნენ და მგონი, კვიშ-კვიშ კიდევ ელოებოდათ, ამან ერთგვარად გაბედულება შემმატაროგორც კი ფეხებზე, ბალანგაუფხვე ქალამნებზე დავიხედე, უმაღვე მოვიღუშე, გოგონს ტყვის წითელი წაღები ეცვა, ზემოთ, წვივებზე, — ქრელი პაიქები შეხიოდა, მაგრამ სიცხით შეწუხებულმა მალე ფეხზე გაიხადა, რომ ცოცხალი სიგრილე ეგრძნო.

— წუხელი მთაზე გავათიეთ, ციოდა ძალიან.

— ამიხსნა გოგომ, უცნაური ხალხია ეს გოგოები, თანატომ ბიჭებზე უფრო მეტი იციან ცოველოვის, გამოცდილიც არიან და ფრთხილიც, პაიქები, წაღები იქვე დააწყო და შემომხედა, მე ქალამნებიათი ფეხები ქვეშ შემოვიყეცე და ზედ დავექი.

— ცხვარში რომ წავალ, ქალამნის ჩაცმა მიყვარს, — დამიხსნა გაქირვებიდან ზერამ, ჩამოდი მესხეთში, ცხვარში ერთად წავიდეთ, ეპ, თუმცა საღადაა იმდენი ცხვარი, ბევრი კოლექტივმა ჩაიყვანა, ცოტაი კი აგერაა.

ამ დროს შამაჩვენებმა დაიძახეს, მოდიო, ვიწარმელოთო (სამბრობას წარმელი ქვია ჩვენში).

გუდის უველი პირველად ვნახე, გუდას ბალნაინი მხარე შიგნით მქონდა მოქცეული, შიგ მქიდროდ გამოტენილი უველი ჩანდა ჩარჩენილი, ცოტა იყო დარჩენილი, ზერას შამამ სულ გამო



აბრუნა გულა, რაც იყო, გარეთ გამოუარა. იმათ პური მკონდათ, ჩვენ — ჯადი. ჩვენი პური ზაბამ არ გამოჩინა იმჯერად, უველმა ცხვრის სუნი დააუენა და თავი მივაბრუნე, იმათ პურს წავატეხე და ცარიელად დავიწუქემა, ზერამ უველს წაატეხა და გამოიწერა, არ მინდოდა, მაგრამ გამოვართვი და პაწ-პაწა წავაყენებე. გულში კი ვამბობდი, ამ პურს მიკლუვა რაღად სჭირია. მეოქი, არ მინდოდა, მაგრამ რა შექნა. ზერას ხათრით ცხვრის სუნიან უველს სიამოვნებით მივირობე.

როცა წასასვლელად შარავნაზე ავედი, ზერამ მაშას თხოვა, მეორე ცხენზე უშკრი შევსვათო, ხედავ, ხალხის ქალამები უშკრს ცოდვალ, მეშედი ჩაფიქრდა, ზერას თველებით გაუჩაქრდა, მეც გულში გაქაქარდი, ჯერ ერთი, არ მომეწონა, „ხალხი“ რომ მიწოდა, მეც, არ მომეწონა, რომ გოგო ბიჭს მიცოდებდა.

არა, ბიძავ, არ მინდა ცხენზე... მოვასწარი თქმა.

— ცხენზე შეგდომის გემინია? — ჩაიკისკისა და მთლად შეშარცხვინა ზერამ, რა გამიჭირა ამ ციკამ საქმე, რას ამეიქია ამ კირის გზაზე? — ვფიქრობდი ჩემთვის, კადეე იმაზე ვფიქრობდი, — კაი და მართლაც დამითმეს ცხენი, თუ ვერ დავიმორჩილე და გადმოვვარდი? ხომ მომეჭრება თავი, კი, მასხვის, ერთხელ ზეგნის საძოვარზე ბიჭებმა ვილაციხს თხზარკი მოვიტყუეთ. თავისიერზე ბაწარი მოვაკოვეთ და ერთი შეგდომა მეც მომიწია, მაგრამ მაშინ ტიტველზე შევტევი, თანაც არავისი მრცხვენოდა. — ცხენმა რომ წიხლები ისროლა და უშნოდ გაქენდა, უშალვე ვისკუბე, გადმოვხტი, მართალია, ბარდებში ჩავვარდი, მართალია დავისისხლე, მაგრამ თანასოფელელ ბაღნებში არა უშავდა, ახლა?

— ე, მე მაგფერ კეხიან ცხენზე არ ვვადები, ღრსებით და სიღინჯით ვუპასუხე ზერას, — მე უნაგირზე შევტდები, თვარა...

არც ზერა შეგდა, თავდაც ფეხით ამქობინა სიარული, აი, მაშინ კი უფრო მომეწონა, შემიქანდა გული.

როცა მზე მთებს მიეფარა, გზაზე აგრილდა, ხეობაში ჩაწვა ჩრდილები, მერე ის ჩრდილები ზევით-ზევით აიწიენ და ბოთლს მალად გორებისკენ გააშვეს. — შხის წითელ-ყუთილი იაშმები აქირფეს მთათა თვებიდან ცოტა ხანში ცაზე რომელიც ვარსკვლავი გამოვიდა, ვარსკვლავი, ბუხარზე ჩამოკიდებულ ნავთის ლამაშავით წითლად, მყუდროდ კაიფობდა, ქვემოთ ხეობის ფსკერზე გაწრილ მდინარეში მოყვითალო ანარკელი იკეცებოდა, ცხვრების ფეხისხმა, მდინარის შორი შარბოური, ძაღლების კანტიკუნტი შევიფება, ბერკაცების საუბარი, ჩემს ურჩი უველმა გაბზროლო კვრტე ვორტები, გაღმა გამოღმა სოფლებიდან იშვიათი გადაძახილები ამზიდებდა, ასულდგმულებდა, აცოცხალებდა აჩრდარეს და ჩვენც დაღლილობას თით

ქოს გვიჩელებდა, ბევრს ესვენა მესტრინსული ცხენზე შეტევიო, მაგრამ გოგო უარს უთქმევოდა, იგი ჩემს გვერდით მოაბიჯებდა.

თანდათან შევეჩვიეთ ერთმანეთს, თანდათან დავიდაბლეთ ხმა, თანდათან ვუშაბეთ საუბრებს, რამდენიც ბინდებდოდა, მეშედი სიარულისას სულ უფრო ზერას უახლოვდებოდა, ცდილობდა, თავის გოგონასთან ახლო ეყოფილო, ზერა გამდებებით რაღაცას მეჩიჩინებოდა, მაგრამ მაშა-მისის სიახლოვეს ზმოერად ვეღარ ვაპსუბობდი, ამასობაში მოკარე ამოიწვერა და ხეობები უკითლად მოკალა.

მუხლები თითქოს ჩემი აღარ იყო, რამხელა ეყოფილა ეს ქვეყანა, — ვფიქრობდი, მთელი დღეა მოვდივართ და მაინც ვერ გამოვლიეთ, მაშაჩემი ახლოს მოვიდა.

— შელო, უშკრი, გადაიხედე ქვეით ე, აქ აკარისწყალი კოროხში შედის ამასიკით მართო კოროხია, რამხელაა, ხედავ?

მივედი გზისპირას და გადავიხედე, მართლაც დიდებული სურათა დავინახე, უცხო, მწუხარე და მოწუენილი მომეჩვენა უველაფერი.

კოროხი გაშლილად მოედინებოდა, უცებ აღებდა მთა-გორებს და მთარისფერ ჩქერებს მოათამაშებდა, აქ, ჩვენს ქვემოთ, აკარისწყალს გულში იხუტებდა, იდნავ თითქოს ჩერდებოდა და ძლიერ სვლას აგრძელებდა, ჩვენი სვლა კი იქ, წყალთა შესაუართან, შენელდა, კაცებმა ფარას წინ გადაუწერეს და ცხვრები ზემოთ, დუბე-ფერდობისკენ შედენეს, ცხენებს ტვორთები ჩამოხსნეს და მალე გზისპირას, მომცრო მინდორა კორდზე ღამის სამყოფელი გააწვეეს, ცხენებმაც მალე მოინახეს თავთავისი ალაგები და ერთიმეორის გვერდით მიწვენენ-მოწვენენ, მთვარის მკრთალ შუქში ჩვენს კოჩებს ევლარსად ვამჩნევდი, შევწხბდი ამის გამო, ბუქობზე ავედი, იმათაც ერთმანეთი მოუქებნათ, ერთიმეორის გვერდით დაწოლილიყვენენ, შემშურდა უოჩებისა, მეც იმათ გვერდითა, მათსავე მატელში ჩაწოლა მომიხდა.

როცა გზა მთლიანად მიწყნარდა, კოროხის ხმა უველაფერს დაეუფლა, მთების გულში ჩაწოლილი მდინარე თავისთავს ედუღუნებოდა თუ ღამის მწუხარე უსასრულობას ედავებოდა, ვერ გავიგე, მაგრამ კოროხი რომ უანიდან დაბრუნებულ, დაღლილ მაშაჩემივით გაღიზიანებული და გაქარებული იყო, ანა კარგად ვხვდებოდი, მაშინ ვერა, მაგრამ დიდი ხნის შემდეგ ისიც კარგად მივხვდი, თუ რის გამოა კოროხი ნაწყენი, მისი იმდამინდელი ტკივილის სიწმინდე კოროხისა და აკარისწყალის ერთმანეთთან შეერაზე რომ განვიცადე, მიის ნახვა-გაცნობა, მთის, ცისა და მთვარის ფერწასული სინათლებით მორთული მისი სუფიანი სახე, დედა-მდინარედ შეიქრა ჩემს სულში და იქ მდლევარე მორევებად ჩაღვა.

ფიჩხები მოყარეს, ვილაცამ მდინარისპირიდან კარგა მოწრდილო ბგელი ჩირკეცი ამოართია.

პიწკები ჭირკვს მიუწყვეს და მალე ბედნიერი ცეცხლი ავიწვია. წითელი შუქი კორდებზე მიმოწოდებულ ცხვრებამდე აღწევდა. მემედი, მამაჩემი, ორი მწვემის ბიჭი, ზერა და მე ცეცხლს ერთ ოჯახად შემოვუტყეით. ჭერ უმცროსებს დაგვირიგეს თითო ნატეხი პური (მამაჩემმა კადიცი ამოიღო ახადან). გულის უველის მტვერი ხელის გულებზე ჩამოვარიგეთ. ჩვენის მხრით თითო ნახლჩი ჩლენილაც ჩამოვარიგეთ. მაგრამ რატომღაც მე უელში ლუკმაც ვერ გადავარტყე. ვიკეტი ტყვილა, ყბას ვაქნევი. ბაბამ შემწონა და გამოჩავრდა. მაშინ ნამცეცა კადი ჩავისროლე ხახში და კადის ფუნჩხს მესხური პურის ერთი ნაფინცკლიც მივაყოლე. ზერას ვეება თვალეში ცეცხლის ანარეკლები მხიარულად ათამაშდნენ. იმ თვალეებიდან უფრო მეცხუნებოდა ცეცხლი, ვიდრე ნამდვილ ნაკვერცხლებიდან. მაგრამ თვალეში იმ ხაოცარ სიცისფრეს ვეღარ ვხედავდი. ნამდვილ ცასავით შებინდულიყვენ ზერას თვალეზიც და ამან გული გამიკაწრა თითქოს.

ზერა ჩემს გვერდით ფეხმორთხმული იქდა. ბიჭები აღგნენ, წვადნენ და ბნელში შეიკარგნენ. იქიდან ცხენების ცოხნა და კანტიკუნტა ფრუტუნი მოისმოდა. ბიჭების წასვლისთანავე სული ნებაზე მოვიტყვი, სხვაგვარი თავისუფლება ვიკრძინე, ზერას თვალეში ცქერა ნებადართულად ჩავთვალე.

— კენკობილაი იცი? გინდა? ვითამაშოთ! — გაოცებული ძილშემოწოდლი თვალეში შემომავსებრა ზერამ.

— რა დროის კენკობილაია? ადვი, წვიძრე ეხ გაფშეკილი ქალამნები და მიუწვიე უოჩებს. — დამტუქსა და გოგოსთან შემარცხვინა ბაბამ.

მეწყინა და არ ვიკადრე ასეთი შენიშვნა. იმ დღეს, იმ გზაზე, ზერას გვერდით, თავს ვავშვად აღარ ვთვლიდი! ბაბაი კი...

ავდექი, ფეხების თრევით გზა გადავკერი და, პართლაც, ჩემს უოჩებს შორის ჩავწექი, ჩავინალე. მწოლარემ ფეხებზე თასმები შევიხსენი, ქალამნები წვადრე, იქვე დავუარე და ფეხები დავახვეწე.

ხანდახან თავს წამოვწევდი, გზისპირისაკენ გავიხედავდი. მემედი, ზერას ბაბაი, ადგა, ბნელში ცხენებთან გავიდა ალბათ, მალე რალაც სქელი საფენები მოიტანა, იქვე ცეცხლთან ახლო დააგო და ზერას უთხრა, მოდი, შევილო, აგერ მიწექიო. ზერა ადგა, თავის მამიკოს გაუშხილა, მემე ჩვენს ცხვრებთან ავალ, იქ უფრო ჩავთბობდი, ამოვიდა. და ჩემი უფნინი უოჩის გადაღმა, ძირს დაფენილ მატყლებში ჩაწვა. კრული თავშალი გადაიფარა. მე უფრო მაგრად მივეხუტე ევენთან უოჩს. — ვიცოდი, ჩემი უოჩების თბილი, მატყლიანი სხეული ორივეს გვათბობდა. ცხვრების სხეულთა შორის ჩაძირული პირაღმა მწოლი. შევცქეროდი ზეცას და იმდენ მოკანკალე, მოციმციმე, მოედვარე ვარსკვლავებში თვალეზით ვმოგზაურობდი. ცაზე

მნათობთა შუქიანი სიშორეში სხვანაირი სურათი მორს წამიტყუებდა. რომელიმე ცხვრის დავიკარგო და ევენინი უოჩის გადაღმა მარტოდმარტო არ დამრჩეს ზერა. მეთქი.

თვალეებს დავხუტავდი. რათა უკან დავბრუნებულიყავი.

— როგორაა, თქვენც შეგჩარეს კოლექტივეში? — ვიცანი მეშედის ბბა.

— აბა, მად წებვალ! — ამოიგვენე ბაბამ.

— დავაკიცვს ეხ ულვაშა ჩვენ. — თქვა მემედამ. მივხვდი, სტალინზე თქვეს.

— არც მავს დააყრიან ზეირს მერმე. — ისმოდა მამაჩემისა.

ზემით შემოიხედეს. ბაღნები დაძინებულად ჩავვთვალეს და უფრო შვებით ალაპარაკდნენ. კოლექტივობა სულ დაშალეს, გაერთიანებული თავთავისი მიწები უკანვე დაიბრუნეს, ფერმებში წაყვანილი საკუთარი საქონელი, თხაცხვარიც, თავისავე ახორებში შემორეკეს, აავსეს ბელღები, ნალიები, ტურაბელღები კირნახულით, დატენეს, დაგლისეს გვარდაკაიწევი ერბო-ყველით, დაკანეს ბაზრებში აურახელი ბორაგი, დაიტენეს ჭიბეები და უბეები ფართოა. ჩაღვენით ცეცხლს სულეები შეუხერეს.

ღამე კოროხის ღრმა, გაბმულ ჩაფანში ნელა გადიოდა.

ჩემი და ზერას თითო ხელი, ჩვენ შუა მწოდ ევენინი უოჩის მუცელზე ეწყო.

უოჩი რომ ჩაისუნთქ-ამოისუნთქავდა, ერთი-მეორესთან მიახლოებული ჩვენი ხელები, ზევიით-ქვევით აქკონდ-ჩამოქკონდა.

ბერეკაცები მუგუშლებს უოჩებდნენ ერთმანეთს და იმხელა ნაკვერცხლადქცეულ ჭირკვს ახლად შემოებრიალებოდა მომწვანო-მონწითალო აღი. წელისპირზე ზაფხულის ღამესაც ისეთი სუსხი ცოლნია, როგორც მამაჩემი იტყუდა, — ცეცხლი გაგებრივლდება.

ბაბაი კოროხს გადახედავდა. ძველ ამბებს იგონებდა. ერთგან ართვინიც გაიხსენა. ბორჩხა ახსენა. იქაური ნათესავ-ახლოზლები ორივემ ახსენეს და მათი ხამულამო მოწვეტა-დაკარგვა მოიჩივლ-მოიდარდიანეს. მერე, ოდნავ წათვლემილ-წაძინებული ცის შორეულმა გრუხუნმა გამომავლიდა. თვალი რომ გავახილე, მალდა, ზეცაზე ვარსკვლავების მაგიერ ცეცხლის თოკებივით გრძელ-გრძელი ელვები იწირებებოდნენ. მალე სახეზე წვიმის გრილ-გრილი მობოროშო წვეთები დამეცა და ზვიტირა თავზე თქაფათქუფით გადამირბინეს. ცხვრებმა და უოჩებმა აგერ-აგერ ჩაიფრუტუნ-ჩაიქიცხეს და ნელ-ნელა აშლა დაიწყეს.

ზეობა აღმოსავლის ცისკარს მოკალულ ქვაბივით გამოენათებინა და გზისპირას, მარტოდ მოტყუებულ ჭირკვს შიშინით და შუშუნით მხოლოდ მოლურჯო კვამლის ბოლქვები ეხვეოდა.



თვალი რომ გავახილდე, იმწამსვე ჩემი შიშში-
ლი ვიკარდები.

ისიც გამახსენდა, ბერიკაცებმა წუხელ, ციცი-
ხლაძის კადისა და პურის ნატებები როგორ
დაფიცებეს გამორჩეული ნაყვერცხლებზე რო-
გორ ამოიღო შემდეგ მესხმა ბურჯინიდან დიდ-
რონთავება ხახვები, ჯერ იქვე, ქვაზე, დაბეჭა,
ფაქიზად შემოაძრო გარსი, მერე ხახვის თავი
შუაზე გაბეჭა, ნახევარი ნახეთქი მამაჩემს გა-
უწოდა, თავისი ნახევარი დვალის ფოთოლზე
დაურის მარილს მოწიწებით დააწო და მესმო-
და ხახვის ღორთქო თავებს როგორ ბრაზახტუ-
შით კამდნენ, როგორი ბრაზახტუშით აუქვევდნენ
გაფიცებულ კადის ნატებებს, მახსოვს, თავი
წამოვწვიე, ნერწყვი წამომივიდა, ბაბამ ხელით
მანიშნა, ჩამოდიო.

ამახობაში გათენდა, ბერიკაცები იქით, ცხე-
ნებთან, კორღზე წამოწოლილ ბიჭებს აღვიძებ-
დნენ და ცხვრებს უხმობდნენ. ეტუობოდათ,
გზაზე გარეკვა ეწადათ, ჩემი ეფვნიანი უჩიცი
წამოვდგა, სველი მატულები მთელი სხეულით
აღმა შეიქნია, ზერას კი ჯერ კიდევ ეძინა თავ-
ის ცხვართან.

მალე მთელი ფარა წამოიშალა, მაგრამ ის
ერთი ცხვარი თვალმილული, მგონი მძინარე
გოგონას ხატოდა, ჯერ კიდევ არ დგებოდა, წვი-
მამ წვეთები თანდათან დაიწვრილა და დაიშვი-
რა, სინათლემ იძალა, ნისლები დაბლა დაეშვნენ
ქორობი ახლა უკვე მთებიდან კი არა, ნისლე-
ბიდან გამოდიოდა.

მემდეგ-მესხმა საიდანღაც დამიძახა:
— ბიკო, შუქრი, გააღვიძე ეგ ძილისგული,
ეგა!

ჩემი ეფვნიანი უჩიის ზურგიდან ჩაცურებული
ზერას თეთრი ხელი მწვანე ბალახებზე იდო,
დავიხარე, ხელზე ხელი მოვკიდე, ზერამ იმწამ-
სვე შეშფოთებული დიდრონი თვალები აახილა
და შიშით სახეში შემავტერდა. მალე ეველა-
ფერს მიხვდა, წამოიკრა, ტანზე სამოსელი მიმო-
ისწორა, თმებზე წურწურით ჩამონადენი წვიმა
ხელით მოიწურა და, მშის ანარკლივით, ცქრი-
ალა ღიმილი დამიტოვა, თავად კი გზისაკენ
დაეშვა.

როგორც მოულოდნელად გაწვიმა, ისევე
მოულოდნელად გადაიღო, ნისლებმაც აკალთვა
დაიწყო, წვიმა სხვანაირი იყო, — უცვარი, უხ-
ვი, რაც ალბათ ზღვის სიახლოვის ბრალია, იქ,
მთაში წვიმა უფრო ღმობიერია, აქ, კი ფერ-
დობებზე ნაკადულები მოჰკრიალებენ. მიაკვთ
სიმშრალე, მიაკვთ გუშინდელი სისხეც, მაგრამ
მდინარეს ჯერ წვიმა თითქოს არც უგრძძვია,
იგი ისევ ისე მთვარისფერია, მოუვითალო-მო-
თეთრო და მედიდურო.

ზერა ისევ ცხენზე შესვა მამამისმა, წვიმის
წყალი ისევ ისე ჭკერებდა ჩამოდიოდა მხრე-
ბიდან, კალთებიდან, მაგრამ თვლებმა ისევ
დაიბარუნეს გუშინდელი სიცისფერე და უძირ-
ობა, ისინი შებრალებით და წუხილით მოიკიცე-

ოდნენ ხოლმე ჩემენ, შეხედავდნენ გვერდით
ქულუპით დაბიჯებულ ჩემს ქალამნივს, წველზე
სავსე ფეხებს, ჩემს მოწყენილ სახეს, წვიმის
გარეცხილი გზა ცხვარმა კილით-კილემდე გაა-
ვსო, გეგონებოდა, გზაზე ჩვენ კი არ მივდიოდ-
ით, არამედ თვითონ გზა მოდიოდა ჩვენთან ერ-
თად.

ზაფხულის მზე მალე წამოგვეწია, თავზე წა-
მოგვადგა, მთელი ღამის ნახვენი შუქ-სითბო
ერთად დაგვაუარა და სველ-სველ ზურგებზე
ორთქლის ნისლები აგვადინა.

— შუქრი, კო, დათვალე უოჩები? არიან ნე-
ტაი უველაი? — დამიძახა ბაბამ.

— მე დავთვალე, ალი ძიავ! — გადმოძახა
ცხენიდან ზერამ. — ე, აქიდან ეველას ვებედავ,
— მამაჩემს სველი უბალახი მხარზე გადაეგ-
დო, ნახევრად გამელოტებულ თავზე ორთქლი
ასდიოდა.

ცხვართა და ადამიანთა სვლამ რომ თავისი
ნორმალური ფორმა და შინაარსი მიიღო, როცა
ეველაფერი თავის ალაგას დაიფულეს, მემედი
და მამაჩემი კვლავ ერთმანეთს მიუახლოვდნენ,
დატოლდნენ, დაწყვილდნენ, წინანდელი საუბა-
რი გააგრძელეს.


შუადღეზე კახაბერს მივალწივით, ფეხებს ძლივს
მივათრევდი, საცაა, წაქცევას ველოდი, თუმცა
თავს ვიმპარებდი.

ეკალიბტებში ღარივით გაწიწული გზა სა-
ლიან მელამაზა, ზერა ცხენიდან ჩამომხტარიყო
და ახლა უკვე გვერდით მომუყებოდა, რადგან
გუშინდელივით დაცხა, თავშალი და ჩაქითა
(ლაზლის ზედატანი), ხელში რომ ეკირა, წინ
მიმავალ ჩვენს ეფვნიან უჩიას გადადო ზურგზე
და ისე მესიამოვნა, თითქოს მე თვითონ ვიუა-
ვი უჩიი.

კახაბერში კიდევ ერთხელ აღტაცებით გავი-
ფიქრე, — მეორე დღეა მივდივარ, ბოლო კი
არა და არ უჩანს, თუმცა, მინდვრის ბოლოში,
მთები რომ ილევა, ალბათ უკვე ზღვია, სულ
ცერებზე ვიწევდი, რომ უფრო შორს გადამე-
ხედა, დიდი წუალი დამენახა, მაგრამ ეს არაფ-
რით ხერხდებოდა.

— რაო იწოდება კახაბრად ეს ველი, ალი-
აღა? — მოულოდნელად იკითხა მემდეგ-მესხმა!
მაძას ხალხით აევსო თვალები.

— თამარ დედოფალს (იგი ეველაფერ ძველს,
რაც ოდნავ რამ ღირებულია, თამარს მიაწერდა)
დიდი ფელივანი ქარის სარდალი უოლია თურ-
ნე, იმას კახაბერი რქმევია, საქართველოს რომ
ჩიჩგინი დაუწყეს იქიდან (მამა ხელს იწვილიდა
ქორობის გაღმა ალაგებისკენ), კახაბერმა ქარი
აქ მიეუვნა და ამ მინდორზე მოასვენა მანა-
ხან, მერმე ადგა და წევდა დუშმანების მისახვე-
ტად, იმხელა მახვილი კონია იმ დალოცვილს,
ცხენზე რომ იქდა, მახვილის წვეკრებინა მიწ-
ას ხნავდა თურმე, გადასარევი ვაეკაცი უოფილა-
ბა! აუვა ქორობს აღმა-აღმა თურმე, მიწი-მოწია
დუშმანი და ევედა სულ ჩეკი ბაშმდინარის სა-



სავსეობა, ჩამოვიდა ცხენიდან, ამოაძრო ქარქა-
შიდან მახელი. მზეს უჩვენა, მერმე
გაღმა გახვედა მობადადებს დუღუძაბა:
— ეი, სქვენ, დეიხსმეთ, რასაც გებნევი, ამა,
აქნა ჩავასო ჩემი მახელი, ამაზე არვირ გაბედ-
ლო ფეხის გადმოიჩებოო ჩაასო და ჩაატოა თუ-
რმე... იმ კახაბერის სახელი დავარკვიო ამ
მინდორს.

— რა მაგრები ვიუვიოთ და რაფრათ... — მო-
იოხრა შეშედმა.

— რქული რომ გიგვილიტებს, ე, იმან დაგ-
ვმართა ეოლისფერი, თვარა...

— რქული? რითაა გლახა მუჰამედის რქული?
— გააძანძურა შეშედმა ბეწვისქუდიანი თავი.

— აჰ, გლახას რავარ ვვადრებ, ძაბა, ის,
ძველი, თამარის რქული, უფრო ეველა ჩვენებ-
ურის იყო და ამიტომ უველაი ერთად ვლოც-
ულობდით. მემრე ერთი ენით მოლაპარაკე ხა-
ლბმა სხვადასხვა ხალოცავი გევიჩინეთ.

— მაგის თქმა ცოდვია, ალიავ! ჩამე წმინდაა.

— რაც თავმოსტრილი ვარ, ჩამეში ვიარები,
ძამსა ხოჯინის ნათესილარში ღერ სიტუვას ვერ
ვიგებ- ტყვილი ვუქნებ თავს და ამინს ვიძახი-
რათნა იბმაროს ამფერი ჩუტი ღმერთმა? მათ-
ქვევინოს ჩემ ენაზე და ნახავს, რა გულსაც ამ-
ოვყუოლებ, რა მიკვირს, იცი? მაინც ასე აღ-
ვილია რაფერ გავამუსლიმანა.

— ვინა თქვა, ადვილიაო.

— ჩემი პაწა კვიით მივხტი, — ქართველები
უველაზე მალე მუსლიმანდებოდენ.

— საკუთარ მიწას არ მომგლიჯონო, — იმიტ-
ომ... ბაბავათანი (მაშისეული ალაგი) უუვარდა.

— ვათანი კი, ვათანზე ვართ, მარა უტხო
რელიგიაჰ ქართველი ხალხი შუაში გააჰო, ზოგი
ვადაღმა დავრჩით, მოდა, გაიმასქნილებს გვე-
ძახიან, ახლა, კვავს თუ ვიხმარო, ალაქსაც სა-
ქართველოსთვის ვამუშავებო.

— შენ ამბობ, შეიძლება მუსლიმანი იყოს ქა-
რთველი?

— ვამბობ და ვარ კიდევაც — თქვა ბაბამ.

— ალაპოლანი (ღმერთიო) — დაუქრა კვერი
შეშედ-მესხმა.

გამდნარ ასვალტზე ქალამებს ძლივსდა ვაბ-
ლიქდი, ზერაც ბერიკაცებს უსმენდა გატაცებით.

— შენ ვინ ხარ, მუსლიმანი? მკიოხა გოგომ.

— შენ?
— მესხი!

— მეც.
— ვანი? ბაბია მოგვიბრუნდა:

— რა ენაზეც ლაპარაკობ, ის ხართ, ესნა იყო-
დეთ, შვილებო.

კახაბერი თითქოს აღარ თავდებოდა,
უტებ, ბეების იქით სიყარიელე გამოჩნდა,
ცას გავდა, მაგრამ ცა მიწაზე? ბაბამ შემატყო,
ვფუსფუსებდი.

— დეინახე ზღვა?
— ის ზღვაა?
— ჰო!

— ზერაც, დეინახე? ზღვა ურფილა იქა...
ეკვლიატების თეთრ-მწვანე-მწვანე-მწვანე-
თვალებისყერი დიდი სივრცე შემოჩრილიყო.
მიწა იქ მოავრდებოდა, იწყებოდა დიდი წყალი
თანაც წყალი მოასავით მალლა იწყვდა და მო-
რიზონტს ერთვოდა.

რა ბედნიერი ხარ, ზღვა მაქ, მითხრა
ზერამ და მოიწვინა, ისე შემოჩვილა, ვითონ
ზღვა, რომელიც ჩერ კარგად არც დამინახავს.
მარტო ჩემია მხრებში ავიწიე, შევიფურე.

— მაქ და გიზიარებ, თუ გინდა, ჩამოი ჩემ,
თან და ზღვას თლათ მოგცემ — გავგულუბ-
დი ერთობს.

გაიცინა და ისევ შემომამუჟა თავისი ლურჯი
თვალები.

ქალაქი აი, იქით, იმ ბეების იქით სიყარიელ-
ის დასაწყისთანაა აღბათ, ვეუბნებოდი თავს
ხედავ? ცაში ასული კვამლი და ბული დგას, ქა-
ლაქის ბულიაო, მითხრა ბაბამ, ქალაქი სულ
კვამლი და ბული უოფილა, ვთქვი ჩემთვის, მა-
გრამ ქალაქთან მიახლოება თითქოს ამ შეჩვეულ
ცხოვრებისაგან მამორებდა.

ქალაქი ჩემს სიცოცხლეში პირველად უნდა
მენახა, მაგრამ მეშინოდა, მესხები არ დამეყარ-
გონ-მეთქი.

არაფერი ვიცოდით, ვინ ხად წავიდოდით,
ხვალ ერთმანეთს ვნახავდით თუ არა, მამაჩემ-
ზე კითხვისაც მრცხვენოდა, ზერა ბზირ-ბზირად
შემომხედავდა, ისე მიუერებდა, მეგონა, გარედან
კი არა, შიგნიდან რაცხა ვარ, იმასაც ხედავს-
მეთქი, შიგნით კი, გულში, ისეთი გრძნობები აჩ-
ხუბულიუყვენ, მერიდებოდა ამათი გამოჩენისა
და გამხელისა, ზაფხული კახაბრის ველს თუტო-
ავდა, დაუძღურებოდა, არაქათგამოცლილი,
დაღლარძული ფართო ფოთლები, მძიმე-მძიმედ,
ძლივს ქანაობდნენ.

ჩემი ხათრით ზერა უკვე რახანია ცხენზე აღ-
არ შემქდარა, მაშინ ვერ ვხვდებოდი, მაგრამ
ახლა, ამ სიშორიდან, ისევ იმ კახაბრულ დღეს-
თან რომ ვბრუნდები, ეკვლაფერი ნათელი და
გახაგებია, რაც მანუებდა თუმცა დღევანდელ
ჩემს მიხვედრილობას მაშინდელი ბაღნური,
მაგრამ წმინდა, ანკარა, კატოხანი და ბედნიერი
მიუხვედრელობა მირჩევნია...

ის ძალიან სუფთა სურვილების ამაღლებულ
მშვენიერი სევდა იყო, უსევდო სიხარული ულა-
მაზოა, უბერიოა და უგემური.

— ეველაზე უფრო ვინ გიუვარს ამქვეყნად?
— მოულოდნელად დამაჩახა კითხვა ზერამ, მა-
გრამ ამქერად ჩემსკენ არ გამოუხედავს, წინ-
ცხვრებს, გზას, სივრცეს და ბულს უცქეროდა.

არვირ არ მიუვარს-მეთქი, დამცდა და ვიგრძე-
ნი ოდნავ სიწილით შემეფაკლა ლოუა.

ბაბამ ერთხელ ერთ გაფუქებულ კაცზე თქვა,
მაგი იმ ქალს ევარობსო, შემამულა ეს სიტყვა,
კაცი ქარში წასულის ქალს ევარობსო, ესე იგი
იუვარებს, სიუვარული აქვს იმ ქალთან.



შე რადაც უფრო სხვადასხვა რამ შეძინის შე-
რასთან.

ის ხვდა რამე სიცოცხლეზედ შეუცდელად
და ძალადარა ან შემეშინება, ის ძალს ჩემთან
ვაძულებს მუდამ, მაგრამ ცარიელი ძალი არა-
ფერია, თუ მასში ჩადვრილი, ჩაბუდებული და
ჩაშუქებული არაა თვის ზერას გული.

მეკინისწყალთან მამაჩემი ფარაში შეიჭრა და
ჩემი უჩივის გამოჩინება, ცალკე გამოცალკე-
ვება დაიწყო. დაძინება შეეცა, მიდი, ვერღლით გა-
დენილს დაუდები, ფარაში აღარ შეუროოო. ვი-
რადერს მივხვდი, რას ნიშნავდა ეს.

შუქრი, შენ ახლა წავუყვანებენ. ჩვენ კი
სხვაგან წავალთ. დაიბახოვრე შესხეოში სოფ-
ელი გულითა. — თავი დაუქნე და მამას მი-
ვიშველეთ. რქებში ხელჩაღებული უჩი რამ
განზე გაეყვანა და აღარ უშვებდა.

ბაღანა ვუვიტი, მაგრამ იმდენი კი ვიცოდი,
რომ ახლობელ ადამიანს ვუმორდებოდი. ზერამ
თავისი სოფლის სახელი მაჩუქა შე რა ვქნა?
რა მაქვს, რა გამაჩნია ისეთი, რომ სახსოვრად
გავატანო?

ჩვენს დიდრქება უჩი შეფარინდი, ეღწე
სასწრაფოდ შევანსები ეუვანი, ეუვანს ისე მაგ-
რად მოვუკირე ორივე ბელი, რომ ნამცეცა-
ხმაც არ გავადებინე და მამას არ გავაგონე. ხა-
ლათის უბეში ჩავმალე და ზერას წამოვუწვი-
ე ზერა, მა ეს ეუვანინა გაატანო. — გაი-
ღიმა.

— რად მინდა, ბიჭო, ეუვანი?

— გინდა, გინდა, ზერავ, წაიღე, ეს ჩემი ეუ-
ვანია, ეს ჩემი ხმაა, ზერავ. — ზელეებს ისევ
ვუჭერდი, თითქმის ცოცხალი ჩიტი იყო და მი-
სი გაფრინისა მეშინოდა. მოხიზლული-მოღლილი
თვალეები გადაეკაფა და, კოროხთან, დილით, ნა-
წვიმარზე რომ დიდი მზე წამოგვიწია, იმხარო,
სავეც ბრავალია მომჩვენა ზერაც, ეუვანი
თავდაცვ უბეში ჩამალა: დიდრონი, ლურჯი თვა-
ლები მოახლოებული ზღვისა და დამორბული
მთების კრეტ-კრელი სიწათლებით აუფუფუნდა
სიხსლივით წითელი ბაგეები ოდნავ აუთრთოლდა.
კოპები ზერა და, შეგონა, ხაცია ხავშივით ატ-
ირდებოდა, მაგრამ ამ დროს იგი შევითრად
შებრუნდა, თავის ფარას წამოეწია და მალე
მწვანე ხივრკეში დაბატარავდა, გაიღო, თვა-
ლთაგან დაშეკრვა.

გადარეული, გაჭარბებული მამა უჩიებს
ძლივს აკავებდა, თან მიუვიროდა, მოდი, მომე-
ბარეო.

ახლოს რომ მივედი, თვალეები დამიხრილდა და
შეგონა, დაშეკრებდა, გაშლანდაცდა, რაც გალა-
ხვანე საშინელი იყო ჩემთვის. მაგრამ რატომ-
ღაც თავი შეიკავა, არ გამოეყარა, პირიქით,
როგორც ტოლი ტოლს, ისე დაშეშლანარა.

— შუქრი, ახლა აგერ სოფელში დონტთან
ავალთ, იქ ღამე გავათევთ და ხვალ, დილაზე
ხანარში გავხუვანთ უჩიებს, მიხვდი, რას გეხუ-
ვი?

— რატომ უარა მივხვდი? — ვიწყობ

— რა ვიცი, ბაბო, რაცა მოწყენილი

კვი პრადი იყო ზერა, ხომ? ეშმაკურად გამოდი-
და უჩიებს დაუწყო ზიძვეა.

არაფერა მიახსენია, შემრცხვა, ავიღეწე რა
მორჩილია ავდედვე გზის პირპირ, ბაღანების
წინა-წინა მიმავალ უჩიებს.

— ნუ მიწყენ ახლა, შუქრავ, მითხრა მოფე-
რებია მამაჩემმა, — ხვალ დილაზე ქალაქს
ხანარში რომ ჩვედენით უჩიებს, ეგები უვილი-
ოქ იქნებიან. ის ციციაც იქ იქნება, ნუ გეშინია...
ჩემსვე არც გამოუბედა, როცა ამას ლაპარა-
კობდა, არ მესიამოვნა, რომ ბაბამ ასე ზედმიწე-
უნით გაიგო და გამოჩინა ჩემი გულის ნაღო-
ლივები, ნამალ-ნაყოფილარა სიდიდლოვებ-
ები, მეორე მხრივ, მამის თანადგომა, მხარდა-
ჭერა დაავალზე და მხრებში ავიწიე, თავი მო-
ზრდილ ბიჭად დავიჭირე.

მეორე დილით, სულ უთენია გაშალვიძეს, ქა-
ლაშენების მაგიერ იმ ნათესავისაგან ნათესავი
ბიჭის ძველი ფეხსაცმელები ჩამაცვა ბაბამ.
უჩიებს რომ გავყიდი და ფარას ავიღებ, კარქ
ახალ ბლუზა-შარვალსაც ვიყიდიო, დამიბრდა.
ქალაქის ტრიბული, ბრაგარულა, გემების
შემოელი, ქვენა-გუგუნი ნათესავის ეჭოში გარ-
კვეთი ისმოდა. უწილანი ისე შეჩვეულები იყ-
ვნენ ურველივე ამას და კიდევ აქედან, შემოდ-
ან ზღვის ცქერას, იქ გემებისა და ნავების
მიმოსვლაზე თვალის დახედებას, რომ აღარაფ-
რად თელიდნენ ამ საოცარ ხანაზაზას, იქი-
არავინ არც კი იყურებოდა.

მე კი გაოცებული და აღტაცებული ვტრიალ-
ებდი ეჭოში, წამდაუწუმ აქით ვიყურებოდი.
მამის ძანალები, მითითებები სულაც აღარ მე-
სმოდა. მაგრამ ვსარგებლობდი იმით, რომ ეი-
ცოდი, სხვასთან არ გამოეყარებოდა.

დილის მჭკალ ბლონდებში, იქ, ქვემოთ გზენ-
ებითა და ზეგით სუნთქავდა ბათუმი, იგი ზღვა-
ში მიწის ზოლზე გაწოლილიყო. იმ ზოლს, გვიან
გავიგე, ნახევარწამული ეწოდება.

უჩიები ერთმანეთს ხაჩრის გადაებით, წი-
მამაჩემი წაუძღვა, ზელში ხაჩრის წვერი ეჭირა
და ექაჩებოდა. მე უკან მივუვიროდი, თან უჩი-
ებს წინ ვბიძგავდი, — ვუთხოურებდი დღეში
ბელს.

ღამით, მამას რომ დავძინა, ლოჯინიდან ავი-
პარე, ფეხსაცმით გარეთ გავიდი, მივეუღდე
ზეზე და დიღბანს ვუუუუუ ხინათლებით აჭი-
კვალეზულ ქალაქს. მოკადოვებულმა შოთელი
ღამე შეფოთავში და მღეღვარებაში გავაღიწე.
ზღვა ერთი კი არა, შემეძლო, ორი ზღვა ერ-
თად შეშეღარებინა ზერას თვალებისათვის.
იღუმელად ვიგონებდი მესხ გოგონასთან საუბ-
არს. ვხანავ, შიგვხვდებიო ის ხომ დამიბრდა, ჩა-
მოვალთ დღეში. მაგრამ რა ვიცოდი, რომ
სცენება ოცნებად დამჩრებოდა, რომ გავიდოდა
ხუთი-ექვსი წელიწადი, ის წელიწადები, რომე-
ლთა წყალი, რძე, ცრემლი, სიხსლი და უღუქმა-

სტალინი

პურობა თვითფულ ზენჯანს მინც გამოგვრ-
და, დაგვაშინებდა, დაგვაშინებდა, მი-
რე კი დაგვაიღებდა უკველსა ძირუასხა,
მშობლების მარტვენიო, ვადროთ, ვარჯით მომც-
რულს და აუხარულბედ, ვარჯით, დაუქლუ-
რებულ იმედებთან დაგვკრიდა...

ქალაქში, იმ დღით, რადღაცაირი მძიმე ნე-
თისსუნიათი ხიგრიდო იდგა, უოჩები დამჭრთხა-
ლნი და შეშინებულნი ერომანეთუ მიწურულ-
შიტყვიანნი, უხალისოდ, უნათოდ, სიკვდილ-
მისქილებით, ძლივს მიიპიჯებდნენ, კი არ
მიიპიჯებდნენ, თითქმის მივართვედით, მივბი-
ძვავდით, ქალაქის იმ ერთ ქუჩაში რომ ჩავი-
პირენით და მოები დამიშორავდნენ, ხოლო ვა-
სახელი თვალის ჩამოსახვენიბელი თითქმის აღ-
არაფერი დამჩა, უეცრად მოვიწყინე, ფიქრი
გამეფანტა დავხაწყდო, დავიკარგე, მაშინ მა-
მამ შემომიყვარა, გამომავფხილა, თითქმის უო-
ჩივით ბაწროთ მომქაჩა და წინ წაშწია.

ცოცხალი საქონლის ბაზრის წინ, პირდაპირ
რკინიგზა შემოდოდა, რკინის რელსი, ცისარ-
ტყედასავით მოქნეული, უცნაურად მთლიანი,
პაეროვანი, თითქმის მსუბუქი და მყარი, დიდი,
მძლავრი, უსახველოდ გრძელი, საიდანღაც სა-
ხლებს აქით სიღრმიდან გამოტყორცნილი, ჩე-
მკენ მოერთებოდა, იმ ორ რკინის რელსს, შავი
მყრალი ფაფით გაუღენთილი ხის მორბეზე გა-
წოლილსა, ნაცრისფერი შენობები იქით-აქეთ
გაეწია და ქალაქის გულში შეჭრილიყო.

სად-სალამთად მივორავს თურმე ამ რკინის
ლარტყებზე იმხელა რკინის ბორბლები, არსად
ვადაუხვევს, არავის დაეჩახება ვიდეკი და მო-
ლოდინით დაძაბული, შევცქეროდი იმ საკვირ-
ველებსა, რკინიგზის რელსები, ხის მყარი მო-
რები, მიწაში ნახევრად ჩაფლულები, საშინე-
ლი დუმილით დუმდნენ, თანაც იმ დუმილით
იმუქრებოდნენ თითქმის, ნამეტანი ახლოს ხომ
არ მივსულვარ რელსებთან? უკან დავიხიე, ბა-
ზრის კიშკრის ბეტონს მივეყუდე, ბაბი სულ
დამივიწყდა, უოჩებზე თითქმის აღარ ვფიქრობ,
ზერაც აღარ მაგონდება, მემედ-მესხი ხომ აქ
მოიყვანდა ცხვრებს გასაყიდად? უკან შევბრუ-
ნდი, ჩვენი უოჩები და მამაჩემი თვალთავან და
შეკარგნენ, შევშინდი, ამ უიამეთში მარტო ხომ
არ დავრჩება ნეტავი? ნუ გეშინია, აგვრ ვარო,
შეძახის მამაჩემი, მუშტარი არავინ ჩანს დედა
სულ იმაზე წუწუნებდა, ზემ ცაცს ვაპრობის ილ-
ბალი არა აქვსო, მაგის ხელში ოქრო ქორისახო-
ნავის ხრეშად ვადიკცევოო, მაგის ხელიდან
თათლსაც წყალგარეული ბეთმეზის ფასად მო-
ინდობებენ, ნახევარს ტყვილად, მუქთად გამოს-
ტყუებენ, ნახევარს ნისიად წაართმევენ, ნახე-
ვარსაც ნახევარფას დათმობიებენო.

მაგრამ მამაჩემი უურადლებით იდგა, ბაწრის
წვერები საიბედოდ ეკირა ხელში, სახეებზე შე-
პყურებდა თვითფულს, ვინც ჩვენი უოჩებისკენ
შეიხედავდა, მაგრამ ჭრჭერობით ფახსაც არა-

ვინ კითხულობდა, იქით, უსრული ვიწვე-
თთა შარდით აშმორებულნი ბაზრის ვიწვიო, კე-
თხენი საშინლად გათავზედებული, დასუქებუ-
ლი ბუზების ბოდში, ძლივს გაჯარჩე მემედ-მეს-
ხის დამტყრეული, გამრეშებული ფიგურა, იქ-
ვე ახლოს, ორი მწყემსი ბიკიც შევაპინიე.

ჩამდენიც არ ვეძიებე, ზერა ვერსად აღმოვა-
ჩინე, ბოლოს გავბედე, მემედ-მესხთან მივედი,
ვკითხე:

— მემედ ბიბია, ზერა მადლა?
— ზერა ვაგზალშია, შვილო, დედამისი მატა-
რებლით მოვა და უნდა დახვდეს.

— მემედ მარტავი იქ არ დეიკარქება? —
გამოქტვი ზემი შეშფოთება.

— არა, არ დაიკარგება, შვილო, — დამამშვი-
და მემედ-მესხმა და მუშტარს მიუბრუნდა, მას
იმ დღეს ბაზარში გაუვანილი ცხვრების ნახევარ-
ი უკვე გაეყიდა, ჩვენი უოჩები კი არავის უნ-
დოდა, რა შექნა, რით მივხმარებოდი მამაჩემს,
არ ვიცი, უოჩებიც ერთმანეთის ჩრდილებში
ფერებოდნენ, სრულებითაც არ ცდილობდნენ
მუშტარის თვალში თავის მოწონებას.

ოფლში გაღვრილი მამაჩემი თვალებს უმწე-
ოდ აცეცებდა, თითქმის ემოდარებოდა უკველ
მოსულს, მოდი, ნახე, წაიყვანე, თავად თქვი
ფასი, და ყაბულს ვიქნებ, დაგიომობ, გაგატა-
ნო, მაგრამ არავინ არაფერსაც არ ეკითხებოდა,
უოჩები კი აბაკუნებდნენ ქვაფენილზე ფეხებს,
აფრატუნებდნენ ჩიჩვირებს, ერთმანეთს თავ-
ებს უყოფდნენ მუცელქვეშეთში და ადამიანთა
განაჩენს თავგანწირულნი მოთმინებით ელოდ-
ნენ, მივბრუნდი, ისევ ქუჩაში გავედი, ისევ იქ-
ვე ჩამავალ რკინიგზის რელსებს შევხედავ, იქ-
ნებ მატარებელიც გამოჩნდეს-მეთქი.

საიდანღაც უცხო სტვენა და გამაყრუებელი
ხმაური მიახლოვდებოდა, ფაქშა-ფუქშით მო-
თიძვრობდა რელსებზე უსაშველოდ — დიდი
რკინის მხეცი და ლაუჭებიდან თოთრ ნისლებს
ისვრიდა, წინ, ვეება ცხვრის გარდიგარდმო დიდ-
რონ-დიდრონი თვალები დაებრიალებინა და
ჩამდენადაც მიახლოვდებოდა, იმდენად თან-
დათან იწრდებოდა, დიდდებოდა, მალდებო-
და, ფართოვდებოდა, ხმაური და ფაქშა-ფუქში
კი მატულობდა, ხოლო, როცა ორთქლმავალი უკ-
ვე მთლიანად წამომადგა თავზე და ჩემსკენ
ნასროლ ბულში გამახვია, უეცრად მოულოდნე-
ლი, ზარდამცემი და საშინელი ბღვილი გავი-
გონე, შიშინი და გრუზუნი უკვე თითქმის წა-
სალეკად დამეჯახა ხელ-ფეხს ვისინკავდი, ხომ
არ მომგლიჯა რკინის ვეშაპა-მეთქი.

თვალი რომ ვავახლე, წინ ერომანეთუ გა-
დამშული მწვანე ოდა-სახლები გრიალით მირ-
ბოდნენ და ღია სარკმლებიდან გაღმებული
ადამიანები იყურებოდნენ, თანაც ხელებს გვი-
ქნევდნენ, მემედ-მესხიც იქ იდგა, მიშავალ ვა-
გონებს გაჩუქებდა გაფაცოცებით, მაგრამ ვა-



ტობდი. ნაცნობი ვერავინ დაინახა, ბოლოს თავისი ცხვრებიც მამარემს შეატია და გარეთ გაჰვარდა.

მემედი ბაზრიდან გასვლისთანავე, გარეთ, ვიღაც ბიჭს შეეფეთა. უფრო სწორად, ბიჭი თვითონ შეასკდა ბიჭი შედარბაცდა და წაიქცა, ვიღაც მეორე ბიჭი ამ ჩვენს მემედ-მესხს ეტაცა და მატულებიანი ფაფახი ძირს დაუგორა.

— ჩაზე დაბალი ღობე, ხომ?! ამხელა ვირმა ბავშვი გალახე, მე შენი დედა. — მემედს უკელას გასაგონად, კარგა მაგრად შეუყურთხა და ცხვირპირში თხლინა.

მემედ-მესხი უკვე წაქციათ. ხამალა იწუკვლებოდა. გარშემო წინათ ნახულთაგანი აღარავინ ჩანდა. მემედი ძლივს აიგანგლა იმ ნაგავიდან, გაბვლელთა ფეხებს შორის ძლივს მონახა თავისი ფაფახი. წამოდგა და უკვლახგან შიტოვებულ, დაბნეული, უკან ბაზრისკენ გაძუნძულდა. უცებ უბეზე ხელი იტაცა. ხალათი მოშუქა და აუვირდა. გამჭურდეს, გამჭურდესო უკანვე, ქუჩაში შეშლილივით გავარდა. აქეთ ეძებრა, იქით ეძებრა. მაგრამ წელანდელი ბიჭთაგანი ვეღარავინ ვეღარხად აღმოაჩინა.

სალამოს, გაუიღავი უჩიები მე და ბაბამ უკან, სოფლისკენ წაივყვანეთ.

ხილზე მოცეკვავა

მეშვიდეკლასელი... მოპარულ წიგნებს ისევ დიდი გატაცებით შაბის ლელისპირას ვკითხულობ. მაგრამ ახლა ძველებურად დიდხანს აღარ ვრჩები. შინაურობა მუძალება, მეწინება, თავისკენ მჭაჩავს. მრცხვენია, მგონი, უფრო მეშინია. არა, ალბათ, მეხათრება მამაჩემისა, დედაჩემისა, ძმისა.

ძმა უკველდღე მივავრდება. — კმარა ამდენი სტავლა, აშოდი. შინას მიხედვით. წიგნები კი იქაა, კარადა გამოტენილია, ჩემსმეტე, სულერ თია, მაინცდამაინც არავინა ჰყავს კარადას შემწუხებელი.

მესამე გაზაფხულის მაისი ხანგრძლივი და ცივი წვიმების შემდეგ ამზიანდა წვიმებით გარეცხილი ჩვენი წითელი რკინის ხიდი, თავისი მალა აზიდული და გამოღმიდან გაღმა მდინარეზე ცისარტყელასავით გადაკლებული. ერთი მეორეზე ახოლხილი ლითონის მშვილდებით, გაზაფხულის ბრდღვიალა მზეზე ალისფრად აღაღლავდა.

ხიდის სასოფლო საბჭო, სკოლა და თვით ხიდიც საპირველმაისოდ ირთვებოდა. მოგვაზიანებს უამრავი ნაძვის ტოტები, შქერის, იელის ევაილები, ზოგს სად ვკიდებდით, ზოგსაც სად ვაკედებდით. აჭრელდა, მოირთო უკვლავური პირველი მაისი ზემო ხვალ იქნება.

ხვალ, მაღლა, ხიდის რკინის ანამებზე განდაგანას იცეკვებს ისმეთ წოწოლაძე, ამას უკვლა ამბობდა.

შიშის ერთანტელი ტანში მიბეზულდა. ხიდის ცადაზიდულ რკინებს რომ შეესხებოდა, წინასწარ ეშოშობდი, იქ, იმ რკინის დარტყებზე გასულ კაცს, კვეშ სადღაც ჩაყიდული, ჩავარდნილ, ლოდებიან და ღორღიან ხევში მღვრიედ მოუფეარ მდინარეს რომ წარმოვიდგებდი, გასულ ოქტომბრის დღესასწაულზე უცეკვია. მაშინ მე ვერ ვნახე, არ ვიცი, არ მახსოვს რატომ ვერ ვნახე, რა მკირდა, რად არ ვიუავი გასულ წელს საოქტომბრო სეირზე?

იუნუსაი კი, ჩემი თანაკლასელი, მოლა უედირის ბადიში, ამხედის სიკვდილის შემდეგ რომ ისევ ჩემი მეგობარი გახდა, ამბობს, ისმეთ წოწოლაძის ცეკვა ნახული მაქვსო საკვირველია, რატომ ან რაყერ დავაკლდი მე ამისთანა ისტორიულ ამბავს ხიდზე?

იუნუსაი ახლა ისეთი აღარაა, დაწყებითში რომ იყო. ახლა გამართული, ამართული, გაწვრთნილი და გადღებულა.

ერთხანს შვიდეკლასში რომ პირველად ჩავედით, აი, იმ პირველ ხანებში, მე რატომღაც ამითვალწუნა, ჩემ სიახლოვეს უოფნას აღარ კადრულობდა. მე რომ იმ საწყალ ამხედას მივკეედლე, ზურგი შემეპცია იუნუსამ მაშინ, სხვა ბევრი ბევრი რამეებიც მაგონდება ახლა, ომის მიწურულის გადარეული წელიწადიც მაგონდება, ჩვენებურებმა სახელების გამოცვლა რომ დავიწყეთ. მამულ კაიკაციშვილმა, მაშინდელმა საოლქო დიდკაცმა, წამოიწყო ეს და პირველმა თვითონ შეიცვალა სახელი, მამულის მაგიერ მამია დაირქვა, თუმცა, ამბობენ, შემდეგში იმ დიდკაცმა, იმ დროისთვის შეუფერებელი თავმდაბლობა გამომამუღვენა. — აღიარა, ეს მე ერთი პოეტის მიზანვით გავაკეთეთ. მამია მამისა და მამულის ცნებასაც ეხმიანება, ენათესავება, ექსოვება, ეკვირისტება. გაზეთში დაიწერა, ლექსებიც მიეძღვნა ამას. ზოგი ამბობდა, დასაფლავებელი ჩვენი ძველი სახელები ამოვთხაროთ და ყველამ ისევ დავიბრუნოთო, ეს თვითონ მიწამ მოგვხოვია. ჩვენმა ისტორიამ და ჩვენმა დავიწყებულმა თუ არდავიწყებულმა უბედურებებმა დაგვაკლესო. ოპ, რას წერდნენ მაშინ. ომი უკვე ნაღდად მოგებისაკენ მიდიოდა, ყველას რალაცი მოგების, ვიდაცხთაჩ გაძარტვების, დაკარგულის დაბრუნების წადილები აწვალებდა.

გაზეთებში წავიკითხეთ სევდიანი წერილები ჩვენი ძველისძველი ისტორიული მამულისაგან მონაწევრი მამულების, უმშვენიერესი კართული ტაძრების, ხიდების, ციხეებისა და, რაც მთავარია, იქით, არსიანის გადაღმა, შავშეთურუშეთში, არტანუჯ-კლარჯეთში, იმერხევში, ტაოში და, გამჩენმა ღმერთმა უწყის, კიდეც რა ალაგებში მცხოვრებ ჩვენებურებზე.

აშკარად არ ჩანდა გაზეთებში, რომ ის ძველი მამულები, სადაც უკველ წყაროს, ბორცვს, გზას, სოფელს, ქალაქს თუ შუბლგაბზარულ

ტაძარს ისევ ისე თავისი ძველისძველი ქართული ხაზიერ ჰქონა მის აზგებელ-ამშენებელ პატრონს ხალხს უნდა დაუბრუნდესო მაგრამ ჩვენ; უველანი კარგად უხვედბოდით საითაც გვეძახოდა ასეთი წერილების გამოქვეყნება.

იმათ, ვინაც ეს უველაფერი ჩაიფიქრეს, ძალიან კარგად იცოდნენ ისინი, ვისაც აგერ სამასი წელიწადია ალაგები ხელეშემოქერელი უკავიათ, დანგარზე დადებულს უკან არ მოგართმევენ, თუმცა, ჩვენი დიდი „ულვაშა“ თუ წამოიწყებს, თუ თავად გადაწვეტს და მართლაც მზინდომებს, ვინ დაუდგება წინ.

იქნებ ამდენი გამარჯვების შემდეგ იმ მსოფლიო კაცმა თავისი მშობელი პატარა ხალხისათვის მოიკალოს?

თქვეს, ალბათ, სტალინს, ბოლოს და ბოლოს, გაახსენდა, — თავადაც ქართველია. შეებრალა თავისი დედულ-მამულეთი და, ეტყობა, გადაწვეტა, ამხელა გამარჯვების ერთი მონაფრენი თავის ღვიძლს, თავის მშობელ ხალხსაც უწილადოსო, იქნებ თავისი უსაშინელესი ცოდვების მონანიებაც უნდოდა ულვაშას. მაგრამ არ გამოიღო ეს ამბავი, ალბათ, შორი მომავლისთვის გადალო ვინ იცის, იქნებ კი არ გადალო საერთოდ ამოიღო გულიდან, ვინ იცის, იქნებ, ამნაირი ნაბიჯი რომ გადადგმულიყო იმის დღესაც დაუმთავრებელი იქნებოდა, ერთი კი ცხადია, ულვაშინამა, მსოფლიო კაცმა, ისევ თავისი მშობელი კუთხის ხვაშიადები გასწირა, რათა თავისი დიდკაცობა კიდევ ერთხელ გაედიდებინა „დიდი ხალხის“ თვალში.

ვინ იცის, იქნებ იდენსაც დაკარგული ეროვნული მიწების დაბრუნებისათვის იმოდენა ღონის მხარება და ახალი ამოუხსნელი მომავლის მქონე კონფლიქტის გამოწვევა „ვიწრო კუთხურობად“ ჩათვლებოდა მსოფლიო კაცს?

ასეა თუ ისე, უოველ შემთხვევაში, ჩვენი ენაწავარდნილი მაშინდელი პრესის მიერ გვერცელებულმა „პატრიოტულმა პროპაგანდამ“ ის ერთი ზერი მაინც ჰქნა, რომ ჩვენ, დანაწევრებულ-დანაყოფ-განაზევრებულ საქართველოს შვილებმა, დაკარგული მიწების თუ ვერა, დაკარგული სახელების დაბრუნება მაინც დავიწყეთ.

სეირ-სეირ სახელებს ვირჩევდით ჩვენ-ჩვენთვის თითოეული, მოლა-უედირას ბადიშმა, ჩემმა ქიქლია მეგობარმა, იუნუსამ, მაგალითად, თავის ახალ სახელად ილია ინდომა ვინ დაუშლიდა, მხოლოდ ბაბუა მოლა-უედირაი გაჭავრდა, თლათ გავიავრება მოგინდაო, უუვირია, მაგრამ იუნუსაი მაშინ უკვე ბაბუას აღარ უსმენდა.

მეც შუქრის მაგიერ შიო დავირკვი, რას ერჩოდი შუქრისო, მაგაშიც ხომ ქართული სიტყვააო, მისაუვედურა ზოგიერთმა დუბელმა, მაგრამ სიტყვათა თამაშებში აჟოლა ჭერ ჩემი

საქმე არ გახლდათ, კალ მაშინ მარტო სახელი კი არა, ტანჯილი მოღებული და ტანჯილი წართმეული რელიგიად დანებრუნებინა-მეთქი.

მაშინ ძალიან მწუხინდა, მაშაჩემი რომ ასე წყველიდა „ულვაშთან მსოფლიო კაცს“, საუვარელ ბელადსა და მასწავლებელს, ახლა? დღეს ვრწმუნდები, ჩემი ბაბაი უველა ბელადზე შორსმჭვრეტელი უოფილა.

* * *

პირველი მაისი მოწმენდილი ციოთა და დროშებით გაშლილ-მოშარიშურე ტუეებითა და ხეებით შემოგვეგება დილიდან, მზე ჩემ სოფელში რომ გადმოიხედავს, ამნაირი ბედნიერად გაბადრული სახით, ამნაირად აელვებულნი თვალით, ალბათ სხვაგან არ იუტრება, ამ ღარდა-ღურდებში, ამ შოა-გორებზე და ამ შიმორტეკილ ფრიალოებზე რომ უუვარს მზეს თავისი სიარმის ხუტუქების გადმოფენა, ასე სხვაგან ალბათ არსად ეუვარება ნებივრობა.

აქ მართლაც უველაფერი იცის, რომ ნახაგრი და ნაბეჩავები ხალხი ვარს ამ ფუხარა ხეობებში, ვებრალეებით, ამიტომ საგანგებოდ თანაგვიგრძნობს, გვენმარება, უოველდღე დილიდან საღამომდე, ჩვენთანაა, თავს გვადგას, შუქს გვახვევს, ნაყოფებში შაქარს ურის, ბოსტნებში, სარის ღობებზე ამორებულ გაგვიებულ კიტრის ლერწებს მწვანე-მწვანე ეკლების ბუსუსებთან ჰიპაებს სახმას, ხაის ბოშორ-ბოშორ ლერწებს კი ვეებერთელა ბაებრებს უჭრდის, სიმინდებზე, ვევროების ძირა, ორპატიკებში, ჭერ თავის სხივებით ლამაზ, უირმიზ-უირმიზა კორჩებს გადმოკიდებს, მერე კი ნელ-ნელა ქუნჭლით მწვანედ, რბილად, სათუთად შეხვეულ ჩვილ ტაროებს ამოპარებს და ჩუმ-ჩუმად მზისკენ, ესე იგი, თავისკენ წაიუვანს, ტაროებს თართქალა რძიან მარცვლებს ჩაურიგებს, დააწიფებს უველაფერს, შეკაშმავს უველაფერს და მერე მოსატებ მოსატრეფად გამოგვიშვებს.

ჭერ აღლუმზე გაგვიუვანეს, მედოლედ წინ იუნუსი დააუენეს, ულაწუნა და უფრანუნასკოლაში ნაგორავებ, ცალ მხარეს გამოდღეტილ დოღზე კომბლები.

ისე არეულად უბრაახუნებდა, ორი კი არა, თხასავით, ოთხი ფეხი უნდა ჰქონოდა, რათა ნაბიჯი თითო დარაკუნებას მორგებოდა, აღლუმში ერთი ჩავლისაგან შედგა, მალე დაგვმალეს და ჩვენც სეირში შევერით, უველანი ბიდისკენ მიიწვედა, უველა იქით იუტრებოდა, მართლაც, ხიდის მასლობლად, იმ ნაპირზე, სადაც სკოლა იდგა, ჩოჩქლი და უაყანი ამოაუტლობდა, უკებ კბინმა ზორში ამოაუტუნა.

კბინის ხმა ხშირად გამოგონია, ის ხმა მართლაც მუვარებია, ცრემლიც გადმომდენია კ-



რგი მელოდის მოსმენისას. მაგრამ მაშინ, სა- პირველმაისო სეირზე, ჩვენს ხიდან განაგონი კიბონის ხმა, სულ სხვანაირი იყო. — უცნობი, თითქოს შორეული დავიწყებიდან, იქნება. უძველესი ნანგრევებიდან ამდგარი. ან სასაფლაოებიდან მოქროლილი. ამოკენებებასავით მწველი. მაგრამ იგი ხმა როდი იყო ქაბე, კინკუილია.

ეს ხმა სულ სხვა ხმა იყო. — ნელა, ღრმად შორიდან დაწინწლული თანდათან გახორბებულ-გაწვარადინებული; ლოკვასავით ცხელი და უღმობელი. ნენეს დართული ლაზლის ძაფივით გრძელი და რბილი, კვანელი გოგოების პაიკ-სარტულბივით ქრელი, ლაძაზი, ხორკლიანი, ნადლი, წრფელი და მართალი. ის ხმა კიბონისა ახლაც უფროებში მიბუფის. არა, უფრო გულში მირაკრავებს — იგი ხომ თვალთა გუგებში ტბებად ჩამიდგა, იგი ხომ შექარდილად იქცა და ჩემ შუბლზე განერთხო, როგორც შთა-გვანცას აჩრდილი ღუბის დაფრადებულ ველზე.

ეს ქოჩახელას კიბონის ხმა იყო. ქეჩხოწამონ-სხმული ქოჩახელა. საღეს ქვასავით გაღულ-გაცვეთილი. თავზე ეამთღინებით დაძნარა უფრებამოფრწილი ეხალახით, მუხლებზე შეცვეთილი. კაცის წენგოში შეღებილი ძიგვა შარვლით და ჩაღამებულ-ჩაოთუქული თვალებით მოკლეთ. მეჩხერი წვერულვაშით და გაცრეცილი, დაღლილი ტურებით, ხიდან შექუჩულ ხალხის შუაგულში ჩაიბრულყო. ილიაში მომპრო გულამოჩრდილი, თავის მოკლექარახსიანი კიბონის ტირილ-ღიღინს აუკლილი. ისე ირწეოდა, ბეგონებოდა, დედა თუშთა ჩვილს უნანიებსო, მე და თავმოპარსული იუნუსი რომ მივუახლოვდით: ქოჩახელამ კიბონი უცბად ჩააქრო. (გულდა არ დაუჩუტია. შიგ ჩაბერილი თავისივე სულს მალდა აეწია). ხალხის წრის გაფართოებას ითხოვდა. მერე განდაგანა დაუკრა და გამოიქრნენ მოცქევავენი. ჩადრებმობურული ქალები, შორცხვობით. შიშით დამხდალები, მოშორებულ მამალყო კოჟორაზე საცოდავად შექუჩულეზე წარბებზე აწეული თავსაფარებიდან, შუშის ნატეხივით მოცქირაულ თვალებს მოსეირნეულ უშიწებდნენ და, ეტუობოდათ, შეფუთულ-შეჩქეულ სახეებზე სიამოვნება-აღტაცების ღიმილები ღვარებად ჩამოსდიოდათ, თუმცა ამას ვერავინ ხედავდა). ქალები ვიცანი. — ჩვენებურები, დუბელური იყვნენ. საცაა რაიკომის მდივანს უხდა ჩამოვლო, უნდა ენახა ხელმძღვანელს. როგორაა საქმე, უხარია თუ არა ხალხს ეშრომელთა სოლიდარობის დღე. არის თუ არა წესრიგი ადგილებზე და სწორად უძღვებიან თუ არა საბჭოების თავმჯდომარეები მოსახლეობის წინაშე. სწორი იდეურ-პოლიტიკური და ბოლ-შევიკური სიფხიზლის ნიშნით წარმართავენ თუ არა სეირნობას. მთავარია მაინც, ბოლშევიკური სიფხიზლეთ არ მოადუნონ ადგილებზეო. აი, ეს მოთხოვნა ამოდრავებდა სუველია ზემდგომს.

რაიკომის მდივნის მოლოდინში ხელმძღვანელები ნერვიულად ფაციფუცობდნენ. ჩემად თავმჯდომარე საიდანაც გამოენოო და კოჟორაზე შექუჩულ ქალებთან მივარდა.

— ნუ იფურჩით ახლა თქვენ პირებს. თვარა რაიკომი მოვა და... შემდეგ მე ააფეი დამაბრალლოთ. თქვენ-თქვენ კაცებს უფროხილდით. ეს აცრდეთ!

ქალები ერთობ შეფორიქდნენ. მხრებს მოხვეულ რალაცებიდან, ზოგ-ზოგებმა ხელები ამოიძვრეს და იაზმები ცხვირის წვერებამდე ჩამოაქანეს. შუბლებზე კი უბრალოდ თითით აღმა შეაქნიეს თავსაკოკელები და გაჩერდნენ.

ჩაიქროლა და ისევ მობრუნდა ჩვენი სოფლის თავმჯდომარე.

— ქალებო, გეზნევი, პირზე აიძრეთ ეგ ფართულშები, თვარა რაიკომი მოვა და...

— ეს ნამუხის საფარია, რაიკომმა უნამუსონა გავგზადოს?

— თუ დაქირდა, გაგზდის და მეტსაც გიწამს. — რისხვა შეეპარა თავმჯდომარეს.

ამ დროს, ხიდან, სკოლის მხრიდან, „ემბადინი“ გაჩერდა. მტვრის თეთრი აფრა აიშალა და ხიდის რკინის მალლ კამარაზე და მაგრებულ ბელადების სურათად შეიღწია, საბჭოს თავმჯდომარე, მოედინი სიბილით მიიქრა მანქანასთან და გამოდებულ კართან რაიკომის მდივანს წინ გაუქიბა. მდივანი საბჭოს თავმჯდომარეზე მოდარლო ჩანდა. თანაც ცალი ფეხი ოდნავ მუხლში მოდრეკილი ქქონდა, კრისამი ნაბიჯი რომ გადადგა, აშკარად შეეტყო. — კოკლობდა.

მაგრამ თავისი თანამდებობრივი უპირატესობით და კრდევ თავისი რიხით, ხმამაღალი ლაპარაკით, ეველაფრით, ჩვენ მაინც ეველაზე მაღალი მოგვეჩვენა-კოჟორაზე მოკუქკულმა ქალებმა ლეჩაქები უფრო დაბლა ჩამოიჩოჩეს, ხოლო ვისაც ეს არ უნდოდა, პირი სულ მიიბრუნა, ეველას ზურგი შეაქცია.

მოედინმა მოშორებით მოფუხფუხეთ, ღუბის კოლმეურნეობის თავმჯდომარეს, ჩემალს, ჯავრიანი მხერა ესროლა და წარბი ქალებსაკენ რისხვით გაუქნია.

ნაშუადღევი იყო. ალღუმები რაიონში ეველგან უკვე დამთავრდა. ახლა ნამდვილი სეირნობა უნდა დაწვებულიყო.

აზუზუნდა ქოჩახელას კიბონი, აგრიალდა დოლი. ეველა ხიდისკენ იურებოდა. მე ვერ წარმომედგინა და არც მჭეროდა. თუ ვინმე იმ აუღლებულ რკინებზე გავლას შეძლებდა.

იუნუსი გვერდით შედგა, გვერდით სხვა ბევრი მოგროვდნენ. ატუდა ხმაური, ყოფნა, სტყენა. ამ დროს ხიდისკენ, მაუზერის ფართულშით, ხალხს მიამბოდა შირინ დელიძე. მაუზერი მხრებზე ირიბად ეკიდა, კამარზე კი, ცალკე ვეებერთელა სამკუთხა ტყავის ბუდე უქორწილებდა. ნაგანის მოშავი-მოყავისფრო ტარე უუნწზე მეწკვის პორწილით. თითქოს ერთგ-



ვარად ამშვენებდა შირინის შესქელებულ საქ-
დომს. კი, ბავშვი ვიყავი, მარა შეშინიშნავს. მი-
ლიციელებს მაშინ საქდომები თითქოს უკვლას
ურნაირად ნაბურჯალევი. უნაჯირებზე ნახრესა
ღამით წიწვებსა და ეწრებიან მიწაზე ნახორბა-
ალევი შქონდათ. უკვლას ხოგონებს. შნოსა და
ლაზაოს ანიკებდა ბრტყელი მხედრული ქამარი
რომელიც სანახევროდ იარაღის სიმძიმით დაბ-
და ჩამოწეულიყო.

იუნესმა იდაუვი მომარტუა და გაღმა ნაი-
რისაკენ გამახედა. ქოჩახელა და მდოღლე. ე-
კულა, როგორც იმ ქოსა ბებერ დამკვრელს
ეძახოდნენ. შუა ხილზე გასულიყვენ. ქოჩახე-
ლამ თავისი გუნებიანი და გულის ამფორიაქე-
ბელი ხორუმი ისე დაუკრა. მეგონა, მიწიღა
აღმა კი არა. ციდან თავდაღმა ხომეკალივით
ცვიოდა ხმები და მდინარის წუალიც კი იქ
დაბლა. ხიდის ქვეშ რიტბულად მილაპლაკებდა:
დაახ ამ ხორუმის მელოდისა აუწყო თავისი
ლანქერიანი ზვირთები და მწყობრი რხევა-
ცმკვით ვეება ლოდებს შორის მიედინებოდა.
უცებ დავინახე, ზედ ხილზე, ხალხმრავალი ცუ-
კვა გაჩაღდა. ხოლო გაღმიდან აღმა. რკინების
ლარტუებზე. ცმკვით ვილაგ ახტა და ასე ცე-
კვირთვ. შეუწუნებლად, აღმა და აღმა გეშურა.
კაცო კი არა ერთხანს ორ ფეხზე წამომდგარი
რომელიდაც ნადირი მეგონა.

მაშინ მაიმუნე ჩერ ნახული არ მყავდა. თო-
რემ უსათუოდ მაიმუნად ჩავთვლიდი იმ უც-
ნაურ და გადარეულ მოცეკვავეს. ისიც გამო-
მიშა თავიდან, რომ ცოტა ხნის წინ ისმეთზე
ლაპარაკობდნენ. ხილზე იცეკვებო.

მაგრამ ის ცინც ახლა ხიდის ცაში აზიდულ.
დაქსელილ რკინებზე, გამბავივით აცეკვდა.
სრულებითაც არ გავდა ისმეთ ბიძახ. ამ კაცს
ხომ მე ვიცნობდი განსვენებული ახმედის სახ-
ლიდან?

მოცეკვავე კიდევ-კიდევ აუუღებულ და მთელ
მდინარეზე ცისარტყელასავით გადავლებულ
რკინის საშინელ მაღალ ქამარზე, ხელმოუკი-
დებლად. სულ აღმა და აღმა არბოდა. თავზე
კოლოფივით სწორგვერდება. მაღალი ფაფავი
ნებურა: მოყირმიყო უღვანო მჭეში მუგუშალი-
ვით უღვიოდა, წელზე ყაბაღახი თუ ქალის
ჩვენებური სარტყელი შქონდა. ბოლოს კი. შე-
ვნიშნე, ფეხშიშვილა იყო. წითლად შეღები-
ლი რკინების ხოხოლაში თეთრი ფეხების ქნე-
ვა-ტრაილი სიხმარში ნახულს ჰგავდა, მაგრამ
უნდა ვთქვა. ძალიან ლამაზი იყო. შიში ნელ-
ნელა ჩამინავლდა, თუმცა სულ შუა, სულ უმა-
ღლეს რკინის ლარტუაზე რომ შედგა მოცეკ-
ვავე და მქლავები გაშალა, სუნთქვა შევიწინე
და გარკვევით გაეგონე საუთარი გულის
დრავა-დრუვა.

— ისმეთავ, იცეკვე ამოქნეული, ი-ცე-კვე!
— დაუძახა ვიდაცამ ძირიდან.

— მაგას ქალი კიარა, ძიავს! — წელზე არ-
ხეინად დოინჩემოკრულმა გადმოსძახა ზემო-

დან. რაღა კითხვა უნდოდა. ის მარტოაც ის-
მეთ წოწოდამე იყო. მაგრამ მიყვარდა, რამ
დააპატარავა კაცი ასე ძალიან.

მილიციელი შირინი ისე გაჩერდა ხილზე და
ისეთი ბატონკაცური იერით დაუწყო უურობე
სახიფათო რკინის ქსელზე მოცეკვავე ისმეთ
წოწოლამდს. რომ წამით წარბოდეგნა შემეცვა:
ლამ დელიძეზე, მეგონა, შირინი ისმეთს შეკუ-
რებდა, როგორც განწირულს, რომელიც შეიძ-
ლება გადმოვარდეს, ხოლო თავად თითქოს
ქვეშ უნდა შეშველებოდა.

სადაც ჩემს ფიქრებში სურვილიც კი დამე-
წინწკლა, რათა ოდესმე, კაცი რომ გავხდები,
მეც ამისთანა მილიციელი ვიყო-მეთქი. მაგრამ
მოცეკვავე ისმეთი უფრო მომწონდა. იმით ხონ
სულ აღტაცებული ვიყავი. არა, როცა კაცი
გავხდებოდი — უფრო ისმეთისთანა გამბავი,
ცეკვის გაუი და გამბედავი ვუოფილიყავი მერ-
ჩია.

ისე თავისუფლად დახტოდა ისმეთი ხიდის
რკინის ლარტებზე, რომ ხალხში ხანდახან ერ-
თიანი გმინვა იფეთქებდა.

ქოჩახელა კი, ილიაში ამოჩრილი თავისი
აყვებულელი კიბონით, თვითონაც აცეკვებული
და მელოდით ატაცებული, სწორედ ისეთის
პირდაპირ, ქვეშ, ხილზე, დათვის ბოკვერით
წახრილი დააბოტებდა და კიბონის უკველ შე-
წყობილ ამოძახილს ღრმა, მოგუდულ ამოკენე-
სებას ამოაყოლებდა. ეს იყო უცნაურობებით
და, როგორც მოგვიანებით გავიგონე, შემოქმე-
დებითი ალტუნებებით აბურდული. თანაც
უმაღლესად აწეული ხასიათი, როცა აღმაი-
ნნა, ათათ მაყურებელმა, თვითონ ავტორმა
კი, არ იცის, თუ საით მოქანებს მას შთაგო-
ნების ატეხილი წუალიდობა.

ის კი, ისმეთი, ისე ირბოდა რკინის ქირბზე-
ბზე, ისე გარბი-გამორბოდა სიგრძე-სიგანეზე,
მირს არც იუტრებოდა.

უკვლავზე მაღლა აზიდული რკინის მოხრილი
თალიდან, როგორც ვეშაპის ზურგიდან. იგი
ახლა მოპირდაპირე ნაპირისაკენ, ესე იგი, იქით,
საითაც ჩვენ ვიდევით. მოწვევითი დაეშვა და
ქვეშ ქოჩახელაც, კიბონის სულ უფრო აღუ-
ლებულ ხმაში გაბლანდული, გამოქანდა. ბელადე-
ბის ბრტყელ-ბრტყელი პორტრეტის გასწვრივ.
მან ახლა განაღვანა ახალი ძალით გაწედა, ხო-
ლო ამ დროს, ხიდს გაღმა მხრიდან კრაქაკრუ-
კით და ბრაჩაბრუხით, მაღლა აზიდული
ბტრით, მანქანა შოადგა. ირგვლივ ბორტებზე
ისევე წინანდებურად, ხიშტიანი თოფებით ხელ-
ში, უირმიზ-პეტლიცებიანი, უირმიზ-უირმიზი
ბიკები ისხდნენ. „გურძავი“ ხიდზე გასვლა-
მდე შეაუენეს.

რაკომის მდივანი და თავმჯდომარეები ადა,
რსად ჩანდნენ, რუნესამ მიჩურჩულა, უფროსე-
ბი ხაღლზე წაიყვანესო. სადღის მილიციის
ხადგომ ფაცხა-ფიცრულში მოეწყოთ (რა ვიცო-
დი მაშინ, რომ რაც ირგვლივ ხდებოდა, ოდენ-

სმე მოსაგონებლად დამპირდებოდა. თორემ უკვლავურს უფრო ზედმიწევნით დავიმახსოვრებდი).

ქოჩახელა ხიდის მოაჯირს მიასკდა. ზურგით აქრა და კიბონი ჩააქრო. დოღზე ბრახაბრუხი უმაღლე მიწუდა. ხალხიც გაიჟინდა. მარტო აკარისწყალი მიახათქუნებდა იმდენ კლდეებსა და ლოდებში ძლივს გამოტეულ თავის დაფებვილ სხეულს.

შირინ დელიძე მათურის კორწილით გაიქცა მანქანის შესასვლელად. ალბათ, ხიდზე გამოსატარებლად მიიბოდა. თანაც სირბილისას ხიდზე მდგომთ ანიშებდა, იქით-აქით მიდგილობო. უკვლად მიხვდა. „გურძავოში“ დაქერილები ისხდნენ. ძარას ფსევრზე ჩამჯდარ გლეხებს მარტო უბალახაწაქრული თავები უჩანდათ. რომელიმე თუ ოდნავ წამოიწყოდა. რათა ძირს ვადმოეხედა. ბორტზე მსხდომი, რომელიმე ურბიზ-აკეტლიანი“. წოწოლიანი კარისკაცი ხიშტს მიუშვერდა. ან კონდახს დაარტყამდა და უკანვე ჩააქენდა. „გურძავოს“ რომ გზა გაუხსნა. დელიძემ ქოჩახელას დაუყვარა. რატომ გაჩერდი. დაუკარი ახლავე და ხალხს ასეროეო. მეკიბონის თავისი წვითი. ქუთუთობებზემ ჩაქარგული. ქის წყალივით ციციკმა თვალები. წუხილით და შფოთით უკამკამებდა. მილიციის ბრძანებზე არავითარი რეაგირება არ გაუკეთებია. ხოლო შირინამ რომ ბრძანება გაიმეორა, რატომ არ უკრავ კიბონსო. ქოჩახელამ იუვირა:

— რანდა დღუკრა, ქო! ღემი კიბონი ავთა გახდა.

იუნუსამ მამინვე შემომავყირა თვალები და თქვა, მაი ქოჩახელა თავს დააქერინებს. ვატყობო. ხოლო, ამ დროს ნამდვილი დაქერილები ავსილი „გურძავოში“ შუა ხიდს გამოსცდა. ბევრი პატიმარი ხელის აშვერას ბედავდა. ალბათ ემშვიდობებოდა ხიდელეს ან რაღაცას გზაბარებდა. მაგრამ ღემი ვხედავდით. — ხელის აშვერავს უკავრდებოდნენ. დელიძემ აღმა აიხედა. იქ სიღის ანათა ბოლო წვრილ ბოგორზე გაუინულივით გაშვებულყო ისმეთ წოწოლამე და ხელა გამავალ მანქანის ძარაში იუურებოდა. ერთხანს მეგონა. კიბონის ხმას ელის. რათა ახლად აცეკვდეს-მეთქი. მაგრამ დაქერილების დანახვამ ისე წაუხდინა კეიფი: მგონი თავსაც ველარ იკავებდა. აქეთ-იქით ტორტანობდა. სხეული ძლევდა. თითქოს საცაა ჩამოვარდებოდა. თავის შესაყავებლად ბელადის ხარხოს ჩაავლო ხელი და ისე მოფამფალებული ძლივს იდგა.

— ბაბავ, ბაბი! მეც აწვიეს. აღარ მოშებენო! — გახე ღმით შეუძახა ვილაყამ „გურძავოდან“ მოცეკვავეს.

— შვილოო! — დაიქეა ისმეთამ და იქვე ჩაიჩოქა. ბორტებზე მსხდომმა ხიშტებიანმა ურბიზმა ბიკებმა მალდა აიხედეს. „გურძავოს“ წინ ხალხი ისევე შექუჩებულყო და სვლა ძალიან შენედა. პატიმარი შვილის დანახვაზე ისმეთ.

ამ თავი ველარ შეიკავა, ხიდზე გადავლტეულ რკინის თალს მიმაგრებული ბელადის კორწოვტიც მოაგლიჯა და ორივე ერთად ძარაში ჩავარდნენ. მანქანა შედგა და დაბორკილ-დასაკვლავ ხარით ხროტინი გამოუშვა. ხიშტებიანმა თოფები ამოძრავდა. ურბიზმა წითელარმიელები ფეხზე წამოიკრნენ და შეშინებულები. არავინ გაგვექცესო. ძარას ალყად შემოევლენენ, ისმეთი პატიმრებში თავის შვილს ეხვეოდა და ღრიალებდა. მომენმარეთ. ქო. მე წამიუვაით და შვილი დამიტიეთო. ხიშტებიანებსაც ეხვეწებოდა. მა, მე წამიუვანეთ, შვილი კი ძირს ჩასვითო. მაგრამ ხიდზე მოცეკვავეს არავინ უკრი არ ათხოვა. შვილი ხელიდან გამოგლიჯეს. თავად გაბორკილივით თავისსავე სამოსში შეხვეული ძირს ვადმოგადეს, თან ბელადის ვეება სურათიც ვადმოაყოლეს.

რაიკომის მდივანი და თავმჯდომარეების მივლი კამანია, პირაკვაშილებულ-ალაღლაფებულები, სკოლის ეზოდამ ხიდისაკენ ჩამოშვრივდნენ. ძალიან ეტუბობდით ჩხავრის ნამოქმედარო.

— აბა, აბა, ქოჩახელავ, დაუკარი, დაუკარი! — უვიროდა დელიძე და ისმეთას ექაჩებოდა. აღი, ისევე ხიდზე იცეკვე, ხომ ხედავ, უფრო სები მოდიანო.

მე და იუნუსაი ველარაფერს ვხედავდით. იმდენი ხალხი დაიძრა ხიდისკენ.



მერე, ჩვენ, დუბის აღმართს რომ შევედუქით და სერზე ცოტათი წამოვმალდით. ხიდის შემოგარენი კარგად, ხელისგულივით კვლავ დავინახეთ. ისეთი ჩოქოლი შევნიშნეთ, შევდექით. რათა უკვლავური გაგვეჩხია: ისმეთი მოკუზული და დასაცოდავებული, ზურგზე აკიდებული ბელადის სურათით, ისევე რკინის ასოლილ ხიდს კამარაზე აღვიოდა. აბა, მეტი ვინ შეძლებდა იმხიმალე უიამეთივით საშინელ რკინის ქიშირზე გასვლას?

ორიოდე დღის მერე, სკოლაში ვილაყამ გვითხრა გუშინ ტყეში ისმეთ-ბიძას მისივე მოკრილი ხე დაცემა და მომკვდარაო. ესე იგი, ხე მოკრა. წამოქცეულს ველარ გაასწრო და ქვეშ მოკვია?

არც უვიროია, არც შველა უთხოვია. თორემ ვილაყა უსათუოდ გაიგონებდა. არა, ისე ჩუმად და შორჩილად დანებებია პირველსავე შემთხვევას სიკვდილისას?

ფუხბარტ არავის მირდებუ

შვიდწლედამთავრებულმა წაფხული სხვა-ნაირია. ისაქმე ბიძია: ძროხები წუხეხ მთაში გადნენ, ჩამოდნენ: დღე-ღურდებში. ლეშხი, ლეშხა მობალთე დააბულღულე, მერე ამოზიდე, მერეგში (საბქელში) დაასვენე, აღი ტყეში, მოკერი შეშა საზამთროდ...

კარგად თუ იმუშავებ. ოჯახს მომარაგებულ-
მომზადებულს დატოვებ. შეიძლება ათწლეულებს
გაგონებან. სადაა ათწლეული? მარტო რაიცენტ-
რში. ან ქალაქ ბათუმში. რაიცენტრი ახლოა.
მაგრამ, რადგან შინიდან ვერ იარ, რადგან ბუ-
ქნარში ბიძა გუავს. მაინც ქალაქი გზობია.

გიშვებენ კი სასწავლებლად? ეს გერ არავინ
იცის. ვნახოთ. ამა, ზაფხული დგება. დახაშულ-
ლები ბუქნარებლები. დაუყოლებულ-დამპლობი-
ლები სადაცაა ამოფიფინდებიან აქა დუბეში.
ე. მაშინ ბაბაი მოითათობირებს ბიძაჩემთან და...

ამა, იენისიკ მიიწურა. სიმინდებმა ხაოიანი
ხაშუნა ფოთლები ერთმანეთს აუსვ-დაუსვეს,
უველა ხემაკ მოითავა თავთავის სიმწვანეთა
გაშლა-გადმოფენა. ქვეყანა სამუშაოდ და სა-
ზეიმოდ მოირთო. იწუება არდადეგები და ჩემი
მომავალი ბედისწერის გაურკვევლობაც იწუება.

სოფელში გლტეხკაცის სამუშაო დღე საათო-
ბით როდი იზომება. აქ მუშაობა მზის ამოსვ-
ლიდან მზის ჩასვლამდეა. მაგრამ მზის ამოსვლა
სინათლის პირველ გაკინკვალებას ქვია. მზის
ჩასვლა?

მზის ჩასლა, ბაბი, როისა იცი? გიტუვი
ახლა. ე, შეხე ერთი იმ გორებს. — მოიხრა
ერთ დღეს ბაბამ (კაი ხასიათზე იყო და მეც
გულით მოუფხმინე). დასავლეთიდან შორიზონტ-
ზე მოყუდებული მოები დამანახა. — ე, იმის
გადაღმა რომ მზე ჩაიმალება. ეგ ჩასლა არაა.
მერმე რამდენხანს სინათლეა კიდო ხომ? თლათ
რომ აიხვეტება სინათლე და თლათ რომ ი გო-
რები გაშვადებიან და თლათ რომ აქავრობა
იმფერ სიშვევში ჩაურყურმალდება და თლათ
რომ გედეისხმება უველაფერს შეღამების მე-
ლანი და ააფერი აღარ გამოჩნდება აქა. ე, იმას
ვუძახებო ჩვენ მზის ჩასვლას, თვარა, ამა, თვი-
თან მზის ცეცხლი თუ აღარ ჩანს და თვითან
მის ნაკვერცხლებს თუ ველარ ეცხუნები, ეს
ხომ მზის ჩასლა არაა. ეს, გეიგონე კარკა
შუქრავ. მიხდი? — დამარია ბაბამ და მხრებზე
დამიფარაწუნა წიფლის ტაკვეცივით მძიმე ხე-
ლი. აშკარად ვხედავდი, როგორ უხაროდა სკო-
ლებში სწავლის დამთავრება და ჩემი ხელში
ჩაგდება. უნა, ბახჩა, ძროხა, თხა, შეშა, მთა,
იალალები, ბარი, ნეკრი, ლეშხი საქირაა. კო-
ლექტივის ხელში რა ხელი გუყოფა. ამიტომ
უველამნა გევეცადოთო. ამას ხელი უნდაო.

ვიცი, ამ ზაფხულს აღმა-დაღმა ხათქახუთ-
კით, ტყავი გამძვრება. მაგრამ უველაფერზე
უახულსა ვარ, ოღონდ იმისი პაწაი, იმედი მა-
ინც იყოს, რომ სასექტებროდ ათწლეულები წა-
ვალ.

თუ არ ისაქმე, ბაბი, შეიკრს და ფუხარას გა-
გძრება სული. ფუხარა არავინ კირდებაო, ბა-
ბი.

ეზოდან ხმაური მოიხმა. ეზოს მოადგნენ ბუ-
ქნარელი სულია ბიძიას ქალი, ბავშვები.

შარაგზიდან, რაღა თქმა უნდა, აღმართი ფე-
ხით ამოიარეს. ჩვენებურ კარაფებზე წარბივით

გაქრულ ბილიკებზე სულსწრაფად წაიქცა
დაქანცულები შემობანკალდნენ ეზოში.

დედაჩემს ახალდანემსილი ხაშრის ლობიო
მოეკრთა და კარდალში ჩაეყარა. ხარშვის სუ-
ნი მადას მიფორიაქებდა. ნედლი პარკები შე-
შურა ლობიოსი უცებ ჩაიხარშა და წლის პი-
რველი, სანატრელი ჩვენებური მალახო დღეს
უნდა მარტო შინაურებს გვეხილა. მაგრამ ა-
ამოვიდნენ ეს ქალაქთან დაახლოებული ხათხა-
ვები და შევესევით მალახოს ერთად.

თუმცა ერთი ხანობა ჯავრი მომწვდა. — რა-
ღა ამ მალახოს მოუსწრეს ამოსვლა-მეთქი.
მაგრამ იზნაირად დამეგლანა და მომეხვია ჩემი
ტოლა ბიძაშვილი. ხმელი და ხაშვით გადაუვით-
ლებული ზაქრო, უმაღლე მოვლით, ოდნავ თა-
ვიც დავიტუქსე და, თოქოს ჩემს ფიქრებს
ხედავდნენ. — შემრცხვა, თანაც, ეტუობოდათ.
მაგრად იყვნენ მოშოებულები. სულია ბიძამ ცა-
ლი თვლი რადაროშურული კეისიკენ გააცუ-
რა, საჯის ცეცხლე დასახური თუნუქი ქვეშაც
შეიჭვრიტინა. ქალი გამოცხვა თუ არაო. შეამო-
წმა. ეს უველაფერი მე კარგად შევნიშნე და
პაწაი გავკავრდი კიდევ. ჩემ ქვეშე რატომ
იყურება-მეთქი.

მალე უველანი ლამფით შემოქვიდილ დერეფა-
ნში გავიდნენ და იქ ჩორკებზე მიმოეწუვენენ.
ამასობაში დედა ბოსტნიდან ამოვიდა. ქალი
რეპანისა და ქინძის სურნელში იყო გახვეული.
არა, რეპანის სუნი წინასწარ შემოიქრა ოდამი
და მეც წინასწარ მივხვდი. ახლა ნენიცი შემო-
ვა-მეთქი.

— აიშევი შენებურად გაეთებული მალახ-
ტონა მაქამო ხომ? შეუღიმილა სულია ბი-
ძიამ დედაჩემს და მალიმალ ნერწყვის ულაქვა
აუტუდა. დედაჩემს, შევატყვე ესიამოვნა მაზ-
ლის შექება. სექვიან სამზარეულოში შეიმალა
და, აქ, ბუხრისწან, მწვანისის რჩევა დაიწყო.
სანაყლა ქამი მე თვითონ მიუტანე და წინ
დაუფლგი, რათა საქვე დამეწინაურებინა. ქამი
გაშვებული და უამრავი წელიწადების საქმანი
მწვანილების ნაუვით ფსკერამოცვეთილი იყო.
მაგრამ ნერჩს (კურკლის ძირს შიგნიდან ფსკერს
ვეძახდით, გარედან კი — ნერჩს) გერ იმდენი
სისქე კი შერჩენოდა. ნენემ იცოდა, კახანს
კიდევ გამოადგებოდა. ქამს გარდასულ უამთა
სუნებიც ასლიოდა. მე ჩუმად ჩავსუნავდი ხო-
ლმე და თოქოს ბურუსებში უცნაურ შორე-
თებსაც დავინახავდი.

ქალის ქვეც ძველი იყო და თავისი სურნელი
ქონდა მასაც. ეს ქალის ქვა მოლად ლამაზი და
წელში გამოყვანილი არ გახლდათ. მაგრამ
მწვანისის ძლიან კარგად ჩაუვდა, ერთხელ ბა-
ბამ წყლისბირიდან ახალი წერწერა. გრძელ და
ლამაზად გამოყვანილი ქვა ამოიტანა. რანაირად
არ ატრიალა ხელში დედამ. რანაირად არ უკა-
კუნა ქამში ჩაძლებილ საქმანავებს ის ქალიქვა,
მაგრამ თავად როგორაც უნდოდა. ისე ვერ და-
ანაყა და ქვა გვერდზე გადალო. დედამ კი ისევ



ის ძველი. ხელზე და ხაზზე უკეთ შორგებულ, ულაქალო, მაგრამ მშრომელი, უაღრიანი, მადლიანი, უღალატო და მასავით ოდნავ წელში მოღულული ქალაქა ამკობინა.

უბრალო სტუმრის გარშემო სტუმრები დასვენს უკმალო ვეღარ დავეთიეთ და რა თქმაუნდა ამერადაც ზედმეტი მე აღმოვჩნდი. ნენემ თვალთი მანიშნა, შიგ ბუხრიან ოთახში შემეწვანა, მოკალულ სპიდინის საინზე დამისხა მაღახტო, ხელში ახალმოტეხილი ჭადის ეუ შემაჩერა, სექვეზე დასვა და ერთგვარი ქანცაწვეტილი მწუხარებით თუ გავრით მითხრა: — აა, სკალი!

სექვეზე ისე მოვეწვეე, დერეფანში ტაბლას შემოასხდართოვისაც რომ მეცქირა.

პირველმა სულია ბიძიამ კაი მუშტისხელად დამუქული ჭადის ნატეხი ამოუქნია ღობიოს და აგი ოთხივე თითით ძარღვების დაწვეტაშდე დაბჩენილ პარში აწივად შეაგზავნა. ერთხანს ასე პირგამოტენილი გაჩერდა, ვაისუსა, ეტურობდა, უბების ამუშავებას ვეღარაფერი ვეღარ ახერხებდა, ცოტ-ცოტა აღვილი ვადასულაპი სითხეები რომ ჩაიწუნა და პარში ოდნავ ადგილი გაინთავისუფლა, დაწვი ნელ-ნელა აუმოდრავდა და უბები მალე გამალეებით ამუშავა.

ისე, ძართალია, ლუქმებს დიდრონს ხანსლავდა, მაგრამ უკვე ლუქმას ნელა, დინჩი დაკვირვებით და ნაკმისყოფნით ამზადებდა. ფუნჩსიც რომ დავარდნოდა, მაშინვე მიძუქულ ჭადს ძირს დააწებდა არაფერს დაკარგავდა, არაფერს გააფუჭებდა, იცოდა უადრი და ფასი უველაფერისა.

ცოტა რომ სული დაითქვა, შეისვენა თითქოს, თავი ასწია, ქერში შეიხედა, კედლებს გაავლო თვალი და იქ, ახალი რომ ვერაფერი იპოვა, მამაჩემს მიმართა:

— ცოდვა ხარ, ალიავ, ცოდვა, ეს უიშლასავით ფაცხა ვერ გამეიცვალე, ქო? — შეჩერდა, ერთი კახილა ლუქმაც გადაუშვა და გააგრძელია. — ალიავ, წამოი შენც ზღვისპირებში, ალაგი იქნება, კაი ალაგი იქნება, მანდარინის დარგვა, სამ-ოთხ წელიწადში მისხავს... აქ რაითნა იცხოვრო, ცოდვა ხარ, ალიავ.

— აა, მე იქ ვერ ვიქ, სულიავ, ჩემი ხარჭი არაა ეგ შენი ზღვისპირები, ასე ფუხართ უკუნა მირჩევნია იმ უირიშ ტაბლებების კეჭევას და შინ უველდღე დუნეიდან ლუქმის ზიდვას აქ ერთი ნატეხი ჭადი სულ მექნება, ვიცო, — შეიფხანა დაწვეზე ხანგარას ბუგჯვით გაჩეჩილი ბალანი და დაუშტა: — კაი, გინდა ავიუარე მეც და წამოვდეი მაყხან, ჩაქვში, მერმე აქა-რობა სულ დაკვაროთ?

— ჰალად გაქ „აქაურობა“, თვარა კი აქ ეს კაანი, ქლე მიწა თუ ბევრი არ გაქ, რას ჭამ უნები კოლექტივმა წაგართვა, შენ რაღაი.

— კი, იქაც წვილეს, მარა იქ ნაწილი წვილა, მიდამოც რაცხას გაძლევს იმფერს, დარინაი ოქროს, ძიავ.

— ეგ, ჩემო სულიავ, მანდარინი ფარაა, სხვა რაი, ფარა ამოთ ხელში შეიძლება ქუნქულად გექცეს, რას იუიდი ქუნქულით, მითხარი, მაგას მე სიშინლით ავსებული ნალია მირჩევნია, ვიცო, ბადნებს ჭადი მაინც ექნებოან.

სულიამ ტაბლას კიდებზე ორივე ხელის თითები ამოუსვა და ადგა, ვაიარ-გამოიარა, ისევ უფროს ძმას გადაავლო თვალი და რაღაც მნიშვნელოვანის სათქმელად მიუახლოვდა, ბავშვებს ცოტა ეტყით და უნდობლად გადმოგვხედა, მაგრამ ხმადაბლა მაინც გაამხილა თავისი ხვაშაიდი.

— ალიავ, არ გაიკვირო და ერთი ჩამენა გითხრა, კოლექტივმა წაგართვა, მარა ის მიწები, უველამ იცის, მაინც ჩვენია, სოფელმა, ხალხმა, უველამ იცის, ვისი რაა, დრო დადგება, შეილება მოგვკითხვენ, რომელია ჩვენი მოდი, ალიავ, ჩუმაღ, ჩვენთვის, სიტყვებით მაინც ვთქვათ, სიტყვებით მაინც ვთქვათ და გავიუოთ ბაბასი დანატოვარი სავარგულები თუ ტუიპირები.

— ქო, ახლა იქ რომ გვეიაროთ და თვალთ ზომვა დევწუოთ, ვინცხაი მავნებელს დაგვიძახებს.

— არა, ალიავ, აგერ ვთქვათ, ძიავ, ზეპირად ვიცით ხომ უველავი ბენჩქე და უველავი ფელო, — სულიამ თითო-თითოდ, ურტე, უტჩხე ჩამოთვალა, უველა უანა, ხეხილი, თითო ძირობით გადათვლილი და მსხმოიარობა-ნაანგარიშები, გაუო-გაანაწილა, ზღვრები გაავლო, საზღვრის ნიშნები დაასახელა, უველაფერი ასე ნაწიბურ-ნაწიბურ და ნაქერ ნაქერ ძმებს დაურიგა-მიაკეთვანა, ბოლოს ხელეები ერთმანეთში ალაწუნა, თითები იმტვრია და მოისვენა, გაჩუმადა, თავიც ჩაქინდრა.

... შემდეგ კი...
აი, რა:

ბუცნარის წითელი, მწებავი ტალახი, რეზინებგამოკრებული ძველი ჩაფულები ტალახმა წამძრო და თავისთვის დაიტოვა, გაქლეტილ-წინდიახი ფები წინ ცარულად ჩამებიჯა ჩაქვის საქვეუბოდ ქებულ ტალახში, მეორე ფეხიც უკან ჩაბიჭებულ-ჩაფლულიდან ამოშა და ისიც, შეუკავებლად, ვსლიქე ათასი ფებით მოჩერქვილ მიწის მონეთალო ცომში.

შევდექი და გასტერებულ-შეშინებულმა უკან დავიწვე ცქერა, ზაქრო მახლდა იგი წინ მიმიძღვოდა, იგი ჩემი პირველი პატრონი, დამრიგებელი და ზღვისპირის ამ კულტურულად დაწინაურებული ადგილების ღირსეული წარმომადგენელი გახლდათ, იგი უველაფერს თავიდან მასწავლიდა, თვით პირში ლუქმის ჩადებასაც კი.

მე ხომ მთიელი ვიყავი, ტყეში, ობებში,

ქარაფებში. უელექტრონო. უზოო დღე-ღუ-
რლიან სოფელში გაზრდილი. აქ, აგერ ქვე-
მოთ. რკინიგზაა. რამისიგრძე მატარებელი ჩა-
ხიხრიანებს ხოლმე. აქაურობას შეძრავს ორთ-
ქლმავლის უიერი. აქაურობას მოედება მისი
დახვეული. დახუტუქებული ორთქლი და შა-
ვი. სქელი კვამლი. კვამლი ეველგან ბევრი
ჩანდა. იქით. შორს. ზღვაში შესულ ნახევარ-
კუნძულზე. მოქათათე ბათუმს თავზე ადგა
გემებისა და ფაბრიკების შავ-შავი მილებიდან
ცაში აწვარადინებული ბოლი. მაგრამ ქალაქი.
ზღვა. რკინიგზა. გემი. საშიში ხმებიც კი თან-
დათან ახლობელი. აუცილებელი. სანდო ჩე-
მიანები უნდა გამხდარიყვნენ. ამაში ზაქრო
თავგამოდებულად მარწმუნებდა: არ შეშინდე.
გული არ აივარო. ჩვენ ერთად ვიქნებით. ასე
სწავლა და კულტურულობა თუ გინდა. კვამ-
ლი და ეს ღრიალ-ღრქიალი. გრუხუნ-გუგუნიც
უნდა შეიჩვიო. ეს ჩვენი განვითარებულობის
თანმშენები ნიშანია. ჩემო შეუქრავ. ასე ალე-
რსით. ზრუნვით მიხსნიდა და მიღებდა კარს
სამომავლოსკენ ზაქრო. თუმცა. იმ პირველ
დღეს. ტალახში ჩაფლული. ვერაფრით ამოიუ-
ფანა. უკან მივიხედე. რას ვხედავ. — უსინდი-
სო ტალახი ჩემი ფეხებიდან წაძრობილ ცარი-
ელ ჩაფულებში თავხედურად ჩადენას იწუებ-
და წითელი ტლაპო ნელა. დინჯად. მაგრამ
უსაშველოდ მითანთალებდა პირლია ფეხსაც-
მელში. დიახ. ერთი შეხედვით. იგი სრულები-
თაც არ ჩქარობდა. პირიქით. მგონი. ტალახი
ერთგვარად პატივს მცემდა. — თავს იკავებ-
და. დროს მაძლევდა. რათა სტუმარს საკუთა-
რი ფეხსაცმლის შველა მომესწრო.

ზაქრომ დამიძახა:

— მობრუნდი. ამოაძვრე შენი ჩაფულები.
თვარა თლათ ჩეიძირება. კო!

— მეც რომ ჩავიძირო. ვინ ამომაძრობს მე-
რე? — ვკითხე გამწარებულმა.

რა ძალა შემიჭდა. რა ჭკვამ გამაბედვინა არ
ვიცო. — ერთი კი გადავაბიჭე. წინდია. ტა-
ლახის ფაფაში ამოვლებულ-ამოგაზილი ფე-
ხები ძლივს გადავახოხე უკან. დავიხარე.
ტლაპოწავლებულ ფეხსაცმელებს ძლივს მივ-
წვდი. თითო თითოდ. გაქირვებით ამოვწიწე.
ამოვათრიე და ისევე წინ. აღმართისაკენ წავ-
ბანცალდი.

სამშვიდობოს რომ გავედით. ჩაფულიები პი-
რველ შეხვედრილ ღელის წყალში ჩავუარე.
გავრეცხე. იქვე კვებზე დასაწრეტ-დასაწურად
ჩამოხობილები დაეაწე და სხვა საქმეს შევუ-
დექი.

— ასე! — მარიგებდა ზაქრო. ტალახი თუ
ბევრია. დღისვრები. აგერ კი გარეცხავ. მარა
შენ რა იცი. ეს ტალახი რა ტალახია. ამაში
რომ ჩაი და მანდარინი მოდის. სხვაგან სად
ნახავ ამფერი. იცი შენ თუ არა. — ეს ტალა-
ხი ოქროა. ოქრო!

გადავიკადე წუნწკლიან **საქართველო**
ვისი წინდებით მხარზე და მუსხლებამდე მარ-
ვალამოკაპიწებული შევეუყევი ბიძაჩემის სახ-
ლისკენ აღმართს.

იმ ღამეს. სულია ბიძამ. ხანგრძლივი თათბი-
რის შემდეგ. გამოგვიცხადა:

— ინდუსტრიულში მინდოდი. მარა იქ
ვინ მოგივლის თქვენ იქ სასადილო თუ რა-
ცხაა. ის. ინტერნატი. დუხუბრავენ ჭამასმინი
შკოლაც ვიახე. საკლუბო-საბიბლიოთეკოო.
ტენიკულშიაო. კო! — მე მომიბრუნდა სულია
ბიძაი. — წიგნებს ხიდის შკოლაში იპარავდი
თურმე და შედი ახლა აგერ. საბიბლიოთეკო-
ში. წახვალ მემრე წიგნის ბელელში და. თუ
გინდა. სულაც. შექამე წიგნი. რაღა გენაღვ-
ლებდა.

ავისტო იწურებოდა. გულის ფანცქალით
მოველოდი „ტენიკულში“ ჩასვლას. მაგრამ
მეორე დღეს სულია ბიძამ გაგიცხადა. ტენ-
ნიკულში სტავლას პირველი ოქტომბრიდან იწ-
ვებსო. ახლა აგერ კალათები წამოიკიდეთ და
ჩაიში წაშევით. კოლექტივის ჩაი ვკრიფოთ.
პაწა ფარასაც აიღებთ და შერე წახვალთო.
შავი „ბუხანკა“ დაგიტება. კენჭი შაქარი ლა-
ნგრით დაგიდგა. აღუღებულ თუნგში შინაუ-
რი ჩაი სეშვით ჩაუარა. დიდრონი „მასრაფე-
ბი“ წინ დაგიწყო. მალე სვით და გამოშევი-
თო. გეთობრა და აივნიდან გოდრის კრაქუნით
ეზოში გავიდა.

რისხვიან-ჭაჭრიანი ცაცი იყო სულია ბიძაი.
თვითონ ცხოვრებამ გააშწარა და გააღოზიანა.
თორემ მაშინ. როცა შინ ეველაფერს თავის
რიგზე დაიგულებდა. უცებ სახეზე ამინდი შე-
ეცვლებოდა. გამოიღანილ-გამოიღარებდა. მისი
გალიმება იშვიათი იყო. როგორც შუის გამო-
ჩენა ჩაქვის ცაზე. მაგრამ ბოლოს და ბოლოს
თუ გალიმებდა. მთელი ქვეყანა გადაწათლებო-
და. შიმშილი და გაქირვების გრძნობა უცებ
განელდებოდა. ხახითები შეიცვლებოდა. სა-
შეარსო გათბებოდა. ხოლო თავად მას. ბიძა-
ჩემს. თვალის გულები უცწურადა ლამაზი სი-
ნათლებებით ამოევებოდა. იგი ალერსიანი და
ლიმილიანი ზეიმიკით გადაუვლიდა მთელ
ოჯახს. ეზოს. ბოსტანს. ჩაის ფერდობს. მგო-
ნი. ცისკენ აქტებული თეთრი ევკალიპტები.
არც შეშად. არც ფიცრად რომ არ ვარგოდა.
უცებ ააშარიშურებდნენ თავის მოთეთრო-
მოგრძო ფოთლებს. ჩვენსავით. ბაღნებავით.
მზიარულად აჩურჩულდებოდნენ და მგონი.
თეთრი თუ ცისფერი სიმუდროვიდან ათას-
ფერადი თვლებით სულის ლიმილის დასანა-
ხად იცქირებოდნენ.

ჩაის ვება ბუჩქები ერთმანეთზე შეზრ-
დილი და გადაბმული. მართლაც გადელებუ-
ლი. მწვანე ხაზირად მოდებოდა ბეჭობს. ბუ-
ჩქებზე ზემოდან. პირველად შევხიხნე. მოსაყ-
რეფი დუეები მოწითალო-მოვარდისფროდ



შუქმოდებულები აქანკალებდნენ თავიანთ ახალმოჩიულ ნორჩ ფოთლებს და ადამიანის ხელის შესახებდა თავებს აქნევდნენ. ჭერ კიდევ უკვლავური დილის უკვამო იყო და ბუჩქებს შორის დარჩენილ ვიწრო გასავლელბში წითელი ტალახი ჩემს შიშველ ფეხებს ბიძაჩემზე უფრო უსიამო სიფიცხით ემუსაფებოდა. ალაგ-ალაგ თითქმის იხე გაჩხირებოდა. ისე გაიბოგებოდა. ისე გამაგრდებოდა. მერე მხოლოდ ჩხირით თუ გამოვფხვებდი. ხანდახან ფეხზე შემოკრულ და შემომხმარ ტალახს აღარ ვიშორებდით. პირიქით, თუ მხეც როგორღაც გამოაქუტდა. ტალახში გავდიოდით. ტალახმოგანგლულ ფეხებს ოდნავ შევიშრობდით. რათა მეთად გამაგრებულ-დამაგრებულიყო და, ასე, ფეხსაცმლის მაგიერადაც ეყუენებდით. მაგრამ თუ ტალახის იმ ნაწელში, სადაც ფეხი ჩაგრჩა, რაიმე პიწე-პუწე ან ეკალი მოუვეროდა. საქმე წამხდარი იყო.

უკვავიანი ბუჩქები, როგორც კი დუუების მოკრეფას დავიწყებდი, მთელ სხეულს მისველებდა. სოფელ დუბედან წაუოლილი ჩემი კუთვნილი შარვალ-ბლუზა და ის ერთი წუვილი რეზინგამოკერებული წულა-ჩაფულები, დედაჩემის ხელით შეკერილი მიტალის ნიფხავ-პერანგი, ცალკე იწყო. იგი ტექნიკუმში წასვლამდე უნდა შემომენახა-გადამერჩინა როგორმე.

ეს ბიძაჩემაც კარგად იცოდა და უფროთბილდებოდა, რომ შინიდან წამოუვანილი ჩასაცემლები არ გამფუტებოდა. თორემ მაშინ მას მოუწევდა ჩემთვის რაიმე ახალი ეყიდა. ეს კი ჭერჭერობით, სახამ ჩაის სეზონი არ დამთავრდებოდა. სახამ თავის ახალგაზრდა და ამიტომ მცირემოსავლიან ბალიდან მანდარინს არ ჩააბარებდა. ბიძას ამის გაკეთება არ შეეძლო. ფარა მარტო შეკრის და შავი პურის საუილდად ძლივს მოენახებოდა.

ბიცოლაჩემი, რომელსაც ქმარი მხოლოდ „გოს“ ეძახოდა, იაზმის უურში ინახავდა პურის ფულს. დილაზე ბიძაჩემი გადაუძახებდა:

— გო, შეიტაი ფარა, პურიანა ამვეტანო.

ბიცოლა უშაღვე ახაქუნებდა იაზმის უურში ბურდებს. გამოარჩევდა იქიდან ზუსტად იმდენს, რამდენიც ერთი „ბუნანკისთვის“ იყო საჭირო და დაფხაჭნილ-დაჭლურკულ და დაშავებულ ციციკა ხელისგულს ქმრისკენ გაიშვერდა.

ერთგვარად მერიდებოდა. უფრო კი მრცხვენოდა, რომ იმ პატარა ხელისგულზე, რომელზეც რელიგიურ რუკასავით, თითქოს მთელი ჩაქვის მიდამოები, თავისი უღვეელი წვიმებით მიმოდვარული, დაფხაჭნილ-დახენდეკებული და ტალახებით ნაწელი ზედაპირი იყო გადახატულ-გადასახული. აი, ასეთ საცოდავ, ნატანჯ ხელისგულზე, ჩემი სარჩენი გროშიც იყო. ჩაის ვკრეფდი და ამეებზე ვფიქრობდი. ზაქ-

რომ მიჩვენა თავიდან, როგორი დუუები მომწვევია. სამ-ოთხ ფოთლიანი წვერეტაყმა. წყაანწყაყით, სულ უფრო ჩქარ-ჩქარა ვწუვიტე და ვწუვიტე სულ უფრო შევეჩვიე. შევივხეე, შევეწუვე, ერთხანს კიდევ მომეწინა ამნაირი სამუშაო. ეს უფრო სუფთა და კულტურული მომეჩვენა. ვიდრე ჩვენებურ ზემოაქარული სოფლების კოლექტიურ უანებში თანბაქოს შეტეხვა.

მაგრამ მეჩაიე ქალების ხელები რომ დაეინახე, ქალის საჩვენებელ და ცეროთითებზე რომ ჩაქუპრებულ-დაბზარული სკელ-სკელი კოჭრები დაეინახე, როცა კალათების სიმძიმით გადრეკილი წელი და ნადრეყად მოხრილი ზურგები შევნიშნე, დაუვითლებულ-დასევდია ნებული სახეები, დაფხაჭნილ-დაშავებული მგლავები, უღმილო სახეები ვიხილე. ჩვენებური ქალები შემეცოდნენ, გული დამეწვა.

მაშინ შეიძლება მთლად ბოლომდე ამაზე ვერაფერს ვასკენდი. აღბათ, მერე, მოგვიანებით, უფრო მიმხვდართავან მეც მივხვდი, რომ ჩაის გაჩენიდან, მონურმა მძიმე შრომამ, იევირგან ჩვენებური ქალი მთლად დაამახინჯა დააგონჯა, დაასწულა.

იმ საღამოს ამისი თქმაც კი გავბედე ბიძაჩემის თანდასწრებით, როცა ბუჭებთან დრიკე მაგიდას ვუსხედით. შავი პურის მოზრდილ ნახეთქებს ვილუქმებოდით და ქაქუჯა მღელარ მაშრაფებიდან ჩაის ვხვრებდით. მოეწონა ჩემი ნათქვამი ბიძას, შემომხვდა, მგონი გაიკვირვა კიდევ, ჩემს ხაპერა თავში რომ ტყუის ნამცეცი იპოვა.

შორიგი თქეში ცხელი ჩაისა ხმაურით რომ გადაარბენინა ხახაში, უღვაშზე ცერი გადაიქრა და თქვა:

— შუქრავ, ბაღნებმა არსად გამამფლავნოთ და... თურმე, აქ, ჩაქვიში, ჩაის რგვა რომ დუუწუნიან, რუსხემწიფე ნიკოლას უთქვამს, მაგ ჩაის მონური მუშაობა ჭირია, ქართველი ქალები აზიზები არიან, მეცოდებიანო.

წითელმა ტალახმა, წაქეურტა მთახის მსუსხავმა ბოხვამ, დაშხამულმა ევავმა, თვიარ ჩაის ბუჩქების ქვეშებიდან გამოშვერილმა წამხმარმა ჭვერებმა ისე დაგვიფუფულეს წვივები, ბოდოს და ბოდოს, სულია ბიძას შევებრალეთ და, ერთ დღეს, კაიგაუოლა ფიქრის შენდეგ თქვა. ბერძენ ბრისტოს „პაგრიშკის“ ქალამანს შევაკერიებო.

„გურძავიკის“ საბურავს გახლეჩდნენ რამდენიმე ფენად. გარეთა დაკბილულს საძირედ, თხელ, შაფებიან შიგნითაებს კი საპირედ იყენებდნენ. ხოშორი, გასანთლული ნაგრები შეედით შეკერავდნენ და გეჭლარკუნებია რამდენ გინდოდა, მთელ წელიწადს გააძლებდა. მაგრამ ფეხებსაც ჭანს გააცილიდა. პირველივე დღეს კარგად გავიცანი ის „პაგრიშკის“ ქალამანი, რეზინამ საშინლად მომატხუნა, ფეხის

ეროვნული მშენებლობა

უღლები დამიოფლა და სიცხე მუხლებამდე შე-
ეკიდა. მართალია, წყალი გარედან შიგ ვერ
სედიოდა, მაგრამ რაც გინდა, — ფეხს საკუ-
თარი წყლები გამოადინა. მუხლები და წვივის
ქსლები — მატინა. შემდეგში ძველი დაწლივ
წამლები მომიანა და დიდებენ. რომელიც იმ-
ხად სულიანთან ცხოვრობდა.

როგორც კი დიდებენ გამოჩნდა, შინაურო-
თის საქმეები და მოყუა ოჯახის ესე იგი, ბუ-
ნოთან საცხოვრებელი საშარათი წვე-
ლები მის ხელში გადავიდა. ბიკლაჩემი ერ-
ადურო ძროხას დაბლა, დელიანბირს, ჰატარა
სამოფარზე ჩაიყვანდა. იქ თოკით დააბრუნა,
თომ სხვის საქარბიდაშოში არ გადასულიყო.
ერხანს ძროხას მიუყვებოდა, თან ჰალაქებს
უკანასკნებოდა ცხოველს აქ კი, შინ. უველა-
ერის დედამთილი ულოკებდა ეს ერთადერთი
რადი-დელიანბირი შაგონდება ცხოვრებაში.
ბომლებიც არ კინკლაობდნენ, მშვიდობიანად
ანაარსებობდნენ.

სერი რამ შვირს, — არასოდეს არ ვიცო-
დი, არც მიკითხავს, არც მსურვებია მცოდნო-
და ხანდელი სახელი დიდებენსი. მას უველა-
ნი დიდებენს ეძახდნენ. შინაც და გარეთაც,
ბავშვებიც და ბნიერებიც, არც თავად ისეუ-
ლობდა, რომ მისთვის ხანდელი სახელით მიე-
ბრთა ვინმეს.

როგორც იქნა, სექტემბერი მიიწერა და და-
არსული-დაცქვილი ფეხები აბილ წყალში
ჩაჯავსოხინეს, რომ დაბანილები და ახალწუ
დაჩასმულები ქალქში წასასვლელად მოვშა-
დებულყოვიო. ხელების მდგომარეობა კიდევ
უფრო გონჯად იყო ჩაის დუაების გამუღმე-
ბელმა წვეუტამ საჩვენებელი თიხები ორავე
ბელზე დააბოხრა დააკურა, დაშავა, დაატე
შე ისე, რომ რამე საგანზე შებებისას ვედა-
რავერს ვგრძობდი, ზაქროს დედამისი ეხმა-
რებოდა, მე — დიდებეი, სულია ბიძია ხადა-
მის კანტორიდან ამოვიდა, ვარშამს მიუქდა,
ფიშობიერა ავალბიის შეგებოწმა და გე-
ახნა.

— შკოლაშია ისტავლო კარკაი, თუკა
ტრიფოლიატის ქობით ამოგდენი უკან და ხაი-
ში შეგერი მო, ამფრათ ვიქ ესხა აყოფდესი.
ტრიფოლიატი უველაზე შაგარეკლიანი და
უველაზე მიუყარბელი ბურქია, რასაც დობე-
თაც ჰმარონენ. „ტრიფოლიატი“ ადვილად და-
კლორიტულად დამკვიდრდა აქაურთა შტე-
რელებში და თითოეული ამ სიტუაციას რაც შე-
ეღებოდა ხშირად წარმოიკვამდა თავისი განა-
კლებულობის და კიდევ რაღაც უკეთესობათა
კამოსახენად.

ერთ დილას, ჰვენ-ჰვენი წინდა-წულები, კი-
დედ მცირე რამ ბარხანა გამოეკოკეთ, ბობჩე-
ხად, წამოვიკოსკოხეთ მხრებზე და ჩაქვის
წაიფელტალანთან თავადამართში დავეშვით,
ბუქარის პლატფორმასთან, დელის წყალში

ფეხები დავიბანეთ და ახლა უკვე საუბრელი
ახალ ამოწმწალ წინდაზე ვიფელტალანში
ვიცვიო.

ამ დროს შატარბელმაც მოაკვირა სული-
ბიძა წამოიჭრა, ზელი წაატანა ზაქროს და
თითქმის სიბილით გაიქცა რინიგზისაკენ, აქ
მხოლოდ შეჩერდებოდა შატარბელი და იმწამ-
სვე დაიძრებოდა, ამიტომ საჭირო იყო ფი-
ზიკური უტრადლება.

შატარბელის გამოჩენა, მისი ჩავლა, მისი
ხმა, ხალხის ჩოჩქილი, რაღაცნაირ გამაუცხოე-
ბულ განცდას აწვევდა ჩემში, თითქოს ჩემს
ირველივ არსებულ სინამდვილეს მომწვევებდა,
სრულიად უცხო გარემოში მომაქცევდა, ამ
გარემოში თავისთავადაც სხვა ვიყუო ესე იგი,
ჩემი თავი ვიღობ შატარბელოდა, ვეძებდი წი-
ხანდელ, შეჩვეულ და შეუღრო თავისთავადო-
ხას საკუთარ მეს იმ მეს, რომელიც შატარ-
ბელის გრუბუნმა და მის მიერ მოტახილმა სა-
მუარომ წამართყა, ველარ ვაყოულობდი, ამი-
ტომ ვიყუო დაცარბილებულს, დამფრობადი,
დამბული.



ერთი სიტუატი, იმ საზიზღარ შატარბელში
სულია ბიძას წინამძღოლობით ჩემი და ზაქ-
როს პირველ გამგზავრებამდე ვერ კიდევ კაი
ხანი იყო დარჩენილი. როცა ვერ ისევ ჩემი
სოფლის თავში, ზეგნის წიფხარში უროკო
ხეებს ხელ-ნელა ვჭრიდი, წვერებამდე ვატიტე-
ლებდი (აქა-იქ ხომ მაინც უქნებოდა თითო-
ორილა ტოტი) და სახორხილაში შლიგინით
ვაგზავნიდი თავდაღმა (მაშინ ტუის უუაირათო
გაქრის და, როგორც ახლა ამბობენ, ბუნების
გაჩანაგების ამხავი უცნობი ბელი იყო უველა-
სთვის, ბოი უშეტეს ჩემთვის).

ერთი რამ კი მაინც მიკურდა, თუ მომწონ-
და, ეს იყო, მაშინმის თქმით სოფლის სიყო-
ცხლის ბელულებლობის აფცილებლობა, მა-
რადაც მთელი სოფელი სოფლის თავზე შერ-
ჩენილ პირველყოფილ ტუეს, დაფიცულივით,
ანაზავდა, აოწესაც არავინ გამოტუებდა.

ახლა კი თვალწინ გვეცლება ბუნებაც და...
მო, ნერწებო წიფლის მორებს ვახორხილებ-
დი დაღმართში

იქ, ხაბაყვის კორდებზე, შესადამოვებისას
ჩავალ, ტუეებს ერთად მოვუტყავ, ერთმანეთ-
ზე დავაწვენ-დავოაკრავ და, მიდლილი, ერთ
ტუეს მაინც გამოეცხვირავ, ტუელის წირებს
გამოვბამ და თან წავთრებ შინისკენ —
ვუჭირობდი, ეს ტუეი ჩემი დღიური ნამუშევ-
რის ერთი პატიოსანი წარმომადგენელი, ცხოში
შეძავად კატრის ფესვებით მოხლიბულ ბილი-
კზე გაწვარადინდება, რათა ხენეს და ბაბან-
ოდნავ მაინც შეებრადოს ჩემი თავი, ხოლო
მურთახას დაუშტკიცოს, რომ მისი ძმა, შუქტი,
არც ისე ბაღბურად ექცევა თავის ოჯახურ

ვალდებულებებს. ა. ნახოს, — რაც შევიძელი და რაც მოვაფურე. ესაა ნულარ დამაუყვდრისა. ოჯახი მთლად მე დამაწოლემ და შენ კი სასწავლად გახსი ქალაქშიო.

* * *

და... ეს იყო ქალაქში მატარებლით ჩემი პირველი ჩასვლა. მაგრამ რად გინდა. — იღბალი არ მიმართლებდა. თავიდან ნამდვილ ვაგზალში ვერ მოვხვდი. რომ მშვიდად ავსულიყავი ვაკონში. ახლა კი ნამდვილ სადგურამდე აღარ მიმიყვანეს. მშვიდად რომ გამეცვლო ვაგზალში მთელი გზა სულია ბიძიამ ეს იძახა, „ტავარშინა ჩვედეთ“. შიშით მაშინ ვერ ვკითხე რა ჭანბაა. ეს „ტავარი“-მეთქი. მერე ყველაფერს კი მივხვდი.

„ტავარი“ ის ადგილია თურმე. სადაც ნამდვილ გაჩერებამდე მატარებელი შეჩერდება. თითქოს სულს ჩაითქვამს და ისევ იმავე წაშს დაიძრება. უმრავლესობა ჩამსვლელებისა „ტავარში“ ჩასვლას ვერ ასწრებს, ბარჯ წინასწარ ძირს ურიაან. მაშუთიან ხრემებზე თუ ეანგიან გაკვარტლულ რკინის ნამსხვრევებზე, დააგდებენ და მერე თვითონაც ჩახტებიან. სულია ბიძამ თავის ტომარასთან და რაღაცებთან ერთად, ქერ ჯაქრო და მეც ჩავვიშვა. ხოლო შემდეგ მძიმე კრპუნით აძრული მატარებლის კიბიდან, თავდაცვ ჩამოვხატა და, რავარც იქნა, იღნავ წავფორხილებული. გაშავებულ-გახოშრებულ ბოძს რბილად მიეკახა. ავკრიფეთ ჩვენ-ჩვენი ბოხჩები და მაშუთებით მორწყულ ქვიშაში, რომელიც ფეხის ჩაბიჭებისას მართლაც მკვდარივით. ხმასაც ვეღარ იღებდა. ესე იგი, სრულებით არ ბრახუნობდა. ჩვენ, ქურდობიდან გაქცეულ ბოშები. მთავარი კუჩისაკენ მოვუსვით. გამულდებლული ბათუმური წვიმებით მოჩუბილი ასფალტი შემებრალა ჩემი ტალახიანი ფეხების დასაბიჭებლად.

ერთ მწკრივად მივაბიჭებლით, წინ, — სულია ბიძია, მერე ჯაქრო და მე. ისინი წინ. ძალიან კარგად უქცევდნენ გვერდს პირაქეთ მიმავალით. მე კი სულ ვიდაცას ვეჩახებოდი. ბოხჩა, მართალია. მხარზე მეციდა. მაგრამ მხარი ჩემი საკუთრება არ იყო? — საითაც მიხლოდა იქით გავწევდი. გადასარტვია, იქით, საითაც ჩვენ მივდიოდით, არავინ მიდიოდა, ყველანი აქეთ, ჩვენს შესახვედრად მოისწრაფოდნენ. რამდენსაც შევდიოდით ქალაქის სიღრმეში, ხალხი ბრავლდებოდა. მე კი ძალიან ვდლოვდი. მეშინოდა. — წინ მიმავალი ბიძია და ჯაქრო არ დამეკარგა. სულია ბიძას უკან ერთხელად არ შემოუხებდავს. რა კირში ვიყავი. არ უკითხავს; მაგრამ ერთგან, ვიყარე ჩავრი. — ქალს დაეკახა და, რაღა თქმა უნდა, იძულებულ იყო შეჩერებულიყო. ქალს ხელიდან საწამთრო დაუვარდა. ასფალტზე გასკდა. იჭაურობა მოისპარა. სხვებიც შეჩერდნენ. შექუჩდნენ. შემფო-

თდნენ. მალე ხალხი თავთავისი გზით გასულიყო და.

ის ქალი კი, ვისაც ბიძაჩემი დაეკახა, იდგა და იმსიფართე იყო. მიველი ტროტუარი თითქმის გადავცემა. მომჩაობა გააჩერა. სულიამ გზის გაგრძელება ინდომა, გაუზვია. გვერდი აუარა თითქოს. მაგრამ ქალი პირდაპირ ეელში წვდა ბიძაჩემს და თავისკენ მოაბრუნა.

— საით მიბრძანდები. აღა?! — მამაკაცის ხმით, თანაც ჩახლეჩილი, დაფუშული, ხოშორახმით შეუქაბა დასაცოლადებულ ბიძაჩემს სულია ბიძამ ერთი კი უმწეოდ გადმოგვხედა შიშით და უბედურებით დამღროხალ ბიჭებს და თითქოს ჩვენგან შეედა ითხოვა: ჩვენ კი, დაბნეულ-გამოშტერებულები. ყველაფერში მხოლოდ უფროსის, სულიას, იმედზე ვიყავით მიხდობილები.

რაღა უნდა გვექნა, რაფრად უნდა მივშვედებოდით. — ჩვენ. მეცა და ჯაქროსაც, თავდაცვ კი გვარიანად შეგვეშინდა. რადგანაც სულია ბიძაზე დანატაკებმა ქალმა იმეტირე თვალებით გადმოგვხედა. იმისთანა ფაშვიც უფაშვადებდა, მეგონა, თითო ლუქმადაც არ ვუყოფით-მეთქი.

ამიტომ ენაჩავარდნილები თვალურს ვადევნებდით მოვლენათა შემდგომ განვითარებას.

მართალი ვითხრათ. — ზიგნის ტყეში. წიფლების კრისას რომ მცოდნოდა, რაც მომედოდა, ქალაქის სასწავლებელში წასვლის შემდეგ, უარს ვიტყუდი სწავლის გაგრძელებაზე. დავედებოდი ჩემ ხმელ სექვეზე, ბუხართან და ნენე ბაბას მოვუვლიდი. — საკარმიდამოს მოვასხრიდი, კოლექტივის ენებში ვიუჩადებდი მუქთად (მაშინ შრომადღეზე არაფერს აძლეოდნენ მაგრამ საკარმიდამო რომ გქონოდა, შრომადღე უნდა გამოგემუშავებინა), მოვიყვანდი ნენეს მიერ გამორჩეულ ქალს, ავბდილი პირზე. გადავბდი ლეჩაქს თავზე. სათა კულტურული უოფილიყო და, ვიქნებოდი სოფელში სოციალისტური ცხოვრების აქტიური მშენებელი.

მაგრამ ქერ ამეებზე ზომ არ ვფიქრობდი ეს ყველაფერი ხომ ქერ წინ იყო. მოსახდენი იყო. ქერ ზომ ისევ ტყეში. წიფლის ტყეებს ვჭრიდი. ხოლო რასაც ვყვები, ეს ყველაფერი ქერ კიდევ უნდა მომხდარიყო. ხოლო ტყეში, წიფლებში, წიფლების კრისას, უცნებ ენაზე ისევ დამაფრინდა ერთი ჩვენებური სასიძღვრო თუ სალიონებელი კუპლეტი და მთელი დღე ვეღარ მოვიცილე.

ყველა ხე რომ აყვავილდა, შეხ რას შობი წიფელა, ერთი მაინც მაკოცნებ, ჩემო ლოყაწიფელა...

რაზეც არ უნდა მეფიქრა, ლექსი მაინც მიმეორდებოდა და მიმეორდებოდა კვიაში. არ იქნა, ვერ მოვიცილდი. მერე, ერთ ჩაფიჭრებაზე, მართლაც მომინდა ის „ლოყაწიფელა“ ხე.

ტა ვინ იქნება ჩემი ლოყაწითელა? თუმცა ისევ მოსახდენი მაგონდება...

ქალმა ბიძაჩემს ხელი არ გაუშვა, ჩაბლუჯა და ჩაბლუჯა საკისური. თან ხიხინით ემუქრებოდა:

— რას გიწამ, ალა. იცი? დაგაწვები წეიდან და ეიმ უალფუზივით (საწამბროსხავით) დაგფუშავ-დაგაპნევ აქვე.

ვიღაცამ ხმამაღლა ჩაიკისკისა. რა აცინებდა იმ ვიღაცას, ვერ მივხვდი, იმხელა ქალის წევრიდან დაწოლა ღმერთმა აგაშოროს. თორემ კაცს მართლაც ვაგლესავს ეს იბრეთობა, — ვფიქრობდი.

ამ დროს, ერთი საშინლად იქეჯა და, იმწამსვე, მეგონა იქვე აუღლებული ძველი ფალანცხა სახლის აივნიდან ტაშით წყალი გადმოაქციეს-წუთქი, — დაუშვა ყიამეთი წვიმა.

— მომეცი უალფუზის ფარა თვარა დაგდექავ, ალა! — უვიროდა ბოშორი დედაკაცი და ახალმოკრილ წასაკეც ხეხავით აქეთ-იქით აქანავებდა ბიძაჩემს. რაც ბათუმის წვიმა იყო, მეგონა სულ იმ ქალს ეხმებოდა, იმსიფართო იყო, რომ მართლაც ეველა ცის წვეთი იშვს სხუელზე პოულობდა დასაცემ ალაგს, მხრებიდან, თმებიდან, უალფუზივით მომრგვალებულ მკერდიდან მოწურწურე წუნწკლები კაბის ბოლოებს ღვარებდა ჩამოსდიოდა და, არა მარტო სულია ბიძას, მგონი ეველას წარღვნას გვიკადდა, შეველა კი არსაიდან ჩანდა.

მაშინ სულიამ, ვხედავდი, ცალი ხელი ძლივს ჩააპარა შარვლის მარჯვენა კიბეში და ორი დაქმუნული ხუთმანეთიანი ქალისკენ მომუქულად გაიშვირა, ქალმა მტაცებელი ფრინველის ნისკარტით ჩაქრა ხელი ბიძაჩემის ხელში და ახლა თავისი მომუქული ხელი კაბისკვეშ გააქანა, სულიას ხელი უშვა, დაიღუნა, კაბა მალეა ვეება მუცელზე ამოიხვეტა და, ეველას თვალწინ, ბიძაჩემზე წაგლეჩილი ორი კლურკი ქალადი თავისი ნიფხვის ხვანჭარში ჩაიქენჯა და წვიმაში ფრაწაფრუწით წავიდა.

სკოლასთან მისულებს უკვე ბევრი მშრალი აღარ გვექონდა. მე და ზაქრო შენობის კედელთან, მაღალი აივნის ქვეშ შეუუღლებულები დაგვტოვა ბიძამ. თვითონ დირექტორთან შევალთ, ვაგვეტალა, იქ იმდენხანს ვიდექით, წვიმამ გადაიღო, ცაქ მოიწმინდა და ჩვენმა ტახსაცემლმაც შრომა მოიხრულა.

ეტკობოდა, სადღაც ახლო პურის დუქანი იყო, უკველ ჩამომვლელს ილიაში ამოდებულნი პური მიქონდა, ექ, ერთი ეს თითები ჩამაყოფინა იმ პურის თეთრ გულში, ამომავლექინა მოწრდილი ნახვრეტებიანი ნაფრენი და პირში ჩამადებინა მეთქი, — ვოცნებობდი ჩემთვის ჩუშად.

ბოლოს გამშრალი და გაღიმებული (ეს იშვითად ხდებოდა) ბიძაჩემი გამოვიდა, თანაც ერთი მრეში, ხმელი, მაღალი ხეშტერა კაცა გამოქვა, წამოიღეთ ბარგი და წამომეყვითო.

გვიბრძანა და ჩვენსკენ არც მოხმობილა. ქუჩაში გაურკვეველი მიმსივრელებით წავსვკანა.

კაიხანს ვიარეთ, ხურმებით დარდილულ ეზოში რომ შეგვიყვანეს, დაბალი, ფიცრული ფაცხიდან, შავებში ჩაცმული, ჩამრგვალებული, შეწუხებული დედაკაცი გამოგვეგება. მოპირდაპირე მხარეს, შუშაბანდისკენ წავიკიდვა, ეტკუობოდა, სკოლა მისგან ქირაობდა ოთახებს, შიგნითა მოწრდილი ოთახი, ესე იგი, ნამდვილო ოთახი, სტუდენტებს უკავიათო, განაცხადა ქალმა, თქვენი ბიჭები, აგერ, აქ იქნებიანო და მიგვითითა რკინის ორ დაეანგულ საწოლზე, შუშაბანდიან (შეენიშნავ ალაგ-ალაგ შუშები ჩატეხილი იყო) ლოჯებში იცხოვრებენო ის, სიღრმის ოთახი, უფრო მყიდრო, საიმედოდ დაიული და მკვიდრი მომეტევენა, მაგრამ ჩანდა, იქით ჩვენი გახედვაც კი დიასახლისს აჯავრებდა, ასე იყო თუ ისე, იქით რომ გავიხედავდი, წინ ამეფარებოდა, აქ გრილა, თან სინათლიანია თავისი შემოსასვლელ-გასასვლელი ექნებაო, არავის შეაწუხებენო, ხომ იცითო, ბიჭები არიან, ამხანაგები მოუვათ, იხმურებენ და რაცხა, რაცხა ამფერებო, გვიმარტავდა ქალი, რა ვქნა, მივირსო, ვაკვირბოდა დიასახლისმა, მიიხედ-მოიხედა, ეველანი სანდოდ ჩავგოვალა და შევკრივალა, მუფლზე დამიპატომრეს და მივირს, თვარა ოთახს ვინ გაიური გააქირავებდაო, ბიძაჩემმა უცებ მიგვითითა, აგერ შენ დაწვები, იქით შენაო.

მე შუშაბანდის მხარეს მომაკუთვნეს საწოლი, ზაქროს მოპირდაპირე ურუ კედლისკენ, ბიძჩაჩემ საწოლზე დავსვენე და უფროსების ლაპარაკში ერთი ჩამოქდამა ჩამოვქექი, როგორც კი დავქექი, საწოლმა ისეთი ღრბაქი-ღრუქი ამოიუშვა და ისე ღრმად ჩაიწია, შემეშინდა, ქვესკნელში არ ჩავარდე-მეთქი და სწრაფადვე წამოვიქერი, მივბრუნდი, დავხედე, ის ალაგი, წელან რომ ჩემი გახმბარ-გაფშეკილი საქდომი დავდე, კარგა ღრმად ჩაკიდულიყო, მე, ძელის ხმელ, მაგარ სექვეზე ნაწოლი და ასე გარდიდ ბიჭს რა მესმოდა კულტურული, ქაღაქური რბილი საწოლებიანი? ვიფიქრე, ალბათ ისე რბილი და ისე ნაზია ჩემი საწოლი, შეხებიოაც კი ირბევა, ის ხმურებოც, ის ქუქურტანებიც, ალბათ ჩემთვის გაუგებარი კულტურულობის თვისებაა, ეველაფერს მერე მივხვდები, წედ რომ გავიშხლართები, რბილად, საამოდ ჩავეფლობი, საყუთრად ჩემთვის დადგმულ ცალკე საწოლში, გავკორწილ-გამოვკორწილდები, ერთხანს კერს შევაკეტრდები, ჩემს ახალ უოფაზე და საიმედო მომავალზე ვიოცნებებ, მულებზე ნაწოლ ჩემს გვერდებს, ბოლოს და ბოლოს, დავიამებ, ეზოში ქვაფენილი ჩანს, ესე იგი, იქ ტალახი არ იქნება, თუმცა ის ჩაქვის წითელი ტალახი ისე იყო მიგლესილი ეველაფერზე, ჭრეკერობით ალბათ არ მოგვკვილდებოდა აი, ეზოს კუთხეში, ქვაფენილს რომ გა



დაკვეთავ, ეტუობა, ფიცრის ჩეჩმა დგას. იქიდა-
ნაა, ჩალაცნაირი სუნი რომ მოიპარება, — აი,
ვგრძნობ. მაგონი სოფელში ოდნავ ხვდა სუნი
აქვს ჩეჩმას. აქ ქალაქში უფრო მძიმე, სქელი,
დაუურსული, გაუნელებელი სუნია, მაგრამ ეს
სუნი ალბათ უფრო კულტურულია. ხად სოფ-
ლის სენის სუნს და ხად ქალაქის.

ბუზებიც ქალაქური ბუზები. უფრო კულტურ-
რული მომჩვენენ. გასუქებული არიან, გა-
თავებულნი, თანაც წვივებზე, მკლავებზე
ხანდახან იკინებიათ. სოფლის ბუზები დაგა-
დებიათ, მაგრამ ისე მწარედ არ გიკებენ. დავ-
ფიქრდი, უმალვე ავხსენი. — სოფელში ყველ-
გან, ღიაზე ურია ხილის ნაფცქვენები, საკმლის
ნარჩენები, მომალ-მომალაი რაღაცები და ბუ-
ზები მაძრები, კმაუფილები არიან. ამიტომ
აღამიანის სხეულზე, ალბათ, მხოლოდ ჩამოსას-
ვენებლად სხდებიან.

ქო, მაგრამ თუ ქალაქის ბუზებს ქაბა აკლიათ,
რადამ დაასუქა ასე? — ვკითხე თავს და უმალ-
ვე დავასკენი: სიწარმაცემ და უქნარობამ
დაასუქა.

შუშები, დაძველებული ფარდები, პატარა
მორუეულ მაგიდაზე გადაფარებული, ოდესღაც
ნაქარგი სუფრა სულ ერთიანად მოწინწყლული
იყო ბუზებისაგან. ჩვენი მოხვლა ძალიან ესია-
მოვნათ. მოგვაფარინდნენ, მოგვაწუხუნეს, ხელ-
ზე, ცხვირზე, ტურჩებზეც კი დაწდომა მოინდო-
მეს. ერთხელ ისე მაგრად მოვუქნიე, ხელი
წაქროს მოვარტუი. იმხანად წაქროს თავის
ბლუზაზე სამხედროების დიდაბნინდიანი ბრტყე-
ლი ქამარი ერთა. საცოდავი ჩემი ხელი, ჩაის
კრეფით დაკოურებული და მორცხვი, იმ სქელ
აბზინდს მოხვდა. საშინლად მერტივია, მაგრამ
ენაც არ დამიძრავს. მხოლოდ მწარედ გავუღი-
მე ბიძაშვილს და კარისკენ წავიდი. რომ სახეზე
ტანჯვის კვალი დამეჩალა.

ამ დროს ქვაფენილიან ეზოში, კუთხის დაბა-
ლი ფიცრულიდან, კისკისით გამოფრიალდა ორი
გოგონა.

ჩემზე კარგად უმცროსები ჩანდნენ, ჩვენში
რომ იტყვიან, — ქუყაი პრატები იყვნენ. ჩლარ-
ტებს მოატაშუნებდნენ და ერთმანეთს ეჯახე-
ბოდნენ, რატომღაც სოფელში, გაზაფხულზე,
ახორიდან ახალგაშობებული ნაწამთრი დეკიუ-
ლები გამახსენდა. კიბეზე ამოფრანდნენ, ერთ-
თი წამით ჩემს წინ შეჩერდნენ, ერთმანეთს
შეხედეს და ისევ გადმოაპნიეს სიცილი პირთა-
გან.

ვიდექი კართან და ამიტომ, რაღა თქმა უნდა,
სირცხვილით ავიღეწე. მაგრამ გოგონები კიბე-
ზე უკანვე ჩაგრიადნენ და, ისევე, ჩლარტების
ტაშატუშით გადარბინეს მოხიბლ-მოსველებუ-
ლი სიპი ქვაფენილი.

მირბოდნენ და მოკლე-მოკლე კაბებზეც
კანტებს თითრად მიანათებდნენ. რად ამოვიღ-
ნენ, რად იციან, რატომ გაიქცენენ? ვერაფერი
გავიგე. ოთახისკენ შევბრუნდი, დიასახლისი

შემეფთა. იგი ეზოს კუთხეში მიკვნიდა. რე-
რულიკენ იცქირებოდა ქავრიანი უკუფენი,
და მენიშნა. იმ გოგონებზე იყო გარკვეული,
რადაც ისე მერტივია გული და შემებრალენ
გოგონები. კინალამ ვთხოვე „ნაჭიკას“, კი
ბაღენი არიან. ნუ გაუწყრებით-მეთქი.

— მაგონი ამ კარში ფეხსაც ვერ შემოადგა-
მენ. მაგისი ნუ გეშინიან. — დამშვიდა ბიძა-
ჩემი დიასახლისმა. წაქროსი არ ვიცი. მე კი
ძალიან დამწყვია გული ახეთმა განცხადებამ.
მაგრამ რადაც გულის სიღრმეში მაინც მიბუ-
ტავდა იმედის ნამწვავი, როგორც ყველთვის,
უფროსების დადგენილება არც ახლა აღ-
სრულდება-მეთქი, უსაშველოდ ამიფორიაქა
გული იმ ორმა ციცამ.

— მაგონი, — მამაკაცური სისახტიკით და
სიმძაფრით გავვიმეორა კიბეზე შეჩერებულმა
ქალმა, — ჩემი არ გეგონონ, მაგრამ მაგენი
მაინც ჩემი არიან, იმიზა, რომ ძმისშვილები
არიან. ქალაქში გოგვების წყესვა უბედურებაა.
ვინ მიეწებება ხოჯიკასავით, ვინ იცის, ჰოდა,
იყავ მერმე ამიზა „ატეჩაი“! მარა ძმას რანდა
უთხრა, ხომ იცით... ამა, ამფერი მკირს... —
დაასრულა და ძირს ჩავიდა. ბიძაჩემი თანა-
გრძობითა და სოლიდარობის გრძობით უქა-
ნებდა თავს. ქვაფენილზე ქალმა ბიძაჩემი შეა-
ჩერა, ჩვენ წემით ამოვხვდა, ხომ არ ესმითო
და ხმადებლა მიმართა.

— ააწა რაცხას ხომ არ დამიტევდი?

— რანა დაგიტიო, სკოლა იხდისო და... —
გაცხარდა სულია ბიძა.

— სკოლა და მაგენი რასაც იხდიან, მაგით
გინდა შვილების დატიება? იმ ფართ ა, ამ
ჩეჩმას არ გავრცხავ, მარტო, იცი შენ?

— ქო! — შემოუძახა წაქროს სულია ბიძამ.
— არ იაროთ არ ჩეჩმაში, სხვაგან წაით!

— კულტურულად რომ გევიდეთ?.. — აღ-
ბათ უკულტუროდ ვკითხე მე.

— კულტურულადო, რომ იძახი, რაი, პეშვით
გეიტან თუ? — ჩამართვა ამდენი ხნის გაჩუ-
მებულმა წაქროს და ოთახში შეიმალა.

— რაცხას ჩამოვტან. გავუიდი და მემრე,
თვარა ახლა რანდა დაგიტიო. — გაამხილა ხვა-
შიაი ბიძაჩემმა.

— უველა უქონელი მე მომადგება. — განწი-
რულად ჩაიგმინა ქალმა და მოპირდაპირე
ფიცრულში შეძვრა.

ბიძაჩემი სულია ერთხანს ეზოში, სახლის
ჩრდილებში, ქვაფენილზე იდგა და ქალაღში
თუთუნს ახვედა, ხანდახან ვატუობდი, იქით
დიასახლისის ფაცხისკენ გააპარებდა თვალს
რადაც თითქოს უნდოდა ეთქვა იმ ქალისათ-
ვის, მაგრამ დაძახებას ვეღარ უბედავდა, ფა-
ცია (თავისი სახელი თავიდანვე გააცნო ბიძა-
ჩემს) შეიმალა იმ თავის ხობილაში და გარეო-
ალარ იუფრებოდა. სწორედ ამიტომ წუხდა
სულია, — ქალს ალბათ ვაწყენინეო. დანგრე-
ულ ქიშკართან მისულმა წაქროს დიუქახე, თა-

ვისთან მიიყვანა. რაღაცა დამატებითი დაარსება-
დაუბარა. მერე შარვლის ჯიბე აჩიქნა-იჩიქნა.
რაღაცა აშლილი მომუქული და მაქს ხელში
ჩაუღო. ფარა ფუტოვა; მიჯნელი, მაგრამ იქ
ნეტავი ჩემი წილიცა?

საღამოს ჩვენ-ჩვენ საწოლებში ჩავცვივდით
და ძილის მოსვლას დაველოდეთ. სოფელში
რომ ძილისწინ ბნელში დიდხანს ათას რამერუ-
მეებზე ვარუჩნებდით ისე აქ ვეღარ მოვი-
ქცით.

სხვისი სახლი და მშობლის წასვლა, ის მარ-
ტობა, პირველი დამოუკიდებელი ცხოვრების
უცნაურობა; მიიწე იდუმალიდ გვაფორიაქებდა.
გვახვედრიანებდა. ოღონდ გვაშინებდა და შეუშ-
ნევლად გვასერიოზულებდა. ახლა უკვე ისე
აშვებულ-მოშვებულად ვეღარ იქნები. შენი ოპ-
ვი შენ ხელშია. დიღას პერანგი ოუ წინდა თი-
ვად უნდა მოინახო. მოიძიო, მოიბგო, ჩაიყვა.
პირი დაიბანო... პო. პო. აქ სხვები, უცხონი
გაყურებენ. პირი ნამდვილად უნდა დაიბანო.
ისე, სოფელურად. ცალი ტოტით რომ შეიშუ-
ფებდი ღაწვზე წუაღს და ბეზისი კაბის ქუქ-
უიანი კალთით მოიხოცავდი, აქ აღარ გამოგად-
გება. აქ ორივე ზეღით მოქუქული ქაჭვი
(პეშვი) უნდა შეუშვირო ეწოში ოქანის წუაღს
და მართლაც უნდა სერიოზულად შეისხა პირ-
ზე. მერე ერთხელ შესხმაუ კი არ კმარა, —
რიგში ჩამდგარი სხვა მდგომარეობაც გიმწერენ
და გელოდებიან. მერე მხარზე სახოცი უნდა
იქონიო, სად გაქვს სახოცი? ვითომ ზაქროს
გამოატანეს. თუ მას გამოატანეს. შენ რაი მე-
რე? რა უქირს. ჭერ ზაქრო დაიბანს პირს, მერე
სახოცს შენ გათხოვებს და გახვალ ეწოში
შენც. „კრანს“ დიდად არ მოუშვებ. თორემ ძი-
რიდან ატყორცნილი ქუქუიანი შხეუბი შეგე-
შხეუბა; შარვლის ბოლოები დაგისველდება,
გამოსაცვლია არაა და იარე მერე იმ დაჭლურ-
კული შარვლის ბოლოები.

მეზობელ ოთახელები გვიანზე მოვიდნენ.
სამნი იყვნენ, დიდები. უცხოსუნინები, ღამა-
ზები, მადლები, სუფიანი, კოსტუმშარვლიანები.


კარში კლიტემ რომ გაიჩხაკუნა, გავიჯონე.
საჩურჩულო მოთავებული გვეკონდა ზაქრო
უკვე ფშვიანავდა. მე ახლად შევიდოდი ძილის
მოხალიჩებულ ზავერდოვან სამეფოში. თითქმის
კიდევ მეძინა. ძილის და სიწმირის მოსვლა ერ-
თად მოხდა. ფფრო კი. მგონი, ჭერ არ მეძინა,
სიწმირს კი ვხედავდი. ჩემ სოფელ დუბეში
ავსულიყავი. ახალი „ბატინები“ მეცვა, ახალი
ბლუზა-შარვალი, ქოჩორი ქალაქურად უკან
გადამევარცხნა, მივიდოდი, გზა ფეხქვეშ იყე-
ცებოდა. ფაშარავი ვინმე მიყურებდა. მე იმათ-
კენ. ნაცნობი სოფელელებისკენ, ვერ ვიხედებო-
დი. მე თითქოს იმათი მრცხვენოდა. კვი ჩაქმ-
ლობის გამო მრცხვენოდა. ვერ ვიხედებოდი
მათკენ და, სინამდვილეში, თავმომწონებო-
ბამომდიოდა. ეს უკვლავფერი ერთ წამში მომე-
ღანდა, ახალი ბლუზა-შარვლის და ახალი ბა-

ტონების შარიშური, კრაქიკრა-
ლსაც მესმოდა. სწორედ ამის
მა სიხარულს ედამა. დამიფრთხო მგონი
პირველი ქალაქური ძილი. მომავიხებდე, ჩემი
დაქმუნულ-დაჭლურკული შარვლისა და ტალა-
ხიანი კონდრების მუტა ბინდბუნდში. რა თქმა
უნდა, რა უნდა უოფილიყო. ზაქროს წუნარმა
და ქაუოფილმა ფშვიანავ მალე ისევ მომტაცა
ღვიძილი და ისევ ტკბელ უჭრუნველობაში წა-
მიყვანა და სწორედ ამ დროს, ღრუბლით გაი-
ლო კარი. შედგნენ დაგვაკვირდნენ, ვილაც
ახლები მოუყვანია ფაცია დიდასო. ჩაიღიღინა
ერთმა ხმაბოშრად.

ჩვენი ორი საწოლის შუა ჩაიარეს, თავიანთი
დიდი ოთახის კარი შეაღეს. მაშინვე იქ სინათ-
ლე აანთეს და ახლა უკვე ხშირად ალაპარაკ-
დნენ. ღრუბელ დარჩენილი თავიანთი კარი მიი-
ხურეს. მაგრამ ზიტყვები მიიწე ისმოდა. აწი ეს
შუაქარი უნდა ვეცხორო. თქვა ერთმა. პო. ვინ
იცის. ვინ მათხოვრები და ობრები. მოათრია
ფაციაბო. შიში გამოთქვა მთორემ. იმ შუაქარის
გვერდით ფანჯარაც იყო ფანჯარაზე იმათი
მხრიდან ჩითვის ფარდაც ევალა. დაბუქული ოვა-
ლით შევნიშნე. ფარდის კიდე თითით ოღონდ
გვერდით გაიწია და ვილაცის ბნელი, თანაც
ბრალა ცალი ოვალი ჩვენსკენ გამოქენდა. მო-
ქუტული ოვალემა მე მოლად დავიკლის-დავიბუ-
ქე. აგეჩი გურულები არ იქნებიანო, ტაღახზე
იტყობათო, თქვა მესამემ. ალბათ ის იყო, თი-
თით ფარდა რომ გადააჩრია.

მალე რაღაც ქახაჭუბი და რაწერუწი მო-
ინმა. მერე ხმას უფრო აუწიეს და ხარხარაც
ატყდა. შივხვიდო, ღვიროს სვამდნენ და რაღაცას
ძალიან გემრიელს ქამდნენ. იმათი პირების
მულაყა-მულაყი და ელაკვის საცნაური, მადის-
ამშლილი თუ რაღაც უნელღებელი შიმშილის
გრძნობის გამომწვევი ხეები ჩემამდე აღწევდა.
გამიჭირდა ძალიან. მაგრამ საშველი არ იყო.
ერთი მწარედ გავიკრუსუნე და გადავბრუნდი
იმ გადაბრუნებამ ისეთნაირად ააქრაქუნა ჩემი
ღვიანგული რკინის საწოლი, მივხვდი, ფანჯრის
ფარდა ეკვლავ გადასწია ვილაცის ხელმა და გა-
ოცებული თვალი ერთხანს ჩვენსკენ მოაკცია.

იმედგადაწურული გადავბრუნდი. იმწამსვე
სითბილემი, სობილემი, სიაღერსემი ჩავეფა-
ლი; წამომხურა ოხელი შქრქალი სიღურჩე
ცხოვრებისა, სიმყუდროვისა, სიმსუბუქობისა და
გამომეცვალა საშუოვი და გარდავისახე უც-
ხოლ. მაგრამ, ჩუ... ვხედავ. ვარ შინ, სექვეზე
ვჭივარ, ბუხართან, ნენეს ტაბლავ შედგმული
ფხალღობიოიანი ცამი მოკვს. ქაშის ირგვლივ
უწევია ახალდატეხილი სქელი ქაღი. ადის ობ-
შვიარი ცაში და ვუღაპავ მოხეტილ ნერწყვის
ნაყადულებს, სული მიკაწაწანებს, როდის წავა-
ტეხვ ამ ქაღის გორობებს უუას და ამოვალე
ბინებ ნივრით და კაკლით შეუიკვლებულ ფხა-
ლღობიოს მთელ ბუღუღს. ტაბლას დადგამაც
არ ვაძალიერ. — წავატანე ქაღს. ისე მეცხელა.



შევკითხე, გავიღვივებ მშოიდა, კი, მშოიდა იქი-
დას კი ისმობდა ხიხინი და მგლავაშქლურ და
ჭიკების წკარაწყური. დაბალი ლილინი, სინამ-
დვილში ის ხმები ღანჯარაზე საწყალ ჩამო-
ქორწილებულ ფარდას თითქმის აკანკალებდა.
ქანაობდა თვითონ ოთახიც, სახლიც, დედამიწაც.
დილაზე მეზობელი ოთახის სტუდენტები
მაინც ვერ დავინახე, წასულიყვნენ. ეუარა და-
ცლილ-დაღლილი ჭურჭლები, ნაობრალი მაგი-
და, კლიმპორუებული სკამები, იღგა სუნი, მუავი,
მძაგე, გულისამრევი.

გოგონები გამოგოგმანდებენ კვაფინილზე,
ეზოს ონქანობ მივიდნენ, წვალი მოუშვებს, თან
ჩვენივე იჭურჭობდნენ. შიშველი, თეთრი იდე-
ყები, ჩახსნილ-ჩახუბნილ ხალათებში ჩიქვი,
შკრივი, უკვე კარგა შეთვალული ნაყოფები,
დაუბანელ პირთა ცინცხალი ღმილები, შორც-
ხვი, ეშმაკური, რაღაცისმოქმედი ღმილები,
მზის ამოსვლასავით რომ გადმოიღვრება მალ-
ლიდან და უნებურად წაგვიიდება, მოგწვავს,
მოგოფთქავს, მოგიაყრობს, მოგიმორჩილებს.
სევდაა ეს? არა იმედი უღვივალაა, იმედი, —
რამდენიც გინდა, მაგრამ როდის, როგორ, რით
გაანადლებ იმედს? ასეთი, უშაურო, დაქდურ-
კული მარვლით? რა იმედი მოვიკლის და მო-
გებმარება? საცოდავო, შენი!

ლია და ბელა, ბელა და ლია, ჩამქვლი მათი
სახელები ტვისში. ის, მომადლო რაშა, ბელა,
გამომხედავს, ამომხედავს, გადმომხედავს, მგო-
ნი ეციწინა, თითქოს რამეს მეუბნება ან იითი-
ქოს რამე უთქვას წინათ და ახლა იმ ნათქვამს
მახსენებს, მაღრიზანებს.

თვალეები მჭრელი აქვს და თბილი, თავიდან
ქერა მგონა. ახლა შევგვრემანია უკვე, მაგრამ
სწორედ ეს შევგვრემანია უხდება, მეც ეს მო-
მწონა, აუვაკილებულია, აფეთქებულია, აშუ-
ვებულია, აცის, მე რახაც ვფიქრობ მაზე, გადა-
სარეკად აცის. ა, მიუწრებს, ტუჩებს ათრია-
ლებს, რაღაცას ამბობს თუ ლოცულობს? გამ-
ჩენელი ღმერთო, დამიფარე, მომიხმარე, გადა-
მარჩინე მაგ ციკას შემოხედვებისგან, მიხსენი
მაგოს თვალებისგან! აჰ, რას ვამბობ- ღმერთო,
შენი სახელის კირიმე, — მაცოლინე, ზემო იქ-

ნება ეს გოგო? ბელა, ბელა, ბელა
ბელა (შარი) ავიტყვი, რამ შემახსენა
კოქა, რამ გამოვალა, ვინაა ეს თანხაი, ეს
კლიკორეკაი, დრეკო, რხევით, ცალ ფეხზე
ეფეთებს ოდნავშეხამნეე გადახრას, რაც, შე
მგონი, ძალიან უხდება, მარტო ეს მისი გადახ-
რეე-გადმორხევა ერთ რაღაცად ღირს, ღირს კი
არა, მრევს, მაშფოთებს, მაგიტებს, კი, კი იცის,
მე რას ეფიქრობ მაზე მე, ბავებიო რაღაცას
მეუბნებია.

ის, მეორე, ვაცოხბ, უმცროსია, ბელა უფრო-
სია, მაღალი, მთაფრი, ამაჟი, გაბედული, მოუ-
რთდებელია, მარტო დგას მირს ახილავს, მგონი
მეძახის, ჩამოდი აქაო.

წავიდე, ზაქრო მიუწრებს.
— მა, მიხვალ, კო!
— რა იყო, კო?
— გაგიკავრდება: ზემო ხაზიცა და ჩახვ
მეგბრე.

კო, ენახე, გამოიკავრებს, ბელას კი ეციწინებო
შეთიავს, პირსახიცს მხრებზე იფენს და გო-
ხალჩული შემომსქერის, უბანლოვდება, ვლუ-
ლავ- აბა, შენი იცო, შექრიავე, არ დაიხნე ახლ-
დამტვრეულ თიხისქამივით, მოიკრიფე ძალ-
ლონე, გაბედულება და კუქასაც დაუბნე ცოტა,
ისიც დაგვირდება, მარტო ძალა არაფერ ხეიარს
არ მოგიტანს, ქვეა მთავარი, მაგ, დუბის მზით
გარუჭულ და დუბის ქარებით გამოფუტეილ
ხაქერში კი გიყრთა კიჭვი კვეა აღბათი შიდი,
ქო!

— რამენა მოიხრა? — შეიოხა ბელამ, როცა
მასთან ჩავიდი.

— მე შეგონა შენნა გუთქვა რამე, — ა, უკ-
ვე შევციდი! ის კი უცნაურად შევკითხე, აცმე-
კუნდა, გვირდით მივდიქით, მგონი მოვეფარე-
ნით, ისე ახლო მივიდი, მისი ხახისაგან თითქო
შევხუნებოდა, მისდოდა ხელი მეხლო, ხელზე
მანც, შელაგზე მანც... ზევრი რამ მიწოდოა
მეთქვა, მაგრამ ენა მთლად ჩამივარდა, გავშეშ-
დი დავიბენი, მიუწრა, მიუწრა და მოწუდა
იქაურობას, გაიქცა, გაქრა დაქრჩი მარტო,
ხაშარივით დახობილი, უცებ ზაქროს დამახებამ
დამძრა ადგილიდან და გამოაფუტისლა.

ღარქვან გატიაშვილი

ჩემს ხმაურს მხოლოდ დუმილი არღვევს,
არაფერია ჩემთვის ახალი,
შესწითლებია ეს ცალი მხარე
და დაუყრიათ ღრუბლებს ფარ-ხმალი.

ვინც მენატრება, თვალთ ვეძახი,
მაგრამ პასუხად არ ისმის ჩქამიც,
მხოლოდ ლილისფრად ღელავს ვენახი,
ვახს ამოსვლია ნუკრისებრ რქანი.

ბრახმორეული მუჭარით სცემს ღრუბელი ბოლთას,
რომ მოაქციოს მთვარის დისკო თავის ბადეში,
გარღვეულია გალავანი გარდასულ დროთა,
ქარებს და წისლებს ულამდებათ ყალბ სიცხადეში.

თუმცა ყინული ცივ სახეზე არაფერს იმჩნევს,
მე შეშინია მასთან მაინც გამხელა თავის,
უბედურება შეიძლება მოვარდეს ისე,
არ გაერიოს ჩემეული ეშმაკის თვალი...

პირ ღაკვუმდები

სევდის კოცონებს გაუვიდათ ყავლი ამ დილით
უგარიყრაყო წუთისოფლის შეკრული წარბით,
სიტყვის საფანელს დავეძებდი ფარული ყინით,
მაგრამ ჩემზე წინ ეს სტრიქონი კვიცივით გარბის.

საოცარია, რა სინათლე შემორჩა ფერებს,
 ქარი კი არხვეს მიძინების მშვენიერ ტალღებს,
 რამდენიც ვცადე და ეკლიან ჩრდილს მივეფერე,
 იმდენჯერ სული მიგდებული ლელეზე ნახეს.

ასეა მუდამ. გათანგავენ გრძნობებს უმწიფარს,
 ამოდ ვეძებ ძველი გზიდან მიზანს აცდენილს,
 დაცემულ ტყეში სადგურობდა კმუნვა უწინაც,
 ზამთრის ხეივანს შეხიზენია თურმე სათქმელი.

მესმის მტვრევის ხმა ჩემი ღია სამეფოს კარის,
 ზღვის უდაბნოში დაკარგულა თეთრი იაბო,
 იმედი მღერის სვეტიცხოვლის სამრეკლოსავით
 და მოლოდინში ერთი სხივი მაინც კიაფობს.

* * *

ვით დამედგინა, ვთქვათ, სიმართლე შიშველი ფერის;
 თუნდაც მცოდნოდა თეთრისგან გარჩევა შავის,
 ან რანაირად განმესაჯა სხივების ბედი,
 როგორ შემეგდო ზუსტ სასწორზე ნისლის თავთავი.

როდესაც მწვავედა თვალებს მიეთმოეთის კვამლი,
 მომწონდა, როცა თავისაზე მზე მუდამ იდგა,
 ბედის აჩრდილი თუ აქამდე მეგონა კრავი,
 ის არ ვიცოდი, თურმე იგი აკენიდან მცდიდა.

რა უნდა მექნა, მე შენ გეტყვი, მადროვა ვინმემ,
 რომ ჰორიზონტზე შეენიშნა თვალს მიძიმე ლაქა,
 გაზვიადებულ სიჩუმეში ხმამალა მითხრეს,
 თითქოს მიპოვეს კინკრებში და ხევხუვში სადღაც.

საუკუნეთა ფესვებს დასდით ქერეჭად ცრემლი
 და გვირგვინის ქვეშ არ დამშვენდა განგების მადლი,
 მეტი შევმატე გაცილებით მტერს უმეცრებით,
 ვიდრე განვბანე ჩემი ლოცვით ჯვარი გუდანის.

რასა ვფიქრობდი და სანაცვლოდ რა შემრჩა ხელში,
 მაინც არ ვგაეარ საბოლოოდ ბრძოლაწაგებულს,
 მხრებზე მაწვება ღრუბლიანი ცის სიუხეშე,
 როს ქარი თვალწინ ტალღას აცლის ზღვას აქაფებულს.

საიდან გაჩნდა უნაპირო სიცალიერე,
 რომ ტირიფივით არავისი იმედით ვცხოვრობ.
 არა უშავსრა, მტერი ზოგჯერ ფიქრს აფხვიერებს,
 არა მგონია, ბედის მონა ღმერთმა აცბონოს.

წუხელის

ეროვნული
ბიბლიოთეკა

წუხელის სულზე რაღაც დამტრევედა
და თურთქელივით მჭონდა სხეული,
სოფლის სიცივე ღამეს ათევედა
დღესთან გაყრილი და მთვარეული.

თითქოს დრო იქვე ასხამდა დულაბს,
რაღაც ხდებოდა ყრუ კედელს იქით,
როგორც ქვა ქვაზე, ისე დადულდა
ვახის ლერწვივით მოქნილი ფიქრი.

* * *

წამოვა წვიმა და დედამიწა
წყალს გადაივლებს დასიცხულ ტანზე,
მე კი ვილაცა ცეცხლზე ნაეთს მისხამს,
ალარ მაძინებს მზე ცულის ტარზე.

ნაქარალ გულში ჩადგება სითბო,
თავის ადგილას ჩადგება ქარი,
იქ ფრინველები უბნობენ თითქოს,
გამამდიდრებენ ფიქრნი ნეტარნი.

მე კი მშიშარა დევივით ვდგავარ
და ველოდები ადგომას მთების...
ვერ გადაუსევა, ვით ცხენის გავას,
ფიქრებმა ხელი დროს დამუნჯების.

არ გამომწელდა ციებ-ცხელება,
ქურანს მოაჯდა, როგორც მხედარი

და ერთმანეთში როგორ მერევა
ჩემი ვერხვი და სხვისი კედარი,

რატომ ცეკვავენ ნეტა რტოები,
ვიცი, რომ ქარში არ ეცეკვებათ,
ფიქრს შევუყენე ხარაჩოები,
გულს ყავარჩნების ხელისცეცება.

და კილო-კავზე რომ ვერ იტირეს
ხევ-ხუვებს, ჩააყავთ მრუმე ნაღველი,
გულჩახვეული მთების სიდიდეს
ველარ გადასწედა ელვის ნათელი.

წამოვა წვიმა და დედამიწა
წყალს გადაივლებს დასიცხულ ტანზე,
ვილაცა განგებ ცეცხლზე ნაეთს მისხამს,
ალარ მაძინებს მზე ცულის ტარზე.

ცოტნე

მოთხრობა

გია კიკნაძის ხსოვნას.

ცხენს ნესტოები დუჟით ჰქონდა სა-
ვსე. ოფლში გაბანილი ტანი ულაპლა-
პებდა. ანთებული თვალებიდან ნაპერ-
წყლებს ყრიდა.

მხედარმა ცოტნეს ნახვა მოითხოვა.

ივლისის დილა თენდებოდა. ლურჯი
ჰაერი ამოწვერილი მზის სუსტი სხი-
ვებისგან კამკამებდა.

შორს, ცის დასალიერთან ორი ცხე-
ნოსანი ჩრდილებივით მიჰქროდა.

აივანზე დედოფლის თეთრმა პერან-
გმა გაიელვა.

ვინა ხარ შენ! თავზე ფეხებმოკლე და
ყბებგანიერი მონგოლი დაადგა.

ცოტნე ვარ.

მერე აქ რას აკეთებ!

ვზივარ.

რომ ზიხარ, მეც ვხედავ! იქვე მდგარ
თავის ამხანავს გასძახა:

წადი, ერთი ასისთავს მოახსენე, ვი-
ლაც ცოტნე მოვიდა და ტყვეებს გვე-
რდით მიუჯდა-თქო.

მეორე მონგოლი ცხენს ჰყვილით
მოახტა და გაშპა.

ვინ ცოტნე ხარ?! გააგრძელა პირვე-
ლმა.

დადიანი.

აქ რას აკეთებ, რომ გეკითხებიან, არ
გესმის?! შე შობელძაღლო...

მეგობრებთან მოვედი.

მათკენ გაიხედა. შეშუპებულ სახე-
ებს მზერა აარიდა.

ეგენი ყაენის მოღალატეები არიან.

ეგენი ჩემი მეგობრები არიან.

მაშინ, ცოტა ჩაფიქრდა მონგოლი.
თვალეები მთლად დაეკარგა გაბრტყე-
ლებულ სახეზე. მაშინ, ისეე დაიწყო,
შენც ყაენის მოღალატე ყოფილხარ.
მოღალატეებს კი, ხომ იცი, როგორ ვე-
ქცევით. ხერხემალში გადატეხვა არ ავ-
ცდება.

თქვა ეს და იქვე მიყრილ ძვირფას
ტანსაცმელს მიაშტერა მოქუთუღი
თვალეები.

ფული თუ გაქვს?

ფული რად მინდა.

ასისთავიც გამოჩნდა. მზემ დააჰირა.

ხომ გეუბნებოდი, აყვირდა ცოტნეს-
თან მოსაუბრე მონგოლი, რომ აქ ჯდო-
მა არ შეიძლება-მეთქი.

უფროსო, მიუბრუნდა ახლოს მო-
სულ ასისთავს დათაფლული ღიმილით.
ეს ვილაცაა — გიჟია...

სახელი!

ცოტნე-

გვარი!

დადიანი.

სად მუშაობ!



ცოტნემ გაკვირვებული მხერა მიაბუ-
რო.

წამოაყენე, უბრძანა ასისთავმა რიგით
მონგოლს.

ადექი! არ გესმის, უფროსი რომ გე-
ლაპარაკება?!

ცოტნე წამოიზღაზნა, სიცხისგან თა-
ვი უხურდა. ტუჩებდახეთქილ მეგობ-
რებს გადახედა.

მთვრალი ხარ?!

დუმილი.

ციხეში ამოგალბობ! მართლა, სად მუ-
შაობ?!

ერისკაცი ვარ.

რაო? რა კაცი ხარ? რომელი ერის!
ჩემი ერის.

დაგვეცინის კიდევაც, უფროსო, გაი-
ჯლანა რიგითი.

ეს ტანსაცმელი ვისია?!

მაგისია.

არის რამე შიგ?

კი, ქისა ოქროთი სავსე.

მოიტა აქა. თუმცა ტანსაცმელიც მო-
იტა. და გაავლე აქედან.

ცოტნე მიწაზე დაჯდა.

ეი, შენ, მივარდა რიგითი, ვერ გაი-
გონე. უფროსმა რა თქვა?! წაეთრიე
აქედან და მეორედ ჩემმა თვალებმა არ
დავინახოს, თორემ ხომ იცი... მოგვიწ-
ყო მჯდომარე გაფიცვა...

შარაზე მტვერი ავარდა. ცხენოსანთა
ჯგუფი უახლოვდებოდათ. ათასისთავიო,
შეცბა ასისთავი. ქისა სასწრაფოდ ჯი-
ბეში ჩამალა, ცხენიდან ჩამოხტა და
წინ მიმავალ ათასისთავს გაეკიმა. მას
მისთვის არც შეუხედავს, პირდაპირ ცო-
ტნესთან მიაქენა ცხენი.

ტანსაცმელი მოუტანეთ! ბრძანა მან.

დღეებბრის ცივი დღე გათენდა. ქვე-
მოდან მუხრუჭების ღრქიალი და საყ-
ვირების გაბმული ხმა მოისმოდა, რა-
საც თან ალბათ მძლოლების გინებაც
ერთვოდა. მიწა ტალახში აზელილი
თოვლისგან იყო გაკლენთილი. ცასაც
ტალახისფერი გადაკეროდა. მობუზუ-
ლი ხალხი ხველებითა და ფურთხებით
სამსახურში მიიჩქაროდა.

წინადლით ნამთვრამი მარჯვენა
შუბლს ხელებით ისრებდა. იწვა
ქლილ მინას უაზროდ უყურებდა. იწვა
და არაფერზე არ ფიქრობდა. შესცა-
და. ხელები საბანში ჩამალა. მერე სა-
ბნის კუთხეები ბეჭებზე გადაიფარა და
უსიამოდ დაამტქნარა. თითქოს რაღაცამ
შეაწუხაო. მხარი იცვალა. ცოც კედელს
მიაშტერდა.

რა ვქნაო. ერთი კი გაუფაჩუნდა თა-
ვი ფიქრი. მაგრამ იმ წამსვე პასუხის
გაუცემლად ჩაქვდა.

დღესაც არ წავალ, არ წავალ, არ წა-
ვალ... და ეგონა უსასრულობამდე გაა-
ტანა ამ სიტყვებმა; ოთახს გასცდა, კე-
დლები გაიარა ისე, რომ არც გაუნგრე-
ვია, არც გაუხვრეტია და სადღაც (სა-
დაც თვალი ვერ სწვდებო, გრძნობით კი
გრძნობს ადამიანი, რომ უსასრულობა
არსებობს და ვიღაცას ესმის ჩვენი) გა-
იბნა.

მოიკუნტა. გულ-გვამი უხურდა. ოთა-
ხში კი საკმაოდ ციოდა. იატაკზე დაგ-
დებულ საათს მისწვდა. აქა-იქ მიყრილ-
მოყრილ ტანსაცმელსაც გადახედა. ფეხ-
საცმელები ტალახში იყო ამოგანგლუ-
ლი. წყალი შეშრობოდა და მარილები
თეთრ ზოლებად დაუყვებოდა ბათინ-
კებს. შარვლის მუქასრებს ტალახი მიხ-
მობოდა. დუბლიონკა ხომ არ გავხიეო,
უცებ წამოიშართა საწოლიდან. ისევ
მიწვა. დრო გააყავდა. წესიერად აღარც
ახსოვდა გუშინდელი საღამო.

სახლში ჩამი-ჩუმი არ ისმოდა. ალ-
ბათ სამსახურში წავეიდნენო. დედა...
დაიყვირა. სიჩუმე.

ადგა; იატაკზე დაგდებულ სვიტრს
დასწვდა. გადაიკვა. ფაჩუჩები ვერსად
ნახა. დეხშიშველა წავიდა სამზარეუ-
ლოსკენ. ლუდი. ლუდი. რა სისულელეა
საიდახ. ფუჰ... არაყი. მაკივარში
მბოლავი ცივი ჰაერი. გააკანკალა.
ყელი შიგნეულიდან ამოსულმა ვაზმა
დასწვა. დააბოყინა. ფუ... წასულან.
მეავე კიტრს დასწვდა და ბრავო-
სრუშით ჩაღეჭა. ფუ... მუცელზე ხელი
მიიდო. აბაზანაში შეაბოტა. ცხელი
წყალი სიამოვნებისგან შეაყრყოლა.



დაძვირდა, მოეშვა, თვალებიდან და
შუბლიდან იფლს იწმენდა. წავიდუ სა-
მსახურში? არ წავალ, რა უნდა გავიკეთ-
ო. რამდენ დროს ვკარგავთ, რა უნ-
და ვირჩიხო თავი?

მე... მამა, მოკვდა მუშაობით, საბრა-
ლო წმრომელი, პატიო სანი ვირი, ჭვონია
ყველაფერს პატიოსანი შრომით: მიღ-
წვეს.

პატიოსანი შრომითო... პატიოსანი
შრომითო... ახლა ეს სიტყვები გაგრძე-
ლდენ და უსაშველოდ გაიწვინენ. ვე-
ლარ ამოვიდო თავიდან. სხვა რამეზე
სცადა ფიქრი, მაგრამ ეს სიტყვები იყ-
ენენ მთელ მის გონებაში გამეფებულ-
ნი, თავი გააქანწყარა და სველი ხელით
თვალეები მოისრისა.

მერამდენე სამსახური უნდა გამოიცი-
ვლო, მერამდენე... მერამდენე... სიტ-
ყვების გრძელი რაგი, როგორც ვავი-
ნები ისე მირაზრახებდნენ სადღაც. მე-
რამდენე... მერამდენე... მერამდენე -
გავაფრინეო. ცივი წყალი მოეშვა და
სახეზე შეისხა. ყლუპიც გადაყლაპა.
დაიღმაჰა. ლუდი, ერთი ბოთლი ლუდი,
მომყავო ნერწყვი გადაყლაპა.

ისევ დაავიანე, ცოტნე?! ისევ და-
ავიანე, ცოტნე... ცოტნე... დაიძრა მატარებელი, სავარძელში წამოსკუპებუ-
ლი პატარა სლიპინა ბაყაყი, გასყოფი-
ლების უფროსი.

სიჩუმე

ტელეფონის ზარი.

პო, შეილო, რა ქენი, ამოცანა ვერ
გამოიყვანე? მიკარნახე... პო, მიკარნა-
ნე, ცივ, სლიპინა თვალებს სითბომ გა-
დაუარა, ნერვიული ხმა უცებ დარბი-
ლდა.

ცოტნე, ამ ამოცანას ვერ ამოხსნი?

კარგი, შეილო, მალე მოვილა... პო,
პო, დედა სად არის?... კარგი... კარგი...

ხუთი წელი, სწავლა — წყალში ჩაყ-
რილი შრომა.

მემანქანე, მატარებელი, მზერადილ-
ლილი და კაფანდარა თმაგაცეხილი კ-
ო მამა.

არ გინდა ხომ შრომა, სამსახური... ვირი... ვირი... ვირი...
იმუშავე, პო, კარგი... ვირი... ვირი... ვირი...
როგოა...

კარგი კაცო; რას შერებდი, ცოტნე,
აქვითინებული დედა, საბრალო, აკა-
ნკალეებული ქალი, თვალეებში შიშამ-
დგარა, უღონოდ ხელებჩამოყრილი,

კარების ჯახუნი,

სად მიდიხარ, შეილო...

ერთი მაგის! წაეთრეს...

მობრუნდი უკან... შეილო.

შენი გაფუჭებულია, შენი! გამომწო-
ვეთ სისხლი.

გალეული, წინოლივით გამხმარი კა-
ცი მამა.

მატარებლის დაგადუგი, მემანქანე,
არაფრის მაქნისო... არაფრის მაქნი-
სო... მამის აკანკალეებული ყბა, აკანკა-
ლებული მარჯვენა, საბრალო დედა, შე-
შინებული ქალი, თვალეებგამოციებული,
სახლში მიტანილი საკერავი, მანქანის
დაგადუგი, დილაუთენია სამუშაოზე
სიბნელე, ჭუჭყი, ტალახი, ცივი ტრამ-
ვაი, აძუძეული დედა, ტრამვას რახრა-
ხი, საკერავი მანქანის დაგადუგი, კაპიკი
კაპიკზე, გაკვეთილი პალტო, თვალეებ-
გამოციებული დედა, დუბლიონკა, შენი
გაფუჭებულია, შენი!

— ალო... ალო... ფუი, შენი...

ძვირფასი ლითონი, კილოგრამები, მი-
ლიონები, მილიონრები,

— შენა ხარ, შიო? ვარ რა...

— საიდან, სამსახურიდან?

— რა მინდაო; დაკარგულიო; აღარ
მოვალ, ერთი მაგათი...

— რა უნდა ვქნა, დავერეკავ, ამოხ-
ვალ? როდის... ლუდი წამოიყოლე,
ძმურად, ჩემები სახლში არ არიან, მა-
მა? ხეალსალამომდე არ დაბრუნდება.
პო, გზახე, ვარ რა, ცოტა თავი მტკივა,
კარგი, კარგი... რა გამიჩმანე საქმე...

— გამარჯობათ, ბატონო,
სავარძელზე წამოსკუპებული პატარა
ბაყაყი სლიპინა.

— მო, ცოტნე ვარ...

— მერე რა ავადა ვარ.

— ცხობა?

მოლიკლინიკა, მაღალფეხება, მხრებზე თბილქურქწამოგდებული, თვალებშედებილი ქალი, რბილი ხელები, თეთრი, ვრძელი სალუქი თითები.

დაჩხვლევტილი თითები, გალურჯებული ხელები, ამოღამებული თვალები, გაკრეცილი პალტო, დედა.

ბიულეტენი...

თუმანი, ორი თუმანი, სამი, ოთხი, ხუთი თუმანი, ქურჭი, თეთრი კბილები, ღამაში თვალები, ფრჩხილებზე საღებავი, ბაგეზე საღებავი, ლურჯი, პრილა ქალაღდი, ხუთი წუთი — ხუთი თუმანი, ხუთი წელი — ასთხუთმეტი მანეთი, ოცდახუთი წელი... უმაქნისი!

— ამოცანა არა გაქვთ ამოსახსნელი?

— დამცინი?!

— რას ამბობთ...

ტუ... ტუ... ტუ...

ცოლი, შვილები, ბედნიერი კაცი.

მოიყვანე ცოლი, შვილო.

სახლი გაქვს, კარი გაქვს, უმაღლესი დაამთავრე, მოიყვანე ცოლი, შვილო, უკვე ოცდახუთი წლისა ხარ, შვილო.

ცოლი... ცოლი... ცოლი...

საქმელი არის რამე!

სამხარეულოში ქურჭლის რაჩხარუჩი, უჯრების კრიალი, სკამის ბრახუნი, ბუზღუნი, ერთი ბეწო სამხარეულო საკვრავი მანქანის დაგადუგი.

ქალი! შენ სულ უნდა ეტრავდე?!

ცოლი, ოცდახუთი წელი, დრო...

შარვლის კიბეები ამოიქეკა, ხელისგულზე ხურდა ფული აუბრქვეიალდა, პრიმის საჩახევროდ დაგლეგილი კოლოფიც იპოვა.

წილებზე ფეხს ვიდვამ და სახლში

წესიერი საქმელიც არ მახსოვს...
ზრებული კაცის ბუზღუნი, მამა.

საბრალო დედა.

ხმამალა ამოთხვრა;

— რა გუნა; ჩემთვის ხომ არათერს ვყიდულომ, ფული კი მაინც არ გვეოფნისო, არ გვეოფნისო... არ გვეოფნისო...
შეორთქლილი მინიდან ტალახისფერი ცა მოჩანდა.

საბანი თავზე წაიფარა. ქუჩა მიწყნარდა, ჩათვლიმა.

ადრე არ არის, ცოტნე?

— არა, დამაგვიანდა მგონი, კარგი, გამიშვი ახლა.

— არ გაგიშვებ, რა გინდა სამსახურში.

— აბა რა ვკამოთ?!

— მშიერები ვიყოთ.

— ლექციებზე წახვალ?

— წავალ მერე.

— გამოვიარო? გამოვივლი.

— ბავშვი არ ვნახოთ?

— გამოვიყვანოთ ჩვენთან, ჩვენი შვილი არ არის?

— მერე ლექციები?

— აბა იყოს თქვენებთან, მაგრამ...

— თანაც ვიწროდა ვართ, ცოლია ბავშვი.

— მამინ უთხარი მამაშენს, აგვიშენოს ბინა.

— მამაჩემს? მამაშენი რალას გვიკეთებს! არათერს, რა შეუძლია, რა გაგვიკეთოს.

— ზოდა...

— ზოდა, მამაჩემს თავი დაანებე, საქმელი არათერი გვაქვს ხომ...

— არათერი... ხელფასს როდის აიღებ? როდის აიღებო... თავი შეეზიზლა და მგონი ცოლიც.

— მეც ავიღებ რალა, წავედი.

— ჩაი მაინც დაგელია.

— ადუღებული წყალი... ლუდი... გამიერკვა.

— მ... ცოლი მოიყვანე, შვილო...

— რომელი საათია, რომელი საათია...
— ღმერთმა იცის, თითქოს ყველაფერი ვაიციინაო ცას გახედა, გაჩერებული საათი იქვე მიავლო.

— ცოტნე ბიძია, ცოტნე ბიძია...
 — რა გატირებს, გია? მამაშენი სა-
 დაა...
 — მამიკო და დედიკო სადღაც წავი-
 დნენ
 — მაინც რა გატირებს?
 — ფეხი გამოცურდა და წავიქეცი.
 — აჟ, როგორ ამოთხვრილხარ?!
 — შენც ხომ არ წაიქეცი, ცოტნე ბი-
 ძია?
 — ჯერ არა... აქ რა გინდა?
 — პური, ბებიკომ გამომგზავნა, წავი-
 ქეცი და ფული... რა ვუთხრა ბებიკოს...
 — აპა, შენ ფული, თუმცა, აპა შენ
 პური.
 ვერცხლი სალაროში ჩაჩხრიალდა, გა-
 ეციდა.
 ამა უამთა შინა ყაზანურო-
 ბა არღა რა იყო და დიდისა,
 წარჩინებულისა მეფისა გი-
 ორგის უამის თეთრი გავაჩი-
 ნეთ-ო...
 მღვრიე ლუდი, წკლარტე, ძველი.
 — მეტს არ დაღვე?
 — არა.
 წათეთრო, კუქყიანი შემოსაცმელი,
 გაუპარსავი, შეშუბებული სახე, ყასა-
 ბია, ლუდის გამყიდველი თუ ლოთი ჩე-
 მსავით...
 ჩემსავით... ჩემსავით... დარჩენილი
 მღვრიე სითხე ჩააყლურკუნა,
 ჭიკ, ჭიკ, ჭიკ, დაუსტიენეს ჩიტებმა.
 — ცოტნე, ა, მეორეც დავლიოთ.
 — დავლიოთ, თუმცა ფული...
 — კარგი ერთი, მერე იყოს,
 კეთილბრიყვეული გამოხედვა.
 — კარგი კაცი ხარ.
 — კარგი რა, ცოტნე.
 — წავიდეთ, გია, გიორგი, მამაშენი
 სადაა?
 — მამიკო და დედიკო სადღაც წავი-
 დნენ.
 — ბებიკო ავად ხომ არ არის?
 — ბებიკომ თქვა, ცოტნე სულ გა-
 ლოთდაო...
 სულ გალოთდაო... სულ გალოთდაო...

— კიდევ რა თქვა ბებიკომ, კაპიტანი...
 — კიდევ რა თქვა და — როდემდის
 უნდა იაროს ასეო, თუ კაცია, ცოლი
 რატომ არ მოყავსო, ასე თქვა და კი-
 დევ — რაა ყოველდღე რომ სამსახუ-
 რებს იცვლისო, უბრალოდ ისწავლაო?
 რა ისწავლე, ცოტნე ბიძია?
 — არაფერი...
 რატომ დაანებე ქარხანაში მუშაობას
 თავი. ვითომ სხვებზე უკეთესი ბიჭ-
 ყავხარ, ხომ, ხომ გქონდა ფული... ფუ-
 ლი... ფული... მატარებელმა გადაიგრი-
 ალა.
 ოსტატად იმუშავებ?
 დაფანჩული წარბებიდან უფერო —
 ბოროტი თვალეები უტიფრად უყურებ-
 დნენ. სიარულისას მთელი სხეულით
 მიირწვოდა, საამქროს უფროსი,
 ცოტნე! ქანკიკები მოიტანე!
 მე...
 აბა მუშა ხომ არ წავა, აბა მუშა ხომ
 არ გაცდება, რისთვის გაძღვე ხელფასს,
 რისთვის გაძღვე...
 ცოტნე! დაბლა ნაცნობი მელოდება,
 ჩაუტანე ეს რა, მეგობარი კაცია...
 ცოტნე! სად წახვედი გუშინ... როგორ
 თუ ხუთი იყო... მე რვა საათზე თათბი-
 რზე ვიყავი და ათზე ძლივს წავედი სა-
 ხლში.
 ცოტნე! შაბათს რატომ არ გამოხვე-
 დი სამუშაოზე... მე კვირასაც აქ ვიყავი
 და, საერთოდ, თუ გინდა მუშაობა —
 იმუშავე, თუ არა და...
 არ მინდა დიპლომი!..
 მუშად არ შეიძლება, თუმცა...
 სავარძელში ჩახერგილი გასიებული
 გავა, მაგიდაზე მზხინავი მოტვლებილი
 თავი, კადრების უფროსი,
 თეთრად გათენებული ლამეები, გვბ-
 მა... თვის ბოლო, ჭოჭოხეთი.
 ცოტნე! ბოროტი თვალეები უტიფრად
 მიაჩერდნენ, ცხენივით დაკრეპილი ნა-
 ფოტა კბილები.
 ცალი ფეხი მოკლე ხომ არა აქვს.

ეროვნული
მემორიალი

ცოტნე! ცოლ-შვილი არ გყავს ზომ
შენ.

დღე და ღამე ქარხანაში ვარ და საი-
დან მგეყოლება.

ცოტნე, დღეს ლიას დაბადების დღეა,
არ ავიდეთ?

არა მცალია, სამუშაო მაქვს.

ყველანი იქ ვიქნებით.

ვერ წამოვალ, შიო.

რას აკეთებ მაგისტანას.

ფულს, არ იცი რას ვაკეთებ?

ფული მაინც მოგვეცი, საჩუქარს ვი-
ციდით...

რად გინდა ამდენი ფული. ჩაიხეხვი-
ნა.

ნაფოტა კბილები გაიღრიკნენ.

ფული არავის აწყენს.

ახალგაზრდა კაცი ხარ...

ახალგაზრდას სკირდება ფული, აბა...

ალარ დაამთავრა. აბა — გულისხმო-
ბდა დანარჩენს — შენისთანა მორყე-
ულს ფული რად უნდაო.

კარგი, მაგდენი ფულის გამოწერის
უფლება არა მაქვს.

რასაც ვმუშაობ, იმას ვიღებ.

არ შეიძლება.

მაშინ ცოტას ვიმუშავებ.

არა. არ გამოვა: გევმაა, ხომ იცი.

არ ვიცი, ჩემს ნამუშევარს ვერავის
ვერ მივცემ.

ვინ გეუბნება მერე, მე მომეციო.

თითქოს მტკივან ფეხზე სიმძიმე დაე-
ცაო, ისე წამოიყვირეს ბოროტმა თვა-
ლებმა.

საზე დაელმაჰნა.

გითხარი, არ შეიძლება-თქო.

ჩემს ნამუშევარს შენ არ მოგცემ, გა-
იგე: ბატონო უფროსო, თუ...

— რა ისწავლე, ცოტნე ბიძია, პაპ
მამიკომ თქვა, დაანებეთ მაგ კაცს თავი,
თვითონ არ იცის რა უნდაო, ისე კი ცუ-
დი ბიჭი არ არისო...

რა გინდა მაინც, რით ვერ დაუდე ან
ცხოვრებას გული, ვის დაემსგავსე ასე-
თი უქნარა და უსაქმური... უსაქმური...

უსაქმური თუ პატიოსანი?

პატიოსანი ვარ ვითომ ვერა, რა უნდა
მეძლოს ასხნა, მაგრამ არაფრის გაგება
არ უნდა მამას, თუმცა რა უნდა გაი-
გოს — დღე და ღამე მუშაობს, ეს სა-
ხელი მაინც საიდან მომიგონა. ცოტნე!
ცოტნე მე არ უნდა მერქვას, არც არა-
ვის არ უნდა ერქვას, გიორგი...

რომელ უკანასკნელ ძმამთა
მისთა მეფე იქმნა და განდი-
დნა უმეტეს შემდგომთა მე-
ფეთა, რამეთუ მარტო იყო
ქედედისა, მარტო შვა დედ-
მან, ვითარცა მარგალიტი-
სათჳს, თქმულ არს მარტო-
ბა უმჯობესისათვის, ეგრე-
თვე გიორგი იპოვა უმჯობე-
სი ყოველთა კაცთა მის ჟა-
მისათა, არაოდენ ხელმწი-
ფეთა, არამედ ყოველთა კა-
ცთა.

— ცოტნე ბიძია, ბებიკომ მითხრა,
რომ გაიზრდები ისეთ მანქანას გიყიდი
მამაშენს რომ ვუყიდეო.

რა გაიზრდება, ვინ გაიზრდება გიო-
რგი.

გიორგი! ცოტნე!

იცის კი მამამ ვინ იყო ცოტნე? იცის
კი მამამ ვინ იყო გიორგი? არავინ არ
არის ამ სახელების ღირსი, როგორც
ვიზრდებოდი, ისეთი გავიზარდე, ცხოვ-
რების შიში, რომელიც მშობლებისგან
გადმომეცა, ცხოვრების ზიზღში გადა-
ვიდა, ვირივით იმუშავე ლუკმაპურის-
თვის.

— არ წაიქცე, ცოტნე ბიძია.

არ წაიქცე, ნუ დარბიხარ, არ გეს-
მის? მოდი, ჩემთან დაქეპი, მოდი აქ,
ბურთს ნუ თამაშობ, მეზობელს ფან-
ჯარას ჩაუმტვრევ, მოდი, მიწა ჩიჩქნე...
რომ ამოვივრები?

არა უშავს რა, გაგირცხავ.

— გამარჯობა, ცოტნე! გიორგის და-
უქმმაცადი?

— გამარჯობა, ქალბატონო ლია, გი-
ორგი, წაყვირე დედაშენს, აბა პური



— როგორა ხარ, ცოტნე? ნათელია თვალები სადღაც შორს იყურებოდნენ. კუპრივით შავი თმა ისევ ცხენის კუდივით ჰქონდა განასკვული. როგორა ხარ, ცოტნეო, რომ თქვა, თავი ოდნავ უკან გადაიქნია და თმაც გადაეწია.

თეთრი კისერი გამოუჩნდა.

— რატომ არ გამოივლი, ცოტნე? დადარაჯებული ხმა.

— წამოდი ჩვენთან, ცოტნე ბიძია.

— წამოდი, შვილო, ნათელი, სევდიანი თვალები. — მამიკომ შოკოლადი გიყავდა.

მატრაკვეცა.

— კარგად იყავი, ცოტნე!

გული აემღვრა. გაუბარსავ სახეზე ხელი მოისვა. მიმავალ დედაშვილს მზე-რა გააყოლა. უკან თავმოტრიალებულ გიორგის საწყლად გაუღიმა.

გაფრენილი ბავშვობა. გაფრენილი სიყვარული.

ფანჯარა გამოაღო. სქელი შავი კვამლი ზღაზღვნიტ შეერია ტალახისფერ სივრცეში. სამზარეულოში გავიდა.

ბევრს მუშაობს დედაშენი, სიტყვა — დედაშენი — ისე წარმოთქვა ლიამ, რომ მის ხმაში შ-ს ჩ-ც შეუერთდა და გამოვიდა — დედაშჩვენი, თან ამ სიტყვის წარმოთქმისას გაწითლდა. გამშრალ ტუჩებზე თითი მოისვა და თავი უკან გადაიქნია. ცხენის კუდი აუქანავდა. თეთრი, ღინღით დაფარული კისერიც კი ოდნავ შეუწითლდა. საბრალო ქალიო, ესეც ალბათ მიაყოლა სიტყვებს თავისთვის. ხმაძალდა არ უთქვამს.

გაიბუტა, როცა ცოტნემ უხეშად უბასუბა — რა შენი საქმეაო, მხოლოდ ეს-ლა მოახერხა. ისეთი რა ვთქვიო, მერე მეცადინეობა გააგრძელეს, თითქოს არაფერი მომხდარაო.

დაუფარავი თვალთმაქცობა.

სალამოთი, სამუშაოდან დაბრუნებულმა დედამ ცოტნეს დაუძახა, გამოდი შვილო, ტაფამწვარი ჭამეო.

არ მინდაო, ისე უხეშად დაუყვირა, საბრალო ქალი კარეაში ელდანიკრავივით გაშეშდა.

გაჩქურა ანთო, ტაფაში ედგა და ცვერცხის ათქვეფა...

რა შენი ბრაღია დედა, რა შენი ბრაღია დედა, რა შენი ბრაღია დედა, აყოლებდა სიტყვებს ხელის მოძრაობას. ათქვეფილი სითხე ტაფაში ჩაასხა. მე ვარ ასეთი უცნაური.

შუშ...

ჩჩჩ... ჩუმად, მგონი ცოტნე მოვიდა. დედის შეშინებული ხმა.

მთვრალი იქნება ისევ, მამის ღვარძლიანი ხმა.

არაყი დაისხა და გადაკრა.

გავალ, თქვა დედამ.

მოიცა, გამოყვება ვითომ?

რატომ არ გამოყვება, ვითომ ბევრი ფული რომ აქვს მამამისს?

ბევრი ფული აქვს! ხმას აუწია კაცმა. ეგონა ქალი მას ამცირებდა და მი-

ტომ აუწია ხმას — ბევრი ფული!

ლუკმა ყელში გაეჩხირა.

გამოყვება... გამოყვება... გაგრძელდა, გაინთქა უსასრულობაში სიტყვა, ბოლოში კი ქოლგასავით დაეფარა — ვითომ.

გამოყვება ვითომ...

სუნთქვა შეეკრა, წყალს წასწვდა.

გაუბედავი, ცხოვრებისგან დაჩაგრული კაცის სიტყვები, რომელიც სიტყვა — გამოყვებაში — გულისხმობდა — გვიკადრებენ კი ღია და მისი მშობლები ჩვენო?

მეორე ჭიკა დალია, ტაფა მოასუფთავა. ფსკერზე მზზინავ ერბოში პური ამოაწო ერთხელ, მეორედ, სანამ არ ამოაშრო.

აი, თუ არ გამოყვებაო, ჩაიციხა.

რა გაყვირებს, ყველაფერზე როგორ ნერვიულობთ მამა-შვილი, ღმერთო ჩემო.

ჩამობნელდა, ტალახში ამოგანგლული მანქანები მუხრუჭების ღრქიალ-ღრქიალით მოძრაობდნენ, აქა-იქ საბლებშიც აინთო ნათურები.

ღმერთო ჩემო... ღმერთო ჩემო... ღმერთო ჩემო... როგორი სიტყვებია, უიმედოდ მყოფი ადამიანის ნათქვამია.

ეროვნული ბიზლირთეა

თანაც ქალის, აუცილებლად ქალის მიერ წარმოთქმული და აუცილებლად შეღამებისას, როცა მზე ვარგა ჩნის ჩასულა გოლიღი ლამე კი ნელ-ნელა ქვეყანას ეფინება. დგას თვალეზში ნალველჩამდგარი ქალი, თითქოს უდაბნოში იყოს. სადაც ოთხივე მხრივ წასასვლელია. მაგრამ საით წავიდეს მაინც არ იცის. ხელში პატარა ბავშვი უკავია — მკერდთან ახლოს მიკრული, დამწუხრებული თვალეზი ცისკენ აღუბურია და ჩურჩულით იმეორებს: ღმერთო ჩემო, ღმერთო ჩემო, მე თუ არ გებრალეები, ეს ბავშვი მაინც შეიბრალე, ეს ბავშვი მაინც გადაარჩინეო. ლამე კი ნელ-ნელა მოცოცავს, როგორც ქათქათა ქალღალღზე დაღვრილი მელანი, როგორც დაღლილ გონებას ძილი, ისე ახვევს ყველაფერს წყვილიადში.

სიგნალის ხმა გაისმა.

სიძე ბატონი, სიძე მოსამსახურე.

ისეთ მანქანას გიყიდი, მამაშენს რომ ვუყიდეო.

— ლია... ლია...

— რა იყო!

— დედა მზად არის? მერე კრებაზე ვარ წასასვლელი, გელოდებით.

ალბათ ლიაც დედამისს დაემგვანება სიძე ეყოლება თუ არა?

ჩემს ერთადერთ ნანატრ ქალიშვილს (ქალიშვილს და არა გოგოს ამბობს), როგორ გაეუშვებდი სადმეო, მისთვის ხომ არ ვიწვალეთ მე და ჩემმა მეუღლემ (მე-ს აუცილებლად პირველად იტყვის), რომ ჩვენი ერთადერთი ქალიშვილი სადაც გაგვეშვაო (აუცილებლად ვიწვალეთ-ს იტყვის, ვიშრომეთ-ს კი არა).

გაფხორილი ინდაური, ვიწვალეთო, ერთი საათიც კი არსად უმუშავია.

მემანქანის შვილს ჩემს ნანატრ ქალიშვილს როგორ გაეყოლებ, უმალ ჩემს კუბოს გაიტანენ ამ სახლიდან, ვიდრე ეგ მოხდებო.

აბრაამის ბატკანი, სანაქებო, დამჯერე ქალიშვილი, დედის კალთას გამოიმული ბოჩოლა,

— აღარ მოდიხართ...

კომკავშირის მდივანი, გაბღენილი ვირიშვილი, ცხვირმოუხოცელი ლლაპეანი, ხელფასი ასი მანეთი, მანქანები, წვრილი ყელსახვევი, თეთრი პერანგი, წვერგაპარსული ვირთხა, დედიკო, მამიკო, სამშობლოს სჭირდება, რაიკომში მივდივარ, ლამაზი ქალები, ვიდეო, სექსი, კრებებზე დაყენებული ხმა... ახალგაზრდა კაცი ხარ, მომავალზე არ ფიქრობ? შეხედე, რა ამბები ხდება მსოფლიოში, გარყვნილი კაპიტალიზმი, უმუშევრობა, ნარკომანია, უაზრო ახალგაზრდობა, ჩვენ სხვა იდეები გვაქვს, არ შეიძლება ასე მუშაობა, ახალგაზრდობო, ჩვენ ვერ შევუვრიგდებით ლოთებს და უსაქმურებს, ჩვენ... ჩვენ...

ვინ თქვენ?!

მალა აწეული ხელი, სიყალბე, სიბინძურე.

ჩვენ ვერ შევუვრიგდებით...

საქმეს სჭირდება, გგონია საწოლშიაც კომკავშირის ნიშნით ეწვები?

საქმეს სჭირდება...

რომელ საქმეს?!

რალა მე მომატყუონ, მე მოვატყუო, არ ჯობია?

ცივი თვალეზი.

ძმაცაცობა, ლოთობა, აგარაკები, გარყვნილი ქალები, კარიერა, კარიერა-დაბოხებული ხმა, გაპარსული სახე, თეთრი პერანგი, შავი კოსტიუმი, ლამაზად დავარცხნილი პინგვინი.

ჯიბეში მალბორო, ძვირფასი სანთებელა, თეთრი, ნასათუთევი ხელები, ჭრელი სული.

კაბინეტში ტელეფონზე ლაქლაქი.

ანეგლოტები, ანეგლოტები, ანეგლოტები ყველაზე და ყველაფერზე...

ღმერთისგან მოგონილი ანეგლოტი, ჩვენი ცხოვრება.

სიყალბე თუ სიმართლე,

სიძულვილი თუ სიყვარული,

ბოროტი თუ კეთილი,

თუ ყველაფერი ერთად...

ყველაფერი ერთად... ყველაფერი ერთად...

— ოპო...
ნათურის მბეუტავი შუქი, საზიზლარი სიყვითლე.

— სვამდი? სულ ვალოთდი.

— გშია? საქმელი არაფერი მაქვს. მევადე კიტრი ხომ გინდა. ტაფამწვარზე რას იტყვი. გაგიკეთებ ახლავე.

— შენ წვერი გაიპარსე. მე თვითონ გავიკეთებ.

— რად მინდა.

— კალათბურთზე წავიდეთ.

— ფული გაქვს? მე გუშინ დავხარჯე, რაც მქონდა. ისიც არ მახსოვს სახლში როგორ მოვედი.

— კი. რა ვითხრა მამაშენმა. ისევ ხომ არ გეჩხუბა?

— არც მინახავს.

შავი, ამღვრეული თვალები. საპონი ააქაფა და ჯაგარა წვერზე წაისვა. გულმოდგინედ, თითქოს გაბრაზებითაც, თეთრი, ყვრიმალებთან გადაჭიმული კანი

ცოტნე.

ლიას ხმა ეუცნაურა — გაკვირვება და მღელვარება ერთად არეულიყო. ცოტნე, წვერს რატომ არ იპარსავ?

რა? ამოხდა ბიჰს და უნებლიედ ზე-ლი საულვაშეზე მოისვა.

სამზარეულოდან ერბოს შიშინი მოისმოდა. შიოს ხმაც მოსვენა.

— რა ქენი, ვერ მორჩი?

ცალი ლოყა ჩამოიპარსა.

მეორე დღეს ადრე მივიდა სკოლაში. მთელი სახე უხურდა. ისიც მოვიდა. თითქოს არაფერიო, თითქოს ვერც შეამჩნია ცოტნეს გაპარსული სახე.

ცხენის კუდი. კრიალა, ბუსუსებიანი წვივები.

— მაინც რას აპირებ. თქვენი ჯგუფის უფროსმა — გარიკამ — ასე თქვა — მაგ კაცს მუშაობა არ უნდაო. ზუსტად ასე უთხრა განყოფილების უფროსს. კედელში გააღწია ტაფამწვრის სუნთან შეზავებულმა ხმამ.

— ჰოო... მეორე ლოყის პარსვა დაიწყო.

რია. ზამთარია. ზის ახლა განყოფილებაში. უფროსის მძლოლი, ჩემი უფროსი გარიკა. რა გვარია? ერთი მაგისი. თაფლი. უფროსს თაფლი უყვარს.

ლამაზი ველ-მინდვრები. ყვავილები, ყვავილები. სითბო, სინათლე. მტვრიანი შარა მინდვრებს შორის, ლამაზი უსასრულობა. მანქანა. უკან გამობმული საზიდრიო. ულვაშებიანი სელაპი. შეჩერებული მანქანა. გზაზე მიმავალი ქალები. ბუდიდან ამოცვენილი თვალები. ჭიშინი წვივები. კრიალა. ბუსუსებიანი წვივები. გაბაზრებული ქართული. ქალების გადაკისკისება. სელაპის ამოხვრა. სამსახურში დათაფლული ენა. რუსულსომხურქართული. ინჟინერმეფუტკრე. მეფუტკრეინჟინერი. მძლოლი-ინჟინერი. ინჟინერმძლოლი, მეფუტკრე-მძლოლიინჟინერი...

— ფუჰ... გაკრილი ნიკაპი.

— ბერძენიშვილი გკითხულობს, ცოტნე სად დაიკარგაო.

— ვინ ბერძენიშვილი. გნეზდიოვა?

ბერძენიშვილი. ცხვირაპრეზილი წიწილა. ცოტნეო. ასე იტყვის. თითქოს სიტყვა გაპრიალებულ ენაზე ედოს და პირს როგორც კი გააღებს. იმ წამსვე თვითონ გადმოსრიალდება — ცოტნე. როგორც მოწყობა.

სისხლი ცოცხალი მოიბანა.

წითლად შეღებილი ტუჩები. წყლისფერი თვალები. გაბანჯვალული წვივები. ქმარი არაფერს ეუბნება?

დადიანმა ველარ მოიყვანა ცოლად? სახეზე ცივი წყალი შეისხა.

— ცოტნე. ვერ მორჩი? კარებში ჩამდგარი ჩრდილი.

— მაია რას შერება?

— რა ქნას. ზის და ყავას სვამს. მეკითხები, თითქოს წელიწადი არ გენახოს.

ფერმკრთალი, დახვეწილი სახე, ჩრდილჩამდგარი. მომლოდინე თვალები (ქართველ ქალებს რატომ აქვთ ნაღვლიანი თვალები. ზის და ბედს ელოდება. ვის ელოდება?)

გაქრული სახე. თეთრი. კრიალა



ქბილები. ცუდი ძილი. სისხლის ყვი-
ლი. ზამთრის გრძელი და ცივი ღამეე-
ბი. ფეხბურთით მოსიარულე დედა.
დადარდაიანებული. შავებით მოსილი ქა-
ლი.

თბილი სვიტრი. ფუმფულა საყელო-
ში თეთრი, ქათქათა ყელი. სქელი შა-
ლის ქვედაკაბა. ზამთრის წინდები.
ოთახს მოძალეებული ბინდი. ფანჯარას-
თან მიმჯდარი ახალგაზრდა ქალი.

ჩრდილჩამდგარი ნაღვლიანი თვალე-
ბი. უმამო. გასათხოვარი ქალი. მეტი
წმენდისგან გახეხილი ავეჯი.

მკრთალად განათებული ოთახი. საკ-
მეველისა და დამქანარი ყვავილების
მძაფრი სუნი. შუახნის კაცის ცვილის-
ფერი სახე. იმქვეყნიური სიმშვიდე.

შავი თვალები. შავი კაბა. მოციმცი-
მე სანთლების შექმნე, ფერდაკარგული
სახე. ბუსუსებიანი, ოდნავ თბილი ბა-
გის კუთხე. ამისამძიმრება.

ცრემლებგამშრალი დედის ზღუქუ-
ნი — შვილო, როცა მამა გჭირდებოდა,
მაშინ გამოგეცალა ხელიდანო. ცოტაც
და იტყოდა — თბოლი ვის რაში უნდი-
ხარო. ცოტნეს მოზღუქუნე ქალი შე-
ეზიზა. კინალამ აღებინა.

მომჩვარული ხელი. დაკმუქნული
ცხვირსახოცი. ცრემლებისგან დაღარუ-
ლი სახე. მერე ის შეებრაღა და თავფე
შეეზიზა. ეს რა ვიფიქრე საბრალო
ქალზეო.

კარგი. გეყოფაო, ჩურჩული თავჩაქი-
ნდრული ქალებისა.

დიასახლისის ყურთან დახრილი ოჯა-
ხის ნათესავები.

მტკიცედ ნათქვამი სიტყვები — კი,
ბატონო, როგორც უკეთ იქნებაო.

მერე ისევ სცენაზე წაქანავლებით ნა-
თქვამი — ეხლა მაგის თავი არა მაქვს,
თქვენ როგორც ჩათვლითო... სიყალბე,
კვლავ შეეზიზა.

ორმოცის წინა დღე.

გასაშლელი მაგიდები. გადასაფარე-
ბლები. სკამები.

ცოტნე. შვილო, ცოლი რატომ არ
მოგყავს. რატომ იგვიანებთ? იგვიანებ-

თო. ჩემი მამაც. მოუყვდა დედას...
ხოვარი მყავსო, ჩაიტია თ ასომ.

დედა! რამდენი სტუმარი მოგვივა?

მოგვივა... ოჯახის უფროსად მონათ-
ლული ცოტნე. შეიძლება იმ წუთში
უნებლიედ. მაგრამ მაინც როდისმე
ნაფიქრალი.

კი მაგრამ, შევეფერები მამას, ვარ
მისი ღირსი?

მეოცნებე, კეთილი გოგო, ასეთად
დარჩება ვითომ. თუ გაუხეშდება?
თეთრ სახეზე. საფეთქლებთან მფეთქა-
ვი ლურჯი ძარღვები რაღაც მორჩილი-
სა და მორწმუნის იერს ანიჭებენ. კარ-
გი გოგონაა.

გაჭრილზე თხელი ქალაღლი მიიწე-
ბა. ყელზე წვრილად ჩამოდენილი იის-
ფერი სისხლი წყლით მოიბანა.

— გამოდი, თუ გამოდიხარ. აქაწკაწე-
ბული ხმა.

— ფეხსაცმელს გაეიწმენდ პარემლა-
ცა.

— შარვალიც არ დაგავიწყდეს. სად
დაბორიალობდი, ეგრე რომ ამოგანგ-
ლულხარ. შიო აბაზანის კარებთან იდ-
ბა.

— ძველი ნაცნობები შემხვდნენ.

— ვინ ტირის, ცოტნე?

მოგუდულ ხმას თითქოს ჩამოშავე-
ბული სივრცე გამოსცემდა.

— მეზობლის ქალია. შვილი ჯარში
მოუყვდა.

წარვიდა საომრად ასურე-
თს მანგუდემური და თან იაზ-
ლა დემეტრე II თავისი ლაშ-
ქრითურთ. შეიქმნა ბრძოლა
ფიცხელი, რომელშიც უმრავ-
ლესნი ქართველი მოიხრ-
ნეს.

ჩვენი ტოლა ბიჭი იყო. ტირის და
ტირის საწყალი ქალი.

უაზროდ მოლოდინე დღეები. წლები.
ტალახისფერი სველი ცა. ტალახიანი
ქუჩები. სველი, ძვალრბილში გამავალი
სიცივე, სუსხიანი ქარი, დაფერთბილი,
სველი თეთრეულივით ცხვირპირში რომ
მოგაყრის წინწყალებს. გაქუცული, საბ-
რალო ხეები. ტალახში აზელილი. დამ-



ნი დღეა... ვირიშვილი... საით იყურები-
პი. ცოტნე?

რამდენი ხანია ერთმანეთს დღერეფან-
ში ეხვედებოდით და ცნობით კი არ გი-
ცნობთ. ბიჭის მოგუდული ხმა.

მერე... გოგოს ნუშის თვალები. რა-
დაცნობად საწყლური ღიმილი. ფარ-
თო პირი, თხელი მხრები, მსუბუქი ნა-
ბიჯი. გრძელი ფეხები.

მერე... პატრონი არ გყავს...
გოგოს გაოცებული მხერა.
შემკრთალი ბიჭი.

ცუდად არ გამოგო. იმის თქმა მინ-
დოდა. ასეთ ღამაზე ქალიშვილს ქარხა-
ნაში რა გინდა-მეთქი. ცოდო ხარ.

ისე... ბიჭის გაბალისებული ხმა.
თქვენ თამარი გქვიათ ხომ?
საიდან იცით?

ასე ვფიქრობდი.
თქვენ რა ჩემზე ფიქრობთ? ღრმა
ამოოხვრა.

კი... გაწითლებული ბიჭი.
თქვენ რა გქვიათ?
ცოტნე.

ოპო... აბა კარგად იყავი, მეჩქარება,
წყლოდებიან.

ქარხნის გამოსასვლელისგან მოშო-
რებით მდგარი ნაცრისფერი მანქანა.
გოგოს მსუბუქი ნაბიჯი. საჩქაროდ გა-
ღებულა წინა კარები, ძია კაცი, ალბათ
მამაა.

თხელი მხრები, მაღალი წვივები, ნუ-
შის თვალები; კეთილი, კეთილი, ოდნავ
სევდიანი მხერა.

„მხერა ქართულია“... ფართო პირი,
ღამაზი ტუჩები, თამარი.

— საით იყურები, ცოტნე? აბა, თამ-
რიკოს უყურებ?

— ვის?
— თამრიკოს, ჩვენს სართულზე რომ
მუშაობს.

— რა ჰქვია?
— თამრიკო ჰქვია.

— მერე იმასთან რა უნდა...
ნაცნობი სივითა. მსხვილძვლიანი
ტანი. გამოწეული ყვრიმალეები. აყა-
ლოსფერი სახის კანი, ჯიქივით მკერი-

ვად მოძრავი ჩამოძლიანული მუცელი...
— აბა, დაჭიკნული ფეხები. მთელი
ისი ხმა. გრძელი ხელები. შვილებს გე-
ფიცებოთო. ისე იტყოდა. თითქოს სახს-
უსვამდა. ცოლი არ მიყვარს და მხო-
ლოდ მიტომ ვცხოვრობ მასთან, რომ
ჩემი შვილების დედააო. ქარხნის წინ
მზინავი, გაკრიალებული მანქანა.

— თქვენ რა ჩემზე ფიქრობთ? თავი
შეეზიზღა. მეოცნებე სულელი. აბორ-
გებული დარბაზი. მოკლეფეხებიანი
ვირთხა, გოგომ რომ ძალით წამოიყვა-
ნა კალათურთზე და რომელსაც ალბათ
სული მისდიოდა სანამ გოგოს ლოგინ-
ში ჩაიკოტრიალებდა. თამრიკოს გრძე-
ლი ფეხები, თეთრი, თეთრი წვივები,
ცოტნეს გააფრთოლა. აბლაღებულ
დარბაზი. გონება აემღვრა, რწყევი
მოუნდა, ქერი დაბზრიალდა.

— ეგა ხმარობს, შიოს შორეული.
ყრუ ხმა.

გ უ მ ბ ა თ ი ჩ ა მ ო ი ქ რ ა დ ა ვ ი-
თ ა რ ქ უ დ ი კ ა ც ი ს ა, ე ს რ ე თ
თ ა ვ ს ა დ ა ე რ ქ ე ა ო.

დანგრეული სვანეთი, ჰაერში ფტიალ-
ფტიალით მოფარფატე სახურავებზე,
სახლის პოძები, ტუჭყიანი, მიწაში არე-
ული თოვლი. ზევეები — ორად გაზ-
ლეჩილი — კოშკის კიდეს მიმსკდარი
— მოგრუხუნე თოვლის გამაყრუებე-
ლი ზანზარი. შავ წერტილებად დარ-
ჩენილი ნაკელიანი ნაბოსლარება. მო-
მაცვდავების სიმწრით დაფჩენილი და
თოვლით ამოტენილი პირები; თოვლში
ამოჩრილი დამხრჩვალთა დაკრუნჩხუ-
ლი ხელები. წუნწუნის ფერი, მოლაპ-
ლაპე მდინარეები. მოგლეჩილი ხეები,
მოტივტივე მძორები. მომაცვდავთა უკა-
ნასკნელი ბლავილი — ჰაერში გაყინუ-
ლი ხმები. მუქარით აღმართული ხე-
ლები. აბლაღებულ დარბაზი.

მ ო ი წ ი ა პ ა რ ა ს კ ე ვ ი... კ უ ა-
ლ ა დ ა ც შ ე ი ძ რ ა ქ ე ვ ე ა ნ ა დ ი
დ ა ყ უ დ დ ა. მ ო ი წ ი ა შ ა ბ ა თ ი დ ა
ი ქ მ ნ ა ს ა მ ე ა მ ა დ დ ლ ე დ ა ხ ვ ა-
ლ ი ს ა დ ლ ე ჯ ე რ ი ყ ო ს ი ხ ბ ა რ უ-
ლ ი ს ა ა ლ დ გ ო მ ი ს ა თ ჰ ს უ ფ ლ ი-

ეროვნული მშენებელი

სა და ყოველნი მოვლოდეს
სიხარულსა... საფუძვლი-
თურთ შეიძრა ქვეყანა და
შეძრუნდა... დაიქცეს სა-
ყდარნი და მონასტერნი,
ეკლესიანი და ციხენი, სა-
ბლნი და ნაშენებნი, მო-
თარდეს, მთანი და ბორც-
ვნი დაიზვინნეს, კლდენი სა-
ხედ მტვერისა დაიგალნეს...
მიწა განიპო და შავი წყალი,
მსგავსად კუბრისა, აღმოიქ-
რა... ხენი დაეცნეს და ირყე-
ოდოიან ძერასა თანა ქვეყანი-
სასა.

ესე ამბავი თვით საყავნო-
შიც შეიტყვეს.

რას გაიგებდნენ, მაგრამ შემოსავალი
რომ შემოაკლდათ, მიხვდნენ. ამიტომ
გადაწყვიტეს გაეგოთ — რომელი
ქვეყანა აოპრდა, გინა აღ-
შენდა...

ცოტნემ პირზე ხელი აიფარა. ამლ-
ვრეულ გულ-გვამს ძლივს იკავებდა.

დუმანის, ათასეულისა და
ასეულების ბეგებს, რომე-
ლნიც წლის დამდეგსა და
წლის დამლევს ჩვენი აზრის
მოსასმენად მოდიან ხოლ-
მე, ჯარის უფროსობა შეუქ-
ლიათ, ხდლო ვინც თავის ხა-
რგაში ზის და ჩვენს აზრს
ყურს არ უგდებს, ასეთ პი-
რებს უფროსობა არ შექმვე-
ნიოთ...

ხელისუფალს. რომელიც
თავისი სავამგეოს საქმე-
ებს ვერ გაუძღვება, თავისი
ცოლშვილითურთ პასუხის-
მგებლად ვთვლით. ამით, ყო-
ველ თანამდებობის პირს
შიში და მორიდება ექნება
და ჩვენი ერთგული იქნება...

სადუნ მანკაბერდელი — კი-
ცი ფრიად გამორჩეული, გასომხებული
ქურთი. გაქართველებული სომეხი, გა-
მონღოლებული ქურთსომეხქართველი,
გაქართველებული ქურთსომეხმონღო-

ლი და მიადგა მეფე-დამპყრობს. მშენი,
მშენებელი და თამარი ცოლად მოიყ-
ციო.

ცოტნეს წამოაღებინა.
მოიყვანა მშენებელი თამარი და მე-
სამე ცოლად დაისვა.

წყალი მოღშეა, მოსვრილი პირი მო-
იწმინდა. სული მოითქვა.

ქალი არ გაძლიანებია. პირიქით, გა-
უხარდა კიდევაც — ამ სულისმლოთვე
ცხოვრებაში მეტი რა დამარჩენია, გარ-
და იმისა — ფუფუნებით ვიყო.

აღბათ ნუშის თვალები ექნებოდა მა-
საც, მეოცნებე ყვეყნო.

ეკლავ გული აერია.
წყალი ონქანში დგაფუნით მოდიო-
და.

დერეფანში ისე მოწიწებით ჩაივლი-
და გოგო, ისე მორცხვად შეხედავდა
ხოლმე, რომ...

მაინც როგორი თვალები ჰქონდა იმ
დროს, როცა იმ გაბუნძილ ვირიშვილს
პირველად დასებდა.

სადუნ. და თამარმა ბრილიანტე-
ბით დამძიმებული ხელი ბანჯგელიან
მკერდზე გადაუსვა.

რა იყო, თამარჯან?
რაც უნდა იყო, მაინც მეფის და
ვარ...

მერე რა გაკლია, ჩემო გულის მალა-
მოვ?

ჩემზე მეტად სხვა ცოლები გიყვარს.
შენი თავი არ მომიკვდეს, მაგას რას
მეუბნები.

რა ვიცი, კვირამი ერთხელ მოდიხარ
ჩემთან და...

ქალის მკერდი აყალოსფერმა ხელე-
ბმა ჩაბლუჭეს.



— ცოტნე მასწავლებელო. ცოტნე
მასწავლებელო. როგორა ჩართ?

გაბრუებულმა ცოტნემ სახეზე სველი
ცხვირისახოცი მოასვა.

- კალანპურთზე მოვედი.
- წააგებენ ჩვენები?

— რომელი ჩვენები? თუმცა მართლა წააგებენ.

— ცუდად ხომ არა ხართ?

— არა, ისე. თქვენ რას შერებთ.

— ვართ რა. რატომ წახვედით სკოლიდან?

— რა ვიცი. მომეწყინა. მის წინ აყუდებულ ბიჭებს სიყვარულით შეხედა. რა მასწავლებელი შე ვარ, თქვენ რომ გასწავლოთ.

სიგიყემდე მისული მამა. პირი გაალო და ხმას ვეღარ იღებდა. ყვირილი უნდოდა და ენას ვერ იბრუნებდა. კისრის ძარღვები დაებერა. საფეთქლებთან ოფლმა დაასხა. გაშეშებული იდგა რამდენიმე წუთი. მერე იქვე მდგარ სკამზე ჩამოჯდა. მუხლებზე ხელები დაიწყო და კედელს მიაშტერდა.

რისთვისღა ვინაარა ჯეზოდ იო — ორად ორი სიტყვა თქვა.

მეორე დღეს ცოტნე ქარხანაში სამუშაოდ წავიდა.

— ახლა ვინ გასწავლით ფიზიკას?

— დირექტორმა თავისი საყვარელი მოიყვანა. გაპრანჭული გოგოა.

— როგორ არის ბატონი მიხეილი?

— რა უჭირს.

ცოტნე!

გისმენთ, ბატონო მიხეილ.

მეათეკლასელებმა გვერდით ჩაიარეს.

თვა წერეთელს მოკლე კაბა ეცვა. თეთრი ბარძაყები ანათებდნენ. ცოტნემ დირექტორის მზერას თვალი გააყოლა და გოგოს მკვრივ უკანალზე მიასწრო.

ბატონ მიხეილს პირი ოდნავ ღია დარჩენოდა. ცოტნემ თვალები დაბლა დახარა.

გისმენთ...

ისე. არაფერი. კაცო, შენ ფიზიკოსი ხარ თუ ისტორიკოსი!

დაანებე ბავშვებთან ეგეთ ლაპარაკს თავი...

მთავართა იწყებს ურთიერთას მძლავრებად და მიხვეჭად. ხელის შეხებად და მი-

ტაცებად სოფელთა რააკთა.

არავინ იპოვებოდა სამართლის მყოფელი.

ისტორიის მასწავლებელი თვითონ ასწავლის, რაც საჭიროა. თუ მაინცდამაინც აღარ იშლი, შე კაი კაცო, ახალი ისტორია არა გვაქვს, თუ რაა, მარტო ჩვენი დიდებული პარტიის ისტორია რად ღირს; დაანებე წარსულს თავი, რაღა დროის თათრები და მონღოლები არიან. ჩაბარდა ეგ ყველაფერი ისტორიას, როგორც იტყვიან ხოლმე.

თავისსავე ნათქვამზე გაეცინა.

ყველა მტერზე ძლევამოსილობა ღმერთმა თქვენ მოგანიჭათ და მანვე კაცთა უმჯობესად გამოგაჩინათ.

ხეჩუაშვილის მშობლები იყვნენ ჩემთან. ფიზიკის მაგივრად ჩვენი ბიჭი ისტორიას სწავლობსო, უკმაყოფილოა ხალხი.

არ შეიძლება ასე. ახალგაზრდა კაცი ხარ, ცოტა წინ უნდა გაიხედო, უკან ყურება რას გარგებს. ხომ ხედავ, ყველაფერი მოძრაობს. ყველაფერი იცვლება, წინ მივდივართ. შენ კი... არა, მე იმას კი არ გეუბნები, და საერთოდ, ჩვენი გმირი წინაპრების საქმეებს კი არ ვუარყოფ, ღმერთმა დამიფაროს, მაშინ რაღა კაცები ვიქნებით. მაგრამ მაინც, ხომ გესმის რისი თქმა მინდა...

ჰო, მართლა, სულ სხვა რაღაც მინდოდა მეთქვა. კოლექტივში გაერიე, დაუახლოვდი ხალხს. მარტო კაცი ჰამაშიც ცოდოაო, არ გაგიგონია? ყველანი იმის გულისათვის ვართ აქ, რომ ჩვენს დიად სამშობლოს ღირსეული მომავალი აღვუზარდოთ. აბა, შენ იცი. არ შემარცხვინო, რაც გითხარი, დამახსოვრე, ახალგაზრდა კაცი ხარ, გამოგადგება.

ცხოვრება ისე არ არის, როგორც შენ და საერთოდ ახალგაზრდებს გგონიათ.

ეჰ, ნეტა მეც შენი ტოლი ვიყო.

თვალები ნალვლიანი გაუხდა. ეშმაკური გამოხედვა მზერაში ჩაღვრილმა სიტბომ შეუბრძოლა.

ახალგაზრდობას მისტირის, არ უნდა იყოს ეს კაცი ბოროტი.

დერეფანში გოგონები გამოჩნდნენ. ასე, ჩემო ცოტნე, აბა შენ იცი, თეა!..

გოგო დირექტორისკენ წამოვიდა.

კაცს მზერა კვლავ შეეცვალა.

ბებერი მელა.

აქ ყველანი იმის გულისთვის ვართ, რომ ჩვენს დიად სამშობლოს ღირსეული მომავალი აღვეუზარდოთ.

ღარბაზიდან ხალხის გუგუნი გამოიქრა.

— შესვენება დამთავრდა, ცოტნე მასწ.

— კარგად იყავით, ბიჭებო.

— კარგად, ცოტნე მასწავლებლო.

ოქტომბრის თბილი დღე იდგა. გოგოს თხელი, ყელიანი სვიტრი ეცვა. ცოტნე მისკენ არ იყურებოდა. ჭიუტად წელში მოხრილი მზის სხივებისგან ალაპლაპებულ მაგიდას დაშტერებოდა, უკანიდან ქალიშვილის ზარივით წკრიალა ხმა რეკდა. სახეც ასეთი სუფთა აქვსო, გაიფიქრა.

საშინლად მოუნდა მისთვის შეეხედა.

მხრებში გაიმართა. ამ დროს ხმაც შეწყდა. მიტრიალდა, სანახევროდ, მხოლოდ თავი მიაბრუნა. გოგო დაფაზე ფორმულას წერდა. ხელს მზერა ჩამოაყოლა და ჭიშკანს წვივებზე შეაჩერა. ხორბლისფერი, ბუსუსებით დახორკლილი წვივები. სისხლმა ულაცოვით გაიწია ძარღვებში. გოგოც შემობრუნდა, ირიბად გადმოხედა. კრიალა კბილებზე ენის წვერი გაისვა. ხელი თეძოზე შემოიღო, წელი გაიხნიჭა და მძიმე მკერდი წინ წამოსწია.

ცოტნე სკამზე გაიყინა. მთელი გაკვეთილი არ ამდგარა. მისთვის აღარც ფიზიკა არსებობდა და აღარც არაფერი. მას წერეთლის გოგო უნდოდა.

თავის ადგილზე ძლივს მიაღწია. შიო აღარსად ჩანდა.

მილიციამ წაიყვანა, უტყუარა სიყვითლბო.

მაგიდას ორნი უხსდნენ. ყვითლად მბჟუტავი ნათურა ოთახს ძლივს ანათებდა. სიგარეტისა და ნესტის სუნი ერთმანეთში არეულიყო. დახორკლილი მაგიდა შავად გაქვარტლულიყო.

ისხდნენ და ლაზღანდარობდნენ.

კარები კრიალით შიიხურა.

მილიციელები ოდნავ შემობრუნდნენ. გამოყეყეჩებულ სახეებზე ნაკვთიც არ შერხევიათ. არც ხმას იღებდნენ.

— ჩემი მეგობარი თქვენთან არის?!

— ვინ შენი მეგობარი, საზურგეს მიეყრდნო ახმახი ტიპი, და საერთოდ, შენ თვითონ ვინ ხარ!

— ჩემი მეგობარი შიო. გაღვლილი ქურჭი შეიკრა, შეამცივნა.

— რა გვარია? დაამტქნარა მეორემ. მელოტმა.

— ლულუშაური.

— გულუშაური? გაიმეორა ისევ მელოტთავიანმა.

— ვთქვით ჩვენთან არი, მერე შენ რა გინდა, წამოიწია ახმახი.

— ჩემი მეგობარია.

— დიდი ვინმეც გყოლია. ვირიშვილი... რას მიყურებ, ვერ გაიგე, ვირიშვილი-მეთქი! თუ ბევრს ილაპარაკებ, შენც იმის გვერდით მიგაბრძანებთ. თან მელოტთავიანს გადახედა.

— რატომ აგინებთ?

— ვინ აგინებს. ესეც მთვრალია. შეხედე ერთი, წამოდგა მელოტი.

— ჩვენ ერთად ვიყავით.

— მეც მაგას არ ვამბობ? — აქაო და რა ჭკუიანი ვარო, გაშალა ხელები მელოტმა. თან ახმახს გადახედა.

— სად არის შიო. მანახეთ.

— ძაან გინდა? გაიღრჩია ახმახი.

ოთახში მესამე შემოვიდა.

რა ხდებო, ისე სხვათაშორის თქვა. ეტყობოდა უფროსი იყო.

ახმახიც წამოდგა.

— კალათბურთიდან რომ მთვრალი მოვიყვანეთ...

— მერე, მიაჩერდა ცოტნეს მესამე.

— იმის მეგობარი ვარო, შემოგვივა-



რდა ოთახში და ჩხუბი დაგვიწყო, ამ-
 ნანაგო უფროსო.

- რა გქვია, ბიჭო, შენ!
- ცოტნე.
- ოჰო... რა გვარი ხარ.
- დადიანი, გაუტია ცოტნემ.
- მოიცა, მოიცა, თითქოს რალაცას
 იხსენებსო, ჩაფიქრდა უფროსი. მერე
 ისევ ცოტნეს მიაშტერდა. შენი მეგობა-
 რია ის ბიჭი?
- კი, ჩემი მეგობარია.
- ერთად სვამდით?
- კი, ერთად ვიყავით.
- ესე იგი, ერთად სვამდით, კიდევ
 ვინ სვამდა?!
- ტაბიძე, ჩემო ბატონო.
- სად არის მერე, არ მოვა?
- ვაკეშია, ბატონო, ბენზინის წერ-
 ტთან დგას...
- რას აკეთებს იქ, მღერის?
- რა ვიცი, დგას და ფიქრობს...
 ახმანმა მელოტს გადახედა, ორივემ
 კი უფროსს შეხედეს.

- წავიდეთ, უფროსო?..
- წადით, თუმცა მოიცათ...
- ბიჭო, რომელი ტაბიძე დგას იქ?!
- გალაქტიონი, ბატონო.
- დაგვცინი ხომ, შე ნაბიჭვარო...
 განხადეთ ტანსაცმელი, მაგის ოხერი...

ბეტონის დახორკლილ კერზე წყლის
 წვეთები ბზინავდნენ. ბეტონისავე იატა-
 კზე ორი შავი სკამი იდგა.

— შეეთერი! აიგერ შენი ძმაკაცი.
 გამომივიდა ესეც ცოტნე დადიანი...

შუა ოთახში შიშველი შიო იდგა. სი-
 ცივისგან კბილს კბილზე აკაკუნებდა.

მზე აცხუნებდა. ირგვლივ ყვავილნა-
 რი ბიბინებდა. მოსეული ფუტკრები
 ბზუილ-ბზუილით დაფრინავდნენ. შორს
 ცა ჩამუქებულყო და უსაზღვრო ლუ-
 რჯი სივრცე თეთრ მთებს უმოძრაო
 ზღვასავით მიდგომოდა.

ცოტნეს გაეცინა.
 ზურგს უკან კარები მიიჯახუნეს.



* * *

თომა ბალიაურს

რა მერქვა... ღირდა აქ მოსვლა,
ან წასვლა ღირდა ექვად?!..
სულ ერთი დამე სამოსად.
ჯავრი — სულ ერთი შექმა.

და ზღაპარ-ზღაპარ წიქარამ
დამხარჯა ღმერთის წილად.
ხან მფანტა შენი მთის ქარმა,
ხან შენი ზეცის წვიმამ.

სიცოცხლედ — ტანს რომ მოიმსხვრევს
ასა, გულამდე მომყვა.
სისხლი გავუყავ მოსისხლეს.
სრემლი გავუყავ მოყვასს.

მწუხრით პირშეკრულ კრილობით.
დრო თავს წამადგა უცებ.
აკივლდა ეამი ღვინობის,
გამკრიფა ფურცელ-ფურცელ--

* * *

რაც თავი მახსოვს, ყველა დღე
შენს თავს თანდათან მართმევს.
ვერც მოვალწიე შენამდე.
ვერც სამუდამოდ დაგთმე.


ქარი გტაცებდა ქარისას,
მზე ეღვრებოდა მზისწილს.

ცა იყო? — ურცხვად გჩემობდა
სულად, რწმენად და ფიცად.
უშენოდ არ დარჩენოდა
ფეხებთან გეჯდა მიწა.

ჩემი ტკივილის მე მსურდა,
მაგრამ თოვლს სურდა თოვლის.
ეს ცა და მიწა შემძულდა
გამრჩალს ცა-მიწას შორის.

ღამე გმალავდა თავისას,
ღლიდან გამოხსნილს სიმწრით.

ბოლო დღე გამილამაზებს
დასაღვრელსა და დაღვრილს;
„ჯვრად დაგადგები საფლავზე,
სიკვდილიც ველარ გაგვეყრის“.



ნუ დაბრუნდები

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ნუ დაბრუნდები... ახლა სხვა საბლობს
დღეებში. სადაც ცხოვრობდი ერთ
დროს.

ჩაიქცა, რაიც შენს თვალებს ახსოვს:
ზაფხულის ტანი, ღამის ცის ერდო.

გზად ჩაბერგია ოცნებებს დაცლილს
ნაცვეთ-ნალეწი ვნებების გროვა.

ნუ დაბრუნდები... ღმერთიც და კაციც
ქვეების სიმძიმით წონიან ხსოვნას.

ჩამომქცნარია მინდვრების ფარჩა,
დაზამთრებულა „გეწეროს ჯვარი“,
იქ უზრუნველი ბავშვობა დარჩა
და ობლობასთან დასტური მთვარის.

ველარ განკურნავს უკვე წამალი
სიცოცხლეს — შეძრულს თმიდან
სისწლამდე.

აკმარზე სიზმრის ცა და ტრამალი
დარჩენილ დღეებს. ჯვარს და
სიცხადეს.

დაიგვიანებს საშველი შორით.
რომ შენი ბედი ხელახლა სინჯო.

ნუ დაბრუნდები... პირველი თოვლი
იმ მონატრებით გათბობდეს — გიჯობს.

ბოლომდე დათმე ერთი მოხედვით.
ამაზე მეტი წყურვილმა რა ქნას.
იქ აღარ გელის სითბო „მოხვედი?“
ეს სიტყვა გვიან ცეცხლივით ჩაქრა.

გადაფრენილან ის გოგონები.
გადაჰყოლიან თიბათვის ყვავილს.
ნუ დაბრუნდები... იმ მოგონების
მკლე ნარჩენებით ირჩინე თავი.

ის მიდის... ის იყო... ის უკვე წავიდა
ნატვრის და ლოდინის წილად.
ნაცნობი საღამო ბრუნდება თავიდან:
წავიდა... მივიდა... მივა...

ის იყო... შენც უკვე... შენც უკვე
მიდიხარ.
წამსვლელის სინანულს მიყოფ...
რა დიდი სითბოა: „აეგეთა მინდიხარ!“
რა დიდი ტკივილია: „იყო“...

ა: ეგ ჩიტი, ვითომ ლალი,
გალიას რომ შენსას შევინს,
ერთ დროს დილას ჩემი ბალის
კარს უღებდა სტვენა-სტვენით.

რაბან მისი გზისთვის ვეგნე,
წვით და დაგვით რაბან ვზარდე.
რაბან ფრთები დავადევნე
საშორე და სალაყვარდე.

დღეებს რთავდა ზეცის ფერად...
შევეგეთო ძალზე მიჰიროს:
სასჯელმისჯილ ფიქრს და ფრენას
და გალობას სასჯელმისჯილს.

უჯობს თავის ღამე მღვრიე
სიკამკამეს სხვას და სხვის ცის...
შენ ოლონდაც სივრცე მიეც,
ფრენისა კი... თვითონ იცის.

* * *

კარებზე გვადგას თუ მიწა,
 თავს ცა — საბედისწერო,
 ყველამ თავისი ჭკუის ჭრას,
 ყველამ თავისი კეროს.

ქარმა სანატრო, სამტერო
 ქარის წილ გაიმეტოს.
 თავისი გზები ამტვეროს,
 თავისი გუდა ბერტყოს.

ღამე მოშვილდულ მთვარის წელს
 ვნება დაცლილი გაწვეს.
 მიწას შეარგოს სამიწე,
 წყალმა წაილოს საწყლე.

ქვას ქვობა უნდა აცალო,
 ცრემლი — რიყრაყის არილს.
 ძაღლმა იყეფოს საძაღლო,
 ქარმა იქაროს ქარის.

ერთი სიკვდილი გვაცოცხლებს,
 ერთი სიცოცხლე გვეყოფნის.
 სანამდე ცოცხი საცოცხეს,
 გზას გზის, მეთოფეს თოფი.

სწყალობდე ღმერთო, მაღალო
 ერთას და თითო-თითოს:
 თავისი ჭია ახაროს,
 თავისი გული ცვითოს.

თამარ გოთუა, ალექსანდრა გოთუა

თავდასავალი ლევან გოთუასი

პარტიველები ვორკუტაში 1947-1955 წლებში

მოკლედ გვინდა გავიხსენოთ ქართველი პატიმრების სახელები, რომლებიც ლევანთან ერთად იმყოფებოდნენ ვორკუტის ბანაკში, მასთან მეგობრული დამოკიდებულება ჰქონდათ და ურთიერთდახმარებით მძიმე ყოფასა და გამწარებულ ცხოვრებას იმსუბუქებდნენ.

აქვე გვინდა დავძინოთ, რომ ჩვენს მიერ წარმოდგენილი სია არ არის სრული, ვორკუტის ბანაკში გაცილებით უფრო მეტი ქართველი იმყოფებოდა, მაგრამ ჩვენ ყველას ვერ მივწვდით, რისთვისაც მათ და მათ ახლობლებს, ვინც ცოცხლები აღარ არიან, ბოდიშს ვუხდით.

სავსებით ნათელია, რომ ქართველთა პატარა სათვისტომომ (თუ შეიძლება ასე დავუქვას) სხვა ერის პატიმრებთან ერთად გადაიტანეს არსებობის მძიმე, ჯოჯოხეთური წლები. მძაფრი რეჟიმის ჭირ-ვარამი, ტანჯვა-წვალება და ვაი-უბედურება. განა სიმწარე მართო მათ გადაიტანეს? არც მათი ახლობლები იყვნენ კარგ დღეში. განცდის, ფიქრის, შიშის მორალური თუ მატერიალური დაკნინების გამო.

ვორკუტის მსგავსი ბანაკები კი უამრავი იყო საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე, დიახ ამ „ბედნიერ“ სახელმწიფოში მილიონობით უბედური ხალხი ცხოვრობდა და იტანჯებოდა.

წლების მანძილზე ციხეებში და გადასახლებაში მყოფნი ერთად განცდილმა და დუხჭირმა ყოფამ ძმებზე შუადუღაბა. ეს სამშობლოს საოცრად ერთგული და მოსიყვარულე, გულღია ვაჟაკები სწავლული, განათლებული, პატიოსანი, მშრომელი ხალხი, თავიანთი ცხოვრების საუკეთესო ახალგაზრდულ წლებში იყვნენ ფრთხვამოჭრილი, ქართ-

ველები უსაქართველოდ, საყვარელი სამშობლოს მიღმა გადაგდებულნი. არადა რამდენი სასიკეთო საქმის გაკეთება შეეძლოთ სამშობლოსათვის ამ მოღალატეებად ნოდებულ საუკეთესო მამულიწვილებს. ისინი კი უკიდვანო ბანაკებში გადამაღეს. მაგრამ იქ, მათი ბედის უკუღმართ ტრიალში, მაინც იმძლავრა სიცოცხლის ძალამ. აი ისინიც:

ს ა ნ დ რ ი ჩ ი კ ი ი ძ ე. მეტად განათლებული, სწავლული ახალგაზრდა პერსპექტიული მშენებელი ინჟინერი. ის ომის დროს, 1944 წელს დააპატიმრეს. ომის დამთავრების შემდეგ კი 20 წლით შორეულ ჩრდილოეთში გადაასახლეს. ციხეებში რა სიძნელები და წვალება არ გადაიტანა, ბოლოს, ვორკუტის რამდენიმე ბანაკის გამოცვლის შემდეგ, 1951 წლის ოქტომბერში ვორკუტის ერთ-ერთ ბანაკში დაამკვიდრეს და მშენებლობის უფროსად დანიშნეს.

ამ ბანაკს აიაჩ-იაგა ეწოდებოდა, იგონებს სანდრო ჩიკოიძე. იგი მდებარეობს მდინარე ვორკუტის ნაპირზე, სადაც უამრავი ქვანახშირის საბადოებია. შენდება დიდი ქალაქი ვორკუტა და მის ტერიტორიაზე მრავლდება პატიმართა ბანაკები — უფასო მუშახელით.

ეს ბანაკები შედიან ერთ დიდ გაერთიანებაში „ვორკუტლაშ“-ში, კონსპირაციის მიზნით კი მას „რეჩლაგ“-ი დაარქვეს, როგორც თითქოს და „გეოგრაფიული“ დასახლება. ისე კი „რეჩლაგი“ სარეჟიმო ბანაკია. აქ ჩამოსვლისთანავე როგორც მშენებელი ინჟინერი და ადმინისტრაციული თანამდებობის პირი მცირედი, მაგრამ იმ პირობებში დიდად მნიშვნელოვანი პრივილეგიით ვსარგებლობდი: ბანაკის ტერიტორიაზე შეუზღუდავი მიმოსვლის უფლებით, ჩაცმულობით, თავშესაფართ და კვებით. ბანაკის ადმინისტრაციის დამოკიდებულებას ეტყობოდა, რომ აქ სერიოზული მშენებლობა იწყებოდა. პატიმართა შო-



ეროვნული ბუნებისმეტყველება

რის ჩემისთანა სპეციალისტებს აგროვებდნენ. ბანაკებში, სადაც მე მანამდე მომიხდა ყოფნა, ძალიან იშვიათად ვხვდებოდი ქართველებს.

იქ კი დამხვდა ქართველების მთელი „კოლონია“ ექვსი კაცის შემადგენლობით. ესენი იყვნენ მწერალი ლევან გოთუა, თბილისის უნივერსიტეტის თანამშრომელი, ფილოსოფოსი — ზურაბ მიქელაძე, ახალგაზრდა ბიჭები კოლია მღებრიშვილი, გრიშა აბდალაძე, ბორის შენგელია და ვანო შვეარდნაძე.

ლევან გოთუა მუშაობდა მე-15-ე მაღაროში.

ზურაბ მიქელაძე ჩემი იქ ჩასვლის დროს უკვე ამთავრებდა მისჯილ ვადას და გადადიოდა მუდმივად თავისუფალ გადასახლებაში ქ. ვორკუტაში, ის შემდეგაც განაგრძობდა მუშაობას ცემენტის ქარხნის ლაბორატორიაში. პირველ ხანებში, რადაცნაირად ახერხებდა ჩვენს ბანაკში შემოსვლას ლევან გოთუასთან შესახვედრად, მაგრამ ეს მდგომარეობა დიდხანს არ გაგრძელებულა, მისი „ვიზიტები“ მალე შეწყდა.

კოლია მღებრიშვილი და გრიშა აბდალაძე ბანაკის სანაწილში მუშაობდნენ ექთნებად.

ბორის შენგელია იყო მშენებელთა ბრიგადირი და ჩემი მისვლისთანავე, ჩემთან გადმოიყვანეს სამუშაოდ.

ზურაბ მიქელაძე. ზურაბის ბავშვობა, ყრმობა და ჩამოყალიბება მძიმე ცხოვრებისეულ პირობებში მოხდა.

მამამ უაღრესად განათლებულმა და სწავლულმა, დიდებულმა მამულიშვილმა და პატრიოტმა კაცმა საფრანგეთში, სორბონას უნივერსიტეტში მიიღო უმაღლესი იურიდიული განათლება. შემდეგ საქართველოში მოღვაწეობდა. 1924 წელს მეტეხის ციხეში დახვრიტეს, როგორც პოლიტიკური მოღვაწე და საქართველოს დამოუკიდებლობისათვის უშუალო მებრძოლი.

დიდა, ოლღა ჭეიშვილი, სათნო და ამასთანავე ძლიერი, მამაცი ქალი, პეტერბურგის ბესტუფევის კურსების დამთავრების შემდეგ სახელმწიფო გამოცდებიც კი ჩააბარა ფილოლოგია-ისტორიაში. თბილისში პედაგოგად მოღვაწეობდა.

არც არის გასაკვირი, რომ ამისთანა ოჯახში გაიზარდა მეტად ნიჭიერი, სწავლული, განათლებული ახალგაზრდა, ჩამოყალიბებული იდეებით და მტკიცე ხასიათით.

ზურაბმა ჯერ თბილისის უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტი დაამთავრა, შემდეგ ასპირანტურა ფილოსოფიის განხრით, 1945 წელს სამეცნიერო ხარისხიც დაიცვა და ცოტახანში დოცენტადაც აირჩიეს.

1946 წ. 7/1 ზურაბი დაპატიმრდა როგორც ერთ-ერთი პოლიტიკური ჯგუფის წევრი და სტალინური წყობის მოწინააღმდეგე და დამოუკიდებელი საქართველოს აღდგენის მძიებელი.

საქართველოში და კერძოდ უნივერსიტეტში იმჯერად ბევრი დააპატიმრეს ზურაბთან ერთად, მათ შორის ბიძინა ფოჩხუა. მირიან აბულაძე, ტატული ნულუკიძე და სხვები იყვნენ.

ამ პერიოდში საქართველოში ბევრი პოლიტიკური ჯგუფი არსებობდა არალეგალურად და ურთირეთდამოუკიდებლად, ბევრმა წევრმა მარტო პატიმრობაში და გადასახლებაში გაიცნო ერთმანეთი. ზურაბს შეხვდა დავით კვიციანიძე.

ზურაბ მიქელაძე ეტაპებით ბევრი ატარეს და ჩრდილო ურალში დაამკვიდრეს. ურალის ცენტრალურ ქალაქ „სოსბა“სთან. ეს მეცნიერი კაცი რად არ ამუშავეს.

1948, 1949 და 1950 წლებში სამდინარო სანაოსნო კაპიტანიც კი გახდა, მდინარე სოსბაზე, ლოზბაზე, ტავდაზე და ლალაზე ბარკით გადაჰქონდა ტვირთი აქეთ-იქით.

მუშაობის ამ პერიოდში პატიმართა შორის მცირედი უპირატესობით სარგებლობდა. ჰქონდა უხედაზმდეგლო მიმოსვლის უფლება.

მასთან ურალში ხშირად დედაც ჩამოდიოდა. ბანაკში სჭირდებოდათ განათლებული ხალხი სხვადასხვა სამუშაოების შესასრულებლად, ამიტომ ხშირად ზურაბს ინიჭინადაც ამუშავებდნენ.

ურალის ბანაკებში კი საერთოდ, როგორც ყველგან, მძიმე ფიზიკური შრომა და არაადამიანური პირობები იყო გამეფებული: ამ ბანაკებში ჩაყრილი იყო ათასობით სხვადასხვა ერისა და ასაკის ვაჟაკები (20-დან წმ წლამდე), რომლებიც კი არ ცხოვრობდნენ, არსებობისათვის იბრძოდნენ.


ამ ზღვა ხალხში ქართველებიც იყვნენ: ილია ბოჭორიშვილი, რომან ბლიაძე და 1938 წლიდან დათაშა კავსაძე. ისინი მძიმე პირობებში მუშაობდნენ ხე-ტყის ჭრასა და დამუშავებაზე.

1951 წელს სრულიად მოულოდნელად ზურაბი, ბოჭორიშვილი და ბლიაძე ეტაპით შორეულ ჩრდილოეთში, ვორკუტის მძიმე რეჟიმის ბანაკში გადაიყვანეს.

„რეჩლაგ“-2 სინამდვილეში კი ეს „რეჟილაგი“, სარეჟიმო ბანაკი იყო. ზურაბი სამუშაოდ ცემენტის ქარხანაში გააძენეს.

ზურაბი აქ შეხვდა ლევან გოთუას და სხვა ქართველებს.

მღებრიშვილი ნიკო. მეჯვრისხევი



დან, კეთილი, ნიჭიერი. სულ ახალგაზრდა კაცი, სკოლის დამთავრების შემდეგ მოხალისედ წავიდა ჯარში სავალდებულო სამსახურის მოსახდელად (ასაკით პატარა იყო). ბუნებით და მისწრაფებით ექიმი. სამედიცინო ინსტიტუტში აპირებდა შესვლას.

საუბედუროდ ფინეთის საზღვარზე ომმა მოუსწრო. ბევრი ქარცეცხლი გადაიტანა, სიკვდილსაც პირისპირ შეხვდა. მდინარეში გაცურვის დროს მძიმედ დაიჭრა. გონს რომ მოვიდა ტყვედ აღმოჩნდა. გერმანული ენის ცოდნამ შემთხვევით სიცოცხლე შეუნარჩუნა.

ბევრი წვალება და ტანჯვა გადაიტანა პოლონეთისა და მერე გერმანიის საკონცენტრაციო ბანაკებში. ამხანაგთან ერთად გაიქცა და ჯერ საფრანგეთში. შემდეგ კი ინგლისში აღმოჩნდა.

დიდი ლეღვით და სიხარულით შეხვდა ომის დამთავრებას. სამშობლოში წამოვიდა. აქ კი დააპატიმრეს როგორც ტყვეობაში წამყოფი და შორეულ ჩრდილოეთში უკრეს თავი. ეტაპებით სად არ ატარეს და საბოლოოდ ვორკუტის ბანაკში მოხვდა.

ტყვეობაში ყოფნის დროს იმდენი ტანჯვა და წვალება არ შემხვედრია როგორც ვორკუტაში, ხშირად ინერებოდა ის.

თავდაპირველად ნიკო ღრმა მალაროში მუშაობდა. შემდეგ კი ექიმების და იქაური მალაროს ადმინისტრაციის ნდობა დაიმსახურა, მას ყველა დაეხმარა. შეისწავლა საფერშლო საქმე და შემდგომში საპასუხისმგებლო მოვალეობას მთელი გადასახლების პერიოდში პირნათლად ასრულებდა.

საქართველოში დაბრუნების შემდეგ ნიკომ ინსტიტუტი დაამთავრა და საუკეთესო ექიმი დადაგა.

ნიკო ნამდვილი ვაჟკაცი და კეთილშობილი ქართველი იყო. ის მარტო ლევანს კი არა, ყველას ეხმარებოდა, ვისაც ჯანმრთელობის მხრივ გასაჭირი ჰქონდა.

ნიკომ გადასახლებაში ვაჟკაცურად გადაიტანა იქ არსებული ტირანია და თავის მოკლე ცხოვრების მანძილზე დარჩა გულმართალი, პატიოსანი მშრომელი და ნამდვილი მამულიშვილი.

ძალიან გულსატკეპნია, რომ უგუნური შემთხვევის გამო გარდაიცვალა.

დავით კვიციანიშვილი. ვორკუტაში დიდ დავითად ცნობილი, ეს უაღრესად კეთილშობილი, პატიოსანი, საყვარელი ექიმი კაცი პოლიტიკური ბრალდებით 1942 წელს დააპატიმრეს. 10 წლით პატიმრობა მიუსაჯეს. 7 წლის განმავლობაში დავითი ექიმად თბილისის კოლონიაში მუშაობდა, სადაც პატიმრებს და ადმინისტრაციას შორის დიდი სიყვარული და პატივისცემა დაიმსახურა.

პოლიტ-პატიმართა ახლობლები დიდ იმედებს ამყარებდნენ 1949 წელს, სტალინის 70

წელთან დაკავშირებულ იუბილეზე. კავშირული ამნისტია უნდა შეხებოდა არა მარტო ქურდებს. არამედ პოლიტ-პატიმრებს. ყოველ შემთხვევაში რაიმე შეღავათები მაინც გამოცხადდებოდა, ეს კი ჭორი აღმოჩნდა და ყველაფერი პირიქით მოხდა. რეჟიმი უფრო გამკაცრდა. ახალმა კანონმა პოლიტ-პატიმრებს სამშობლოდან გააძევა და შორეულ ბანაკებში გადაასახლა.

დავით კვიციანიშვილი, პროფესორი გიორგი ვანაძე და მსახიობი გრიშა კოსტავა ერთად მოხვდნენ გადასახლებაში. დავითი ვორკუტაში აღმოჩნდა.

საბედნიეროდ ბანაკში ექიმად დაინიშნა მუშაობა, რითაც აცდა იქაურ პატიმრულ მორალურ თუ ფიზიკურ დაკნინებას, მალაროში მთიმე აუტანელ შრომას და არაადამიანურ ცხოვრების პირობებს.

ვორკუტაში დავითმა ყველა ქართველი გაიხირო, მათ შორის ლევანიც — დაუმეგობრდა და შეეთვისა. დავითმა, კეთილმა კაცმა, მალე დაინიშნა შექლებისდაგვარად პატიმართა დახმარება, განსაკუთრებული ზრუნვა გამოიჩინა სუსტი, გასაცოდავებული პატიმრების და ავადმყოფების მიმართ. მან პატიმართა შორის შეარჩია გულიანი ახალგაზრდები, შეაწავლა საფერშლო საქმე და ამით გააძლიერა ავადმყოფთა დახმარება (მათ შორის ნიკო მღვებრიშვილიც იყო). ლევანის და სხვა ქართველების დახმარება კი მის ყოველდღიურ საქმეს წარმოადგენდა.

ვადის დამთავრების შემდეგ დავით კვიციანიშვილი მუდმივ საცხოვრებლად ქალაქ ვორკუტაში, თავისუფალ გადასახლებაში დატოვდა. დავითი ქალაქ ვორკუტას დიდი ხნით შერჩა. როგორც ექიმს მას ყველა იცნობდა და ენდობოდა, შეღავათებითაც სარგებლობდა, თავისუფალი მიმოსვლის ნება ჰქონდა ბანაკსა და ქალაქს შორის, ამიტომ პატიმრებს დიდ დახმარებას უწევდა, განსაკუთრებით კი ლევანს. დავითსა და ლევანს შორის მტკიცე მეგობრობა დამკვიდრდა.

ვორკუტაში დავითთან ხშირად შეუღლე ჩამოდიოდა. მათთან ბინაზე იწყებოდა ეგრეთწოდებული „საქართველოს დღეები“. იკრიბებოდნენ ქართველები, იყო წარსულის გახსენება, ახალი ამბების მოყოლა, ცრემლიანი სიხარული და სინანული. დავითის მეუღლეს რამდენჯერმე ჩუმად ლევანის ნაწერების თბილისში ჩამოტანაც გაუბეღია.

ლევანისა და დავით კვიციანიშვილის ურთიერთმეგობრობა და ძმობა ორივეს სამშობლოში დაბრუნების შემდეგ უფრო განმტკიცდა. ჩრდილო-ქართველები ხშირად იკრიბებოდნენ და ყოველთვის სვამდნენ მშობელი ქვეყნის და ყინულეთში ჩარჩენილი დაღუპული მოძმეების სადღეგრძელოს.

„გმირთა ვარამის“ პირველი წიგნიც და-



ეროვნული ბიბლიოთეკა

ვითთან მიიტანა შემდეგი წარწერით: „დავიმკვიტარივალს, ჩემს მეგობარს, ქვეყნის მრავალ მხარეში ნაცადს და ნატანჯს. ავტორ-საგან“.

შეგარდნაძე ვანო, ჯარში იყო ზარეველი, ომის დროს უფროსი ლეიტენანტი გახდა. ქალაქ ტაგანროგთან ტყვედ ჩავარდა რა გერმანიის საკონცენტრაციო ბანაკში წავლბოდა. ომის დამთავრების შემდეგ პეტროზავოდსკში მოხვდა, ვერ მოასწრო თავის საყვარელ გურიაში, სოფელ ასკანაში დაბრუნება, როგორც ტყვედ ნამყოფს გრძელი ვადით შორეულ ჩრდილოეთში უკრეს თავი ბევრი წვალბა და ნამება გამოიარა სხვადასხვა ბანაკებში, საბოლოოდ კი ვორკუტაში აღმოჩნდა.

ეს უარესად კეთილი, ენაშახელი და სოლოკანი მესხერების მქონე მშრომელი კაცო ჯერ მალაროში ფიზიკურად მუშაობდა, შემდეგ კი პურისა და სურსათის საწყობს გაწვავდა.

ვანო კეთილი, გულდი ადამიანი იყო. ბანაკის პატიმრებსა თუ აღმინისტრაციის შორის ავტორიტეტით და სიყვარულით სარგებლობდა. ის დიდ დახმარებას უწევდა ყველას.

ვანო შეგარდნაძის სიკეთის მაღლი, დახმარება და ხელის შეწყობა ყველას წევდებოდა. ვანო მონაწილე იყო «გაფიცვების, სისხლის ღერის დროს კი შემთხვევით გადარჩა. მისი მეგობრობა ლევანთან განთავისუფლების შემდეგაც გაგრძელდა, ის ჩვენი ხშირი და საყვარელი სტუმარი გახლდათ.

ხაჯალაია ბენო, ჯარში ყოფნის დროს ტყვეობაში მოხვდა, ომის შემდეგ დააპატიმრეს. ამ საკვირველი ბედის კაცმა ბევრი წვალბა და ვაი უბედურება გაიარა, სამჯერ დახვრეტა დაუპირეს, მაგრამ გადარჩა.

გერმანიაში, ტყვეობაში ყოფნის დროს, ებრაელად მიიჩნიეს და სხვა ებრაელებთან ერთად დასახვრეტად წაიყვანეს. ბევრი უმტკაცა, ეჩხუბა, ედავა, ემუდარა, რომ ქართველია, მაგრამ ეს ყოველივე უშედეგო აღმოჩნდა. მერე ქართულად რაც ძალი და ღონე აქონდა ყვირილი დაიწყო, ქართველი ვარ და თუ ახლომახლო ვინმე ქართველი წართ მისეველეთო, ვიდაცა ღვთისნიერიც გამოჩნდა და გადარჩინა.

გერმანიის საკონცენტრაციო ბანაკიდან გაიქცა და იტალიის პარტიზანებს შეუერთდა, ომი თითქმის დამთავრებული იყო და დაგვიანებული პარტიზანი ჯამუშად ჩათვალეს, ისეც დახვრეტის საკითხი დადგა, აქაც ბენომ იყოჩაღა, ძლივს დაუშტკიცა, რომ ჯამუში არასდროს არ ყოფილა და არც იქნებოდა. ომის დამთავრების შემდეგ ძლივს ნამოვიდა სამშობლოში. 1946 წელს დააპატიმრეს, არც გაუსამართლებიათ, „სამუღმა“ მას, რო-

გორც ტყვედ ნამყოფს და ხვრეტა მიუთავა. ბევრ დედა გრძელად ვადით ჩრდილოეთში გადასახლდა.

თავდაპირველად კიროვის ოლქში მუშაობდა ტყეში, როგორც სოციალურად სამში პირიუნება. იქ ამ მშიმც, არაადამიანურ პირობებში ბევრი პატიმარი და მათ შორის ქართველებიც დაიხოცა შემდეგ 1953 წელს ვორკუტის ბანაკში გააშენეს მეორე მალაროს თბოელექტროსადგურში. ყველაზე მძიმე დღედ ბენო 1953 წლის გაფიცვის დღეს აღნიშნავს. დღესაც საშინელებით იხსენებს იმ სისხლთან ჟღერას. ისიც მამინ მათ შორის იყო და ფიქრობდა სამჯერ სიკვდილს გადარჩენილმ: ამჯერად ვადათავე სიცოცხლო ენაწებოდა თავისი თავი, მით უფრო როდესაც წესწყობილებამი ღრმა ცვლილებებო ტრიალებდა ნასნაუღლად გადარჩა. ლევანთან მტკიცე მეგობრობა აკავშირებდა, მისი სჯეროდა, უყვარდა და ღრმად აყვავდა.

ხუჭუა ვალიკო, სულ ახალგაზრდა. საოცრად ხუმარი, სიცოცხლით სავაე კეთილი კაცი. მომადლებული მსახიობის ნიჭით და კარგი ხმით, თბილისის უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტის მე-11 კურსის სტუდენტი. ომის დროს დააპატიმრეს, როგორც ერთ-ერთი წევრი საქართველოს დამოუკიდებლობის მებრძოლი ჯგუფისა. ხანგრძლივ ედა მისუჯეს და ომის შემდეგ ვორკუტის სარეჟიმო ბანაკში დაამკვიდრეს.

ვადის დამთავრებია შემდეგ მუღმიც საცხოვრებლად ქალაქ ვორკუტაში გაამწესეს სამუშაოდ. ვორკუტაში სასადილოს გამგვე მოწეყო. ვალიკოს დედა ოლინკამ და მუღულუ თამარმა მამოაკითხეს. აქაუნება პატიმრებმა ისინი შეიყვარეს და დაუმეგობრდნენ. ბოლო პერიოდში მათთან ლევანმაც მოუხშირა სიარულს. მათ ოჯახში ბევრჯერ ლევანს ნათუკითხავს თავისი ნაწარმოები.

ვალიკო ხუჭუა კარგი სამეგობრო კაცი იყო, ყველას ეხმარებოდა და პატივს სცემდა, ისიც ყველას უყვარდა, მათ შორის ლევანსაც. მათი მეგობრობა სამშობლოში ჩამოსვლის შემდეგაც გაგრძელდა.

შავგულიძე შოთა. 1949 წელს ჩამოიყვანეს ვორკუტის ბანაკში, როგორც პოლიტიკური მოღვაწე და 1956 წლის 8 ოქტომბრამდე დარჩა.

საშინელი იყო. იგონებს შოთა შავგულიძე, ჩვენი კატორღული შრომა და კვება. არსებობდა თანმიმდევრობით „შეიდი ქვაბი“. ვინც სამუშაოს გეგმით ვერ შეასრულებდა, აკვებს 1 ან 11 ქვაბიდან მიიღებდა, ეს კი ნყალწყალა თევზის წვენი და 100 გრამი პური იყო. 11-1V ქვაბში წვენი ემატებოდა უცხიმო ბურღულის ფაფა და 150 გრამამდე იზრდებოდა პურის ნონა. V-VI და VII ქვა



ერეკნული
გომუსანი

ბში კი საკვებს ყველა სურსათი 50 გრამის რაოდენობით ემატებოდა. გეგმა ისეთი გაზრდილი იყო, რომ დაუძღვრებული პატიმრები ვერ აარულებდნენ. ამის გამო იქ ქრონიკული შიმშილი მძვინვარებდა.

ჭ უ მ ბ უ რ ი ძ ე ვ ა ლ ი კ ო — ტყვედ ნამყოფი. ეს სათნო, ჩქვიანი კაცი ვადის დამთავრების შემდეგ მუდმივად დატოვეს ქალაქ ვორკუტაში, სადაც ცოლიც ჩამოუვიდა. ის მშენებელი ინჟინერი იყო სპეციალობით და მაღაროში უშიშროების ტექნიკას განაგებდა; ქალაქის ფოსტასთანაც იყო დაკავშირებული. ვალიკო ყველგან ავტორიტეტს და ნდობას იმსახურებდა.

ბ ა ლ ა რ ჯ ი შ ვ ი ლ ი შ ა ლ ვ ა, ხელოვანი კაცი. სულ ახალგაზრდა, სამხატვრო აკადემიის სტუდენტი, ომის დროს ფრონტზე მოხვდა. ტყვედ ჩავარდა და მძიმე ღლები გადაიტანა. ომის დამთავრების შემდეგ სახლში ცოლშვილთან ვერ მოასწრო დაბრუნება, გზაში დააპატიმრეს და გადაასახლეს. ჯერ ციმბირის სხვა და სხვა ბანაკები მოატარეს. ბევრი სიმწარე და ნვალება აჩვენეს, 1950 წლიდან კი ვორკუტაში გადაიყვანეს მაღაროში სამუშაოდ. აქ გაიცნო და დაუმეგობრდა ქართველებს, მათ შორის ლევანსაც. 1952 წელს მუდმივად თავისუფალ გადასახლებაში, ქალაქ ვორკუტაში დატოვეს.

ამ ხელოვანმა, მეტად ნიჭიერმა და შრომის მოყვარე კაცმა ვორკუტაში არსებობისათვის და თავის სარჩენად მეთრენობა შექმნა. ღრები გაიჩინა, თვითონაც გამოიკვება თავი და ქართველებსაც კარგად ეხმარებოდა. უკვე სამშობლოში, მისმა სიკვდილმა მარტო ახლობლები კი არა, მისი ჩრდილოელი ძმებიც დაამწუხრა.

ჩ ხ ე ი ძ ე შ ა ლ ვ ა. სამხედრო სავალდებულო სამსახურის გავლის დროს ომმა მოუხსნო. ფრონტის მძიმე ბრძოლებიც გადაიტანა. კონტუზიის გამო ჩავარდა ტყვედ. საკოცენტრაციო ბანაკებში კი დიდი ნვალება და ვაიუბედურება გადახდა თავს. შიმშილი სიცივე; არაადამიანური ქცევა და დამცირება.

მიუხედავად იმისა, რომ ბანაკიდან გაქცეულს სიკვდილით სჯიდნენ, შალვამ, სხვა ტყვეებთან ერთად გაქცევა შესძლო, თუმცა დაუძღვრებული შორს ვერ წავიდა, შეიპყრეს და უკან დააბრუნეს. ბევრი აწამეს, აწვალეს, მაგრამ სიკვდილს სასწაულად გადაურჩა.

მეორედ გაქცევის მცდელობამ გაუმართლა, ჩვენს ჯარს შეხვდა, ომის დამთავრებაც იზენა. სამშობლოში დაბრუნებითაც გაიხარა, მერე კი შეუდგა სწავლას, პედაგოგიურ მოღვაწეობას და სამეცნიერო ხარისხზე მუშაობას.

1952 წლის 15/11 დააპატიმრეს, როგორც

ტყვედ ნამყოფი და შორეულ ჩრდილოეთში ქ. ვორკუტაში გადასახლეს. მოხვდა მაღაროში.

ეს მაღარო ჯოჯოხეთს წარმოადგენდა, იგონებს შალვა. მიუხედავად იმისა, რომ შიგ ყანგაბადს უშვებდნენ, სუნთქვა მაინც გაძნელებული იყო. მაღარო არც სათანადოდ იყო გამაგრებული, ხშირად ფენები ინგრეოდა და მის ქვეშ ადამიანები ილუპებოდნენ. საშინელ სამუშაო პირობებში ვიყავით. მშვიერ-მწყურვალნი, სველი ტანსაცმლით დაუძღვრებულ-დასუსტებულნი ვასრულებდით უმძიმეს ფიზიკურ სამუშაოს.

ომის ქარცეცხლში გამოვლილ, ათასგვარ სიმწარე-ნახული და დატანჯული კაცი სამუშაოდ მეორე პორიზონტზე ჩამიშვეს და არაადამიანურად მანვალეს — სიმწრით იგონებს შალვა. შემდეგ ომისდროინდელმა ტრავმამ გაუხსენა და საავადმყოფოში მოხვდა.

ა ბ დ ა ლ ა ძ ე გ რ ი შ ა — ქუთაისიდან. წყნარი, მეტად თავაზიანი კაცი იყო. სრულიად ახალგაზრდა. ტყვედ ჩავარდა, ვორკუტაში გაამწყვს და მაღაროში ამუშავებდნენ. შემდეგ საექიმო პუნქტში გადაიყვანეს, მიუხედავად იმისა, რომ არაკუთარი სამედიცინო განათლება არ ჰქონდა. გრიშა მეტად მგრძნობიარე, კეთილი კაცი იყო, მშრომელი და მუყაითი, ყველას ეხმარებოდა. ვორკუტაში ქართველთა სათვისტომოს წევრი იყო. ის სხვა ერისშვილებსაც ეხმარებოდა, ერთ-ერთმა მას „კუროპალატოლოგი“-ც კი შეარქვა. ეს კი იმიტომ, რომ უზარმაზარ ტუნდრის ტერიტორიაზე, ყოველ შემოდგომაზე, უაშრავი მწყერი ბანაკის მაღაროების ელექტრო მავთულებს და მავთულ ხლართებს ეჯახებოდა და ქვანახშირით სავსე გროვებში ვარდებოდა. გრიშა ნახშირში არეულ მწყერს პოულობდა და აგროვებდა, შემდეგ კი ყველას უმსახიბდებოდა.

ერთხელ აბდალაძემ, ქერაშვილთან, შევარდნაძესთან და 2 რუს პატიმართან ერთად ვორკუტის ბანაკიდან გაქცევა გადაწყვიტა. ის ვიღაცამ გასცა და დაიჭირეს, დიდხანს სასიკვდილო იზოლატორში აწვალეს. ბენჯზე გადარჩნენ სიკვდილით დასჯას.

სამშობლოში დაბრუნების შემდეგ მეგობრობდა ლევანთან, ლევანის არქივში შემონახულია მისი რამდენიმე წერილი.

კ ა ლ ა ძ ე კ ო ლ ი ა. ხანგრძლივი ვადით, პოლიტიკური მუხლით 37 წელს გადასახლეს. ბევრი ნვალების შემდეგ მუდმივად თავისუფალ გადასახლებაში, ქალაქ ვორკუტაში დაამკვიდრეს. ვინაიდან სპეციალობით ინჟინერ-მშენებელი იყო, ქალაქში დიდ მშენებლობაზე კარგად მოეწყო. შემდეგ ცოლიც ჩამოუვიდა, თამარ ლორია. მეტად სათნო, კარგი მეოჯახე ქალი. ეს ოჯახი ქართველთა თავმყერის ადგილად გადაიქცა. ეს კეთილი



ოჯახი ყველა გაჭირვებულს ეხმარებოდა და ბევრ სასიკეთო საქმეს აკეთებდა.

ბლიაძე რომანი — პატრიოტი, უაღრესად პატიოსანი, განათლებული და დისციპლინირანი კაცი, ძველი ოფიცერი, ქართული ჯარის ყოფილი იუნკერი, 1921 წლის კოჯრის ბრძოლების აქტიური მონაწილე, თავისუფალი საქართველოს მეოცნებე, მოსიყვარულე და მოტრფიალე. 1937 წელს დააპატიმრეს და სამშობლოს მტრად გამოაცხადეს. ბევრი აწვალეს, შემდეგ ვორკუტის მძიმე რეჟიმის ბანაკის მალაროში ამუშავეს.

ხანგრძლივი ვადის დამთავრების შემდეგ მუდმივ საცხოვრებლად ქალაქ ვორკუტაში დატოვეს. იქ მას თავისმა ქალიშვილმა ლილიმ ჩამოაკეთხა, მამას საქართველოს სითბო და სიყვარული მოუტანა, სხვა ქართველებიც გაახარა.

ტყაევაძე რეზო, სრულიად ახალგაზრდა, 18 წლის, თბილისის უნივერსიტეტის ფილოლოგიური ფაკულტეტის სტუდენტი. ანტისაბჭოურ ჯგუფში მონაწილეობისათვის 1942 წელს დააპატიმრეს. ამ ჯგუფში შედიოდნენ პროფესორი ვანაძე, მსახიობი გრიშა კოსტავა, ქართლოს ახვლედიანი, ვალერიან დვალისშვილი და სხვები. რეზო მარტო დვალისშვილს იცნობდა, ამ საბაბით დააპატიმრეს (თითქოს და კავშირი ჰქონდათ), რეზომ ბევრჯერ დანერა საჩივარი და სიმბართლეს ეძებდა, მაგრამ ამაოდ. ამ პერიოდში რეზოს მამაც იყო დაპატიმრებული (პოლიტიკური ბრალდებით). ია მიაკუთვნეს ანტისაბჭოურ მე-2 ჯგუფს. თბილისში ამ პერიოდში კიდევ 19 ახალგაზრდაც იყო დაპატიმრებული და მე-2 ანტისაბჭოურ ჯგუფში გაერთიანებული, მათ შორის იყვნენ ვახტანგ ჯორჯაძე, ჭაბუა ამირჯეიბი, ამირან მორჩილაძე, ძმები არჩილ და გოგი ნულუკიძეები, ქეთარაძე და სხვები. მათაც გრძელი ვადა ჰქონდათ მისჯილი და შორეულ ჩრდილოეთში გადასახლებული, ზოგიერთები ინტის ბანაკებში იყვნენ. რეზო თითქოს გაასამართლეს, ეს უფრო სწორად ტრიბუნალის ინსცენირება იყო. იგი შედგა შინაგან საქმეთა სამინისტროს კლუბის, ლენინის წითელ კუთხეში. ყოველგვარი მონაწილისა და დაკითხვის გარეშე. ოქმიც ფანქრით დაინერა. მოლაღატედ გამოაცხადეს და 10 წლით გადაასახლება მიუსაჯეს.

ომის პერიოდი იყო, ამიტომ ჩრდილოეთში ვერ გაავაზენეს, ამუშავებდნენ მშენებლობებზე. შემდეგ კი ვორკუტაში გაასახლეს.

რეზო მალე გადაიყვანეს ქალაქ ვორკუტაში და იქ დაასახლეს. იქ კი იგი დედამ და დამ იამზებ, მოინახულეს.

რეზოს, როგორც დიდ პოლიტიკურ მოღვაწეს, თბილისში დაბრუნების შემდეგაც, 1959 წლამდე, ქალაქში ცხოვრების უფლება

არ მისცეს. ის საქართველოს მშენებლის

რეზოს გადატანილი აქვს პატიმრობის, ჯოჯოხეთური ცხოვრების სამინულებანი. მონაწილეა ორივე გაფიცვის და სისხლის ღვრის, ყოველივეს შემთხვევით გადაურჩა და რაც მთავარია შეინარჩუნა ადამიანობა, სიკეთე და სიმტკიცე.

სპექტორი ნაუში — ექიმი კაცი თბილისიდან. ტყვედ ჩავარდა ომის დროს, ბევრი წვალეა გადაიტანა და ომის დამთავრების შემდეგ ვორკუტაში გადაასახლეს, ღრმა სევდა შემოანვა მაგრამ მას საექიმო განათლებამ უშველა. ამუშავებდნენ ექიმად. ეს კეთილი, განათლებული კაცი ყველას ეხმარებოდა, მტკობრობდა ყველა ქართველთან.

განთავისუფლების შემდეგ დაუბრუნდა საყვარელ ქალაქ თბილისს, თავის ოჯახს და სპეციალობას.

სამაშვილი — ექიმი კაცი, კეთილი, განათლებული, ომის დროს ტყვედ ჩავარდნილი და ომის შემდეგ ვორკუტის სარეჟიმო ბანაკში დამკვიდრებული, როგორც ყველა ექიმი ბანაკში. საჭირო კაცი იყო. დღე და ღამე მუშაობდა, ყველას ეხმარებოდა, ყველა ქართველის სიყვარული და შველა ჰქონდა გულში ჩანერგილი და ბევრ სასიკეთო საქმესაც აკეთებდა.

გაბაშენია ვალიკო — ყოფილი სამხედრო ტყვე. განათლებული, კეთილი კაცი, მისჯილი ჰქონდა 25 წლია პატიმრობა. ვორკუტის ბანაკში დახვრეტას ბევრჯერ გადაურჩა (როგორც საერთოდ ხვრეტდნენ გრძელ ვადიანებს ბანაკის განტვირთვის მიზნით), საერთო წესით განთავისუფლეს 1958 წელს.

ჭიხაბრიშვილი გოგი — ველისციხიდან, თუშეთის პოლიტიკურ ჯგუფში მონაწილეობის საბაბით დააპატიმრეს. შედაგოგრი, განათლებული კაცი იყო. ხანგრძლივი ვადა აკვიდეს და შორეულ ციმბირში მოხვდა, მერე ვორკუტაში გადმოიყვანეს. აქ თავისი სიკეთით ყურადღებას იქცევდა. ლეენათან მტკობრობდა. ხშირად საუბრობდნენ სხვა და სხვა საკითხებზე, მათ შორის პოლიტიკაზეც.

გოგრაძეჭიანი თედო — ონის რაიონის სოფელი ღებიდან, პატარა ტანის, კეთილი, მეტად სიმპატიური, რაჭველი კაცი, პოლიტიკური სასჯელით გადაასახლეს, პოლიტიკაში ნაკლებად გარკვეული კაცი. ბევრი აწვალეს, აწამეს, ეტაპებით სად არ ატარეს, საბოლოოდ დაამკვიდრეს ვორკუტის ბანაკში. მისი გამონათქვამები ანეგდოტივით მოედებოდა ხოლმე ქართველებს, მაგალითად „სიკვდილი ცუდად მოქმედებს ადამიანებზე“, შემდეგ ის მოუნყო პურის საცხობში მჭრელად და შეძლებისდაგვარად ქართველებს ეხმარებოდა.

კილაძე ვალიკო — ახალგაზრდა

იყო, ზღვურად ხუმრობით თამაშის დროს ქურდობა დასაჩუქრ და მძიმედ დასაჯეს. ვერკუტაში ზვერი ტანჯვა-წვალემა გადაიტანა მორალური თუ ფიზიკური. ამდენ პოლიტიკურ პატიმართან მოხვედრის შემდეგ პატრიოტი გახდა, რწმენაც შეიცვალა, მერე ერთერთ პოლიტიკურ პატიმარს ანკეტის შეცვლა სთხოვა — საქმე წარმატებით ჩათვდა. ორივე გახარებული და ყაბულს იყენენ, ვალიკო პოლიტიკური მოღვაწე გახდა, მეორე კი, ნამდვილად პოლიტიკური მოღვაწე ქურდი, ძალიან მაღე ამისტიით სამშობლოში დაბრუნდა ძლიერ გახარებული.

ბოჭორიშვილი ილიკო — ლამაზი, ახოვანი შუა ხნის მამაკაცი, პროფესიით ბულალტერი.

სტენოგრაფიულ კურსებზე ყოფნის დროს გაიცნო ნინო გეგეჭკორი. შემდეგ კი დაუახლოვდა ბერიას ოჯახსაც.

1937 წელს პოლიტიკური ბრალდებით 10 წელი მიუსაჯეს და ვორკუტაში გადაასახლეს. ბვერი მძიმე დღე გაიარა, მუშაობდა ფიზიკურად მალაროში. დაუმეგობრდა ყველა იქ მყოფ ქართველს, მათ შორის ლევანსაც. პოლიტბანაკების განადგურების შემდეგ დაბრუნდა სამშობლოში.

ჯღარკავა ვიქტორი — ექიმი, ემიგრანტი. ირანში ინგლისის ზონაში ცხოვრობდა, იყო შაჰის კარის მკურნალი. 1942 წელს, ირანში საბჭოთა ჯარების შესვლის შემდეგ ქუჩაში თავში რეზინის ჯოხი ჩასცხეს, გააბრუნეს და ისე დააპატიმრეს. შემდეგ ტომარაში ჩადებული საბარგო მანქანით საზღვარს აქეთ გადმოიყვანეს, მასთან ერთად ასევე დაემართათ ალექსანდრე სხირტლაძეს, ვალერიან საყვარელიძეს და სხვა ქართველ ემიგრანტებს. ჯღარკავა როგორც ლევანი ინერებოდა ძალიან ჰგავდა სტალინს და პირველ ხანებში შიშსა ჰგვრიდა პატიმრებს, რატომღაც სულ გადაცმული სტალინი ეგონათ.

ის მეტად სწავლული და განათლებული კაცი აღმოჩნდა. აფთიაქის გამგედ დანიშნეს. სამედიცინო საქმე ბვერ ახალგაზრდას შეასწავლა და სათანადო ცნობებიც გასცა. ეხმარებოდა არა მარტო ქართველებს, არამედ გასაცოდავებულ სხვა ერის პატიმრებსაც.

ჯღარკავა ვიქტორს ეღირსა სამშობლოში დაბრუნება, მან სენაკში ნახა თავისი საბოლოო განსასვენებელი.

ჯმუხაძე ბიკენტი — რაჭველი კეთილი, მშრომელი კაცი, სასადილოში მუშაობდა.

ლორთქიფანიძე სერგო — ქუთაისიდან, განათლებული სწავლული კაცი. პროფესიით ექიმი-ვეტერინარი. მუშაობდა ბანაკთან არსებულ ღორების ფერმაში. მას იქვე ჰქონდა პატარა ოთახი, სადაც ხშირად ქარ-

თველები იკრიბებოდნენ. სერგო კინცხევი მცირედი საკვებიც გამოჩნდებოდა ხოლმე. სერგოს კარგი ხელწერა ჰქონდა. მან ლევანის ნაწარმოები „სამსახეობა რაინდისა“ გადაწერა, თბილისში გამოსაგზავნად.

გოგითიძე მექი. ეს დაჩაგრული კეთილი კაცი სულ ტყუილად იყო განწირული. მთანმინდის რესტორანში ბულალტრად მუშაობდა. აუხირდნენ ბვერის მნახველი და ბვერი ამბის მცოდნე ხარო, ამისათვის დააპატიმრეს — ხანგრძლივი ვადა უსასამართლოდ და ყოველგვარი დაკითხვის გარეშე აკიდეს და ვორკუტის ბანაკებში დაამკვიდრეს. საშინლად განიცდიდა ყველაფერს. ქართველებზე იყო მიკედლებული, განსაკუთრებით უყვარდა ახალგაზრდობა. აგონდებოდა თავისი დაჩაგრული შვილები, ჩვენი საერთო სატიკივარი.

იმნაძე კაკო — ყოფილი სპორტსმენი, ფეხბურთელი, მშენებელი ინჟინერი, დავით კვიციანიშვილის ცოლის ძმა. დავითთან კონტაქტის გამო დააპატიმრეს და ვორკუტაში გადაასახლეს.

მეძმარიაშვილი — ახალგაზრდა, სტუდენტი. მალაროში მუშაობდა მუშად, უჭირდა, ლევანს მამაოუფალს ეძახოდა.

მალაკელიძე — მეტად განათლებული კაცი, 4 დიპლომი ჰქონდა, ისე სპეციალობით ვეტ-ექიმად მუშაობდა. ამ სპეციალობამ ვორკუტაში გააძლიერა და სამუშაოდ აპოვნინა, მელორეობის ფერმაში, იქ კი ავად გახდა. ბრუცელოზი დაემართა და კინაღამ გადაყვა, ძლივს გადარჩა. ტანჯვა მინდა დავივიწყო, მაგრამ რა ექნა არ მავინყდებო, ხშირად იმეორებდა.

ბაჟაძე გრიშა — მალაროში მუშაობდა თავულებლად. ვორკუტაში რომ ჩამოვიდა, ილუპებოდა გაძვალტყავებული, შიმშილისაგან გასიებული, დაავადებული და სიკვდილის პირას მისული. კეთილმა კაცმა ვანო შევარდნაძემ გადაარჩინა, ისე შეუნყო ხელი. იმ დროს ეს დიდი ამბავი იყო.

შენგელია ბორისი. მტკიცე ხასიათის, კეთილი, განათლებული ახალგაზრდა იყო. პროფესიით ინჟინერ მშენებელი. მუშაობდა ბრიგადირად. ომის შემდეგ პოლიტიკური ბრალდებით დააპატიმრეს და ბვერი აწვალეს, შემდგომ კი ვორკუტის მძიმე რეჟიმის ბანაკი გაამწესეს. ბანაკში ლევანს შეხვდა, საცხოვრებელ ბარაკშიაც ერთად მოხვედნ ერთმანეთის პირდაპირ წარებზე. ბორისი დიდ პატივს სცემდა ლევანს, მისი ყველაფერი სჯეროდა და აფასებდა. ლევანზე ყოველდღიურად ზრუნავდა. შემდგომში ბორისი თავის ბრიგადასთან ერთად სანდრო ჩიკოიძის განკარგულებაში მოხვდა. ხანგრძლივი ვადის დამთავრების შემდეგ ბორისი ქალაქ ვორკუტაში საშუადამო დაასახლეს.



ერთ ზაფხულს ძმამ და დედამ ჩამოაკითხა და მოინახულა. ბორისის ბინა ვორკუტაში გახდა ქართველების თავყრილობის ადგილი. იქ ბოლო ხანებში ლევანიც ხშირად მიდიოდა.

ბორისი ხელშემწყობი იყო ლევანის შემოქმედებით მუშაობის და საქართველოში ნაწერების გამოგზავნაშიც აქტიურად ეხმარებოდა. ეს მეგობრობა სამშობლოშიც გაგრძელდა.

ბუღალტერი ნიკოლოზი უაღრესად განათლებული კეთილი კაცი. სპეციალობით ეკონომისტი. მას იურიდიული ფაკულტეტიც ჰქონდა გათავებული და თბილისში კარგი ადვოკატის სახელით იცნობდნენ. ეროვნულ-დემოკრატიული ყოფილი პარტიის წევრს, დიდ პატრიოტს, თავისებურად უყვარდა სამშობლო — საქართველო, ოცნებობდა მის კეთილდღეობაზე და თავისუფლებაზე. მის გარშემო ყოველთვის ტრიალებდნენ კეთილშობილი განათლებული მამულიშვილები.

1946 წელს ნიკოლოზი დააპატიმრეს. მისი საქმე ლევანთან დააკავშირეს, იმ ჯგუფში მოახვედრეს. სამეულმა კი ყოველგვარი დაკითხვის და დაპირისპირების გარეშე 10 წელი მიუსაჯა შორეულ ჩრდილოეთში გადასახლებაში. ნიკო ეტაპებით სად არ ატარეს, ბევრი ტანჯვა და ნვალება გადაიტანა, დაავადმყოფდა კიდევ.

1951 წელს ვორკუტის ბანაკში დაამკვიდრეს. ჯერ სამრეცხაოში ამუშავედნენ ფიზიკურად. ბოლო ხანებში კი სამკითხველოში გადაიყვანეს.

1955 წლის 3/IX უკვე მძიმე ავადმყოფი დაუბრუნდა თავის სამშობლოს და ოჯახს.

ხუციაშვილი იოსები (სოსო), განათლებული ადამიანი, სამშობლოს მოყვარული და თყვანისმცემელი, ადრე ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის წევრი. მას მთელი საქართველო ფეხით ჰქონდა მოვილი, ლევანთან ერთად ერთ-ერთი ალპინისტური ასვლის მონაწილე (ბრუტსაბაძელაზე). ახალგაზრდობაში სახალხო მასწავლებელი იყო, მსახურობდა ომისში და სამაჩაბლოში. იყო ხალხური შემოქმედების ნიმუშების შემკრები. მოღვაწეობდა გორის ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმში, სწავლობდა თავისი მშობლიური ქალაქის ისტორიას. თავის დროზე ლექსებსაც წერდა, ჟურნალისტობდა (ი. ჯავახის ხელმოწერით აქვეყნებდა ქართულ პრესაში წერილებს), მონაწილეობდა წარმოდგენების მოწყობაში, ორგანიზატორი იყო საჯარო ლექციებისა. მისი ნაწერები იბეჭდებოდა აგრეთვე საყმაწვილო ჟურნალებში — „ჯეჯილში“ და „ნაკადულში“. ნინო ნაკაშიძე თავის მოგონებებში იგონებდა მისი წერილების სერიას — „ჩვენი სამშობლოს წყლები“, რომელსაც „ნაკადული“ ბეჭდავდა

1914-1918 წლებში. იგი 1946 წლის 15 აგვისტოს დააპატიმრეს გორში და ლევანის ჯგუფს მიაკუთვნეს. შინსახკომში მას ემუქრებოდნენ ოჯახის გადასახლებით, ბავშვების დანოკებით, ძმების დაპატიმრებით („შენს დოცენტ ძმას გვერდზე მოგისვამთ“). სუფთა ქალაქში მუქარით ხელი მოაწერიეს და ვინ იცის რა ჩაწერეს მასში. 10 წლით შორეულ ჩრდილოეთში გადასახლეს, სად არ ატარეს ეტაპით (ვოლოგა, ერცევო, ინტა ვორკუტა). საბოლოოდ ვორკუტაში დაამკვიდრეს მალაროებში სამუშაოდ. ხრუშჩოვის განკარგულების შედეგად ისიც განათავისუფლდა და დაბრუნდა სამშობლოში.

ჩიხლაძე გიორგი — შუა აზიის რომელიღაც რესპუბლიკაში სახკომსაბჭოს თავმჯდომარე იყო, ძალიან განათლებული და პატიოსანი კაცი, 1937 წელს, როგორც სამშობლოს მოღალატე, დააპატიმრეს, ეტაპებით სად არ ატარეს, ბევრი აწვალეს, ბოლოს თავისუფალი გადასახლებით აწვადამოდ ქალაქ ვორკუტაში გაამწესეს, იქ კი საკვების მზიდავ მუშად მუშაობდა.

ტოგონიძე ვალერიან, სამშობლოში გამბობირებული ქართველი ემიგრანტი, ჩრდილოეთ ბანაკებში ბევრი აწვალეს, ბოლოს ეს განათლებული კაცი ვორკუტაში მოხვდა. ბედნიერი იყო, რომ პურის საცხობში მუშაობდა მუშად და შიმშილით არ მოკვდებოდა.

ქავთარაძე იოსები (იოსკა), ომის დროს ტყვედ ჩავარდა. განათლებული თბილისელი ახალგაზრდა კაცი, პროფესიით ინჟინერი. ქაქუცა ჩოლოყაშვილის სიძე. ომის შემდეგ დააპატიმრეს, 10 წლის პატიმრობა მიუსაჯეს. ხე-ტყის მჭრელადაც ამუშავეს. მერე ვორკუტაში გადაიყვანეს მალაროში სამუშაოდ.

ლობჯანიძე ირაკლი. ემიგრანტი, ირანიდან ჩამოიყვანეს დააპატიმრებული. ბევრი აწვალეს და შემდეგ გადასახლეს.

გეგეჭკორი ირაკლი — საუკეთესო ახალგაზრდა, თავისუფალი გადასახლებით ცხოვრობდა ვორკუტაში. მალაროში მუშაობდა. ლევანთან მეგობრობდა. ერთხელ შეეხვედნენ ნამოსვლის დროს ლევანის ნაწერებიც ჩამოგვიტანა.

ძაძაძია საშა — სამტრედიიდან, პროფესიით ექიმი. ომის დროს ტყვედ ჩავარდა და ბევრი ნვალება გაიარა საკონცენტრაციო ბანაკებში. ომის დამთავრების შემდეგ სამშობლოში დაბრუნდა, მაგრამ დააპატიმრეს და ვორკუტის მძიმე რეჟიმის ბანაკში გააგზავნეს. ვორკუტის ბანაკებში უფრო მძიმე პირობები შემხვდა, ვიდრე გერმანიის საკონცენტრაციო ბანაკში, ხშირად ამბობდა ის. ვადის დამთავრების შემდეგ დაბრუნდა საქართველოში.



გუჯერჯიანი შამილი — ფიზიკურად ძლიერი სიანი, 1943 წელს მოხვდა ვორკუტის ბანაკში, უალრესად კეთილი, ნიჭიერი, განათლებული კაცი იყო. ბევრს შრომობდა. მან მალაროში გაამრავლა კურდღლეები და გადასახლების ბოლო წლებში თითქმის ყველა ქართველს შექონდა გემრიელი სადილი.

მამულაშვილი მითო, დიდებული პიროვნება, თბილისის უნივერსიტეტის ფილოსოფიის ფაკულტეტის მე-5 კურსის სტუდენტი, ძალიან ლამაზი და ახოვანი ვაჟკაცი. პოლიტიკური პატიმარი, ვორკუტაში მალაროში მუშაობდა მუშად. ლევანთან მეგობრობდა.

შენგელთა შოთა — კარგი მშრომელი ახალგაზრდა კაცი იყო. ვორკუტის ბანაკში მოხვდა ტყვეობის შემდეგ. მისჯილი ვადის დამთავრების მერე მუდმივად იქვე დატოვეს. შოთა ვორკუტის მალაროში მუშაობდა. აქვე დაოჯახდა. შერთო გერმანელი ქალი, რომელმაც ქართული არ იცოდა, მაგრამ იმედოვნებდა. რომ ცოტახანში შეისწავლიდა, რადგან ქალმა სარეჟიმო ბანაკებში ყოფნის დროს რუსული საკმარისად კარგად შეისწავლა. ქართველებმა გადანყვიტეს დიდი ქორნილის გადახდა. ქორნილზე ყველა მოინვიეს. მათ შორის ლევანიც იყო. ბევრი გულწრფელი სასიყვარულო სადღეგრძელოც იქვეა. ლევანმა სადღეგრძელო რუსულად წარმოთქვა, ბევრი აქო და ადიდა შოთა, რომ შოთას ცოლს კარგად გაეგო ვინ იყვნენ ქართველები და მისი ქმარი და უფრო დაეფასებინა. ვანო შევარდნაძემ კი ქალს სადღეგრძელო გერმანულად უთხრა — რითაც ყველას შექება დაიმსახურა.

გაჩაქა დავითი — მას პატარა დავითს ეძახდნენ. მეტად შორცხვი, უსახლეროდ კეთილი, ჭკვიანი, მშრომელი კაცი იყო. სწავლობდა თბილისის უნივერსიტეტში ხუჭუასთან ერთად, თავისუფალ საქართველოსათვის მებრძოლი, აწვალეს ეტაპებით და ბოლოს ვორკუტის ბანაკში გაამწესეს — მუშაობდა მალაროში მუშად, მძიმე, არაადაშიანურ პირობებზე ჩუმად იტანდა. მერე ფერშლობა შეისწავლა, დავით კვიციანიშვილის დახმარებით საავადმყოფოში მუშაობდა. ლევანის და დავით კვიციანიშვილის მეგობრობით ამყობდა. ჩემი უფროსი ძმები არიანო.

ხოშტარია კორნელი — სწავლული, განათლებული, ენათმეცნიერი ემიგრანტი იყო. გადმოიბირეს სამშობლოში დასამკვიდრებლად. ხელზე სტალინის დაპირების ქალაქში ჰქონდა, მაგრამ ბევრი წვალეების შემდეგ ვორკუტის ბანაკში მოხვდა, „ყველაფერი და ყველა ახლობელი დავკარგე. სულ მარტო დავრჩი. სიკვდილს ვეძებდი, მაგრამ ჩემთვის სიკვდილიც აღარ იყო“. მთავრობას აგინებდა და წყველიდა. სტალინის და ბე-

რიას სიკვდილის შემდეგ გაიხარა. ლევანის და სხვა პატრიოტი ქართველებმა დრამ სამშობლო სხვანაირად დამანახაო.

მაღლაკელიძე ალექსანდრე — რეჟისორი ზუგდიდიდან, დიდად განათლებული კაცი, პატრიოტი, დიდებული მამულიშვილი. ომის დროს პოლიტიკური ბრალდებით დააპატიმრეს, ბევრი აწვალეს, ვორკუტაში ხანგრძლივი ვადით გაუშვეს. პირველ ხანებში ძალიან გაუჭირდა იქ ყოფნა, სულიერად და მორალურად დაეცა.

გადასახლებაში, ამ ჯოჯოხეთში, როგორ ფეხაკრეფით გადის წლები, სწორედ მაშინ, როდესაც ჩვენ იმგვლივ სიცოცხლის შენარჩუნებისათვის მძიმე სამკვდრო-ასაციცხლო ბრძოლები ტრიალებს, ამ დაწყვეტილ ჩრდილოეთში რამდენი ვაჟკაცი ჩაიკეცა და ჩაიფერფლა, ასე უსამშობლოდ და ეულად ვინ მოსთვლისო, ხშირად ნალელობდა ის.

ალექსანდრე მეტად მგრძობიარე კაცი იყო. ათას ნილად უდიდესი და უმძიმესი გახდა ჩემთვის გაჭირვება და აქაური მძიმე ყოფა. ეს საშინელებაა, რომელიც სიკვდილის მოლოდინში თანდათან გესპობს, წურბელისაყვით სისხლს გიმშობს და ფსიქიკას გვირეებს. არა აქ მე სიკვდილისა არ მეშინია, მხოლოდ არ მინდოდა ტუნდრის ჭაობიანი მიწა, ჩემი „ცხედარი“ საქართველოს მიწას მოითხოვს. ღმერთო მომისმინე ამაში დამეხმარეო, ამაზობდა.

წლების მანძილზე ალექსანდრე ლევანს და სხვა ქართველებს დაუახლოვდა. ლევანთან დამეგობრდა კიდევ. ბევრი შენადით ურთიერთშეხების წერტილები: თეატრი. ლიტერატურა, საქართველოს კულტურა, ძველი თუ ახალი ისტორია, საქართველოს ყოფა და სხვა.

განთავისუფლების შემდეგ ლევანი და ალექსანდრე განაგრძობდნენ მეგობრობას. ლევანი მას რამდენჯერმე ზუგდიდშიაც ესტუმრა.

ბუცხრიკიძე ვახტანგი — საზანო-დან. პედაგოგი, ფიზიკოსი, ომის დროს ტყვედ ჩავარდა და ბევრი გაჭირვება გადაიტანა, ომის შემდეგ დიდი იმედით სამშობლოში ბრუნდებოდა, მაგრამ ვორკუტაში ამოყო თავი.

ვახტანგი ძალიან მუყაითი და მშრომელი კაცი გახლდათ, მალაროში მძიმე ფიზიკურ შრომასთან ერთად სათბურში ვენახის წერგებიც გაახარა. ამიტომ ქართველებს ზოგჯერ ყურძენიც ჰქონდათ.

შედეა ალიოშა — გურიიდან, ქ. ვორკუტაში რესტორნის გამგე იყო, ეხმარებოდა ქართველებს. თვითონ მუდმივად დასახლებული იყო ამ ქალაქში თავისუფალი გადასახლებით.

ტუხაშვილი ფრიდონი — მწერალი

კახეთიდან (მამულიშვილი შიარქვა ლევანმა).
თევზაძე ცუგარი — „ზედმეტ სახე-
ლად „ცხვირა“, უაღრესად კეთილი და განა-
თლებული. აბეციალობით ფიზიკოსი.

კონცელიძე — უაღრესად მორცხვი-
უსაზღვროდ კეთილი, სრულიად ახალგაზრდა
სტუდენტი. თავაულებლივ მუშაობდა, ბევრ
გაჭირვებას უძლებდა.

ჯავახიშვილი ვასო — კახეთიდან, მშე-
ნებლობაზე მუშაობდა, კარგი გულიანი კა-
ცი იყო, მეგობრობდა ყველასთან, განსაკუ-
თრებით კი ლევანთან.

ჩიჩუა თეოდორე — ექიმი, დავით
კვიციანიშვილის და ლევანის მეგობარი.

გაბუნია ვალიკო ყოფილი სახედე-
რო, განათლებული, კეთილი კაცი, ტყვედ ნა-
მყოფი. მოუსაჯეს 25 წელი თავისუფლების
აღკვეთა. ბევრი ანგაღეს, გაანთავისუფლეს
საერთო წესით.

კალატოზიშვილი — ჩაუარდა ტყვედ-
ომის შემდეგ საზღვარგარეთ, პარიზში, მამას-
თან დარჩა. იქ დააპატიმრეს და ეორკუტაში
გადაასახლეს ხანგრძლივი ვადით. ძალიან
კეთილი, მუსაითი და მშრომელი ქართველ
კაცი იყო, ყველას სიყვარული და მეგობრობა
დაიმსახურა.

სამწუხაროდ დანარჩენი იქ ნამყოფი ქარ-
თველების მართო გვარები შემოგერჩა, ესე-
ნი არიან: ჭეიშვილი, რობაქიძე, რუხაძე, ბო-
ჭორიძე ვალიკო, ბეროშვილი კაკო, მეტრევე-
ლი კოლია — ონიდან, თევდორაძე ბალ-
დადის რაიონიდან, ბანძავა, თურმანიძე, სა-
ბაშვილი, ჯულაყიძე, ცაიკიძე, გლენტი ვა-
ნიჩკა, ჩაკაბერია, კობიძე, ჩხაიძე, ქერაშვი-
ლი, მეფარიშვილი აკაკი, თავზრიშვილი თე-
მო, ბოლქვაძე დიმიტრი გურიიდან. ქარდავა
სამტრედიიდან მგაფია, გოგატიძე მუქი, კლდი-
აშვილი რაჭვენი.

დიდი უმრავლესობა ომის დროს ტყვედ
ჩაუარდნის, კონცენტრაციულ ბანაკებში ნა-
ტანჯი, შემთხვევით გადარჩენილი იყვნენ.
რატომ გადარჩით? რატომ თავი არ მოიკა-
ლეთ? ტყვედ ჩაუარდით... გამარჯვების შემ-
დეგ უნდობლობა გამოუცხადეს და მორე-
ულ ჩრდილოეთში გადაასახლეს.

აქვე იყვნენ გასაცოდავებული, საზღვარგა-
რეთიდან გადმოპირებული ემიგრანტები, სა-
მშობლოს სიყვარულით და რწმენით სამშო-
ბლოში დაბრუნების ნაცვლად ამ ბანაკებში
უმწეოდ ჩაყრილნი, სინანულით ამბობდნენ
— როგორ მოგვატყუეს? როგორ მოეტყუე-
დით?! ეს რა დაგვემართაო?

ბევრი 1937 წლის უდანაშაულო მსხვერპ-
ლი იყო. უგზოუკვლოდ დაკარგული და და-
ღუპული.

ბევრი კი მთავრობისა თუ პარტიის სანი-
ნააღმდეგო ფიქრის, სადღაც გადაკრულად

რალაცის თქმის, მოკრძალებული პარტიის
თუ უკმაყოფილების გამოთქმის გამო დას-
ჯილი.

მოკლედ დამნაშავენი იყვნენ თუ უდანა-
შაულო, წესიერები თუ უწესოები, მართალნი
თუ მტყუანნი, პოლიტიკაში საერთოდ გაუ-
რკვეველნი თუ პოლიტიკური მოღვაწენი.
მიუხედავად ასაკისა, ეროვნებისა, რჯულისა,
განათლებისა, ჯანმრთელობისა, მორალური
თუ სულიერი განწყობისა ყველა ერთად ამ
ბანაკებში იყვნენ შეყრილნი, მათ მძიმე, ჯო-
ჯობითური რეჟიმი აერთიანებდა, ყველა ერთ
ტავაში სხვადასხვა გულისა და გრძნობის
ცეცხლით ინვოდა და იფერფლებოდა.

და, არ, დიდი ხნის ნალოდინევი თავისუ-
ფლებაც ძლივს მოვიდა, ყველას სასიხარუ-
ლოდ, ბედნიერებისა და სიხარულის ცრემლ-
ზე უტკებეს ამ ქვეყანაზე ხომ არა არის რა
მატიმართა ბანაკები გაუქმდა განადგურდა
სამწუხაროდ, ბევრი ღირსეული მამულიშვი-
ლის სახელი უკვალოდ წაიშალა. არადა ყო-
ველი იქ ნამყოფი და ნატანჯი ქართველი
ჩვენი სამშობლოს ცოცხალი მათიანია, ჩვენი
ერის ცოცხალი წერტილი...

თვისთული მათგანის ბიოგრაფია ცალკე
თემას წარმოადგენს.

ვიმედოვნებთ, რომ მომავალში მათ შესა-
ხებ უფრო დანერგვით და სრულყოფი-
ლად დაინერგება, ნათლად გაშუქდება ჩვენი
ისტორიის მძიმე ფურცლები. სიმართლის და
სინამდვილის აღდგენა კი ერის გამაცოცხ-
ლებელი და გამამხნეველებელია, ანმყოს წარ-
მართვის სწორი გაგება და მერმისის გამო-
მზეურება სიბრწყინისაგან.

დასასრულ, ისევ ლევანის სიტყვებით ვამ-
თავრებთ ამ ნარკვევს: „კეთილად მოვიგო-
ნით ჩვენი დედანი და მამანი, დები, ძმები,
ახლო წინაპრები, რომლებიც ამ მიჯნამდე
ველარ მოგვყვნენ. გზა დაველცოთ, ვინც
გადარჩა და ჯერ კიდევ ხარობს სამშობლოს
კეთილდღეობით. დაე, ბარაქიანი იყოს ხუჭუჭა
მომავალი, რომელიც განმტკიცებული მუხ-
ლით გასწევს თავის სამშობლოს მართებულ
ჭაპანს.

რბის გვიროს და ყვეფვის წიგნო, ჰოიდა...
თავი დასდეთ და ერს უსაშველოთო,

ჰოიდა...

საძი ხელითა და უკვდავ სულთა, ჰოიდა...
უბირ მებრძოლსაც მახსენებდეთო,

ჰოიდა

დიდი მადლობა გვინდა გადავუხადოთ ჩვე-
ნი ოჯახის და ლევანის მეგობარ სოლომონ
ხუციშვილს დიდი გარჯისათვის. აგრეთვე დიდ
მადლობას ვუხდით ლევანის ჩრდილოეთ ბა-
ნაკის მეგობრებს დახმარებისა და მანერ-
ძნობისათვის.

მერაბ კოსტავა

მოსახლეობის მიგრაციის შესახებ

სულიერი სიჭანსაღე ერისა, სამყაროსადმი, მსოფლიო კულტურისა და საკუთარი თავისადმი სწორი დამოუკიდებლობით რომ მიიღწევა, მისი სიცოცხლისუნარიანობისა და ფიზიკური ძლიერების საწინდარიცაა, იმგვარი ძლიერებისა, აგრესიობისა და ძალმომრეობის რომ გამოიკვხავს, თორემ სად ძალმომრეობა და სად ჯანსაღი სული, არ უნდა დაგვაჩვენდეს, რომ ნებისმიერი ერის კეთილდღეობა და სიცოცხლისუნარიანობა დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად ძალუძს მას წონასწორობის დამყარება სულიერსა და ბუნებისმიერ საწყისებს, გონებრივსა და ფიზიკურ ცხოვრებას შორის. იმისათვის, რომ მაღალ სულიერ დონემდე აღწევებული ეროვნება არ დაბერდეს, საქირო რაოდენობა მოსახლეობისა ნიადაგ უნდა იღვეს მისი გაახალგაზრდავებისა და განახლების სათავეებთან. მძიმე საყოფაცხოვრებო პირობებშიც არ წუვეტდეს კონტაქტს ბუნებასთან, მიწასთან და აღნიშნულ ფუნქციის დაურღვევლად პერიოდულად ანახლებდეს ინტელექტუალური ცხოვრების სფეროს. სულიერ და ფიზიკურ ცხოვრებას შორის წონასწორობის მკვეთრ დარღვევას მრავალი ერი და ცივილიზაცია დაუქვეითებია, ან სულაც დაუღუპავს. კულტურამ და უბრალოდ ან არ უნდა დაამუხრუჭოს ათვისება და რეალიზაცია საკუთარი ქვეყნის ძნელადსათვისებელი რაიონებისა, არ უნდა გამოიწვიოს უკვე ათვისებულის დაკარგვა. საცხოვრებლად მძიმე და პირქვემ გარემოში სიცოცხლის შეტანა, უვარგისი ადგილების სავარგულად ქცევა განუზომლად აძლიერებს ნებისმიერი ერის სასიცოცხლო ძალუძს.

რაციის ბარში, საქართველოს იმეამინდელი მთავრობა ამ ღონისძიებას ეკონომიკური მიზეზებით, კერძოდ მთის მოსახლეობის არაპროდუქტიულობით ამართლებდა, რომელიც თითქოს მეტს იღებდა სახელმწიფოსაგან, ვიდრე უბრუნებდა და ბარში მათ გადასახლებას სახელმწიფოს ეკონომიკისათვის და თვით მიიღებდისათვისაც სასარგებლოდ მიიჩნევდა, რადგან ამაში ხედავდა გარკვეული საყოფაცხოვრებო და სწავლა-განათლების საქმეში მათი ჩამორჩენისაგან თავის დაღწევის შესაძლებლობას. ამეამდ თვალსაჩინო გახდა ოდესღაც დაშვებული შეცდომა და კიდევ შეუდგენ მთის ნასოფლართა აღდგენასა და ხელახალ დასახლებას. თანდათან რწმუნდებიან, რომ სახელმწიფოს დემოგრაფიული პოლიტიკა ნიადაგ უნდა ეყრდნობოდეს ღრმა სულიერ და არა წმინდა ეკონომიკურ საფუძველს, ვინაიდან მყარი და სტაბილური ეკონომიკა მხოლოდ სულიერ წიაღსვლათა გზით მიიღწევა. სულიერ საფუძველზე აღმოცენებული ერთად-ერთი მართებული დემოგრაფიული პოლიტიკა ესაა სვლა არა ძნელიდან იოლისა და ხელსაყრელი-საკენ, არამედ პირიქით, ხელსაყრელიდან ძნელისაკენ, ამ ძნელის ხელსაყრელად ქცევისათვის. ესაა გარდამქმნელი ფაუსტური პოლიტიკა, მორალის სფეროში სიქველეთა შორის უშაღლესს, ბოროტების სიკეთედ გარდაქმნას რომ შეესაძლებება. ოდესღაც, ზნეობის სფეროში, ბოროტებისთვის, თავის არიდება და იზოლირება თუ ითვისებოდა სიკეთედ, დღეს, ფაუსტურ ხანაში, სიკეთის უშაღლესი ეტალონია აქტიური სიკეთე, ანუ თავად ბოროტების სიკეთედ გარდაქმნა როგორც ინდივიდუალურ, ასევე სოციალურ პლანში. შესაბამისად ამისა დემოგრაფიის სფეროში და საერთოდ გარემოსთან ურთიერთობისას სიკეთის უშაღლეს ეტალონად ამეამდ მიიჩნევა არა კარგ მიწებზე და ფუძველება; მომთაბარეობიდან მდგრად ცხოვრე-

საუბედუროდ ამ თვალსაზრისით გარკვეულ უმოქმედობას ჰქონდა ადგილი ჩვენში ამა საუკუნის მეორე ნახევარში. თითქმის მთლიანად დაიცალა მრავალი სოფელი საქართველოს მაღალმთიან რაიონებში. ადგილი ჰქონდა მთის მოსახლეობის მასიურ გადასახლებასა და მიგ-

ეროვნული მემორიალი

ბაზე გადასვლისა რომ ჰქონდა ადგილი, რამდენ უფარვისა ადგილებს სავარგულად ქცევა, მწირ, ან პოუქმ ბუნებრივ გარემოში სიციცხლის ჭავლის შეტანა, ორივე შემთხვევაში ადამიანი ღვთის თანამშრომელი და არასრულყოფილის სრულყოფილი ხდება. შექონიერება როდია, რომ ყველაზე მაღალი სელექციის პერიოდი საქართველოში, ეპოქა თამარისა და რუსთაველისა, გარემოს გარდაქმნისა და უფარვისა ადგილების, სავარგულად გადაქცევის გასაოცარი მაგალიდებით ჩასიათდება. ამისათვის საკმარისია გავიხსენებო შეხვების შიშველ და მრეკეპზე მოწყობილი სავანეზე ტერასები, ქართული სოფლის მეურნეობის ეს ფაბრისტიური მოვლენა. ქართულმა გლეხობამ გერ კიდევ მეთოთხეტე საუკუნეში დაგვიხანა საქმით, რომ მარტივი ადამიანის მოქმედებისა და მხელად-ასათვისებელი მიწების ათვისებასა და გარდაქმნაშია და არა დეზერტირობაში, აყრასა და სხვაგან გადასახლებაში. ჩვენში თვით გერმანული არდახის გაჩენამდე იცოდნენ, რომ კულა მხოლოდ მიწათმოქმედი შეიძლება იყოს და არა მიწა.

ნაცვლად იმისა, რომ შორეული, მაგრამ ზნეობრივი და პრაქტიკული თვალსაზრისით რეალური მიზნები დაესახათ, დალოდებოდნენ დროს, როცა შესაძლებელი იქნებოდა საქართველოს მთების გზებით დაქსელება, საყოფაცხოვრებო მდგომარეობისა და განათლების სისტემის ადგილზევე გაუმჯობესება და იმ სამეურნეო დარგების აღორძინება, რომელთა განვითარების საშუალებასაც მათ იძლევა, საერთო უფრო სწრაფად და „ოღად“ მოაგვირგს, მთის მკაცრ პირობებს ოდიფანვე შეჩვეული მოსახლეობის ნაწილი აყვარეს და ამით საერთოდ უარი განუცხადეს ამ ადგილებს, დეზერტირობა ჩაიდინეს მათ მიმართ, მაშინ როდესაც რუსებმა სისხლი ჩაანთიეს ციმბირის ათვისების საქმეში, რადგან საქმე იგი, თავიდანვე, რუსეთის ძლიერების საწინდარად მიიჩნიეს. რაც ციმბირია რუსეთისათვის იგივეა საქართველოსათვის მისი მთიანეთი. მსგავსია მათი როგორც ზამთარ-ზაფხულის თანაფარობა, ასევე თვით მცენარეული საფარიც. ოღონდ ეგია, რომ რუსები ოთხი საუკუნეა, რაც ახორციელებენ ციმბირის დასახლებასა და ათვისებას. საქართველოში კი უხსოვარი დროიდან გათავისებული პოზიციების დათმობას ჰქონდა ადგილი. პოზიციებისა, მტრისათვის აღუბუნელ სიპაგრეს რომ წყნობადგება მუდამ სწორედ მთებისა და მკვიდრთა მისთა სიმტკიცემ გარდაუწვევია ოდესღაც არაბებს, მოხლოლებს, სპარსელებსა და თურქებს საქართველოს დამორჩილებისა და აქ საქმელამოდ დამკვიდრების იმედი მხოლოდ ისტორიისა და კულტურის სუსტმა ცოდნამ და სახელმწიფო საქმეებში ჩაუხედაობამ, აკოდნამ იმისა, თუ სად ფიქვას, მთავარი-მარტივი ქართველი ხა-

ლის ძლიერებისა, მისი პოზიციების დაკავების არტყრა, განაზრდა და შეიძლება შელძღვანელობა: ბარში ჩამოყვასლებინა ნაწილი მთის მოსახლეობისა, დავეშვათ მთებმა დაპყარგვა იმგვამდ ის სტრატეგიული მნიშვნელობა. უნის რომ გაჩნდათ, მაგრამ დაპყარგვენ ისინი ოდესმე სიადგ განმახლებელ და გამახალგაზრდადებელ ძალას. ესოდენ მნიშვნელოვანს ქათველი ერისათვის-ს? მხოლოდ მათსთან ნიადგ მოციხისალი, მთასთან შეგუებული მოსახლეობაა, საწინდარი ქართველი ხალხის არდაბერებისა, მისი ეხერგის უშოეტობისა, საქართველოს ეკონომიკურ პერსპექტივას ბარზე ნაცლებად მთები როლი განსახლერავენ. მხოლოდ ბოლომდე ათვისებული საქართველოს მთიანეთი იძლევა ნაღდ გარანტიას მეცხოველეობისა და მეფუტკრეობის დარგთა სრულყოფისათვის ჩვენში, ეს გახლავთ მხელად მისაღწევი, მაგრამ ამ რეგიონში ერთად-ერთი გზა ეკონომიკის განვითარებისა და სტაბილიზაციისა, ეს გზა მათთვისულია, მორალურად გამართლებული, რადგან გარდაქმნას, წინააღმდეგობათა დაძლევის ეფუძნება და ადამიანთა ხებელობის წერტნას განაპირობებს.

მაინც საკითხავია: რატომ არ დგას ჩვენში მეცხოველეობა შეჩაიფობისა და შევენახეობის ღონეზე? იმიტომ ხომ არა, რომ მას ამ კულტურების მსგავსად საკევირო მნიშვნელობა არ გაჩნია და გეგმების ჩავარდნისას არ ტყდებან განგაში, კინაღდან პასუხისმგებლობის გრძნობა უფრო რესპუბლიკული მასშტაბებით იფარგლება და არ იშვის საშოშროება ზემოდან თითის დაქნევისა? სხვებზე უკეთ ჩვენ არ უნდა ვიკოდეთ, თუ რა გვჭირდება? განა არ გეუწყებს ჩვენი დიდი ისტორიკოსი, ივანე ჯავახიშვილი, თავისი კაპიტალური შრომის „ქართველი ერის ისტორიის“ პირველ ტომში, რომ უნსოვარი დროიდან კავკასიონის ქედი წარმოადგენდა ერთობ განვითარებული მეფუტკრეობისა და მეცხოველეობის კერას, შავი ზღვის მთელს აუზს რომ ამარაგებდა თავლისა და რძის პროდუქტებით? ბავშვიც კი მიხვდება, რომ ამჟამადაც სოფლის მეურნეობის ეს დარგებია აქ უკვლავ შერსპექტიული. მაშ, რაშია საქმე? განა იგივე მთები არ აღმართულან, იგივე ხალხი არ ცხოვრობს დღესაც? რამ დააყენა მთის მოსახლეობის მწარმოებლური ძალები და პროდუქტიულობა ექვის ქვეშ? მოხდა რაღაც, რამაც დაარღვია გარკვეული მარძოხია და იომოდს გასწოებისა ნაცვლად დაუშვეს უფრო დიდი შეცდომა და ეთილი საბაბით გააყეთეს ის, რაც უროცტმა ძტეობა ვერ მოახერხა საუკუნეების მანძილზე. მამამამათა სამკვიდრებლადან აყვარეს მნიშვნელოვანი ნაწილი მთის მოსახლეობისა, ქართული მთების მშვენება ზოგოთი კულტურის გამო, საკევირო მოთხოვნების გათვალისწინებით რომ მოკყავთ ჩვენში, საქართველო უფრო ამბობს სატოლო-

პურით თავის დაკმაყოფილებაზე და მისი შემოზღვევა სხვა რესპუბლიკებიდან გვიხდება. მაგრამ ამ შემთხვევაში ერთის დანაკლისს, ან არქონებას, მეორის ნამატი ანაზღაურებს. რაც შეეხება მესაქონლეობასა და ჩრდის პროდუქტის წარმოებას, არ არსებობს მიზეზი, რომ გაამართლოს, ან აანაზღაუროს ამ დარგების ჩამორჩენა ჩვენში, მით უმეტეს, რომ ბუნებრივი პირობებითა და ტრადიციის სიძველით არ ჩამოვუვარდებით ამ სფეროში ყველაზე განვითარებულ ქვეყნებს. არა, ჭამა-სმის ხეაშიაღი როდი მალაპარაკებს, თუმცა აქაც, რატომღაც მახსენდება ის, ვისზედაც უთქვამთ: „ააა, კაცი მჭამელი და მსმელი“, კაცი, რომელსაც ინაზღა ჯდომა უყვარდა და ხანგრძლივი მარხვაც ძალუდდა. მისგან კი ანაზღად იმასაც გადასწვდება ფიჭვი, წარღვნის ეამს აღამიანებთან ერთად ცხოველთა სახეობანიც რომ გადაარჩინა, თვალისმოშორელი მყინვარების ფონზე წარმომიდგება ქრელი ჯოგებითა და თეთრი ფარებით გადაპენტილი ალბიური საძოვრები და ვენდავ, თუ როგორ მოდენის შებინდებისას სოფლის მადონა ნახირს, ვხედავ ცხვარში გარეულ მწყემსებსა და ბუმბუტა ნაგაზებს, მყვარა, რომ ამ ველზე უკეთ თვით მეფე სოლომონიც კი არ იმოსებოდა და ვფიქრობ: ამგვარი პატრალური იდილიები წარსულს არასოდეს ჩაბარდება. სწორედ ჩვენი ტექნიკის საუკუნეს უნდა მიეცხოს მალამოდ ამგვარი გამაწონასწორებელი ძალა. საქართველოს ბუნებრივი პირობების არგამოყენება, მართლაც რომ ცოდვია. საქმისთვის თავის დადგმა საჭირო, თორემ განა ჩვენში არ არსებობს პირობები იმისა, რომ გამოიყენოს მოზრდილი ტერიტორია მსოფლიოს შინაურ ცხოველთა ყველაზე აბორიგენული, თუ გამოყვანილი მაღალი ლირსების მქონე ჯიშის შესანარჩუნებლად, თუ მოსაშენებლად და საერთოდ ზემოაღნიშნული დარგების მაღალ მეცნიერულ დონეზე დასაყენებლად? არ მიიღო ბუნებისაგან ის, რასაც იგი გთავაზობს იმგვარად, რომ არაფერი აკლდება და თანამომოქმედების გარდა არაფერს მოითხოვს შენგან, ეს ჩინავს შეწყვიტო მასთან ნორმალური ურთიერთობა, გამოეთიშო მსოფლიო პარმონიას.

ასე, რომ არა ოდითგანვე დაწესებული საქმიანობის შეცვლას. არამედ ამ საქმიანობის შემოქმედებითად წარმართვაში მიხმარებას ძალუქს საქართველოს მთიანეთის ეკონომიკური პერსპექტივის განამდილება. ამას კი, უპირველეს ყოვლისა, მთის ნასოფლართა სრული აღდგენა-განახლება და ამ საქმის მაღალ დონეზე განხორციელებისათვის საშური კაპიტალ-დაბანდება უნდა დაედოს საფუძვლად და ამასთან, გათვალისწინებული უნდა იქნას ქართული მთის მოსახლეობის ეთნიკურ-ისტორიული და ეკონომიკურ-სამეურნეო თავისებურებები.

მთიანი საქართველოს ცხოვრებაში შეიმჩნეოდა და დღესაც შეიმჩნევა გარკვეული მრავალფეროვნება, მრავალ საერთოსთან ერთად მთის ცალკეულ კუთხეებისათვის დამახასიათებელი ცხოვრების განსხვავებული წესი. პირადად მე ყველაზე მეტად ცხოვრების თუშური წესი მომწონდა. ცნობილია, რომ ბახტრიონის ალბისა და მოძალადე სპარსელების გაქვტიისათვის მეფემ საზამთრო საძოვრებით დააჯილდოვა თუშები კახეთის ველისა და კავკასიონის მთების შესაყართან. მან ასე მიმართა ბახტრიონის გმირს ზეზვა გაფრინდაულს: დაჰკა მათახი ცხენს და სადამდეც ირბენს, იქამდე მოგიზომავთ მიწას თუშებს. ასე ჩაეყარა საფუძველი ალვანს. აქედან მოყოლებული თუშები ზამთარს ბარში ატარებდნენ, ხოლო ზაფხულში საქონლიანად საზაფხულო სადგომებს მიაშურებდნენ ხოლმე მთებში. ამგვარად შეაწყვილეს მათ მთისა და ბარის ცხოვრების წესი, მესაქონლეობა და მიწათმოქმედება, რითაც არ დააქნინეს, არამედ განადიდეს კიდევ საკუთარი სულიერი და ფიზიკური ძალები, თუშურმა პოეზიამ არაფერში დაუთმო ფსავხესურთულს, თუშები იყვნენ და დღემდე დარჩნენ მთიანი საქართველოს საუკეთესო მხედრებად. მხოლოდ ისინი არ იყენებენ საქართველოში უზანგებსა და უნაგირს, მაგრამ ვერაფერი გადმოაგდებს მათ ცხენიდან, ან რომელი კოვბით შეედრება დალოცვილებს მოხდენილად ცხენზე ჯდომაში. აბჯარ-მუზარადი აროდეს გამოუყენებიათ თუშებს ბრძოლაში, მაგრამ ხევისურებზე ნაკლებად როდი იქნევდნენ ხმალს. თუშური ციკლოპური კომპლექსი არაფრით ჩამოუვარდებიათ ხევისურულ სოფელ-სიმაგრეებს, ხოლო სამეურნეო გამოცდილებით თუშებმა კიდევ გაუსწრეს მათ.

ხევისურებსაც შეეძლოთ თავის დროზე მთის და ბარის ცხოვრების წესთა შეწყვილება. ხევისურ ვაჟაკებს ნაკლები დამსახურება როდი მიუძღვოდათ სამშობლოს წინაშე და საქართველოს მეფენი არც მათთვის დიშურებდნენ საზამთრო საძოვრებს ბარში, მაგრამ ალბათ თავად ხევისურებს არ გააჩნიათ ამგვარი სურვილი. ხევისურეთის დიდი ნაწილი ზომ დათვიკერის გადასასვლელის მიღმა იმყოფება, ხოლო მთა თუშეთთან მას აწუნთის მაღალი გადასასვლელი ჰყოფს. ხევისურები ყველაზე შორს იყვნენ შეზიდული მთებში, ბუნებრივი და სხვა დაბრკოლებებით ბარისაგან ყველაზე მეტად იზოლირებული. მათ მუდამ მტრობდნენ არაგვის ერისთავები, ბარისაკე მისასვლელ გზაზე რომ ელობებოდნენ და ამაოდ ცდილობდნენ დამორჩილებას მათსა და ერისთავობას ხევისურეთში. ამტომაცაა გასაგები მკვეთრად ხაზგასმული მთის წესი ხევისურთა ცხოვრებისა და ვფიქრობ, ეს უნდა ყოფილიყო მიზეზი ახალმა დრომ და ზემოხსენებულმა შეცდომებმა ყველაზე მეტად ხევისუ-



რები რომ გადმოვადგო ბარში. ეს მიგრაცია ეგზომ მასშტაბური არ იქნებოდა, თუშების დარად ხევსურებსაც ძველთაგანვე რომ შეეჩერებინათ მთისა და ბარის ცხოვრების წესი. და ან სულაც, იმ გადმოსახლების ნაცვლად, მრავალი მათგანის სურვილის წინააღმდეგ რომ განახორციელეს, უმჯობესი არ იქნებოდა თუშეთის ისტორიული მაგალითის გავალისწინებით, მთიდან მოუწყვეტლად შეეჩვიათ ხევსურები ბარის ცხოვრებისათვის? ასეა თუ ისე, მასთან დაკავშირებით უმთავრესი პრობლემა დღეს მთის ყოფილი მოსახლეობის უკუმიქცევა და ნასოფლართა აღდგენაა. ხოლო მესაქონლეობისა და სხვა პრობლემების წარმატება ამ პირველადი სასიცოცხლო პრობლემის განხორციელებაზე იქნება დამოკიდებული. სულერთია, გამოიყენებენ თუ არა კავკასიონის როგორც ჩრდილოეთ, ასევე სამხრეთ მთიანეთს საქართველოს განვითარებული მესაქონლეობის ქვეყნად გადაქცევისათვის, თუშური ცხოვრების წესს დანერგავენ ამისათვის, თუ სვანურსა და ხევსურულს, დაქსელავენ თუ არა საქართველოს მთებს გზებით ზაფხულისა და ზამთრის საძოვრებს შორის და საერთოდ მთასა და ბარს შორის უფრო მიზანდასახული და სწრაფი მოქმედებისათვის, გამოყოფენ თუ არა ამისათვის ავტომობილების საშუალო როდენობას, მოახდენენ თუ არა სტუდენტებისა და სამხედროების მასსიურ საზაფხულო მობილიზებას გზების, ფერმების, საცხოვრებლების, რძის ქარხნების და ა. შ. მშენებლობისათვის, როგორც საზაფხულო, ასევე ზამთრის საძოვრებზე, რათა რძის ნებისმიერი ნაწარმის გადამუშავება ადგილზევე ხორციელდებოდეს და სარეალიზაციოდ იქნაღწევა იგზავნებოდეს, ადგილობრივ ტრადიციებს და საბჭოურ ტექნოლოგიას დაეყრდნობიან მხოლოდ, თუ იმგვარი განვითარებული მეცხოველეობის მქონე ქვეყნების გამოცდილებითაც აღიჭურვებიან, როგორცაა შეიქცარია, არგენტინა, ინდოეთი, პაკისტანი და ა. შ., საკუთარი საქონლის გამრავლებას დაელოდებიან, თუ საკითხის მეცნიერულ დონეზე შესწავლის შემდეგ, საქმის დასაჩქარებლად ერთბაშად მრავალ სულ მსხვილ და წვრილფეხა საქონელს შეისყიდვიან ზემოხსენებული ქვეყნებიდან (უმთავრესად მთის ჯიშებს), მოსახლეობის დასაინტერესებლად შემოიღებენ თუ არა ორმაგი ანაზღაურების წესს, როგორც ეს სსრკ-ის ჩრდილოეთ რაიონებშია მიღებული (პაეის სიმკაცრით მთები არ გამოუვარდებიან ჩრდილოეთს), ყოველივე ზემოაღნიშნული დამოკიდებული იქნება პირველადი პრობლემის წარმატებაზე, საქართველოს მთების მასსიურ დასახლებაზე. წარსულს ჩაბარდა ის დრო, როცა ფიქრობდნენ: პირველყოფილი უმანკოების შენარჩუნებისათვის საჭირო არ არისო მთებში გზის გაყვანა და ცივილიზაციის შეტანა; თავის განთქმულ პატიოსნებასა

და პირდაპირობას დაპყრობაზე იჭრებოდნენ ბართან დაახლოებით. არა, დღევანდელი დღისათვის, ადამიანის პიროვნული თვისებებიდან გამომდინარე, ღირსეუბება მთავარი და არა იზოლირების მეოხებით შენარჩუნებული ტრადიციული პატიოსნება. და ან ვილას ცხელა დღეს ამგვარი საკითხისათვის, როცა სწორედ ამ ცივილიზაციის დაგვიანებამ ლამისაა ერთთავად გამოგვტაცა ხელიდან მთა. ან სულაც, მისცემს განა მთის დიდი ბუნება ცივილიზაციას იმის უფლებას, რასაც იგი ბარში ჩადის. განა იმთავითვე თავის ჩარჩოებში არ მოამწყვდევს მას? არა, დღეს სწორედ საქართველოს მთელმა მოსახლეობამ, განსაკუთრებით კი ბარად ჩამოსულ-ჩამოქვეითებულმა ყოფილმა მთიელებმა უნდა გააცნობიერონ მთელის სიგრძე-სიგანით ამ საქმის აუცილებლობა. მხოლოდ მთაში დაბრუნებით დამტკიცებენ ისინი, რომ ნამდვილი თუშები და ხევსურები არიან, დემოგრაფიული და ეკონომიკური დარღვევების გასწორება ეროვნული თვითშეგნების დონეზე უნდა ხორციელდებოდეს, რადგან ყველაზე საჭირობოროტო საკითხებს ღვთის ხმასთან შეწყვილებული ერის ხმა სწყვეტს ნიადაგ. დემოგრაფიული და ეკონომიკური პოლიტიკის სისწორე კი წარმოუდგენელია სულიერი წიაღსვლების გარეშე. სულიერება?... სულიერებას კი იმდენს დეკარავთ ჩვენი მთების უფლებულეყოფით, რომ ევლარაფერი შეაკაეებს მისგან დაწყებულ დეგრადაციას.

ამჟამად რომ არ დაწყებულიყო მიტოვებული მთის სოფლების ხელახალი დასახლება და ამ საქმისკენ შინაგანი წევა, აი, რა შეიძლებოდა გვეფიქრა საკუთარ თავზე:

1. მომკვდარა ჩვენში იმ საოცარი ისტორიის, გმირული წარსულისა რა უხადო რაინდული თვისებების, მშვენიერებისა და განუყოფელი კოლორიტის შეგრძნება, მთის მოსახლეობას რომ გააჩნია.

2. დაგვიკარავს ძარღვიანი, რეალისტურ მტკიცედ ნაჭედი ქართულის შეგრძნება, ვინაიდან ვერ შეგვიცნია, რომ მთის სოფლების დაცარიელებით დაიწრიტება სიტყვიერებისა და პოზიციის ის მძლავრი ნაკადი, რითაც მთის მოსახლეობა პერმანენტულად აძლიერებდა ქართულ ენასა და ლიტერატურას.

3. მაგრამ ეს ვეკაცური პოეზია მთისა ხომ წარმოუდგენელია იმ თავისუფლებისმოყვარეობის, იმ დაუმორჩილებელი სულის გარეშე, მის შემქმნელ ხალხს რომ გააჩნია და რის გამოც ვერც შინაურებმა დაადგეს ოდესღაც თავს ბატონყმობის უღელს და ვერც გარეშე მტრებმა დამორჩილეს იგი? ჭეშმარიტი ლიტერატურა ხომ არ არსებობს თავისუფლების, გულსნადებისა და ნაზრევის უშიშრად და თამაშით გაცხადების გარეშე. რადგან არა ხმაჩამედლი ყმებისა და ლაჩრების, ოდითაგანვე ვეკაცების საქმე ყოფილა იგი.

4. მაგრამ ეს თავისუფლებისმოყვარეობა და ქედუხრელობა ხომ პირშოა იმ ამალღებისა, მთას რომ ახასიათებს? მაშ, თავისუფლებისმოყვარეობასთან ერთად დაგვიკარგავს ყოველივე ამალღებულის შეგრძნებაც, რადგან მთებშია კონცენტრირებული უჩვეულო სიზღიადე, სიწმინდე, სილალე, მონუმენტალური მშვენიერების, აღფრთოვანების, განცვიფრების, სიმაღლისა და უსაზღვროების განცდის შესაძლებლობანი. თუ ბუნება ზღვასთან გენიალური ფერმწერია, არანაკლებ გენიალური მოქანდაკეა იგი მთებში. უფრო მეტიც: არსად ისე არ იგრძნობა ექსპრესიულობა დედამიწისა, მისი მისწრაფება აღზევდეს საკუთარ ბუნებაზე, ამალღდეს საკუთარ თავზე, გაწყვიტოს ზღვართა ბორკილები და მისწდეს ვარსკვლავებს, რო-

გორც მთებში. ოდესღაც ცისკენ აღზევდნენ გრანდიოზული ცეცხლოვანი მასები, ვედღადღე მოგიზგიზე დედამიწისა გასაოცარ კონტრადგაიყინნენ. ყალუზე შემდგარნი და გასაფრენად გამზადებულნი, თუმცა ვერ მოსწყდნენ მიწას, მაგრამ სამუდამოდ აღიბეჭდეს საკუთარ თავზე აღზევების დაუოკებელი წყურვილი.

არა, ქართველ კაცს არასოდეს მობეზრდება სიმაღლეებთან ჭიდილი, არ გაუნელდება უკიდვანობის გრძნობა.

ვერა და ვერ დათმობს ქალაქი ვარსკვლავებთან სიახლოვეს. საკუთარი თავისადმი არ გაუცხოვდება იგი და ზურგს არ შეაქცევს გულისწარმტყვევენელ მშვენიერებას მთებისას, საკუთარი მე-ს, საკუთარი არსების ამ მართლაც განუყოფელ ნაწილს.

20. V 1964 წელი.

საკაპი გაგრძედა

მწერლობის მოთვინიერება

მწერლობის დამონების თეორიული საფუძველი ლიტერატურის პარტიულობის პრინციპით შეიქმნა. მაგრამ ეს საკმარისი არ იყო. თეორია, თუ პრაქტიკულად არ განხორციელდა, მხოლოდ ლაუბობად დარჩება. ლიტერატურის პარტიულობის პრინციპი კი ის თეორია არ იყო, რომელიც თავისთავად მოხიბლავს ცალკეულ პიროვნებას თუ მთელ საზოგადოებას. დაეუფლება მათ. ნებაყოფლობით ამ პრინციპს არცინ მიიღებს. ლიტერატურის პარტიულობის პრინციპის მშაკერული მიზანი იმდენად ცხადია და აშკარა, რომ შეუძლებელია ჭკუათმყოფელმა კაცმა იგი გაიზიაროს, ამიტომ მისი განხორციელება მხოლოდ ძალდატანებით, ტერორით და მუქარით შეიძლებოდა. ასეც მოხდა.

ახლა გაგაცნობთ ზოგიერთ იმ საშუალებებს, რომლის მოშველიებითაც პრაქტიკულად ნერგავდნენ კომუნისტები ლიტერატურის პარტიულობის პრინციპს.

მუქარა და სხსჯელი

1926 წელს აღექსანდრე აბაშელმა გამოაქვეყნა ლექსი — „წერილი ნოე ჩხიკვაძეს“. იგი ასე მოავრცედა:

„მაგრამ დღეს სხვა ჩვენი პერი, —
დაეცა ლოცვა და პოეზია.
მოკვდა ბრწყინვალე ძველი შაირი
და ახალს ჩრდილი შემოესია.

გავიკვირდება: ლექსს რათ არ ჰწველის. —
რომ კვლავ ამაღლდეს რჩეულ ხარისხად, —
ციდან ქუხილი ბარათაშვილის,
მთიდან ყვირილი ვაჟას ხარისა!

ახლა ქუხილი არ ისტამბება.
ხარი არ ჰყვირის მალალ მთებიდან,

გაგრძელება. იხ. „მნათობი“, № 9.

ლექსი დაახლოზ წერილმა ამბებმა,
ამონაწერმა გაზეთებდას.¹

როგორც ხედავთ, ამ ლექსში ზუსტად არის დახატული შექმნილი მდგომარეობა: პოეზიის ნაცვლად ბატონდება გალექსილი საგაზეთო სტატიები. თან აღ. აბაშელის ლექსი მხილდება, დაგმობა ამ ტენდენციისა. მის გაბატონებას კი ითხოვს კომპარტია. მაშასადამე, პოეტი დაუპირისპირდა, წინ აღუდგა კომპარტიის დირექტივას ამიტომ აღექსანდრე აბაშელს ჭკუა უნდა ასწავლონ. ყური აუწიონ, რომ მეორედ აღარ გაბედოს მსგავსი რამ. იწყება მის წინააღმდეგ დაუნდობელი ბრძოლა.

1927 წლის 11 იანვარს თბილისის პარტიკონფერენციაზე საქართველოს კ კკ-ის მაშინდელი მდივანი, მიხეილ კახიანი, აღ. აბაშელს იმუქრება:

„აბაშელი ლექსით სწერს ბარათს ნოე ჩხიკვაძეს. რა თქმა უნდა, შეიძლება ბარათის მიწერა ნოე ჩხიკვაძისათვის, თუმცა ის უკვე მკვდარია, მაგრამ ვნახოთ, რა ლექსს უძღვნის ნოე ჩხიკვაძეს ეს აბაშელი. ამ ლექსის უკანასკნელ აბზაცში ნათქვამია, მაგალითად, შემდეგი (აქ კახიანს მოჰყავს ლექსის ის სტრიქონები, რომელნიც ზემოთ უკვე წაიკითხეთ. — ა. ბ.)...

როგორც ხანს, ავტორი უკმაყოფილოა, რომ ჩვენ ამჟამად არ ვბეჭდავთ ყოველგვარ ანტიხაბკოთა ახლა-უბდას და აბაშელის ლექსების ნაცვლად ვათავსებთ სხვა მასალას, რომელიც გაცილებით უკეთ ასახავს საბჭოთა ყოფაცხოვრებას. უნდა ითქვას, რომ ეს აბაშელი უკანასკნელ დრომდე მუშაობდა სახელგამში, იმყოფებოდა საბჭოთა ჯამაგირზე და ამავე დროს მოახერხა 1927 წ. შეედგინა ისეთი საბჭოთა კალენდარი, სადაც, რაც უფრო ვუახლოვდებით 26 მაისს, დაბეჭდილია ისეთი სხვადასხვა ლექსები, რომლებ-

1 ქურ. „ქართული მწერლობა“, 1926 წ., № 23.

შიაც გაკვირით არის დაპარაკი საბჭოთა ზელოსუ-
სუფლებების წინააღმდეგ.

ასეთი შიკობ-შოკობული ენით დაპარაკობენ
იმ იმედით, რომ ჩვენ მას ვერ გავიგებთ, არიან
ისეთი გულუბრყვიელები, რომლებიც ფიქრობენ,
რომ კომუნისტები სათანადოთ ვერ ერკვევიან
ლიტერატურის საკითხებში. აშკარად უნდა ითქ-
ვას რომ ჩვენ არავის უფლებას არ მივცემთ კო-
ნტრაბანდით გააპაროს უოველგვარია ანტისაბჭო-
თა საქონელი. ჩვენ ვცდილობთ ჩვენს მხარეზე
გადმოვიყვანოთ ინტელიგენცია. საამისოდ ჩვენც
ვშოშაობდით და ვშოშაობთ, მაგრამ ჩვენ გადაჭ-
რით ვიბრძოდით ანტისაბჭოთა სულისკვეთე-
ბის ასეთი გამოძღვანების წინააღმდეგ ინტე-
ლიგენციაში“.

მიზ. კახიანი ნათლად და მკაფიოდ გამოსატ-
ავს კომპარტიის ლიტერატურული პოლიტიკის
არსს.

კვალიფიცირებულია ალ. აბაშელის ლექსი —
„ანტისაბჭოთა აბდაუბდა“.

პოეტს აფრთხილებს: იგი საბჭოთა ქაშაგირს
იღებს და ამიტომ უნდა წეროს ის, რასაც ზელი-
სუფლება უბრძანებს (სხვათა შორის, ეს ერთ-
ერთი პირველი აშკარა აღიარებაა, რომ კომპარ-
ტიას მწერლობა დაჭირავებული ჰყავს. ცხადია,
დაჭირავებულმა დაჭირავებულის მოთხოვნა უნდა
შეასრულოს).

უველას მკაცრად მიუთითებს, რომ კომპარ-
ტიას ვერაფერს მოატყუებს და ნურც ნურავინ
ცდება „კონტრაბანდით გააპაროს უოველგვარია
ანტისაბჭოთა საქონელი“.

კომპარტიის მიზანსაც აშკარად აცხადებს კახი-
ანი: გვინდა გადმოვიბიროთ ინტელიგენცია. მა-
გრამ, თუ ამას არ დათანხმდება, მაშინ „ვიბრძო-
ლებთ ანტისაბჭოთა სულისკვეთების გამოძღვანე-
ბის წინააღმდეგ“.

უველაფერი ნათელია: ან შორჩილება ან განა-
დგურება. ვინც ურჩობას გახედავს, მათრახებით
აუწყავენ წურგს. ვინც დაშორჩილდება, თაფ-
ლის კვერით დააჯილდოვებენ.

უოველ საზოგადოებაში უხვად არიან თაფლის
კვერის მოყვარულნი. მაგრამ ამას დამსახურება
უნდა. მუქთად არავინ მოგცემს.

კახიანის მიერ ალ. აბაშელის ლექსის გაკრიტი-
კება სიგანლიც იყო. კომპარტიის ერთგული
მწერლები უნდა დასეოდნენ პოეტს და ქვა და
გუნდა დაეწინათ. არც დაუყოვნებიათ. მაშინვე
ამოუდგნენ მხარში ზელოსუფლებას.

„ვის რათ უნდოდა იმ დღეებში ფშველას
ნარის
შიოდან ბღაეილი ან ქუხილი ბარათაშვილის;
როცა გულიდან ხმა — საომრათ
ამონათხარი,
ქვეყნის დამამხობ წარღწეასავით იყო
გაშლილი.“

როცა მიწა გახვეული სისხლზე და ქვეყ-
ვილამ იფიქროს მოშაირის რითქმის ნაკვე-
ათასს აბაშელს, ათას მერანს გავცვლილით
მაშინ.

თითო მეომრის ხმალის მარჯვე
შემოქმენვეაზე“.

ალ. აბაშელთან ერთად იოლად და დაუფიქ-
რებლად არის გამეტებული ვთა ფშველაც და
ნიკოლოზ ბარათაშვილიც. ბუნებრივც არის:
ვერც ვაჟას და ვერც ბარათაშვილს შემოკავთ
დაჭირავებული პოეზიის ბორკილებით. ვერც
ლიტერატურის პარტიულობის პრინციპს მოხზ-
ვეთ თავზე. რაკი ასეა, არც ისინი სჭირდება
პროლეტარიატს და მის პარტიას.

მეორე პროლეტარული მწერალი ნოე ზომ-
ღეთელი ეკამათებოდა ალ. აბაშელს და ნოე
ჩხიკვაძეს „ანუგეშებდა“:

„ვინ სთქვა თუ ლექსებს ეხლა არ
სტამბავენ,
ცეცხლ მომდებს, როგორც შენი ქუხილი?
რა მერე. თუ ვსწერთ ვაზეთის ამბებს
მათ ხომ თან მოსდევს შორი წუხილი?
და შენ ეხლა რომ იყვე ცოცხალი,
პოეტო, ძმომ და მეამბოხეც;
ინგლისით ხმა რომ მოვა ოხერილი
მას ვაზეთიდან თვითონ ამოხვეც“.

ლიტერატურული კრიტიკის მძვინვარებას ალ.
აბაშელის მიმართ საზღვარი არ ჰქონდა. ბენიტო
ბუაჩიძე პოეტს ტუქსავდა:

„შოქალაქე აბაშელომ თქვენი აზრები წვრილ
ბურჟუაზიის აზრებია. თქვენი იდეოლოგია შთაი
იდეოლოგიაა.“

* * *

რამდენი ხანია მას შემდეგ. რაც ნოე ჩხიკვა-
ძეს იმ ქვეყნათ შეხსიოდით ამ ქვეყნაური უხა-
მართლობის. ქუხილისა და ჩვენი დროის „წვრი-
ლი ამბების“ შესახებ. საიდან მოიტანეთ, ვინ
გითხრათ, რომ ასეთი წარსულისათვის თქვენ მა-
დლობა გითხრათ? არც გვიფიქრია და არც შეი-
ძლება გვეფიქრა.

* * *

ქრისტიანული სათნოება ჩვენთვის უცხოა. სამ-
კვდრო-სასიცოცხლო კლასობრივი ბრძოლის
დროს არავითარ სასიუყარულ დამოძებებს არ
შეიძლება ექნეს ადგილი. ჩვენი კლასობრივი
ადლო ისე არ დაჩლუნგდება, რომ ბრძოლაში სი-

1. კ. ლორთქიფანიძე, „ბარათი ნოე ჩხიკვა-
ძეს“ („მნათობი“, 1926 წ. № 8-9).

2. ამოწერილია ბ. ბუაჩიძის წიგნიდან „თანა-
მედროვე ქართული მწერლობის გზები“, 1934
წ. გ. 76

1. ეურ. „მნათობი“, 1927 წ., № 1, გვ. 189-
190.

უვარულს დაუთმოს ადგილი. „მცირედი“ იქნება ის, თუ „დიდი“!

ასე უთხრეს ალ. აბაშელს უარი თანაგრძნობას, სიყვარულსა და სათნოებაზე ზედისუფლება-მაც და კოლეგებმაც. იგი მარტო დარჩა. არც ერთ კაცს მაშინ პოტის დასაცავად ხმა არ ამოუღია. არავინ გამოქომაგებია მას. თითქმის ათი წელიწადი ცდილობდა ალ. აბაშელი დაეცვა და შეენარჩუნებინა პოეტისა და პირველების თავისუფლება. მაგრამ ბოლოს ვედარ გაუძლო კომპარტიის მიერ მოწყობილ სულიერ ტერორს. გატყდა და შორჩილად თავი დახარა. 1928 წელს წელს თავისთავი გამოიგლოვა და პირი საბჭოთა ზედისუფლებისაკენ იბრუნა.

„ცაში მზე დადის, შენს თვალებში რათა დგას ჩრდილი? პაუ, ლაჩარო! საუყუნის არ ხარ შვილი! — როგორ ვერ ზიდე დროის სიმძიმე და სიმძაფრენი? მოხსენი თვალებს სარკე ცივი და გაბზარული..“

რომ დაინახო კლდე და ველი გადასაფრენი, და თქვა სიმღერა, ეპოქისთვის თანამგზავრულის!..“

აღექხანდრე აბაშელი გამოწკილისი არ ყოფილა. მისი თავგადასავალი უბრალოდ ხანიმულოდ გავიხსენე. თორემ ასე გაწყვეტილია ყოველი საბჭოელი მწერალი. ისეთიც კი, ვინც არ ურჩობდა და, ლაბა ხარებით, შორჩილად იყო შებმული სკკპ-ის ერთგულების უღელში.

კახიანს არ მოსწონდა არც „არიფიონის“ სახელით გაერთიანებული მწერალთა ჯგუფი.

„გატაცებული არიან რა „არიფობით“, მათ არ სურთ ახალი ცხოვრების გაგება და შესწავლა. ესეთი ლიტერატურა ჩვენ არ გვჭირდება. ჩვენ არ გვჭირდება ის ხალხი, რომელიც ხობტას ახხამს ძველ დროს, ყოველივე დახავსებულს და იყურება წარსულისაკენ, საშუალო საუკუნეებისაკენ. ყოველივე ეს აღმოვფხრათ საქართველოს სინამდვილიდან!..“ — ბრძანებდა ქართველი კომუნისტების მაშინდელი თავკაცი, ხოლო გერონტი ქიქოძესა და მიხეილ ჯავახიშვილს პირდაპირ ეშუქრებოდა: „ჩვენ ნებას არ მივცემთ არც გერონტი ქიქოძეს და არც ჯავახიშვილს დასცინონ ჩვენს აღმშენებლობას“.

ი რ ო ნ ი უ ლ ი ი ნ ტ ე რ მ ე ძ ძ ო : „თავგაშტებული ქართველი კომუნისტის მიხ. კახიანის ცხოვრება უბედურად დამთავრდა. სხვებს ემ-

უქრებოდა. თავებს დაგაყრევინებდა და სულს გახდა მსხვერპლი. ჭერ საქართველოში უნდა აწიის ბიუროს მეორე მდივნად გაგზავნეს. მეორე კი ხალხის შტრად გამოაცხადეს და არავინ უწყის, სად და როგორ ამოხდა სული. თურმე ტყუილად იცავდა სოციალიზმს ქართველი მწერლებსაც.

სხვათა შორის, ნიშანდობლივია შიში, რომელსაც ამ სიტუაციაშიც ამჟღავნებს კახიანი. მისი აზრით, გ. ქიქოძე თურმე გამოხატავს „მხედური შოვინიზმის ფსიქოლოგიას“, მაგრამ ამას მაღავს მხატვრული პროდუქციის ფორმაში“. ამ თვალთმაქცობას გ. ქიქოძე მიმართავს თურმე იმის იმედით, რომ „ბოლშევიკები ვერაფერს მიხვდებიან წაყოთბულში. მაგრამ ეს არ მოხდება. ახლა თვითიული მუშა დანტერესებულია იმით, თუ რა იდგმება თეატრში, იმით თუ რა არის დაბეჭდილი წიგნში და ვერაკვიარო გერონტი ქიქოძე, — რამდენი უნივერსიტეტიც არ უნდა ჰქონდეს დამთავრებული მას. — ვერცერთ მუშას ვერ მოატყუებს“!

გახსოვთ ალბათ, კახიანი აღექხანდრე აბაშელსაც უმტკიცებდა — ვერ მოგვატყუებო.

რამ გამოიწვია კომუნისტების შიში — ინტელიგენტმა არ მოატყუოს მუშა? ნებით თუ უნებლიეთ, აქ კომუნისტებმა გამოავლინეს პროლეტარული არასრულყოფილების კომპლექსი. ეს კომპლექსი აღიარებს, რომ გონებრივად ინტელიგენტი უფრო მაღლა დგას, ვიდრე მუშა. ამიტომ გული უსკდებათ — არ გავბითორდეთო — და წამდუნუმ აფრთხილებენ ინტელიგენტობას: მოტყუება არ სცადოთ, მაინც არაფერი გამოგივათო. ორი რამ არის ამ შიშში სასაცილო: ჭერ ერთი, სრულიად უსაფუძვლოა ინტელიგენტისა და მუშის დაპირისპირება. ვინ უწყის, რამდენი ტუტუცი ინტელიგენტია ამქვეყნად. რომელსაც კეუის ნასახი არ გააჩნია და რამდენი — მუშა, რომელიც გონიერებით არის სავსე. მეორეც, მუშათა კლასი ისე არავის გაუცუცურაქებია. როგორც კომუნისტებს და სხვას რაღას უქნევენ თითს — ღმერთი არ გაიწყრეთ და მუშების მოტყუება არ დაპიროთო.

კომუნისტებში პროლეტარული არასრულყოფილების კომპლექსი იმდენად მძლავრი აღმოჩნდა, რომ დღესაც ვერ გათავისუფლებულან მისგან. მართალია, ინტელიგენტია სრულად დამორჩილეს და როგორც უნდათ, ისე ათამაშებენ, კომუნისტური მმართველი ელიტაც გაჩნდა. რომელსაც ნაირ-ნაირ უშაღლეს სახწავლებელში აქვს განათლება მიღებული და მუშათა კლასთან უკვე ადარაფერი აქვს საერთო. მაგრამ ინტელიგენტისადმი შიშს მაინც ვერა და ვერ დააღწიეს თავი. ამას დასტურებს პრესაში ხშირხშირად გამოერებული მოწოდება და ფიცო — მუდამ პარტიასთან ერ-

1 ბ. ბუაჩიძე — „თანამედროვე ქართული მწერლობის გზები“, 1934 წ., გვ. 157-158.

2 ალ. აბაშელი — თბილულებათა კრებული. ტ. 1. 1958 წ., გვ. 316.

3. ეურ. „მხათობი“, 1928 წ., № 7, მიხ. კახიანი — „იდეოლოგიის ფრონტზე“, გვ. 167.

4 ასე ამბობენ იტალიელები, ინტერმეცყო არსწორი გამოთქმა.

1 ეურ. „მხათობი“, 1928 წ., № 7, მიხ. კახიანი — „იდეოლოგიის ფრონტზე“, გვ. 166-167



თად, ხალხთან ერთად. უკვე ეს ლოზუნგი მკაფიოდ შეტყუვლებს, რომ კომუნისტების აზრით, პარტია და ხალხი ერთად არის, ბოლო ინტელიგენცია (განსაკუთრებით შემოკმედებითი) — ცალკე. ამიტომ მწერლობა, სპორტოდ ხელოვნება, მოვალეა ფიციით დაადასტუროს, რომ პარტიასთან ერთად იქნება, ხალხთან ერთად იქნება. თუ გაზედავს და მათ მოწოდება, მაშინ ხელოვანს განადგურება ელის. მწერლობაც იძულებულია გულში ხელის ბავუნით დადოს პირობა — არ გილაღატბითო.

მაგრამ მხოლოდ ფიცი, მხოლოდ პირობა საკმარისი არ არის. მწერლობას რომ შიშის გრძნობა არ გაუქრეს. აუცილებელია კომპარტიამ მას დრო და დრო უური აუწიოს, დატუქსოს და, თუ მიწანშეწონილად მიიჩნია, კატორღაში განაწესოს ან სსრკ-დან გააძეოს.

ამიტომ მიმართავდა კომპარტია მწერლების დასჯის სუფთა ადმინისტრაციულ საშუალებებს, ხანმოშოდ ერთ ვრცელ ამონაწერს მოვტან (იხილეთ 1981 წლის 8 ივნისის გაზეთი „კომუნისტი“).

საქართველოს საბჭოთა მწერლების ფედერაციის მიერ „გამოყოფილი იყო მწმენდის ჩამტარებელი კომისია, რომელმაც დაამუშავა მასალები გამოსარცხი მწერლების შესახებ და გამოსარიცხი მწერლების სია პრეზიდენტის გაფართოებულ სხდომას წარუდგინა დასამტკიცებლად;

გამორიცხვას საფუძვლად დაედო შემდეგი დებულება:

ა) გამოირიცხოს აშკარა რეაქციონური და შოვინისტი მწერალი. რომელმაც თავისი იდეოლოგია ამ ათი წლის განმავლობაში გამოხატა აშკარა მხატვრულ, მეცნიერულ და კრიტიკულ ნაწარმოებებში. ბეჭდვითი და ზეპირი გამოსვლებით.

ბ) გამოირიცხოს აგრეთვე ორგანიზაციის პასიური წევრები, რომლებიც ათი წლის განმავლობაში ლიტერატურაში არ მუშაობენ, არც მწერალთა ფედერაციის საზოგადოებრივ საქმიანობაში ლებულობენ მონაწილეობას, მწერალთა ფედერაციის წევრებად კი ითვლებიან.

გ) გამოირიცხოს მწერალთა ფედერაციის შეზღვევებიდან შექანიკურად ჩარიცხული წევრები. რომლებიც არასოდეს მწერ...აში (ახვა გაზეთში, ეტუბა სტრიქონია ვაჭრენილი — ა. ბ.) ირიცხებიან და მწერალთა ფედერაციის რიგებში არ მოღვაწეობენ.

ამ სამი დებულების მიხედვით მოხდა მწერალთა წმენდა. პირველი კატეგორიით გამოირიცხული არიან შემდეგი მწერლები: პავლე ინგოროვუა, კონსტ. გამახაზურდია, შარაშიძე შალვა (თაგუნა), იოსებ იმედაშვილი.

პავლე ინგოროვუა გამოირიცხულ იქნა, როგორც აშკარა რეაქციონური და შოვინისტი მწერალი, რომელმაც ჯერ კიდევ ანტისაბჭოთა ტურჩანლის „კავკასიონის“ რედაქტორობის დროს ნათლად გამოამჟღავნა თავისი რეაქციონური და

ნაციონალისტური სახე. ამავე რეაქციონურობით ის საქმიანობდა აკადემიურ მწერლობაში შირში და ეს საქმიანობა მან გამოამაჟკარა მწერალთა ურილობებსა და კრებებზე გამოსვლებშიც. თავისი ანტისაბჭოთა დეკლარაციებით. პავლე ინგოროვუა იყო კართული მწერლების რეაქციონური და შოვინისტური ნაწილის ორგანიზატორი და ხელმძღვანელობდა რეაქციონურ „ქარ. წიგნის“ გამოცემლობას, რომელიც წარმოადგენდა მისი ხელმძღვანელობის დროს საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ განწყობილ მწერალთა თავშესაფარს.

კ. გამახაზურდია ცნობილია, როგორც რეაქციონერი-შოვინისტი და ანტისაბჭოთა მწერალი. რომელიც ამ ათი წლის განმავლობაში განუწყვეტელი იბრძვის მხატვრული პროდუქციით და ზეპირი გამოსვლებით ფეოდალიზმის, თავდაზნაურული იდეოლოგიის, შოვინიზმისა და „შავი ჩოხის“ ტრადიციის დასაცავად. ხსენებული გამოუსწორებელი რეაქციონერი მწერალი დღევანდელი მხატვრული პოლიტიკურად მკაცრ მხატვრულ ნაწარმოებებს აქვეუბებს.


შალვა შარაშიძე (თაგუნა) „შეშავის მათრახის“ ერთ-ერთი რედაქტორთაგანი მენშევიზმის რომანტიზმით გაუდენილი მწერალი, მენშევიკების აზრების ავტორი. თავის ბოლოდღელ ნაწარმოებებში ილაშქრებს საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ.

იოსებ იმედაშვილი — რეაქციონერი მწერალი, რომელიც გამუდმებით ებრძვის მწერალთა ფედერაციას, უკიდურესი შოვინისტი.

შეორე კატეგორიაში მოჰყვენ მწერალთა ფედერაციის პასიური წევრები. რომლებიც რამდენიმე წლის განმავლობაში არაფერს წერენ და ითვლებიან ორგანიზაციაში მკვდარ სულელებად. ასეთებია: ხარიტონ ვარდუშვილი, ქრისტეფორე რაქველიშვილი, ბიჩინა აბულაძე, ცკარ. ნაში, იროდიონ სონღული, სიო ჰანტურიშვილი, არ. ჭაჭანაშვილი, სიკო დოლიძე, ლელი ჭაფარიძე, ირაკლი ტატიშვილი, დავით ნახუტკიშვილი, სიმონ ჯვარიანი, თედორე კიკვაძე, ივანე ელიაშვილი, კაკო აბაშიძე, ნ. კეცხოველი.

მესამე კატეგორიით გამოირიცხული მწერ. ფედერაციაში შექანიკურად მოყოლილი ელემენტები, რომლებსაც მწერლობასთან არავითარი კავშირი არა აქვთ: მიხ, საუვარდელიძე, სიმონ ჭანაშია, მიხეილ აბრამშვილი“.

წუთით არ აცილებს თვალს მწერლის ცხოვრებას გამოშინებულ უნტერი პრიზიბივი. არ ხედა შეშოქმედის კეთილსინდისიერება და გამუდმებით აძუნათებს. გიორგი ლეონიძეს უკვე გამოკვეთებული ჰქონდა პოემის — „სტალინი, ბავშვობა და ურბობა“ — ვრცელი ნაწყვეტები (იხ. 1982 წლის 10 თებერვლის „ლიტერატურული გაზეთი“ და იმავე წლის 8 მარტის „კომუნისტი“). მაგრამ მაინც სასტიკად აკრიტიკებენ და ემუქრებიან. „ცნობილია, რომ პ. იაშვილი, ტ. ტაბიძე, გ. ლეონიძე — და არა



მარტო ესენი — ხალხის მტრების აღნიაშვილის, ჩიქიას, ბუღუ მდივნის გავლენის ქვეშ იყვნენ, რომ ეს ხალხის მტრები მათ ამუშავებდნენ¹. მართალია, ერთგულების ფიცია დადებული ჰქონდა გ. ლეონიძეს. მაგრამ თურმე ეს არ კმარადა. მიწა უნდა შექაშო. თავზე ნაცარი დაიყარო. მუცლით იხოხო, ხანამ ტყავი არ გაგვარება და მერე შეიძლება გადმოგხედოს კომპარტამ წყალობის თვალით. „ჩვენს რიგებში კიდევ არიან მწერლები, რომელთა კავშირი და ურთიერთობა ხალხის დაუძინებელ მტრებთან უოველგვარ ექვგარეშეა: ტყიან ტაბიძე, გ. ლეონიძე და სხვები უნდა გამოვიდნენ აქ, ჩვენი კოლექტივის წინაშე და გულწრფელად აღიარონ უველა ის დანაშაული, რომელიც მათ ჩაადენინა ხალხის მტრებთან ასეა მგობრულმა ურთიერთობამ“².

და ივსებოდა გაზეთები, ეურნალები მონანიების სიტყვებით, თვითგვემით. იხლოდნენ ბოლიშს, ევედრებოდნენ შეწყალებას, ფიქვეშ თვლავდნენ უოველგვარ ადაზიანურ ღირსებას. მაგრამ ბევრს ამანაც ვერ უშველა. მიანც გაანადგურეს.

მოსაეს არა მარტო იმთავითვე მტრებად ჩარიცხულნი — მიხ. ქავახიშვილი, ტ. ტაბიძე, პ. იაშვილი, — არამედ ძველი კომუნისტებიც — ს. თალავაძე, რ. კალაძე, პ. სუვარელიძე. მათ მიაუოლეს პროლეტარობის მოკადაგინი და „ძველის“ უარმყოფელი გ. მუშიშვილი, ვ. ლუარსაშიძე, ბ. ბუაჩიძე და კომპანია

რატომ არავინ უნდა იუოს დაწლვეუდი, არც მტერი, არც მოუვარე. უველა უნდა ცახცახებდეს შიშით, არავინ უნდა უწყოდეს, როდის აღიმართება მის თავზე კომუნისტური თეშიდას მახვილი, მაშინ უველა მორჩილი და დამუნჩებელი იქნება.

მწერალთა კავშირის პირველი ხელმძღვანელი ამბობდა:

„ჩვენ ბუნებრივად გვიტაცებს მშენებლობის ენთუზიაში. ვიშხვავლებით ხრულიად უჩვეულო სულიერი განწყობილებით და გვაიწყდება ბოლშე, რომ მტერი მუდამ გვითვალთვალეს, დროს გვიჩრევს, ცდილობს თავს დაგვეხას და ჩვენი მიღწევები და ბედნიერი განცდები მოგვიწამლოს, მოგვიშხამოს. რაც უნდა მცირე იუოს მტრის ძალი. ამ საქმის შესრულება მას მიანც შეუძლია: მას სხვა საქმე არ აწუხებს და არ ადარდებს — ამანა ის სავსებით დახელოვნებული და არც მისი ძალების სიმცირეზე შეიძლება ლაპარაკი. ხანამ არსებობს (თუნდაც ჩვენს გარე-

შე) კაპიტალიზტური საყარო, რომელიც მუდამ მისცემს მატერიალურ და სულიერ მხარდას ჩვენს კლასობრივ მტერს; მუდამ „აღაფროვანებს“. მას უოველად უმხავის მოქმედებისაკენ. ამიტომ ჩვენ ნება არა გვაქვს ერთი წუთით მიანც დავიწყოთ ჩვენი სამღვთო მოვალეობა: კლასობრივი მტრის წინააღმდეგ შეუწყვეტელი უღმობელი ბრძოლა“³.

გაივლის ცოტა ხანი და თვითონ მ. ტოროშელიძე გამოცხდრება ხალხის მტრად და კაპიტალიზმის ჩაშუშად. მწერალთა კავშირის ახალი თავმჯდომარე იტუვის მასზე — „ხალხის დაუძინებელი მტრების თავედობა იქამდე მიდრიდა, რომ სცადეს კიდევ ხელში ჩაგდოთ მთელი ორგანიზაციის ხელმძღვანელობა. ამის მაგალითს ჩვენს ორგანიზაციაში წარმოადგენდა მ. ტოროშელიძე, რომელიც ორი წლის განმავლობაში სათავეში ედგა მწერალთა კავშირს, კონტარეუოლუციური თვალთმაქციობის და მავნებლობის ეს გაოტრებული „ოსტატი“ დიდხანს სწამლავდა ქართული საბჭოთა მწერლობის ატმოსფეროს“⁴.

არსებითად აქ. თათარაშვილს დამთავრებული არ ექნება ეს სიტყვა, რომ თავად მას დაარქმევენ კაპიტალიზმის დივერსანტს, გარეწარსა და მავნებელს. საქართველოს მწერალთა კავშირის კიდევ ერთი ახალი თავკაცი ასე დაახასიათებს მას:

„თათარაშვილი გამომეღვენებული იქნა როგორც ხალხის მტერი, დივერსანტი. რომელიც მთელი წლების განმავლობაში ჩვენი სამეურნეო და კულტურული მშენებლობის სხვადასხვა უბანში ეწეოდა შენიღბულად ჩაშუშურ-მავნებლურ მუშაობას. მან ჩვენ კავშირშიდაც „ისახელა“ თავი, როგორც გაუსწორებელმა ბიუროკრატმა. თვეში ერთხელ თუ შემოვივლიდა იმ ორგანიზაციაში, რომლის ხელმძღვანელობა მას ჰქონდა დავალებული. მუდამ დაპირებს იძლეოდა, მაგრამ არასოდეს მას არასრულებდა, იგი იუო „მნათობის“, „ლიტერატურული საქართველოს“ რედაქტორი, მაგრამ იგი არა თუ რაიმეს აკეთებდა. როგორც რედაქტორი, არამედ ხელს უშლიდა და დეზორგანიზაცია შექქონდა მუშაობაში, თათარაშვილის ბიუროკრატობა, უქნარობა და ცარიელი ლაუბობა იუო მტრის მავნებლურ თვალთმაქციური ბრძოლის ფორმა“⁵.

ტრიბუნადან არ იქნება ჩამოსული დ. დემეტრაძე, რომ მის თავზეც გაიღვევს უოვლისმშუსვრელი კომუნისტური მახვილი, მწერალთა საერ-

1 „ლიტერატურული საქართველო“, 1937 წ., 10 ივნისი. საქართველოს კპ ცკ კულტურულ-საგანმანათლებლო განყოფილების მაშინდელი გამგის ვ. გორდეღაძის სიტყვა.
2 „ლიტერატურული საქართველო“, 1937 წ., 30 სექტემბერი. „გაეწმინდოთ დიადი საბჭოთა ქვეყანა კონტრრევოლუციური სობიძებრისაგან“.

1 „ლიტერატურული გაზეთი“, 1935 წ., 12 თებერვალი. მ. ტოროშელიძე — მეტი სიფრთხილე.
2 „ლიტერატურული საქართველო“, 1937 წ., 15 მაისი. აქ. თათარაშვილი — „საკავშირო კ(ბ) ცკ-ის პლენუმის შედეგები და საქართველოს საბჭოთა მწერლების მორიგი ამოცანები“.
3 იქვე, 31 ივლისი. „საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირი“.



თო კრება მას, „როგორც გამოშვდებულ ხალხის მტერს“ კავშირიდან გარიცხავს, შერე კი ფიციურადაც მოსპობენ.

და ასე დაუსრულებლად ატრიალებენ კომუნისტები წუთისოფლის დოლაბს და ფქვავენ განუყოფად მტყუანსა და მართანს.

ეს არ არის დროებითი კამანია, რომელიც ოდესმე შეწყდება. არა, იგი დრო და დრო აუცილებლად უნდა განმეორდეს. და მეორდება კიდევ. განსხვავება მხოლოდ მასშტაბშია: ზოგჯერ მწერლების რბევა-აწიოება ლიანგურია, ზოგჯერ კი ცალკეულ პირებს როზგავენ.

საქართველოს კაც უკველი ახალი მდივანი თავიდან იღებს მათარაბს ზელში და იწყებს მწერლების წვრილა-მოთვინიერებას.

საქართველოს კაც მდივანი კანდიდ ჩარკვიანი მეთად აქტიურად ერგოდა მწერლობის საქმეებში და უველას „კომუნისტური პრინციპულობით“ ტუქსავადა. მდივანი წლების ბოლოს იგი დასკნოდა კოლაუ ნადირაძეს, კონსტანტინე ჰიჭინაძეს. კონსტანტინე გამსახურდიას.

სხვა პოეტებთან ერთად, კ. ნადირაძე კოლხეთში წასულა შემოქმედებითი მივლინებით. მაგრამ იქ, „ახალ მატერიკზე“, რომელიც აღმოჩენილია ბოლშევიკების მიერ“ (ჩარკვიანის სიტყვებით), კ. ნადირაძეს მხოლოდ ტყემლის აყვავება შეუძლებია, მეტი არაფერი. ბოლო კ. ჰიჭინაძეს პოემით „რიონის აპოლოგია“ უქია ბუნების ბრმა სტიქია. გაბრაზებული ჩარკვიანი ემუქრება ორივე პოეტს — „ჰიჭინაძეც და ნადირაძეც სერიოზულად უნდა დაუფიქრდნენ თავიანთ შემდგომ შემოქმედებითს გზას. მარტო უიდეო ტყემლის რომანტიკითა და სიმბოლისტურა ბურჟუაზიის სოციალისტის ეპოქაში შორს ვერ წახვალ“.²

არც კ. გამსახურდიას „მთვარის მოტაცება“ მოსწონებია ჩარკვიანს.

„ასეთი ნაწარმოებით, რა თქმა უნდა, არ შეიძლება გქონდეს მოწინავე საბჭოთა მწერლის სახელწოდების პრეტენზია. კონსტანტინე გამსახურდიამ ჭერ კიდევ ბევრი უნდა იმუშაოს იმისათვის, რომ საბოლოოდ ვანთავისუფლდეს ბურჟუაზულ-ნაციონალისტური იდეოლოგიის ტყვეობიდან...“³

1951 წლის 10 იანვარს თბილისის XX საქალაქო პარტიკონფერენციაზე კ. ჩარკვიანმა ვაჟაფშაველა გააკრიტიკა.

ვაჟამ თურმე „...ვერ შეძლო ამაღლებულიყო თავისი დროის ამოცანების გაგებადღე. ვაჟაფშაველა ფშავის ვიწრო ბეობაში ჩაიკეტა და შეგნებულად შეწლდა თავისი თემატიკა მთელ ქართველთა და მათ მეზობელ მთიულ ტომთა

სისხლისმღვრელი შინაომებითა და მიოლოგიური სიუჟეტებით. იგი სიყვარულით მოიხილავს მთიელებში გვაროვნული წყობის ნაშთებს. მარტო იმ დიდი სოციალური ბრძოლის ამრეკები, რომელიც საქართველოში მის დროს ბოხოქრობდა, არამედ ქართველი ხალხის საერთოროვნული ამოცანებიც ჩეროვნად არ უოფილა ასახული ვაჟა-ფშაველას პოეტურ შემოქმედებაში“.¹

ირონიული ინტერმედიო: ჩარკვიანი 1952 წლის ორ აპრილს მოხსნეს. რა თქმა უნდა, დიგემო მთელი მისი მოღვაწეობა. „ქართველი ხალხის ნაცადი ზელმდღვანელი“ (ასეთი ტიტულით იხსენიებდა პრესა მას) ერთხანს საქართველოდანაც გააძევეს. მაგრამ სხვებთან შედარებით მაინც ბედნიერი აღმოჩნდა: არ მოუწყვდა. როგორც ჩანს, გამოწკილისი უველგან არსებობს, კომუნისტების სადაპსკელო საქმიანობაშიც კი.

დღევანდელ მოქალაქეს, ცხადია, გაუკვირდება და იკითხავს — რატომ მოაწყო ჩარკვიანმა ლაშქრობა ვაჟას წინააღმდეგ? ძნელია პასუხის გაცემა. სანამ თავად ჩარკვიანი არ გაამუღვენებს, ვინ უბრძანა ვაჟას განქიქება, მანამ ვერავინ დააწუსტებს, რამ გამოიწვია ეს კურიოზული და სავალალო საქციელი. ერთი კი ნათელია, თავისი ინიციატივით ამას ჩარკვიანი ვერ გახდებოდა. ყველამ ჩინებულად იცის, რომ მოსკოვის ნებართვის თვინიერ, საქართველოს კაცის მდივანი საპირფარეოშოშიც ვერ შევა და ჩარკვიანი ვით გარისკავდა ვაჟას გაკრიტიკებას? აშკარაა „ვაჟას პრობლემა“ ვიღაც სხვამ გამოიგონა. უნდა ვივარაუდოთ, რომ ეს მოსკოვის მითითებით მოხდა, რამეთუ იგი ძალიან შავს ცრუ პრობლემების გამოგონების მოსკოვურ მეთოდს. მოუცულელ დედებს სჩვევიათ ასე: როცა ჩვილი ტირის, გასაჩუშებლად პირში საწოვარს უდებენ. მოსკოვიც ასე იქცეოდა. საბჭოელი ხალხი გოგანებულნი და მუღად დაკავებული რომ ჰყოლოდა, თამიდან თამზე სუტსაკითხების საწოვარს აჩრიდა პირში. იგონებდა ნაირნაირ პრობლემებს (კონსოპოლიტიზმის, რუსეთის პრიორიტეტის, უნათმეცნიერების, ეკონომიკის და ა. შ.) და ატეზავდა მათ გარშემო გაშმაგებულ დავა-კამათს. იწერებოდა სტატები, წიგნები... ნადგურდებოდნენ ერთნი, აღწევდებოდნენ მეორენი. ამ გაუთავებელ და უაწრო გაწამაწიაში მოსკოვი არხინად აკეთებდა თავის საქმეს. აღბათ, ქართველი საწოვარდობის რეტდასახმელად მოიგონა ვაჟას საკითხი და ასპარეზე ჩარკვიანი გამოუშვა. საბჭოური ცხოვრების წესის თანახმად, ჩარკვიანისათვის მხარი უნდა აებათ სხვებსაც, უნდა გაემეტებინათ ვაჟა. უარის თქმას თავგანწირული

1 ლესკა, ფ. 8, აღწ. I, საქ. 600, ფურკ 20-25.
2 „ლიტერატურული საქართველო“, 1938 წ., 20 იანვარი.
3 „ლიტერატურული საქართველო“, 1938 წ., 20 იანვარი.

1 კ. ჩარკვიანი — სამეცნიერო და შემოქმედებითს ორგანიზაციებში მუშაობის ზოგიერთი საკითხის შესახებ. 1951 წ., გვ. 11-16.



თუ გაბედავდა. ასეთი კი მაშინ, სამწუხაროდ, არ ჩანდნენ. მორჩილებას ამჯობინებდნენ.

კოეტი: „...ვაჟა-ფშაველას ამ მკდარ ენობრივ პოზიციას პირდაპირი კავშირი აქვს მისი ხაერთო მსოფლმხედველობის მთელ რიგ შეზღუდულობასა და ჩამორჩენილობასთან“.¹

ენათმეცნიერი: „...ვაჟა-ფშაველას ენობრივი პარტიკულარიზმის შინაგან კავშირშია მისსავე მსოფლმხედველობრივ პარტიკულარიზმთან: მწერლის პოეტური სამყაროს, ლიტერატურული თემატიკის მასშტაბი თავის შესატყვისს პოულობს კუთხური მეტყველების სამოხელში. ეს დეკავშირება ლოგიკურია და ბუნებრივი ვაჟასათვის, ჩოლო მიუღებელი და საზიანოა საერთო ეროვნული ენის ინტერესების თვალსაზრისით“.²

ლიტერატურის მცოდნე: „ჩვენი მკვლევარები, კერძოდ შ. ერთგვარ შემწყნარებლობას ვიჩენდი ვაჟა-ფშაველას ამ მკდარი პოზიციისადმი“.³

ერთმა კრიტიკოსმა ვაჟა-ფშაველას ვასილ ბარნოვიც მიაყოლა და მასაც დაუწუნა ენა. „ბარნოვის რიტმიული პროზა, აგებული არქაული ლექსიკის საფუძველზე, უთუოდ იყო ქართული ენის ბუნებრივი განვითარების გზიდან გადახვევა“.⁴

გულხაკლავი სურათია არა მარტო იმისთვის, რომ ვაჟას უსამართლოდ და უსაფუძვლოდ ამუნათებენ, არამედ უფრო იმიტომ, რომ ადამიანები საკუთარ სინდისს დალატობენ. ამბობენ იმას, რაც არ სჭერათ.

რა თქმა უნდა, ყოველ კაცს აქვს უფლება გამოთქვას თავისი შეხედულება. თუნდაც ბატონის ნაკარნახები. არ მოსწონდეს ისეთი დიდი პოეტი კი, როგორც ვაჟა-ფშაველა. ეს ყოველი პიროვნების სინდის-ნამუსის საქმეა და დამოკიდებულია მისი აზროვნების შესაძლებლობაზე. დანაშაული იყო ის, რომ ჩარკვიანმა იყოდა, რაც მოჰყვებოდა მის საქციელს. მან უბრალოდ აწრი კი არ გამოთქვა, არამედ განკარგულება ვასცა ვაჟას დამცირებისა და შეურაცხყოფისა. ჩარკვიანმა უწყობდა ისიც, რომ მისი აზრი არ ვახდებოდა მსჯელობის საგანი, როგორც ეს მიღებულია თავისუფალ საზოგადოებაში. აიწონებოდა, გაისინჯებოდა სამართლიანია თუ უსამართლო, საბუთიანია თუ უსაბუთო ის, რაც ითქვა და ამის შესაბამისად გამოვლინდებოდა საზოგადოების დამოკიდებულება. ჩარკვიანი ელაპარაკებოდა საბჭოთა ხალხს, რომელ-

საც აკრძალული აქვს განსჯა **საქართველოს მწერთა კავშირი** ამით იგი წინასწარ ნერგავდა ცრუ აზრს და სხვებსაც აიძულებდა გაეზიარებიათ იგი. ძალდატანებით ხდიდა სხვებს დანაშაულის მონაწილედ.

საერთოდ, ყოველი კომუნისტის გამოუხედავი დანაშაულია ლიტერატურული საზოგადოების ბრბოდ გადაქცევა.

ბრბოა ყოველი საზოგადოება. თუ იგი ცხოვრობს სხვისი განკარგულების თანახმად და არა საკუთარი პატიოსნების შესაბამისად. თუ იგი ბრმად ემორჩილება სხვის განკარგულებას და არ ძალუძს თავად განსაჯოს — რა არის სწორი და მართალი და რა — არა, თუ მოქმედებს შიშით და გონებასიღუნვით დათრგუნვილი და არა ხალი აზრით.

როგორც წესი, მწერლების რბევა-აწიოკების გეგმა მოსკოვში შემუშავდება და მერე გავრცელდება ე. წ. მოკავშირე რესპუბლიკებში. თბილისში, ერევანში, ბაქოში და სხვა პროვინციულმა ცენტრებმა თუთიყუშოვით უნდა გაიმეორონ ის, რაც რუსთა სატახტოში დაადგინეს. 1938 წელს მოაწყვეს ჟურნალების — „ვეფხისტყაოსანი“ და „ლენინგრადის“ რეკონსტრუქცია. მიწასთან გაასწორეს ანა ახმატოვა, მიხეილ ზოზუნიანი და სხვანი. ცხადია, თბილისშიაც მაშინვე ატუდა ერთი ალიაქოთი, მართალია, ქართული მწერლობა განარბეული ამტკიცებდა — „ქართულ საბჭოთა ლიტერატურაში ადგილი არ ჰქონია ზოზუნიანებურ პასკვილებს და ახმატოვასებურ დაცემულობისა და უიმედობის გამოხატულებას“⁵ — მაგრამ ეს არ ქმაროდა კომპარტიის ერთგულების საბუთად. უთუოდ უნდა გამოედებნათ ქართველ მწერალთა შორის ისინი, ვისაც კაკალს დაამტკიცებდნენ თავზე. ასეთები აღმოჩნდნენ კოლაუ ნადირაძე და კონსტანტინე გამახურდია. კბილი გამკრეს ვ. შატბერაშვილს, აკ. ბელიაშვილს და, თქვენ წარმოიდგინეთ, ალ. მაშაშვილს (მირცხუღავას), და ი. ლისაშვილსაც კი.

ეს არ იყო უბრალო მოვლენა. 1938 წლის 14 აგვისტოს ჟურნალების „ვეფხისტყაოსანი“ და „ლენინგრადის“ შესახებ ხაკავშირო კ(პ) ც-მა ხაგანგებო დადგენილება მიიღო. ეს კი იმას ნიშნავდა, რომ თითქმის ყოველ წელს უნდა მოეწყოთ მწერალთა წარტყვევნა.

უკვე მომდევნო წელს პარტიული თუ ლიტერატურული პრესა აკრეფდებდა წაირნაირი სტატიებით. კრიტიკის ქარ-ცეცხლში გაატარებენ

1 „ლიტერატურა და ხელოვნება“, 1951 წ., 18 მარტი.
2 „ლიტერატურა და ხელოვნება“, 1951 წ., 23 იანვარი.
3 „ლიტერატურა და ხელოვნება“, 1951 წ., 18 მარტი.
4 „ლიტერატურა და ხელოვნება“, 1951 წ., 21 იანვარი.

1-2 „მნათობი“, 1946 წ., № 9-10. „ამს. ელინოვის მოხსენება ჟურნალებში „ვეფხისტყაოსანი“ და „ლენინგრადის“ შესახებ“ და „რეზოლუცია საქართველოს საბჭოთა მწერლების შესამდე ყრულობა“.



ეურნალ „მნათობს“¹ კომიტებს კ. ნადირაძეს, ალ. მაშაშვილს და სხვებს. განსაკუთრებით შავ დღეს დაყენებენ კ. გამსახურდიას. 1947 წლის 5-7 სექტემბერს ჩატარებულ მწერალთა კავშირის გამგეობის პლენუმზე დამსწრე საზოგადოებას აუწყებენ:

„სპ. კ(ბ) ცენტრალური კომიტეტის ბიურომ განიხილა რა ამ წიგნის (ლაპარაკია კ. გამსახურდიას „ნოველებზე“ — ა. ბ.) გამოცემის საკითხი. სასტიკად დაშგომ იგი და შეაჩერა მისი გავრცელება. სხენებულ დადგენილებაში ეს წიგნი კაცთმოძულეობის გრძნობის გამჩალებელ წიგნად იქნა გამოცხადებული“.²

ბოლო საქართველოს კპ ცკ-ის ერთ-ერთი მ. შინდელი მდივანი, პეტრე შარია, პირდაპირ აღემუქრება:

„...კ. გამსახურდია ცდილობს წარმოგვიდგინოს თავი ნაციონალური კულტურის მებრძოლად. მაგრამ ამისათვის ძლიერ სუსტია მისი ხელები, რომლებიც ამ ცოტა ბნის წინათ დამძიმებული იყო ნაციონალიზმის ტვირთით. დაე იცოდეს კ. გამსახურდიამ, რომ მას ნებას არ მისცემენ, „თავდაცვის“ რომელიც უნდა იყოს დროით. ცილი დასწამოს ჩვენს სოციალისტურ კულტურას. დაე გაითვალისწინოს მან, რომ საბჭოთა ლიტერატურაში შეიძლება იყვნენ მხოლოდ საბჭოთა შეხედულების ადამიანები, რომელთაც ორგანულად აქვთ შეთვისებული საბჭოთა კულტურა და რომელთაც უნარი შეხწევთ ახაზონ საბჭოთა ადამიანის საქმიანობა, სული და მორალური სახე“.³

ი რ ო ნ ი უ ლ ი ი ნ ტ ე რ მ ე მ ძ ო : 70-იან წლებში კავკასიის გამწირზე ხშირად შეხედულობით ერთ ჩია ტანის ბერიაცს. თავზე დაქმუენული შლაპა ეხურა, ტანთ გახუნებული, გაქონილი კოსტიუმი ემოსა. ფეხთ კი ქუსლებმოქცეული ხაშილი ეცვა. ხელში ბადურა ეჭირა. შიგ გამხმარი პურის უუა ეგდო და გაურტყხავი მაწვნის ქილა. იგი შალაზია-შალაზია დაცუხცუხებდა და დამფრთხალ თვალებს აქეთ-იქით აცეცებდა. ეს გახლდათ ერთ დროს მრისხანე პეტრე შარია. ბერიას დამზობის შემდეგ ისიც დიდხანს აუურუუტეს ციხეში. გათავისუფლების მერე პროფესორის სახელი დაუბრუნეს, მაგრამ, როცა გარდაიცვალა, უბრალო ნეკროლოგის ღირსი არ გახადეს. იმ ნეკროლოგის, რომელსაც არ ამაღლიან ნებისმიერ შარახვეტიას.

ამით არ დამთავრდება ერთხელ დაკარგული მოღ მიზანში ამოღებული კ. გამსახურდიას წიგნი. მა. სულ ხუთიოდე წლის მერე მას იმის შესახებ საქართველოს კპ ცკ-ის ახალი პირველი მდივანი აკაკი მგელიაძე საქართველოს კ(ბ) ცკ ყრილობაზე იგი იტყვის:

„წარსულში კ. გამსახურდიას მსოფლმხედველობას „განსაზღვრავდა — როგორც ამხანაგმა ლ. პ. ბერიამ საქართველოს კ(ბ) ყრილობაზე თქვა, — მებრძოლი ნაციონალიზმი — აშკარად გამოზატული ფაშისტური ელფერიო“. გამსახურდია ამისათვის მკაცრად, მაგრამ სავისებით სამართლიანად იქნა გაკრიტიკებული. მაგრამ ამ კრიტიკიდან მას დღემდე არ გაუკეთებია საპირო დასკვნები. მწერალ გამსახურდიას მიერ საქართველოს წარსულის იდეალოზაცია გამოზატულება ბურჟუაზიული ნაციონალიზმისა...“

გამსახურდიამ ძირეულად უნდა გარდაქმნას თავისი ლიტერატურული მოღვაწეობა. მან უნდა წეროს ხალხისათვის, ვინაიდან ჩვენს ქვეყანაში ლიტერატურა საერთო-სახალხო, საერთო-სახელმწიფოებრივი საქმეა. თუ არა და, ხალხი მას არ იცნოს“.⁴

ი რ ო ნ ი უ ლ ი ი ნ ტ ე რ მ ე მ ძ ო : აკ. მგელიაძემ საქართველოს კპ ცკ-ის პირველი მდივნის პოსტზე ერთი წელიწადი და 12 დღე ძლივს გახდლო. ერთ წელიწადში იმდენი დანაშაულის ჩადენა მოახწრო, რომ მოხსნისთანავე გამოქვეყნდა მისი მამხილებელი წერილები (იხ. გაზ. „კომუნისტი“, 1958 წ., 28, IV და 29. V). მერე სადაც საბჭოთა მეურნეობის დირექტორად დანიშნეს და პროვინციაში დაქარგეს. 70-იან წლებში შევარდნამდე სცადა მისი „გაცოცხლება“ და მინისტრის მოადგილედ დანიშნა. არაფერმა უშველა. როცა გარდაიცვალა, საქართველოს კპ ცკ-ის წარმომადგენლებმა არ იკადრეს მის ნეკროლოგზე ხელის მოწერა. გაურკვეველი „ამხანაგების ჭკუში“ იგლოვდა მის სიკვდილს.

კომპარტიის თანამიმდევრულმა, მუდმივმა და უშედავათო ბრძოლამ მწერლობის წინააღმდეგ თავისი ნაყოფი გამოიღო. ჩამოყალიბდა მწერალი-ლაქიას ტიპი.

ერთხელ მწერალთა დელეგაცია მიუღია აჭრბაიჯანის კპ ცკ პირველ მდივანს ბაგიროვს. პოეტ პავლე ანტოკოლსკის მიღებაზე დაუგვიანია. კაბინეტში იგი ფრთხილად, ფეხის წვერებზე შესულა, მაგრამ ბაგიროვს მაინც შეუმჩნევია და მკაცრად უკითხავს:

- ვინ ხარ?
- პოეტი ანტოკოლსკი, — მიუღია პასუხი.
- დაქქი — უბრძანებია მდივანს. ანტოკოლსკი დაშქარა.

—ადქი — მოულოდნელად დაიქუხა თურმე განკარგულება. ანტოკოლსკი მუხსვე წამომხტარა ფეხზე.

1 გაზ. „ლიტერატურა და ხელოვნება“. 1943 წ. 23 აგვისტო. „შენიშვნები ეურნალ „მნათობის“ მუშაობაზე“.
2 გაზეთ „ლიტერატურა და ხელოვნება“, 1947 წ., 20 სექტემბერი.
3 გაზ. „ლიტერატურა და ხელოვნება“, 1947 წ., 26 სექტემბერი.
8. „მნათობი“. № 10.

1 გაზ. „კომუნისტი“, 1952 წ., 18 სექტემბერი.

— დაქეი — ისევ უბრძანებია ბაგიროვს. ანტოკოლსკი ისევ დაძვარა.

— ადექი! დაქეი! — ადექი! — დაქეი!.. შეუწუხებელივ იხმოდა თურმე განკარგულებენი და ანტოკოლსკიც ჯდებოდა და ღებოდა. ასე ხტოდა თურმე იგი მან, ხანამ აწერაბიჯანს კაც კ-ის მდივანს არ მოხწყინდა პოეტის აბუჩად ადგება.

ანტოკოლსკი არ დარჩენილა ამ დაცინვით შეურაცხუფილი. მას უთქვამს — როგორ შემძლო ურჩობა გამენია. მე რიგითი კომუნისტ ვარ, ის კი ცენტრალური კომიტეტის მდივანი იყო.¹

მწერლის ამგვარი ტიპი აღარ მოითხოვს წყაქელს. იგი ერთგული და ხანდა კაცია. მასთან შეიძლება ლიბერალობა ითამაშო. დემოკრატიზაცია, სინაზისა და სათნოების ცრემლებიც დაღვარო. თუ ვინმე ამით ისარგებლებს და გაბედვს, ავი თვალით შეხედოს საბჭოურ სინამდვილეს, იმის ზურგზე ისევ აწუწუნდება მათრახი, როცა ვლადიმერ დუდინცემა გამოაქვეყნა რომანი „არა პურითა ხოლო“ „ლომბიერმა“ ხრუშჩოვმა მაშინვე დაუღრინა და ეშვეწე ეშვებოდა.²

„არასახარბიელო მდგომარეობაში ჩავარდა, კერძოდ. მწერალი ვ. დუდინცევი. მის უბადრუქ წიგნში „არა პურითა ერთითა“ (რომანის სათაური არაწუსტად არის თარგმნილი—ა. ბ.), რომლის გამოყენებას ჩვენს წინააღმდეგ ახლა ცდილობენ რეაქციული ძალები საზღვარგარეთ. განზრახ ყურით მოთრეულია უარყოფითი ფაქტები და ტენდენციურად გაშუქებულია ჩვენდამი არამეგობრული პოზიციებიდან.

ლენინი შეურიგებელი იყო იმათდამი, ვინც ლიტერატურისა და ხელოვნების საკითხში პრინციპულ ხაზს უხვევდა, ვინც იდეური შეცდომებისადმი დამოკიდებულებაში პოზიციებზე ეშვებოდა.³

საქართველოში კი ოთარ ჩხეიძე იჭდა დამნაშავეს სკამზე და საქართველოს კაც-ის პირველი მდივანი ვასილ მუჟანაძე მას ჯობავდა. „ზოგიერთი ჩვენი მწერალი კი, რომლებმაც სწორად ვერ გაიგეს პარტიის მოთხოვნა ნაცვლად იმისა, რომ გაბედულად გამოააშკარავოს ცხოვრების წინააღმდეგობანი და კონფლიქტები, მეორე უკიდურესობაში მოექცა. ისინი აწვიდებენ ჩვენი ცხოვრების უარყოფითს, არატიპურ მხარეებს. სწორედ ამგვარი ნაკლოვანებები ახასიათებს ო. ჩხეიძის ნაწარმოებს „ბურუსს“.³

¹ Журн. «Континент», 1976 г. № 9, Алексей Лосев — Ненаписанные репортажи, стр. 300.

² „ლიტერატურული გაზეთი“, 1957 წ., 30 აგვისტო. ნ. ხრუშჩოვი — ხალხის ცხოვრებასთან ლიტერატურისა და ხელოვნების მჭიდრო კავშირისათვის.

³ „კომუნისტი“, 1956 წ., 20 იანვარი.

რა თქმა უნდა, საქართველოს კაც მდივნს კრიტიკას მაშინვე დაუპირეს მხარე და აღმოსავლური კვერნის წერილი — „იდეურად მწიქტურად მხატვრულად მდარე ნაწარმოები“. ციტატას აღარ მოვიტან, რადგან სათაურიც აშკარად შეტყველებს, რაც წერია სტატიაში.

ი რ კ ნ ი უ ლ ი ი ნ ტ ე რ მ ე ძ ო : მერე იმ პერიოდს, როცა მუჟანაძე მდივნობდა, „ნეგატიური მოვლენების პერიოდად“ გამოაცხადებენ და, რაც საქართველოში უბედურება მოხდა, ყველას მას დააკისრებენ. თურმე ოთ. ჩხეიძის „ბურუსში“ აღწერილი მანკიერებანი ზღვაში წვეთი ყოფილა იმასთან შედარებით, რაც სინამდვილეში ხდებოდა.

40-იან წლებში, როცა კოსმოპოლიტობანას თამაში დაიწყო, უცხოურისადმი პატივისცემა აკრძალეს და ისევ დაარბიეს და ააწიოეს კულტურისა და მეცნიერების მოღვაწენი, გაზეთი „კომუნისტი“ (1944 წ., 11 მაისი) ფარისევლურად წერდა: „რატომ უნდა მივიჩნიოთ ირანს კულტურა მწედ, იმ ბრწყინვალე მნათობად, რომლის სხივებმა ქართული კულტურა აღმოაცენეს, რაში გვკირდება ეს მონური ქედის მოხრა, ეს თავის დამცირება ჩვენ, შვილებს იმ ხალხისას, რომელმაც წარმოშვა შოთა რუსთაველი და დავით გურამიშვილი, ნიკოლოზ ბარათაშვილი და ვაჟა-ფშაველა. აკაკი წერეთელი და ილია ჭავჭავაძე“.

მას ისე უტიფრად წერდნენ, თითქოს კომუნისტები არ იყვნენ ისინი. ვინც, სულ ცოტა ხნის წინათ, ასე თავგამოდებული გამოხდა რუსთაველს, გურამიშვილს, ბარათაშვილს, ილიას, აკაკის, ვაჟს. ეძახდნენ ქართული ფეოდალიზმისა და ნაციონალიზმის მომღერლებს, რომელნიც უცხო და უვარგისი არიან მუშებისა და გლეხებისათვის.

კ. მელაძე: „ვეფხისტყაოსანი“ თავიდან ბოლომდე ფეოდალური არისტოკრატიის საგალობელს წარმოადგენს.¹

„ბარათაშვილი რომანტიკოსია, რომანტიკოსი წარმავალ, მომაცვადე კლასის და არა აღმავალის. მისი „მერანი“, რომელიც ცხოვრებიდან გაქცევის საუკეთესო ნიმუშია, არც იმდენად დიდი სოციალური ღირებულებიანა... „მერანი“ ცხოვრების წინააღმდეგ ამბოხება კი არაა, იგი რევოლუციონური ფაქტი კი არაა, არამედ ცხოვრებიდან გაქცევის საუკეთესო დოკუმენტი... ბარათაშვილი არ შეიძლება იყოს რევოლუციონერი და მასზე ლაპარაკი კი უაზრობაა, თუ გინდათ იმიტომ, რომ მისი სიმღერა, მისი ლექსები არის სიმღერა და ლექსები წარმავალი კლასისა, რომელიც ნადგურდება და კვდება“.²

ფ. მახარაძე: ი. ჭავჭავაძე კი იყო წარჩინებული თავადის შვილი, მემამულე და გლე-

¹ კ. მელაძე — კლასიკოსების შესახებ, 1953 წ., გვ. 29.

² იქვე, გვ. 115-116.



ზეობის მებატონე, იგი იყო მუშებისა და გლეხების ექსპლუატატორი. როგორც მწერალი, ი. ჭავჭავაძე იყო რეპუციონერი, შემამუშუებლის ინტერესების უერთგულესი დამცველი, ფეოდალური საქართველოს მათაყვანებელი და მონარქისტი”¹

ქ. მელიძე: აკაკი წერეთლის „პატრიოტულ ღირსშესი თავიდან ბოლომდე ფეოდალურ საქართველოს დაცვის ტენდენციით გატარებული აკაკის არხად არ ამოუღია ხმა ბატონ-ყმობის საწინააღმდეგოდ, მას არხად არ მიუცია ყმები ბატონ-ყმობის წინააღმდეგ აქტიურად მებრძოლები, პირიქით, ისინი თავისი ბედით კმაყოფილნიც არიან...”²

პ. ქიქოძე: ვფა-ფშაველა არის „ყველაზე უფრო უკულტურო, რეტროგრადული, მისტიური, ანტიანაზოგადობრივი და ჩვენი კლასიური ბრძოლის ვაცხარებული პერიოდისათვის სრულიად მიუღებელი და დღევანდელი ინდუსტრიული ეპოქისათვის ყველაზე უფრო შეუფერებელი მწერალი, რომელიც არ ვიცით რა მონაწირებით ატარებს კლასიკოსის სახელს”³

და დადის საბჭოურ კულტურაში ილიაწარის პერსონაჟი ლეონი და ანდრეევია და ცივი და უაწრო შემოხედვით ყინავს და აქვავებს ყველაფერს.

კომუნისტების საქმიანობის შედეგი არავითვის, ვისაც აწროვნება შეუძლია და დაკვირვების უნარი აქვს, არ უნდა ყოფილიყო მოულოდნელი, საკმარისი იყო გაეთვალისწინებიათ

1 „ბრძოლა კლასიკოსებისათვის“ (კრებული), 1931 წ., ფ. მახარაძის წინასიტყვაობა, გვ. XV.
2 ქ. მელიძე, — კლასიკოსების შესახებ, 1935 წ., გვ. 91.
3 „ბრძოლა კლასიკოსებისათვის“ (კრებული), 1931 წ. 3. ქიქოძე — ვის ხელშია კლასიკოსები? გვ. 25.

ფილიპე მახარაძისა და მისი ურჩაღმადგინებელი „ნაურის“ ბრძოლა ილია ჭავჭავაძის წინააღმდეგ კომუნისტები წერდებოდას, საერთოდ კულტურას, როცა გაიმარჯვებდნენ და გაბატონდებოდნენ. თუკი ისინი, მეფის ხელისუფლების დროს, ზედადნენ მწერლების წინააღმდეგ პაროკიალების მოწყობას, ნუთუ გასაგები არ იყო, რას იწამდნენ, როცა ძალა-უფლებას ჩივიდებდნენ ხელში? თუკი ისინი ისე იყვნენ გათავზებულნი, რომ არავითარ უპატიოსნო საქციელს არ ერიდებოდნენ, ნუთუ მწელი იყო იმის წარმოადგენა-გათვალისწინება — რას გააკეთებდნენ ისინი, როცა ხელისუფლებას დაეპატრონებოდნენ?

ჭერ კიდევ 1917 წლის თებერვლის რევოლუციამდე უწოდებდა ფ. მახარაძე „ციხფერ ყანწებს“ დუხვირ მოვლენას ჩვენს ცხოვრებაში და უდიდეს ლიტერატურულ დანაშაულს“ ხოლო ახალი თაობის ქართველ მწერლებს ასე ახასიათებდა: „ამწიარად ლიტერატურაში მჭიდროდ დაკავშირებულია რეაქციის გამარჯვებასთან; ისინი ბნელი ძალების ღვიძლი შვილებია და ამავე ძალებს ემსახურებიან და გუნდრუსს უკმევენ. მაგრამ იმათი დღესასწაული და ვაკხანალია დიდხანს არ გაგრძელებულა. მწეკვლავ ამოვა და ნათელი გაიმარჯვებს; მაშინ ისინი იძულებულნი იქნებიან თავისი ბნელი სოროები მოსძებნონ და იქ ჩაძვრენ“.

ნათლად არის ნათქვამი, რას უპირებდნენ ისინი მწერლობას — ბნელ სოროებში შეგაძვრენო.. ახსრულეს კიდევ დაპირება. ასე, რომ კომუნისტების საქმიანობაში არაფერი ყოფილა მოულოდნელი და გასაოცარი. მათ ის განახორციელეს, რაც დაგეგმილი მქონდათ და რითაც წინასწარ იმუქრებოდნენ. ალბათ კომუნისტებს ყველაზე მეტად შეეფერებათ ალექსანდრე ჭავჭავაძის სიტყვები — „არ ვსდევთ ფაშთა სვლას, ჩვენ იგივე ვართ მარად და მარად“.

□ ბაზრძალბა იმნება □

ლია ყაბაშვილი

ოთარ ჩხეიძის სტილი

„სტილში იცნობთ ადამიანს.
ვინც დაკვირვებულია, ადამიანშიც
იცნობს სტილს“.

მიხეილ ჭავჭავაძე

„ვერს გაგიგეთო, ამხირებიან კრიტიკოსები და აეხიოებულვარ შეც ჩემი მხრითა, ჩაიკითხეთ და გაიგებთ-მეთქი. უკეთ რო იტყვას, ისინია, რო ახირებულან თორემ შე ჰო, მართალი გახლავართ, მართალი ცამდისა! თუ ტრაბახობენ, რო გაიგეს ვაჟაი, ჯოისი გაიგეს, ელიოტი გაიგეს, გალაკტონი გაიგეს, კაფკა გაიგეს — მერე როგორა ტრაბახობენ! — სხვა ვინ დარჩებათ გაუგებარი, თვალს თუ გაახელენ, კარგად თუ გაახელენ თელსა?“

ოთარ ჩხეიძე („ცხრაწეარო“).

ოთარ ჩხეიძის თხრობა წყალზე მდინარეს ჰგავს, თანდათან რომ იშლება, იტოტება და ფართოვდება. მწერალი თხრობის ნამდვილი ოსტატია: ერთ სათქმელს დიდხანს უტრიალებს გარს, დაფარული ფენები და შრეები გადმოეფინება, სიღრმისეული ქსოვილი იხსნება და გამომწეურდება. ხდება ნაწარმოების მხატვრულ სამყაროში მკითხველის ნელ-ნელა და მთლიანად შთანქვა.

ამბავი, რომელსაც მწერალი მოგვითხრობს, მისთვის თავისთავად დასრულებული მთლიანობაა. იწყებს თხრობას... ჭერ შორიდან უვლის სათქმელს, (ან მიჭრით, პირდაპირ დაიწყებს და გასწევტებს უცბად). აიტაცებს სიტყვას ან სრულიად „წედმეტი“ გადასვლებით ამბავიც „ავიწყდება“ პერსონაჟიც და დრო-თამიცი, სათქმელს გვიან უბრუნდება.

მიხეილ ჭავჭავაძე თვლიდა, რომ „თხრობა უცებ უნდა წავიდეს ისარივით“. მაგრამ არსებობს საგანგებოდ ნელი და ძნელად სასიარულო გზა თხრობისა, როცა მკითხველი გრძნობს, რომ ერთ კვალს არ მისდევს მწერალი. ოთარ ჩხეიძე თხრობას იწყებს საგანგებოდ ნელი რიტმით. მკითხველის თვალწინ

ნელ-ნელა ქსოვს ფერადოვან ქსოვილს, რომელშიც მწერალი რთავს უამრავ საიდუმლოს, თხრობისას შორიდან მოგატარებს, ნელ-ნელა მიგაახლოვებს სათქმელთან.

აკაკი მინდიაშვილი ოთარ ჩხეიძის შემოქმედებისადმი მიძღვნილ გამოკვლევაში შენიშნავდა, რომ ამ მწერლის თხზულების „კითხვის დამთავრების შემდეგ გიჩნდებათ უცნაური შეგრძნება: „ფორმა“ ქრება, „თავისთავს“ ანადგურებს და ჩვენს ცნობიერებაში რჩება „შინაარსი“. ის, რის გამოსახატავდაც იყო იგი მოწოდებული (ამავე დროს უკვე შეუძლებლად მიგაჩნიათ ამ „შინაარსის“ სხვა „ფორმით“, სხვა სტილით გამოხატვა). ეს განაპირობებს ოთარ ჩხეიძის სტილის სიძლიერესა და ღირებულებას“.

ოთარ ჩხეიძის თხრობაში ნამდვილად შეიგრძნობა ქართველი წინაპრების საგულდაგულოდ ნელი, უოვლისმომცველი ხედვისა და ხვავრიელი სიტყვიერების მაღლი. ნაირა გელაშვილი აღნიშნავდა, რომ ოთარ ჩხეიძის თხრობას ახლავს ძირძველი ქართულის მაღლი, რაც ახლა უმეტესად დაკარგულია („ჩვენი ბებოები მკვებოდნენ ასე“). უმცირეს დეტალსაც თხრო-



ბის დროს უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებდნენ...
 ქართული ადამიანის ბუნებაში ნამდვილად წარმოჩნდება აზროვნების განსაკუთრებული ხასიათი, რომელიც მეტყველებაში ვლინდება — ამის გამოთქმისთვის ხელვა და მისი უველა პრიზმაში დანახვა-წარმოსახვა, მისი მარადიულობაში გატანა და განსჯა: თბრობისას ათადანბანადან მოყოლა, სათქმელის გარე-გარე მოვლა, ფონის დიდხანს სინჯვა და ა. შ. განსაკუთრებული სისხვედითაა გამოხატული ქართულკახეთის მეტყველებაში.

მიხეილ ჯავახიშვილი საგანგებოდ მსჯელობს ქართული დიალექტებისათვის დამახასიათებელ არსებით განსხვავებაზე, თბრობის ხასიათის თავისებურებებზე: „ჩვენ ზნირად გვქონია ლაპარაკი კილოკავის შესახებ, რომელიც მართო იმაში კი არ გამოხატება, რომ ლექსია და მორფოლოგიური ნორმები სხვადასხვანაირი გვაქვს, არამედ თვით ციტატის აშენებაშიც კი განსხვავდება ამერული და იმერული, მაშასადამე, უკვე სტილური განსხვავებაა. ამ გარემოებას არ უწევინ ანგარიშს. არსებობს მოკვეცილი, ლაპიდარული სტილი. ეს ვინდათ დააკანონოთ... მაგალითად, ავიღოთ ილიას და აკაკის სტილი. ილიას სტილი უფრო სავსეა, ფერადოვანია, აკაკის სტილი უფრო მოკვეცილია და ამას ეძახიან, დახვეწილიაო, ნუ აურევთ ერთმანეთში განმეორებას და მძიმე, მოსაბეზრებელ სტილს. ამას წინათ ავიღე ილიას საუკეთესო მოთბრობა „ოთარანთ ქვრივი“ და დავიწყე მისი შეკვეცა. ე. ი. ზედმეტი სიტყვების ამოშლა. აქ სინონიმებიც არის ბევრი. შევკვეცე და ვეღარ ვიციანი: ილია ილია აღარ არის! მეორე მხრივ, ასევე შევეცადე აკაკის სტილს და აკაკი აკაკი აღარ არის! საერთოდ, იმის თქმა, რომ ოდნავ მაინც მოზრდილ მწერალს თავისი სტილი არა აქვსო, უდიდესი სისულელეა... უველა მწერალს თავისი სტილი აქვს. თუ ამ გზას ასცდებით და დაუწყებთ სიტყვების შებანას, მაშინ გრამატიკაზე გადავალთ. ეს კი სულ სხვა საკითხია. რა თქმა უნდა, განურღველი არის, მაგრამ მაინც სხვა საკითხია“ (ლხცსა. ფ. 8-1-387).

საერთო ქართული ლიტერატურული ენის თვალსაზრისით, როგორც მიხ. ჯავახიშვილიც აღნიშნავდა, ილიას ენა უფრო სავსეა აკაკის ლაკონურ ენასთან შედარებით, ანუ დასავლურ კილოზე დაურდნობილი სტილი მსუბუქია და სხარტი. აკაკის, დ. კლდიაშვილის, ნ. ლორთქიფანიძის სტილი, გამჭვირვალეობამდე ლაკონური. სხარტი და მოქნილი გურულ დიალექტზე — ნოდარ დუმბაძის თბრობა და საერთოდ, დასავლური კილო. ილიას ენა კახურ დიალექტს ეურდნობა და სულ სხვა ხასიათს იტევს. ასევე მძიმე და ზეგზავობრივია ქართული დიალექტისთვის დამახასიათებელი თბრობა.

როდესაც 20-იან წლებში მწერალთა კავშირ-

ში იმართებოდა დისკუსიები სტილის, ენის შესახებ, დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვიდა. უკრად შეებრძოლნენ მიხეილ ჯავახიშვილს, რომელმაც განაცხადა, ქართული სალიტერატურო ენა ქართულს ეურდნობაო. (ლხცსა. ფ. 8).

გერონტი კიქოძემ ჭერ კიდეც 1914 წელს გამოთქვა მოსაზრება, რომ „ლიტერატურულ ენას საფუძვლად უნდა ედოს განსაზღვრული პროვინციის კილო, რომელიც ისტორიული, სოციალური და პოლიტიკური უპირატესობით არის აღჭურვილი. ასეთი კილო ქართულია, რასაკვირველია, ქართლის ლექსიკონი უნდა გამდიდრდეს სხვა პროვინციებიდან შემოტანილი სიტყვებით, მაგრამ სამწერლო ენის ძირითადი ფონდი მაინც ქართული უნდა დარჩეს. ასეთი ენა გამოგვიყვანს თანამედროვე ბაბილონისებურ მდგომარეობიდან. ასეთი ენა საუკეთესო იარაღი იქნება მთლიანი საქართველოს იდეის გასამტკიცებლად. ის ხელს შეუწყობს ძლიერი ეროვნული აზროვნების განვითარებასაც. („ენა და ეროვნული ენერჯია“).

ოთარ ჩხვიძე დიალექტის უველა ნიუანსს ინარჩუნებს, დიალექტი კი, მოგებხენებათ, ზეპირი შეტყველებაა. ამიტომ იგი ზეპირი მეტყველებისთვის დამახასიათებელ წარმოთქმებსაც არ აძლევს ლიტერატურულ სახეს „რო“ ლიტერატურულად „რომ“ უნდა იყოს, ხოლო ზეპირი წარმოთქმისას, დიალექტურად — „რო“. მაგრამ მწერალი არ სცდომს მას, არა ლიტერატურებს. დიალექტისაა „ი“ — „გოგოი“, ასე ისმის დიალექტში და ასევე სტოვებს მწერალი. საბოლოოდ, ქართულ დიალექტში ასე ბუნებრივი ემფატიკური „ა“: „საპასა“, „გოგოგისა“ და ა. შ. ასევე უცვლელად გადადის მწერლის თბრობაში.

ოთარ ჩხვიძის სტილის ერთ-ერთი თავისებურება თბრობის ასოციაციურ ქაჭვში ჩართვაა. ანუ, „სათქმელის მივიწყება“ და თბრობის სხვა საგანზე გადასვლა, შემდეგ კიდეც სხვაზე და ა. შ. თბრობის ამგვარი თავისებურება სხვადასხვა მიმართულებების მწერლებს ახასიათებთ:

„ბალჯაკი არაიშვიათად გადაჭყვება ხოლმე რომელიმე საკითხის, მოვლენისა თუ გიორის დახასიათებას, რათა შემდეგ ისევ დაუთმოს თავისი ყურადღება ამასწინათ მიტოვებულ სფეროს. ლევ ტოლსტოი მაშინვე ფართო შაშტაბს იღებს, როგორც კი ამას მისი აზრების თანმიმდევრობა საკიროებს. ანატოლ ფრანსის, რომელსაც მოხდენილი ფრაზები იტაცებს ხოლმე, ზნირად ძირითადი თემიდან განშტოებულ მეტყველებისაკენ მიემართება, ოსკარ უილდს თავის მოთბრობებში არაფერი შურს იმისთვის, რომ რაც შეიძლება ზნირად წარუდგინოს მკითხველს თავისი პიროვნება, უველა ეს მოწმობს, რომ უველა შემთხვევაში შეუძლია მწერალს ასე თუ ისე, შეუფერხებლად შეჩერდეს და



ილაპარაკოს მისთვის საინტერესო საკითხზე. (გრ. კიკნაძე).

ძველ ქართულ ლიტერატურაში ავიგორავის თბრობაც ასე იგება: „აწ პირველსავე სიტყუასა მოვიდეთ.“ — კანონად დამკვიდრდა ამგვარი გადახვევით მთავარ სათქმელთან დასაბრუნებლად.

ოთარ ჩხეიძის „გადასვლა“ მთავარი მოტივიდან ხშირად არის ცალკე ამბის შემოტანა, მოგონების გაცოცხლება მწერლის ცნობიერებაში. ხალხურ გამოჩინებებზე მსჯელობა და სხვა.

„ხელთუბნის“ ხსენებას რომანში „ბორი-აყი“ მოსდევს თედო რაჭიკაშვილის ტრაგიკული თავგადასავლის თბრობა და ეს არ არის მხოლოდ მოგონების ჩართვა. ამ ტრაგედიას ფარული კავშირი აქვს იმ დიდ ბოროტებასთან რაც რომანში უნდა დატრიალდეს. ორივე შერმთხვევა ერთი მღელვარე ეპოქის დამახასიათებელი მოვლენაა. შიოთხვლი ეცნობა „ფუტკარივით უწყინარი კაცის“ ბედისწერას, ამ ბოროტების ჩამდენთა სიკვაცეს. ეს პატარა ამბავი რომანის ტრაგედიის ჩანასახია, მისი წინასწარი ვახსნაა.

სხვა შემთხვევაში ხალხურ გამოჩინებებს უკავშირდება:

„ქვაც იწვოდა იმის ცოდვითაო, ნათქვამი რა არის, ალბათ უწყლო რიყეზეა ნათქვამი, ქვა თუ იწვოდა, რა დემარტიბოდათ ბატებ-სა?“

„თუმცა ვინ უწყის, როგორ სძინავს ასეთ ადამიანსა, არავინ შეხვედრია, არავის უთქვამს, არავის დაუხატავს, არცა უოფილა, ალბათ არა უოფილა. არ იქნებოდა, არც ძილი იქნებოდა ისეთი, მაგრამ მაინც ისეთსა ჰგავდა, თუ იქნებოდა, ასეთი იქნებოდა, ასეთი წყნარი, ნეტარი, ნებერი“.

„მოატანეს არჩევანსა, არჩევნელების სასახლესა. შესაძლოა ოდესდაც არჩევანი ერქვა, შეპატრონენი არჩევნელები გახლდნენ, მაგრამ ეს ჭერ არავის გამოურკვევია, ზოლო ამთ ხო არც ეკითხებოდათ“.

ოთარ ჩხეიძის თბრობა ძალიან ახლოს დგას მხატვრულად დეკანოზებულ ზღაპრის თბრობასთან. მწერალი დრამა იცნობს ქართულ ფოლკლორს, ხშირად, მხატვრული მიზანდასახულობით, ინტუიციით თბრობაში ახდენს ზღაპრის სტილიზაციას. მაგალითად: ზღაპარში დეკანოზებული გამოთქმები: „იყო და არა იყო რა“ — ზღაპრის აპოდიქტური დასაწყისი მაშინ შემოაქვს თბრობაში, როცა მიღწეულია უოფნა-არყოფნის, წამიერ-მარადიულის ბეწვს ხიდზე დგომა.

მოულოდნელობის აღმნიშვნელად. — „სად იყო და სად არა“ „რწყილი ახტა, დახტა“, „ბევრი იარეს თუ ცოტა იარეს“ და ა. შ.

„სად იყო და სად არა, თოკი გაჩნდა იმის ხელშია“. „ოდესდაცა, ძველთა ძველ დროსა...“

„ბევრი იარეს თუ ცოტა იარეს...“
„დადუღიოთ, სულ ვაკე-ვაკე იარეს...“

„დაპარეს და მიეპარნენ. მიეპარნენ და მიიკარგნენ, არ გაეგებოდათ თუ სად იყვნენ, სად არა“. „ლეკო ახტა, დახტა, ირინესა და მერის შუა ჩახტა... ახტა, დახტა, სალომესა და ზეინაბს შუა ჩახტა... ახტა, დახტა და ელენესთან ჩახტა... მაშინ ახტა, დახტა და ნაზობროლასთან ჩახტა“. „განა ერთი, განა ორი, განა სამი, განა ოთხი, განა ხუთი, განა ექვსი, შვიდნი ასულნი“.

„არსად ქარო, არსად სიოო, იდგა სიწყნარე“ და ა. შ.

ოთარ ჩხეიძის სტილის ყველაზე დამახასიათებელი თვისება-გამეორება, ზღაპრული დროისა და სივრცის ფუნქციითაა დატვირთული. როდესაც მეზღაპრე ამბობს: „იარა, იარა, იარა და მიადგა ერთ ქობს“. — ერთი სიტყვის სამჯერ გამეორება გულისხმობს, რომ გამრბა, ვიდრე ქობს მიადგებოდა, დიდი სივრცე გადალახა და გავიდა დრო.

„მიეპარა, მიეპარა და რა მიეპარა...“

„ისხურა მერე, ისხურა ხარბადა, მოჩქარებითა, თვალზეზეც ისხურა, ყურებშიც ისხურა. ცოცხალი თუ გადაგრჩენილვარ, ნუმც დაევიტრებოდები. ნურც დავერუფდები. ჰოდა, ისხურა, ისხურა და ისხურა“.

„დიდხანს იყოყმანა, იყოყმანა და მერე სხვა მოჰქსოვა“.

„ესენიც აედევნენ, სდიეს, სდიეს და მერე შეჩერდნენ“.

„ავიწყდებოდა, სად იყო, ავიწყდებოდა, ვინ იყო, დროდადრო ავიწყდებოდა, ჰოდა, იბინდებოდა, იყარგებოდა“.

ზღაპრისეული თბრობის ტიპური ნიმუშია: „ცოტა იარეს თუ ბევრი იარეს, აიარეს სერა ფერიცვლობისა, აიარეს ცმუკვა-ცმუკვითა, აიარეს, თავს მოექცნენ, გადახედეს ცმუკვა-ცმუკვითა, მაგრამ ფაფუ, არცა ლხინიო, არცა სიმღერაო, არსად ჩარდახიანი ურმებოო, არსად ნამწვი დამისთევისაო, არსად მუშაითნი, არსად ბერიკები, არსად ჭირითი, არსად კიდაობა, არსად კვრეტა საპატარძლოთა, არსად მეწვრილმანენი, არსად დუღუკი, არსად ფანდური, არსად გუნდნი მოღრობათა“.

გარდა ზღაპრისეული სტილის, დეკანოზებული თბრობის ფორმულების უხვად ხმარებისა, ოთარ ჩხეიძის სტილში ხშირია უცბად შემოქრა ზღაპრული ასოციაციებისა:

„ქვისთვის შეიძლება წვენი გამოედინათ, მაგრამ ეს მხოლოდ ნაცარქქიას მოუხერხდებოდა. ნაცარქქიას, ვინ იცის, ქვებიც დაეძრა სულის შებერყით, ვინ იცის, ვინ უწყის, მაგრამ არ არის ზღაპარში ასეთი ამბავი... თორემ ვინ არ დახარბდებოდა მოეთბრო, თუ როგორ უბერავდა ნაცარქქია, თუ როგორ იფშვნებოდა ტინის ბთები, როგორ იფრქვეოდა ლო-



დები სეტყვასავითა, როგორ იყუეებოდნენ დევები“.

ზღაპრის მოხრობელი მსმენელს ყოველთვის ახლოს, გვერდით გულისხმობს, სულ თან იაზლებს და მის გულისყურს უსმენს. უამრავ მწერალს ახასიათებს ეს ხერხი. მკითხველთან საუბარი, ხან დამოწმება, ხან კამათი მასთან.

ოთარ ჩხეიძე ხშირად ესაუბრება მკითხველს. ყოველთვის იცის, რა ზდება მკითხველის გონებაში მწერლის საუბრებიც ხშირად აქეთა მიმართული:

„აღნიშვნაც არ უნდა ასეთ რამესა, მაგრამ ზოგს უურადლება არა ჰყოფნის, ან სიტყვა გაიტაცებს, ასეთი ფურცელი ადვილად გამოჩნება“.

„ოღონდ, ემანდ თქვენ არ გაგისწროთ ფიქრმა, იქ „ციხეში ამოყო თავიო“, იქ „გადაცმული მამაკაციო“, გამოპარული თუ გამოქცეული არ გეგონოთ, არ მოგერიოთ სათავგადასავლო გატაცებანი“.

„შეაჩერეს გზაჯვარედინზე. შეაგროვს, გარს მოხვივინენ. იმედი აბწყიალდა. დაჰბედეთ ერთი. კიდევ შერჩენოდა იმედი განაცრებულ ხალხსა, ემა, მარჯვნივ თუ მოგვახვივინესო... გაუყენეს მართლა გორის გზასა. მართლა ვამბობ, თორემ გადატანით სხვა რამესა ნიშნავდა“.

„არც გაკვირვება ამოსტანებია, არცა სიხარული. ძახითი ნიშანი მაინც დავუსვი. მევე დავუსვი, რადგან ვიცი, რო არ მომეშვებიან, ვილაცა უთუოდ ჩასრჩის და მერე ელდასავით დამემგერება. სჭობს აქედანვე რო შევიჩვიო“.

ოთარ ჩხეიძის სტილის ორიგინალობა, ამ მხრივ, იმაში მდგომარეობს, რომ მკითხველისთვის მისი „შემოქმედებითი ქურა“ არ არის გადამალული. მკითხველი შემოქმედებითი პროცესის თანადამსწრეა. „შთავარისა“ და „შეორეხარისხოვნის“ გადარჩევაში იღებს მონაწილეობას, მკითხველი აზროვნებს მწერალთან ერთად. ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, თითქოს მწერალიც ამ წუთას აზროვნებს, თითქოს კი არ წერს, იმპროვიზაციას ახდენს და მკითხველიც მთლიანად ჩართულია ამ იმპროვიზაციაში.

გამორჩეულია ოთარ ჩხეიძის დამოკიდებულება ანდაზებთან. ანდაზების თხრობაში ჭარბად შემოტანა და მწერლის აზროვნების ანდაზურად გადმოცემის თავისებურება ამ სტილის დამახასიათებელია:

„ძველი ნათქვამია, მოგზაურობა ფათერაკიაო, არც არად ივარგებს მოგზაურობა უფათერაკოდაო. მოგზაურობა შთაბეჭდილებათაო, ძველივე ნათქვამია. ფიქრთ გახართველია მოგზაურობა. მოგზაურობა საქმეაო... მოგზაურობა მიწანიაო...“

„რა ბედენაა გადამალვა ცოცხალი კაცისა, ცოცხლებრივ სიკვდილია და მეთი არაფერი, ნათქვამიყა, რა მკვდარი, რა შინმოუსვლელიო“.

„აკორებული ქვა ხავსს ვერ შოიდებსო“.

ფუკი იმედი სასოწარკვეთაზე და ა. შ.

„ანდაზში განზოგადების ტენდენცია ჩანს და მისი კონკრეტული შინაარსი იმდენადაა საყურადღებო, რამდენადაც იგი განზოგადების შესაძლებლობას იძლევა. ანდაზის გზა — კონკრეტულიდან ზოგადზე გავლით ისევე კონკრეტულთან გაჩერდეს...“ „ანდაზა, ჩვეულებრივ სხვისი ნათქვამის ფორმაშია წარმოდგენილი („კალთაში მერდე და წვერს მაგლქედო“). ამგვარ გადმოცემას ის მნიშვნელობა აქვს, რომ შედარებითი პასუხისმგებლობა ანდაზის გამომყენებლიდან გადატანილია სხვაზე, ისიც უწყნაეს მსაჭულზე, ხალხზე, ისე, რომ მას მიმართულეხასა და გეზს უნაცვლებს, ეს ნიშნავს, რომ აუცდენელი იარაღის სახე აქვს მიღებული. ამაში მისი უბადლო მნიშვნელობა“ (გრ. კიკნაძე).

ოთარ ჩხეიძის პროზა ანდაზებითაა დატვირთული, ეს მისი პროზის სპეციფიკაა, მაგრამ არა მოხრობელის ორიგინალობა, რადგან ანდაზების შეტანა მწერალს ორიგინალობად არ ჩეთვლება. სათქმელის, ხშირად მთელი ამბის გადმოცემა, „სხვისი ნათქვამის ფორმაში წარმოდგენით“, ანუ ანდაზის შინაგანი ბუნებით ხორციელდება. დიალოგის გარეშე თხრობას მწერალი ანდაზური ხერხით, დიალოგის, „სხვისი ნათქვამის“ ფორმით ასრულებს:

„იგემც უნდა ვამოვიდესო, რასა ბრძანებთო, რაც გაიგონეთო. და ახლა ამისი ველარ გაიგო ამა სწავლულმა, განათლებულმა ადამიანმა, კაცობრიობის ისტორია რო იცოდა, ფილოსოფიისათვის რო გადამდგარიყო. რაღაც გეშლებათო, უკაცრავად ბრძანებოდეთო, ჩვენ არაფერი გვეშლებო, ჩემი შვილი გასლავთო, თითქმის ბავშვი ვავისტუმრეთო, ეს არის დაბრუნდაო, ნუ წყუწუხდები ახსნა-განმარტები სთვისაო, აუხსნელად რა იქნებაო, ჩვენ ჩვენი ვიცითო, შენი შენთვის შეინახეთო. ეს როგორაო როგორაო და იარეთო...“

„ბრძანა მაშინა, გამატარეთო, საით ინებებთო, სად თუ დაქრილია, სად თუ ავადმყოფაო, ჩვენ რომ ავადობა შეგვეყრია, შენი წამალი აღარას გვარგებსო“.

ამგვარი თხრობის ძალა დიდია. მწერალი დიალოგებს, პერსონაჟებს შორის რომ გამართულია, ანდაზური ფორმით გადმოსცემს. ასეთი „გადანაცვლება“ მკითხველში აღწევს „მარადიულ“ სატივარს, სიავისა და ბოროტების, მარადიულად არსებულ ადამიანურ მანიკერებათა განზოგადებას, რაც უდავოდ, დიდ შთაბეჭდილებას ახდენს მკითხველზე.

დიალოგებშიც ოსტატურად იყენებს მწერალი ანდაზებს. პერსონაჟთა სათქმელი ანდაზური სიბრძნის ფორმით იგება, რაც კამათს ცხოველმყოფელობას, ხოლო დიალოგს ექსპრესიულობას ანიჭებს:

„მა, მა, მა, ბედის წყალობა“.



— ვის ბედი სწყალობს, ვის დასცინის ბედი...

— ბედის მჭიდველი ადამიანია...

...— ისტორიას გამარჯვებული სწერსო...

— ჰოდა, ისტორია მალ-მალ იცვლება, გამარჯვებული მრავალია, ისტორია მაინც ერთია... „ინდივიდუალიზმის დრო აღარ არის.

— ინდივიდი პიროვნებაა, პიროვნება უოველთვის იქნება.

— ჩვენ ახლა ვცხოვრობთ.

— მე ვხურავ ჩემს წიგნსა“.

ასეთ დიალოგებს აშუქრად აქვს ტენდენცია სათქმელის აფორისტული გადმოცემისა და ანდაზური განწოგადებისკენ...

როგორც ვთქვით, ანდაზა „სხვისი ნათქვამის“ გამოერებაა და უოველთვის „სხვათა სიტყვის“ ო-თი ბოლოვდება. ანდაზების ქარბად ხმარებისა და საკუთარი თბრობის, პერსონაუების დიალოგის ანდაზურად გადმოცემის გამო ოთარ ჩხეიძის სტილში „სხვათა სიტყვის“ ო ძალიან ხშირია.

„სხვათა სიტყვის“ ო-ს ხმარება კ. გამსაგულიას თბრობის თავისებურებაა. ძველ ქართულ მწერლობაში ოიანე პეტრიწის ენას ახასიათებდა „სხვათა სიტყვის ო“-ს სიქარბე. კ. გამსახურდია ოიანე პეტრიწის ენასთან სიახლოვით ხსნიდა „სხვათა სიტყვის“ ო-ს ხმარებას, მეორე მხრივ, „ო“ მეგრული დიალექტის დამახასიათებელიცაა. მთავარია, რომ კ. გამსახურდიას პროზაში „ო“ ერთვის წმას, — თავადაო, ეწევაო, დარჩებაო და ა. შ. მხოლოდ და მხოლოდ ასე ოხმარება. ოთარ ჩხეიძის პროზაში კი წინადადების ბოლოს, ანუ ანდაზის — ზარის სხვის ნათქვამად გაფორმების ფუნქციით გვხვდება. „უბერხულობის ვახსენება ორმაგი უბერხულობააო“.

ოთარ ჩხეიძე ხალხური წეპირსიტყვიერებიდან ანდაზების გარდა ოსტატურად იუენებს წმებს, ნართულებს, დატირებებს, წყევლასა და უოველივე ეს ისე აქვს გათავისებული, რომ ორიგინალურ ელფერს ჰმატებს თბრობას. მაგალითად: გადაქარბების ხერხი: „გადაქარბების შთაბეჭდილება შეიძლება გამოიწვიოს ერთი და ომავე სიტყვების მეთისმეტად ხშირმა განმეორებამ, ერთი და ომავე განცდის ხშირმა და ტრაფარეტულმა აღწერამ, საგნისთვის შეუსაბამო-მაღალი ან დამაკინებელი ეპითეტების გამოყენებამ, ობიექტის მოქცევამ სრულიად შეუფერხებელ სიტუაციაში“ (გრ. კიქნაძე).

გადაქარბება სიტყვათა ხშირი განმეორებით:

„ჰოდა, ოხილა: რუში კაცი ევლო... კაცი ევლო რუში... ევლო რუში კაცი, მართალი კაცი, ანთუ მართლა კაცი, ეს უფრო ხწორეა, კაცი“.

განცდის აღწერის გადაქარბება. „აიშალა ხანაფლაო, წამოვდა ყველა მიცვალბებული... ვამთენიისას ხაფლავებში ჩაბრუნდებოდნენ, ამათაც ბარემ თან გაიყოლებდნენ, უჩვენებდნენ თავიანთ ცხოვრებასა, თავიანთ ვახსიერსა, თუ

დალონებასა; მერე ისევე გამოხატდნენ, ან აღარც გამოხატდნენ, დატირებდნენ ბარემ იქვე, მაინც აქა ხართ მოსასვლელნიო, გზა-გზა ხეტიალით რაღას ვაწვალდეთო, მერე რა გზაა, დანტემ ჰო აღწერა, რა გზაცა უოფილა, ვილა გაუძლებს ომა გზასა და ვინც წასულა, აღარ გამოხატუნებულა“.

დატირება: ხალხური დატირებების გამოახილი ოსმის თეკლას მოთქმა-გოდებაში, მწერალი ღრმა დატირებვას აძლევს მის დატირებებს, რომანის კრიკაშეკრულ. შიშითგათანგულ და უოვლისმომცველ მდუმარებაში ექოსავით გაისმის ქალის გოდება. თანაც თეკლა დასტირის ცოცხლებს და უფრო მამართ ვაება-მოთქმით, ვიდრე მოტირლები — მიცვალბულთ როდესაც ბექას დატირებს, მწერალი ამბობს: „ისმენდა თუ როგორ დასტიროდნენ, ვითარცა მკვდარი. და იყო მწარე დატირებაი ოგი, მწარეი უფრო, უფრო შემწარავი; ვიდრე დატირება მართლაც და მკვდრისა. ვაშრა ვაუკაცი. თითქოს ძარღვებში სისხლი გაუშრა...“

ნართაულები: „ნართაული არაპირდაპირი გამოხატვის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფორმაა, ეს ხერხი ძველთაგანვეა ცნობილი და მხატვრული ლიტერატურის გარდა, დიდი მნიშვნელობა აქვს პეაქრობაში. ნართაულით ადამიანი არაპირდაპირ მიუთითებს მოქმედების ფარულ მოტივებზე, მასზე, რის გამომწეურებაც მოწინააღმდეგეს არა აქვს ნავარაუდევი, ნართაულით ეს ფარული მოტივები აშუქრავდება და მოპაექრის მხილება ხერხდება“ (გრ. კიქნაძე).

„ბორიაცი“ დიალოგების, მით უფრო, პეკრობათა ოსტატობა და ძალა მწერლის მიერ. ნართაულების შესანიშნავი ფლობისა და ცოდნის ნაყოფია.

„— ვავლავ, რომ გადასულა დრო გმირობისა.

— დრო უოველთვისაა, ოლონდ გმირები არ არიან უოველთვის“ — ნართაულით ეუბნება ქალიშვილი ნიკუშას, „გმირობის“ როლი რომ მიაწერეს და გააწვალეს.

„— სტუმარი ღვთისააო, ქალბატონი დედა ბრძანებს.

— ავაშენათ ღმერთმა, ღვთისა ვარ და მომექცევი ღვთაებასავითა.

— ღვთაებას ერთხელ შევწირავთ ვჯარაკს და მოგვეშვება ხლომე!“

გერგლიანობა ანუ მოსწრებულობა: „პასუხის სისწრაფე, შენიშვნაზე პასუხის დაუყოვნებლივ მოფიქრება, დროის მონაკვეთის რაც შეიძლება, სიმცირე. მოსწრებული გამოთქმა გულისხმობს ომ მახვილის თავიდან აცილებას, რაც მოწინააღმდეგის მიერაა გამოყენებული. ამგვარად, გერგლიანობა თავდაცვას ისახავს მიწინაღ, მაგრამ ოგი თავდასხმაცაა პირველ თავდასხმელზე“ (გრ. კიქნაძე).

ძველი ქართული ლიტერატურა მდიდარია პეაქრობებით. „გაბახებათა“ უანრად რომ და-

მკვიდრდა. სულხან-საბა ორბელიანის „სიბრძნე-სიცრუის“ პაექრობის ოსტატობა, დავით გურამიშვილის პაექრობანი და ა. შ. ილია ჭავჭავაძემ ხომ თავისებური მქერმეტყველობის, ოსტატური მოპაექრის სახელი დაიმკვიდრა.

„ბორაიუს“ ის ადგილი, სადაც იტრიელები ეპაექრებიან ერთმანეთს ერის ბედისწერასა და გამოხსნის გზებზე, ნამდვილი ქართული მქერმეტყველების ნიმუშია, აქ ილიასეული ეპოქის მახვილგონიერებაც შეიგრძნობა. მკითხველი გრძნობს, რომ ძმების კამათი თავის თავთან მოპაექრე პიროვნებათა ურთიერთგადახლართული შერკინებაა. თითოეულმა წინასწარ იცის, რას უპასუხებს მოპაექრე, მაგრამ ელოდებიან ერთმანეთისგან, იქნებ მართლა ხეირიანი რამ მოიგონოს, რაიმე გზა გამოჩნდეს. მკითხველი მთელი სისავსით შეიგრძნობს, რომ საქართველოს ბედ-იღბლის კემშარიტი გულშემატიკვარნი 1924 წელს ასე ცხოვლად, დაუნდობლად და თავდაუზოგავად კამათობდნენ.

წყევლა, მუქარა და თავდასხმა აღამიანზე თვით ბიბლიაში იხმარება ამ ფუნქციით: „ჭრქუა უფალმან ღმერთმან გუელსა: წყეულ იუავნ შენ „დაუბნელდენ თვალნი მათნი, რათა არა ხედვიდენ და ზურგი მათი მარადის შედრიკი...“ (ფსალმუნი).

თვით დავით აღმაშენებლის ანდერძშია სახელდებული, თუ ვისა და ვის ეტება წყევლა. მკითხველს ამახსოვრდება ლეიკის შემზარავი წყევლა: „ქარი გააღე, შე, კუდიანო, როკაპო დედაკაცო, ქარი გააღე, შე ქაჭების ჩამომავლო, შე არნაუტო, შე ღრძო, შე მუღო, შე კვის ქვეშ ამოსადებო, შე ქასკანჭიელო... შე... შე... შე...“ ..შე ალაოს კუტო, ნუ გონია ის გადაგარჩენს, ციხეზე რო ნიფხვის ტოტები გამოუკიდნია ბეკასა, ვაგბიწიან, ვაგლეკენ უველაფერსა, ცეცხლს წაგაიციდებენ და გამოგბუგავენ, შე ახუბულო ბებრეკო, შენა... შე ფიტულო გადაშენებული ცხოველებინა, შე უგრძნობელო, უმეცარო, გაუგებარო...“

ცალკე კვლევის საგანია ოთარ ჩხეიძის დრამატურგია. ვფიქრობთ, მწერალს პროზაში დრამის გამოცდილებით შექმნილი სხვადასხვა მხატვრული ხერხი შემოაქვს. სტილის განხილვისას აუცილებლად უნდა იქნას გათვალისწინებული მწერლის დიდი გამოცდილება დრამატურგიაში. დრამატურგის ხელი ატყვია, მაგრამ ხელოვნურად როდი შემოიღს პროზაში, დრამის შესრულების მხატვრული ნიუანსები, რომლებიც პროზის ელემენტებს ეთავსება, ერწყმის, ორიგინალურ ხელწერას ჰქმნის, მწერლის ხედვის ფოკუსს აძლიერებს, გამომსახველობით ძალას მშატებს, პერსონაჟის სულიერი მდგომარეობის ნათელ სურათს ხატვის ახალი საშუალებებით ამდიდრებს.

დიალოგის ზოგიერთ თავისებურებაზე ზემოთ ვისაუბრებთ. უურადღებიანი მკითხველი ადვი-

ლად შენიშნავს ოთარ ჩხეიძის დიალოგის გინალობას, მისი აგების საკუთარ ხელწერას. ამ დიალოგს არა აქვს ერთპლანაინობა, ითქმება ერთი, ხშირად სხვა იგულისხმება, ამ ნათქვამის მიღმა ძირითადი აზრი იმალება, ერთი სიტყვით, დიალოგი მკითხველის ფიქრსა და განსჯას მოითხოვს. ერთგან ოთარ ჩხეიძე თვითონ პერსონაჟს ათქმევენებს კამათის დროს რომანში:

„თუ წამოიწყებ, უნდა გქონდეს სათქმელიცა, ნათქვამის უკან კიდევ რაიმე უნდა მოგდევდეს, ისე რა არის, ისე სიტყვა სიტყვაც არ არის, ზმულია“.

დრამის დიალოგი ხშირად რეპლიკებით იგება, რომელსაც მოსდევს ექსტიკულაცია, მთელი გულისყური მიმიკებზეა გადატანილი და ერთსა და იმავე სიტყვას სხვადასხვა მნიშვნელობას ანიჭებს წარმოთქმის ფორმა, ხან კი მხოლოდ ინტონაცია ცვლის.

ოთარ ჩხეიძე ფიქრ-დიალოგს ასრულებს უმეტესად. ანუ, წარმოთქმულ სიტყვას, რომელსაც სცენაზე პერსონაჟის მოძრაობა, მიმიკა ან ინტონაცია ამთლიანებს, პროზაში მწერალს „ფიქრის“ სახით შემოაქვს, ან „მოძრაობის აზრს“ გადმოსცემს:

„ქარგა ხანია გავიგეთ, რომ ლეკო თათაშელი ბრძანდებით და არა დავით აღმაშენებელი... ლეკომაც გაიცინა, თვალეში ამოისცა ხელი, ვითომდა რაო, ცრემლი მომვიდა სიცილისგანაო, თანაც დასძინა:

— ისიც ვერაფერი შვილია, დაწერა „გალობანი სინანულისანი“, ვითომ რაო, „ვეფხისტყაოსანი“ ხომ არ დაუწერია?!

— საქართველო დაწერა, ვილა გამოჩენილა ასეთი მწერალი?! — მოსკრა გურანდუბტმა და წამოგდა, სავაზმოდ წავიდეთო, წამოგდა და გაუწოდა ხელი ლეკოსა, შერიგების ნიშანიც იყო, თანაც მიმაცილე მაგიდამდისაო“.

აი, ის „სათქმელი“, რასაც უთქმელად უნდა გადმოსცემდეს მიმიკარია.

„ჩანთა და აბეტი მიჭყარა და აიწურა, ე, რა დამმართინა, რასა ვგავარ, როგორ ამოგვუნგულუვარო“. ამის პასუხად უამრავ რამეს იტყვის უსიტყვოდ ქალის ხელები: „ქალსაც ოდნავ გამოეშალა ხელები უმწეობისა თუ უსამართლობის ნიშნადა. აბა, რა ვუყოთ, რა გიშველოთ, საით მიგასწავლოთ, აღარაფერი შეგვარჩინესო, ეს სამოსახლოდა მოგვიგდესო, ისიც სულ არაო, გადაგვიტიხრეს, ჩვენი საქონელიც და ერთი უხერიო მისაღები ძლივს გამოვაწყვეთო... ასე გამოშვერილყო ხელები, თითებიც ირბეოდა ოდნავადა, მაინც ამოიკითხებოდა ამდენი რამეი“.

დიალოგის ასეთი შესრულებით მკითხველი სრულყოფილად ხედავს პერსონაჟს და მთლიანად ესმის მისი. ასეთი დიალოგი ნაირნაირად იგება ოთარ ჩხეიძის პროზაში. ხანდახან ნათქვამი ფრაზა შუაზე იხლიჩება, დანარჩენი აღარ



წარმოითქმება სიტყვებით, მთავრდება ხატვის ხერხებით: მოძრაობით, გამომეტყველებით და ა. შ.

„ძნელია? არ არის ძნელი, მე ასე მგონია, ძნელი არ არის, ბოლო შენ თუ ძნელად გეჩვენება, მშვიდობითა ბრძანდებოდე, მოწყალე ხელმწიფე — შებრუნდა, ზურგი უჩვენა, შეემწადა წასასვლელადა, აბაა, ჰაა, შენზე კვილია, დავრჩე თუ წავიდეო“.

„— მეტიც მოგვსვლია... — ხელი დაუჭირა მასპინძელმა, თან გადახედა ახალგაზრდა სტუმარსა, ო, რა თანამზრახველი გიპოვნიაო, ო, როგორ შეშურდება ყველა დროის მოღვაწესაო. — დაეხსენი... მოისვენეთ... წასვლას თუ ინებებთ, თქვენი ნებააო“.

თამაზ ბიბილურმა ნოველაში — „კახნიაური“ საინტერესოდ წარმოაჩინა „შინაგანი დიალოგი“ ოთარ ჩხეიძის პროზაში. „როცა ერთმანეთს ხმამაღლა სხვას ეუბნებიან, ფიქრში კი სხვას“, (თ. ბიბილური). ოთარ ჩხეიძე შინაგანი დიალოგის ნამდვილი ოსტატია.

დრამატურგის გამოყვანილების კვალი ყველაზე უფრო მონოლოგებს ატყვია რომანში. თეკლას მონოლოგი, ლეკოს მონოლოგი რომანში დრამის მონოლოგის ფორმითაა შესრულებული. დელამაციის იერი აქვთ, მკითხველი გრძნობს, რომ ამ მონოლოგის წარმოთქმისას პერსონაჟები თითქოს თავიანთ სულიერ მდგომარეობაზე მალდებიან, მსახიობებად გარდაისახებიან. აქ ერთი ჩანაფიქრიცაა: ლეკოსა და თეკლას ეძლევათ წარმოსახვა იმდენად, რომ ოცნებაში წარმოდგენილი როლის შესრულებას იწყებენ და ეს ურთულესი სულიერი მდგომარეობა ამგვარ მონოლოგებს აეისრიათ:

„ეს მე ვარ, აბაა, ლეკო თათაშელი, არა მძარცველი ეკლესიისა, — მძარცველი არა, არა მაცდური ადამიანთა — მაცდური არა! — ეს მე ვარ, ლეკო, ეს მე მოგსულვარ ფერისცვალობასა, ეს მე ველოდი მარიობასა, ეს მე ველოდი გერიტობასა, თავგერიტობასა, შუაგერიტობასა, ბოლოგერიტობასა, ეს მე ველოდი, მე წავაქეზებდი, გესმით? გესმით?... მე დავცემულვარ, არა, ვით სატანა, არა, ვით ბელზებელი, — არა სატანა, არა, ბელზებელი... მე დავცემულვარ, ლეკო თათაშელი... გადამიწყვიტეთ, რაც რო მკეთუნის, მომიზღვეთ ხედრი, როგორც გენებოთ, ოღონდ კოცონი არ გადამიწყვიტოთ, არც სახრჩობელა არ გადამიწყვიტოთ, მომკვეთეთ თავი, მეტი რა გინდათ? მომკვეთეთ თავი და შემოატარეთ მთლად საქართველო!“

თეკლას მონოლოგი: — ო, უბადრუქო! ვის ეგონა, რომ მოგდამდათ სული დიდი წინაპრებისა, ვინ მოგანდოთ ჩარხი ჩვენი ცხოვრებისა, ვინ იყო იგი, ვინ გადაგვიდგა, ვინ გავწირა ასე უფლოდა, ვინ იყო იგი, მძვივარი... სად არის გმირი? გმირები უნდა ქვეყანასა და ქიადლებს შერჩენიათ ხელში ბედი

ერისა, ო, რა დრო დამდგარა, დრო განწირვისა, გარდაგებისა... ბარემ, გაიპოს მიწა და თან ჩაგიტანოს! გაიპოს მიწა, გაიპე, მიწავ, გაიპე, მიწავ!... დამაღენით, მტვრად იქეცით, არცა უოფილხართ მეტი მტვერზედა... ღირსი ხართ განა ქართულისა?! სხვა ენა ჩაიდგით, სხვა ენაზე თქვით, თუ რამე გინდათ, თუ რამე გეთქმით, ნულარ შებილწავთ ჩემსა ენასა!“

ასეთი მონოლოგი ღრმა დამაბულობის ემას წარმოითქმება და პერსონაჟის ტრაგიკულ სულისკვეთებას გამოხატავს. დამუხტული, ამაღლებული პათოსის მქონე მონოლოგი რომანში იმ კათარზისის ფუნქციას ასრულებს, რაც საერთოდ დრამის ტრაგიკული პერსონაჟის მონოლოგებს ეკისრება. ერთი შეხედვით, თითქოს „ლიტერატურულია“ ასეთი მონოლოგები, მაგრამ ისინი გმირის ხასიათს ოსტატურად, ბუნებრივად ერწყმიან და ამაღლებულ განცდას იწყვევენ.

ოთარ ჩხეიძის სტილის კიდევ ერთი თავისებურებაა—კონკრეტულიდან განზოგადებულ, მარადიულ საზრისთან მკითხველის მიახლოება. მწერალი „მუხთალი წუთისოფლის“ სამღურავის გამოთქმის, ბედისწერის ავბუღითობის, მარადიული ადამიანური სატიკოვის გადმოცემის ოსტატია.

მწერალი „საგოდებელი“ სტრიქონების აგებისას ხან პატარა, უმნიშვნელო ნიუანსს, ხან მხოლოდ სიტყვას გამოარჩევს, დიდხანს უტრიალდებს უცბად წუთისოფლის სიმადლეზე აზიდავს და მკითხველიც მთლიანად ეზიარება მარადიულ სატიკოვას:

„ხანდახან ძალად თუ არ გავიცინეთ, დარდი გამოგვდრღნის. დარდი ქიაა, შავი ქია, ეგრე დაგფქვავს, ვერას გაიგებ, ერთ მშვენიერ დღეს ერთს კიდევ ამოისუნთქავ და ფაფუ, აღარ იქნები. იმ ამოსუნთქვას გაჰყვება შენი ნაფქვიცა, ფაფუ!“

„ჩაწვეთეს, უარესად რო გამწარდებოდა ბოლო წუთები წუთისოფლისა. სიკეთე არის გაუგონარი, ანთუ ზღაპრად გაგონილიო და განა, ასე არა უოფილა, განა სხვა სახე მიუღია ცდუნებასა, სიკეთის გარდა? სხვა არაფერი, სიკეთედ გამოცხადებულა უოველთვის, უოველთვის დამდნარა სიყვარულად და შემცდარა შეუმცდარი“.

„ქერ ფონი უნდა უპოვნო, მერეღა შეხვიდე მდინარეშიო. ცხოვრებაც დიდი მდინარეა, კაცო რა არის, კაცოც მდინარეა და თუ ფონი არ უპოვნე, ვერსაით მიუხვალო, ვერც ავადაო, ვერც კარგადაო“.

„ადამიანი რაც არის, გრძნობაა, სხვა ყველაფერი მოსართავია გრძნობისაო, თუ გრძნობა დაიშლება, დაიშლება ადამიანიცაო“.

„ამოიჩემა, მოდის. ახალგაზრდული ამოჩემება ბედისწერაა შემოქმედისა. აქ გარდასწდება გარდასაწყვეტიო“ და ა. შ.

ახლა ვნახოთ. ოთარ ჩხეიძის „უცნაური“ სტილი სინამდვილეში რა კანონზომიერებებს ემყარება, შეიძლება თუ არა მისი „წედმეტი სიტყვებისაგან“ განთავისუფლება, დაწურვა და გამარტივება მისი.

„მიჩაქჩაქებდა მატარებელი, ოხრავდა, ხრჩოლავდა, ბოლავდა, თუ იღვა, ველარ დაიძვროდა, თუ დაიძვროდა ველარ მიაღწევდა, თუ ვინ იცის, როდისდა მიაღწევდა სადგურიდან სადგურამდისა. მერე რაო, არც არავის უკვირდა, არც ამას უკვირდა. ყოველ სადგურზე ემატებოდა მგზავრი, ბევრი ემატებოდა, ცოტა აკლდებოდა. ვიდაც ქალს დაუთმო ადგილი, ის რომ ჩავიდა, სხვა დაეპატრონა ამის ადგილსა, მერე სხვაი, კიდევ სხვაი და სხვაი. ეს აღარავის გახსენებია, მაღლობაც არავის უთქვამს ამისთვისა“.

დაკვირვებით თუ წავიკითხავთ მოხმობილ ფრაგმენტს, თუ მოვინდომებთ „წედმეტი“ სიტყვების ამოღებას, გამოორებას „ავკრძალავთ“ ხელთ მხოლოდ უფერული და დაცლილი ფრაზა შეგვრჩება: „მიჩაქჩაქებდა მატარებელი. ყოველ სადგურზე ემატებოდა მგზავრი“. — დაიკარგა მატარებ-

ლის დამახასიათებელი, ამ შემთხვევაში მგზავრი ნივრად დაბატული ნელი სვლა, მგზავრთა უმაღურობა და სიმრავლე, ერთი კალმის მოსპობით შექმნილი შთამბეჭდავი სურათი უსიამოვნო მგზავრობისა და ა. შ.

ოთარ ჩხეიძის სტილი მრავალმხრივ საინტერესოა, იგი მწერლის აზროვნებისა და სულის გამოხატულებაა. ამ სტილმა ქართული ენის დაფარული საუნჯე გამოამწეურა და თავისი ადგილი დაიმკვიდრა თანამედროვე ქართულ ლიტერატურაში.

ჩვენი წერილის მიზანი იყო ოთარ ჩხეიძის სტილის მხოლოდ წოგადი მიმოხილვა, მისი კვლევა დიდ გამოცდილებას, სათანადო ცოდნასა და ხანგრძლივ დაკვირვებას მოითხოვს. დასკვნის სახით კი ვიტყვი, რომ ოთარ ჩხეიძის პროზა დიდი პროზაა. მასში ქართული ენის დაფარული შესაძლებლობანი, ტრაგიკულის გრძნობისა და ხატვის დიდი მასშტაბები გამოვლინდა ნამდვილ ეროვნულ ფესვებზე ამოწრდილი ეს საოცარი პროზა კიდევ დიდხანს „დაიუნჯებს“ თავს მასობრივი მკითხველისაგან, მემატანეებს ხომ თანამედროვენი არ კითხულობენ, მათ შთამომავალნი ეწაფებიან ხარბად.



მასტანგ გურგენიძე

ქართული ბრიგორიანები

„ვიღრე ეამი გვაქეს, ვიქმოდეთ იეთილსა
ყოველია შიშარა“.

(გალ. II, 10).

მეტად რთულ ისტორიულ პროცესთანაა დაკავშირებული საქართველოში ქართველთა ერთი ნაწილის გრიგორიანულ სარწმუნოებაზე გადასვლა. ეს მოვლენა განაპირობებული იყო ერთი მხრივ თურქი დამპყრობლების მეზობლად გაბატონებითა და სამხრეთ საქართველოს ჩამოცილებით, ხოლო მეორეს მხრივ სპარსთა, ლეკთა და სხვათა დაუსრულებელი შემოსევებით (რომ არაფერი ვთქვათ საქართველოშიც და სომხეთშიც „ხვთისა და ქვეუნის წინაშე პირ-შერცხვენილებზე“)...

დაქუცმაცებული და დაკნინებული სახელმწიფო, ეკონომიკურად გაღატაკებული, მორალურად დაქვეითებული და სისხლიდან დაცილი ქართველი ხალხი დაინტერესებულ ქვეყნებს მოქმედებისათვის კარგ შესაძლებლობას უქმნიდა. დავით გურამიშვილის თქმისა არ იყოს, ვერვინ მოსთვლიდა „ქართლის ქირსა“, შინაურად და გარეულად, დიდს და პატარად, ახლობელიც და შორეულიც, ქრისტიანიც და მუსლიმანიც სულ იმის ცდაში იყვნენ, როგორმე დაპატრონებოდნენ ამ ქვეყანას, — თავიანთი გავლენის სფეროში მოექციათ როგორც აღმოსავლეთი, ისე დასავლეთი საქართველო...

განსაკუთრებით აოხრდა და ეწამა თურქეთის მიერ დაპყრობილი სამხრეთის ქართული პროვინციები. უპატრონოდ მიტოვებულ ქართველებს, მათ ციხე-კოშკებსა და ეკლესია-მონასტრებს დამპყრობთა მიერ ჩამოსახლებული უიზილბაშები, თურქები, ბერძენები, სომხები ეპატრონებოდნენ...

უკიდურეს მდგომარეობაში მისულმა ქართველმა ხალხმა რა არ იღონა ვის არ მიმართა საბედისწერო ნაბიჯიც კი გადადგა, მაგრამ ვერაფერს გახდა ქვეუნის ჩიხიდან გამოსაყვანად. ასეთ პირობებში უველა, მტერიც და მოუვარიც,

თავიანთენ ექაჩებოდნენ ბედკრულ საქართველოს. განა ცოტა რამ იღონეს ქართველებმა რომაელებთან და ვეროპის სხვა ქვეყნებთან ურთიერთობისათვის? განა უველაფერი არ გააკეთეს იმისათვის, რომ რუსეთს დახმარების ხელი გამოეწოდებინა ერთმორწმუნე ერისათვის? მაგრამ არსიდან სჩანდა „ქრისტეს მიერ ძმებისათვის“ პრაქტიკული დახმარება. ქართული მეფეები, ოღონდაც რაიმე ეშველათ ქვეუნისათვის ხან ისლამს აღიარებდნენ, ხან კი კათოლიკური ეკლესიის ქვეშევრდომობას.

სხვა გზა მათ არ ჰქონდათ, სხვა გზას ისინი მიჰყავდა გადაგვარებისა და, თითქმის, ფიზიკური განადგურებისაკენ.

ამავე გარემოებით იყო ნაკარნახევი უპატრონოდ მიტოვებული ქართველი ხალხის ერთი ნაწილის გადასვლა გრიგორიანული ეკლესიის ხელში, არც მათ ჰქონდათ სხვა გამოსავალი — ამ სასოწარკვეთილების ეამს, განსაკუთრებით თურქების მიერ დაპყრობილ პროვინციებში, სულით და ზოგჯერ დატანჯული ქართველები, ოღონდ ქრისტიანობა შეენარჩუნებინათ, აღარ დაგიდედვდნენ არაფერს. — ერთნაირად ეკედებოდნენ როგორც რომაელებს, ისე სომხებს... ამის შედეგია, რომ გრიგორიანულ ეკლესიაში მოქცეული და „განსომხებული“ აღმოჩნდნენ ისეთი გვარებიც, როგორცაა: ავალიშვილები (ავალიშვილები), ალხაზიშვილები (ალხაზოვები), არეშიძეები (არეშოვები), აბულაძეები (აბულაძეები), ბარათაშვილები (დუშეთში მაცხოვრებელი), ბაქრაძეები, ბახილაშვილები (ბახილოვები), გიგაურები (ქართლში), გიორგაძეები (გიორგიანები), გველესიანები, დურგლიშვილები, ბერიშვილები დალაქიშვილები, გულაშვილები, მამულაშვილები (მამულაშვილები), ღარიბაშვილები (ღარიბოვები), ლოლაძეები, კობაშვილები.



მამაცაშვილები მახაბლები (გორში და ხაშურში), ტურიაშვილები (ტურიაშვილები), შარაშვილები, სოსიაშვილები, შაბურიაშვილები (შაბურიაშვილები), ღარდაშვილები (ღარდაშვილები), მუხაიძეები, თუთიაშვილები (თუთიაშვილები), ღაწიაშვილები (ღაწიაშვილები), გოგიაშვილები, როსტომაშვილები, ჩანიაშვილები, ათაბაგოვები (ყოფილი ჩაუელები), ზურაბიაშვილები (ზურაბოვები), ქონიაშვილები, მესამთლიშვილები (სვეჩინიკოვები), ხუციშვილები, გომელაურები, სულხანიშვილები, ზაზიაშვილები, ლომიძეები (მოზდოკში), ფანჯლიძეები (პანჯლიძეები), ფრიდონიშვილები, მალხაზიაშვილები, ელაზბარაშვილები, ნადირაძეები, მენტეშაშვილები, წამალაშვილები, შავარდნაძეები (შავარდოვები), აღნიაშვილები (აღნიაშვილები), ალავერდიშვილები, ნამურაძეები, ქოჩორაშვილები (ქოჩორიაშვილები), მამაქანაშვილები (მამაქანაშვილები), მამინაშვილები (მამინაშვილები), შანშეშვილები (ძველად გამურელიძეები), მირზაშვილები, პურადაშვილები (მესხები, პურადოვები), თუმანიშვილები, მირიანაშვილები, ნარიშვილები, მარტიაშვილები, ფანიაშვილები, ხიდირბეგაშვილები (ახატუროვები), ზაალიშვილები, ხიზანიშვილები (ხიზანოვები), მედვიენიშვილები (მედიონოვები), ბინდურაშვილები, ჩხეიძეები (მოზდოკში), კოშუაშვილები, გოშალიშვილები, საფარაშვილები, ხიმშიაშვილები, წმინდოაშვილები, კისტიაშვილები, ხარაშიშვილები, მებორეშვილები, ჩარეკიშვილები, მტვირეშვილები, ხახუტაშვილები, მანველაშვილები, კიპაშვილები (თბილისი-კიპიაშვილები) და მრავალე-მრავალი სხვა ქართული გვარი (იხ. შავთელი (ზ. კიკინაძე), „ქართველი გრიგორიანები“, თბ., 1908 წ., გვ. 114-114).

და უკველივე ეს, იმ პერიოდისათვის „გამართლებული იყო“ — მაშინ ქართველებს ამისთვის არ ეცალათ, და, როგორც აღვნიშნეთ, არაფერს დაეძებდნენ, ოღონდ ქრისტიანად დარჩენილიყვნენ. პირველ ხანებში ამ პროცესს არც მეფე და არც ეკლესია კანონით არ კრძალავდა, მხოლოდ მაშინ დაფიქრდნენ, როცა შემდეგში, სომხური ეკლესიის მეთაურობით, ქართველმა გრიგორიანებმა მოიცვეს საქართველოს მრავალი კუთხე...

თუ XVIII საუკუნემდე ქართველთა ტრიტორიაზე მცირედად მოიპოვებოდნენ ნამდვილი სომხები, მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისისათვის მათი რიცხვი დიდად გაიზარდა უმეტესად კათოლიკე ქართველების ხარჯზე.

იმ სოფლებში, სადაც სომხურ სარწმუნოებაზე მოექცნენ, სომხები დაეპატრონენ ქართულ

ეკლესიებსაც: ძველ მესხეთს — ტაო-ლაზიკურ რომ თავი დაეკანთოთ, თვით ბოლნისის სიონიც სომხურად მონათლეს. სოფლებს შეუცვალეს ძველი ქართული სახელები და დაარქვეს ახალი, უმეტესად სახელები იმ სოფლებისა, საიდანაც გადმოსახლდნენ. შემდეგ, როცა ჩატარდა აღწერები, სათანადო ზემოქმედებით, ადგილობრივ მკვიდრთაც ახალი — „სომხური“ გვარები და სახელები ჩააწერინეს. ისინი, რომლებმაც სომხური არ იცოდნენ, მონათლეს როგორც „ქართველად მოლაპარაკე სომხები“...

ქართველთა „გასომხებას“ ხელს უწყობდა ცარიზმის რუსეთის ასიმილაციურული რეგიმიტი. მოვიტანოთ იმ პერიოდისათვის მეტად დამახასიათებელ ფაქტს: „მე ვსწავლობდი თბილისის სახელოსნო სკოლაში. მე სომეხი ვარ, მაგრამ სომხური არ ვიცოდი, საქართველოს სომხები მართლდ სჯულით ვართ სომხები, თორემ ეროვნებით ქართველები ვართ, როგორც ფრანგები და თათრებიც, სომხების განუყოფილებაში ქართული ენა აკრძალული აქვთ. იქ არავის ახწავლიან ამ ენას, არც მე მასწავლიდნენ, ქართული ენა მე ჩემის შრომით და მალვით შევისწავლე. ამიტომ ამხანაგები მე „ვრაცას“ მეძახდნენ, ე. ი. ქართველს; როცა ეს ამბავი სომხური ენის მასწავლებელმა და მღვდელმა შეიტყვეს, მათ ამის გამო სასტიკად გამკიცხეს. ქართულ ენას ნუ სწავლობო, ასეთი ვაი ვაგლასით შევისწავლე ჩემი ღვიძლი ენა — „ქართული“, გადმოგვცემს გრიგორიანი ქართველი ალავერდოვი (ალავერდაშვილი) 1908 წელს ქართულ ენაზე გამოცემული თავისი წიგნის — „უძველური ვარინკას“ — წინასიტყვაობაში (იგი „ჩარხიშვილის“ ფხეველი ნიშითაც წერდა მოთხრობებსა და წერილებს). მსგავს ფაქტებს ადგილი ჰქონდა რუსეთის მიერ განთავისუფლებულ საქართველოს სამხრეთ რაიონებშიც, რომლებიც თურქების ხელში იყო მანამდე, აქაც, სამხრეთ საქართველოს პროვინციებში მაცხოვრებელ ქართველებისათვის სწავლა მიმდინარეობდა არა ქართულ არამედ რუსულ ენაზე. (ვ. ძიძიგური, მასწავლებლის მოგონება, თბ., 1957 წ., გვ. 172).

თუ დავუშვებთ როგორც საერო, ისე სასულიერო სამყაროში რუსიფიკაციურულ პოლიტიკიდან გამომდინარე ქართველთა გვარების რუსული დაბოლოებით შემოღებასაც, მაშინ ადვილი წარმოსადგენია, როგორ თანდათან ქრებოდა ქართული გვარები და დავიწყებას ეძლეოდა მშობლიური ქართული ენა. ანალოგიურად მიმდინარეობდა თბილისშიც ქართველ გრიგორიანთა ფერისცვალება.

რუსიფიკაცია ნამდვილად დამლუკველი გამოდგა ქართველებისათვის... ამ „პატარა“ ერის წინამძღვარნი უყოველმხრივ ცდილობდნენ არ აბოლოდნენ „ფეხის ხმას“ და ეზრუნათ, რათა შეენარჩუნებინათ თავიანთი ხალხისათვის საკუთარი ვინაობა, მშობლიური ენა და ისტორია. ამ პერიოდის ტრაგიზმით აღსავსე ისტორია

1 ასე რომ არ უნდა გაუქვირდეს ზოგიერთებს, როცა დღეისათვის სომხური გვარის მატარებელი იბრუნებს თავის ისტორიულ გვარს (ავალიშვილი, მახაბელი, ხიმშიაშვილი, ზაალიშვილი, დიდიანი...).

ულმა ზედმა სომხები და ქართველები ერთმანეთს დაუპირისპირა. შეიღახა სამეზობლო კეთილგანწყობილება და მეგობრობა. კვლავ წამოტვივთვდა ძველი პრეტენზიები...

იმისათვის, რომ გავგოთ ამ წინააღმდეგობათა არსი, ქართველ კათოლიკეთა გრიგორიანულ ეკლესიაზე გადახვლის საკითხში, აუცილებლად საჭიროა ისტორიული სინამდვილას ცოდნა. ეს მორალური მოვალეობაცაა, თუნდაც იმიტომ, დიდი ივანე ჭავჭავაძის თქმისა არ იყოს, რომ მშობლიური ისტორიის ცოდნასთან ერთად, „ყოველ განათლებულ ქართველს მპართებს თავისი მეზობელი ერის, სომხეთა მრავალტანჯული, მაგრამ მეტად ხანტერესო თავგადასავალი იყოდეს“ (ივ. ჭავჭავაძი, ძველ სომხური საისტორიო მწერლობა, I, თბ., 1935 წ. გვ. 11). ასევე იოქმის ყოველ განათლებულ სომეხზე, რომ მან იცოდეს ასევე მრავალტანჯული მეზობელი ქართველი ერის ისტორია, საჭიროა ვიცოდეთ წარსული იმ ქვეყნებისა, რომლებიც ათასეული წლების იმანძელზე დაკავშირებული არიან ერთმანეთთან ქირშიც და ლხინშიც. და ვალდებული ვართ ვიცოდეთ ამ ხალხების ნამდვილი, შეუღამაზებელი თავგადასავალი. ეს ცოდნა საჭიროა იმიტომ, რომ სიკეთეს თავისი მივუწოდოთ და ვამრავლოთ. ხოლო შეცდომებს თავისი და აღარ გავიშეოროთ. სხვა მხრივ, ისტორიული მეცნიერების არსებობას გამართლება არ ექნებოდა.

მაგალითად, განა ურთიერთ პატივისცემას არ აღძრავს ის ისტორიული ფაქტი, რომ, როცა სომხებს დამპყრობლებმა მოუხსვეს სახელმწიფო (428 წლიდან IX საუკუნემდე და კვლავ XI საუკუნიდან XX საუკუნის ოციან წლებამდე) საქართველო, ქართველი ხალხი ყოველთვის ძმურ დახმარებას უწყევდა განსაცდელში ჩავარდნილ მეზობელ სომეხ ხალხს საერთო მტრებთან სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლებში?! განა დასაფასებელი არაა ის ძმური მიღება საქართველოს მიწა-წყალზე საცხოვრებლად მტერთაგან სხვადასხვა დროს ღლთვლილი სომეხებისა?! აბა მოუფსინოთ რას წერს ვ. ნალბანდიანი ამ მიმართებით: „მოულოდნელი თავდასხმების საფრთხის წინაშე მდგომი სომეხი ხალხი ძალიან ხშირად იძულებული იყო თავისი მშობლიური ქვეყანა, საკუთარი სახლი და კარი მიეტოვებინა ხოლმე და თავისუფლება უტბორცის ქვეშ ეძებნა. და აი სწორედ ასეთ დროს, ჩვენი ხალხის მწარე და მძიმე წუთებში, მოძმე ქართველი დაუყოვნებლივ და სიყვარულით უწყვიდა სომხებს დახმარების ხელს. არ უოფილა არცერთი შემთხვევა, რომ ქართველთა დედაქალაქის სტუმართმოყვარე კედლებს უარი ეთქვათ და არ შეეფარებინათ მტრის მახვილს გადარჩენილი და შემწეობის მოხვედელი სომეხი. საუკუნეების განმავლობაში ამ განსაცვიფრებელ ქალაქში სომეხი უხვად სარგებლობდა ქართველის გულდია სტუმართმოყვარეობით“

(ვ. ნალბანდიანი, თბილისი, ცენტრალური გამომცემლობაში, თბ., 1931 წ. გვ. 14).

ასე იყო საუკუნეების განმავლობაში, მაშინაც, როცა თავს იცავდნენ სპარსთა და რომაელთა შემოსევებისაგან, მაშინაც, როცა ქართველი რძალი — მამიკონიანთ ჩამომავალი დედოფალი შუშანიკი ეწეა საქართველოსათვის, მაშინაც როცა შემოსეული მტრები — არაბები, მონღოლები, თურქები სრული განადგურებით ემუქრებოდნენ ქართველებსა და სომეხებს, მაშინაც, როცა რუსეთის გენერალმა პასკევიჩმა თურქეთიდან ჩამოსახლა სომეხები და დაასახლა საქართველოს მიწა-წყალზე და მაშინაც — ჩვენი საუკუნის დასაწყისში, როცა თურქთა ფიზიკური ზოცვა-უღეტას სასწაულებრივად გადარჩენილმა მოძმე სომხების ერთმა ნაწილმა თავი შეაფარა საქართველოს...

და რა საწყენია, რომ ქართველი და სომეხი ხალხების ისტორიული მეგობრობის საზიანოდ, ზოგჯერ ადგილი ჰქონდა „ჩავარდნებს“, როცა სხვადასხვა ადგილზე (ჩვენშიც და საზღვარგარეთაც) სხვადასხვა დროს და სხვადასხვა სიტუაციაში, გამოჩნდებოდნენ ხოლმე ისეთი „ქეთილმსურველები“, რომლებიც ეროვნული ნიღბით, საძრახის საქმეს ჩაღიოდნენ...

აი, რატომაა საჭირო როგორც ჩვენ, ისე მომავალმა თაობებმა იცოდნენ, ამ შემთხვევაში, ორივე მრავალტანჯული ერის თავგადასავალი, მათი ღირსეული და უღირსი შიღების საქმენი საგმირონიც და საქმენი საძრახისნიც.

მაგალითად, განა საძრახისი არ იყო თითქმის მტრობაში გადაზრდილი ქართული და სომხური ეკლესიების ქიშპობა? ბერედა რისთვის? ემტკიცებინათ ერთმანეთისათვის ყოველგვარ სინამდვილეს მოკლებული აზრი — ქართლის (იბერიის) სომხეთის ისტორიულ ნაწილად გამოცხადების შესახებ (428 წელს დატეხილი არსაყენთა სამეფოს, შესოპოტომიიდან დაწყებული აღანთა კარამდე დამთავრებული, ადგენის მიზნით). რა მოვიკეთ ამ ბრძოლაში არაფერი! მოიგეს შესახამისი პერიოდის დამპყრობლებმა, რომელთა წასისინებითაც უპირისპირდება ეს ორი ერთმორწმუნე ეკლესია ერთმანეთს...

და, თუ ამ მიმართულებით შევაფასებთ ქართველთა და სომეხთა ურთიერთობას, თუნდაც ქართველი გრიგორიანების საკითხში, დავრწმუნდებით, რომ ყოველივე ეს და აქედან გამომდინარე სავალალო შედეგები გამოწვეული იყო უმეტესწილად დამპყრობელი ქვეყნების წაქეზებით და ადგილობრივი პირმეტრეცხვინი კარიერისმოყვარულთა და ზოგჯერ სამშობლოს გამყიდველთა უგუნურობით. განა ამაზე არ მოუთითებს, თუნდაც დაუსრულებელი „მტკიცება“ კავკასიაში სომხეთისა და სომხური ენის უპირატესობის შესახებ? არა გვგონია ამჟამად ვინმე დავაქროთ, რომ თითქმის ძველად სომხეთს ექვემდებარებოდა კავკასიაში საცხოვრე-



ბელი უველა ხალხები და მათი უპირველესი
ენაც სომხური იყო. ანდა თითქოს სომხები
ისტორიის მთელ მანძილზე მთავარ, წამყვან —
ჰეგემონურ როლს თამაშობდნენო კავკასიაში
(თუნდაც იმიტომ, რომ ამიერკავკასიაში საქარ-
თველო ერთადერთი ქვეყანა იყო რუსეთის
შეერთებამდე, რომელიც ინარჩუნებდა თავის
სახელმწიფოებრიობას და ითვლებოდა ამიერ-
კავკასიაში მაცხოვრებელი ხალხთა განმათავი-
სლულელებელი ბრძოლების მეთაურად). ასევე ით-
ქმის ამჟამად თურქეთის ტერიტორიაზე მოქ-
ცეულ საქართველოს სამხრეთ-დასავლეთის პრო-
ვინციების სომხეთის ნაწილად გამოცხადების
შესახებ, რაც არაერთხელ გამხდარა ჩვენს ხა-
ლხებს შორის მტრული ურთიერთობის მიზე-
ზი (აღარაფერს ვამბობ მრავალჯერ და მრავალ-
ჯერაფთ გამოცემულ ე. წ. „დიდი სომხეთის
რუკაზე“, რომელშიც თითქმის ყოველთვის
მოქცეულია არა თუ მესხეთი, არამედ მთელი
ქართლიც. და ეს ტენდენცია, როგორც აღვნი-
შნეთ, ყოველთვის იყო უმთავრესი მისწრაფე-
ბა სომხეთის მხრიდან (ქართლი და მთელი
აღმოსავლეთ საქართველო მოენათლათ „დიდი
სომხეთის“ განუყოფელ ნაწილად). ეს იყო მათი
მთავარი მიზანიც — რადაც არ უნდა დაჯ-
დამოდათ ამ მხარეში მაცხოვრებელი ქართველ-
ური მოსახლეობის გრიგორიანულ სარწმუნო-
ებაზე გადაყვანათ როგორც.

არსებობენ კიდევ სხვა ტენდენციებიც (თუ-
ნდაც ბაგრატიონთა საგვარეულო წარმოშობის
შესახებ), რომლებიც უმეტეს წილად მოედინე-
ბა სასულიერო წრეებიდან. ასევე ცალმხრი-
ვი და წინასწარგააზრებული „მტკიცება“ იმისა,
თითქოს ქართული ეკლესია დასაბამიდან შექ-
მნილიყოს ნომერი განმანათლებლების წყალობ-
ით; რომ ქართველთა განმანათლებელი და მო-
ციქულთა წარსი ნინო თითქოს მოქმედებდა
სომხური ეკლესიის უძემდეგობის — გრიგო-
ლის ხელმძღვანელობით („ქართველები ჩვენს
ნუნეს დაემოწაფნენო“, — გვაუწყებენ სომეხი
„მემატიანენი“). იგივე ითქმის უჩვეულო ქარ-
თველ ტომთა სამკვიდრებლიდან — კაბადოკი-
იიდან მოძღვრად შემოსული სირიელი მამების
სომხებად გამოცხადებაზე. აი რას გვაუწყებს
1907 წლის № 44-45 სომხური გაზეთი „პოვივი“:
„მემატიანეთა თქმულიებით კაბადოკიიდან ჩამო-
სულ 18 სომეხთა მასწავლებლს და წინამძღ-
ვარს იოანეს დაუსადგურებია ამ ადგილს (ზე-
დაჯენში)“, რომ „ისინი მეხუთე საუკუნეში
კაბადოკიიდან გადმოვიდნენ საქართველოში ქრი-
სტიანობის საქადაგებლად“ და ა. შ.

ზემოთქმულ „მთავარ მიზნიდანაა“ გამომდი-
ნარ სომხური საეკლესიო წრეების მიერ მათ-
შტოცის დახმარებით ქართული ანბანის გამო-
გონების ამბავიც. იმასაც ამბობენ და „ამტკი-
ცებენ“ რომ ქართველებს სასაუბრო ენაც,
მღვდელმთავარს და მეფეც სომხებისგან მიი-
ღესო (ეს ლეგენდა VIII საუკუნემდე არ არ-

სებობდა. იგი შემდეგდროინდელი ამბავია. ამის
შესახებ იხ. „ეპისტოლითა“ წიგნი“, — სომხუ-
რი ტექსტი ქართულად თარგმნა, გამოკვლევა
და კომენტარები დაურთო ზ. ალექსიძემ, თბ.
1968 წ., გვ. 041, 046, 066 და სხვ.

ერთი კი ფაქტია, ქართველთა და სომეხთა
სხვადასხვა დროს სარწმუნოებრივი განხეთქი-
ლებანი ნაქარნახევი იყო დამპყრობელი სახელ-
მწიფოებისაგან — დაპირისპირებით და ება-
ტონათ. და ძირითადად გამომდინარეობდა მათი
პოლიტიკური ორიენტაციიდან, — ვის მიემხ-
რობდნენ ისინი — აღმოსავლეთს, — სპარ-
სეთის საეკლესიო ტრადიციას და მოძღვრებას,
თუ დასავლეთის ბერძნულ-რომაულ საქრის-
ტიანო დოგმებს (რა თქმა უნდა, ქვეყნის სა-
შინაო ეკონომიკურ-პოლიტიკურ მდგომარეო-
ბასთან კავშირში). ფრ. ენგელსის გამოთქმა
რომ გამოვიყენოთ დასკვნისათვის: „რელიგი-
ურ სამოსლელში გამოხვეული ეს მოძრაობანი
გამომდინარეობდნენ ეკონომიური მიზეზები-
დან“ (ფრ. ენგელსი, აღრინდელი ქრისტიანო-
ბის ისტორიისათვის, თბ., 1955 წ., გვ. III, შე-
ნიშვნა № 1).

ეს ურთიერთობა თვალნათლივ გამოიხატა
ჩვენთან ჭერ კიდევ V საუკუნეში, როცა დამ-
პყრობლების შემოსევით სომხეთმა დაქარგა სა-
ხელმწიფოებრიობა და სომეხი ხალხის პატრო-
ნობა ხელში აიღო მისმა ეკლესიამ. მართალია,
„იგივე დამპყრობლები საქართველოშიც ცდი-
ლობდნენ თავიანთი ბატონობის განმტკიცებას,
მაგრამ მათ ვერასოდეს ვერ შეძლეს ქართული
სახელმწიფოებრიობისა და ქართული ფეოდა-
ლური სისტემის მოსპობა, კმაყოფილდებოდ-
ნენ რა საქართველოს სამეფოთა ვასალური
დაქვემდებარებითა და მთავან ხარკის მიღე-
ბით“ (ი. პეტრუშევსკი, „ოჩერკი პო ისტორიი
ფეოდალნიხ ოტნაშენიი ვ აზერბაიჯანე ი არ-
მენიი“, ლენინგრადი, 1949 წ., გვ. 15; აგრეთვე
გ. მაისურაძე, „ქართველი და სომეხი ხალხე-
ბის ურთიერთობა XIII-XVIII საუკუნეებში,
თბ., 1988 წ. გვ. 70).

სამწუხაროდ, იმავე „ძირითადი მიზნიდან“
გამომდინარე საქართველოსა და სომხეთის ურ-
თიერთობაში შემდგომშიც ჰქონდა ადგილი
სარწმუნოებრივ დაპირისპირებას ორივე ხალ-
ხის საზიანოდ და მტერთა გასახარებლად.

არ შეიძლება სხვაანირი დასკვნა გამოვიტა-
ნოთ, თუ არა ის, რომ ასეთმა დამოუკიდებ-
ლობამ დიდზე — დიდი ვნება მოუტანა რო-
გორც „ქრისტიანულ სამყაროს“, ისე თვით
აღმოსავლეთის ამ ორ ქრისტიანულ ხალხებს.
თუმცა, ყოველთვის — გასაჭირის უამს არა-
სოდეს არ შეცვლილა ამ მეზობელი ხალხის
ურთიერთობაში უმთავრესი და ურყევი მიდ-
რეკილება: გაერთიანებული ძალით თავი დაე-
ცვათ პირისხილიანი მტრებისაგან და გადაერ-
ჩინათ თავიანთი არსებობა. ამიტომ იყო, რომ
ყოველი ავბედობის უამს სომხური ფეოდალუ-

რი საზოგადოების ქეშმარიტად ეროვნული ძალა მხარში ედგა „დადარჩენილ საქართველოს საქმეფოს“ და, უმეტეს წილად, მის საფარველ ქვეშ იმყოფებოდა ეკონომიკურადაც და პოლიტიკურადაც, სომეხ მამულიშვილებს კარგად ესმოდათ, რომ დამპყრობელთა კლანჭებიდან შეუძლებელი იყო სომხეთის განთავისუფლება საქართველოს დახმარების გარეშე. ამაზე მეტყველებს, ქართულს რომ თავი გავანებოთ, მრავალი სომხური პირველწყარო, სადაც მაღლობით მოიხსენიებენ ქართველ ხალხს, საქართველოს მეფეებს.

ისიც აღსანიშნავია, რომ სხვადასხვა დროს ამ უმთავრესი მიდრეკილების საზიანოდ სხვა მხრივაც იყო „ჩაფარდები“, განსაკუთრებით მაშინ, როცა ეკლესიის მსახურნი ცდილობდნენ მთავარი მიზნის რელიზაციისათვის. — თავიანთ მხარეზე ჰყოლოდათ არა მარტო საქართველოში ჩამოსახლებული სომხები, არამედ სომხური ეკლესიის კალთებს ამოფარებული და „უპატრონოდ“ დარჩენილი ქართველი კათოლიკეები. ასეთმა მისწრაფებამ განსაკუთრებით აქტიური სახე მიიღო მაშინ, როცა ფაქტურად ვერ განხორციელდა ქართველ პოლიტიკოსთა გეგმა — გამოეუენებინათ რომის პაპის ავტორიტეტი და საფრანგეთის ხელმძღვანელობით, მოეხდინათ კავკასიის ხალხთა პოლიტიკური შეკავშირება ერან-ოსმალეთის აგრესიის წინააღმდეგ (იხ. ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, IV, თბ., 1967 წ., გვ. 299). ეს გარემოება ნიშანდობლივი გახდა ერეკლე II-ის მეფობის პერიოდში. თუმცა, ამ შემთხვევაშიც, იყვნენ სომეხი კათალიკოსები, ლუკას მსგავსნი, სომეხი მამულიშვილები, რომლებსაც კარგად ესმოდათ და აფასებდნენ საქართველოს წვლილს სომეხი ხალხის ისტორიაში. ერეკლე მეფემო — წერს კათალიკოსი ლუკა — დაიმორჩილა ბორჩალოს, ყაზახის, ერევნის, განძავის, არცახისა და სივნიეთის მფლობელნი, გვირგვინი დაიდგა და გამოეფა საქართველოსა და სომხეთში მდინარე ახურიანამდე. იგი, მეფე ერეკლეს სომხეთის მეფედაც აღიარებდა (იხ. გ. მაისურაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 249).

დაიხ, ამ პერიოდშიც სომეხი ხალხის შვილებს ისიც კარგად ესმოდათ, რომ საქართველო, არა მარტო ერეკლე მეფის დროს, არამედ მთელი ისტორიის მანძილზე, იყო აღმოსავლეთისა და დასავლეთის (რომისა და სპარსეთის) ხოლო ისლამის წარმოშობიდან ქრისტიანობისა და მუსლიმანობის ინტერესთა დაპირისპირების სარბიელიც...


ერეკლე მეფის დროს თურქეთი, ირანის მსგავსად, ყველაფერს აკეთებდა იმისათვის, რომ დაეპირისპირებინა სომხეთი საქართველოსათვის. ამ საქმეში მთავარ დასაყრდენს იგი ხედავდა ეჩმიაძინში, რომელიც თითქმის ყოველთვის წინააღმდეგი იყო ირანისა და თურქეთი-

სადმი აშკარა ბრძოლაზე. ეს „ჩინის“ მისაქცევა და შინაურიც და გარეულიც. აი, რას სწერს იტალიელი მისიონერი ლეონე თავის რელატივაში: „ეჩმიაწინის პატრიარქი პორტას მიერაა დამტყიცებული და კარგადაა დაცული თვით სულთანის მიერ, ამიტომ მბრძანებლობს მთელ თავის ერზე... და თურქეთის ფირმანის ძალით ყველა სხვა ქრისტიანი მორჩილებაში მოჰყავს“ (გ. მაისურაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 265). აღსანიშნავია ისიც, რომ სომხეთის ეკლესია სხვადასხვა საშუალებითა და საქართველოში მცხოვრებ სომეხ ვაჭართა ფუნაზე დაყრდნობით, ხშირად ახერხებდა თვით საქართველოში პრივილეგიების მოპოვებას, ხოლო საქართველოში სამეფოების გაუქმების შემდეგ მსგავსი „ფირმანების“ მიღებას რუსი ხელმწიფის მოხელეებისაგან. მაგალითად გამოვავადგება რუსეთის შინაგან საქმეთა სამინისტროს 1844 წლის სპეციალური ბრძანება, რომლითაც ფაქტიურად მოღვეწეობა აეკრძალათ კავკასიაში მყოფ ლათინთა მღვდლებს და აქ მაცხოვრებელ ქართველ კათოლიკეთა ბატონ-პატონად გამოცხადდა სომხეთის ეკლესია...

* * *

ამრიგად, ქართველი გრიგორიანების თავდადასავალი ურთულესი პრობლემა და იგი დავაშირებულია სხვადასხვა სახელმწიფოთა ინტერესების სამყაროსთან. ეს პროცესი განსაკუთრებით აშკარად გამოემდგინა მაშინ, როცა გაუზღვერებულ საქართველოს გამაჰმადიანების პერიოდი დაუდგა. „ყოველდღე ჩვენის თვლით ვხედავთ, — აღნიშნავდა ნიკოლოზ ჩოლოყაშვილი კათოლიკეთა დასაცავად წარმოქმულ სიტუვაში, — რომ მრავალნი ქართველნი სომხდებიან. უფრო მომეტებული მათგან კი მაჰმადის სარწმუნოებას ღებულობს, მას ვისაც უნდა გაფრანგება ჩაღად უნდა დაეწალოს“ (მ. თამარაშვილი, ისტორია კათოლიკებისა..., გვ. 127; აგრეთვე, გ. მაისურაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 304). ვფიქრობთ, ნათელ წარმოდგენას იძლევა ეს გამოწვევაში იმდროინდელ საქართველოზე.

ქართველი მოსახლეობის „გასომხება“ სხვაგვითაც მიმდინარეობდა. ქართული კანონმდებლობით საქართველოში მცხოვრებ ყველა მოქალაქეს ჰქონდა ნება „მოსყიდულაცა ყმათა სანმარებლად, გარნა არა მართლმადიდებელთა, უკეთუ ~~სხვა~~ სომეხნი“ (სამართალი ბატონიშვილი-დევითსა, ტექსტი გამოსცა დავით ფურცელაძემ, თბ., 1943 წ., გვ. 201; იხ. აგრეთვე, გ. მაისურაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 304, 305). საქმე იმაშია, რომ ყმათა უდიდესი დაშვებული იყო მხოლოდ საოჯახო სპირიტუალისთვის, მაგრამ თბილისელი (და არა მარტო თბილისელი) სომეხი ვაჭრები ყიდულობდნენ ქართველ მართლმადიდებლებს სახელოსნოებსა და დუქნებში ხაშუშაოდ. ეს პროცესი განსაკუთრებით იგ-



რძნობოდა თბილისის მრავალრიცხოვან ამქრებში.

ქართველთა „გასომხებას“ ზელს უწყობდა იმდროინდელი განათლების სისტემაც. ბატონა შვილი დავითის სამართლიდან იმასაც ვგებულობთ, რომ XVIII საუკუნის მეორე ნახევარში ქართულ სასწავლებლებში სხვა ენებთან ერთად გავავალისწინებელი იყო სომხური ენის შესწავლაც (სამართალი ბატონიშვილი დავითისა, გვ. 172, 178). და აქაც ქართველთა სომხებად „მოქცევის“ უმთავრესი ბერკეტი ზელთ ეტყრა სომხურ ეკლესიას. ამიტომ იყო, რომ იმავე სკოლებში და თვით კათოლიკურ ეკლესიებში ქართველ გრიგორიანებისათვის, ვინც სომხური არ იცოდა, ლოცვების გასაადვილებლად ქართულად იბეჭდებოდა სომხური წიგნები და სომხური ლოცვანი ითარგმნებოდა ქართულ ენაზე. „ქართული ტრანსკრიპციით შესრულებული და ქართულ ენაზე თარგმნილი სომხური საეკლესიო-დოგმატური ლიტერატურა, — წერს ვ. მაისურაძე, — კიდევ ერთი დამატებითი საბუთია საქართველოში სომხური სარწმუნოების ქართველთა საკმაოდ მრავალრიცხოვანი კოლექტივის არსებობისა. ამიტომ უველა იმ ცნობაში, სადაც მოსახლეობის სომხური სარწმუნოებისადმი კუთვნილებაზეა მხოლოდ აქცენტირება (მაგალითისათვის საკმარისი იქნებოდა, ალბათ, ვახუშტის გეოგრაფიკი), მართებული იქნებოდა ისინი ქართველ მონოფიზიტებად მიგვეჩინა. ასევე ქართულ-სომხური ეპიტაფები, თბილისის სომხურ სასაფლაოზე ქართულ წარწერიანი საფლავის ქვები... ორენოვანი ქართულ-სომხური სამოხელეო და პირადი ბეჭდები, უეჭველია ქართველი მონოფიზიტების ეთნიკურად ქართველისა და სარწმუნოებით სომხის გაორებული ბუნების გამომხატველები უნდა იყვნენ“. ამ კვშმარტიბას ადასტურებს რუსული ოფიციალური, განსაკუთრებით სამხედრო ნაწილებში ჩარიცხული ქართველ გრიგორიანთა პირადი გამოკითხვის საფუძველზე შედგენილი დოკუმენტებიც. სადაც უველა ქართველი გრიგორიანი წარმოდგენილია, როგორც „გრუზინეცი“, ან „გრუზინსკოე ნაციი არმიანსკოგო ზაკონა“. ასევეა მოხსენიებული „ქართველი სომხები“ რუსეთის იმპერატორისა და მისი მსახურათვის გაგზავნილ დოკუმენტებში (ვ. მაისურაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 318-320).

უოველივე შემოქმედლის შემდეგ, ძნელი გასაგები აღარაა ქართველ გრიგორიანთა გვარტომობის აღმნიშვნელი ის ფაქტები, რომლებიც მოცემული აქვს ზ. კიკინაძეს შემოთ მითითებულ წიგნში.


უმეტეს წილად თვითამბიღველი ავტორის ამ ნაშრომში გადმოცემულია როგორც იმდროინდელი „რუსეთის საქართველოს“ ისე, „ოსმალეთის საქართველოს“ ტერიტორიაზე მცხოვრები გზაბნეული, ეროვნებადაკარგული და

ნირწამხდარი ქართველი. მაშადაც მათი ქათოლიკების ისტორია, განხილული უნდა იქნებოდეს, რომლებიც მიიყვანეს ისინი გრიგორიანობამდე; დახასიათებულა ის მხარე და სოფლები, სადაც ცხოვრობდნენ ეს უძველესი მკვიდრი საქართველოსა; ნაჩვენებია მათი გვარტომების ისტორია; მითითებულა ის ადგილსამყოფელიც, სადაც ქართველებს უკვე დაკარგული ჰქონდათ მშობლიური ენა და მეტყველებდნენ თათრულ, სომხურ და ბერძნულ ენებზე.

სამხრეთ საქართველომ, მისმა უძველესმა მკვიდრმა მესხებმა, სხვა კუთხეებში მაცხოვრებლებთან შედარებით უველაზე მეტად განიცადეს მძიმე და საბედისწერო ტრაგედია — ეს მხარე, რომელიც წარმოადგენდა საქართველოს ფარსა და ხმალს, სადაც უველაზე ძლიერად წარმოისახა ქართველი ხალხის სულის სიღიადე, დამპყრობთა და სხვა ასიმილატორთა პოლიტიკის წყალობით, არა მარტო ფიზიკურად მოსწყდა და ჩამოსცილდა დედა სამშობლოს, არამედ „გათურქდა“, „გასომხდა“, „გაბერძნდა“, — მის ძირითად მაცხოვრებლებში დავიწყებას მიეცა ქართული ენა, ეროვნული რწმენა...

იმდროინდელი საქართველოს ასეთმა უოფანდლი დალი დასვა ქართველ ერს. ამით კარგად ისარგებლეს უველა მათ, ვინც ცდილობდა „უმატრონოდ მიტოვებული ეკლესიის“ დაპატრონებას და აკი დაეპატრონნენ კიდევ ასიმილაციის ამ პროცესს ემატებოდა ადგილობრი მკვიდრთა დაუსრულებელი მიგრაცია და მათ ადგილზე უტეხო ტომთა, განსაკუთრებით სომხთთა ჩამოსახლება (საკვირველია, მაგრამ ფაქტია, რომ ეს პროცესი დღევანდლამდე მეცნიერულად შეუსწავლელი და შეუფასებელია ქართულ ისტორიოგრაფიაში. — სხვას რომ თავი გავანებოთ, საქართველოში სხვადასხვა დროს და სხვადასხვა ადგილებზე ჩამოსახლებულმა არაქართველმა მაცხოვრებლებმა, ისიც კი არ იციან, როდის დაშკვიდრდნენ აქ, სად იყო მათი პირვანდელი სამშობლო და სხვა)...

ძველი მესხეთი, რომელიც საქართველოს ნახევარს შეადგენდა, დაპურობის შემდეგ 1251 წლიდან, ოსმალთა მიერ დაწაწილებული იქნა 24 ადმინისტრაციულ ერთეულად (ხალციხის, არდაგანის, ოცხის, ჩილდირის, შავშეთის, ართვინის, ოლთისის, ზედა და ქვედა აჭარის, მაქაბელის, ლივანის, ლაზისტანის, კოლის, ყარსის, თორთუმის, პარხალის, ხახულის, ერუშეთის, ფანასკერტის და სხვა პროვინციებად). აქ ცამეტევე საეპისკოპოსოში თითქმის მთლიანად მოსაქეს ქრისტიანობა და ეკლესიათა უმეტესი ნაწილი დაანგრირეს, ცეცხლს მისცეს ქართული სასულიერო წიგნები, ძველი წარწერები. იმ სოფლებში, სადაც ქართველებს კიდევ არ ჰქონდათ მუსლიმანობა მიღებული, რომის ეკლესიის აქტიური ჩარევით, შეიქმნა კათოლი-



კური ეკლესიები თავისი მრევლით მაგალითად, XVIII საუკუნეში მარტო სტამბოლში, გამუხულმანებულ ქართველთა გარდა, იოვლებოდა 15წმ კომლი ქართველი კათოლიკე ამჟამად ისინიც სომხებდა ირიცხებოან (იგივე დამართათ თურქეთის სხვა პროვინციებშიც მაცხოვრებელ ქართველ კათოლიკებს).

თურქეთში შექმნილი ვითარების გამო, მიუხედავად დიდი წინააღმდეგობისა, იტალიელ პატარებსაც მოხერხდათ წვალება, ოსმალეთის მოხელეებთან კამათი, ბრძოლა და დავიღარაბა... ამიტომ გადაწყვიტეს თავიანთი სამწყსოს დატოვება და რომში გადასახლება. მეტი გზა მათ აღარც ჰქონდათ. პატარების შემდეგ ყველა ეს ქართველი გვარის კათოლიკენი „ჩაბარდნენ“ სომხურ სამღვდელოებას. სწორედ ამ პერიოდისაა იწყება მასიურად ქართველების გრიგორიანულ ეკლესიაზე გადასვლა. — გასომხება“.

ქართველ კათოლიკურ ეკლესიაში, ლათინური ენის მაგიერ, სომხურ ენაზედ დაიწყეს წიგნა-ლოცვა. ქართველნი, ლათინურთან შედარებით ადვილად სწავლობდნენ სომხურ ენას და ამ ენაზე ლოცვებიც კარგად ესმოდათ.

საბოლოო ანგარიშით, ამ პროცესს მოჰყვა ის, რის სომხებს შეეკედლებულმა ქართველებმა მართალია ქრისტიანობა შეინარჩუნეს, მაგრამ ეროვნება კი დაკარგეს — „გასომხდნენ“. მაგალითად, ართვინში, კათოლიკე ზაქარიაძეები ზაქარიანებად იქცნენ, ხოლო საფარაშვილები — საფარიანებად, ლაზიშვილები — ლაზიანებად, მალხაზიშვილები — მალხაზიანებად, ქონიაშვილები — ქონიეებად, აჭარელი — აჭარიანებად, ქანიშვილი — ქანიევად, ჭუჭუბაშვილი — პუჩინიანად და ა. შ. (ხოლო ის ქართველები, ვინც მიეწერა ბერძნულ ეკლესიას მსგავსი პროცესით — „გაბერძნდნენ“ (ამჟამად საქართველოშიც გვეხვს მრავლად თურქეთიდან გადმოსახლებული „ბერძენი“ ქართველები).

ასევე დამართათ რუსეთის იმპერიაში მცხოვრებ ქართველ კათოლიკებს მოზდოკში, უჩლარში, კავკავსა და სხვ. (იხ. პატრი გაბრიელ ასლანიშვილის წერილი — გაზ. „ცნობის ფურცელი“, 1897 წლის 16 ნომბერი). ამაზე მკვერმეტყველურად მოწმობს თუნდაც ჩხეიძეების მაგალითი მოზდოკში. მოგვაკვს სიგელი, რომელსაც მოზდოკში მიაკვლია ასევე „გასომხებულმა“ გ. ასლანიშვილმა: „წუალობითა ღვთასათა ჩვენ მეფე დავით სრულიად იმერეთისა ვაძღვეთ ამას სამეფოს ფურცელსა სიმონისა და პეტრესა სამეფოსა ჩვენსა, თავადის შვილთა და ერთგულთ ურმათა ჩვენთა ჩხეიძეთა და ამით განუცხადებთ, ყოველთა ერთგულთა ყმათა ჩვენთა რათა ამათ თავადთა სიმონისა და პეტრესა აქვნდესთ პატრი მათ და ყოველთა მათგან შთაშობავლთა თავადობისა ჩვენისა და

რადგან სვიმონ და პეტრე მისი იმპერატორობის დიდებულობის საფუძვლიანად დაფუძვნიდნენ იქაც აქვნდესთ (იქაც) ღირსება სამეფოსა თავადობისა ჩვენისა, მიეცათ ფურცელი ესე სამეფო, და დამტკიცებულთ იქნა სამეფოთა ბეჭდითა ჩვენითა სამეფოსა, ქალაქსა შინა ქუთაისს, წელსა განხორციელებისაგან სიტყვისა, თვისისა ივნის 18 დღისა მეფობისა ჩვენისა მესამესა წელსა 1782 ს“.


მიუხედავად მათი თავადობისა, მიუხედავად მისი იმპერატორობის „საფარველისა“, ვერც მეფის სიგელმა და ვერც დიდგვაროვნებამ ვერ უშველა ჩხეიძეებს და მათი შთაშობავლობა, სომხური კათოლიკური ეკლესიის წყალობით, აქაც „გასომხდა“. რუ რა დამართებოდათ მოზდოკის, კავკავის, უჩლარისა და სხვ. ადგილებში დაბალი „რანგის“ ქართველ კათოლიკეებს, ძნელი გამოსაცნობი არაა!

„ჩვენ ქართველნი არა თუ ვცდილობთ ჩვენი გვარ-ტომნი გავამრავლოთ და უკეთეს საიომე კიდეთი ქვეყნისათა ჰგებენ... შევერიბოთ ერთად, არამედ ჩვენის უზრუნველობით რაც კი შუა თვით საქართველოში ქართლ-კახეთისაკენ მოიპოვებოან, იმათაც კი სხვა და სხვა გვაროვნებას ვაკუთვნებთ, რა დააშავეს ერთ მუჟა ქართველთ კათოლიკეთა, რომ ხან სომხებად და ხან ფრანგებად უწოდებენ? დრო არის მერწმუნეთ გამოვიღვიძოთ და პირადად განვარჩიოთ ნათელი ბნელისაგან, რათა შემდეგ სხვათაც შეიძლოს ჩვენი გვარტომების გარჩევა“. გულისტკივილით მიუთითებდა გ. ასლანიშვილი (ზ. ჭიჭინაძის მიითითებული ნაშრომშიდან).

დაიხ. „ჩვენი უზრუნველობით“, არა თუ თურქეთისა და რუსეთში მაცხოვრებელი ქართველნი, არამედ თვით საქართველოს მკვიდრნი ქართველი კათოლიკენი — „ფრანგებიც“ (ახალქალაქში, ახალციხეში, გორში, თბილისში და სხვ.) ფორმალურადაც „გავასომხეთ“, ამის შემდეგ გრიგორიანი ეკლესიისათვის სრულიად ადვილი შეიქმნა ქართველ კათოლიკეთა გვარების დაბოლოება „ათი“, „იანციო“, ან რუსული დაბოლოება — „ოვიო“ შეეცვალეს საილუსტრაციოდ, ზაქარია ჭიჭინაძეს მოაკვს ქართველ კათოლიკეთა რომაულად „ათი“ დაბოლოებული 150-მდე ქართველთა გვარი, რომლებიც გრიგორიანული ეკლესიით სომხურად გამოცხადდა:

მელიქანთი ხიზანათი ბეროთი ნასყიდათი კრუხიკამიათი, ნარვაზათი, ქათამაიი მესარკიანთი კანდელაკიანთი, ნადირათი, ნებეირათი, ვარსევანათი, ყრუათი, მწარქანათი, რატიათი, ჩიტირეკიათი, ოთორათი და სხვა.

ამ მიმართებით ნიმუშად გამოგვადგება ყველა ქართველისათვის ცნობილი გვარი თამარათი.



რომელსაც ატარებდა ქართველი ერის დიდი შვილი მიხეილ თამარაშვილი, რომლის ნეშთი მადლიერმა ქართველმა ხალხმა გამოჩინულ მწერალ რუჟო თაბუკაშვილის თაოსნობით, უღალიდან გადაშოსვენა და მუდმივი ადგილსამყოფელი მიუჩინა დიდუბის წმინდა სავანეში.

გვარების ჭერ ლათინურად, შემდეგ სომხურად გადაკეთებინა ადგილი ჰქონდა გორშიც. თბილისშიც და საქართველოს სხვა კუთხეებში მაცხოვრებელ კათოლიკე ქართველებთან (ცხინვალი, ატენი, შინდისი, არაშენა, ხელთუბანი, ხანდაკი, მუხრანის, კარაღეთი, ტუვიავი, რუსისი და საერთოდ დღევანდელი კასპის, მცხეთის, დუშეთის, თეთრიწყაროს, თელავისა და სხვ. რაიონის სოფლებში, მსგავს შემთხვევებს ვხვდებით იმერეთის, სამეგრელოს, გურიის კათოლიკეთადაც.

მოგაქვს გრიგორიანულ ეკლესიაზე გადასულ ქართველ კათოლიკეთა ძველი გვარების ნიმუშები გორის რაიონიდან:

ბოსრუაშვილი (დღეს ბოსროევი), ღარიბაშვილი, ბაქრაძე (კარაღეთელი), ნაცვლიშვილი, ზუბალაშვილი, მამულაშვილი, გალუსტაშვილი, საკაშვილი, დავითაშვილი, გოგიაშვილი, ჭაფარაშვილი, ანტონაშვილი, მამასახლისაშვილი, ჭიკაშვილი, ბეკერვალიშვილი, დათუაშვილი, ზაალიშვილი, მამუჩარაშვილი, ხითარაშვილი, უორლანაშვილი, მურადაშვილი, ლელაშვილი, იეკაშვილი და სხვა.

შემდეგში, ქართველი კათოლიკების დიდმა ნაწილმა აღიდგინეს და დაიბრუნეს თავისი ნამდვილი გვარი, რაც შეეხება ენას, გარდა იმგვარი შემთხვევისა, მათ იგი არასოდეს არ დაკრწებიათ და უოველთვის მეტყველებდნენ მშობლიურ ქართულ ენაზე (მხედველობაში არ ვიდრე ახალქალაქის რაიონის სოფელ ბაგრაში, კულიკაში, კარტიკაში, ტურცხსა და სხვა სოფლებში მაცხოვრებელ „ფრანგებსა“ და საქართველოს სხვადასხვა ადგილზე გაფანტულ „ბერძენ“ ქართველებს, რომლებმაც დაიღწეეს მშობლიური ქართული, ამეტყველდნენ ჭერ თურქულად და შემდეგ კი, სომხური ეკლესიისა და სკოლების წყალობით სომხურად).

ქართული კათოლიკური მოხალხეობის თვალსაჩინო ნიმუშად შეიძლება ჩაითვალოს ძველისძველი ქართული სოფელი ხიზაბაკრა (ასპინძის რაიონში). აქ შემორჩენილია როგორც შესანიშნავი და არქიტექტურულად მეტად საინტერესო ძველი მარხლამაღიანობის ეკლესია თავისი სასაფლაოთი, ისე ახალი, კათოლიკური ეკლესია, რომელიც თავის ბარჯებით ააგო მღვდელმა მიხეილ ვარძელაშვილმა. ხიზაბაკრაშიც გადაკეთეს გვარები — ჩამოიშორეს „შვილი“ და „ძე“ და იწერებოდნენ: გოგოლათი, დაათი, შაშმანათი (იგივე შარიფათი), ქუჩუკათი, ხუციანათი, ველიჯანათი, კაკათი, გორჯლანათი, ურუანათი, კოშორათი, შემაშათი, ფიქრიანთი, ქურქჩიანთი (მანანაძე), ტატურა-

თი, ბერნადეთი, კანკოთი, ალოთი, **ქართული ენის** პლაკინთი, ფირფირათი, ცეცხლაშვილი (იხ. „აკაკის კრებული“, 1897 წ. № 1, გვ. 11-28). ამჟამად აქაც უველა გვარი აღდგენილია.

ისტორიული სინამდვილის აღსადგენად, გარდა საეკლესიო-საპატრიარქო დოკუმენტებისა, შიორად საფლავის ქვებიც გვებმარბიან. — ცნობილია, რომ ქართველ კათოლიკეთა დიდი ავტორიტეტის მქონე მსახურთ ეკლესიებში და მის ახლო-მახლო საპატრიარქო ადგილზე ასეთ-ღვათებდნენ. მაგალითად, ახალციხეში, სადაც ოთხი ქართული კათოლიკური ეკლესია იყო. 1784-1800 წლებში დაქრძალული არიან: აწყვერელი იოანე, საბაშვილი იაკობი, ტერ-იოანე-გარსევანიშვილი, გრიგოლ კრუჩიჭამიაშვილი, იოანე აივაზიანი, ნარუანთ გრიგოლია, ანტონ ქოჩახათი, ისკანდარანთ პოდოსა, ხოცივანთ იოანე, ვართანანთ ხეჩატურა, ხუციანთ ტერ პოდოსა, შეფისაანთ სტეფანე, მღებრიანთ სტეფანე, ანტონ ქარელაშვილი, ტერ პოდოს ხარისპირაშვილი, პავლე შაჰყულაიანი, იაკობ ფიქროვი, სარქის მხოთაროვი, ტერ პავლე ლაზარაშვილი, გალუსტაანთ იოსები, ასლანოვი სიმონ, მურადიანთ იაკობი, პოდოს ბალაბოვი, ელიზარაიანთ პოდოსა, გოშალიაანთ სტეფანე, ლოშაანთ პეტროსი, იაკობ აბკაროვი და სხვები. გვარები ამოკრფილია ქ. ახალციხის ივანე ნათლისმცემლის ეკლესიის „კონდაკიდან“ (წ. ქიკინაძე დასახ. ნაშრომი, გვ. 12-13). ეს წარტრები დასტურება იმისაც, თუ გრიგორიანული ეკლესიის წყალობით, გვარების გარდა, თანდათანობით როგორ გადაკეთდა სიტყვა „შამა“ — „ტერ“-ადა და საერთოდ როგორ შეიცვალა ქართული გვარები და სახელები „სომხურად“.

ხამწუხაროდ, გადაკეთების დროს, მრავალი გამოჩენილი ქართველი კათოლიკის პირვანდელი ქართული ნამდვილი გვარი დაიკარგა, ამათგან, მხოლოდ მცირე ნაწილმა შოაღწია ასეთებია: მელიქიშვილები, უმიკაშვილები, თამაზაშვილები, კობიაშვილები და ა. შ. დღეისათვის ეს გვარები თითქმის იმეფათობას წარმოადგენენ. ასევე ითქმის ცნობილ კათოლიკე აზნაურიშვილების გვარებზეც: ხურსიძენი (ისარლოვები); ნებეირიძენი, ტარაშვილები (უაზავეები), ჩიგინიანები, ზუბალაშვილები, დავითაშვილები, ბეჭირგანიშვილები, ნაზარბეგაშვილები, დანიბეგაშვილები, შვეკრდაშვილები, შერამანიშვილები (შერამანოვები), უაითაზიშვილები (უაითაზავეები), მასტაშიშვილები (მასტაშვილები) და სხვ.

თვადიშვილებიდან კათოლიკებად ითვლებოდნენ ნაწილი ქვემოთ ჩამოთვლილი გვარებისა: ორბელიანები (საბა, ვახტანგ, ივანე, შათი ბიძაშვილები); ერისთავისშვილები, თუმანიშვილები, ციციშვილები, ბართაშვილები, ანდრონიკაშვილები, ჩოლოყაშვილები, ბეგათაბეგაშვილები და სხვ.

მეტად საინტერესო სურათს იძლევა გვარე-

ეროვნული მემორიალი

ბის მხრივ თბილისში მცხოვრები ქართველი კათოლიკეებიც, რომელთა გვარებსაც აქვე უცვლელად გთავაზობთ ზაქარია ჭიჭინაძის წიგნიდან „ღარბაშვილები (დღეს ღარიბოვი)“. უამაზიშვილები (ყამაზოვი), შადინაშვილი — მრავალნი, ჩუთმიწაშვილები, ცოცხალაანი, ჭიანჭურაშვილები, ხოჭა-სიმონიშვილები, ჩანუაშვილი, ოქონანთშვილი, კაკულაშვილი, ჩანელაშვილი, — მრავალი, მირაქაშვილი, ხანუმაშვილი, იერაიანი, ურიხანასშვილი, ვართანაშვილი, შუაშვილები, ტერუაშვილები, ამთი მონათესავე მართლმადიდებელი ქართველ აზნაურისშვილები დღესაც სცხოვრობენ. სომხიაშვილი, იუზოვი, მღებრიშვილი, ოცხელი, გიუნოვი, ამთი მეგვარე მართლმადიდებელი ქართველი გლეხნი დღესაც ცხოვრობენ პატარძელს. ბერეკაშვილი, ამთ მეგვარე იმერეთშიც ცხოვრობენ, ქართველ მართლმადიდებელ გლეხნი, უარაზანაშვილები, ამთ მეგვარე ქართველი მართლმადიდებელი მრავლად სცხოვრობენ თბილისში, ბაბულაშვილი, შიშმანიშვილი, დონიასშვილი, კიშურაშვილი, მადათოვი, მამუკაშვილი, საიფოვი, სიმონიშვილი, მართლმადიდებელნიც არიან დღემდე დაშთენილი, ყაიბეგოვი, საფარაშვილი, თავკალაშვილი, იამერანისშვილი, დავიდოვი, კირაკაზოვი, ბუვანისაშვილი, საინოვი, ბოსთანაშვილი, კუაშვილები (მრავალნი), თამაშვანი (რუსტომა), თუთულაშვილები, იაკობინაშვილები, კოსტანაშვილი, კუკუჩანაშვილი, დონიანიანი, ასბარაშვილი, ვრიგოლისშვილი, ჩითახაშვილი, ალავერდაშვილი, ამირიანი, აბუსაშვილები (პაპუნ-ბეგი), პაპალაშვილი, ბოსტანჩიანი, ბიცუაანი, მურცკოსონიანი (შ), ქარუმაშვილი (ქარუმი), თუმანიშვილი, დუანდარიშვილი, ამთ მონათესავე მართლმადიდებელი ქართველი სოფელ დიდოშს ცხოვრობენ, ნარიშინიანი, ქიქოვი, ჭიშხერისშვილი, გურგენისშვილი, ჩანულოვი, ჩანაშია, ჩარახაჩიანი (მექალამნი), შაკრაბიძე, ქუტუკაშვილი, უაზინიანი, ქაშიანი, ყარამდივისიშვილი, ნანეტალაშვილი, წონიაშვილი, ორთაქალელი ბენიამინე ყალუქიანი, ბადინიანი, შანდარუშვანი, სათუმაშვილი, ფაჩიაშვილი, პავლიევი, ქვაბიაშვილი, ქარჩიევი, დაჩინაშვილი, მოშჩიანი, ტერშინიკი, ტერ-საარკოვი, კობახიძე, საპონჩანიშვილი, აღხაზოვი (მოხდოკელი), ბანდურასაშვილი, ჭიშხეროვი, ნალბანდოვი, ყაიბეგაშვილი, იშხიროვი, ყაუხჩიშვილი, არაქელაშვილი, არუთინაშვილი, გორგისშვილი, აყოფასშვილი, ვარლამაშვილი, დაზარესშვილი, მესამთლისშვილი, ფილიპესშვილი, ნონაშვილი, პეროაშვილი, შერეშელაშვილი, ონანაშვილი, პერიაშვილი, კობალაძე, თოროშაშვილი, თომასშვილი, თორმანასშვილი, უზბაგისშვილი, უზბაშოვი, შერგოლაშვილი, ანტონოვი, მიზანდარი, ზაქარიაშვილი, მაისურაძე, გორელაშვილი, საფაროვი, ჩანულოვი, მამალაშვილი, ზარაფოვი (დიდი ჭვარი), ხანუმაშვილი, ონანოვი, ქარიევი, ამი-

რადაშვილი, ვართანოვი, კანკელაშვილი, მელიქაშვილი, ოქროშვილი, შიშინაშვილი, თაბაგოვი, შუაშვილი, ფიბუაშვილი, მადათოვი, აღიბეგაშვილი (დღეს აღიბეგოვი), გოგიაშვილი, კობიაშვილი, გულელმოსხეშვილი, დაღეკხუხაშვილი, თაფლიდარაშვილი, კუნთაშვილი, გულაშვილი, აღმურაშვილი, უასიშვილი, არუთინასაშვილი, პოდოსოვი, ქურჭიშვილი, პავლიეშვილი, დარჩიაშვილი, გვარიდუნაშვილი, თერძიშვილი, ყაზახაშვილი, ყაშახანი, შარუაშვილი, ჩითახოვი, ჩუჩარმაზიშვილი, ქუყევი, პეტრუსაშვილი, სიმონიანს სიმონიშვილი, ბაღდასარაშვილი, ტულუკაშვილი, ფონდუაშვილი (ფონდოევი), ოშანეზაშვილი, კაკულაშვილი, იოსებისშვილი, მარჩანიშვილი, დოღრელაშვილი და მრავალიც სხვანი ამგვარნი“.

ასევე საინტერესოა და სტატისტიკურ შესწავლას მოითხოვს დამყრობა-ძალდატანებითა თუ სხვა მიზეზებით სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს პროვინციების „დაქარგული“ თუ „დაცარიელებული“ სოფლების საკითხი მათი რაოდენობა ზ. ჭიჭინაძის ნუსხით ასეთ სურათს იძლევა (აქ არ შედის წალკა-თრიალეთის მხარე): ჩავახეთიდან — 2500 სოფელი, მესხეთიდან — 3000, არტანუჯიდან — 500, შავშეთიდან — 3000, ერუშეთიდან — 2000, კლარჯეთიდან — 3000, ლაჩისტანიდან — 500, თორთოშიდან — 2500, ვარსიდან — 2000, და ე წ ს. ბერძენიასა და სომხეთის საზღვრებთან (ბანასა და ანელის ხამატრიაჩქოდან) — 500 (ზ. ჭიჭინაძის დასახ. წიგნი, გვ. 115-116).

დასასრულს, ქართველ გრიგორიანების საკითხთან დაკავშირებით უნდა აღვნიშნოთ, რომ ჩვენი საუბრის დასაწყისში ქართველ კათოლიკეთა უკიდურეს მდგომარეობაში ჩავარდნამ, შედის რუსეთის აქტიური „დამხარებით“ მათ მიმართ სომხური ეკლესიის მიერ განხორციელებულმა ასიმილაციურულმა ღონისძიებებმა — გრიგორიანულ სარწმუნოებაზე მიწერამ — თვით რომის პაპიც შეაშფოთა იგი იძულებული გახდა 1903 წელს სომხთა და ქართველ კათოლიკეთა შორის უკიდურესად გამწვავებული ურთიერთობის მოსაგვარებლად, გამოეგზავნა ყოვლად სამღვდელთა რომის კათოლიკეთა, ტიბასპოლის ეპარხიის ეპისკოპოსი ედუარდ ბარონე დე რომი, მან ამოგზავრა საქართველოსა და სომხეთში, იყო ზითუმში (მანვე აკურთხა ზუბალაშვილების მიერ აგებული ბათუმის ქართველ კათოლიკეთა ეკლესია), ქუთაისში, გორში, თბილისში, ახალქალაქში, სოფელ ხიზაბერში, სწორედ ამ სოფელში, ადგილობრივ ქართველთა მიმართ წარმოთქმულ სიტყვაში (ედუარდ ბარონე-დე რომის სიტყვა) „მე, კი ბნიდგანე მესმის თქვენი, ქართველ და სომხთ შორის უსიამოვნება, რასაც სამინლად ვსწუბვარ და აი, სწორედაც ამ მიზეზებითა ვარ მე ამ ზემ ეპარხიამი წამოსული, რა მივცე ამ ნაკულლობას რაიმე სამღვდელი, სულ არა იყოს რა, ჩემს ამ მოგზაუ-



რომას ის წაყოფი ექნება სამერმისოდ. რომ ამ ერთ საქმეს მანაც საბოლოოდ მოუღებ ბოლოს ორივეთა სასარგებლოდ: ეს ასეცაა, მარა თავი და თავი ამ საქმისა ისევ თქვენი მოხდება. ექვს გარეშეა, თქვენ თუ მშვიდობით და ტყილად იქნებით, უთუოდ თქვენ თქვენს ენას მოიპოვებთ, ე. ი. რასაც ეძიებთ და სომეხნიც კი თქვენ საკუთრებას (ენას) ვერ წაგართმევენ: ევეთ ბრძოლა კი თქვენ, ორთავ ვაი-წულებათ დედა აზრს თქვენი საქმის განვიტარებისას... შე ე უოველ შემთხვევაში მზა ვარ შეამდგომოდინს გახვევისათვის. სადაც ჭერ არს; სრული იმედოც უნდა ვიქონიოდ დეითი, რომ ეველა იქნება წესიერად, ბოლო აქარებე კი დავევაგინებს... (ედუარდ ბარონ-დე როკანის მოგზაურობა საქართველოში, თბ., 1908 წ. გვ. 29).

ბარონ-დე როკანმა თითქმის იგივე გაუმეორა საქართველოში კათოლიკური სარწმუნოების უძველეს და ერთ-ერთი უპირველესი ქალაქის — ახალციხის ქართველ კათოლიკებს მან თქვა: „ქართველ-კათოლიკენი და სომეხ-კათოლიკენი გადაკიდულნი უოფილბართ ერთმანეთზე ერთი თქვენგანი ცდილობთ ენის მოპოვებას, ე. ი. საბრძანებლო ენაზე ლოცვა-ვედრებას... პირველთათვის კანონიერია, რადგან დედა ენაზე, ანუ გასაგებ ენაზე სურთ ლოცვა (რაც უნდა ესმოდეს მღვდელსა) და უკანონოა ის, რომელიც უშლით ამ უკანასკნელს... ქართველთათვის საბართლიანია ამაზე ბრძოლა, რომ გასაგებ ენაზე ცდილობთ დეითს ვერტებას და შე, სწორადაც უნდა ვეცადო, რომ ეველას თავის ენაზე ქონდეს ლოცვა-ვედრებე და არც უნდა სხვამ დაუხალოთ ესა“ (იქვე, გვ. 34-35).

სამწუხაროდ, ბარონ-დე როკანის შემდეგაც მტრ-ნაკლებად და სხვადასხვა ფორმით არ შეწყვეტილა არსებული წინააღმდეგობანი, ფარბალი არ დაუერთა ზოგიერთ როგორც საეკლესიო, ისე საერო (მათ შორის სამცხნირსო) საზღვარს წარმომადგებელს, ისინი შესაძლებლობის შემთხვევაში კვლავ აქტიურ პროპაგანდას ეწევიან მიერ კიდობანიდან მოყოლებული დღევანდლამდე თავიანთი „ძირითადი მიზნის“ მიხედვით. მათ ძირითადი მიზანი კი, უკვე ზემოთ აღვჩინებთ ამასთან დაკავშირებით, იმასაც „ამტაცებენ“, ათქონს ქართველებში კათოლიკური სარწმუნოება საერთოდ არ არსებულყოფს, ბოლო ვინც ამ სარწმუნოებას მისცევდა საქართველოში (ახალციხე, ქუთაისი, თბილისი, ქართლი, კახეთი...) ეველა ისინი სომხები არიანო.

რადა გუეოქმის, — შეუნდოთ ღმერთმა ევე-

ლას, რამეთუ, ჩვენი — ქართული ტრადიციული ისტორიოგრაფიის წყალობით, ბიბლიოციფიკა

და, რა არგად გვაუწუებს დიდი ქართველ-მეცნიერი ვახუშტი ბატონიშვილი ისტორიის-მნიშვნელობას: „რამეთუ მათიანე მოგვახსენებს დასაბამითგანსა ეამსა, წელსა და საუკუნოსა; მათიანე განარჩევს კეთილსა და ბოროტსა; მათიანე აღაძრებს კეთილის ქმნულებასა და გმობს უკეთურ ქმნულებასა, მათიანე მტუუ-ელებს ქეშმარიტსა და არა სცბის, და მოწმობს სხუთა და სხუთა; მათიანე განამზნობს კაცსა და ერთგულყოფს ქუეყანასა, მათიანე აცნობებს ნათესავ-ჩამომავლობასა, და დასდებს თავსა სარწმუნოებისათვის, და მოუყარულ ჰყოფს მოყუასსა მოუყასისა მიწართ“.

ჩვენი ვალია დავუფლდოთ ამ მათიანეს — ვიცნობდეთ ისტორიას და ტრადიციულად „ვიუ-ვნეთ მოუყარული“ ადამიანთა, ხალხთა მიწართ.

დიახაც, უოველთვის უნდა გვახსოვდეს ვინ ვიყავით, ვინ დავრჩით, ვინ საიდან მოვიდა „დასაბამითგანსა ეამსა, წელსა და საუკუნოსა“; ვარჩევდეთ ვინა ბეტრი და ვინ მოუყარეა; შე, საფერისად შევხვდეთ კეთილსა და ბოროტსა, ქეშმარიტსა და ტუუილს...

ამ შემთხვევაში კი, უნდა ვიცოდეთ, რომ წამებულ სომეხ ხალხს მართო ჩვენ როდის გავუწოდეთ მშობისა და მეგობრობის ხელი, ისინი, სამშობლოდან ლტოლვილები მსოფლიოს მრავალმა ქვეყანამ შეიბიზნა და ამჟამად მრავლად არიან თურქეთში, ირანში, ერაყში, ლივანში, სირიაში, პალესტინაში, ინდოეთში, ინდონეზიაში, არაბეთში, საბერძნეთში, საფრანგეთში, იტალიაში, ბულგარეთში, რუმინეთში, ჩრდილოეთ და სამხრეთ ამერიკაში, რომ არაფერი ვთქვათ, საბჭოთა მრავალეროვან ქვეყანაზე.

ამიტომ უმეცრებად, ბოროტებად უნდა ჩაითვალოს მეზობელთა და ძმთა შორის არამეგობრული, მტრული გამოხდომები განა ჩაიძვსიკეთის მოტაბა შეუძლია ისეთ ფაქტებს, როცა, მაგალითად, სამწუხაროდ დღესაც, მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში და ჩვენთანაც იბეჭდება ისეთი წერილები, წიგნები, თუ რუქები, რომლებსაც არაფერი აქვთ საერთო ისტორიულ სინამდვილესთან და მხოლოდ აღიზიანებს ჩვენს ხალხებს? ვის სჭირდება ამჟამად ასეთი რამ? უფველესი კულტურის ისეთ ხალხებს, როგორც სომხეთი და საქართველოა, არ სჭირდებათ სიყაღბე, თვით ისტორია და დედებს მათ გმირობაზე და კაცობრიობის წინაშე ამ დიდ წვლილზე, რომელიც შეიტანეს მსოფლიო კულტურის საგანბოში.

ანდრო გილაქაძე

ჟანრისა და სტილის ზოგიერთი საკითხი ქართულ რომანტიკულ ლირიკაში

XIX ს-ის პირველ ნახევარში საქართველოში რომანტიზმი ბატონობს როგორც ლიტერატურაში, ისე პოლიტიკაში (ამის მაგალითად მიგვაჩინია 1832 წლის შეთქმულება). რომანტიზმმა ხელშეწყობა დაამყარა შემოქმედის თავისუფალი „მეხ“ ჩვენება დასახა, შემოქმედი სოციალური ერთეულია და მისი ნაღვანი ფასეულია იმდენად, რამდენადაც იგი ობიექტური სინამდვილის მხატვრულ ტრანსფორმაციას სხვათა მისაყვდომად აქცევს.

რომანტიზმმა ლიტერატურაში მოიტანა ახალი პრობლემები, ახლებური გააზრება ძველი თემებისა, ძველად არსებული თანრების ახალი შინაარსით ავსება და, ხაერთოდ, ახალი მხატვრული სამუარო შექმნა.

ამ მიმდინარეობის ბრძოლამ კლასიციზმის კონსერვატიზმის წინააღმდეგ, დღის წესრიგში, რა თქმა უნდა, თანრების საკითხიც დააყენა. თანრების საზღვრები იმდენად გაფართოვდა, არც თუ იშვიათ შემთხვევაში, შეუძლებელი ხდება ზოგიერთი ნაწარმოების თანრული ბუნების განსაზღვრა კი, რომანტიკოსების ბრძოლა მიმართული იყო უკველგარი სქემების წინააღმდეგ. ამ მხრივ ნიშანდობლივია ავგუსტ შლეგელის ნათქვამი:

„რომანტიკულ ხელშეწყობას აკმაყოფრლებს ურთიერთდაპირისპირებულიებათა. უკველგარი დაუნაწევრებელი ერთიანობა: ბუნება და ხელშეწყობა, პოეზია და პროზა, სერიოზული და კომიკური მოგონება და წინააღმდეგობა, სულიერი და გრძნობიერი, მიწიერი და ციური სიყოფილი და სიკვდილი.

ხელშეწყობის სამუაროს ჩვენების, ე. ა. თვითგამოსახვის საუკეთესო საშუალებად რომანტიკოსებს (უშუბესად, გერმანელებს) რომანი მიჩნდათ. მაგრამ, უნდა აღინიშნოს, რომ ამ მიმდინარეობამ მხატვრული აზროვნების მწვერვალს მიაღწია პოეზიაში მანერის განვითარებას.

ჩვენი უფრო რეალიზმის ეპოქა, როგორც ვხედავთ, რომანტიკოსთა თეორიული ნაწარმები და პრაქტიკული განხორციელება, იგივეობრივი არაა წინააღმდეგობრივი იყო სინამდვილესთან არამარტო მათი დამოკიდებულება, არამედ მათი პირადი ცხოვრებაც.

რა პრინციპით შეიძლება მივუღვეთ რომანტიკოსთა ლირიკის კლასიფიკაციას ახეთ შემთხვევაში? ვთქვამთ: შეუძლებელია მართებულად გენრიბ მარკევიჩის შეზღვევა ნათქვამი:

„მსგავსი პრობლემის წინაშე მდგარი ლიტერატურის მკვლევარნი ჩვეულებრივად ცდილობენ თანრის დეფინიცია მოახდინონ მისივე ანტირიოდან, ზოგჯერ ამ მიზნით ისინი ეძებენ ამა თუ იმ თანრისათვის დამახასიათებელ ნიშნებს. მაგრამ სრულად ხანაღვრ შედეგებს აღწევენ. ასე მაგ. კომედიო — ესაა დრამატული ნაწარმოები. რომელსაც აქვს ბედნიერი დასასრული, ვაკცინებს; ანდა სოველა არის მტირე ეპიკური ფორმის ნაწარმოები და ა. შ. ახეთ დროს არსებითი შეშეწყობითი ლირებულება უნიჭება თანრული სექციების განსაზღვრას ისტორიზმის პრინციპით.“

ლიტერატურის თანრების საკითხი უკველთვის იყო და არის მუცნიერთა კამათის საგანი, რადგან არ ხერხდება საკლასიფიკაციოდ ერთი რომელიმე ნიშნის მოძებნა, ამასთან ეპოქათა ცვლილებასთან ერთად იცვლება გეოგრაფია, შეფასების კრიტერიუმები და, ამასთან, ცვლილებას განიცდის ლიტერატურული თანრი.

რომანტიკული ლირიკის უველაზე პოპულარულ თანრად ეღვევა იოველებოდა, ამიტომ შეშეწყობითი არაა ის ფაქტი, რომ ბელინსკიმ მას „ულტრა რომანტიკული თანრი“ უწოდა. ეღვევათ განვიარების თავისებური და საინტერესო გზა ვანვლო ანტიკური სამუაროდან რომანტიზმამდე — ჩვენი ინტერესის საგანამდე.

— თბილისი, 1951 წლის თებერვალი.



ხელწოდებით ჯერ კიდევ არ აღნიშნავდნენ ლექსს.

ახეა ქართულ სინამდვილეშიც. XIX ს-ის I ნახევრის წამყვანი ქართველი პოეტების შემოქმედებაში — ალ. ჭავჭავაძისთან, გრ. ორბელიანთან, ნ. ხარათაშვილთან ელევგიით დახატა-ურებული არცერთი ლექსი არ გვხვდება (ახეა ეს ამ პერიოდის და, მით უმეტეს, აღრეული ხანის სხვა პოეტებთან), ეს, რა თქმა უნდა, არ ნიშნავს იმას, რომ ამ შემოქმედო არ ეწეროთ ამ უანრის ლექსები, პირიქით, მათი პოეზია უმეტესად ელევგიითაა წარმოდგენილი.

ქართულ სინამდვილეში უანრების კვლევის ცალკეული, ფრაგმენტული, შემთხვევები თუ გვაქვს, მათი მონოგრაფიული შესწავლა კი მომავლის საქმეა. ამიტომ ჩვენი წერილი მხოლოდ მოკრძალებული ცდაა ამ ხარვეზის ამოვსებისა.

XIX ს-ის ქართული ლიტერატურის ისტორია ალ. ჭავჭავაძის შემოქმედებით იწყება. და პირველი რომანტიკოსი პოეტაც იგია. ამიტომ მისი შემოქმედების მიჩნევა ძველისა და ახლის ნიშნების მატარებლად, რაიმე სერიოზულ წინააღმდეგობას არ შეიკავს.

ქართულ ლიტერატურულ კრიტიკაში არა ერთხელ იყო გამოთქმული აზრი იმის შესახებ, რომ ალ. ჭავჭავაძის ლირიკა ატარებს ეპიკურეზმის ნიშნებს, რომ მისი შემოქმედება ლბინისა და დროსტარების, საერთოდ, ზერედე მოტივების მატარებელია. დაპარაკობდნენ და დაპარაკობენ პოეტზე აღმოსავლური ლიტერატურის დიდი გავლენის შესახებ (რაც გარკვეული თვალსაზრისით სიმართლეს არაა მოკლებული), ილ. ჭავჭავაძემ პირველმა მიუთითა: ალ. ჭავჭავაძის პოეზიაში არსებული სერო პირისადმი გულისტივილის არსებობაზე. შემდეგ ეს მოსაზრება ი. ფანცხვამ, კ. აბაშიძემ და სხვებმაც გაიზარეს.

ამ მოსაზრების საილუსტრაციოდ ხაქმარისი იქნება დავასახელოთ ელევგები — „ოპ ვით გვემტუნვა“ და „ვაპ სოფელსა ამას“. პირველი ლექსის სვედის მიზეზი აშკარად ეროვნული დამოუკიდებლობის დაკარგვაა, ამაზე მიუთითებს ელევგის შემდეგი სტრიქონები:

„დავიდნენ მთებსნი
შარავანდო მფენნი
აწ იგი მუენნი“

აქ ეპითეტები — „შარავანდო მფენნი“ და „მუენნი“ გავფიქრებინებს, რომ ისინი მეფეს (მეფეებს?) და მის ახლობლებს უნდა მიემართებოდეს. ამ პერიოდის ლიტერატურაში (ჭანსაკუთრებით კი ორბელიანების შემოქმედებაში) მეფის ტირილი თავისუფლებაზე გლოვის სინონიმადაა ქცეული. ეს ფაქტი კი ელევგის კონ-

კრეტულ გამომწვევ მიზეზე მოგვანიშნებს. ანე ლექსშიც „ვაპ სოფელსა ამას“, ჭავჭავაძე გიური განწყობილების წუაროდ სოციალური უკუდმართობა და მასთან ერთად აღმოცენებული ბოროტება, სიცრუე, სიმართლის დევნა, ერთის სიტყვით — მოუწესრიგებელი სინამდვილე გვევლინება:

„ვაპ, სოფელსა ამას და მისთა მდგმურთა,
ბოროტებისა და სიცრუის ჭურთა,
ეთილ მოყვარების დათრგუნვის მსურთა
უსაფუძვლოთა
მდაბალთ ჩავერით, მტაცებლობით და
ხვევით!“
(გვ. 30).

ალ. ჭავჭავაძის ელევგიათა მიზეზი კონკრეტულია, რის აღმოჩენასაც გვიადვილებს პოეტის ერთი სტილური ხერხი, რეფრენი, რომელიც ლექსის მთავარი თემის გამოკრებაა, ან მთავარი სათქმელის ხაზგასმა.

„ვაპ, დრონი, დრონი, ნაგებნი მტებარად,
წარილტვენ, განქრენ სიზმრებრე ჭქარად;
ეს უველაფერი სამწუხაროა მაგრამ მთავარი
მაინც ისაა, რომ

„მე იგივე ვარ მარად და მარად!
არ უსდევ ვამთა ცვლას,
მე იგივე ვარ მარად და მარად!“
(გვ. 4).

რეფრენთა მთელი სისგემა მოცემული ალ. ჭავჭავაძის ლირიკაში, ესენია: პირველი (დანომრვა, რა თქმა უნდა, პირობითია) რეფრენად აღებული პირველი სტროფის ბოლო სტრიქონი („ვაპ სოფელსა ამას“), ან სტრიქონები („ვაპ, დრონი დრონი“), მეორე, როდესაც ლექსის პირველი სტროფია მთლიანად გამოყენებული და შესამე, როდესაც რეფრენი ლექსიდან აღებული მეორე ან შესამე სტროფებია (პირველის ნიმუშია „ვამნი რბიან“, მეორისა კი — „ოპ ვით გვემტუნვა“).

ალ. ჭავჭავაძის აღნიშნულ ელევგებში მრავლადაა სენტიმენტალური განწყობილების გამომხატველი „ვაპ“, „ოპ“ — და სხვა მრავალი მსგავსი სიტყვა. პოეტმა მხოლოდ „გოგჩაში“ მიაღწია სრულყოფილი რომანტიკული ელევგის ფორმას. ლექსის თემა ფილოსოფიური ხასიათისაა და ამდენად, ზოგადიც — ესაა დროის განუწვევებელი ცვალებადობა. ეს თემა უცხო არ უოფილა არც ჩვენი „აღორძინების ხანის“ პოეტთათვის, მაგრამ სხვადასხვაგვარია მხატვრული დამუშავება და გადაწყვეტა. ალ. ჭავჭავაძისათვის მთავარია არა პირადი დამოკიდებულება (რაც აშკარაა „ვაპ დრონი დრონი“) არამედ მარადიულ დროთა ცვალებადობის განმსაზღვრელობა ადამიანთა ცხოვრებაზე.



მწიგნობარი ბიზანტიისაჲს

„აჰა, პალატა დიდებულია ნგრეული ნაშთი.
 აჰა, ქალაქი ჩინებულია ზედრი უცილო.
 აჰა, ჩვენისა მომავლისაც ნამდვილი ხატო:
 მხოლოდ აწმყოზე რას დაბმულხარ,
 ხედევე ბრობილო!“
 (გვ. 92).

ალ. ქავჭავაძის შემოქმედებაში ძირითადად ელევგიათა აღნიშნული თემები გვხვდება. მის შემოქმედებაში პოეზიის ამ თანის გაბატონებული მდგომარეობა არ მოუპოვებია და არცაა, ალბათ, ეს ვასაკერი, თუ ალ. ქავჭავაძის მოღვაწეობის დროს გავითვალისწინებთ.

არც გრიგოლ ორბელიანს შეუქმნია მდიდარი მემკვიდრეობა ამ თვალსაზრისით. მან საუკუნის პირველ ნახევარში მხოლოდ სამი ელევგია დაწერა.

პატრიოტული ელევგია პირშოა რომანტიზმისა. ეს თანრი დღეგრძელი აღმოჩნდა ქართულ ლიტერატურაში — ერის მძიმე მდგომარეობის გამო. ამგვარი ელევგიის დამამკვიდრებლად ორბელიანები გვევლინებიან (ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, რომ ალ. ქავჭავაძისთანაც გვხვდება ამ სახის ლექსები, მაგრამ ორბელიანების ლირიკა ამ თვალსაზრისით უფრო გამორჩეულია).

გრ. ორბელიანის ლექსი „იარალის“ ერთი შეხედვით ილიიას წარმოადგენს (აქი პოეტმა ამით სცადა, ეანდარმერიისათვის აეხვია თვალთ). მაგრამ წარსულის წარმტაცი სურათების აღწერა დანაკარგის ნათლად წარმოსაჩენადაა გამოწეული. პოეტისათვის წარსული კონკრეტული სურათებითაა წარმოდგენილი: თვით სუფრის აღწერა მხოლოდ ქეიფის, თრობის ასოციაციის გამოწვევისათვის არაა გამოწეული. ეს ჩანს შემდეგი სიტყვებიდან:

„შენ მომიტრობდე,
 მე ყრმა გისმენდე,
 გამოუცდელი მოხუცებულსა,
 თუ ვით ივერნი,
 ლომგულნი გამირნი,
 კბრძოდნენ, კტხოვრობდნენ დროსა
 წარსულსა.“¹

თვით ყაბახის აღწერაც კონკრეტულ მიზანს ემსახურება — იგი პოეტს წარმოუდგენს სურათს:

„ამ ვაქაცობრივს შექტევას იგი სიაშით
 მარად უმზერდა შორით,
 ვისცა ეწერა დიდება სახეს, ვისცა არღო
 არს. ვისთვისაც ვსტირით“.

1 წყაროდ გამოყენებული გვაქვს გრ. ორბელიანის, „თხზულებათა სრული კრებული“, თბ., 1959 წ.

ეს ყველაფერი კი პოეტის მიზეზად ქცეულა.

„წარსულთა დროთა, დიდების დროთა,
 ყოველ ეთილი თანა წაიღეს,
 აწ უცხო ცნა ქვეშ, ზოგსა ვკეკრეტ
 ოხერით, და ცრემლით
 ზოგის წმინდა სამარეს...“

როგორც უკვე დავინახეთ, გრ. ორბელიანისთვის კონკრეტულია არამართო თემა ელევგიისა — დაკარგული თავისუფალი წარსული, არამედ კონკრეტული და სახელდებულია წარსულიც და თავისუფლებაც. რომელთაც ალ. ქავჭავაძის ლექსში „ოჰ ვით გვემტუუნა“ შედარებით ზოგადი კონტურები აქვს. გრ. ორბელიანისათვის კი ეს ცნებები აბსტრაქტულნი არ არიან. ეს ყველაფერი პოეტში იწვევს უფრო მეტ ემოციურობას, რაც ლექსში თავისებური ფორმითაა გამოხატული.

შემდეგი ელევგია, რომელიც გრიგოლ ორბელიანმა საუკუნის პირველ ნახევარში დაწერა, არის „ჩემს დას ეფემიას“. ელევგიაში მწერალი წარმოგვიადგება, როგორც დიდი ტრაგიკული ბედის ადამიანი:

„არა! წყვილიდასა მას სადგურსა სხივი
 ნუგეშს-
 ვერ მოუფინნენ საშველებლად გულსა
 უბედურს,
 ვაი მან, ვისცა ჰრაცეს ხუგეზად, ვით
 მე მიმანის,
 რომ შევეჩვიე მწუხარებას და ვარს
 სადგურს!“ (გვ. 48).

პოეტი პირადი ბედის ტრაგიკულობას სრულიად მოუცავს, რის გამოც გადასწურვია საკუთარ თავში ძალის პოვნის იმედი და პესიმიზმს მოუცავს.

„ხვალე არღა მოწამს, ვით ღამემო
 მკეთური სხივი“.

უადრესად ზომიერია გრ. ორბელიანის სიტყვის ხმარებაში. ნუგეშის ცემა პოეტს გარედან უნდა, თავის იმედი აღარ აქვს, ამიტომ მიმართავს ასეთი გაკვირვების დროს მისთვის ძვირფას ადამიანს — დას. მიმართვა ორად-ორი სიტყვით ამოიწურება — „დაო სასურველ!“ ამით გამოხატავს პოეტი უდიდეს სინაზესაც და ნუგეშისცემის იმედსაც. აქი ამბობს კიდევ:

„მაგონს ხუგეზად, ჩეიდა შეებად,
 სასიხარულოდ,
 ლხეხად გულისა, უდროოდ, აწარ-
 დამტკობისა“.



დაო სასურველ! ამა სოფელს შენ დამშოთ
მხოლოდ.
და განმისვენენ კვეთბათვან ბოროტ
შევედრისა!”

ელეგიათა მიგვაჩნია, ჩვენთვის საინტერესო პერიოდში დაწერილი, ვახტანგ ორბელიანის ორი ლექსი „მოგონება“ და „მდინარე ა...ს“. ამ ელეგიებს მხოლოდ ფაქტობრივი მნიშვნელობა თუ აქვთ მხოლოდ, თორემ რაიმე ორიგინალურს თემის ან დამუშავების თვალსაზრისით არაფერს გვაძლევენ (ისინი კატრატული ხასიათის ელეგიაებია).

ორი ელეგია აქვს დაწერილი სოლომონ რაჭმაძეს — „მაშულს“ და „სოფელს“. ერთშიც და მეორეშიც ელეგიური განწყობილება გამოწვეულია სამშობლოს მოშორებით, ორივე ლექსში განცდა პოეტისა ტრაგიკულია.

1882 წლის შეთქმულებამ და მისმა მარცხმა დიდი როლი ითამაშა ქართული ლიტერატურის განვითარების საქმეში. ამ თვალსაზრისით თუ დავაკვირდებით ჩვენში ელეგიის უარს, საინტერესო სურათი წარმოგვიდგება თვალწინ. 1882 წლამდელი ელეგიის საგანი ისტორიაში (წარსულში) იდო, წარსული იყო სევდა-მწუხარების მიზეზიც, ასე მაგ: ალ. ჭავჭავაძის „რამ გემტყუენა“, გრ. ორბელიანის „იარაღის“. ერთთანაც და მეორესთანაც (ამ ლექსებში) ნაღველს დაკარგული წარსული დიდება იწვევს. შეთქმულების გამჟღავნების შემდეგ რეპრესირებულ მწერალთა შემოქმედებაში ელეგიათა სხვა მიზეზი — სამშობლოსაგან მოშორებამ იჩინა თავი (ს. რაჭმაძის ელეგიაები), კონკრეტული საგანისა თუ პიროვნებების გახსენება ხდება ამგვარი განწყობილების მიზეზი. მაგ. გიორგი ერისთავის ლექსები — „თ. სვიმონ შაჩაბელს“, „მტკვრისადმი“, „უბახისადმი“.

საქართველოს ავბედით მდგომარეობას, რაც მაშინდელ ინტელიგენციაში სევდას იწვევდა და რამაც ისინი შეთქმულებამდე მიიყვანა, თვით მწერალთა პირადი უბედურებანი — რეპრესიები; გადახახლებანი, საპატიმროები დაერთო... ყოველთვე ამან გამოიწვია პიროვნული ტკივილებით დაღდაბული ელეგიაები: გრ. ორბელიანის „ჩემს დას ეფუმიას“, გ. ერისთავის „როსალია ბიშპინგის ქალს“, „მაიორ ანტონ შიკვეიჩს, პოეტს“, „უცხო ქვეყნის კაცს“... ეს ხაზი ელეგიისა გააღრმავა და ფილოსოფიური განსჯის სიმაღლეზე აიყვანა ნ. ბარათაშვილმა.

გ. ერისთავის ელეგიაების მიზეზად, როგორც უკვე აღვნიშნეთ, სამშობლოსაგან მოცილება გვევლინება. ქართველ რომანტიკოს პოეტს (გ. ერისთავი პოეზიაში რომანტიკოსია) დამონებული საქართველოს ნახვაც ოცნებადა აქვს ქცეული

„მე აწ სოფელი მოყვასთ ტყვედ წაგვიყვანა და მიბრუნებ კლიტით მამულის კარებს, ველარ ვისუნთქავ ჰაერით ტკბილით, მისთვის მიბრალე გულთ ლმობილი“.
(„თ. სვიმონ შაჩაბელს“ — გვ. 3).

კონკრეტულ საგანთა თუ პიროვნებათა მოხატვა გამოხატვის მის ელეგიაში:

„ჰოი, მოედანო, მიყვარდა მე ქამს
ვაზაფხულის
მიმოსვლა შენზედ, დავსტებბოდი წმინდის
ჰაერით
შინიდან კვკერტლი მქდომარესა
სატრფოსა გულის,
სეირნობაში დამატობდი ლელას
შუერთი“.
(„უბახისადმი“ — გვ. 6).

ქართული ლიტერატურის სინამდვილეში ნ. ბარათაშვილი მედიტაციური ელეგიის უდიდეს წარმომადგენლად გვევლინება (ამ სახის ელეგია პირველად გვხვდება ალ. ჭავჭავაძის ლექსში — „გოგია“).

ამ ტიპის ელეგიაში სევდიანი განწყობილება შეცვლილია ღრმა კეთილ, გრძნობათა ისეთი სიმძაფრე მათში, რომ წმინდა პიროვნულ ნიადაგზე წარმოშობილი განცდა კონკრეტულობას მკარგავს და ზოგადადამიანური არსებობისა თუ საზრისის საკითხთა წრეში ექცევა. ნ. ბარათაშვილი „სულთ ბოროტო“-ს ერთი პიროვნების (ავტორის) ბედით მოიაზრებს ზოგადადამიანურ ყოფიერებასა და სასურველს შორის ტრაგიკული გათიშულობის განცდას. თუ „სული ობოლი“ სევდიან განწყობილებას იწვევს აღმქმელში (მასალიდან გამომდინარე „სულთ ბოროტო“ თავისუფალია ყოველგვარი შელანქოლიისაგან).

პირველში სულის სიმარტოვის, ტოლის ვერპოვნით დაკოდილი პიროვნების ჩივილია:

„ნუ ვინ იტყვი ობლობისა ვებას,
ნუ ვინ სჩვიის თავის უთვისტომობას!
საბრალოა მხოლოდ სული ობოლი,
მწელა პოვის, რა დაკარგოს მან ტოლი“.
(„სული ობოლი“ გვ. 38).

მეორე ლექსში უკვე მოტუებული, ოცნებადამსხვრეული შემოქმედის დიდი ტკივილებია გადმოშლილი:

„სულთ ბოროტო, ვინ მოგებო ჩემად
წინამძღვრად,
ჩემის გონების და სიცოცხლის შენ
აღმაშფოთრად?
მარქვი, რა უყავ, სად წარმიღე სულის
მშვიდობა,
რისთვის მომიკალ ყმაწვილის ბრმა
სარწმუნოებაუ“
(„სულთ ბოროტო“ — გვ. 35).

ეს ლექსი აღწვთობას უფრო გამოხატავს ვიდრე ხედახა და მელანქოლიას.

ქართულ სასოკალურ ლიტერატურაში არაერთგზის აღნიშნუთა, რომ ნ. ბარათაშვილი ტრაგიკული პიროვნება და რომ ეს მის შემოქმედებაშიც აისახა. მასთან უმთავრესი ისეთი ინდივიდუალური განცდები. რაც იმადროოულად ზოგად-ადამიანურია, მარადიული და ზემოქმედების დიდი ძალით გამოირჩევა ნ. ბარათაშვილთან თითქმის არ ჩანს სოკიალურ-პოლიტიკური პრობლემები. უკანა პლანზეა გადატანილი ეროვნული საკითხიც კი. იგი მთელ უურადლებას პიროვნებას აქცევს და გამოხატვისა თუ თვითგამოხატვის მიზნად ადამიანის სულის ჩვენებას იხდის. მისთვის მთავარია არა მიზეზი სულიერი ობლობისა და მიუსაფრობისა, არამედ თვით სულიერი ობლობისა და მიუსაფრობის ჩვენება, მართალია, ეს ყველაფერი გამოწვეულია გარესამყაროსთან შინაგანის შეუთავსებლობით. მაგრამ პოეტისათვის მნიშვნელობა აქვს შედეგს და არა ამ შედეგის მიზეზს ან მისი მიღების პროცესს, ცხადია. ეს ყველაფერი არ ნიშნავს იმას, ნ. ბარათაშვილი ცხოვრებაში — რეალურ სინამდვილეში ვერ ტრეკოდეს.

გვინდა საგანგებოდ შევებო ლექსს „ფიქრის მტკრის პირას“. მასში უურადლებას იქცევს, როგორც რომანტიკული მსოფლადქმა. ისე ლექსის აგებულება.

ამ ლექსს აქვს შესავალი, ძირითადი ნაწილი და დასკვნა.

ექსპოზიციად ლექსში მტკრის მიდამოების სურათია გამოყენებული, რის შემდეგაც იწყება ძირითადი ტექსტი — მედიტაცია და, ბოლოს — დასკვნა. მიუყვით ლექსის ანალიზს თანამდევრულად. მტკარას მიემართება ეპიოეტები, რომლებიც ადამიანისთვისაა დამახასიათებელი: „მოდუდუნე“, „პბუტბუტბე“, „იტღვი“. ეს მხოლოდ მხატვრული ფუნქციით არ უნდა იყოს განპირობებული. მათში, ჩვენი აზრით, განსახოვნებულია ბუნების გაგების რომანტიკული თეორია, რომელიც ბუნებას ცოცხალ, სულიერ არსებად წარმოადგენს. „მათთვის (დაპარაკია რომანტიკოსებზე, ა. ბ.) ბუნება უხულო, სიცოცხლეს მოკლებული საგნების კრებული კი არაა, არამედ — ცოცხალი ორგანული ერთიანობა“ (შესტაკოვი).

გავიხსენოთ ამასთან დაკავშირებით რიუტაევის ცნობილი სტროფი:

Не то, что мните вы, природа:
Не слепок, не бездушный лик
В ней есть душа, в ней есть свобода,
В ней есть любовь, в ней есть язык...»

და შორს რომ არ წავიდეთ, ასეთივე აზრი აქვს გამოთქმული ნ. ბარათაშვილის 1844 წელს.

„მრწამს, რომ არს ენა რამე მთელსმლო უსაკოთაც და ზინე... ჩინოსეკს და უხხოველეს სხვათა ენათა არს მნიშვნელობა მათის საუბრის“ („ჩინარი“, გვ. 59).

პოეტის მიმართვა მტკრისადმი, როგორც არსებისადმი — ესაა, არსებითად, საუბარი მარადისობასთან. სწორედ „მრავალ დროების მოწამე“ მდინარის ფონზეა ჩვენი ცხოვრება „ფუქი და მხოლოდ ამაოება“.

ლექსში მსჯელობა, მედიტაცია გარეგნულ ფორმამაც რეალიზდება, ეს კი აზრთაშორისი პაუზებით მიიღწევა, რაც, აერძოდ, მრავალწერტილით გამოიხატება:

„ვიწი ლეს, ქტვერო, რას პბუტბუტბე, ვისთვის რას იტყვი? მრავალ დროების მოწამე ხარ, მაგრამ ხარ უტყვი!“

ამ სტრიქონებში გამოხატულია ერთი აზრი, რომელიც თავის დასრულებულობას და კატეგორიულობას სათანადო ნიშნით (ძახილის ნიშანი) გამოხატავს. ამავე დროს, არის აზრობრივი პაუზაც, რაც ხაჭირაა აბალი მედიტაციისათვის, რომელიც წინამძვლის ფონზე და ბაზაზე გამოვა.

„არ ვიცი: ამ დღოს ჩემს წინაშე ჩვენი ცხოვრება რად იყო ფუქი და მხოლოდა ამაოება?“


„ფიქრის მტკრის პირას“ დაწერილია მსოფლანად პაუზათა გამოყენების სისტემით, ასეთი ბერხის აუცილებლობა თვით ლექსის სათაურშივეა გახსნილი.

რაც შეეხება ლექსის ბოლო ნაწილს, — ეტოლოგიური დანასკვნია:

„მაგრამ რადგანაც კაცნი გვეკიან — შეილნი სოფლისა, უნდა კდეცა მიესდიოთ მას, გვექმას მშობლისა, არც კაცო ვარგა, რომ ცოცხალი შეკდარსა ემსგავსოს, იყოს სოფელში და სოფლისთვის არა იზრუნესო“.

ეს ეწინააღმდეგება ლექსის ლოგიკურ პირველ დასკვნას, რომელიც მისი აზრობრივი ქოვილიდან გამოშინარეობს:

„მაგრამ თუ ერთხელ სოფელსაც უნდა ბოლო მოეღოს, მაშინ უკლან სთქვას მათი საქმე, ვინ საღდა იყოს?“



„შეკარა აზრობრივი წინააღმდეგობა ამ ორ თეზის შორის, რატომ უნდა მომხდარიყო ეს? იქნებ ეპლეტიკოსთან გვაქვს საქმე? რა თქმა უნდა, არა, პირველი დასკვნა, რომელიც ლექსის კონცეფციიდან გამომდინარეობს, ცხოვრებისეული სინამდვილეა, ბარათაშვილმა თქვა ამით ის, რაც ცხოვრებაშია, მაგრამ, ამავე დროს, პოეტმა თავისი აქტიური პოზიცია სიცოცხლის, არსებობის, ადამიანური ყოფის გამართლებითაც გამოხატა. პირველი აზრიდან შეორწინე გადასვლა ლექსში აღნიშნულია დიდი პაუზით, რაც მათ შორის (აზრებს შორის) გარდამავალი საფეხურის როლს ასრულებს.

პაუზას აქვს აგრეთვე დიდ ემოციითა გამოხატვის ფუნქცია. ამ თვალსაზრისით თუ ვადავებებით თვალს ისეთი პოეტების შემოქმედებას, როგორებიც არიან ქავჭავაძე, გრ. ორბელიანი და ნ. ბარათაშვილი არიან საინტერესო სურათი წარმოგვიდგება, პაუზა თავისთავად გულისხმობს დუმილს და ნათქვამის დრამატიკულ ნობიერებას, ერთგვარ ხანგრძლივობას. ხატის წარმოსახვისას შთაბეჭდილების გაძლიერების მიზნით, ამის გამო პაუზის ფუნქციითა შინაარსი ნაირგვარია. ყველაზე მეტად ეს ხაკობი (დუმბილ-პაუზა) წინა აღნიშნულ წამოწყვეტილ გრ. ორბელიანთან, თითქმის უმნიშვნელოდ ნ. ბარათაშვილთან, ჩვენი აზრით, ეს განპირობებულია შემდეგ გაგრძობებით: ნ. ორბელიანთან (ალ. ქავჭავაძესთანაც) ნ. ბარათაშვილისაგან განსხვავებით ლექსის შინაგანი რიტმი შენედა ბუღია, ამიტომ მეტი უფრადდება დუმილის, მხატვრული სახის აღქმის განაგრძობის საკითხს ექცევა, ბარათაშვილთან ლექსი ნიაღვრად მოედინება, მხატვრული ხატები უფრო აწრაფად ენაცვლებიან ერთმანეთს და პაუზისათვის თითქოს დრო აღარ რჩება (როდესაც ამ ხაკობზე ვლაპარაკობთ, მხედველობაში გვაქვს ამ მწერალთა მთელი შემოქმედება, თორემ ბარათაშვილის მართკ ერთ ლექსში „ფიქრნი მტკვრის პირას“ უფრო მეტი აზრობრივი პაუზებია, ვიდრე სხვა რომელიმე მწერალთან). ავიღოთ რამდენიმე მაგალითი: ალ. ქავჭავაძის გან და გრ. ორბელიანისაგანაც.

„... ამ ორ ვაგონებ, მას ნა შეტო უჩინოს: მაგრამ... ანუ შეწყა ზაათვის ქეწულის? ჩემსას იგი გირჩევიან. — გერჩევოს! შეეწყდოს, და რა! რაღა მოგვებს აწ ვაქუ“
(ალ. ქავჭავაძე, „კობლე და ზღოლი“)

ეს არის კობლეს პასუხი ზღოვსადმი, რომელმაც ბუღბუღი იჩრია კობლეს თავს, ციტირებული სტროფის პირველ სტრიქონში გამოთქმულია ეჭვი მეტოქის ხმის უპირატესობაში, მაგრამ კობლე „მაგრამ“ თან პაუზა ეკოლდება ამ მიზეზის განცხადებით. მხატვრული

სამე სტრიქონშია აღნიშნული („ჩემსას უფრად ჩევიან: — გერჩევოს“), ამ შემთხვევაში უნას მიზეზ შედეგობრივი კავშირის გაცნობიერებისათვის საჭირო დროის ფუნქცია აქისრია.

„დაუნატრი დროთა, რომ აქენდათ ტრფომა შიშულისადმი გულს აღბეჭდილი, რომ ერთგულება, სარწმუნოება, ივეთი თვისებას, შეადგინებდნენ, ოდესცა ბრძოლა და მამაცობა მათსა სახელსა განადიდებდნენ“...
(გრ. ორბელიანი, „იარაღი“).

აქ გაჩუმება შეიცავს გულის წუხილსაც სახატელო წარსული დროის გამო და ხიამაყის გრძნობით სუნთქვის შეკვრასაც, რომელიც გმირ წინაპართა გახსენებას მოსდევს:

„... ეტლი ქრბის, სატრფო მშორდების...
... თანა მდევს ჩემი მას სული ექებერ... შორს ძლივსღა ქჩანს... აღარ ქსჩანს... რაღასა ვუძებერ შვავ ქწილი“...
(გრ. ორბელიანი „სალაო გამოსალმებისა“)

ამ ორი სტრიქონით დახატულია განშორების დიდი სევდაც („სატრფო მშორდების...“) და მთელი პროცესი ეტლის ხვლისა, სიტყვების — „აღარ ქსჩანს...“ — შემდეგ პაუზა ემოციითა მთელი „ხართულების“ შემცველია.

სიყვარულს ქართველ რომანტიკოსთა შემოქმედებაშიც ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი უკავია, რა თქმა უნდა, ეს არ ნიშნავს იმას, რომ სიყვარულზე წერა მხოლოდ რომანტიკოსათვისაა დამახასიათებელი, ასეთი აზრი გულუბრყვალობა იქნებოდა, აქ საქმე ეხება ამ გრძნობის გაგების თავისებურებას.

ალ. ქავჭავაძის სატრფილო ლირიკაზე (როგორც საერთოდ მის შემოქმედებაზე) აღმოსავლური პოეზიის პოეტის გაგლება არა ერთხელ აღნიშნულა, რაც, ფიქრობთ, საფუძველს მოკლებული არაა, ისიც ფაქტადაა უკვე მიჩნეული, რომ პოეტი ბენიკის გაგლებისაგანაც არაა დაზღვეული, როგორც ერთთან, ისე მეორესთან საფუძველი ტრფობისა ვიწუალურია, ახეა ეს ალ. ქავჭავაძესთანაც, გრძნობა აღიძვრის ზორცისაგან და ბორკითვე მოავრდება, სხვა რამ მისთვის, თითქოს, არც არსებობს:

„... მოვედ, მეკონე და შიძონე, შეწამლე წყევლსა, აღიქმა გრძნობით, შამ-ყოფით სრულ ტქმენ გულსა, გრძნობათა ჩემთა სავამთოვ, ვას, შენგან კლულსა! მხოლოდს ხელსა ქნევა, ზოდვთა რეკვა, შამ-ყოფა თვალთა.

ეროვნული ინტელიგენცია

მიშმაგვენ გულსა, შეეშუელსა,
დამსდებენ ვალოსა,
რათა სხვათა მათ დამტყვევებან შეგვიყრა
ვალთა.
არ ვარდომ შავთა პინდთა ჯართა მათ
დაუთვალთა
და მივეასლო ბროლსა მრჩობლით
განათებულსა“.
(„ქარდო კოკობი“).

გრ. ორბელიანთან სიყვარულის იდეალიზაცია
უცხო არაა:
„მოთვარე ამიქს მოწამე, სიამოვნებით
(დავეშხერდა!
ნიაფი სუნელთ ყვავილოვან ჰერბდა და
ქროლის მოგვეყრდა!
ბულბულიც ბუჩქში ფარულად ვარდსა
შეჰყეფდა, შესტრფოდა!
და მით გულს ცეცხლი ტრფობისა
უმეტეს აღმეგზნებოდა!“
(„ღამე“).

ვრცელი ციტატა მისთვის მოვიტანეთ, რომ
ნათლად წარმოვიდგინოთ, რა იწვევს გრძნობას
პოეტში — ქალი იმდენადაა ტრფობის საგანი,
რამდენადაც მისი სხეული, უოველი ნაკვთი
ვნებას აღძრავს. მაგრამ სიყვარულის ასეთი აღ-
ქმა აღ. ჰავკავაძესთან ერთადერთი არაა. მას-
თან გვხვდება ამ თანრის ისეთი ლექსებიც, რო-
მელთა ავტორის აზრი სიახლოვეს ამუღავნებს
რუსთაველის აზრთან სიყვარულის შესახებ:

„თვალნო, რაზომ კლერვიდთ კრემლთა, —
გმართებს მისთა ვერ შქვრეტელთა!
გონებო, შენ რად შმაგობ,
მისგან განუშორებლო?“
(„უეაშნი რბიან“).

ნ. ბარათაშვილთან ეს გრძნობა ტრაგიკულია
— ძლიერია ვითარცა სიკვდილი.
როგორც ცნობილია, რომანტიკოსებთან (გან-
საკუთრებით კი ნ. ბარათაშვილთან) გრძნობები
მოწოდებულია უშუალოდ, ანალიზის გარეშე.
ქართულ ლიტერატურულ კრიტიკაში ერთმა-
დაა აღიარებული, ვითომც ნ. ბარათაშვილი რუს-
თაველური სიყვარულის მომღერალია, ლიტ-
მკოდნეები ამ გრძნობას ამაღლებულ განცდას
უკავშირებენ, მაგრამ სიყვარულის საგნის გა-
გებაში მათი თვალსაზრისები რადიკალურად
განსხვავებულია. რუსთაველისაოვის, როგორც
ზემოთაც აღვნიშნეთ, „მიჯნურსა თვალად სი-
ტურფე“ უნდა მართებდეს, ამდენად „ვეფხისტყაოსნის“
ავტორის ფორმულირება სიყვარუ-
ლისა კლასიკურია. ბარათაშვილთან სრულიად
საწინააღმდეგო რამ გვაქვს:

რუსთაველთან „რა მოზორდეს საყვარელსა,
გამარავლოს სულთქმა უში“. აღ. ჰავკავაძეს-
თან სიყვარული ერთიანია. ეს გრძნობა მასთან
არ განიცდის სულისა და სხეულის გათიშულო-
ბით გამოწვეულ ექვს და ამ ექვზე აღმოცენე-
ბულ ტიკვილს. ამ თვალსაზრისით იგი რუსთა-
ველთან უფრო ახლოს დგას. „ვეფხისტყაოს-
ნის“ ავტორისათვის სიყვარული, თუ შეიძლება
იტყვას, მონუმენტურია — „ღამაზ სხეულში
ღამაზი სულია“. მათი შეუთავსებლობა რუს-
თაველისთვის და ასევე აღ. ჰავკავაძისთვის გა-
მორიცხებულია. საერთოდაც, ეს საკითხი არც კი
არსებობს მათთვის.

„არ შეგმსველოთ მოკისკასე, ცეცელა
ქალსა,
სულს დამტყვევენებს და გრძნობათა
კრულ მოძღერალსა!
ამიქის ენა მან აიარებს, მან
სულდგმულებს,
ხოლო სიყვარულს გული მისი ვერ
მოიკარებს!“
(„ჩემი შეგობარი“ 1841 წ.).

გრ. ორბელიანთან სიყვარული უფრო „გა-
პეროვნებულია“ და მოკრძალებულია:

„მნათობო! თვით ეს აღმობსერ,
რა შემართების, რასა ეკგრძნობ,
როს გხედავ, რადა ემწითოდებო,
რად ეპრთებო, ემწიობ და ვაიობ?
მამის რად ენა სდუდებონ,
რომ შენთან უბნობს ესკლოლობ,
და რასთვის საცვლად სიტყვათა,
მხოლოდ თხერათა ემტყვევლობ?“
(„ს.ს.სი“).

(ეს სიტყვები პირად მწარე გამოცდილებაზე
უნდა შეტყუვებდეს, რასაც ამ სტროფის წინა
სტრიქონი გვაფიქრებინებს „მერწმუნეო, მმა-
ხო, ნაცადი აქვს ჩემს გულს ეს კირი“).
ანდა კლასიკურია ფორმით ჩამოყალიბებული
თეზა:

თუმცა, უნდა აღინიშნოს რომ საკითხის და-
სმა სულიერი კავშირის შესახებ მასთან არაა.
სულის მშვენიერების პრიმატი და მასზე
მშვენიერ სულზე, აღმოცენებული სიყვა-
რულის განდიდების პირველობა მინც ბარათა-
შვილს ეკუთვნის.

„სილამაზეა ნიჭი მხოლოდ სიტყვების
თვით უკვდავება მშვენიერისა სულში
მდგომარეობს“.
(„რად შევედრა კაცა“, 1842 წ.)

ნ. ბარათაშვილის ეს შეხედულებები რომან-
ტიკული ხელოვნების ამ რკალშია მოთავსებუ-
ლი, რომელზეც შეგვემა თქვა: „შინაგანს სუ-
ლიერი ცხოვრება ზეიმობს გარეგანზე გამარჯ-



ვებას და ამ გამარჯვებას ოჯის გარეგანში და ამ გარეგანზე კიდევ ვაჩივლებს. რის გამოც გრძნობადი (აღბათ ბარათაშვილისათვის გარეგანზე აღმოცენებული გრძნობადი ა. ბ.) მოვლენა ღირებულებას კარგავს. უფასურდება თეცემა“.

თუ რუსთაველისათვის გარეგანული სილამაზე მშვენიერების იდენტური ცნება (რამდენადაც იგი კლასიკური ხელოვნების ნიმუშია), ნ. ბარათაშვილისათვის ხელოვნური სრულყოფილება იქცევა მშვენიერების განსაზღვრებად. სიუვარულის ქეშმარიტ იდეალად. როგორც დაერინაშვილმა განსხვავება ამ ორ გენიოსს შორის სიუვარულის (და საერთოდ მშვენიერის) გაგებაში არც თუ რა უმნიშვნელოა. ეს არა თქმა უნდა, არ გამოირიცხავს, რომ ბარათაშვილისთვის გარეგანული სილამაზე იგნორირებულია.

ნ. ბარათაშვილს აქვს ისეთი ლექსებიც, რომლებშიც ლამაზია სიუვარულის გრძნობაზე სულიერების პრობლემის გარეშე ასეულება „თავადის კ...ის ასულს ეკ...ნას“... „საუფრე“ უაღრესად საინტერესო ლექსად გვესახება „არ უკაინო, სატრფოო“ იგი ასეთი ნაწარმოებია, რომელიც იეროპული რომანტიკოსებისათვის (ერძოდ, გერმანულენოვანის) დამახასიათებელ სიუვარულის გაგებასთან აქვეყნებს სიახლოვეს.

პირველ ორ სტრიქონში („არ უკაინო, სატრფოო, შენსა მგოსანსა გულსაუკმა მოკვდავსა ენას არ ძალდს უკვდავთა გრძნობათ გამოიქმან“) გამოთქმულია აზრა ამის შესახებ, რომ პოეტის სიუვარული უსყურია, შეზღუდვი მოდის მისი უცნაურობის დამადასტურებელი სტრიქონები. სიუვარულის მისშტაბები კოსმოტრია, პოეტის გრძნობა განსაკუთრებულია ბუნებასა და მის მოვლენებში. ადვილად სიუვარულის საგახიც „უკაინო დიდარებულთა“ „ეცხარია“. რომანტიკოსთა სიუვარულის შესახებ ცნობილი მკვლევარი შეხატკოვი წერს: „რომანტიკოსთა აზრით, ქალისადმი სიუვარულში, მხოვლიო სიუვარული შედგენდება, ხოლო მსოფლიო სიუვარულში — ნამდვილი არც ქალისადმი სიუვარულია“; ვფიქრობთ, ბარათაშვილს ლექსში გამოხატული სიუვარული დიდ სიახლოვეს ამ ელავნებს იეროპული რომანტიკოსის სიუვარულის იმ გაგებასთან, რომელზეც შეხატკოვი წერს.

მწერლის ინდივიდუალობის მარჯვენებელია მხატვრული სახის შექმნის პროცესში. არაბ მწერლები, რომლებიც ხატის შესაქმნელად სკრუპულოზურ დეტალიზაციას მიმართავენ — რითაც მკითხველს თავისთავად იდეალს აწვდიან ერთ განზომილებაში, მკითხველს ფანტაზიის განხილვადობისა. მათ: თითქმის, ეშინიათ, ვაი თუ ხემა ნათქვამში მკითხველის წარმოსახვაში იხე არ დაიშვიდროს იდეალი, როგორც შე მხურბო, ასეა ეს, მაგალითად, კართულ სინამდვილეში მებობებთან — სადაც ხიტყვების,

დეტალთა ისეთი კორიანტელია, შექმნილი დაგამახსოვრდეს სახე საზოტბო სრულიად განსხვავებული — პირველის საწინააღმდეგო გზაც მწერლობაში. სადაც პორტრეტს, მხატვრულ სახეს მწერალი ხაგნის, მოვლენის უზოგადესი, მაგრამ ნიშნული კონტურის მოხაზვით ქმნის, მაგ: „რა მობრუნდა ქალი ჩემენ, შემოადგეს სხივნი კლდეა“. წარმოსახვისათვის რუსთაველი ისეთ მასშტაბებს ქმნის, რომ თითოეულ მკითხველს ლამაზი ქალის მიხეული სახის შექმნის საშუალებას აძლევს. დიდი ხელოვნების გზაც ესაა, აქ შეიძლება გაჩნდეს კითხვა — როგორ უნდა შეძლოს მკითხველმა ავტორის იდეალის გაგება? ჩვენ შე მოქმედთა წარმოსახვა გავვიღვიძა და გარკვეული გეზით მიმართა, ხელოვნების ამოცანაა აღვიძრას, განგაწუოს ფიქრისთვის, ხედვისთვის და არა მოგვცეს დესკვენბი, გარვენოს და არა შეგანმინოს, როგორი სურათი გვაქვს ამ მხრივ კართულ რომანტიკოსებთან?

კართულ მებობებთა მხატვრული შეთოდის გამგრძელებლებად გვევლინებიან ბესიკ გაბაშვილი და ალ. კავკავაძე. ამ შემთხვევაში ჩვენი ინტერესის საგანი ალ. კავკავაძის ლირიკაა. მას აქვს ერთი ასეთი ლექსი „შენ ღირსებას ნატრულობენ“. იგი არის დამახასიათებელი ნაწარმოები პოეტისა, ამიტომ მისი განხილვა მწერლის შემოქმედებით სტილის ზოგადი ხახიათის მხატვრულია.

„შენ ღირსებას ნატრულობენ ყოველნი ქალნია, იტყვიან თუმცა გვაქენდეს ჩვენცა მისნი თვალნია! აღვისა ტანი, შალოვანი ვერ ვიცინია, ლერწმად ახატოს, ვინც დახატოს მისი. ტანია, ღამლოყა ღბილნი, მკლავნი წერილნი, შავნი თმანი, სადაფ მნაგერელად ფერი ელიან ბროლ ფიქალნია.

ტანიად სარო ხარ, ვარდებრ ღაწენი შენნი ღბილობენ, დალალ თმანი გიშრის ბეწენი ხშირად კრილობენ, ვაი, ძუძუ-მკერდი, კოკობ-ვარდნი ნახად შლილობენ, და შენნი მნახნი კართულ-კახნი შენზედ კილობენ, — სხვათ რა ებახებებ, თორემ მათაც დასწეამს ალია, აღვად ნახარდი, ყოველ გზით მარდი, წყნარად მკვამელი, ექმნეს მას დარად, ვის წადარად უნს შეხვას ვილი.

ქართული
ლირიკის
სიმბოლო

საბოლოო ტანისთვის დაგვეკარგვის
სასუფეველი
ნდობით ექცეებით დღე და ღამე
კრემლის მკარგველი.
რეტი დაესმის, ვის არ უსმის მისი
ხმანია?
(„შენ ღირსებას ნატრულობენ“).

პოეტი ცდილობს შექმნას ზუსტი პორტრეტი
ქალისა, რომლის ღირსებასაც ნატრობენ. არც
ერთი დეტალი არაა გაუმეტაფორებული. მხოლოდ
ერთხელ მიუთითებს პოეტი შინაგან ხასიათზე
ადრესატისა „წყნარად შეკვედი“ მარტო ტა-
ნის ხილამაზის გამოსახატავად რამდენიმე ეპი-
თეტია ნახმარი. ღმირად განმეორებადი: „ალ-
ვის ტანი“, „ღერწმად ხახატოს“, „ტანად ხარო
ხარ“, „აღვად ხაზარდი“. ეს აღწერილობითი
მეთოდი პრინციპულად არაფრით არ განსხვავ-
დება „ძვეკისის მტევნებისაგან“, რომელიც, რო-
გორც ცნობილია, პეტელს ხელოვნების გამარ-
ჯებად არ მიაჩნდა. აღწერილობითი ლექსია
„კავკასი“ აქაც, როგორც ზემოთ აღნიშნულ
ლექსში მთელი უურადლება გადატანილია დე-
ტალიზაციისაკენ.

გრ. ორბელიანის ჰენოვთის საინტერესო პე-
რიოდში დაწერილ ლირიკაში ერთმანეთის გვი-
რდით გვხვდება, როგორც ერთი თუმცა უკიდუ-
რესობისგან განთავისუფლებული, ისე მეორე
მეთოდი პოეტური ხატის შექმნისა. სატრფი-
ალო ლირიკის ერთ ნაწილში „ნ.დში“, „მტირალ
ნ...ს“ და „ნ.დში ერთი და იგივე შედარებები
მონუმენტული, მაგრამ აღმდენად ზოგადნი. რომ
მიწიერებასაც კი არიან მოკლებულნი: „როს
გზედავ მნათო!“ („ნ...დში“, 1824 წ.), „მოვედ
მნათო“ („მტირალ ნ...ს 1824), „მნათობო“
(„ნ...დში“, 1824 წ.), ისიც ნიშანდობლივია, რომ
ასეთი განმარტავადებელი შედარებანი ერთსა და
იმავე ქალს მიემართება — ნინო კავკასიძეს.

გრ. ორბელიანი საინტერესო პორტრეტს გვიხა-
ტავს ეპატერინე კავკასიძისას:

„წინახდლოს ვარდო,
სულთია ტრედო,
გულთია წმინდავ, ვით მთისა წყარო
ვითა ცისკარი,
ხარ მოციწარი,
რომე მხილველის გული ახარო“.
(„ეპატერინე კავკასიძისას“, 1820).

აქ არსად არაა მითითებული იმაზე, თუ რო-
გორი ტონი, თვალები, ტუჩები, თმა... და სხვა
ნაკეთები აქვს ადრესატს. მაგრამ სახე მშვე-
ნიერი ქალისა შექმნილია ზოგადი და უოკლეს-
მთქმელი ეპითეტებით.

გრ. ორბელიანთან გვხვდება პორტრეტის შე-
ქმნისათვის დეტალიზაციისაღენ მისწრაფება, და

ამდენად, ტრადიციულ პოეტულ „სახეწარმო“
ქვევაც „გარანტირებულია“²⁴.

„მურცხალნი — თვალნი შენნი,
გაწებოს სხიელ მომდენნი“
ვარდნი — შენნი ბაგენი,
მარად მოლიმარნი.
თოვლ-ღვიბო-შენნი ლაწენი,
მთაზედ გარდაშლილ ხილუნნი!
შენი წელი-კობაროზ!
და შენი ხმა — სირინოზ!“
(„ს. ს.“ 1932 წ.)

ნ. ბარათაშვილისათვის დამახასიათებელია
მოკლენის ერთი რომელიმე მხარის, საგნის ერ-
თი ნიშნის გამოყოფა და მიხივე ხაზუალებით
მთელი მოკლენის, მთელი საგნის სახის შექმნა.
ასეთი ხატვის კლასიკური ნიმუშია „საყურე“.
„ეთოა კეპელა
არხელ ნელნელა
სატეტას შროშანას ღამაზედ ახრისს,
ასე საყურე,
უცხო საყურე,
კოშაშემა თავისსა არდილს“
(„საყურე“, 1839 წ.).

ამით შექმნილია ბრწყინვალე სახე, მაგრამ
პორტრეტის წარმოსახვა მთლიანად მკითხველზე
მინდობილი, რაც უხაზღვრო ფანტაზიის შესა-
ძლებლობას იძლევა და რაც აღმქმელს „შე-
მოქმედების ახსარეზს“ უზნის.

ლექსში „ღამე ყაბაზედ“ მოცემულია პოე-
ტის სიყვარულის საგნის „იმპრესიონისტული
პორტრეტი“ (აქ, გაწერელია), ამ პორტრეტის
ზოგადი კონტურები „თეთრკაბიანი“, „დაწვზედ
ვარდ აფურცვლილი“, „ბუდეშურ ფეფებიანი“
შედარებულია ქურციკს. ვეფხვთა შორის მდგო-
მელს. იბადება კითხვა, თუ რით აღწევს პოეტი
ახალგაზრდა ქალის დასამახსოვრებელი პორტ-
რეტის შექმნას? (ერ-ერთი იმით, რომ თვითონ
მკითხველიც კმნის მას ფანტაზიით (ამის სა-
შუალებას ავტორი გაძლევს) და შეორც, —
მოულოდმელი შტრიხების აღნიშვნით, ისეთი
დეტალების გამოყოფით, რაც დაგამახსოვრებს
თავს. გამოჩენა პოეტის სათაყვანო არხებისა
შეესებულება: „უცრად მათში დავინახე თეთრ-
კაბიანი“, დამის ფონზე თეთრი კაბა, მოსიერნე
ხალხის შედარება (ეს ხალხი ხეირნობს და ამ-
დენად მშვიდი ატმოსფერო იქმნება. ინტიმუ-
რობა უნდა ხუფედეს) ვეფხვთან და მათ შო-
რის მოსიარულე თეთრკაბიანის წარმოდგენა
ქურციკად, მთვარის შუქზე კომპლიმენტით გა-
მოწვეული ხიფთლის დანახვის შესაძლებლობა
და ქარის მიერ აფრიალებული კაბიდან ბუდე-
შური ფეხები ვნებას მოკლებული არაა:



.....და ბუდეშური მისი ფეხები ლამაზად
მოჩნდა,
რომელთ: სიამით ცნობა ჩემი წაროდეს
თვისდა“.

როგორც ვხედავთ ლექსში მთლიანად ფარ-
უოფილია ხშირი დეტალიზაცია პორტრეტისა,
რაც მომაბეზრებელს გახდიდა სახეს.
ნ. ბარათაშვილი ბუნების სურათთა დახატვი-
ხასაც წესოთ აღნიშნული გზით მიდის:

„გინახავთ სული ჭერეთ უშანკო,
მხურვალე ლოცვით მიქანცებული?
მას ჰგავდა მთვარე ნაზად მოარე,
დისკო-გადახრით შექმბინდული“
(„შემოღამება მთაწმინდაზედ“).

მთვარის შედარება მხურვალე ლოცვით მი-
ქანცებულ სულთან იმდენად ორიგინალური და
უჩვეულოა, რომ მისი დაიწვეება შეუძლებე-
ლია.

ჩვენ განვიხილეთ რომანტიკული ლირიკის
იხეთი ეანრები, ელეგია და ხატრფიალო ლი-

რიკა, რომლებშიც მთელი სიძლიერითაა
დავნდა ქართულ ლიტერატურაში
ნარეობის შესაძლებლობანი. ეს, ცხადია არ ნი-
შნავს იმას, რომ XIX ს-ის I ნახევრის პოეზია
მხოლოდ წესოთ აღნიშნული ეანრებით შემოი-
ფარგლება. ჩვენი არჩევანის მიზანი და მიზეზი
შესავალშიაც აღვნიშნეთ და ამიტომ მათ აქ
აღარ გავიშვორებთ.

თემის განხილვის ფარგლებში არ შემოვიდა
დიდი რაოდენობა აღნიშნული პერიოდის მწე-
რალთა ნაწარმოებებისა — მათი სხვა ეანრე-
ბის კუთვნილების გამო, პირველ რიგში, ვგუ-
ლისხმობთ ისეთ შედევრს ქართული პოეზიისა,
როგორც „მერანია“. კირს მისი რომელიმე
ეანრისადმი მიკუთვნება. იგი არის ერთ-ერთი
ნიმუში ისეთი ნაწარმოებისა, რომლის შესახებაც
თომას მანმა თქვა: „ხელოვნების ფორმის ცნე-
ბა ჰქარგავს მნიშვნელობას, როცა ხელოვნების
ამა თუ იმ ეანრის გენია მთელი თავისი თვით-
მყოფადობითა და სიღიადით მოგვევლინება“.
„მერანია“ კი ქართული ლირიკის გენიაა და მისი
მოთავსებაც რომელიმე ეანრში შეუძლებლად
გვეჩვენება.





ნოდარ კანდელიანი, გურამ ცერცვაძე

ქორონიკონი: მისი ადგილი და როლი ქრისტიანულ ფელთაღრიცხვებს შორის

წერილი მეორე

ჩვენს პირველ წერილში (იხ. [1]) გამოიკვეთილი და დადგენილია ქორონიკონის, როგორც მასწავლებლის მოქცევისაგან შედგენილი ფელთაღრიცხვის, ქრისტიანული არსი ქართული ასომთავრული ანბანის რიგ-სათვალავის ბაზაზე და, ამრიგად, გადაწვეტილად უნდა ჩაითვალოს მისი წარმომავლობის საკითხი. რაც შეეხება ქორონიკონის შემოღების თარიღს, მისი დადგენა უშუალოდ ასომთავრულ ანბანში ასონიშანთა რაოდენობის ევოლუციის საკითხთან არის დაკავშირებული. არსებობდა ის ვარაუდები რომ ანბანის მეცნიერული კვლევის შედეგად გამოთქმული თვალსაზრისის მიხედვით, იმ დროს, როდესაც ქართული ანბანი შეიქმნა, ანბანში იყო 31 ასონიშანი: არქაული ჭგუფი „ან“-იდან „ქან“-ამდე და ქართული ჭგუფი „ბან“-იდან „ჭან“-ამდე. თითოეული ჭგუფის დასასრულის აღმნიშვნელ ასონიშანად ქვარი იყო დასმული. 31 ასონიშანი ასომთავრული ანბანი უშუალოდ ფარნავაზის სახელთან არის დაკავშირებული.

ქართული ანბანის განვითარების გზაზე ყველაზე გვიანდელ წარმომავლობას ავლენს 37-ე ასონიშანი „შ“, რომლის შემოღების ვითარების შესახებ გარკვეული აზრი დღემდე არ არსებობს (იხ. [2], გვ. 212). (იხ. [3], გვ. 122).

პირველ წერილში ჩვენ ვაჩვენებთ, რომ 37 ასონიშანი ანბანური თვისის სისტემა უშუალოდ ქორონიკონთან არის დაკავშირებული. ეს ფუნდამენტალური მნიშვნელობის ფაქტი საფუძველს გვაძლევს გამოვთქვათ თვალსაზრისი იმის შესახებ, რომ 37-ე ასონიშნის შემოღებით მო-

ხდა ფარნავაზისეული წარმართული ქართული ანბანის ქრისტიანობაზე მოქცევა-გაქრისტიანება. ქართული ანბანის მეცნიერული კვლევის შედეგად გამოიკვეთა, რომ მასში დაშიფრული ფორმით ჩაბეჭდილია წარმართული ქართული კალენდარი (იხ. [2], ამრიგად, „შ“-ის შემოღებით მოხდა წარმართული კალენდრის ძირითადი მაჩვენებლების საოცარი გარდასახვა, რომლის მიხედვით მათ ახალი ქრისტიანული შინაარსი შეიძინეს. ზემოთქმულიდან უშუალოდ გამოდინარეობს, რომ „შ“-ის ანბანში შემოღების დროს პირველადი და განმსაზღვრელი იყო მისი რიცხვითი მახასიათებლები: რიგი და სათვალავი. მათთან დაკავშირებული საკითხების დეტალური ანალიზი ჩვენს პირველ წერილშია ჩატარებული (იხ. [1] გვ. 135). ქვემოთ განხილულია ამ ასონიშნის ფონეტიკური მნიშვნელობა და სახელდება. ისინი თავისი არსით არამც თუ არ ეწინააღმდეგებიან ჩვენს თვალსაზრისს ამ ასონიშნის წარმომავლობის შესახებ, არამედ ამაგრებენ კიდევ მას. ანალოგიური თვალსაზრისის შეიძლება გამოითქვას ამ ასონიშნის გრაფიკის მიმართაც. ამრიგად, ყოველივე ზემოთქმულიდან გამოდინარეობს, რომ 37-ე ასონიშანი „შ“ წარმოადგენს ქართული ასომთავრული ანბანის მდგრად, თანასწორფულებიან წევრს.

1. ქართული ასომთავრული ანბანის ასონიშანი „შ“

სულხან-საბა ორბელიანი ქართულ ლექსიკონში (იხ. [4]) განმარტავს: „ართრონი არიან



ასობები, რომელიმე წინა მოწვევებიან სიტყვათა და რომელიმე უკანა“. შემდეგ სულხან საბა დასძენს: „ერთა აღუწერათ ქართულთა შინა ართრონი არა დევსო, არა დაპყვირვებია, ართრონი დევს“. ბოლოს სულხან-საბა ორბელიანს მოჰყავს შეტად მნიშვნელოვანი მაგალითი: „ბერძნულ ეწოდების დმერთსა თეოს. რა ართრონი დაუსვა ითქმის ოთეოს. აგრეთვე ქართულთა შინა: მღმერთო, მუფალო“, ამრიგად, ფონეტიკურად „მ“-ის იგივე ფუნქცია დაეკისრა, რაც ბერძნულში ὀμegas: ὀმი (ჭოვ). ეს პრინციპული მნიშვნელობის ფაქტია. საქმე ის არის, რომ ბერძნულ ანბანურ მწკრივში, „აღფადან ომეგამდე“ ჩამატებულია სამი სიმბოლო სათვალავებით 8, 900 და 90, რომლებიც ასონიშანთა ამ ახალ, გაფართოებულ მიმდევრობაში იკავებენ შესაბამის მე-10, მე-18 და მე-19 ადგილებს.

ამიტომ ცხადია, რომ სათვალავით ბუნებრივი, ზრდადი მიმდევრობა ანბანურ მწკრივში დარღვეულია. მათემატიკის ისტორიის თვალსაჩინო მკვლევარის სტროიკის აზრით, აღნიშნული სიმბოლოების შემოღებით ბერძნებმა დაიშკიდრეს კანონიკური თვლა 1-დან 1000-მდე.

ბერძნული ანბანის რიცხვ-ნიშანთა სისტემაში მაქსიმალური სათვალავის — 1000-ის მე-18 ადგილზე დასმა განაპირობებულია იმით, რომ „ომეგას“ სათვალავით 800 შენარჩუნებული აქვს ანბანის დამამთავრებელი ასონიშნის ფუნქცია. ეჭვი არ არის, ასომთავრულ ანბანში „მ“-ც იგივე ფუნქციას ასრულებს. მისი შემოღებით ქართველებმა დაიშკიდრეს კანონიკური თვლა 1-დან 1000-მდე და ამ აქტით ქორონიკონი დააფუძნეს (იხ. [1], გვ. 144).

მაბარებელ იოანეს „გამოცხადების“ ბერძნულ დედაში ვკითხულობთ:

„მე ვარ აღფა და ომეგა, იტუვის უფალი დმერთი, რომელი არს, და რომელი იყო და რომელი მომავალ არს, უოვლისა მპყრობელი“ (გამოცხ. 1 8).

„მე ვარ აღფა და ომეგა. პირველი და უკანასკნელი, დასაბამი და დასასრული“ (გამოცხ. 22. 18).

ამრიგად, ზემოთხატარებელი მსჯელობიდან ნათელი ხდება, თუ რატომ აისახა მაბარებელ იოანეს ამ ორი უმნიშვნელოვანესი განცხადების „მე ვარ აღფა და ომეგა“ როგორც „მე ვარ ანი და ში“ შესაბამის ქართული თარგმანში. საქმე ის არის, რომ 87 და მხოლოდ 87 ასონიშანი თვლის სისტემაც კანონიკურად აზოციელებს 999 წლიან იმდენ მოქცევას, რამდენი ასონიშანიც არის ანბანში, ანუ ასონიშანი რიგითი ნომერი მოქცევის რიგით ნომერსაც მიუთითებს (იხ. [1]). ამრიგად, 87-ე ასონიშნის ფონეტიკური მნიშვნელობა ზუსტად ასახავს ქართული ანბანური თვლის ოპტიმალობას 999 წლიანი მოქცევების მიმართ: ფონეტიკური მნიშვნელობით, ბერძნული „ომეგას“ მსგავსად,

„მ“- ანბანის დამამთავრებელი ასონიშანი შინ როდესაც „მ“-ის რიგითი მნიშვნელობა ქორონიკონის ამდენივე მოქცევას ამთავრებს. როგორც ვხედავთ, ქართულ ასომთავრულში სათვალავი 87 ასონიშანს გააჩნია.

შენიშვნა: გავიხსენოთ, რომ ასომთავრულში „უ“-ს ასონიშანთა წყვილი „ოუ“ ასახავს. ცხადია, მას სბეციალურად განპირობებული სათვალავი არ გააჩნია, რამეთუ მისი შემადგენელი ასონიშნები ანბანის დამოუკიდებელი წევრებია საკუთარი სათვალავებით: „ო-70, უ-400. აქედან გამომდინარე, „ოუ“-ს სათვალავი ავტომატურად 470-ის ტოლი იქნება. მხედრულში „უ“-ს მიენიჭა ასონიშნის ყველა ატრიბუტი: გრაფიკა — „უ“, სახელდება — უნ და სათვალავი 400. ამრიგად, „უ“, სათვალავის გარეშე დარჩა. აი რას წერს სულხან-საბა ორბელიანი ამასთან დაკავშირებით: „უე“ ჭვილად უნის მაგვირად მჭდარა და რიცხვადაც 400 ყოფილა. შემდგომად 400-ად უნი დაუსვამთ და ანბანში უე უნს უკან მოუსვამთ და რიცხვისაგან ამოუღიათ“ (იხ. [4], გვ. 8).

უოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარეობს, რომ 87-ასონიშნიანი ქართული ასომთავრული ანბანის სათვალავებად წარმოდგენას აქვს შემდეგი კანონიკური სახე:

ა-1	ბ-10	გ-100	დ-1000	ე-10000
ზ-2	ი-20	კ-200	ლ-2000	
მ-3	ნ-30	თ-300	ი-3000	
ღ-4	ყ-40	უ-400	ფ-4000	
ქ-5	ც-50	ც-500	ჭ-5000	
კ-6	ხ-60	ქ-600	ხ-6000	
შ-7	ო-70	ღ-700	ქ-7000	
ჩ-8	პ-80	უ-800	ჩ-8000	
თ-9	ყ-90	შ-900	ა-9000	

ცხრილი I

როგორც ვხედავთ, სათვალავები დალაგებულია სვეტების მიხედვით ისე, რომ უოველი სვეტი ვარკვეულ თანრიგს იძლევა: პირველი სვეტი — ერთეულები, მეორე — ათეულები და ა. შ. ამასთან პირველი სტრიქონის ასონიშნები სათვალავებით 10, 100, 1000, 10000 გვამლევინ შესაბამის თანრიგთა საწყის პოზიციებს (იხ. [1] გვ. 185). რომელთა საშუალებით თანრიგთა გავსება ხდება. არსებითია ის გარემოება, რომ ათობით და ათათასობით თანრიგები ერთი წესის მიხედვით ითვლებიან და, ამდენად, ისინი მსგავს თანრიგებს წარმოადგენენ:

ათი, ოცი, ოცდაათი, ორმოცი, ორმოცდაათი და ა. შ.

ათათასი, ოციათასი, ოცდაათი ათასი და ა. შ.

ამრიგად, როგორც ვხედავთ ისინი ითვლებიან ათობით — ოცობითი ფუძეებით, მაშინ როდესაც ასობითი და ათასობითი თანრიგები მსგავსნი არიან, რამეთუ ისინი ერთეულების საშუალებით ითვლებიან. მართლაც ამ შემთხვევაში გვექნება:

ასი, ორასი, სამასი, ოთხასი და ა. შ.
ათასი, ორი ათასი სამი ათასი და ა. შ.

გადავიდეთ ახლა სახელდების განხილვაზე. 87-ე ასონიშნისათვის ცნობილია სახელდების ორი ვარიანტი: „ში“ და „შე“ (იხ. [4], გვ. 7). შეცნებულმა კვლევამ უჩვენა, რომ 83 ასონიშნისანი ქართული ანბანის ევოლუციის ბოლო ეტაპზე 87-ე ასონიშანი შემოვიდა სახელდებით „ში“. ეს ფაქტი პრინციპული მნიშვნელობისაა ამ საკითხის გარკვევა. საზოგადოდ, მოითხოვს წარმართული ანბანის სახელდებათა სპეციალური ჩგუფებისა და ქვეჩგუფების ცოდნას. რომელთა აღწერას ჩვენ ამ წერილში არ მოვყვანთ, რამეთუ ისინი სპეციალური შესწავლის საგანს შეადგენს. საქმე ის არღვ, რომ „შე“-ს შემოღებით დაირღვეოდა მნიშვნელოვანი სახელდებითი ჩგუფის

[მაე, რაე, ჭე, იე, ჟე]
სტრუქტურა. რაც შეეხება სახელდებას „შ“ იგი დამოუკიდებელ ერთეულმენტთან სახელდებითი ჩგუფის ქმნის იმ აზრით, რომ „ში“ ერთადერთია სახელდებათა შორის, რომელიც მთავრდება ასონიშნით „ი“. ამდენად, სახელდება „ში“ გარკვეულ ინფორმაციას უნდა შეიცავდეს. ამოცანა მის ამოცნობაში მდგომარეობს.

ამასთან დაკავშირებით, არსებითია ის, რომ ცხრილი 1-ის პირველ სტრიქონში „ში“-თ მოწინშულია ასონიშნისათა ოთხეული „შ რ რი“, რომლის ინდექსია (ასონიშნისათა რიგითი ნომრების ჯამი) 114, მართლაც, 87 + 28 + 111 + 110 = 114. ქორონიკონის ძირითადი მაჩვენებლების 28-ისა და 111-ის ერთდროული წარმოჩენა უფლებას გვაძლევს დავასკვნათ, რომ ეს ინდექსი ქორონიკონის 114 წელია, ახლა ჩვენ დავინახავთ, რომ ეს წელი დასაბამიდან მე-12 მოქცევაში უნდა მოვიძიოთ.

ჩვენს პირველ წერილში ნაჩვენებია, რომ ქრისტიანულ წელთაღრიცხვებს შორის ქორონიკონი წარმოადგენს უნიკალურ ფენომენს — მისი წარმომავლობა ცალსახად ქართული ანბანით არის განპირობებული. აქედან უშუალოდ გამომდინარეობს, რომ ქორონიკონის 111 წლიანი პასქალური ციკლის წლების მიმდევრობა ისევე ქართული წარმომავლობისაა. ამიტომ კრიტიკას ვერ უძლებს და მყდარია თვალსაზრისი იმის შესახებ, თითქოს პასქალური წლების ეს მიმდევრობა ქართველებმა სხვა, გარეშე ქორონოლოგიური სისტემიდან აიღეს. მეორე მხრივ, პასქალური წლების აღნიშნული მიმდევრობა ქორონოლოგიაში კარგად არის ცნობილი და დღეს არავის არ ეპარება ეჭვი იმაში, რომ კომპიუტისტიკაში მისი არსებობა იცოდნენ ჭერ კიდევ ჩვ. წ.-ის 313 წელს (იხ. [5] გვ. 24, 47, 55). კიდევ მეტი, მეოცე საუკუნის თვალსაჩინო ქორონოლოგმა ე. შვარცმა 1111 წელს სარდის 312/313 წლების საეკლესიო ურილობის მასალების შესწავლისას, ჯ. ვერონის მანუსკრიპტებს შორის მიაკვლია

ისტორიული მნიშვნელობის ქრისტიანული დოკუმენტს (იხ. [5] გვ. 41) სახელწოდებით „სტრუქტურა“ ურილობაზე სხვა საკითხებთან ერთად განხილული იყო სააღდგომო დღესასწაულებთან დაკავშირებული დისციპლინარული საკითხები. ურილობაზე დადებული იქნა ხელშეკრულება აღნიშნულ საკითხებში დაპირისპირებული რომისა და ალექსანდრიის ეკლესიებს შორის. არსებითია ის, რომ ე. შვარცის მიერ აღმოჩენილი დოკუმენტი ქორონიკონის 111 წლიანი პასქალური წლების მიმდევრობას შეიცავს, რაც უფლებას გვაძლევს დავასკვნათ, რომ ქორონიკონი შექმნილია ჩვენი წ.-ის 312 წლამდე.

თავისთავად ჩვ. წ.-ის 312 წელი, რაც ქორონიკონით მე-12 მოქცევის 114 წელს შეადგენს, მნიშვნელოვანი თარიღია. საქმე ის არის, რომ ეს თარიღი წარმოადგენს 323 წლის ნიკეის 1 მსოფლიო საეკლესიო კრების მიერ აღიარებული ალექსანდრიული პასქალური ციკლის პირველ წელს. ამიტომ იგი პასქალური ციკლების სინქრონიზაციისა ანუ უნიფიკაციის თარიღიცაა და ამდენად მას ფუნდამენტალური მნიშვნელობა აქვს მთელი ქრისტიანული სამყაროსათვის. (იხ. [4]).

აღდგომის ერთდროული აღნიშვნა მოითხოვს პასქალური ციკლების შეთანხმებას ე. წ. „მთვარის ნახტომით“ — ([6]). იგი უნდა გაკეთდეს უოცელ 111 წელიწადული ერთობელ. მაშინ როდესაც ალექსანდრიული ციკლი იწყება, ანუ როდესაც „კოროს რიცხვი“ უდრის ერთს. ალექსანდრიული ციკლი ჩამოყალიბდა ჩვ. წ.-ით 414 წელს. ე. ი. „მთვარის ნახტომის“ წლებია 314, 323, 342, 361 და ა. შ. როგორც ვხედავთ, ნიკეის კრება „მთვარის ნახტომს“ ორი წლით ჩამორჩება ისე, რომ კრების შემდგომი უახლოესი „მთვარის ნახტომი“ 342 წელზე მოდის, ჩვენ შევიძლია დავასკვნათ, რომ ჩვ. წ.-ით 342 წელი, რაც ქორონიკონით მე-12 მოქცევის 114 წელს შეადგენს, ქრისტიანულ წელთაღრიცხვათა სინქრონიზაციისა და უნიფიკაციის თარიღია.

დავუბრუნდეთ ქართული ანბანის სათვალავებად დალაგების პირველ სტრიქონს 1, 10, 100, 1000, 10000 რიგითი ნომრებით 1, 10, 11, 28, 37. პრინციპული მნიშვნელობა აქვს იმას, რომ 37-ე ასონიშნის შემოღებით აღნიშნულ სტრიქონში მთვარისა და მზის წლები სიმეტრიულად დალაგდება: 1 — მთვარე, 10 — მზე, 11 — მთვარე, 28 — მზე, 37 — მთვარე.

საქმე ის არის, რომ ასომთავრულში პირველ ადგალზე მთვარეა, ხოლო 11 და 28 შესაბამისად მთვარისა და მზის რიცხვებია. ამიტომ სიმეტრიის მოსაზრების თანახმად „ში“ წარმოადგენს თარიღს, რომელიც წლების მიმდევრობაში მთვარით 37-ე ადგილზეა, ხოლო მზით მე-10-ზე. ასეთი ქორონიკონის შიგნით მხოლოდ 114 წელია.



$84 = 3 \times 19 + 37$

$84 = 4 \times 21 + 10$

ეკვი არ არის, სახელდებით „მ“ მე-12 მოქცევის 84 წელია დამიდრული.

2. ქართული ეროვნული წელთაღრიცხვა.

ქვემოთ ჩვენ განვიხილავთ მხოლოდ 87 ასონიშნიან ქართულ ასომთავრულ ანბანს. მოხერხებულობის მიზნით ასონიშნებს მხედრულად ჩვენერთ და ასონიშნის რიგით ნომერს, საკორიგების მიხედვით, ქორონიკონის მოქცევის რიგით ნომერთან გავიგივებთ. გადასვლას ასონიშნის სათვალავიდან შესაბამის რიგით ნომერზე მოვხდენთ შემდეგი მარტივი წესით: სათვალავის პირველ ციფრს ვუმატებთ იმდენჯერ ცხრას, რამდენი ნულიც არის სათვალავში. მაგალითად, ნ.ა.ი.ის რიგით ნომრის გამოსათვლელად ვიღებთ $5 + 1 \times 9 = 14$, $5 - 1000$ -სათვის $4 + 3 \times 9 = 31$ და 5 .

ანბანი ასონიშნითა რიგ — სათვალავით ორ ჩგუფად იყოფა:

I. ჯგუფი

$ა ბ გ დ ე ზ ე ი თ ი$

რომელიც 10 ასონიშნის მოიცავს და უოველი ასონიშნის სათვალავი მის რიგს ემთხვევა.

II. ჯგუფი

$ქ ლ მ ნ ო პ ჟ რ$

$ს ტ უ ფ ქ ღ ჳ ჴ$

$ც ძ წ ჳ ჰ ჯ ჳ ჴ$

ეს ჩგუფი 27 ასონიშნის მოიცავს. უოველი მათგანის რიგი და სათვალავი სხვადასხვაა. ერთმანეთისაგან განსხვავებულია. ჩგუფის ცენტრში განლაგებულია 24-ე ასონიშანი „ქან“ი, მართლაც, 11 — ჩგუფი იწყება მე-11 ასონიშნით „ქან“ და მთავრდება 27-ე ასონიშნით „მ“. ამიტომ ამ ჩგუფის ცენტრალური ასონიშნის რიგითი ნომერია 24.

ამრიგად, „მ“-ის შემოდებამ გამოიწვია ასეთ ასონიშნითა ერთობლიობის ცენტრირება 24-ე ასონიშნით „ქან“. რომელიც ასომთავრული მონაწილეობით ქვარია. ეს არის 27 ასონიშანი ანბანური თვლის სისტემის კოდექ ერთი შესანიშნავი თვისება, რომლის მიხედვით უძველესი წარმართული ქვეყნიერების სიმბოლო სრულიად ახალ შინაარსს იძენს. საქმე ის არის, რომ ადრექრისტიანულ პერიოდში კომპიუტის ტებს შორის დოგმად იყო მიღებული ის, რომ იესო ქრისტე კაცობრიობას უნდა მოეცლინოს მე-11 მოქცევაში სამყაროს დასაბამიდან. ეს კი იმას ნიშნავს, რომ დასაბამიდან პირველი 10 მოქცევა ქრისტესთან არ არის დაკავშირებული. ქართული ანბანის 11 ჩგუფის ცენტრალური 24-ე ასონიშანი „ქან“ი გვაუწყებს, რომ უოველი შემდგომი მოქცევა, დაწებული მე-11-დან, უფლის სახელით არის შემკული და ქრისტიული.

მეორე მხრივ, ქორონიკონით მე-10 მოქცევის დასასრული და მე-11 მოქცევის დასაწყისი, რაც ჩვ. წ-მდე 284 წელს შეადგენს, ქართველი

ლოლოგიაში მიჩნეულია როგორც ქართული ეროვნული წელთაღრიცხვის დასაწყისი. მელიც ქართველთა მეფის ფარნავაზის მეფობის ბრწყინვალე ხანასთან არის დაკავშირებული. ამრიგად ქორონიკონის მე-10 მოქცევის დამამთავრებელი წელი, რომელიც ქართულ დასაბამიდან 10.582 = 5820 წელს შეადგენს, ქართულ ანბანში I და II ჩგუფების საშუალებით სამარადისოდ არის ჩაბეჭდილი.

ქართული ეროვნული წელთაღრიცხვისა და ასომთავრული ანბანის ევოლუციის მიმართ ჩვენს მიერ შემოთავაზებული თვალსაზრისის ბრწყინვალე დადასტურებაა დავათის ღვთისმშობლის ეკლესიის სტელაზე წარმოდგენილი ქართული ასომთავრული ანბანი:

ა ბ გ დ ე ჳ
ც ძ წ ჳ ჴ ჳ
ე ი თ ი კ ჳ
ნ ო პ ჳ
რ ს ტ უ ფ ქ ჳ
ჯ ჳ ჳ ჳ ჳ
ქ ჳ ჳ ჳ ჳ
მ

როგორც ვხედავთ, სტელაზე წარმოდგენილ 27 ასონიშნიან ანბანურ მწკრივში ასონიშნითა რიგი ზუსტად არის დაცული, ამ ფაქტს პრინციპული მნიშვნელობა აქვს, რამეთუ ასეთი სისტემით განპირობებული კანონიკური თვლა 1-დან 10000-მდე სწარმოებს (იხ. [1]). არსებითია ის გარემოება, რომ ეს ანბანური მწკრივი ასონიშნითა სეგმენტებად არის დაშლილი. რომელთა ხიჯრძებია შესაბამისად 7, 8, 9, 7, 8, 9, 1. სიჯრძებია 7, 8, 9 გამოვრება ანბანური მწკრივიდან გამოპყრეს $(7+8+9)+ (7+8+9) = 36$ ასონიშნის, ისე, რომ 27-ე ასონიშანი სპეციალურად მოინიშნება: ეს კი იმას ნიშნავს, რომ ანბანი ორ ნაწილად არის დაშლილი: პირველი ნაწილი — „ან“-იდან „პავ“-მდე და მეორე ერთადერთი ასონიშნით „მ“. დავათის სტელაზე წარმოდგენილი ქართული ანბანის მეცნიერული კვლევის პირველსავე ეტაპზე განსაკუთრებული ყურადღება მიიქცია ხაჯასმებით გამოყოფილმა ასონიშნითა სანეულმა 3-5000, 6-300, 7-20, სულ $500 + 300 + 20 = 820 = 10 \times 82$, რაც ქორონიკონით მე-10 მოქცევის დასასრულისა და მე-11 მოქცევის დასაწყისის შაუწყებელია, როგორც უკვე აღინიშნული იყო. ეს თარიღი — 284/284 წელი ჩვ. წ-მდე, ქართველთა მეფის ფარნავაზის მეფობის ბრწყინვალე ხანასთან არის დაკავშირებული. ქართველოლოგიაში იგი მიჩნეულია ქართული ეროვნული წელთაღრიცხვის დასაწყისად და ფარნავაზის მიერ ქართული დამწერლობის შემოდების თარიღად.

დაუშვებელია მე-2-მე-4 საუწყუნეების კომპიუტისტების კრიტიკა თანამედროვე კალენდრის პოზიციებიდან. მათ სწამდათ იულიუსის კალენდრის და აქედან გამომდინარე 582 წლიანი მოქცევისაც. კალენდარი ჩვენ უნდა



განვიხილოთ მხოლოდ მისი სრულყოფისა და განვითარების ისტორიის კონსტიტუციებიდან ამ თვალსაზრისით ქორონიკონი მართლაც უნიკალური ფენომენია. თვალსაჩინო ამერიკელი ისტორიკოსი ე. ბიკერმანი აღნიშნავს: იულიუსის კალენდრის ისტორია ჯერ არ დაწერილა, მაგრამ სრული დამატერებლობით შეიძლება ითქვას: მის გავრცელებასთან ერთად წინა ხაზზე დადგა შუის კულტი. ამიტომ ქრისტიანობის იდეოლოგები ქრისტეს შუესთან აიგივებდნენ, ჩვენ დავუშატებდით შემდეგს: ქართულ წელთაღრიცხვაში ხსენებული გაიგივება უმაღლეს რანგში აყვანილი — ქორონიკონი უშუ-

ალოდ ქრისტეს სახელწვამდე უნდა მივიცხოვრების ქრონოლოგიას. ქრისტიანული არსით ყველა სხვა ქრისტიანულ წელთაღრიცხვათა შორის უპირატეს ადგილზეა. თანამად შეიძლება ითქვას, რომ იულიუსის კალენდრის ისტორია ქართულ წელთაღრიცხვას გვერდს ვერ აუვლის.

ქრისტეს დაბადების 2000 წლისთავთან დაკავშირებით ინტერესი ქორონიკონის მიმართ აუცილებლად გაიზარდება. ჩვენი გამოკვლევა ამ თარიღიდან დაიწყო, რამეთუ ქართული დასაბამით იგი შეადგენს $5804 + 2000 = 7804$ წელს.

ლიტერატურა:

1. ს. კანდელაკი, გ. ცერცვაძე, ქორონიკონი, მისი ადგილი და როლი ქრისტიანულ წელთაღრიცხვებს შორის, მნათობი 3, 1990 წელი.
2. რ. კატარიძე, ქართული ასომთავრული, თბილისი 1980 წ.
3. თ. გამყრელიძე, წერის ანბანური სისტემა და ძველი ქართული დამწერლობა, თბილისი, 1989 წ.
4. სტელბან-საბა ორბელიანი, ლექსიკონი ქა-

რთული, I გამოცემა, „საბჭოთა საქართველო“, თბილისი 1966.

5. ე. გრუმელი, ქრონოლოგია, პარიზი, 1958 წ. (ფრანგულ).

6. ნ. კანდელაკი, გ. ცერცვაძე, კალენდარულ-ქრონოლოგიური შეხვედრები „94 წელი“ და ქართული წელთაღრიცხვა, მნათობი, 2, 1987 წ.

როსტომ ჩხეიძე

პავლე ინგოროყვა და ხეთუგის კროზლემა

(ზოგიერთი წინასწარი ცნობა)

პავლე ინგოროყვა 1922 წლის 20 ნოემბერს გარდაიცვალა 40 წლის ასაკში და მისი დიდი, ხანგრძლივი და მღელვარე სამეცნიერო და საზოგადოებრივი მოღვაწეობის შესაფერისი არქივი დატოვა. ვინც კი ასე თუ ისე იცნობს პავლე ინგოროყვას მოღვაწეობასა და ღვაწლს მშობლიური კულტურის წინაშე, უველახთვის აშკარა უნდა იყოს ამ არქივის მნიშვნელობა და ღირებულება არამარტო მეცნიერული — თუნდაც ფართო დიპლომატიის საკითხებისა და პრობლემების კვლევისა და ამ კვლევის სწორი გეზით წარმართვისათვის — არამედ მეოცე საუკუნის ჩვენი საზოგადოებრივი ვითარების სწორი სურათის აღსადგენად და შესაცნობადაც.

არქივი ამჟამად მკვლევარის ოჯახში ინახება. ის მოიცავს გამოუქვეყნებელ ნაშრომებს, დასაბუქდად მომზადებულ ან მხოლოდ შეგროვილ ლიტერატურულსა თუ ეპიგრაფიკულ მასალებს, სხვადასხვა სახის ოფიციალურ დოკუმენტებს, „კავკასიონის“ შეწყვეტილი ნომრებისათვის თავმოყრილსა და გათვალისწინებულ მასალებს, პირად წერილებს, ფოტოსურათებს.

ხეთური იეროგლიფური დამწერლობის ამოხსნისადმი მიძღვნილი ეს ნაშრომი „ხეთურ-ქართველური მსოფლიო, ხეთური იეროგლიფური დამწერლობა და ხეთურ-ქართველური (თოხედ-მესხური) ენა“, რომელიც ორი ნაწილისაგან შედგება — გამოკვლევა და ტექსტები — პავლე ინგოროყვას არქივში აღმოჩნდა. მის საწერ მაგიდაზე, ეს ნაშრომი პავლე ინგოროყვას სიკაცხლის უკანასკნელ წლებში სულ ზედმეტი იქონია, ჩამკირკიტებდა, ამოწმებდა. უველახე ძლიერ მის გამოუცემლობას განიცდიდა და, მიუხედავად იმისა, რომ ათეული წლების მანძილზე ამაოდ ცდილობდა გამოცემას, იმედი სიკაცხლის ბოლომდე არ დაუპარგავს.

მაგრამ იმედს აღსრულება არ ეწერა.

წესით კი ეს გამოკვლევა ჯერ კიდევ 1922 წელს უნდა გამოქვეყნებულიყო. ამ წელს იყო

გადაწყვეტილი მისი ჩაშვება სტამბაში.

ასეთი ხასიათის (მოცულობაზე რომ აღარაფერი ვთქვათ) ნაშრომის მომზადებას ხანგრძლივი კვლევა ესაქიროება და პავლე ინგოროყვას ზეთური იეროგლიფების შესწავლა და გაშიფვრა კარგა ხნით ადრე უნდა დაეწყო (საფიქრებელია, რომ ამისკენ უბიძგა „კვთა და ღადის“ ერთმა პასაჟმა, როცა დიდი ილია საგანგებო ურადლებას მიაკცევს რუს და ევროპელ მკვლევართა თვალსაზრისს ზეთური და ქართული ენების ნათესაობის თაობაზე). მაგრამ საინტერესოა, დააბლოებით მაინც როდიდან?

1924 წელს თბილისის ხახელმწიფო უნივერსიტეტში „ვეფხისტყაოსნის“ კვინაძისეული გამოცემის ირგვლივ გაიმართა დისპუტი; და ამ დისპუტზე კონსტანტინე კვინაძემ თავის შესაბამე გამოსვლაში (იხ. წიგნი „რუსთაველი და მისი პოემა“, თბ., 1960 წ.) ერთგან გადაქრულად გაკენწლა „ვეფხისტყაოსნის“ მკვლევარები —

„მე რუსთაველის ტექსტის დადგენაზე ათი წელიწადი ვშუშაობ, ისინი კი ამ ხნის განმავლობაში ზოგი ზეთურ ანბანს კითხულობდა, ზოგი მართლწერის ნორმებს ადგენდა, ზოგიც სხვა ტექნიკურ ლექსიკონების მასალას ამუშავებდა“.

მაშინაც და დღესაც ნათელია, რომელი მკვლევარები მუავს ავტორს მხედველობაში და ისიც აშკარაა, რომ იმ „ზოგში“, ვინც „ხეთურ ანბანს კითხულობდა“, პავლე ინგოროყვა იგულისხმება.

დისპუტის მძაფრი ხასიათით გამოწვეული ეს მწვავე და ერთგვარი ირონიულობით ნათქვამი ფრაზა, ტენდენციურობის მიუხედავად, არაპირდაპირ იმ საგულისხმო ცნობას გვაწვდის, რომ პავლე ინგოროყვა 20-იანი წლების დასაწყისიდანვე (დასაწყისიდან იმიტომ, რომ სულაც არ არის აუცილებელი „ათი წელიწადი“ ზუსტად 1924 წელს ნიშნავდეს) უკვე ინტენსიურად ე-



ვლევდა ზეთურ იეროგლიფურ დაშვრლობას (ანუ, მისი თვალსაზრისით, ზეთის მხოფლიოს ქართველი ტომების — თობელეებისა და მესხების უძველეს დაშვრლობას) და ეს ფაქტი, მიუხედავად იმისა, რომ ნაშრომი არც კალკუელი მონაკვეთების სახით დაბეჭდილა, არც საჯარო ლექციად თუ ლექციების ციკლად უნდა იყოს წაკითხული და არც საშვიც არავითარი ცნობა არ გამოქვეყნებულა მის შესახებ, დაფარულია ეს უნდა კოფილიყო ფართო საზოგადოებისათვის — სხვაგვარად კონსტანტინე კიკინაძის გადაკრულ ნათქვამს არავითარი აზრი არ ექნებოდა.

აქვე ისიც უნდა ითქვას თუ დაზუსტდეს, რომ არ გამოქვეყნებულა ცნობა პავლე ინგოროვას მიერ უშუალოდ ზეთური იეროგლიფების შესწავლისა და ამოხსნის შესახებ, თორემ ის ძირითადი კონსეფცია, რომლის საფუძველზეც გააზრება მკვლევარი ზეთური და, საერთოდ, ძველი აღმოსავლეთის მთელს არეალს, ანუ აქ არსებული უძველესი კულტურების კავშირს ქართულ სამყაროსთან, პავლე ინგოროვას მკაფიოდ აქვს ჩამოყალიბებული ჯერ კიდევ 1924 წელს გაზეთ „რუბიკონის“ 29 იანვრის ნომერში გამოქვეყნებულ წერილში „ტფილისის უნივერსიტეტის დღე“: „საკითხები სუმეროლოგიის, ელამის ენის, ვანის ლურსმური წარწერების, ზეტების კითხვა, და წინა აზიის სხვა უძველესი და დღემდე გამოუცნობი კულტურული ერების პრობლემები თავის ვასალებს კოულობს ქართულს ენაში და მის მონათესავე კავკასიურ ენებში“.

მოგვიანებით ეს კონსეფცია უფრო შეივსო, რადგან წინა აზიის არეალს ახლა უკვე ხმელთაშუა ზღვის სამყაროც მიემატა: „ძველ-ქართული მსოფლიო, ქართველურ ენების მსოფლიო, დღემდე ირრაციონალურ ელემენტად ითვლება ძველი აღმოსავლეთის კულტურათა ციკლში. მაგრამ ბევრი რამ გვანიშნებს, რომ ძველი აღმოსავლეთის (და ხმელთაშუა-ზღვის მსოფლიოს) კულტურის ერთ-ერთი ძირითადი პლასტიკური კავშირში უნდა იმყოფებოდეს ქართველური ენების მსოფლიოსთან. ბევრი რამ გვაფიქრებინებს, რომ ქართველური ენების მსოფლიო, ეს არის მეტად მნიშვნელოვანი რეგიონი, საიდანაც ხოთავეს დებულობდა უძველესი კულტურის ერთ-ერთი დიდი ნაქადაი. ბევრი ბუნდოვანი, გაურკვეველი ელემენტი ძველ-აღმოსავლეთისა და ხმელთაშუა-ზღვის მსოფლიო ისტორიისა ქართულ მასალებში მოკლის ახსნას“ („ძველ-ქართული წარმართული კალენდარი მე-3-4 საუკუნის ძეგლებში“; კრებული: „საქართველოს მუზეუმის მოამბე“, ტ. VI, 1931 წ.).

რწმენას ამ კონსეფციის სისწორისა, რწმენას იმისა, რომ ქართულ მასალებს უნდა აეხსნა ძველი აღმოსავლეთისა (წინა აზიის) და ხმელთაშუა ზღვის კულტურათა ბევრი ბუნდოვანი და გაურკვეველი ელემენტი, პავლე ინგოროვას

უთუოდ აძლევდა არამარტო მისი, არამედ ზეთურ დაშვრლობის კვლევისა და დასტურებულ საგულისხმო მონაცემები და პარალელები, ეს მონაცემები თუ პარალელები უნდა იყოს მოხრდილი ნაწილი იმ „ბევრი რამისა“, რაც კონსეფციასაც უფრო თვალნათლივს ხდიდა და შემდგომი მიგებებისათვისაც ხსნიდა ვახს:

ხოლო პირველი ცნობა „ზეთური იეროგლიფური დაშვრლობის“ არსებობის შესახებ“ გამოჩნდა პავლე ინგოროვას გამოკვლევის — „ქართული შვერლობის ისტორიის მოკლე მიმოხილვა“ (წერილი პირველი, „მნათობი“, 1931, № 1) — სკოლიოში: „თობელეებისა და მესხების უძველეს დაშვრლობას სხანს წარმოადგენს ეგროფოდებული „ზეთური“ მიეროგლიფური დაშვრლობა, რომელიც დღემდე არ იყო სათანადოდ ამოშიფრული. ავტორს ჩატრებული აქვს მუშაობა ზეთური მიეროგლიფური დაშვრლობის დემიფირებაზე, რომელიც ახსნას ქართველური ენების საფუძველზე კოულობს“.

ასე რომ, 1931 წლისათვის პავლე ინგოროვას არსებითად დაუსრულებია გამოკვლევა (დიდრხის მერე, როცა „მოკლე მიმოხილვა“ მკვლევარის თხზულებათა კრებულის IV ტომში გამოქვეყნდება ხელმოკრედ, ეს ხკოლდო რამდენიმე სტილისტურ ცვლილებათან ერთად ამ ფრაზითაც შეიცვანა — „შრომა დაშვადებულია გამოსაცემად“. 1931 წლისათვის კი, „ზეთობა, მთლად საბოლოოდ მოშვადებული არ იყო), მაგრამ ვიდრე ნაშრომი სასტამბოდ მოშვადებოდა, მკვლევარს არ შეუწყვეტია მასზე მუშაობა.

ცხადია, ნაშრომში გათვალისწინებულია ზეთოლოგიის მამინდელი დონე, აღსანიშნავია, რომ ამ სფეროში ქართულ ენაზეც უკვე არსებობდა მონოგრაფია, მიხილ წერეთლის „ზეთის ქვეყანა, მისი ხალხები, ენები, ისტორია და კულტურა“, გამოცემული 1924 წელს კონსტანტინეპოლში, ქართველ კათოლიკეთა სავანის სტამბაში.

უამრავი იეროგლიფის კლიშეთა დაშვადებას (რაც ტექნიკურად ბევრნაირ სიმწელებთან იყო დაკავშირებული) წიგნის გამოცემა რომ არ დაეგრკოლებინა, პავლე ინგოროვას „ზეთური იეროგლიფური დაშვრლობის“ გამოცემას ფოტოტიპური სახით აპირებდა და მისი წიგნების მუდმივმა გრაფიკოს-გამოგრომებელმა, მეგობარმა მხატვარმა ლადო გრიგოლიამ მთელი გამოკვლევა გადაწერა და იეროგლიფები გადახატა, ამით ერთი მიზეზი იოლად მოგვარდა, მაგრამ მოულოდნელად წარმოიშვა სხვა დამატკრლებელი მიზეზები — ნაკლებად ნაკარნახევი მეცნიერული ინტერესით — და წიგნი გეგმიდნ ამოავდეს.

1931 წელს პავლე ინგოროვას, როგორც ხანს, კვლავ უყვია ამ ნაშრომის გამოცემა და



გამოკვლევებისათვის ხელახლა გადაუხედავს. დაუზუსტებია და შეუღწია ცალკეული საკითხები: შესწორებული ვერსიები ლადო გრიგოლიას ხელახლა გადაუწერია, არსებითად არაფერი შეცვლილა, მაგრამ რადგანაც გარკვეული ცვლილებანი მაინც მოხდა, გამოკვლევაში ჩადებულ პატარა ფურცელზე პავლე ინგოროსკვას დაწერის თარიღი მაინც გაუზრკველბია — 1848-49 წწ.

წიგნას გამოცემის ცდა 1849 წელსაც წარუმატებლად დამთავრებულა, ისევე, როგორც მომდევნო ცდები.

პავლე ინგოროსკვას მტკიცე ნებისყოფისა და დაუცხრალი იმედოვნების მიუხედავად, „ხეთური იეროგლიფური დამწერლობა“ გამოუშვეუნიებელი დარჩა.

ალბათ მისი გამოცემის დროც დადგება, ეს ხომ ქართული მეცნიერული აზრის განვითარების ისტორიაა, მისი მრავალმხრივობის ერთერთი გამოსახულება და აუცილებელი რგალი პავლე ინგოროსკვას მეცნიერული მოღვაწეობისა — ეს ნაშრომი ხსნის მის ვეებერთელა მეშვიდრეობას, ქართულ კულტურას რომ შეისწავლის ამ უძველესი ხანიდან მეოცე საუკუნემდე და ერთი სათაურის ქვეშ ერთიანდება: „ქართული ცივილიზაციის ისტორია“.

თავისთავად როგორი სადავოც არ უნდა იყოს ხეთური იეროგლიფური დამწერლობის ქართული ენის საფუძველზე ახსნის მცდელობა, ყურადღების მიპყრობა ქართველ ტომთა უძველესი სახეობისაკენ და მიზანდასახული კვლევის გაგრძელება ამ არეალის შესასწავლად, რისკენაც ძალუზმად გვიბიძგებს „ხეთურ-ქართველური მხოფლიო“, ამ ნაშრომს გაუბუნარ ღირსებას სძენს, რომ აღარაფერი ვთქვათ იმ უამრავ საგულისხმოსა და მახვილგონიერულ დაკვირვებაზე, ქართველურ ენათა შედარებითი შესწავლისა და სიტყვათა ეტიმოლოგიების დადგენისას ასე უხვად რომ გავხვდებო გამოკვლევის ფურცლებზე.

გარდა ამისა, ამ ნაშრომს ის დიდი ღირსებაც აქვს; რომ მისი კომპოზიციური აგებულება მკაფიოდ გვიჩვენებს, თუ როგორ უნდა დაიწეროს ენის გრამატიკა თვით იეროგლიფური დამწერლობისაც კი, როგორ თანდათან და ძალდაუტანებლად, მისთვის ჩვეულ უზადლო სტილით შეუვაართ ავტორს ამ ერთი შეხედვით, ჩვენთვის უცნაურ სამყაროში.

გარკვეული წარმოდგენის შესაქმნელად აქ მოკლედ, კონსპექტურად მოვიტან ნაშრომის დასაწყისს, მის ძირითად ნაწილს — ხეთური იეროგლიფური დამწერლობის მთლიანი სიტყვის პავლე ინგოროსკვასეულ გააზრებასა და ანალიზს, ზოგჯერ მისი სიტყვების უშუალო პერიფრაზს მივმართავ, ზოგჯერაც სიტყვა-სიტყვით დავიმოწმებ. იქვე ხვდავანხვა იეროგლიფების ანალიზთან ნიშნულად დავურთავ მხოლოდ რამდენიმე გეოგრაფიული სახელწოდების ანალიზის შედეგად მიღებულ ზოგიერთ დასკვნას.

გამოკვლევის პირველ თავში საუბრობდა ხეთური იეროგლიფური დამწერლობის გარკვეულ სახეზე, მისი ხატოვანებაზე.

თვალსაზიროებისათვის მოტანილია ორი ტიპური ძეგლის სურათი, რომელთაგან ერთი ეკუთვნის X საუკუნეს (ძვ. წ.); მეორე კი — VIII-ს (ძვ. წ.).

ეს ორი სურათი მკაფიოდ აჩენს, რომ თუცა ხეთური იეროგლიფური დამწერლობისათვის დამახასიათებელია ნიშანთა ხატოვანი სახეობა, მაგრამ ეს ხატოვანება ამ ორ ძეგლში ბოლომდე არ არის დაცული, ხატოვანი გამოსახულება შერჩეული აქვს მხოლოდ ნიშანთა ერთ ნაწილს.

შესაშჩნევია ისიც, რომ ხატოვანება შედარებით უარედ არის წარმოდგენილი უფრო ადრინდელ ძეგლში, სადაც ხატოვანი გამოსახულება აქვს ნიშნების მნიშვნელოვან ნაწილს. მეორე ძეგლზე კი ნიშნებს უფრო ლინეარული (ხაზოვანი) ხასიათი აქვს და ხატოვანი წარმომოზება მხოლოდ ზოგიერთ ნიშანს ემჩნევა.

ხეთური იეროგლიფური დამწერლობის ის ნიშნები, რომელთაც შეუნარჩუნებიათ ხატოვანი ხასიათი, წარმოადგენს სხვადასხვა ტიპის გამოსახულებას:

აღამიანისა და მისი სხეულის ნაწილებისა; ცხოველებისა და მათი სხეულის ნაწილებისა; მცენარეულობისა;

ბუნების სამყაროდან გამოყენებულ სხვადასხვა სახეებისა, სხვადასხვა საგნებისა, ნივთებისა და იარაღებისა;

მითოლოგიურ არსებათა გამოსახულებებს. მითოლოგიურ, რელიგიურ და ასტრონომიულ წარმოდგენებთან დაკავშირებულ სახეებს;

სხვადასხვა გამოსახულებებს, რომელნიც აღნიშნავს განუენებულ ცნებებს, მოქმედებას და სხვა.

შკვლევარი ამტკრად არ ჩერდება მარტივი სახის იეროგლიფური ნიშნებზე და რამდენიმე წინასწარ შენიშვნას გამოთქვას უფრო რთული ტიპის გამოსახულებებზე და, აგრეთვე, სიმბოლურ ნიშნებზე, რითაც აღინიშნება ცნებები და მოქმედება.

ცნებები და მოქმედება ზოგჯერ აღმოცემულია ისეთი სახეებით, რაც უშუალო რეალისტურ სურათს წარმოადგენს.

ვთქვათ, გამოსახულება აღამიანისა მოლაპარაკის პოზიცი, რომელსაც ხელი აღმართული აქვს პირისაკენ. აღნიშნავს ცნებას: „ვიტუკი“ (ვლაპარაკობ).

ბუნების სამყაროდან აღებული სახეების გვერდით გვხვდება განუენებული სიმბოლური ტიპის გამოსახულებანი. ვთქვათ, ცნება „ცა“ აღმოცემულია წრის სიმბოლოთი: „შის“ სიმბოლური სურათითა ცა და შუაში წერტილი (დისკი); ხოლო „ღმერთის“ სიმბოლოა ცახთან შეერთებული თვალი ანუ ღმერთი გააზრებულია, როგორც თვალი, რომელიც ზეციდან დაჰყურებს ქვეყანას.

როცა გადმოცემა ამათივე ცნებისა პირდაპირი რეალისტური ტიპის სურათით შეუძლებელია ან რთულია (ვთქვათ, როცა რეალისტური ტიპის სურათი სხვადასხვა სახეთა კომბინირებულ შეერთებას მოითხოვს, ძალზე გადატვირთული იქნება, ხაწერად რთული და მნიშვნელობითაც გაუმჭვირვალე), ასეთ ცნებათა გადმოსაცემად მოღებულია პირობითი სახეები — ერთგვარი მნიშვნელებული სიმბოლოები. ასეთ შემთხვევაში სიმბოლოდ გამოყენებულია ასეთი ხატი, რაც რამენაირად უკავშირდება აღსანიშნავ ცნებას. ვთქვათ, შიის ორი მწვერვალი გულისხმობს ცნებას „ქვეყანა“. შიის ერთი მწვერვალი კი „ქალაქ-თემს“.

ნიშანთა სიმბოლიკის სირთულია და მრავალსახეობის საილუსტრაციოდ მკვლევარი იმომწებს ერთ ტიპურ შავალთს, ადამიანის ხელის გამოსახულებასა და მის 16 სხვადასხვაგვარ სახეს (ხელისუმარტივი გამოსახულება; ხელი. შეკუმშული მუშტით; ხელი. მუღმვი პირობითი ნიშანის — ბრწყალების — დამატებით; ხელი, ნიდაყვის ხაზგასმული წარმოჩენით და გაშლილი ნებით; იგივე ხელი, მარუფ-მოკლებული...).

დამწერლობის ნიშანთაგან, მითოლოგიურ არსებებს რომ გამოსახავს, საილუსტრაციოდ დამომწებულისა; მითოლოგიურ არსებას, არწივის თავითა და ადამიანის სხეულით; სფინქსი; და ახლისი — გამოსახულება მითოლოგიური ცხოველისა, რომელიც სიმბოლოურად გულისხმობს „აპნისის“ თვის ახტრონომიულ ზოდიაქურ ნიშანს.

მკვლევარი ზოგადად შენიშნავს, რომ ხეთური იეროგლიფური დამწერლობის ნიშანთა ხატოვანება არის არა პირიმიტიული სახის პიკტოგრაფია, არამედ სახეების, სიმბოლოებისა და ემბლემაების რთული კომპლექსი.

შემდეგ წამოიჭრება საკითხი, თუ რითი აიხსნება, რომ ხეთური იეროგლიფური დამწერლობის ძეგლებში ნაწილი ნიშნებისა ხატოვანი გამოსახულებაა, ხოლო ნაწილი ლინეარულ (ხაზოვანი) სახეს ატარებს, რომელთაც არავითარი ხატოვანება არ ემჩნევა.

თავდაპირველად უკვლეა ნიშანს ხატოვანი გამოსახულება მქონია (რიგი ნიშნებისა წარმოადგენდა რეალისტური ტიპის ხატოვან სახეებს, რიგი ნიშნებისა — სიმბოლოური ტიპის ხატოვან სახეებს), ხოლო დროთა მანძილზე ნიშანთა დაწერილობა თანდათან გამარტივებულა და ნიშნების ნაწილს ხატოვანი გამოსახულება დაუკარგავს.

ამ მხრივ ხეთურ იეროგლიფურ დამწერლობას განვითარების ისეთივე გზა გაუვლია ნიშანთა მოხაზულობის გამარტივებისაკენ, რაც ახასიათებს იეროგლიფური ტიპის სხვა დამწერლობებს, სახელდობრ, შუმერულსა და ეგვიპტურს. რამდენადაც ხეთური იეროგლიფური დამწერლობა ჩამოყალიბებულია არა უკვიანეს მესამე ათასწლეულში (ძვ. წ.), ნაშრომის დასაწყისში

ში თვალსაჩინოებისათვის მისი ნიშნებისა და საუკუნეების (ძვ. წ.) ხეთური ძეგლები და ორი ან ერთნახევარი ათასწლეულით მაინც არის დაშორებული ამ დამწერლობის წარმოშობის ხანას.

და თუ იეროგლიფურ ნიშანთა თანდათანობითი გამარტივება და ლინეარიზაცია დაბტურდება ამ მხოლოდ ორი საუკუნით დაშორებული ძეგლის მიხედვით, ცხადია, რაც უფრო შორს მივდივართ საუკუნეთა სიღრმეში, ნიშანთა ხატოვანება უფრო სრული უნდა ყოფილიყო, ხოლო ამ დამწერლობის საწყისი ეპოქისათვის სავარაუდოა უკვლეა იეროგლიფურ ნიშანთა ხატოვანება.

იმის საილუსტრაციოდ, თუ როგორი სახე მითხი — ხეთური იეროგლიფური დამწერლობის ცალკეულმა იეროგლიფურმა ნიშნებმა თანდათანობითი გამარტივების შედეგად, დამომწებული და განხილულია ოთხი იეროგლიფური ნიშანი (ნიშნები წარმოადგენს ცხოველთა თავის გამოსახულებას: ვერძისა, ხარ-ზრობისა, ვირისა და თხის ტიპის ცხოველისა). ამ ნიშნების განხილვა თვალსაჩინოდ ადაბტურებს, თუ როგორ დაშორება ლინეარული დაწერილობა თავის ხატოვან პიკტოტიკს.

მეორე თავში განხილულია ძირითადი საკითხი — ხეთური იეროგლიფური დამწერლობის სისტემა.

დასაწყისში მოკლედ და ზოგადად არის განხილული დამწერლობის განვითარების ის საფეხურები, ის არქაული სისტემები — 1. იდეოგრაფიული (პიკტოგრაფიული) და 2. ფონეტიკურ-იდეოგრაფიული — რომელიც ანაბნური დამწერლობის სისტემას უსწრებს წინ.

იდეოგრაფიული დამწერლობა უძველესი, პირიმიტიული სტადიაა. როცა აწერი გადმოცემა უშუალოდ სურათოვანი გამოსახულებით (ნაწილობრივ რეალისტური და ნაწილობრივ სიმბოლოური ტიპის სახეებით), აქ ცალკეული ნიშანი — სურათი აღნიშნავს არა ასოს ან ფონეტიკურ კომპლექსს, არამედ ცნებას.

ფონეტიკურ-იდეოგრაფიული დამწერლობა უფრო მაღალი საფეხურია. ნიშნებს აქვს ხუროთოვანი სახე აქვს. მაგრამ პიკტოგრაფიული დამწერლობისაგან განსხვავებით აქ ნიშანთა ნაწილი უკვე აღნიშნავს ფონეტიკურ კომპლექსებს (ზოგჯერ მარტივ ფონემებსაც; ასობებს) და მხოლოდ ნიშანთა ნაწილი გამოხატავს იდეოგრაფიულ მნიშვნელობას (ცნებას).

ამ მეორე სისტემას ეკუთვნის ძველი აღმოსავლეთის დამწერლობანი: ეგვიპტური, შუმერული, აქადური (ასურული-ბაბილონური), ელამური, პურული, ურარტული, ნესური, ლუვიური, ლევიკოსირიული („პროტო-ნესური“).

იმის განსარკვევად, თუ რა სისტემისაა ხეთური იეროგლიფური დამწერლობა, აქ ემართა ის ფაქტი, რომ ამ დამწერლობის ნიშნებს ხატოვანი სახე აქვს, რადგან ხატოვანი სახე ნი



შენებს აქვს როგორც პიკტოგრაფიული, ასევე ფონეტიკურ-იდეოგრაფიული სისტემის დამწერლობაში.

ამიტომ დამწერლობის სისტემის ამოსაცნობად ხევრად უფრო მკვიდრ საფუძველს ვეძიებდნენ დამწერლობაში სმარებული ნიშნების საერთო რიცხვი.

რადგანაც პიკტოგრაფიული დამწერლობა, სადაც უოველი სიტყვა უნდა აღნიშნოს, მოიცავს ათასობით ნიშანს, ხოლო ფონეტიკურ-იდეოგრაფიული დამწერლობა, სადაც მხოლოდ ფონეტიკური კომპლექსები აღნიშნება, მხოლოდ რამდენიმე ასეულ ნიშანს საჭიროებს, ამიტომ ხეთური იეროგლიფური დამწერლობა, რომელიც 400-მდე ნიშანს მოიცავს, არის ფონეტიკურ-იდეოგრაფიული დამწერლობა იმავე ტიპისა, როგორცაა ეგვიპტური და შუმერული (ლურსმნური) დამწერლობანი.

ეს რომ ერთი ტიპის დამწერლობანია, გარდა ნიშანდობლივი მარჯვენაისა — ნიშანთა რიცხვისა — საფიქრებელს ხდის მთელი რიგი სხვა გარემოებანიც და პირველ უოველსა თვით ეპოქა. ხეთური იეროგლიფური დამწერლობა ან თანადროული ან ოდნავ უფრო გვიანდელი, ვიდრე შუმერული (ლურსმნური) და ეგვიპტური, ეს სწორედ ის ხანაა, როცა ძველი აღმოსავლეთის კულტურულ მსოფლიოში საუკველთაოდ იყო გავრცელებული ფონეტიკურ-იდეოგრაფიული სისტემის დამწერლობები.

ამ წინახწარა ზოგადი შენიშვნების მერე მკვლევარი დეტალურად მიმოიხილავს ხეთური იეროგლიფური დამწერლობის სტრუქტურას და ცალ-ცალკე ჩერდება ნიშანთა თვითიველ კლასზე: 1. იდეოგრაფები; 2. ფონეტიკური ნიშნები; 3. დეტერმინატივები; 4. დამხმარე ნიშნები.

იდეოგრაფების არსებობა ფონეტიკურ-იდეოგრაფიული სისტემის დამწერლობებში არის პიკტოგრაფიული დამწერლობის გადანაშთი. ამიტომაც, იდეოგრაფა აღნიშნავს არა ფონეტიკურ კომპლექსს, არამედ ცნებას და ჩვეულებრივ გადმოიცემა ერთი იეროგლიფური ნიშნით, ხოლო იშვიათად როცა იდეოგრაფა რამდენიმე იეროგლიფური ნიშნით გადმოიცემა, ნიშანთა ეს ჯგუფი წარმოადგენს ერთ მთლიან კომპლექსს ერთი ცნების აღსანიშნავად, იდეოგრაფა გამოხატულია ან უშუალო რეალისტური სურათის სახით ან სიმბოლური ტიპის გამოსახულების საშუალებით.

რამდენადაც იდეოგრაფები სპეციალურად განალიზებულია გამოკვლევის შესაბამე კარში, სადაც მოცემულია ნუსხა და განხილულია ის მასალები, რომელთა მიხედვითაც ირკვევა იდეოგრაფების მნიშვნელობა, მკვლევარი აქ მაგალითისათვის ჩერდება ზოგიერთ იდეოგრაფაზე. რათა პეიოზველი იმთავითვე ზოგადად გაერკვეს ხეთური იეროგლიფური დამწერლობის საერთო წყობაში: სახელდობრ, საილუსტრაციოდ მოაქვს გარკვეული ზრით დაჯგუფებული იდეოგრაფები (1. ქვეყანა, ქალაქ-თემი, ექსპედიციონერი, მდინარე, „ხევი“ და შთა: 2. ზვედი, დამწერე და „მთავარი ქვეყანისი“; 3. დეოგრაფი, კერპი; 4. სახლი, ტაძარი და აღვაშენე; 5. ცხენი, ძაღლი, ღოზი და სკა; 6. ვაზი და ლოტოსი; 7. ურემი და ეტლი; 8. აწინი; 9. ვიტუვი) და უთავს აუცილებელ განმარტებებს.

ამ განმარტებათაგან სახიშუმოდ რამდენიმეს დავიმოწმებ.

ხეთურ იეროგლიფურ დამწერლობაში ცნება „ქვეყნის“ აღსანიშნავად გამოყენებულია გამოხატულება მთისა (მთის ორი მწვერვალი), რაც იმის მარჯვენადია, რომ ეს დამწერლობა შექმნილია მთიან ქვეყანაში მოსახლე ხალხის მიერ.

ცნებას „სოფელი“ ამ სიტყვის ძველქართული მნიშვნელობით — მსოფლიო — გამოხატავს იდეოგრაფა: არწივის თავი და ადამიანის სხეული. ის გარემოება, რომ აღსანიშნავად იდეოგრაფისა „სოფელი“, ეს ხატი გამოიყენება, გვიჩვენებს, თუ რამდენად შორს მიდის იეროგლიფური დამწერლობის სიმბოლიკა და ზოგჯერ რაოდენ განუყენებულ ხახიათს ატარებს.

ეს ხატი ადებულია რელიგიური წარმოდგენების წრიდან და გამოსხავს მითოლოგიურ არსებას, გენიას არწივის თავითა და ადამიანის სხეულით, რომელიც „სოფლის“ (დასახლებული მსოფლიოს) მფარველად ითვლებოდა (გენიას მფარველობის ნიშნად წინ აქვს ფრთები გაშლილი).

იდეოგრაფა, რომელიც აღნიშნავს ცნებას „აღვაშენე“, წარმოადგენს გამოხატულებას ხელისას და მასთან ერთად გამოხატულია სახურით მოძღვრო იარაღი — გონიო. ეს იდეოგრაფა სწორედ ამ ცნებას რომ აღნიშნავს, ამას ცხადყოფს გამჭვირვადი სიმბოლიკა და ამასვე ეთანხმება ხეთური ტექსტის ანალიზი.

აქვე მკვლევარი პარალელს ავლებს სვეტიცხოვლის ტაძარზე გამოხატულ სიმბოლურ ხატთან, ხელი, სახურით მოძღვრო იარაღით — გონითა, და მიიჩნევს, რომ აქ უადრესად მნიშვნელოვანი და საგულისხმო შეხვედრათა ხეთური იეროგლიფური დამწერლობის სიმბოლიკასთან, აქედან ჩანს, რომ იდეოგრაფა-სიმბოლო, რომელიც აღნიშნავდა ცნებას „აღვაშენე“, მას შემდეგაც, რაც ხეთური იეროგლიფური დამწერლობა სმარებიდან გამოვიდა, შემორჩენილია გადანაშთის სახით, და კარგა ხნის მანძილზე ისევ სმარებაში უოფილა ძველ საქართველოში. როგორც სიმბოლურ-იდეოგრაფიული ტიპის ნიშანი.

ერთ-ერთი იდეოგრაფიული ხატი, რომელიც გამოხატავს რელიგიურ-მითოლოგიურ და, აგრეთვე, ასტრონომიულ წარმოდგენას, არის „აწინისი“.

ეს იეროგლიფური ხატი სიმბოლურად გულისხმობს ასტრონომიულ ზოდიაქურ ნიშანს „ოხის რქა“. ეს ერთ-ერთი თანავარსკვლავედობ

თორმეტ თანავარსკვლავედს შორს, რომელ-
თაც გაივლის მზე წლიური მოქცევის მანძილ-
ზე, ეს ზოდიაქური ნიშანი ძველ სახერკმეთში
გამოისახებოდა ისევე, როგორც ხეთური იე-
როგლიფით ანუ თხის რქოსანი თავით და
თევზისებური ბლოთი. ამ ზოდიაქური ნიშნის
ეს სიმბოლური გამოსახულება ძველ სახერკ-
მეთში გადასულა ხეთას მსოფლიოდან.

განსაკუთრებით საინტერესოა ამ ზოდიაქუ-
რი ნიშნის სახელწოდება ხეთური იეროგლი-
ფური დამწერლობის ენაზე. ძველბერძნულად
და ძველქართულად.

ხეთური იეროგლიფური დამწერლობის ენაზე
ამ ზოდიაქურ ნიშანს რქმევია „ანისი“; ბერ-
ძნულად ამ ნიშანს ერქვა „ან“, ანუ იგივე სა-
ხელი, რაც იმ ცნობილ ღვთაებას, თხის სახით
რომ გამოხატავდნენ; ძველქართულადაც —
როგორც ეს მკვლევარს დადგინილი აქვს გამო-
კვლევაში „ძველ-ქართული წარმართული ქა-
ლენდარი“ — ამ ზოდიაქურ ნიშანს რქმევია
იგივე სახელი, რაც ხეთურში — „ანისი“; უა-
ღრესად საყურადღებოა ის გარემოება, რომ სა-
ხელწოდება ამ ზოდიაქური ნიშნისა ძველ ქა-
რთულად — ნათესაობითი ბრუნვის დაბოლო-
ებით („ან-ისი“ „ანან-ისი“) ზუსტად თანხვ-
დება ამ სახელის ხეთურ ფორმას, რომელიც
ასევე ნათესაობითი ბრუნვის იმავე დაბოლოე-
ბით არის წარმოდგენილი. ეს უჩვენებს ხეთუ-
რი და ძველქართული ასტრონომიულ-კალენდარ-
ული ტერმინოლოგიის პირდაპირ გენეტიკურ
კავშირს.

ამ წინასწარ შენიშვნებს ზოგიერთი იდეოგ-
რამის შესახებ მოხდევს ფონეტიკური ნიშნების
ანალიზი.

დამწერლობის ის ორმაგი ფონეტიკურ-იდეო-
გრაფიული სისტემა — როგორცაა ეგვიპტუ-
რი, შუმერული (ლურსმურის) და ხეთური —
წარმოიშვა სურათოვანი ნიშნების ნაწილობრივი
ფონეტიკაციის გზით. ცალკეული სურათოვანი
ნიშნებისათვის გარკვეული ფონეტიკური მნიშ-
ვნელობის მიკუთვნებით.

აქ წამოიკრება საკითხი, თუ რა უძვეეს სა-
ფუძვლად იეროგლიფური დამწერლობის ამ ნა-
წილობრივ ფონეტიკაციას. რის მიხედვით მიე-
ნიჭა ამათვის სურათოვან ნიშანს ესათვის ფო-
ნეტიკური მნიშვნელობა?

უკელა სახის იეროგლიფურ დამწერლობაში
ერთი და იგივე პრინციპია განხორციელებული,
სახელდობრ, ერთგვარი რებუსის პრინციპი:
სურათის გამოყენება არა ცნების სიმბოლოდ,
არამედ ბგერების სიმბოლოდ (სურათისა და
მისი ფონეტიკური გამოთქმის შეფარდების სა-
ფუძველზე).

საილუსტრაციოდ ავტორს მოაქვს სამი ნიმუ-
ში ხეთური იეროგლიფური დამწერლობიდან:
ორი გეოგრაფიული ნომენკლატურიდან (ქალაქ
თემები: მელითა და ხადლი) და ერთიც ღმერ-
თების სახელწოდებებიდან (ღალთუ).

ვნახოთ მესამე ნიმუში დამწერლობის
ხეთას მსოფლიოს ქართულში ეთნოგრაფი-
კული ფონეტიკური მთავარი ღვთაებას ეწო-
დებოდა „ღალთუ“ ანუ „ღალდუ“, ეს ღვთაება
ცნობილი იყო ხეთას მსოფლიოს გარეთაც, თო-
ბელ-მესხების მეზობელ ტომებშიც; ვთქვათ,
ურარტელთა პანთეონის მთავარი ღვთაება იყო
იგივე „ღალთუ“ „ღალდუ“, რომელსაც ურარ-
ტელები უწოდებდნენ იმავე სახელს. ოდნავი
ფონეტიკური ცვლილებით „ხადლ“

ხეთური იეროგლიფური დამწერლობის ენაზე
სახელწოდება ღვთაებისა „ღალთუ“ იწერება
შედგენილი იეროგლიფური სახით.

პირველი იეროგლიფი, როგორც მანამდე უკ-
ვეა აღნიშნული, იდეოგრაფიული ტიპის ნიშანია
და აღნიშნავს ცნებას „ღმერთი“.

ხოლო რის გამო აღნიშნავს თვით ღვთაების
საკუთარი სახელის დაწერილობაში პირველი
იეროგლიფური ნიშანი მარცვალს „ღალ“ და
მეორე კი — მარცვალს „თუ“?

ხეთური იეროგლიფური დამწერლობის ენა-
ზე სიტუვა „ღალ“ აღნიშნავდა ღელეს (მდინა-
რეს). აქაც კავშირია ქართველურ ენებთან; ხე-
თური სიტუვა „ღალ“ იმავე ფუძის სიტუვაა,
რაც საკუთრივ ქართულში გვაქვს ფორმით
„ღელე“ (შდრ. ამავე ძირის სიტუვა „ღელ-ვა“).
ხოლო ქანურ-მეგრულში ფორმით „ღალი“.

ამრიგად, ამ პირველი იეროგლიფური ნიშ-
ნით, რომელიც წარმოადგენს ღელვისებურ ზიგ-
ზაგურ ხაზს, სიმბოლიზებულია გამოსახულება
„ღალი“ (ღელე).

მეორე იეროგლიფური ნიშანი მთვარის გა-
მოსახულებაა (მთვარის ნახევარ-ნახევლის სა-
ხით). ხეთური იეროგლიფური დამწერლობის
ენაზე მთვარეს რქმევია „თუ“, „თუ-თაი“. აქაც
კავშირია ქართველურ ენებთან. ქართულად
მთვარეს ერქვა „თუთი“, საიდანაც წარმოიშვა
სახელწოდება თვისა. ძველქართულად „თუთი“
„თუთი“. ქანურ-მეგრულად „თუთა“.

ამრიგად, ეს სურათოვანი სახელები, რითაც
იწერება სახელი ღვთაებისა „ღალთუ“, ფონე-
ტიკური ნიშნებია, რომელთა ფონეტიკური მნი-
შვნელობაც რებუსის პრინციპს ემუარება; პირ-
ველი ნიშანი, რებუსის ამ პრინციპის თანახ-
მად, აღნიშნავს ფონეტიკურ კომპლექსს (მარ-
ცვალს) „ღალ“, ხოლო მეორე ნიშანი მარცვალს
„თუ“.

ხეთური სიტუვა „ღალ“ რომ ცნება ღელეს
აღნიშნავს. ადასტურებს გეოგრაფიული ნომენ-
კლატურაც; ამ სიტუვას უკავშირდება სახელ-
წოდება ხეთას მსოფლიოს მთავარი მდინარისა
„ღალი“.

აღსანიშნავია, რომ თვით სახელწოდება ღვთა-
ებისა „ღალ-თუ“ უკავშირდება იმავე ფუძე სი-
ტუვას „ღალ“, „ღალთუ“ ითვლებოდა წყლის
სტიქიონის მფარველ ღვთაებად და ამიტომ ამ
ღვთაების სახელს ზოგჯერ ერთნის დეტერმი-

საქართველო
საზოგადოებრივი
მეცნიერებათა
აკადემია

ნათვის სახით სურათი, რომლითაც სიმბოლი-
ზებულია წყალი.

რებუსის ეს პრინციპი, როგორც ხეთურ,
ასევე ეგვიპტურსა და შუმერულ იეროგლიფურ
დამწერლობებში, ერთიდაიგივეა. მაგრამ თვი-
თეული დამწერლობა ამ მხრივ ზოგიერთ ნიშან-
დობლივ თავისებურებას ამჟღავნებს, რაც პი-
რველყოფლისა გამოწვეულია თვით ენების სხვა-
დასხვა სტრუქტურით.

უველაზე ძველ სახეობა სურათის რებუსად
გამოყენებისა, არის მთლიანი წაკითხვა სურა-
თისა, როგორც ბგერების სიმბოლოსი (მაგ.,
მელის სურათი მთლიანად იკითხვის, როგორც
„მელი“).

მაგრამ სურათის ასეთი გამოყენება უკმარია
ხიტუების შესადგენად, რადგან უოველ ენაში
ყოფილია ისეთი ხიტუები, რომლებიც თავისუფ-
ლად ნაწილდებოდეს ისეთ მთლიან ნაკვეთებად,
რომ შესაძლებელი იყოს ხიტუების ამ თვითუ-
ლად ნაკვეთის გამოსახვა მთლიანი რებუსული
სურათებით. ამასთან მთლიანი რებუსული სა-
ხეებით შეუძლებელია აღინიშნოს აბსტრაქტუ-
ლი ცნებები ან საკუთარი თუ გეოგრაფიული
სახელები. ამიტომ ამ ხიტუების დასაწერად
მოგვიხდება გამოვიყენოთ არა მთლიანი რებუს-
ნი, არამედ ნაწილობრივი (სადაც სურათი მხო-
ლოდ ნაწილობრივ იკითხვის).

ამის გამო, არქაულ იეროგლიფურ დამწერ-
ლობებში — როცა მომხდარა დამწერლობის
ფონეტიზაცია და სურათები რებუსის პრინცი-
პის საფუძველზე გამოყენებითა როგორც ბგე-
რათა სიმბოლო — ხმარებაში შემოსულა არა
მხოლოდ მთლიანი რებუსული წაკითხვა, არა-
მედ ნაწილობრივი რებუსული წაკითხვაც.

ასე თანდათანობით დანაწილდა ხიტუები ცა-
ლკე ბგერით კომპლექსებად და ხიტუებში წა-
რმოჩნდა როგორც ცალკეული მარცვლები, ისე
პირწინდად აბნეული ელემენტები — ხმოვ-
ნები და თანხმოვნები.

ვიდრე იმის მიმოხილვას შეუდგებოდეს, თუ
როგორ იყო გამოყენებული რებუსის პრინციპი
სხვადასხვა იეროგლიფურ დამწერლობაში,
მკვლევარს საჭიროდ მიჩნია ჭერ გავითვალის-
წინოთ უკველა ძირითადი შესაძლებლობა სურ-
ათის წაკითხვისა რებუსის სახით. საილუსტრა-
ციოდ მოაქვს სამი პირობითი მაგალითი, სიტ-
უებო — „ფაცხა“, „აფრა“ და „ხე“.

არსებობს სამი ძირითადი ტიპი ამ ხიტუებს
წაკითხვისა რებუსის და ნაწილობრივ რებუსის
სახით:

ჩამოშორებით — „ფაცხა“: ა. მთლიანი
თანხმოვანთა კომპლექსი — „ფცხს“;
სურული მარცვალი — „ფაც“; ბ. მთლიანი
მარცვალი — „ფა“; გ. თავლი მარცვალი —
(არ გამოხატავს); დ. ხმოვანი — (არ გამო-
ხატავს); ე. თანხმოვანი — „ფ“.

მკვლევარი ზოგადად ახასიათებს ფონეტიკუ-
რი ნიშნების ამ ტიპებს, ფონეტიზმის თანდა-
თანობით განვითარებას უძველესი ლოგოიდური
ტიპიდან აღფაბეტური ტიპამდე, თუმცა იმსაც
შენიშნავს, რომ აღფაბეტური ელემენტების
წარმოჩენას იეროგლიფურ დამწერლობებში არ
შეუძლია დამწერლობის სისტემის შეცვლა,
ძირითად ფონეტიკურ ნიშნებად რჩება ისევ
ძველი ტიპები — რთული ლოგოიდური და სი-
ლაბური, ხოლო აღფაბეტური ნიშნები იხმარება
როგორც შემავსებელი დახმარებ ფონეტიკური
კომპონენტი. ამასთან, აღფაბეტური ტიპის ენ
ნიშნები — ხმოვნები და თანხმოვნები — გა-
მოვლენილია იმავე რებუსის საფუძველზე, რო-
გორც უველა დანარჩენი ფონეტიკური ნიშანი,
სახელდობრ, ხმოვანის აღსანიშნავად გამოიყე-
ნება ისეთი ხიტუვა, რომელიც ხმოვანით იწ-
ყება. ასევეა თანხმოვნებიც.

ფონეტიკურ ნიშანთა ტიპების ამ ზოგადი და-
ხასიათების მერე, მკვლევარი საფუძვლიანად
მიმოხილავს ეგვიპტურსა და შუმერულ დამ-
წერლობებს, რათა ამ ზოგადი ახასიათის ექს-
კურსებით თვალნათლივ გამოჩნდეს თვითული
მთავანის ფონეტიკური წყობის სპეციფიკური
სახე და ამ ფონზე უფრო მკაფიოდ გამოიკვე-
თოს ხეთური იეროგლიფური დამწერლობის
თავისებურებანი თუ ცალკეული მსგავსებანი ამ
დამწერლობებთან. მკაფიოდ გამოჩნდეს ისიც,
რომ გარკვეული კუთხით ხეთური იეროგლი-
ფური დამწერლობა უფრო მოწესრიგებული და
უფრო შორს წასული ჩანს, ვიდრე ეგვიპტუ-
რი და შუმერული (ლურსმნული). და ეს ხანს
იმ სასურადადღებო გარემოებით, რომ ხეთურ
დამწერლობაში, ეგვიპტურისა და შუმერული-
საგან განსხვავებით, არსებობს პუნქტუაციის
ნიშანი, რომელიც დაიხმის ცალკეული ხიტუვი-
ბის წინ და, აგრეთვე, ერთმანეთისაგან გამოყოფს
ხიტუვათა კომპლექსებსა და წინადადებათა ნა-
წილებს. პუნქტუაციის ნიშნის ხმარების გარდა
ხეთური იეროგლიფური დამწერლობის მაღალ
დონეს მიუთითებს სხვა ნიშნებიც (მაგალითად,
სპეციალური ლიგატურები, რითაც ხეთური და-
მწერლობა განსხვავდება დიფთონგურ ტიპის
ხმოვნებს მარტივი ხმოვნებისაგან).

ხეთური იეროგლიფური დამწერლობის ფო-
ნეტიკური ნიშნები ტიპოლოგიურად ხუთ ძი-
რითად ჩგუფად იყოფა: I. აღფაბეტური ტიპი;
II. სილაბურ-აღფაბეტური; III. წმინდა სილა-
ბური ტიპი; IV. სილაბურ-ლოგოიდური; V. ლო-
გოიდური.

ყოველივებული წყობით, ხმოვნების სრული
წარმოჩენით ხეთური უახლოვდება შუმერული

- ა. ლოგოიდური რთული ტიპი;
 - ბ. სილაბური ტიპი (ლოგოიდური მარტივი ტიპი);
 - გ. აღფაბეტური ტიპი.
- ეს სამი ძირითადი ტიპი გვამღვს რებუსული წაკითხვის რვა ძირითად ვარიანტს.
- ა. X. მთლიანი ხიტუვა სრული სახით — „ფაცხა“; ბ. მთლიანი ხიტუვა ბოლოკიდურის

დაშწერლობის სისტემას, ხოლო ეგვიპტური და-
შწერლობის სისტემასთან აახლოებს ლოგოიდუ-
რი ტიპის ნიშნების ფართო ხმარება, რადგანაც
ხეთური იეროგლიფური დაშწერლობის ენა ეგ-
ვიპტურივით პოლისილაბური ენების ჭკუფს
ეკუთვნის.

ხეთური დაშწერლობის ფონეტიკურ ნიშანთა
ტიპოლოგიის გარკვევისა და განხილვის მერე
წარმოდგენილია ნუსხა ამ ფონეტიკური ნიშნე-
ბისა, რომელთა მნიშვნელობაც დადგენილია-
ნუსხაში მოუვანილია ორივე სახეობა: 1. იერო-
გლიფები, რომლებიც საკუთრივ ფონეტიკური
ნიშნების სახით გვხვდება და 2. იეროგლიფები,
რომლებიც ერთდროულად იხმარება როგორც
იდეოგრაფიები და როგორც ფონეტიკური ნიშ-
ნები.

ხეთური იეროგლიფური დაშწერლობის ნიშა-
ნთა შესახებ კლასია დეტერმინაციები. იმის გა-
საკრვევად და თვალსაჩინოდ ჭეუნებისათვის, თუ
რა დანიშნულებას ასრულებს და რა თავისებუ-
ლება ახასიათებს დეტერმინაციებს ხეთურ და-
შწერლობაში, მკვლევარი კვლავ შედარებით შე-
თხილს იუენებს და დეტერმინატული ნიშნების
ტიპოლოგიასა და მათი ხმარების წესებს ჯერ
განხილავს ეგვიპტურსა და შუმერულ დაშწე-
რლობებში და მხოლოდ ამის მერე — ხეთუ-
რში.

ხეთურში დეტერმინატული ნიშნები თავდა-
პირველად არ არსებულა (ისევე, როგორც პუ-
ნქტუაციისა და სხვა დაშხმარე ნიშნები) და შე-
შოულიათ უფრო გვიან ხანაში ლურსმნული და-
შწერლობის გავლენით, ამის გამო, ხეთური დე-
ტერმინაციები წოგად ხაზებში იმეორებს ლუ-
რსმნურის ტიპოლოგიას, მაგრამ წოგოვითი თა-
ვისებურება ახასიათებს, თავისებურება, მავა-
ლითად, ერთი სახეობა დეტერმინაციებისა,
რომელსაც შესაძლოა დაერქვას ფონეტიკური
დეტერმინაცია.

მკვლევარი ჯერ ცალკე ეხება პირვინების
(ადამიანის საკუთარი სახელის) დეტერმინაციებს,
ხოლო მერე დეტერმინაცივთა ორ ჭკუფს:
იდეოგრაფიულსა და ფონეტიკურ დეტერმინა-
ციებს.

შემდეგ განხილულია ხეთური დაშწერლობის
ნიშანთა უკანასკნელი მეოთხე კლასი, დამხმარე
ნიშნები, მისი სამივე ჭკუფი: 1. პუნქტუა-
ციის, 2. იდეოგრაფულ-ფონეტიკური აქცენტისა
და 3. დანარჩენი დამხმარე (განმასხვავებუ-
ლი) ნიშნები.

განხილვისას მკვლევარი საგანგებოდ ზერდე-
ბა ბევრნაირად ხაინტერესო საკითხებზე, თუ
რისთვის არის მიღებული ხეთურ იეროგლიფურ
დაშწერლობაში პუნქტუაციის (განყოფის) ნიშ-
ნად ასეთი რთული მოხაზულობის ნიშანი,
„ვერტიკალური ხაზი და რკალი“ — და
რა ერქვა ამ ნიშანს ხეთურად.

რამდენადაც არკაული ხანის დაშწერლობებში
პუნქტუაციის ნიშნად იხმარება მარტივი გრა-

ფიკული ნიშანი, ხოლო ხეთურ დაშწერლობაში
რთული მოხაზულობა აქვს, თავისთავად ეს გე-
რემოება საფიქრებელს ხდის, რომ პუნქტუა-
ციის ნიშანს ხეთურ დაშწერლობაში საფუძვლად
უდევს არა განუენებული პირობითი გრაფიკა,
არამედ აქ რომელიღაც იეროგლიფთა გამოუე-
ნებული.

პუნქტუაციის შემოღებამდე ეს ნიშანი უძვე-
ლეს ხეთურ ტექსტებში არსებობდა როგორც
ცალკე იეროგლიფი.

ხეთურ დაშწერლობაში მიღებული აღრიცხვა-
ზომის იეროგლიფების შედარებითი ანალიზი-
დან ირკვევა, რომ ნიშანი „ვერტიკალური ხა-
ზი“ აღნიშნავს რიცხვს „ერთი“; ნიშანი „წრე“
აღნიშნავს ცნებას „სრული“ („მრთული“); ნი-
შანი „რკალი“ აღნიშნავს მთელის ნაწილს „(ნა-
ყოფი“ „განყოფი“). ხოლო შეერთებული დაწე-
რილობა „ვერტიკალური ხაზი და რკალი“
(„ერთი ნყოფი“) აღნიშნავს ცნებას: წილი,
წილადი (აღსანიშნავია, რომ წილადის აღმნი-
შვნელი იეროგლიფების მთელი სისტემა არხე-
ბობს ეგვიპტურსა და შუმერულ დაშწერლო-
ბაში).

„წილის“ „წილადის“ აღმნიშვნელ ნიშანს ხე-
თურად რქმევია „წული“, ხოლო ეს სიტყვა
ქართული ენის სამეაროსთანაა დაკავშირებული.

ხეთურად რომ ამ ნიშანს ეს სახელი ერქვა,
ირკვევა იმის მიხედვით, რომ ხეთურ ტექსტე-
ბში ამ ნიშნით გამოიხატებოდა სიტყვა „წული“,
რაც „შვილს“ ნიშნავს.

მკვლევარი მოიხმობს ქართული ენის მანა-
ლებს.

ქართულ ენაზე არსებობს სიტყვა: „წული“
რაც ნიშნავს შვილს. ეს სიტყვა გამოითქმოდა,
აგრეთვე, როგორც „წული“, რაც დასტურდე-
ბა რთული სიტყვიდან „მბ-წული“-ი „ერმა-
წული“.

ქართულ ენაზე „წული“ — „წული“ ამავე
დროს აღნიშნავს ცნებას: განყოფა, დანაწილება
(ანუ „წილი“, „წილადი“). ამ ფუძიდან მომ-
დინარეობს ძველ ქართული „წულ-ილი“, აგრ-
ეთვე „გან-წული-ვა“ — „გან-წულ-ება“,
რაც ნიშნავს განყოფას (აქედან ძველ ქართული
„მ-წულ-ებელი“ — განყოფელი). ამავე თი-
რთან, „წული“, დაკავშირებულია აგრეთვე ძველ
ქართული სიტყვა „წულილი“.

ამ ქართულ-ხეთური პარალელების შემდეგ
გასაგები ხდება, თუ რისთვის არის გამოუე-
ნებული ხეთურ დაშწერლობაში შემოხსენებუ-
ლი იეროგლიფი.

და სავსებით ბუნებრივია, რომ როცა დაშწე-
რლობის განვითარების შედეგად წამოჭრილია
საქიროება პუნქტუაციისა (სიტყვათა „განყო-
ფისა“, „გან-წული-ვისა“), ხეთური დაშწერლო-
ბის რეფორმატორებს გამოუეენებიათ ამ მიზ-
ნისათვის არა რამე პირობითი გრაფიკული
ნიშანი, არამედ უკვე არსებული იეროგლიფი,
რაც აღნიშნავდა თვით ამ ცნებას.



აკვე ხეთურის გათვალისწინებით, მკვლევარი არკვევს ეტიმოლოგიას ქართული სიტუვისა „წული“ (შვილის მნიშვნელობით).

ხეთურ-ქართული სიტუვა „წული“ ანალოგიურია სიტუვისა „ნაუფი“.

სიტუვა „ნაუფი“ თავისი ძირითადი პირველადი მნიშვნელობით აღნიშნავდა ცნებას: მთელის ნაწილი („წული“); აქედან მომდინარეობს მეორადი მნიშვნელობა ამ სიტუვისა: შვილი.

ასევე სიტუვა „წული“ თავისი ძირითადი პირველადი მნიშვნელობით აღნიშნავდა ცნებას: მთელის ნაწილი („წული“); აქედან მომდინარეობს მეორადი მნიშვნელობა ამ სიტუვისა „წული“ (შვილი).

მოკლედ და ზოგადად ასე გამოიყურება ხეთური იეროგლიფური დამწერლობის ენის ხეთურ სტრუქტურა.

ახლა ვნახოთ რამდენიმე გეოგრაფიული სახელწოდების ანალოგის შემდეგ მიღებული ზოგიერთი დასკვნა. ეს გეოგრაფიული სახელწოდებანია ქალაქები: მელითა, თვიუანა და გორმანი.

ხეთის მსოფლიოს მეორე მნიშვნელოვანი ცენტრი (ღარბამესას მერე), ქალაქი მელითა, მდებარეობდა მესხეთის ქვეუანაში. ეს ქალაქი იყო ცენტრი მელითას თემისა, რომელსაც ეკირზ მდინარე „მელითა“-ს ხეობა და ამ ხეობის მიმდგომი ევფრატის ხანაპირო (თანამედროვე ქალაქი მალათია გაშენებულია ძველი ნაქალაქუვის მიდამოებში და ჰქვია — მკირეოდენ ცკლილებით — ძველი დროიდან მომდინარე სახელი).

თუ როგორ გამოითქმოდა ამ ქალაქ-თემის სახელწოდება ხეთურ ეპოქაში, ამის დადგენის საშუალებას გვაძლევს კაპადოკიური ტაბლეტების წარწერები, ურარტული და ასურული წყაროები. ამ ჩვენებათა შეფარდების საფუძველზე ვსკვნით, რომ ამ ქალაქ-თემის სახელწოდების ძველი ფორმა უფილა „მელითა“.

ხეთურ იეროგლიფურ ტექსტებში არსებობს „მელითას“ დაწერილობის სამნაირი ვარიანტი და ეს ვარიანტები შეიცავს ოთხ იეროგლიფურ ნიშანს.

მკვლევარი სავანებოდ მიუთითებს, რომ ეს სახელი ქალაქ-თემისა „მელითა“. იყო პირველი გეოგრაფიული სახელწოდება, რომელიც შპ 1481 წელს ამოიკნო ხეთურ იეროგლიფურ ტექსტებში. ამის დასაურდენი მას ბოსცა იმ ცხადლივმა დამთხვევამ, რაც, ერთი მხრივ, არის თვითონ იეროგლიფური ხატი (გამოსახლებამ); ხოლო მეორე მხრივ ამ ხატის ფონეტიკურ გამოთქმის შეხვედრა ქართველური ენების მონაცემთა: ეს შეხვედრა იმდენად ზუსტია და ნიშანდობლივია, მკვლევარისათვის ცხადი გახდა, რომ ის არ შეიძლება იმ შემთხვევითი უფილიყო, სახელდობრ, ფონეტიკური კომპლექსი „მელი“ გადმოცემულია ხატიო, რომელიც გა-

მოსახავს ცხოველს „მელი“ (ძველქართული „მელი“), ხოლო მარცვალის „თა“ გადმოცემულია ხატიო, რომელიც გამოსახავს ცხოველის (დათვი) ფეხს: „თა-თი“.

შემდეგ გეოგრაფიული სახელწოდება, რომელსაც მკვლევარი განიხილავს, არის სახელი ქალაქისა „თვიუანა“ და სახელი ამ ქალაქის თემისა.

ეს ქალაქი კარგად არის ცნობილი როგორც ხეთურ ეპოქაში, ისე შემდგომ ხანაშიც. ეს ქალაქი მდებარეობს თობელის ქვეუანაში, დასავლეთ თობელის მხარეში.

მკვლევარი თვდაპირველად ითვალისწინებს ამ გეოგრაფიული სახელწოდების ხეთურ ვარიანტებს, დაცული ლურსმნური დამწერლობის ხეთურ ტექსტებში. ასურულსა და ძველბერძნულ წყაროებში.

ეს მონაცემები იძლევა საშუალო ფორმას: თვიუანა, სწორედ ეს ფორმაა პირველადი სახე ამ ქალაქის სახელისა და ამას ეთანხმება იეროგლიფური ტექსტის ჩვენებაც.

ამის მერე მკვლევარს მოაქვს იეროგლიფური დაწერილობა ამ სახელისა და ცალკეულ იეროგლიფურ ნიშნებს განმარტავს.

შემდეგ კი აატარა ქვეთავში სავანებოდ განიხილავს სიტუვის „უ ა ა ა“, ამ სიტუვის პარალელური დაწერილობის სხვადასხვა სახეობათა ნუსხას, რისი საშუალებითაც არამართო ამოიკნობს ზოგიერთ ახალ იეროგლიფურ ნიშანს, არამედ შემდეგი დასკვნებიც გამოაქვს:

ხეთური იეროგლიფური დამწერლობის ენაზე ეს სიტუვა აღნიშნავდა ცნებას: ქვეუანა, წარმოდგენილი ნუსხიდან ჩანს, რომ ეს სიტუვა მუდმივი დამატების ხაზით ერთვით თან გეოგრაფიულ სახელწოდებებს — ქვეუანების სახელწოდებებს — ქვეუანების სახელებს. ამის შეორე დამატებურებელი საბუთი არის ისიც, რომ იეროგლიფური ტექსტების ჩვენების თანახმად ფონეტიკური ნიშნებით დაწერილი სიტუვა „უ ა ა ა“ ენაცვლება იმ იდეოგრამას, რაც ნიშნავს ცნებას: ქვეუანა.

რადგანაც ხეთური იეროგლიფური დამწერლობის ენაზე ეს სიტუვა აღნიშნავდა ცნებას: ქვეუანა, ცხადია: ხდება, რომ ამ სიტუვას ქვეშირი აქვს ქართველური ენების სათანადო ძირის სიტუვასთან.

ქართველურ ენებში არსებობს ამ ძირის სიტუვის სამი განშტოება:

ქართულში: ქვე-უანა („ქვე-უუანა“), „უანა“ („უუანა“).

მეგრულში: „უ ა ა ა“.

ჭანურში: „უონა“.

ქართულში სიტუვა „უანა“ ამჟამად ნიშნავს: 1. მიწას, რომელზეც ნათესი მოიპოვება და 2. ნათესს. მაგრამ ეს ამ სიტუვის მეორადი მნიშვნელობაა, პირველადი ძირითადი მნიშვნელობა უფრო ფართოა და აღნიშნავს: მიწა, იდეა: მიწა, ქვეუანა.

„ქვეყანა“ ორნაწილიანი სიტყვაა და პარალელურია სიტყვისა „ზეცა“. პირველი ნაწილი ამ რთული სიტყვებისა: „ქვე“ და „ზე“ განმარტებითი ხასიათის დამატებებს წარმოადგენს. ხოლო ფუძე-სიტყვებია: „ყანა“ და „ცა“.

ამრიგად სიტყვები „ყანა“ და „ქვეყანა“ თავისი პირველადი მნიშვნელობით ერთი დიშავე ცნების აღნიშვნელია.

ამასთან, საჭიროა იმის გათვალისწინება, რომ ძველ-ქართულში ტერმინი „თაყვანის-ცემა“ წარმოდგენილია შეზღვევი არქაული ხასის ფორმებით: „თავ უთანი-ს ცემა“ „თავ უანი-ს ცემა“ (ეს ტერმინი სიტყვა-სიტყვით ნიშნავს თავის მიწაზე ცემას).

ამრიგად, ძველ-ქართულში დაცული არქაული ხახეობა ტერმინისა „თაყვანისცემა“ ახატურებს, რომ არქაულ ქართულში ვადმოსაცემად ცნებისა „ქვეყანა“ („ყანა“) არსებულა ფორმა: „უყანა“.

აღსანიშნავია ისიც, რომ მეგრულ დიალექტში ვადმოსაცემად ცნებისა „უყანა“ იხმარება იგივე არქაული ფორმა „უყანა“. ოღონდ იმ განსხვავებით, რომ პირველი ბგერა არის არა მაგარი უ, არამედ რბილი. სხვა ფორმა. ვარდა ამ ფორმისა „უყანა“ მეგრულმა დიალექტმა არ იცის.

„გორმანი“ იყო ხეთას მსოფლიოს ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ცენტრი: ის იოვლებოდა წმინდა ქალაქად ხეთას პანთეონის მთავარი დედაღვთაებისა, რომელსაც ერქვა: გორ-ბაბა. ერთ-ერთ წარწერაში ეს ღვთაება მოხსენებულია ზედწოდებით: „ღმერთი გორმანი-ქვეყნისა საღმრთო ქალაქ-თემისა“, ხოლო მეორე წარწერაში ასეთი ზედწოდებით: „გორმანი-ქვეყნისა ქალაქ-თემისა ღმერთი გორ-ბაბაი გომახ-თა ძლიერი ღმერთი“.

ამასთან დაკავშირებით მკვლევარი უფრადლებას ამხვილებს ფონეტიკურ კანონზე. რომლის დამადასტურებელი მაგალითები მრავლად გვხვდება მთელი გამოკვლევის მანძილზე.

იეროგლიფური და ლურსმნული დამწერლობის ტექსტებში წარმოდგენილი ხახელებისა და სიტყვების შედარებითი ანალიზი გვაძლევს სა-

ფუძველს დავადგინოთ, რომ **ქვეყანა** სიტყვაში ბგერა „რ“ და „გ“ არსებობს მხოლოდ რკველის დასაწყისში. მკვლევარი ბგერები იყო, ხოლო მარცვლის ბოლოს (განსაკუთრებით კი სიტყვის ბოლოს) ეს ბგერები სუსტდება და ზოგჯერ ქრება კიდევ. მკვლევარის დაკვირვებით, აქ იგივე ფონეტიკური კანონი მოქმედებს, რაც ქართულ ენაში.

იმის გამო, რომ ხეთური იეროგლიფური დამწერლობის ენაში ბგერები „რ“ და „ნ“ მარცვლის ბოლოს სუსტდება და ზოგჯერ ქრება კიდევ, არაერთ ხახელსა და სიტყვაში ეს ბგერები ზოგჯერ ისმის და ზოგჯერ — არა. ამიტომაც არსებობს პარალელური ფორმები: გორ-ბაბაი და გო-ბაბაი.

ამ წინასწარი განმარტების შემდეგ განხილულია ამ ქალაქ-თემის ხახელის დაწერილობა ხეთური იეროგლიფური დამწერლობის სხვადასხვა ძეგლში. აგრეთვე უფრო დაწვრილებითა განხილულია ამ გეოგრაფიული ხახელის გამოთქმის სხვადასხვა ვარიანტი ხეთური ეპოქის ძეგლებში. ეს ფონეტიკური ვარიანტები ცხადად აჩენს სხვადასხვა ხეთური დიალექტის გამოთქმას.

როგორც ითქვა, ხეთური იეროგლიფური დამწერლობის სისტემის პავლე ინგოროყვასეული ანალიზის ეს კონსპექტური ჩანაწერი მხოლოდ გარკვეული წარმოდგენის შესაქმნელად გათვალისწინებული. ეს მხოლოდ გამოკვლევის ერთი ნაწილია, ოღონდ ამ ერთი ნაწილის კონსპექტური ჩანაწერის მიხედვითაც დაახლოებით ჩანს, თუ რარიგ მარჯვედ და ბუნებრივად უნდა ვითარდებოდეს თხრობა (შუმერული და ძველევგვიპტური ენების და დამწერლობების მონაცემთა მოხმობით რა მშვენიერი ფონია შექმნილი), რა შესანიშნავად არის აგებული მიხი კომპოზიციური სტრუქტურა და არქიტექტონიკა და შინაგანი უაღრესი სირთულის მიუხედავად, რარიგ იოლი აღსაქმელი უნდა იყოს „ხეთურ-ქართველური მსოფლიო“ — პავლე ინგოროყვას მრავალწლიანი შიმე და დამაბული გარჯის ნაყოფი.



როდის მოღვაწეობდა ჯუანშერი ჯუანშერიანი

ჯუანშერის თხზულება „ცხოვრება ვახტანგ გორგასანისა“ მე-9 ს. საქართველოსათვის უნიკალური საისტორიო წყაროა. ჯუანშერის მიერ მოთხრობილი ისტორია, როგორც აქამდე ეგონათ, არც ზღაპრულია და არც ანაქრონიზმებითაა აღსავსე, გარდა იმისა, რომ ჯუანშერი დაწვრილებით გადმოგვცემს ქართლის სამეფოში მომხდარ ამბებს, მისი ცნობები ნათელს ფენს ქართლის სამეფოს როგორც ახლო მეზობელი, ისე ზოგი შორეული ქვეყნის ისტორიის ცალკეულ საკითხს.

მე-19 ს. დამდეგიდან ძველი ქართული წყაროების მიმართ წამოწყებული ანტიმეცნიერული კამპანიის დროს, „მეფეთა ცხოვრებასთან“ ერთად, ჯუანშერის ვახტანგის „ცხოვრებაც“ გვიან შექმნილ, არარეალური შინაარსის თხზულებად გამოცხადდა. შემდეგში, საქართველოს ისტორიის წყაროთმცოდნეობის ძირითადი საკითხების დამუშავებისა და „ქართლის ცხოვრების“ შესწავლასთან დაკავშირებით, ივ. ჯავახიშვილმა ამ კრებულის შედგენის დროის, შედგენილობისა და ცალკეულ თხზულებათა ავტორთა ვინაობის თაობაზე თავისი შეხედულებები გამოთქვა. აღნიშნულთან ერთად, მე-19 ს. ქართველოლოგები რადგან კრიტიკის გარეშე ენდობოდნენ „ქართლის ცხოვრების“ ცნობებს, ქართული წყაროების მიმართ ივ. ჯავახიშვილმა ქართულ ისტორიოგრაფიაში მომეტებულად კრიტიკული მიდგომა დანერგა. რის შედეგად მთლიანად იქნა უარყოფილი ზოგიერთი თხზულების, როგორც საისტორიო წყაროს მნიშვნელობა (ქსე, ტ. 10, სტ. „ქართლის ცხოვრება“, ავტ. რ. კიქნაძე). დავიწყებული იქნა ის ტრადიცია, რომლის თანახმად, „მეფეთა ცხოვრება“ „უამითო-უამად“ იქნა აღწერილი, ხოლო ვახტანგ გორგასანის „ცხოვრების“ ავტორი ვახტანგისავე სპასპეტო ჯუანშერი, ჯუანშერიანი იყო.

ჯუანშერის მოღვაწეობის დროის დადგენის მიზნით, „ქართლის ცხოვრებაში“ შესული, ლეონტი მროველისადმი მიკუთვნებული „არჩილის წამების“ ბოლოში დართული შინაწერის შინაარსი ივ. ჯავახიშვილმა ჭერ კიდევ 1911 წელს გაანალიზა. მისი ვარაუდით, შინაწერში მოხსენიებული „წმიდა არჩილი“ მე-8 ს-ში მოღვაწე ქართლის ერისმთავარ არჩილად შეიძლება და მიგვეჩინა. მაგრამ, ვახტანგის „ცხოვრებაში“ რადგან სირიელ მამათა ქართლში მოსვლაზე, თურქთა დაწოლით პაქანიკთა გადაადგილებასა და არაბთა ბატონობიდან 800 წლის გასვლაზეა მითითება, სირიელ მამათა (ეერძოდ, იოანე ზედაზნელისა და შიო მღვიმელის) „ცხოვრებანი“ კი მე-10-11 ს-ებში შეიქმნა, პაქანიკთა გადაადგილება მე-11 ს. 11 ნახევარში მოხდა, ხოლო ქართლში არაბთა გაბატონებიდან 800 წლის გასვლის შესახებ მხოლოდ იმ დროს შეიძლება მითითება, როცა ჩვენში არაბთა ბატონობა შესუსტებული იყო (ე. ი. მე-11 ს. 1 ნახევარში), ჯუანშერისავე მე-11 ს-ში უნდა ეცხოვრა (თხზ. ტ. 111, გვ. 189-190). ასეთი დასკვნის შემდეგ ივ. ჯავახიშვილმა შინაწერის ცნობა „მერმინდელი გადაშერის მიმატებულად“ ჩათვალა (იქვე, გვ. 189).

ივ. ჯავახიშვილმა ჯუანშერი რადგან მე-11 ს-ში მოღვაწე ისტორიკოსად მიიჩნია, ახლა საჭირო იყო მე-11 ს-ში ჯუანშერის სახელის მქონე პიროვნება მოეძებნა. ამ მხრივ მან უუარაღებდა მიაქცია ათონის ივერთა მონასტრის № 50 ხელნაწერში მოხსენიებულ ილარიონ ჯუანშერს. თუმცა, მისივე შენიშვნით, ამ ცნობაზე დაურღნობით ვახტანგის „ცხოვრების“ ავტორისა და ილარიონ-ჯუანშერის იგივეობაზე დაბეჭობით ლაპარაკი არ შეიძლება (იქვე, გვ. 191). აღნიშნულის მიუხედავად, ივ. ჯავახიშვილმა ჯუანშერი მე-11 ს. ავტორად

ქუანშირის

გამოაცხადა, მას მიაწერა „ქართლის ცხოვრების“ ტექსტის ის ნაწილი, რომელშიც თხრობა ვახტანგის მშობლების ამბავის აღწერით იწყება და მე-8 ს. შეახანებში მცხოვრები არჩილ ერისმთავრის მოღვაწეობით მოთავსდება (ქ. ცხ. I, გვ. 183-244). ქუანშირს, გარდა იმისა, რომ ვახტანგის მოღვაწეობის ხანიდან დიდი დრო ამორბდა — ასკენის ივ. ჯავახიშვილი. — იგი როცა „თხზულებასა წერდა სანდო მასალა ხელთ არა ქაონდა“, რის გამოც მისი თხზულება „ზღაპარს უფრო მიგავს, ვიდრე ნამდვილ ისტორიას“ (თხზ., ტ. VIII, გვ. 111).

ივ. ჯავახიშვილის მსგავსად, ვახტანგ გორგასლის „ცხოვრებას“ დაბალი ღირსების ნაწარმოებად თვლიდნენ პ. ინგოროყვა, ნ. ბერძენიშვილი, ნ. ჯანაშია. დღეს ამავე აზრისანი არიან: ა. ბოგვერაძე, ნ. ლომოური, ვ. წულაია და სხვანი.

ივ. ჯავახიშვილის მოსაზრებანი ვახტანგ გორგასლის „ცხოვრების“ ავტორის ვინაობისა და ტექსტის მოცულობის შესახებ კ. კეკელიძემ იმთავითვე არ გაიზიარა. 1924 წელს გამოქვეყნებულ ნაშრომში მან, მე-11 ს. ავტორს ლეონტი მროველის მიაკუთვნა „ქართლის ცხოვრების“ ის ტექსტი, რომელშიც გადმოცემულია საქართველოს ისტორია უძველესი ხანიდან ქართლში მეფობის გაუქმებამდე. ქუანშირი კი შემდგომი ნაწილის ავტორად ჩათვალა („ჩვენი შეცნობები“, 1923, № 4, გვ. 22-23).

1924 წელს ს. კაკაბაძემ ქუანშირი მე-8 ს. II ნახევრის მოღვაწედ მიიჩნია (სახისტორიო ძიებანი, ტფ. 1924, გვ. 188). 1939 წელს გამოქვეყნებულ ნაშრომში პ. ინგოროყვამ ვარაუდი გამოთქვა, რომ მე-7 ს-ში უკვე უნდა არსებებულიყო მატანე ვახტანგ გორგასლის შესახებ („შნათობი“, 1939, № 4, გვ. 107). ამ ბოლო დროს ქუანშირი რომ მე-8 ს. ავტორი უნდა ყოფილიყო, ამის დასაბუთება სცადა ვ. ანჩაბაძემ („მაცნე“, 1987, № 4, გვ. 185-188).

რაც შეეხება კ. კეკელიძის მოსაზრებას, მასაც არაერთი მხარდაჭერა გამოუჩნდა. თუ ნ. ბერძენიშვილმა უშუალოდ გაიზიარა კ. კეკელიძის თვალსაზრისი, ა. ბოგვერაძემ („ქართული ისტორიოგრაფია“, I, თბ., 1988, გვ. 88) და ვ. არახაშიამ („მაცნე“, 1987, № 2, გვ. 74) ლეონტის არჩილ ერისმთავრის შემდგომი ხანაც მიაკუთვნეს. მაგრამ, როგორც ჩანს, ლეონტის არა თუ ამ ნაწარმოების, თვით „მეფეთა ცხოვრების“ ავტორად მიჩნევაც არ შეიძლება (დაწვრილებით იხ. ჩემი გამოკვლევა: არის ლეონტი მროველი ქართველთა მეროდოტი? „კრიტიკა“, 1989, № 4).

ქუანშირის მოღვაწეობის დროზე და მისადმი მიკუთვნებული თხზულების მოცულობის შესახებ ჩვენს ისტორიოგრაფიაში არსებული ასეთი ურთიერთსაწინააღმდეგო შეხედულებების

მიუხედავად, ქუანშირი დღესაც მე-11 ს. ავტორადაა მიჩნეული, ვახტანგის „ცხოვრებას“ კი დაბალი ღირსების ნაწარმოებად ითვლება.

რამდენად სწორია ასეთი შეხედულება? ერთი ამჟამად, ქუანშირი თუ მე-11 ან მე-8 ს. მოღვაწე იყო, მაშინ იგი მე-8 ს. და შემდგომი ხანის ქართლის ისტორიას ნართლაც ვერ გადმოსცემდა რეალურად.

ქუანშირის ვინაობისა და მოღვაწეობის დროის შესახებ სათანადო მასალის მოტანამდე, ქუანშირისადმი მიკუთვნებული თხზულების მოცულობა უნდა განისაზღვროს. „ქართლის ცხოვრების“ უძველესი — ანა დედოფლისეულ ნუსხაში იმ ტექსტს, რომელშიც ვახტანგის შესახებაა თხრობა, სათაურად აქვს: „ცხოვრება და მოქალაქობა ვახტანგ გორგასლისა მშობელთა, და თუთ მისის, დიდისა და ღმრთის-მოყუარისა მეფისა, რომელი უმეტეს სახელგანთქმული გამოჩნდა ყოველთა მეფეთა ქართლისათა“ (ქ. ცხ., ანა დედოფლისეული ნუსხა, გვ. 89).

ქუანშირისადმი მიკუთვნებულ ტექსტს თუ შემოშრტანილი სათაურის შესაბამისად გავმიჩნავთ, მაშინ ვახტანგის გარდაცვალების შემდგომი სამი საუკუნის ისტორიის ქუანშირისადმი მიკუთვნება ყოველად გაუმართლებელია (ივ. ჯავახიშვილმა ჭერ კიდევ 1918 წელს მიაკცია ამ სათაურს უურადლება. მაგრამ ამ სათაურის მიხედვით ტექსტის გაიჩვენა მას არ უცდია). რაც მთავარია, ქუანშირის მე-11 ს. ავტორად მისაჩვენად ივ. ჯავახიშვილის მიერ მოტანილი არგუმენტებიდან მხოლოდ თურქთა დაწყოლით ააქანოეთა მოძრაობის ცნობა დაჯერება, ის ცნობები, რომლებიც სირიელ მამათა ქართლში შემოსვლასა და არაბთა ბატონობის დამყარებიდან 300 წლის გასვლას შეეხება, იმ ტექსტში მოხვდება, რომელშიც ვახტანგის გარდაცვალების შემდგომი ამბებია მოთხრობილი, და მათ ქუანშირს ვერ მივაკუთვნებთ. აღნიშნულთან ერთად, სათანადო კვლევის შედეგად დადგინდა: ააქანოები საკუთრივ ქუანშირის თხზულებაში არ უნდა ყოფილყვნენ ნახსენები. ისინი ტექსტში რომელიმე მუნურ-თურქული ხალხის (რადგან ეს ხალხი მე-11 ს-ში ჩრდ. კავკასიაში აღარ ცხოვრობდა) მაგიერ უნდა იყოს ჩასმული გვიანდელი გადამწერ-რედაქტორის (შესაძლოა ლეონტი მროველის) მიერ. როგორც ს. ყაუხჩი-შვილი წერს, ყველა რედაქტორსა და გადამწერს ტექსტში ხომ თავისუფლად შექმონდა ის, რასაც იგი საჭიროდ თვლიდა (ქ. ცხ. I, გვ. 122).

წემოთქმულის საფუძველზე, ვახტანგ გორგასლის „ცხოვრების“ მოცულობა, ამ თხზულების ძველი სათაურიდან გამომდინარე, მხოლოდ ვახტანგის მშობლებისა და თვით ვახტანგის მოღვაწეობის აღწერის შემცველი ტექსტით უნდა განისაზღვროს.



ახლა რაც შეეხება ჭუანშერის ვინაობასა და მოღვაწეობის დროს.

ჭუანშერის სახელით ცნობილი ისტორიკოსი ჯერჯერობით მე-11 ს-ში არაა ცნობილი. ივრთა შონასტრის № 30 ხელნაწერში მოხსენიებული მონარხონ-ჭუანშერს, თვით ამ ცნობის შინაარსიდან გამომდინარე, არა თუ მინაწერში ვახტანგის „ცხოვრების“ ავტორად დასახელებულ ჭუანშერთან ვერ გავიგივებთ. უბრალოდ, რაიმე თხზულების ავტორადაც კი ვერ მივიჩნევთ (ცნობას, როგორც ითქვა, თვით ივ. ჯავახიშვილიც საეჭვოდ თვლიდა). ჭუანშერის სახელის მქონე ისტორიკოსი არც მე-8 ს-ში ჩანს. თუ მინაწერის ცნობას ვუჭერებთ და ვახტანგის „ცხოვრების“ ავტორად ჭუანშერს ვთვლით, მაშინ უნდა დავუჭეროთ მინაწერის იმ ცნობას, რომლის თანახმად, ვახტანგის „ცხოვრების“ ავტორი ჭუანშერ ჭუანშერიანი წმინდა არჩილის ძმისწულის ქმარი იყო. ასე რომ, ჭუანშერის ვინაობისა და მოღვაწეობის დროის დასადგენად სანამ ახალი მასალა არ აღმოჩნდება, ისევ მინაწერის ცნობებით უნდა ვიხელმძღვანელოთ.

მინაწერი რადგან „ქართლის ცხოვრების“ უძველეს ანა დედოფლისეულ ნუსხასა და მე-12 ს-ში შესრულებულ „ქართლის ცხოვრების“ სომხურ თარგმანში გვაქვს, ჩანს იგი „ქართლის ცხოვრების“ კრებულის შედგენისას უკვე არსებობდა. ანასეულ ქართლის ცხოვრებაში“ მინაწერი ასეა წარმოდგენილი: „...წიგნი ესე ქართველთა ცხოვრებისა აღწერებოდა ეპითი-უამად, ვიდრე ვახტანგისამდე. ხოლო ვახტანგ მეფისა ვიდრე აქამომდე აღწერა ჯონბერ ჭუანბერიანმან (ჭუანშერ ჭუანშერიანმან), ძმისწულის ქმარმან წმიდისა არჩილისამან, ნათესავმან რევისამან, მირიანის ძისამან“ (ქ. ცხ., ანა დედოფ., ნუსხა, გვ. 115). ამ მინაწერს წინ უძღვის სხვა მინაწერი: „წიგნი ესე წამებისა მისისა (იგულისხმება „არჩილის წამება“, ვ. ჯ.) იპოვა ესრეთ სულ მცირედ აღწერილი, რომელ ეამთა შლილობითა ჭერისამებრ ვერკის აღწერა“ (იქვე, გვ. 115). „ქართლის ცხოვრების“ სომხურ თარგმანში ეს ორი მინაწერი გაერთიანებულია. გვ. 207-208).

ამრიგად, მინაწერი (სომხურ თარგმანში მინაწერის პირველი ნაწილი) „ეამთა შლილობის“ გამო „სულ მცირედ აღწერილი“ (ჭერიანსაებრ აღუწერელი) არჩილის წამების მოვწინის და „ქართლის ცხოვრებაში“ მისი ჩართვის ამბავს გვაძენს. თუმცა, ვინ იპოვა იგი, არაფერია ნათქვამი, ამ მითითებას მოსდევს მეორე მინაწერი (სომხურ თარგმანში მინაწერის მეორე ნაწილი), რომელშიც ვახტანგ მეფემდის აღწერილი „ქართლის ისტორიის“ (ე. ი. ეპითი-უამად დაწერილი „მეფეთა ცხოვრების“) არსებობაზე და ჭუანშერის მიერ ვახტანგის ისტორიის დაწერაზე მითითება. აღნიშნულთან ერთად, დღეისათვის ჭუანშერისა-

დმი მიკუთვნებული ტექსტის ბოლოც „აღწერილი იმ მინაწერის შინაარსს თუ გავიგებდით“ ვინებთ. რომლის თანახმად, „ესე არჩილის წამება, და მეფეთა ცხოვრება, და ნინოს მიერ ქართლის მოქცევა ლეონტი მროველმან აღწერა“ (ქ. ცხ., I. გვ. 244). ცხადია ვახტანგ მე-11 ს-ში მცხოვრები ლეონტი მროველის დეაწლი. მას გადაუწერია (აღწერა ძველად გადაწერასაც ნიშნავდა) დასახელებული თხზულებანი.

ამ მხრივ, საინტერესოა გ. მელიქიშვილის მოხაზება. მისი დასკვნით, იმ თხზულებებშიდან, რომლებიც მინაწერის საფუძველზე დაწერილი „აღწერა“, „ნინოს მიერ ქართლის მოქცევა“, სიტყვა სიტყვითაა გადმოწერილი „მოქცევაი ქართლისაჲდანი“. „მეფეთა ცხოვრება“ თვით „ქართლის ცხოვრებაში“ დართული ერთი მინაწერით „ეამთა-უამად“ იწერებოდა. ხოლო „არჩილის წამების“ ავტორად, ამ ნაწარმოების მე-12 ს. მეტაფრასული რედაქციის უცნობი აგიოგრაფი თვით არჩილის თანამედროვეს (8 ს.) მიიჩნევს (ქსე, ტ. II, ლეონტი მროველი). ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ვფიქრობ, ლეონტი ამ თხზულებათა მხოლოდ გადაწერა-რედაქტიორად უნდა იქნას მიჩნეული. რა თქმა უნდა, მას, როგორც ამას კ. კეკელიძე და სხვანი ფიქრობდნენ. ვერც ვახტანგის „ცხოვრების“ ავტორად ჩავთვლით.

„არჩილის წამების“ გამაწერებელმა ლეონტი მროველმა, როგორც ჩანს, გარდა იმისა, რომ ქართლში რევიანთა მეფობის ფაქტ არ იცოდა, რის გამოც, თვით ჭუანშერ ჭუანშერიანი მიიჩნია რევის შთამომავლად (ქ. ცხ., I. გვ. 244, ზღრ. გვ. 242) მას არც წმინდა არჩილ რევიანის ქართლში მეფობის შესახებ ბქონია ცნობა. ამიტომ, მინაწერში მოხსენიებული წმინდა არჩილი მან მე-8 ს. მოღვაწე არჩილ ერისმთავრად მიიჩნია და მე-9 ს. ამბები შეცდომით მას დაუკავშირა. ვახტანგ გორგასლის სამი ერისთავი: ადარნასე ადარნასიანი, ნერსე ნერსიანი და ჭუანშერ ჭუანშერიანი მე-9 ს. მოღვაწეებად გამოაცხადა. აღნიშნულთან ერთად, ლეონტის მიერ გავრცობილი „არჩილის წამებაში“ თვით არჩილის დაბადება 628 წ. წინა ხანაში ივარაუდება. გარდაცვალება კი მე-8 ს. II ხახევარში (ქ. ცხ., I. გვ. 243-244). ცხადია, მისი ცნობები ამ მხრივაც მიუღებელია. ლეონტის „დეაწლი“ მხოლოდ ზემოთქმულით არ ამოიწურება, მას შემდეგ რაც მან მე-8 ს-ში „მცირედ აღწერილი“ არჩილ ერისმთავრის „წამება“ განავრცო და, როგორც მინაწერი გვაძენს, იგი „ქართლის ცხოვრებაში“ ჩართო. ამით, როგორც ჩანს, „მატიანე ქართლისას“ ტექსტის ზედოვწერი გაუოფა გამოიწვია (ქართლში მეფობის გაუქმების შემდგომი ხანის ისტორიისა და „მატიანე ქართლისას“ ერთი ავტორისადმი მიკუთვნების შესახებ ვარაუდი ჭერ კიდევ კ. კეკელიძემ გამოთქვა. ძვ. ქართ. ლიტ. ისტორია.

ტ. II, გვ. 219-240). მათიანეს ის ნაწილი, რომელიც „არჩილის წამების“ წინ აღმოჩნდა, იგი, ჭავჭავაძის მიერ, უკვე ჩვენს დროში, ჭუანჭავაძის მიერ მოკლეა.

არჩილის შესახებ ლეონტის ცნობებს კიდევ უფრო არადაბაქრებულს ხდის „დავითისა და კონსტანტინეს წამებაში“ არსებული მასალა. ამ თხზულებაში, რომელიც ასევე საქართველოში მურვან ყრუს ლაშქრობას ეხება, არჩილის ძმა — მირი და მისი შვიდი ქალიშვილი საერთოდ არ იხსენიება. მურვან ყრუს დას. საქართველოში ლაშქრობის აღწერისას „შვილნი დიდისა მეფისა ვახტანგ გორგასლისანი“ არჩილად და დარჩილად იწოდებიან. თანაც აქ „უხუცესი“ ძმის არჩილის სიკვდილზეა ცნობა (ჩვენს საუბრე, I, გვ. 443, 444).

ამრიგად, ის მინაწერი, რომელიც არჩილის წამების გავრცობას გვამცნობს, ლეონტი მროველისაა, ხოლო ის მინაწერი, რომელიც „მეფეთა ცხოვრების“ ეპითიო-გამად აღწერასა და ჭუანჭავაძის ჭუანჭავაძის მიერ ვახტანგის „ცხოვრების“ დაწერაზე მივითითებს, ძველია. იგი თვით ვახტანგის თანამედროვე ჭუანჭავაძის უნდა იყოს. ამიტომ ამ მინაწერის ცნობებს დიდი ღირებულება აქვს.

მინაწერის შინაარსის სრულად გაგებას გარდა იმისა, რომ წმინდა არჩილის მე-8 ს-ში მოღვაწე არჩილ ერისმთავართან გაიგივება ართულებდა, უფროაღებდა არავინ არ მიაქცია თვით წმინდა არჩილი რომ უნდა უფილიყო დასახლებული მინაწერში რევიანად. ეს მოსალოდნელიც იყო. საქმე ისაა, რომ ქართლში ბაქარიანთა და რევიანთა მეფობის ფაქტი (ქართლში ორი სამეფოს არსებობა) ამ ბოლო ხანებში იქნა გარკვეული (ვ. გოლიაძე, ფარნავაზიანთა სახლის ქრისტიან მეფეთა ქრონოლოგია. თბ., 1990, გვ. 104-120). აღნიშნულს გარდა, მე-8 ს-ში მცხოვრები არჩილი ვახტანგ გორგასლის შთამომავალი იყო (ქ. ცხ., I, გვ. 218). აქედან გამომდინარე, იგი ფარნავაზიანთა სახლის ბაქარიანთა შტოს განეუთვნებოდა. მაშინ, როცა წმინდა არჩილი (ვახტანგის „ცხოვრების“ ავტორის ჭუანჭავაძის ჭუანჭავაძის მეფის ბიძა) რევიანი იყო. თანაც, არჩილ ერისმთავრის მოღვაწეობისას, მე-8 ს-ში, რევიანებს თითქმის მათ წლის წინათ მქონდათ მეფობა დაკარგული და არჩილ ერისმთავრის ვინაობის დასაზუსტებლად მის რევიანობაზე არავინ მიუთითებდა. რატომ უნდა ვეძიოთ ნათესავით რევიანი წმინდა არჩილი მე-8 ს-ში, როცა „წმინდა არჩილი“ და მისი ძმის წულის ქმრად — ვახტანგ გორგასლის „ცხოვრების“ აღმწერლად დასახლებული ჭუანჭავაძის ჭუანჭავაძის მე-8 ს-ში მცხოვრობდნენ.

ასე რომ, თუ მინაწერის იმ ცნობით ვიხელმძღვანელებთ, რომლის თანახმად ვახტანგ გორგასლის „ცხოვრების“ ავტორი ჭუანჭავაძის ჭუანჭავაძის წმინდა არჩილ რევიანის ძმისწულია.

ქმარი იყო (რევიანები ბიჭვინთის მთებში მცხოვრებული ქართლში მათ წლიდან მე-8 ს. 80-იანი წლების ბოლომდე მეფობდნენ. სწორედ უკანასკნელ რევიან მეფე არჩილს ასახელებს წმინდა ანდრეას იბერიის სირიული ცხოვრების ავტორი. ცხოვრება ანდრეას იბერიისა, თბ., 1988, გვ., 83, 84) და იმ ფაქტსაც გვითვისავალისწინებთ, ვახტანგის „ცხოვრებაში“ ჭუანჭავაძის ვახტანგ გორგასლის სასსპეტად რომა დასახლებული (ქ. ცხ., I, გვ. 145), ცხადი გახდება, რატომ უნდა იქნას მიჩნეული ვახტანგის „ცხოვრების“ ავტორად წმინდა არჩილ რევიანის ძმისწულის (ძმისწული აქ შეიძლება პირდაპირი მნიშვნელობით არ იყოს ნახმარი და არჩილის ძმის წულის ასულსაც ნიშნავდეს) ქმარი ჭუანჭავაძის ჭუანჭავაძის.

ჭუანჭავაძის ჭუანჭავაძის თუ ვახტანგის თანამედროვე ავტორი იყო, მაშინ მისი ცნობებიც რეალური უნდა იყოს. როგორ შეიძლება ამის ჩვენება?

ჭუანჭავაძის თხზულების, როგორც საისტორიო წყაროს, შესახებ ქართულ ისტორიოგრაფიაში არსებული შეხედულების გადასინჯვა ანონიმი სირიელი ავტორის აგიოგრაფიულ თხზულებაში მინიშნებულმა, სამეცნიერო ლიტერატურაში დღემდე უცნობმა იმმა განაპირობა. აღმოჩნდა, რომ აგიოგრაფიულ ძეგლში სწორედ იმ ომის შესახებაა ცნობა, რომელსაც ქართველი ისტორიკოსები კარგა ხანია ეძებდნენ. აგიოგრაფიული ძეგლის ავტორის, მე-8 საუკუნის სირიელი ისტორიკოსის იეშუ სტილიტისა და თვით ჭუანჭავაძის თხზულებაში არსებული ცნობების შეკერების საფუძველზე გაირკვა, რომ სამეცნიერო ლიტერატურაში დღემდე უცნობი ბიჭვინთ-იანის ომი 491 წლის ჭავჭავაძის იანის ქარბის ქართლში შემოჭრით დაიწყო (შემდეგ ბრძოლა იმპერიის ტერიტორიაზე გაგრძელდა) და „იორსა ზედა“ ბრძოლაში მის წელს მიღწეული ვახტანგი სასიკვდილოდ დაიჭრა. მეორე მხრივ, ვახტანგ გორგასლის ცხოვრება და მოღვაწეობა ჭუანჭავაძის რადგან ვახტანგისავე დაბადებიდან აქვს ათვლილი და თბრობისას გზადაგზა უთითებს ამა თუ იმ მოვლენის დროს ვახტანგი რამდენი წლისა იყო, შესაძლებელი ვადა მე-8 ს. II ნახევრის ქართლის სამეფოს პოლიტიკური ისტორიის შედარებით სრულად წარმოადგინა.

„ცხოვრების“ ტექსტის სათანადო შესწავლა. ცხადყოფს: საკუთრივ ვახტანგ გორგასლის შესახებ მოთხრობილი ამბავი საკმაოდ რეალურია. არ დადასტურდა იგი, ჭავჭავაძის მოსახრება თითქმის „ცხოვრების“ მთელი მოთხრობა არასდროს არ შეიცავს იმდროინდელ ადამიანს: საქართველოს უტყუარ სურათს“ (თხზ., ტ. VIII, გვ. 191). ჭუანჭავაძის თხზულების მიმართ ასეთი თვალსაზრისის შექმნა უფრო მეტად მე-8 ს. ქართლისა და მისი მეზობელი ქვეყნების ისტორიის შესწავლის არა-



საკმაო დონით იყო განპირობებული; ვიდრე თვით ჭუანშერის ცნობათა არარეალურობით.

ჭუანშერ ჭუანშერიანს, როგორც ქართლის სამეფოს უმაღლესი ფენის წარმომადგენელსა და სამეფო ოჯახის ნათესავს, მართალია, უპირველეს ყოვლისა, ვახტანგისა და სამეფო ოჯახის სხვა წევრთა „ცხოვრების“ გადმოცემა პქონდა მიზნად, მაგრამ იგი, როგორც ქართლის სამეფოს სასპექტი და მის მიერ აღწერილი ამბების თანდამხედური, ვახტანგის მოღვაწეობის აღწერისას, ქართლის სამეფოში მიმდინარე ამბების გარდა, სანდო ცნობებს გვაწვდის ქართლის მეზობელი ქვეყნების ზოგი საკითხის შესახებაც.

ჭუანშერმა, როგორც სამეფო ოჯახთან დაახლოებულმა პირმა, დეტალურად იცის ვახტანგის წინაპრების ვინაობა, მათი ნათესაური კავშირები, ფარნავაზიანთა სამეფო სახლში წარმოქმნილი ის ვითარება, რომელმაც 348 წელს ქართლის ორ სამეფოდ გაყოფა განაპირობა.

მინაწერიდან გამომდინარე, ჭუანშერმა თავისი თხზულება დაწერა, როგორც „მეფეთა ცხოვრების“ გაგრძელება. ამიტომ, ცხადია, ამ თხზულებით იგი ისარგებლებდა კიდევ. მაგრამ, ქართლის სასპექტს თავისი ისტორია რადგან უშუალოდ მის მიერ ხილულ ან თანდამხედურთა მონათხრობზე დაყრდნობით აქვს შედგენილი, მის თხზულებაში ძველი უცხოენოვანი წყაროების მიკვლევა ქირს.

ჭუანშერს ქართველთა სასიქადულო მეფის ვახტანგ გორგასლის „ცხოვრების“ გადმოსაცემად იმ დროისათვის არსებული არც ერთი ქრონოლოგიური სისტემა არა აქვს გამოყენებული, ვახტანგის ბიოგრაფია — აქედან გამომდინარე ქართლის ისტორია მას, როგორც ითქვას, ვახტანგის დაბადების თარიღიდან აქვს ათვისებული. თხრობის ასეთი ხერხი ჭუანშერის თხზულებას, მართალია, საკმაო ქრონოლოგიურ ქარგას უქმნიდა, მაგრამ, რადგან, ამ ბოლო დრომდე ვახტანგის დაბადების თარიღი არ იყო ცნობილი, ჭუანშერისეული ქრონოლოგია არაფრის მთქმელი იყო.

ჭუანშერის მიერ გამოყენებული დროის ათვლის სისტემა, ვფიქრობ, კიდევ ერთი დამადასტურებელია იმისა, იგი ვახტანგის თანამედროვე მოღვაწე რომ იყო. ძველი აღმოსავლეთის ქვეყნიდან შემორჩენილი მეფეთა სიებით ცხადი ხდება, რომ ძველ ქვეყნებში დროის ათვლა და მნიშვნელოვან მოვლენათა დათარიღება ცალკეულ მეფეთა მიხედვით ხდებოდა. მეფეთა სიები ისეთი დოკუმენტები იყო, რომლითაც ამა თუ იმ მეფის სახელი, მეფობის ხანგრძლივობა და საქმიანობა აღინიშნებოდა (კერაში, ზეთების საიდუმლოება, თბ., 1960, გვ. 117-118). მიუხედავად იმისა, რომ ფარნავაზის დროიდან მოკიდებული ქართლის სამეფოზე დიდი იყო ელინისტური სამყაროს კულტურული გავლენა, როგორც ჩანს, მაინც

ვერ იქნა დაძლეული ძველადმოსავლურ ტრადიციები (ამ მხრივ ძველადმოსავლური ტრადიცია თვით ელინისტური სამყაროს ქვეყნებმაც კი ვერ გადალახეს. ალექსანდრე მაკედონელის ეპოქის შემდეგაც დრო იქაც ცალკეულ მეფეთა მიხედვით ათვლებოდა. ე. ბიკერმანი, ძველი მსოფლიოს ქრონოლოგია, მოსკოვი, 1975, რუს. ენაზე, გვ. 101). აღნიშნულით უნდა აიხსნას „მეფეთა ცხოვრებაში“ ფარნავაზიდან მოკიდებული ქართლის სამეფოს ისტორია ცალკეულ მეფეთა მიხედვით რომაა გადმოცემული. ამ ტრადიციით უსარგებლია ვახტანგის „ცხოვრების“ აღწერისას ჭუანშერსაც. მართლაც, როგორც მინაწერი გვამცნობს, ჭუანშერმა თავისი თხზულებით ხომ „მეფეთა ცხოვრება“ გააგრძელა და, ცხადია, მის მიერ გამოყენებული ქრონოლოგიური სისტემაც „მეფეთა ცხოვრების“ შესაბამისი უნდა ყოფილიყო.

მე-ს. II ნახევრის ქართლის ისტორიიდან აქამდე თუ მხოლოდ ვახტანგ გორგასლის ანტიიარული აჯანყების თარიღი ვიცოდით (482-483 წწ.). ახლა დამატებით ვიცით, რომ ჩრდ. კავკასიიდან ოსთა, ბოლო დას. საქართველოში ბიზანტიელთა ერთდროული ლაშქრობა 441 წელს შედგა. 447 წ. ვახტანგი ჩრდ. კავკასიაში ჰუნებს, ბოლო 447-449 წ-ში დას. საქართველოში ბიზანტიელებს ებრძოდა. 453-455 წლებში ქართლ-ალბანეთის მარშპანთან ვარაზ-ბაკურთან ერთად ბიზანტიის წინააღმდეგ ლაშქრობაში მონაწილეობდა. 460 წ. მოიგერია ქართლში შემოჭრილი ირანელები (460 წ. ბრძოლებში შეარქვეს მას ირანელებმა „გორგასალი“ — მგლისთავა, რადგან მუზარადზე წინ მგელი და უკან ლომი პქონდა გამოსახული) და მათთან ზავის დადების შემდეგ, 460-468 წლებში, ირანის შაჰთან პეროზთან ერთად, ქართლის ლაშქრით ჯორჯანეთში, ინდოეთში, სინდეთსა და აბაშეთში ებრძოდა ჰუნ ქუშანებს. დაახლ. 485 წ. დაიწყო დიდი მშენებლობა დედაქალაქის მცხეთიდან თბილისში გადასატანად. 491 წ. „იორსა ზედა“ ბრძოლაში სასიკვდილოდ დაიჭრა და ჩქარა გარდაიცვალა.

ჭუანშერის თანადროულ ქართლის სამეფოში, გარდა იმისა, რომ შემონახული იყო ძველადმოსავლეთიდან მომდინარე კულტურული ტრადიციები, დიდი ყოფილა სირიული სამყაროს გავლენაც. აღნიშნულის დამადასტურებლად უნდა იქნას მიჩნეული ჭუანშერის მიერ ქ. ნისიბისის ელინისტური ხანის სახელით — ანტიოქიად მოხსენიება. სირიულ სამყაროსთან მე-ს. ქართლის სამეფოს მჭიდრო ურთიერთობაზე მიგვიითებს აგრეთვე ჭუანშერის მიერ ამ სამყაროსთან დამაკავშირებლად დასახელებული „გზა შიმშატისა“ და „გზა რანისა“, რომლებიც უძველესი დროიდან ცნობილი, აქემენიანთა ხანის ყოფილი „დიდი სამეფო გზის“ ჩრდილოეთ განშტოებას წარმოადგენდნენ.

საქართველოს ისტორიის ინსტიტუტი

ქუანშერის თანადროული ჰუნური სამყაროს სათანადო შესწავლამ ნათელი გახადა. რომ მის მიერ მოხსენიებულ აბაშეთში, როგორც აქამდე ეგონათ, ერთობა კი არ იგულისხმებოდა არამედ ირანის მეზობლად მდებარე სისტანი (აბაშებში კი ჰუნი ქუანშენი). აბაშეთის ასეთმა ინტერპრეტაციამ ქუანშერის თბზულების ამ ნაწილს ახალი შინაარსი შესძინა, აბაშეთის გეოგრაფიული მდებარეობისა და ჰუნებრივი პირობების ქუანშერისეული აღწერა ერთ-ერთი უძველესი და უნიკალურია.

საინტერესოა მცირე აზიის იმ ტერიტორიების ქუანშერისეული აღწერა, სადაც ქართველური მოდგმის ტომები ცხოვრობდნენ. როგორც ჩანს, ქუანშერი ამ მხარის ტომონიმიკას იმ სახელებით გადმოგვცემს, როგორც ისინი ძველ ქართულ სამყაროში იყო ცნობილი.

გაირკვა, რომ ქუანშერი პონტო ქალაქად პონტოს სამეფოს ძველ დედაქალაქ სინოპს იხსენიებს. 411 წლის შემოდგომაზე გამართული ბრძოლის ადგილად დასახლებული „ქალაქი რიუე ხერთვისის“ ქუანშერისეული აღწერა ზუსტად შეესაბამება შავ ზღვაში მდ. შერუდ-ირმაქის შესართავში წარმოქმნილ ჭობანარისა და ლერწმთვანის თანამედროვე მდგომარეობას.

მართალია, ირანის ე. წ. „ბრდილოეთის ქუსტაკი“ ქუანშერის მოდვანების დროისათვის ჯერ კიდევ არ იყო ოფიციალურად ჩამოყალიბებული (იგი 511 წ. ხოსრო I-მა ტახტზე ასვლის შემდეგ შექმნა), მაგრამ ამ სისტემას საფუძველი აღმ. ამიერკავკასიაში სახანაოთა გაბატონებისთანავე ჩაეყარა და ქუანშერის მოდვანების დროისათვის იგი ფაქტობრივად უკვე არსებობდა. ქუანშერი, როგორც ამ ამბების თანდაამხედური, ზუსტად აღწერს სახანაოთა მიერ აღმ. ამიერკავკასიაში შექმნილ მმართველობის სისტემას, გადმოსცემს ქართლ-აღმართის მარჯანთა უფლება-მოვალეობის შესახებ, იცის, რომ მარჯანთა სახელეო მემკვიდრეობითი იყო.

ქუანშერს სწორი ინფორმაცია აქვს ბიზანტიის იმპერიის სამხედრო ადმინისტრაციული ერთეულების შესახებაც. მისი ცნობა — საქართველოს შემთხვევაში ვახტანგ გორგასალს იმპერიის ის ლაშქარი რომ უნდა დახმარებოდა, რომელიც ვანდაგებულნი იყო „შელიტენითგან ვიდრე ლამედმდე, და მოდმართ ვიდრე კარნუ-ქალაქამდე“ (ქ. ცხ., I, გვ. 184). ზუსტად შეესაბამება რომის იმპერატორ დიოკლეტიანეს (284-305) მიერ აღმოსავლეთში შექმნილ „კონტიკა“-ს დიოცეზს (ნ. ადონცი, იუსტინიანეს ხანის სომხეთი, ერევანი, 1971, რუს. ენაზე, გვ. 14-15). სწორედ ამ სამხედრო-ადმინისტრაცი-

ული ერთეულის მოთვარეობაზე იყო ქუანშერის მიერ დასახლებული „ლაშქარი“-ს ქარნუ-ქალაქი, ხოლო ქუანშერისეული „ლაშქარი“-ს „ლიმანსი“ (ლათ. ლიმბს — ახ. წ. I ს. დან რომის იმპერიაში მიწაურილებითა და სამეთვალყურეო გოდოლებით გამაგრებული ხაზი) ნიშნავს.

სრულიად ორიგინალურია ქუანშერის ის ცნობები, რომლებიც ირანის ტახტზე ახალი შაჰის (იგულისხმება პეროზი — 419-424 წწ.) ასვლას, 411 წ. ქართლში მის შემოჭრას, ბრძოლის მიმდინარეობასა და ზავის დადებას შეეხება. ასევე, ქუანშერის ცნობა ბიზანტიის მიერ ირანისადმი სამხედრო კონტინგენტით დახმარების შესახებ, ახალი მასალით ამდიდრებს ბიზანტია-ირანის სამხედრო ურთიერთობის ისტორიას. ქუანშერს სწორად აქვს გადმოცემული მისი თანადროული ქართლის ეკლესიის დამოკიდებულება ანტიოქიისა და კონსტანტინოპოლის საპატრიარქოებთან.

ქუანშერის, როგორც სანო ისტორიკოსის, შესახებ კიდევ შეიძლება საუბარი გავვეგრძელებინა. მაგრამ მისი პიროვნების წარმოსახვნად, ვფიქრობ, აღნიშნულიც საკმაოა. ქუანშერის თბზულება რომ ასეთი მაღალი ღირსებისაა, ეს შემთხვევითი არაა. მისი მოდვანების დროისათვის ქართულ საისტორიო აზროვნებას მრავალსაუკუნოვანი ტრადიცია ჰქონდა. მე-5 საუკუნისათვის ხომ უკვე არსებობდა „უამითი-უამად“ აღწერითა ორიგინალური საისტორიო კრებული „მეფეთა ცხოვრება“, რომელშიც ძვ. წ. მე-4 ს. დასასრულიდან ახ. წ. მე-5 ს. დამდეგამდე ქართლის სამეფოს მწყობრი ისტორია გადმოცემული.

მინაწერის მითითებით ქართლის ძველი ისტორია მხოლოდ თვითმზილველთა და თანადამხედურთა მიერ იწერებოდა („...მიერთგან... მომავალთა ნათესავთა აწერონ ვითარცა იხილონ“-ო. ქ. ცხ., ანა დიდოფ. ნუსხა, გვ. 159). და მართლაც, სწავლულ ბატონიშვილთან, თეიმურაზ ბაგრატიონთან (1782-1848) შემონახული ძველი ქართული ტრადიციით „გოვანშერ სპასპეტი“ ხომ ვახტანგ მეფის „სწავლული და ივერიის ისტორიის აღმწერი“ იყო (ისტორია დაწეებითგან ივერიისა, 1848, გვ. 38). ასევე მართალი იყო თ. ყორღანია, 1882 წ. „ქართლის ცხოვრების“ წინა ნაწილში რამდენიმე ავტორის თბზულება რომ ივარაუდა, ხოლო ქუანშერის ვახტანგ გორგასლის თანამედროვედ და მისი „ცხოვრების“ აღმწერად მიიჩნია.

ყოველივე ზემოთქმულის შემდეგ, ვფიქრობ, დროა მე-5 ს. ქართული კულტურის მოდვანეთა შორის ქუანშერ ქუანშერთან კუთვნილი ადგილი დაიკავოს.



ალექსანდრე სიგუა

მრავალი ნიჭით შემკული

ჩვენ არ ვწერთ მონოგრაფიულ ნარკვევს გიორგი ნიკოლაძეზე. გვინდა მხოლოდ გავახსენოთ ის ახლო ურთიერთობა, რომელიც შევუძობისა და სიკაბუჯის წლებში გქონდა ნიკოლაძეების დიდ ოჯახთან.

გიორგი ნიკოლაძე იყო მეთაურთა, ქიმიკოსი, მათემატიკოსი, გეომეტრი, გეოგრაფი, უბადლო სპორტსმენი და კიდევ მრავალი სხვა დიდი საქმის დამწევი და საქციადისტი. ამიტომ გიორგი ნიკოლაძის შესახებ მონოგრაფიის დამწერი უნდა იყოს ენციკლოპედისტი, დიდი მცოდნე იმ მეცნიერებისა, რომელსაც ასე დრამად იყო დაუფლებული გიორგი ნიკოლაძე. ჩვენ კი, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მკითხველს გვინდა გავაცნოთ დიდი მეცნიერისა და საზოგადო მოღვაწის გიორგი ნიკოლაძის ბიოგრაფია ოჯახური საარქივო მასალებისა და ჩვენს წერების მიხედვით, რომელიც მრავლად მოიპოვება გიორგი ნიკოლაძის შვილთა არქივში და ასევე რუსულად ნიკოლაძის შემუშავებული ნაწერებში, რომელიც ქართველობით გამოუქვეყნებელია. თუ არ მივიღებთ მხედველობაში შემუშავებულ კრებულს — „ცხოვრების დიდ გზაზე“, რომელიც ჩემი რედაქტორობითა და წინასიტყვაობით დაბეჭდა გამომცემლობა „განათლებამ“ 1976 წელს.

ნიკო ნიკოლაძის ოჯახი სოფელ კახაბში არასოდეს არ ყოფილა ისეთი ბედნიერებით და სიხარულით აღსილი, როგორც 1938 წლის 21 ივლისს, რომელსაც ნიკოს, რუსულადანის შემდეგ, დაებადა პატარა ბუთბუზა ბიჭი, რომელსაც ნათლობისას გიორგი დაარქვეს, ბიჭის დაბადების უზომო სიხარული ნიკომ სასწრაფოდ აცნობა ქუთაისში თავის მეგობარს, მწერალსა და ჟურნალისტს კირილე ლორთქიფანიძეს, რომელთანაც უმაღლეს აფრინა თავისი კარის მეზობელი და თან წერილი გააკანა: ძმომ კი-

რილე, ვაჟი შეუღლა ოთხი ქალის შემდეგ, ბედნიერი ვარ, მაგრამ ჩემი ბედნიერება სრული არ იქნება, თუ შენ არ მონათლავ ჩემი ვაჟი. შენ უნდა დაანათლო შენი კეთილშობილი ბუნება მას, ელეს გამოგვიგზავნი, თუ დათანხმდები და ჩედნიერს გამხდი.

ბავშვის ნაიღობა მოხდა ერთი წლის შემდეგ, 1939 წლის 21 ივნისში, რომელშიაც არა მარტო მთელმა იმერეთმა მიიღო მონაწილეობა, არამედ თბილისიდან და სხვა ქალაქებიდან ჩამოსულენბაც, ლბიჩი სამ დღე-ღამის განმავლობაში მიმდინარეობდა დიდი ნიკოს სიყვარულთაგან ოჯახში.

გიორგის დედა, ოლდა გურამაშვილიც, ცნობილი პედაგოგი და საზოგადო მოღვაწე იყო, რომელსაც დიდ პატივს სცემდა ჩვენი პედაგოგიური მეცნიერებისა და აზროვნების ფუნდამენტული იაკობ გოგებაშვილი, „იაკობ გოგებაშვილი და ნიკო ცხვედაძე. წერს რუსულად ნიკოლაძე თავის მოგონებაში „ცხოვრების დიდ გზაზე“. დედაჩემის დიდი პატივისცემილები და მეგობრები იყვნენ სიკო ცხლის უანასკნელ წუთამდე“. ხოლო 1940 წელს, როცა ოლდა გურამაშვილი ნიკოლაძის გარდაიცვალა, გაზეთ „კომუნისტის“ 1940 წლის 27 მაისის ნომერში დაიბეჭდა შალვა დადიანის, გიორგი ლეონიძისა და გერონტი ქიქოძის ხელმოწერით ნეკროლოგი, სადაც ოლდა გურამაშვილის პედაგოგიურ-საზოგადოებრივ მოღვაწეობას შალვა შეფასებას აძლევენ. ეს დიდად განათლებული და მაღალი კულტურის პიროვნება, წლების განმავლობაში გვერდს უკმევენებდა მის დიდ მუედლეს, მწერალს, ფილოსოფოსს, პუბლიცისტსა და საზოგადო მოღვაწეს ნიკო ნიკოლაძეს.

გიორგი რომ წამოიზარდა, ნიკოს მთელი ბიბლიოთეკა გადაიკითხა. გაეცნო არა მარტო მხატვრულ ლიტერატურას, ფილოსოფიასა და ეკონომიკურ მეცნიერებას, არამედ ტექნიკურ

ლიტერატურასაც. რომელიც მამამისის ნიკოს ბიბლიოთეკაში დიდი რაოდენობით იყო დაცული რუსულ, ფრანგულ, ინგლისურ, გერმანულ, იტალიურ და სხვა ევროპულ ენებზე, როდესაც გიორგი ღრმად დაეუფლა მსოფლიო ლიტერატურას, ეკონომიკურ და ტექნიკურ მეცნიერებას, მამა და შვილი ხშირად დაობდნენ და კამათობდნენ ქართველი ხალხის მომავალ ეკონომიკურ წინსვლაზე, რომლისთვისაც საქართველოში არსებობს ულუფი წიაღისეული რესურსები, შემდეგ ღრმად შეიკრებოდნენ ქართულ-მხატვრულ ლიტერატურაში, მის შორეულ ისტორიაში. აქ იყო კამათი რუსთაველზე, ბარათაშვილზე, ილიაზე, აკაკიზე, ვაჟაზე, უაზბეგზე და სხვა ჩვენ გამოჩენილ კლასიკოსებზე. გიორგის კი განსაკუთრებით უყვარდა ნიკოლოზ ბარათაშვილი და მისი პოეზია. შეიძლება ითქვას, რომ ნიკო ნიკოლაძის სახლში, ნიკოლოზ ბარათაშვილის კულტის სუფევდა, და როგორც დიდი ნიკო, რუსულაძეც და გიორგიც წერდნენ ნიკოლოზ ბარათაშვილის შემოქმედებაზე და მის ურთიერთობაზე ჩვენ ძველ კლასიკოსებთან. ჩემს არქივში ინახება პროფ. რუსულად ნიკოლაძის ვრცელი წერილი ნიკოლოზ ბარათაშვილის შემოქმედებაზე და პოეტის განჯიდან გადმოსვენების ისტორიაზე.

მე არაერთხელ მინახავს გიორგი ნიკოლაძეს ჭელში რომ ეკირა ნიკოლოზ ბარათაშვილის ლექსების კრებული 1910 წელს „ცოდნის“ მიერ გამოცემული, რაშილსაც დართული აქვს დ. კარიკაშვილის წერილი „მგონის ბიოგრაფია“, ილია ქავჭავაძის წერილი „ნიკოლოზ ბარათაშვილი“ და ივანე გომართელის წერილი ნიკოლოზ ბარათაშვილის პიროვნებისა და პოეზიის დახასიათება“. ნ. ბარათაშვილის ეს ლექსთა კრებული გიორგის ლამაზ უდაში ქონდა ჩასმული და სამსახურში დაქონდა ხოლმე. დიდი მეცნიერი მათემატიკოსი და გეომეტრი, ქიმიკოსი, მეტალურგი და სპორტსმენი ისე იყო შეყვარებული ბარათაშვილის პოეზიაზე, რომ საუბრის დროს ხშირად ჩაურთავდა ხოლმე პოეტის ლექსების სტრიქონებს და ამით უფრო მეტ შინაარსსა და დამაჯერებლობას ანიჭებდა თავის მსჯელობას, თავის ნათქვამს.

როგორც რუსულადნა მამაბო, გიორგი თურმე აპირებდა ნიკოლოზ ბარათაშვილზე მონოგრაფიის დაწერას და როდესაც ეს გიორგიმ დედ-მამას გაუწიარა მათ ძალიან მოუწონეს.

— შვილო, უთხრა მამამ გიორგის, სანამ ბარათაშვილზე მონოგრაფიის დაწერას შეუდგებოდე, მანამდის უნდა წაიკითხო ზოგიერთი წიგნი ლიტერატურისა და ხელოვნების შესახებ. ნიკოლოზ ბარათაშვილი ჩვენი ერის სიამაუვა, მისი დიდებაა. თავისი შემოქმედებით უკი რუსთაველის გვერდით დგას და მის ლექსებს მხოფლიო მნიშვნელობა აქვს. ამიტომ ღრმად უნდა ჩაფიქრება და გაანალიზება, არა

მარტო მის გენიალურ ლექსებს კარგად ეცნობოდა, არამედ ეცნობოდა მისი პოეტის ლექსების განხილვის დროს. იმ წიგნიდან, რომლებსაც უნდა გაეცნო, დიდი უმრავლესობა ჩემს ბიბლიოთეკაშია დაცული, ზოგს კი რუსეთიდან და საფრანგეთიდან გამოვიწერ.

უნდა გაამდიდრო კიდევ უფროოდ დაღუპული პოეტის ბიოგრაფია, მისი მძიმე ცხოვრების ამსახველი ფაქტებით. ჭერ კიდევ ცოცხლები არიან ნიკოლოზ ბარათაშვილის მამის — მელიტონის ნათესავები და ნაცნობები. მე წერილს მივიწერ ჩვენს მწიგნობარუხუცესს ზაქარია ქიქინაძესთან, რომელმაც ბევრი რამ იცის ბარათაშვილის ცხოვრების გარშემო. გაესაუბრე მას და უველაფერი დაწვრილებით ჩაიწერე. ამას მეტად დიდი მნიშვნელობა აქვს უფროოდ დაღუპული პოეტის შემოქმედებისა და ბიოგრაფიის შესასწავლად. ჩვენში, სამწუხაროდ, ნაკლებად იწერება მწერლის ცხოვრების ამსახველი ბიოგრაფიები, ეს კი დიდად უშლის ხელს მწერლის შემოქმედების განხილვას.

მამასთან ამ საინტერესო ლიტერატურული საუბრის შემდეგ, — ამბობს რუსულად, — გიორგი ხშირად დადიოდა თბილისის იმ ძველ უბნებში, სადაც ნიკოლოზ ბარათაშვილმა თავისი ბავშვობისა და ქაბუკობის წლები გაატარა. ერთხელ მამაც კი გააყუა და გააცნო ძველი თბილისის საინტერესო ისტორიული ადგილები, დიდი პოეტისა და საზოგადო მოღვაწის გრიგოლ ორბელიანისა და მანანა ორბელიანის სახლი, ერეკლეს მშფოთვარე უბანი, როსტომ მეფის სასახლე და ის ადგილები, სადაც ქვენობა იმართებოდა.

გიორგი ნიკოლაძე, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, იყო პოეტური და მუსიკალური ბუნების საოცრად მგრძნობიარე, ნაზი, ფაქიზი, სულში ჩამწვდომი ადამიანი. ამასთან დაკავშირებით მინდა გავიხსენო ცნობილი მწერლის, თეატრალისა და მუსიკალური ხელოვნების თეორეტიკოსის ილია ჭურაბიშვილის ნაამბობი, ილიას თითქმის 40 წელიწადი ვიცნობდი, მასთან ახლო მეგობრობა მქონდა. ბატონი ილია სხვა ქართველ მწერლებთან — შალვა დადიანთან, თედო სახოკიასთან, სერგი დანელიასთან, ლადო გულიაშვილთან ერთად ჩემთან ბინაზე ხშირად მოდიოდა ხოლმე. ისინი ჰყვებოდნენ მეტად საინტერესო ამბებს, იხსენებდნენ შეხვედრებს ილიასთან, აკაკისთან, ვაჟასთან, ნიკო ნიკოლაძესთან, ზაქარია ფალიაშვილთან, ვანო სარაჯიშვილთან, ალექსანდრე სუმბათაშვილთან და ჩვენს სხვა დიდ საზოგადო მოღვაწეებთან. არაფერი სჭოდა ჭურაბიშვილის საუბრის მოსმენას, როდესაც ის გაიხსენებდა, თუ როგორ მოუშაობდა დიდი ილია „ივერიის“ რედაქციაში, ანდა როგორ იწყებდა ლექსის წერას აკაკი, რომელთანაც ილია ჭურაბიშვი-



ლი წლების განმავლობაში ცხოვრობდა. ანდა თუ როგორ იწყებდა ვანო სიმღერას და როგორც ილია იტყოდა ხოლმე, მკვდარსაც კი გააცოცხლებდა.

ილია ზურაბიშვილისათვის აკაკი წერეთლის პოეზია და ვანო სარაჯიშვილის სიმღერა გაბრძნობდა იყო იმ უკვდავი პიმნისა, რომელსაც ჩვენ შოთა რუსთაველის უკვდავი „ვეფხისტყაოსნიდან“ მოგვესმის.

„უმა ტკბილი და ტკბილქართული სიკეთისა ხელის მწველი, ღმერთმა ქნას და გაუსრულდეს ლხინი ესე აწინდელი!“

და აი, ბატონმა ილია ზურაბიშვილმა ასეთი შემთხვევა გაიხსენა:

ერთ დღეს, წილენის ქუჩაზე, შეწვივნენ ვანო სარაჯიშვილი და გიორგი ნიკოლაძე, ორივე ერთმანეთზე უკეთესი შეხედულების, ვინმეს რომ არ ცოდნოდა, რომ ერთი ვანო სარაჯიშვილი იყო და მეორე ნიკოლაძე. მზახველის უურადლებას მაინც მიიპყრობდნენ. ქემ-მარიტი რაინდები იყვნენ, ძველი ქართველი ერის მოდგმა.

ვანოს ჩემთან მოხვლით თითქოს კედლებიც ამღვრდნენ, და როიალს სახურავი თავისთავად აეხადა და კლავიშებმაც ხმა გამოცეცო, ვანო როიალთან დადგა, მე ღიმილით შემომხედა, ეს იმას ნიშნავდა, რომ როიალზე უნდა დამტარა. შემდეგ იქვე მდგომ გიორგის შეხედა და უთხრა, რა სიმღერა გინდა, ჩემო გიორგი, მოგასმენინო?

— რასაც შენ იმღერ, ყველაფერს მოვასმენ, — უთხრა გიორგიმ — როიალი ახმაურდა და ვანომ თავის საუკარელი „ურმული“ იმღერა. ამ დროს მაკო საფაროვი ამოვიდა, რომელიც იქვე პირველ სართულზე ცხოვრობდა, გაიმართა ხვევნა-კოცნა და ტკბილი საუბარი მაკოს, ვანოსა და გიორგის შორის. თუ მაკო გაიგებდა ჩემს ოთახში სიმღერის ხმას, ის უცებ ამოვიდოდა. მე ვხედავდი ვანოს სიმღერისაგან, თუ როგორ ქვითინებდა გიორგი.

გიორგი ნიკოლაძე თავისი შემოქმედებით, მაშინაც პოეტი იყო, როცა პარიზში სობოლის უნივერსიტეტში მათემატიკაში სადოქტორო დისერტაცია იყავდა, დაფის წინ იდგა და ხელში ცარცი ეკავა.

გიორგი ნიკოლაძე მაშინაც პოეტი იყო, როდესაც მუნიციპალიტეტის და იალბუჯის იმპროზოდა და იქიდან გამარჯვებული მსოფლიოს გადასურებდა.

გიორგი ნიკოლაძე ყველგან და ყველაფერში ორიგინალური მოვლენა იყო. ეს ბრწყინვალედ შენიშნა თავის წერილში გ. ნიკოლაძის მეგობარმა, სახელგანთქმულმა მეცნიერმა, აკადემიკოსმა ბარდინმა, რომელსაც ქვემოთ გავაცნობთ მოკლედ.

გიორგი ნიკოლაძემ ქერ თავის სახლში, მამის მდიდარ ბიბლიოთეკაში და შემდეგ უმა-

ღლეს სასწავლებელში — დრმა ცოდნის მწველი და შემდეგ დიდი ენერჯით შეუდგა საზოგადოებრივ მოღვაწეობისათვის მშადებს.

გიორგი ნიკოლაძემ ერთნაირი სიღრმით იცოდა, როგორც მათემატიკა, ისე გეომეტრია, ფიზიკა და ქიმიის მეცნიერება.

1926-1928 წლებში გიორგი ნიკოლაძე სამეცნიერო მუშაობის გასაღრმავებლად მივლინებული იქნა საფრანგეთში, სადაც პარიზში 1928 წლის 11 ივნისს სობოლის უნივერსიტეტში დაიცვა სადოქტორო დისერტაცია მსოფლიოში სახელგანთქმულ მათემატიკოს აკადემიკოს კარტანთან და მიენიჭა „მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორის წოდება“ და მიიღო შეფასება „უმადლესი წარჩინების ხარისხით“.

გიორგი ნიკოლაძის გარდაცვალების რამდენიმე წლის შემდეგ, 1938 წელს აკადემიკოსი კარტანი წერდა: „არ შემძლია აღუღლებლად გავიხსენო ეს ჩანდომი თავი ყმაწვილი, ასე უდროოდ მეცნიერებას გამოკლებული მკვლევარი, მისი მართალი თვლების პირდაპირი გამოხედვით... აქ ახლა მინდა ვილაპარაკო არა ადამიანზე, არამედ მათემატიკოსზე. გ. ნიკოლაძე ბუნებით იყო გეომეტრი... თავისი დისერტაციის თემად მან აირჩია გეომეტრიულ ნაკვთთა უწყვეტი სისტემები, რომლის დამუშავებასაც მე სისტემატურად ვესწრობოდი, ზოგჯერ რჩევასაც ვაძლევდი, რაც ხელს არ უშლიდა გაწყობილად საკუთარ გზას და ეს გზა ერთხელაც არ აცდენია გეომეტრიის სინამდვილეს... აღგებრული სისტემის შესახებ გ. ნიკოლაძემ მიიღო დიდი საზოგადოებრივი მნიშვნელობის ახალი შედეგები“. გიორგი ნიკოლაძის ახლო მეგობარი აკადემიკოსი ივანე ბარდინი გიორგი ნიკოლაძის შესახებ წერდა: „გი გავხლდათ ახალი ტიპის ადამიანი, მრავალმხრივად ერთღირებული, განსაკუთრებით ღრმად იცნობდა იგი მათემატიკას. ოდესღაც ლეონარდო და ვინჩი წერდა: „მათემატიკა პრაქტიკული მექანიკის საშოთხედ გადაკეცვის საშუალებაა, რადგან ამით მექანიკის საშუალება ეძლევა მოიძიას მათემატიკის ცოდნის ნაკული“.

გიორგი ნიკოლაძის სულიერი სამყარო, — განაგრძობს აკადემიკოსი ბარდინი, — განსხვავდებოდა იმ ადამიანის სულიერი სამყაროსაგან, რომელიც ზემოთ აღვწერე. გიორგი განუმეორებელი იყო, არავის ბაძავდა, არც მუშაობის ხერხებით, არც ცხოვრების ყალიბით. ჩვენ, ახალგაზრდა ინჟინრებს, რომლებიც ისინი იყო, ვიწყებდით ცხოვრებას, ურველთვის და ყველაფერში აშკარად გვეტკობოდა რაღაც სხვისი, ჩვენ გვეკრძებოდა გმირები, რომლებსთვისაც უნდა მიგვებაძა... გიორგი ნიკოლაძე კი არავის მგავდა ცოცხალ გმირთაგან, იგი თვით თავისი თავი იყო, ხოლო თუ მგავდა, ვინმეს, მგავდა ანდრე ვოლკონსკის „ომი და მშვიდობიდან“ ვერაფერი გამოიყვანდა. მოთ-

მინებიდან. მუდამ დინჯი, პირდაპირი, შეუპოვარი იყო და ისტყე, როგორც რომანში განუთხებს ანდრეი კოლცოვნისკის ბედი, გამოგონილი პირისა, ასევე უნდა გავიგოთ, თუ რა მტკივნეულად განვიციდიდით გიორგი ნიკოლოზის ძის უდროოდ გარდაცვალებას“.

აქვე ერთი ამონაწერი შინდა მოვიყვანო აკადემიკოს ნიკო მუსხელიშვილის წერილიდან:

„თუ შეიძლება კითხვის დასმა, — წერს აკადემიკოსი ნიკო მუსხელიშვილი, — ისეთი მრავალმხრივი პიროვნების შესახებ, როგორც გ. ნიკოლაძე იყო — რა შეადგენდა მის ძირითად, არსებით მხარეს — პასუხად გადაჭრით უნდა ითქვას: მოვალეობის განსაკუთრებული გრძნობა უდიდეს ნებისყოფასთან ერთად. ეს თვისება მკვეთრად ახასიათებს გ. ნიკოლაძის მთელ ცხოვრებას და მოღვაწეობას. იგი იქამდე მიდიოდა, რომ თავის თავს ნაწილობრივ უყურებდა, როგორც მანქანას (ეს შედარება მისივეა), რომელშიც გარკვეული შესაძლებლობები ძვეს და ამიტომ ვალდებულია მაქსიმალურად ნაყოფიერი მუშაობა ჩაატაროს. იმ ვალდებულების წინაშე ქედი უნდა მოიხაროს ყოველმა პირადმა წარახვამ, პირადი კეთილდღეობისადმი ყოველმა მისწრაფებამ, ძალზე იშვიათია გიორგის მოქმედება, ხშირად მეორეხარისხოვანიც კი, რომ ამ მოვალეობის გრძნობითა და საქმისათვის სარგებლობის მიტანის მოსაზრებით არ იყოს გამოწვეული“.

აკადემიკოსის ამ მეტად საინტერესო წერილში გიორგი ნიკოლაძის უმწიკვლო და თავდადებული მოღვაწეობის, მისი საზოგადოებრივი ცხოვრებისა და ღვაწლის მთელი ფილოსოფიაა გადმოცემული.

გიორგი ნიკოლაძე, როგორც მამამისი ნიკო ნიკოლაძე, მრავალმხრივი, გამოჩენილი ეროვნული საზოგადო მოღვაწე იყო. დაუფასებელია მისი ღვაწლი ურთულეს სამეცნიერო დარგებში. — მათემატიკისა თუ გეომეტრიაში, მეტალურგიასა თუ სპორტის მასობრივ დანერგვაში; მას ყოველთვის საწინიელით თვალწინ ედგა თავისი სამშობლო, თავისი ერი. მე მომისმენია მის ბინაზე, აქაო წერეთლის ქ. № 21-ში, ოჯახში საუბრის დროს, სიტყვები, რომლებიც, როგორც ამბობდნენ, ეკუთვნოდა ვასილ ანტრიაშვილს: „მეცნიერების მიღწევანი საფუძვლად უნდა დაედოს ერის ეკონომიკურ, გონებრივ განვითარებასა და აღორძინების საქმესო“... დიახ, ამისთვის იბრძოდა გიორგი სამოღვაწეო ასპარეზზე გამოსვლის დღიდან, დიახ, უდროოდ დაიფერფლა იგი თბილისში დიდუბის ფეროშანგანუშის ქარხანაში საცდელი გაშვების დროს გაციების შედეგად. დიახ, ამისათვის იპყრობდა შაღალ მწვერვალებს, რომ შემდეგ მისი ნაღვან-ნამოქმედარი სამშობლოს, ერს გამოსდგომოდა.

გიორგი ნიკოლაძემ, ამ მრავალმხრივი ენციკლოპედიურად განვითარებული პირისა და საზოგადო მოღვაწემ, დიდი და დაუფასებელი ღვაწლი დასდო ქართულ ენაზე ტექნიკური ლექსიკონის შედგენასა და გამოქვეყნებას. ამის შესახებ ბევრი დაიწერა ქართულ პრესაში გამოჩენილი მეცნიერებისა და საზოგადო მოღვაწეების მიერ. აი რას წერდა პროფ. ვუკოლ ბერიძე გიორგი ნიკოლაძის გარდაცვალების დღებში:

„მას შემდეგ, რაც რევოლუციამ ძველი ცენტრალური პოლიტიკა მოსპო და ადგილებს უფლება და საშუალება მისცა საწარმოო კერები გაეღვივებინათ, აუცილებელი შეიქმნა სათანადო ტექნიკური ლიტერატურის შექმნაც; რაც თავის მხრივ მოითხოვდა სათანადოთვე დამუშავებულ ტექნიკურ ტერმინოლოგიას და პირველი, ყოველ შემთხვევაში, ერთი პირველთაგანი, რომელმაც ეს მეტად მძიმე და პასუხსაგები საქმე იტვირთა, გიორგი ნიკოლაძე იყო. მისი აქტიური მონაწილეობით ჯერ კიდევ 1918 წლის დასაწყისში შედგა იშვიათ ენთუზიასტთა ჯგუფი, რომელმაც ხანგრძლივი და დაუცხრომელი მუშაობის შემდეგ მოგვცა პირველად ქართულ ენაზე რუსულ-ქართული ტექნიკური ლექსიკონი, უკანასკნელმა უდიდესი სამსახური გაუწია, როგორც სათანადო დაწესებულებაში, ისე ავტურთ ყველა სამსახურის ტექნიკურ სკოლებში.

გადაჭრით უნდა ითქვას, რომ თუ ჩვენ შედარებით დამაკმაყოფილებლად მოვახერხეთ ტექნიკურ სასწავლებელთა გაეროვნულება იმდენად, რომ იგი მისაწვდომი გახდეს ხალხისათვის, ამაში უთუოდ ხსენებულ ტექნიკურ ლექსიკონს უნდა ვუმადლოდეთ... ცხოვრებამ და გამოცილებამ არა ერთი შესწორება შეგვტანინა ჩვენ მეცნიერულ და კერძოდ ტექნიკურ ტერმინოლოგიაში, მაგრამ ტექნიკური ლექსიკონი მაინც ის მტკიცე ფუძე იყო, არის და იქნება, რომელსაც ემყარებოდა და მომავალშიც უთუოდ დაემყარება ყოველი ტერმინოლოგიური მუშაობა.

ამ მხრივ გიორგი ნიკოლაძის ღვაწლი იშვიათია — საზოგადოდ და განსაკუთრებით ჩვენთვის, რომელთაც ჯერ კიდევ დიდხანს მოგვიხდება ამ ხაზით მუშაობა, გიორგისა და მისი ჯგუფის ნამუშევარი ყოველთვის ის უმრები წყარო იქნება, საიდანაც თითოეული მომუშავეთაგანი საქმისათვის მეტად საჭირო და სასარგებლო ცნობას და მასალას მოიღებს“.

ამ გულწრფელი სტროქონების ავტორი, ცნობილი ენათმეცნიერი და საზოგადო მოღვაწე ვუკოლ ბერიძე წლების განმავლობაში კონსულტანტ-მრჩეველი იყო გიორგი ნიკოლაძისა და მისი სატერმინოლოგიო ჯგუფისა, რომლებიც მუშაობდნენ და ადგენდნენ ქართულ მეცნიერულ ტექნიკურ ლექსიკონს და ამიტომ სხვამ ვინ უნდა იცოდეს, თუ არა ვუკოლ ბე-



ჩიბჭი ვიორჯი ნიკოლაძის, ნიკო მუსხელიშვილის, სერგო ლომიძისა და სხვებისა და სხვების ეს დიდი ღვაწლი და შრომა, რომელიც გასწიეს ზემოთ ჩამოთვლილმა განთქმულმა მეცნიერებმა და საზოგადო მოღვაწეებმა ქართული მეცნიერული ტექნიკური ლექსიკონის შედგენისათვის.

1942 წელს გამოცემულ „მათემატიკური ტერმინების ლექსიკონის“ წინასიტყვაობაში, რომელსაც ხელს აწერენ ი. მუსხელიშვილი, ბ. ნიკოლაძე და ა. ხარაძე ვკითხულობთ:

„ამ ლექსიკონის ავტორებმა დაისახეს მიზნათ — მთლიანი მჭიდროდ შედუღებული და სამეცნიერო სიღრმეზე აკრებული ტერმინოლოგიის შემუშავება ეს წიგნი არის რამდენიმე წლის შეთანხმებული მუშაობის შედეგი: ავტორებმა კარგად იციან, რომ ვერცერთ ტერმინზე ვერ აღქმის ა priori კარგია ის თუ არა, თუ ეს ურთიერთზე გამოცდილი არ არის სხვადასხვა დარგში ხმარების დროს“.

ქვემოთ ავტორები მორიდებულ სტრიქონებს უძღვნიან მსოფლიოში სახელგანთქმულ მათემატიკოსს პროფესორ ანდრია რაჭმაძეს.

„უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენში მათემატიკურ მწერლობას და მეცნიერული მათემატიკური ტერმინოლოგიის შექმნას საფუძველი ჩაუყარა პროფ. ანდრია რაჭმაძემ, რომელსაც ამ მხრივ უდიდესი ღვაწლი მიუძღვის. ავტორებისათვის შეუძლავდა სამწუხაროა, რომ მათი ამბახნავი, რომელთანაც ერთად იყო დაწყებული ტერმინოლოგიის კოლექტიური დამუშავების საქმე, ამჟამად, თბილისში არ იმყოფება და, რომ ამ მუშაობის დამთავრება უიშინოდ მოუხდამო უკველ შემთხვევაში ავტორები ვალდებულნი არიან აღნიშნონ, რომ ტერმინებს უზრავლესი ნაწილი მასთან ერთად და დამუშავებული, და მრავალი ტერმინი პირდაპირ მისი შრომებიდან არის ამოღებული“.

აგრეთვე ავტორები საკითხოდ თვლიან აღნიშნონ, რომ ბევრი საინტერესო ტერმინი მათ მიაწოდა პროფ. ვ. ახვლედიანმა, მაგალითად „განტოლება“, „ცალსახა“, რომელნიც უკვე მტკიცედ დაშვადრდნენ ქართულ მათემატიკურ ენაში“.

აქ მოყვანილი ციტატებიდან ნათლად ირკვევა, თუ რა დიდი და უკვლამბრივი მეცნიერულად დამუშავებული, დაკვირვებული შრომა გაწეული, სინამ მკითხველი მიიღებდა „მათემატიკური ტერმინების ლექსიკონის“ და ჩვენი საზოგადოების გულს გაახარებდა. ამ ლექსიკონის შედგენა და გამოცემა ქართველი მეცნიერების დიდი გამარჯვება და მიღწევა იყო. ვიორჯი ნიკოლაძეს ტექნიკური ტერმინოლოგიის შედგენაში გვერდში ედგა ძალიან მოკმედი, მოძრავი და ნიჭიერი ქიმიკოსი გიორგის და პროფესორი რუსუდან ნიკოლაძე, რომელსაც მისი მამა ნიკო მოყვრებით რუსებს ეძახდა რუსულადი უმუალო მონაწილეობას

დებულობდა ტექნიკური ტერმინების ლექსიკონის შედგენასა და გამოცემაში, მაგრამ ვიორჯი შეიღწევილი საქმის ვანხორციელდა. მარტო სამი თუ ოთხი კაცი მუშაობდა, რომელთა გვარები ტექნიკური ლექსიკონის უღაზე აწერია, არამედ მთელი ჩვენი მოწინავე ინტელიგენცია, ჩვენი დიდი მამულიშვილები, აირას წერს რუსულად ნიკოლაძე თავის მოვინებაში „ცხოვრების დიდ გზაზე“:

„სწორედ იქ, უცხოეთში, ჩაეყარა საფუძველი ვ. პეტრიაშვილის იმ ცნობილ ქართულ მეცნიერულ ტერმინოლოგიას, რომლითაც მან, 20 წლის შემდეგ ჯერ უტრნალ „მოამბის“ და „მეურნის“ ფურცლები დაამუშავა, შემდეგ კი — უველა იმ ქიმიის სახელმძღვანელო, რომელიც მას აქეთ ჩვენი გამოცემა და დღესაც გამოდის ქიმიის დარგში“.

დღევანდელი ქიმიის ტერმინოლოგიას პეტრიაშვილის ქიმიური ენა უდევს ქვაყუთხედად და, რაც მთავარია, პეტრიაშვილის ასე მწყობრად დაყენებულმა ტერმინოლოგიურმა ძიებამ და მუშაობამ დიდი გავლენა მოახდინა ვიორჯი წერეთლისა და ნიკო ნიკოლაძის მიერ „სასოფლო გაწეთის“ და „დროებისათვის“ დაწებულ ანალოგიურ მუშაობაზე. 1894 წელს „მოამბეში“ ვ. პეტრიაშვილის მონოგრაფიების ბეჭდვის დროს ორივე თერვალეული ხან აღიასთან, ხან აკაცისთან ერთად არჩევდნენ „ოდესის ბრძენის“ ხან ერთ, ხან მეორე ახალ ტერმინს და მისდევდნენ ვ. პეტრიაშვილის მიერ მათთვის მიცემულ დარიგებას.

ამას გარდა, პეტრიაშვილის ალტაცებით დაუტერია მხარი „უღელის“ წესდების იმ მუხლი სათვის, რომელიც წევრებისაგან მოითხოვდა ლაპარაკსა და საზოგადოების შეკრებებზე მოხსენების წაყითხვას ქართულად, ვინაიდან ინსტიტუტდამთავრებულ ქალებს ეს ძლიერ ეძინებოდათ, ისევე, როგორც პეტრე მელიქი ვილსაც. პეტრიაშვილს საუცხოო ხერხი უხმარია ჩვენი ქალების „ხელოვნური გადავარების“ წინააღმდეგ: დილის საუწმეზე შე მოუღია „ქართული ენის სათა“, რომლის დროსაც ერთ-ერთს „უღელისაგან“ ხმამაღლა უნდა წაეკითხა ჩვენი მწერლის რომელიმე ნაწარმოები, რომელსაც იქვე არჩევდნენ მოსმენის შემდეგ“.

აი რა პატრიოტები, ბრწუნვალე მამულიშვილები!

1 იხ. რუსულად ნიკოლაძის წიგნი „ცხოვრების დიდ გზაზე“, გამოცემლობა „განათლებლობა“, 1975 წ., გვ. 174, 175.

2 „უღელი“ დაარსეს 1873 წელს ციუიონში საზღვარგარეთ სასწავლებლად წასულმა ქართველმა ახალგაზრდებმა. „უღელს“ სათავეში ედგნენ ნიკო ნიკოლაძე, ვიორჯი წერეთელი, ივანე მესხი, შემდეგ წერად მიიღეს ოდესიდან ჩამოსული პროფესორი ვასილ პეტრიაშვილი.

კვლევას, პროფესორ-მასწავლებლები და სტუ-
დენტები ვკვავდა ჩვენ გასული საუკუნის 70-
იან წლებში. ევროპისა და აზიის ქვეყნებში,
რომელთა უკვლავი სახელები დღეს ბრწყინა-
ვენ ჩვენი ლიტერატურისა და მეცნიერების
ისტორიაში.

აი კიდევ ერთი ამონაწერი პროფ. რუსუ-
დან ნიკოლაძის წიგნიდან: „პეტრიაშვილს უო-
ველდლიურად უბდებოდა იქვე მთელი რიგი
ახალი ქართული ტერმინის შექმნა. ამ ტერმი-
ნებს იგი უწვლა „უღელს“ რვეულში აწერი-
ნებდა. — შინ დაბრუნებისას მადლობას მეტ-
ვეით, სკოლებში რომ მუშაობას დაიწყებოთ“.

რუსულად ნიკოლაძე, გვერდში ედგა თავის
ძმას გიორგის, დიდი ენერგიით მუშაობდა და
აქტიურ მონაწილეობას ღებულობდა ქართული
ტექნიკური ტერმინების შექმნა-დადგენაში. ამის
გარშემო მან დაგვიტოვა მეტად ამაღლებებე-
ლი, მეტად საინტერესო მოგონებები, მაგრამ
მისი მოგონება არ ეხება მართო გიორგისა და
მისი მეგობრების სალექსიკოლოგიო მოღვაწე-
ობას, არამედ აგრეთვე ეხება მწერლებთან, ის-
ტორიკოსებთან, ექიმებთან და სხვა გამოჩენილ
საზოგადო მოღვაწეებთან ნიკო ნიკოლაძის ოჯა-
ხის მეგობრულ ურთიერთობას.

გიორგი ნიკოლაძე, — წერს რუსულადნი თავის
მოგონებაში, — მწვევად განიცდიდა ქართუ-
ლი მეცნიერული ტექნიკური ტერმინოლოგიის
უქონლობას და ამიტომ მან ძალიან ადრე თი-
თქმის ბავშვობიდან დაიწყო ამ საკითხზე მუ-
შაობა. მან ჭერ გულმოდგინედ შეისწავლა ნი-
კო მარის საენომეცნიერო შრომები, რომლე-
ბიც მამაჩემს თავის მდიდარ ბიბლიოთეკაში
სამკაოდ ჰქონდა. მან ღრმად შეისწავლა შოთა
რაქსთაველის „ვეფხისტყაოსანი“ ათონზე და
პეტრიწონის მონასტერში მოღვაწე ქართველი
მწერლებსა და მთარგმნელების ნაწერები. მა-
მის რჩევით არ დაუტოვებია წაუკითხავი ჩვე-
ნი დიდი კლასიკოსების საბა ორბელიანის,
გრიგოლ ორბელიანის, ნიკოლოზ ბარათაშვი-
ლის, ილიასა და აკაკის, ვაჟასა და სხვების ნა-
წერები; გიორგი მის მიერ წაკითხულ ნაწე-
რებში, თუ სადმე ნახავდა და შენიშნავდა ისეთ
გამოთქმებსა და საინტერესო ტერმინებს, მა-
მას აჩვენებდა და შემდეგ კი ერთად დიდხანს
მსჯელობდნენ და კამათობდნენ, რამდენად გა-
მოდგებოდა ტექნიკური ტერმინოლოგიისათვის
მის მიერ ამოწერილი ესა თუ ის სიტყვა.

გიორგის ვაჟაცობა და გმირობა ის იყო,
რომ მან ქართულ მეცნიერული ტექნიკური
ტერმინოლოგიის შედგენაზე იმ დროს დაიწ-
ყო ფიქრი და მუშაობა, როდესაც გიმნაზიის
დერეფნებში შესვენების დროს გვიკრძალავდ-
ნენ დედაენაზე ლაპარაკს და მორიგე დამრი-
გებელი შენიშვნას ვაძლევდა: რუსულად ილა-
პარაკეთ, რუსულად! მართო გაკეთილებზე
ვერ ისწავლით სახელმწიფო რუსულ ენას და
ღორის მწყემსებად დარჩებითო.

გიორგი ნიკოლაძემ, — უკვე ჩვენთვის
— ქართული ტექნიკური ტერმინებს შექმენა
ზე ინტენსიური მუშაობა დაიწყო და მისი ცე-
ში 1909 წლიდან, სადაც ჩვენ ერთად ვისვე-
ნებდით ექიმ ვახტანგ დამბაშიძის სანატორი-
უმში. აქ მან უველაფერი უცხოურის გაქარ-
თულება დაიწყო, რომელსაც შემდეგ ბევრი
ლექსიკოლოგი თანაგრძნობით და მოწონებით
შეხვდა.

პატარა ცემში რუსულადნა და გიორგის მთე-
ლი ჩვენი მოწინავე ინტელიგენცია და საზო-
გადო მოღვაწეები დახვდნენ, აქ მათ შორის
იმართებოდა მეტად საინტერესო საუბარი
ჩვენს საზოგადოებრივ ცხოვრებაზე, განსაკუ-
თრებით კი ტექნიკური ტერმინების უქონლო-
ბაზე. აი, აქ ცემში ჩაუყარა, ასე ვთქვათ, მტკი-
ცი საენომეცნიერო მეგობრობას — სტუდენტ
ვუკოლ ბერიძესა და გიორგი ნიკოლაძეს შო-
რის. აი ამ მეგობრობაზე ფართოდ წერს თავის
მოგონებაში რუსულადნი, რომელსაც ჩვენ ქვე-
მოთ მთლიანად მოვიყვანთ.

რუსულადნი ნიკოლაძე არა მართო გამოჩენილი
ქიმიკოსი იყო, არამედ მწერალი, ბრწყინვალე
მემუარისტი. მისი ცოცხალი ენით დაწერილი
მემუარები, გამოქვეყნებული თუ გამოუქვეყ-
ნებელი, ეხება XIX საუკუნის 70-იანი წლების
მოღვაწეებს და XX საუკუნის 30-იან წლების
ქართველ მწერლებთან, მეცნიერებთან და სა-
ზოგადო მოღვაწეებთან საუბრებსა და შეხვე-
დრებს. რუსულადნის ეს მდიდარი მოგონებები
იმიტაცაა საინტერესო, რომ მოგონებაში მოქ-
მედი პირები — მწერლები და საზოგადო მო-
ღვაწეები რუსულადნის მამის ნიკოს ახლო მე-
გობრები იყვნენ. აქ ჩვენ შეხვდებით ილია
ჭავჭავაძეს, აკაი წერეთელს, იონა მეულნარგი-
ას, თედო სახოკიას, ვალერიან გუნიას, გიორგი
წერეთელს. კირილე ლორთქიფანიძესა და მრავალ
ევროპელ და აზიელ მწერლებსა და გა-
მოჩენილ პოლიტიკურ მოღვაწეებს. აი ამ სა-
უბრებსა და შეხვედრებს დიდ ნიკოსთან, დე-
დის ოლდა გურამიშვილის დაჯვლებით რუსუ-
ლადნი იწერდა თავის დღიურში. ამიტომ რუ-
სულადნის მოგონება ჰგავს დოკუმენტურ პრო-
ზას, სადაც თქვენ თვალწინ გაიღვებთ XIX
და XX საუკუნის 30-იან-40-იან წლების გამო-
ჩენილი მოღვაწეების მთელი პლეადა.

„თუმცა, წერს რუსულადნი, ცემის სანატორი-
უმში საბავშვო სამკურნალო ადგილად ითე-
ლებოდა. მაგრამ მისი მომწყობის ექიმ ვახ-
ტანგ დამბაშიძის საზოგადოებრივი და სტუ-
მართმთვევარე მასპინძლის სახე ისე ფართოდ
იყო ცნობილი მთელ საქართველოში, რომ ცე-
ში ბავშვების მომყვან დიდების რაზმთან ერ-
თად ჩვენ იქ დაგვხვდა უბავშვო მოზრდილთა
კიდევ უფრო მტვი რაოდენობა. მათ შორის
ილიკო და ნინო ნაკაშიძეები, მიხაკო წერეთე-
ლი, ვუკოლ ბერიძე (იმჟამად პეტერბურგის
უნივერსიტეტის აღმოსავლური ენების ფაკულ-



ტების III კურსის სტუდენტი. მარის მოწა-
ვა).

შვილებიან ოჯახებშიც ასეთივე საინტერესო
პირები შედიოდნენ. კიბა და თვალე აბაშიძე-
ები, რომლებსაც სამი მშვენიერი შვილი: ვია,
თამარიკო და ერეკლე ჰყავდათ. და თვალეს
ორივე და: თამარ ორბელიანი და ანასტასია
ორბელიანი მისი მეუღლითურთ. ივანე ჭავჭა-
შვილი ექვსი თვის პირშობი, რომელსაც აკა-
კის პოემის გმირის სახელი ნათელა ერქვა.
იქვე იყო მწერალი სანდრო ყანჩელი. მისი სა-
მი შვილით — დევი, ირაკლი და ვახტანგით.
და მშვენიერი მეუღლით თამარ ამირეჯიბით.
რომელიც ბალმონტმა თავისი თარგმანი „ვეფ-
ხისტყაოსანი“ მიუძღვნა.

ასეთ საინტერესო საზოგადოებაში სრული
ერთი თვის განმავლობაში ყოველ საღამოს ტა-
რდებოდა „ვეფხისტყაოსნის“ კითხვა. ყოველ
სტრიქონს და ტაქს დეტალურად არჩევდნენ
და ანალიზებდნენ. ამის სული და გული იყო
ვუკოლ ბერიძე, იმუამად ნიკო მარის გატაცე-
ბული მოწაფე და მისი აზრების გამავრცელე-
ბელი.

აქედან დაიწყო გიორგისა და ვუკოლის მკი-
დრო მეგობრობა და, როგორც ამას ხუმრობით
დაარქვენს. — საენათმეცნიერო სიმპოზიუმი.

შეტად ნაყოფიერი გამოდგა ეს მეგობრობა
— სიმბიოზი, ორივე გატაცებით აღარებდა
ტერმინების წარმოშობა ენების ბუნებას და
თავისუბურებას. ვუკოლს განსაკუთრებული
უნარი ჰქონდა ხუმრობა-ხუმრობით მოეძებნა
საოცარი მაგალითები თავისი ენობრივი აზრე-
ბის დასამტკიცებლად.

აი ის ვრცელი და საინტერესო ამონაწერი,
რომელიც ჩვენ მოვიყვანეთ რუსუდან ნიკო-
ლაძის მოგონებიდან. ასეთ წრეში ყოფნა ახალ-
გაზრდა და-ძმისა, რომლებიც სამეცნიერო მო-
ღვაწეობისათვის ემზადებოდნენ, მეთად სასარ-
გებლო იყო მათთვის. ასეთ გამოჩენილ ბალხ-
თან ყოფნამ, დავა-კამათმა მათ ერის სამსახუ-
რის გზა გაუკაფა.

ვუკოლ ბერიძე, როგორც მრჩეველი, დიდ
როლს ასრულებდა ქართული მეცნიერული
ტექნიკური ტერმინოლოგიის შექმნაში და შე-
საფერისი სიტყვების მონახვაში. მაგალითად
„ზუსტი“, „სიზუსტე“, „დაზუსტება“, „უზუს-
ტესი“, ამ სიტყვების შემოშტანი ქართულ ტე-
ქნიკურ მეცნიერებაში არის ვუკოლ ბერიძე.
აი რას წერს რუსუდან ნიკოლაძე ამის შესახებ
თავის მოგონებაში: „ამ სიტყვების შემოტანას-
თან დაკავშირებით ჩვენს აღტაცებას საზღვარი
არ ჰქონდა და იმ დღიდან ჩვენს სატერმინო-
ლოგიო ჯგუფს ახალი წელთაღრიცხვა დაეწყო“.
ასეთივე სიხარული და აღტაცება განვიცადეთ,
როდესაც აღგებრული ტერმინის საკითხი იჩჩე-
ოდა. მაგრამ ვერ ვპოულობდით ქართული
ენისათვის შესატყვის ტერმინს. მაგრამ ახლეთ-
ლიანმა სწორ გზაზე დაგვაყენა. კამათის დროს

მან უცებ წამოიძახა „განტოლება“ უნდა დაე-
რქვასო.

„ეს იყო ჩვენი მეორე ისტორიული დღე,
როდესაც ქართულ ენაში მონახული იქნა აღ-
გებრისათვის შესაფერი ტერმინი „განტოლე-
ბა“.

საკმაოდ ცნობილია გიორგი ნიკოლაძის რო-
ლი სამეცნიერო-ტექნიკური ტერმინის შექმნა-
დადგენაში. ამასთან დაკავშირებით მოსწრებუ-
ლად შენიშნავდა ვუკოლ ბერიძე — გიორგი
ნიკოლაძე ენათმეცნიერების შესწავლას რომ
გაპყლოდა, ჩვენ გვეუბნებოდა გამოჩენილი
ენათმეცნიერი-მკვლევარიო.

გიორგი ნიკოლაძის მთელი ცხოვრება ეს
იყო შემოქმედებითი წვა, შემოქმედებითი მუ-
დმივი ძიება ახალ-ახალი მეცნიერული აღმო-
ჩენებისა და მიღწევების გზაზე.

სპორტი გიორგი ნიკოლაძისათვის არ ყო-
ფილა შემთხვევითი გატაცების საგანი. სპორ-
ტი მაღალი განათლებისა და კულტურის მქო-
ნე დიდი მეცნიერისათვის ადამიანის გონებრი-
ვი განვითარებისათვის დიდი ფაქტორი იყო.
სპორტი აუშრებოებს და ხელს უწყობს ადა-
მიანთა მოდგმის, ჯიშის გაუმჯობესებას და
განახლებას. მას მუდამ ახსოვდა დიდი ილიას
ნათქვამი სიტყვები „მოძრაობა და მართო მო-
ძრაობა არის, ჩემო თერგო, ქვეყნის ღონისა
და სიცოცხლის მიმცემი“...

1909-1910 წლებში, როდესაც გიორგი ნი-
კოლაძე პეტერბურგის ტექნოლოგიურ ინსტი-
ტუტში სწავლობდა, ერთ ზაფხულს სხვა სა-
უკეთესო მოვარჯიშებთან ერთად ჩაეწერა
„სოკოლის“ სანიმუშო ჯგუფის შემადგენლო-
ბაში, საიდანაც გიორგი გაგზავნეს ბულგარე-
თში — სოფიაში ფიზიკური ვარჯიშების ჩა-
სატარებლად. ბულგარეთიდან გიორგი, რო-
გორც ამას რუსუდან ნიკოლაძე წერს, აღტა-
ცებული დაბრუნდა, სადაც ფიზკულტურა იმ
დონეზე იდგა, რა დონეზეც სახალხო განათ-
ლება. ამავე დროს ბულგარელები სატანვარ-
ჯიშო ტერმინების შემოღება-დამკვიდრების
დროს მშობლიური ენის სიწმინდეს იცავენ იხე-
როგორც განათლების ფრონტზე სკოლებსა და
უმადლეს სასწავლებლებში. გიორგი დაწერი-
ლებით გაეცნო სოფიის უნივერსიტეტის მე-
შაობას, სადაც ფიზკულტურას, ტანვარჯიშს
განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევენ. ყველა
ტერმინი, რომელიც კი იხმარება ბულგარეთში
ტანვარჯიშის დროს და საერთოდ ფიზკულტუ-
რაში, ძირითადად მშობლიური ენაზე
ტერმინია. ამის მიხედვით გიორგიმაც ჩვენში
უცხო სიტყვების გაქართულება დაიწყო და
მას ალპინიზმიც მიაყოლა. ლათინურ „გიმნა-
სტიკას“ — „ტანვარჯიში“ დაარქვა. რაც უმა-
ღვე დამკვიდრდა ქართულ ტერმინოლოგიაში.
„ალპინიზმს“ „მთამსვლელობა“ უწოდა და
სხვა. ასეთივე მიდგომით გიორგიმ სხვა დარ-
გების არაერთი უცხო ტერმინი გააქართულა და

გადმოსხარევი ციხისი ხაჯნის გაგების არს წინ წამოსწია. გიორგის აწრით ტახტარჯის და ხორთოდ სახორგის ერის სულიერი ცხოვრების გაჯანსაღებისათვის ისეთი დიდი მისივე ხელობა ჰქონდა, როგორც ერის კეთილდღეობისათვის დიდ შეცნიერულ აღმოჩენებს

ჩემს არქივში დაცულია ერთი საინტერესო მოგონება, რომლის ავტორია შ. ოქროსცვარიძე. ამ რას წერს იგი:

„1922 წლის ივლისის დღია იყო. საუვიროთ შეგაროვებულ ძახილზე ბავშვები მიხდორზე გამოვცხადდით, სადაც არაჩვეულებრივი სანახაობა დაგვხვდა: ჩვენი ფიზკულტურის მასწავლებლის გ. ლაზარიშვილის გვერდით შავ ნაბადში გახვეული გოლიათი მამაკაცი იდგა. მის გვერდით კი სპორტულ კონსტრუქციის გამოწყობილი სანდომიანი სახის მომზიბლავი შეგვერდმანი ქალი. ბავშვები მოუთმენლობამ შეგვიპყრო, გ. ლაზარიშვილის ბრძანებით ჩავმწყვიდით. მან გამოგვიცხადა, რომ ჩვენი სტუმრები იყვნენ გიორგი და თამარ ნიკოლაძეები და ვ. მაჭავარიანი.

გიორგი მოგვესალმა, შეგვეკითხა, თუ როგორ ვისვენებდით, რას ვსაქმიანობდით.

სტუმრების პატივსაცემად ჩვენ ჭკუფური თავისუფალი ვარჯიში შევასრულეთ. გიორგიმ მოგვიწონა და შეგვაქო. შემდეგ თავიანთი ვარჯიში გვიჩვენეს. გიორგიმ და ვ. მაჭავარიანმა ნახდები მოხიადეს. ისინი ტრუსებსა და თეთრ მაისურებში იყვნენ გამოწყობილი. მათ შესართლეს აკრობატული ვარჯიში, რომელშიც ბევრი ძნელი ელემენტი შედიოდა. შემდეგ სტუმრებმა გულთბილი და საინტერესო საუბარი გაგვიმართეს. ბავშვები უხასუხებდნენ გიორგის —ვის რა უნდოდა მომავალში გამხდარიყო. უზრავლესობა მათგანაც, ბუნებისმეტყველებას, ფიზიკას ირჩევდა. გიორგიმ აგვისხნა, რომ სამშობლოს ყველა დარგის განათლებული და მცოდნე სპეციალისტები ერთნაირად ესაქიროება, რომ არჩეული დარგი ჩვენ ღრმად, კარგად უნდა შევისწავლოთ და მისი კემშარიტი მცოდნე სპეციალისტი გავხდეთ. მხოლოდ ამ შემთხვევაში ვიქნებით სასარგებლო სამშობლოსათვის. შემდეგ გიორგიმ სამი ბიჭი ამოარჩია, მათ შორის მეც. გვითხრა — მეორე დღისათვის მზად ვყოფილიყავით ქოროლდის ციხის დასალაშქარავად.

განთიადზე ჩვენი ჭკუფი გ. ლაზარიშვილისა და გიორგის ხელმძღვანელობით ქოროლდის ციხისაკენ დაიძრა. სულ მალე მის კლდოვან საძირკველთან აღმოჩნდით. წინ მიცოცავდა

გიორგი, მას მივდევდით მერაბიშვილის ვარად მე დასა და მძას შორის მოქვეყნით. მათი დახმარებით მალე ციხის თავზე ავიდით.

ამ თვალწინ მთების ულამაზესი ხედი გადმოშალა. გიორგიმ თქვა: „აი ჩვენი“ ცა-ფირუზი, ხმელეთ ზურმუხტი“, სამშობლოს ერთ-ერთი ულამაზესი კუთხე. რამდენი სიმდიდრეა მონაწილეში, კავკასიონში, ცივ გომბორის მთებში, თრიალეთში, სურამის, აჭარისა და სხვა მთებში! მის ამოღებას, დამუშავებას და გამოყენებას მცოდნე სპეციალისტები ესაქიროება.“

შევეურებდი მთებისკენ ხელგაშვრალი გოლიათს და მთელი უურადლებით ვუსმენდი მის პატრიოტულ სიტყვებს.“

გიორგი ნიკოლაძე ფიზიკურ ვარჯიშს იმეტომ აქცევდა ასე განსაკუთრებულ უურადლებას, რომ მას უნდოდა ქართველი ერი, ქართველი ხალხი ფიზიკურად ყოფილიყო განმრთელი, სულიერად ამტანი, გონებრივად ფაქიზი და მკიცრცხლი, მხოლოდ ასეთ ადამიანებს შეუძლიათ სამშობლოს მოუტანონ სარგებლობა, მხოლოდ ასეთ ადამიანებს შეუძლიათ წარმოშონ გან-ღონით სავსე ახალი მოდგმა, რომლებიც შემდეგ შექმნიან დიდ ლიტერატურას და დიდ მეცნიერებას.


ამ ეს კაცი, ეს უშიშარი რაინდი, რომელმაც საძირკველი ჩაუყარა საქართველოში ფიზკულტურულ მოძრაობას, ვარჯიშსა და მთამსოფლიობას და რომელმაც ჩვენს ახალგაზრდობას წერაყინი დაავებინა ხელში, რამდენიმე წლის შემდეგ 1928 წელს პარიზის სორბონის უნივერსიტეტში მსოფლიოში სახელგანთქმულ მეცნიერების წინაშე დაფასთან ამაყად იდგა ცარციო ხელში და სადოქტორო დისერტაციას იცავდა რთულ ალგებრულ გეომეტრიის დარგში და ახალი სახელი, ახალი დიდება შექმნა და მსოფლიოს მეცნიერების ისტორიაში.

ვისაც ბედნიერება ჰქონია და რამდენიმე წუთით მაინც შეხვედრია და უსაუბრია გიორგი ნიკოლაძესთან, მას არასოდეს არ დაავიწყდება მისი მოსიყვარულე თვალები, გულმართალი და მომღიბარი გამოხედვა. მასთან შეხვედრის დროს არ გრძნობდით, რომ თქვენს წინაშე იდგა და საუბრობდა მსოფლიო სახელის მქონე დიდი მეცნიერი. ის დიდი მოქალაქე, პატრიოტი და მამულიშვილი.

გიორგის ფანატურად უყვარდა ქართული მიწა, ქართული ცა და მისი განუმეორებელი ლამაზი ბუნება. მახსოვს როგორ უყვარდა რაფიელ ერისთავის ლექსის თქმა სახლში კაბუკობისას: „არ ვავცვლი მე ჩემს სამშობლოს სხვა ქვეუნის სამოთხეზედა!“

ეს სიყვარული სამშობლოსადმი დიდმა სამოციანელებმა ილიასა და აკაკის თანამოცალმემ ნიკო ნიკოლაძემ ანდერძად დაუტოვა მთელ საქართველოს ჭერ კიდევ 1888 წელს ლოცვა-საეთ დაწერილ წერილში, სადაც ვკითხულობთ:

1 ქოროლდის ციხეს შეცდომით ეძახიან. მისი ნამდვილი სახელწოდება ახეულაა. ქოროლდი ერთი თათარი ყაჩაღი ყოფილა, შეტაკების დროს ციხისათვის შეუფარებია თავი და ამის შემდეგ შეცდომით დაერქვა ქოროლდის ციხე — ს.ს.



„მე შენი მიყვარდი, შენ მწამდი, შენ გემხატებოდი ავად თუ კარგად, როგორც შემდეგ-ლო, როგორც ჰქუა მიჭირდა. მე შენ მიყვარდი, რომლის ბედი და უბედობა ჩემი საკუთარი ავი და კარგი მეგონა, მე დამივლია მთელი ევროპა და ბევრ ჩინებულ ქვეყანაში, ბევრ აღმტაც საზოგადოებაში გამიტარებია თვეები და წლები, მაგრამ ყველგან და ყოველთვის, სადაც კი ვყოფილვარ, ერთი საგანი მქონია: შენთვის სამსახური. შენი სარგებლობა, არც საფრანგეთის ამაღელვებულ და აღმტაცებულ ცხოვრებას, არც პეტერბურგის განსაცდელით მიმზიდველ საზოგადოებას, არც იტალიის მშვენიერებას, არც შვეიცარიის თავისუფლებას, არასოდეს არცერთი წამის განმავლობაში არ მოუხიბლავს ჩემი გრძნობა და გული. არ შეუცდენივარ და არ მიუზიდივარ, თუმცა ახალგაზრდა კაცის გულზე გვარიანი გავლენა აქვს იქაური დიდი სახელის ან დიდი გავლენის იმედს... მის მაგიერ, რომ იქაურს ცხოვრებას ნივებირე და სხვენსავით დამევიწყა ჩემი ერთი ნამცეცა ქვეყანა, ჩვენ ყველასაგან უცნობი ხალხი, მე ნიდავ შენზე ვფიქრობდი, რომ სადმე, როგორმე, სადაც კი ვყოფილიყო, შენთვის ცოტადენი სარგებლობა მაინც მომეტანა... სხვაგან და ჩვენში, მწერალი და გაჩუმიებული, ნიდავ შენი ერთგული და შენი მსახური ვიყავი“.

ამ ანდერძის მიხედვით იღვწოდა ნიკოს ოჯახის ყველა წევრი, სამშობლო მათთვის სალოცავი ხატი იყო.

1931 წლის 20 იანვარს გიორგი ნიკოლაძეს დედასთან საუბრისას ხელიდან ბარომეტრი გაუვარდა, იატაკზე დაეცა და დაიშხვრა. კო, დედი, საყვარელო დედი, ჩვენს სახლში რაღაც დიდი უბედურება მოხდებოდა, თავისებური ღმერთით უთხრა დედას, ოღონდ გურამიშვილს და ჩქარი ნაბიჯით გავიდა ოთახიდან. იმ საღამოს, 20 იანვარს, ოპერაში „კარმენი“ გადიოდა. ოპერის დასასწრებად ემზადებოდა და ტანსაცმლის ჩაცმას შეუდგა. გიორგისთან ერთად ოჯახის რამდენიმე წევრი მიდიოდა. გიორგი ოპერა „კარმენის“ დამთავრების შემდეგ დებს დაშორდა და პირდაპირ დიდუბის საცდელ ქარხნისაკენ სასწრაფოდ ფეხით გასწია, სადაც მას ქარიშხალსა და სიცივეში ღუმელთან 22 საათი მოუხდა გატარება. იქ გაცივდა და 13 დღე გმირულად ებრძოდა შაღალ ტემპერატურასა და სიკვდილს. ამ მძიმე ტრაგედიის შესახებ ორი წლის შემდეგ 1933 წლის 17 იანვარს ექიმი ვაბო დამბარაშვილი პარიზში ელიკოს სწერდა:

1 ელიკო იყო გიორგი წერეთლის ქალიშვილი, მამიდამწილი გიორგი ნიკოლაძისა, რომელიც ცოლად ქეავდა ფრანგ აკადემიკოს ალბერ დეპოლოს.

„საყვარელო ელიკოს“

შენ ხომ იცი, მე მრავალჯერ შენთვის შენთან სიკვდილი, მაგრამ ამისთანა გაუგებარი და უცნაური, როგორიც გიორგის სიკვდილი იყო თავის დღეში არ მინახავს. გიორგის ჰქონდა მეტად გართულებული ფილტვების ანთება. იგი 13 დღე რაინდულად ებრძოდა სიკვდილს და როდესაც ერის საამაყო შვილი მის საფიცარ სამშობლოს ეთხოვებოდა, ამ დროს იგი მრავალმა მეგობარმა ინახულა, მაგრამ უცვლანი აცრემლებულნი ბრუნდებოდნენ უკან ისე, რომ გიორგის არც კი გასაუბრებიათ.

ნიკო ნიკოლაძის მთელი ოჯახი უშიშროების კომიტეტის აგენტების მეთვალყურეობის ქვეშ იყვნენ. ამიტომ იყო, რომ 1928 წელს ნიკო ნიკოლაძის, ილიასა და აკაკის გვერდით მთაწმინდაზე დასაფლავებას ხელს უშლიდნენ, რომლის შესახებაც ჩვენ ქვემოთ გვექნება საუბარი.

ვინ იცის, იქნებ გიორგი ნიკოლაძის დაპატიმრების ორდერიც იყო გამოწერილი და ინახებოდა უშიშროების კომიტეტის რომელიმე ჩალათი თანამშრომლის კაბინეტში. მაშინ ხომ ადამიანების დასაქერი ორდერები ისე იწერებოდა, როგორც ქარხლის, ლობიოს, ხახვის ან სხვა რაიმე პროდუქტების მიღების ტალონი.

მიუხედავად იმისა, რომ დიდი სამოციანელი ილიასა და აკაკის თანამოკალმე ნიკო ნიკოლაძე და ყველა მისი ოჯახის წევრი, მეუღლე — ოღონდ გურამიშვილი, შვილები — რუსუდან, გიორგი და თამარი დიდ საზოგადოებრივ მოღვაწეობას ეწეოდნენ მეცნიერებისა და ლიტერატურის დარგში. მაინც ეჭვის თვალით უყურებდნენ მათ საქმიანობას.

1928 წელს რუსუდან ნიკოლაძემ გამოსცა სქელტანიანი წიგნი „წერაკითხვა საბავშვო სკოლაში და შრომის სკოლაში“, მაგრამ წიგნს უდაზე რუსუდან ნიკოლაძის სახელი და გვარი არ აწერია. წიგნის ავტორად კი უდაზე აწერია თანაავტორი ს. მარაშვილი და ნ. წულუკიძე. იმ დროს, როდესაც X15 გვერდიან სახელმძღვანელოში ორივე ავტორს მხოლოდ 11 გვერდი ეკუთვნის და ისიც რუსუდან ნიკოლაძის და მისი მამის ნიკო ნიკოლაძის მიერაა წაკითხული და ფაქტობრივად დაწერილი.

„სახელმძღვანელო წინასიტყვაობა და წიგნის თეორიულ-პრაქტიკული ნაწილი 41 გვერდიდან X15 გვერდამდე მთლიანად რუსუდანს ეკუთვნის, მისი დაწერილია და ეს სახელმძღვანელოშიც აღნიშნულია 41 ე გვერდზე“.

რამ გამოიწვია ასეთი კუროლოზი, რომ წიგნის ავტორის — რუსუდან ნიკოლაძის გვარი უდაზე არ ეწერა? რამ განაპირობა ეს? რით იყო გამოწვეული ეს სამარცხვინო აქტი ამან ხომ თავისი პოლიტიკური ახსნა-განმარტება თავისი შრომის მომავალი სარჩული უდევს საფუძვლად, ებრძოდ, ნიკო ნიკოლაძის ოჯახის

წინააღმდეგ გამოგონილი საიდუმლო ხრიკები და ა.ი. რა:

„მამის წლების ქართული პრესა და არა მარტო ქართული, რუსული პრესაც ნიკო ნიკოლაძეს ემიგრანტად თვლიდა. ეს იმ დროს, როდესაც დიდი მწერალი და საზოგადო მოღვაწე ქიათურის მარგანეცის საქმესთან დაკავშირებით ლონდონში იყო გაგზავნილი და ზოგიერთ პუბლიცისტს ემიგრანტი ეგონა.

აი, რას წერს 1924 წელს „დიდი საბჭოთა ენციკლოპედია“ (ტომი 29). «Николадзе Н. Я. в 1921 г. эмигрировал за границу в 1924 году вернулся на родину! საბჭოთა ენციკლოპედია“ (ტომი 20). В 1921 году эмигрировал за границу, в 1924 году вернулся на родину».

მათ დავიწყებთ, რომ ნიკო ნიკოლაძე ემიგრაციაში იყო მეფის ხელისუფლების დროს 1844-1848 წლებში და არა 1921-1924 წლებში.

უოველივე ამის გამო რუსუდან ნიკოლაძის გვარის ხსენება ხელსაყრელი არ იყო.

და არა მარტო მამის „ემიგრანტობისათვის“ უნდა ეყო ადამიანს პასუხი, არამედ თუ ვინმე შორეული ნათესავი ჰყავდა ემიგრანტი, ამისთვისაც სამსახურიდან ათავისუფლებდნენ და ზოგჯერ პასუხისგებშიაც აძლევდნენ, თუ კადრების სააღრიცხვო ბარათში არ ჰქონდა შეტანილი ნათესავის ან მეგობრის ემიგრაციაში ყოფნა.

1928 წელს გარდაიცვალა დიდი ნიკო ნიკოლაძე — ქართველმა ხალხმა თავისი სახელოვანი შვილი დიდი ამბით მიაბარა მთაწმინდის მიწას, ილიასა და აკაკის, ნიკოლოზ ბარათაშვილის გვერდით.

ასეთი დიდებით დასაფლავება „ემიგრანტ ნიკო ნიკოლაძისა“ არ მოეწონა „ზარია ვოსტოკას“ რედაქციას და 1928 წლის 8 აპრილის გაზეთში მოათავსა ერის ისტორიის და კულტურის შეურაცხმყოფელი ფელეტონი: „ზოგი რამ დაკრძალაზე“.

აი, რა პასუხი გასცა რუსუდან ნიკოლაძემ თავის გამოუქვეყნებელ მოგონებაში ქართველი ერისა და მისი ძველი კულტურის მოძულე პროვოკატორს „პესნიშისტის“ ფსევდონიმში შეფარებულ ფელეტონისტს.

„მამის დასაფლავებამ სრულიად თავისებური ხასიათი მიიღო, სწორედ ისეთივე, როგორც მთელი მისი ბოზოქარი ცხოვრება, მთელი მისი მოღვაწეობა იყო. ის სიკვდილის შემდეგაც კუბოდან სულ მარტო შეებრძოლა ყველა თავის მოწინააღმდეგეს, ყველა პროვოკატორს და სამარცხვინოდ დაამარცხა ისინი, დაამარცხა მხოლოდ თავისი დიდი პიროვნებისა და დიდი მამულიშვილური დამსახურებითა და მოღვა-

წეობით. მიუხედავად მრავალწლოვანი მამულიშვილი ხერხებისა და ზომებისა, მიუხედავად შემოდან მითითება-დადგენილებებისა და გადაწყვეტილებებისა, რომ მამა მთაწმინდაზე არ დაესაფლავებინათ, ხალხმა მაინც თავისი გაიტანა და მთაწმინდაზე დაასაფლავა. მეტუთე დღეს მთელმა თბილისმა, მთელმა ქართველმა ხალხმა აასვენა მისი კუბო უკანასკნელ სავანეში. ღრმად დამწუხრებული და დაობლებული ქართველი ხალხი სამგლოვიარო ნაკადად მოედინებოდა თბილისის ქუჩებსა და მთაწმინდის ფერდობებზე. მოწინააღმდეგეების ხრიკებმა და ბინძურმა ხერხებმა მხოლოდ იმას მიაღწია, რომ ამ ზღვა ხალხს მოაკლდა ზოგიერთი დაშინებული და სუსტი ნებისყოფის ქართველი. დასაფლავებაზე არ უოფილა გამოტანილი არც ერთი დროშა. ამ გლოვიარო ხალხში ერთადერთი დროშა იყო კუბო, სადაც ესვენა ჩნ წლის შრომითა და მტრთან ბრძოლით დაღლილი მოხუცი ნიკო ნიკოლაძე, რომელსაც გარს ეხვია მასავით თმაგათეობის მგებობები, მწერლები, ხელოვნების მოღვაწენი, მთელი შემადგენლობით ცრემლს ძლივს იკავებდნენ, თითქოს არ უნდოდათ ამ მწარე ეროვნული გლოვის ხელის შეშლა. ქარი კი თანდათან მატულობდა და თეთრად აჩენდა მიცვალებულის მხლებელ დამსახურებულ მოღვაწეთა თეთრ თმებსა და ცრემლიან თვალებს.

მოწინააღმდეგენი ვერაფერს ვერ გახდნენ, რომ ხელი შეეშალათ ნიკო ნიკოლაძის მთაწმინდაზე დასაფლავებაში, ვინაიდან მთელმა საქართველომ, მთელმა ქართველმა ხალხმა დასაფლავა თავისი სასიქადულო შვილი.

20-30-იან წლებიდან დაწყებული ნიკო ნიკოლაძისა და მისი ოჯახის წევრებს, გამოჩენილ მეცნიერებსა და საზოგადო მოღვაწეებს, დიდ მამულიშვილებს სხვადასხვა ხერხით, სხვადასხვა მეთოდით ხელს უშლიდნენ, ავიწროებდნენ და დევნიდნენ. მე, როგორც ამ დიდი ოჯახის ახლო მეგობარს, ყველაფერი ეს კარგად ვიცოდი ოჯახის წევრებისაგან, მაგრამ ფართო საზოგადოებისათვის ნაკლებად იყო ცნობილი.

ხანდისხან კი დედასთან საუბრის დროს გიორგისაგან მესმოდა ასეთი სევდიანი, დაღონებული და გულდამწვარი სიტყვები: „ილუპტე საქართველო, ილუპტე მთელი ერი“. ეს სიტყვები მას დედისათვის — ოღლა გურამიშვილისათვის სიცოცხლის უკანასკნელ წლებში უთქვამს, როგორც მამს რუსუდანი თავის მოგონებაში ხაზგასმით აღნიშნავს. და, აღბათ, ვინ იცის, ის დასაპატიმრებელი ორდერი, რომელიც გამოწერილი უოფილა გიორგის დასაქვრად, მისმა სულმა წინასწარ იგრძნო, წინასწარ განსჭვრიტა, როდესაც ის ასეთ მწარე სიტყვებს ეუბნებოდა: დედას.

რუსუდან ნიკოლაძეს თავის მოგონებათა დღიურში ასეთი სურათი აქვს დახატული შმის

1 „პესნიშისტის“ ფსევდონიმით თბილისის რუსულ ჟურნალ-გაზეთებში შოვინისტურ წილუბს ბეჭდავდა ვინმე შვეიცერი.



უკანასკნელი დღეებისა; ჩვენც ზოგ რამეს რუსუდანის მოგონებიდან ვისარგებლებთ:

დიდი ოთახის კუთხეში ნიკოს სავარძელთან იდგა გულზე ხელდაკრფილი, ბერძნული ქანდაკების მსგავსი კაცი. ეს კაცი იყო გიორგი ნიკოლაძე, რომელიც განცვიფრებით და ვინ იცის მერამდენეჭერ ათვალიერებდა კედელზე ფრესკულ მხატვრობას, რომელიც ასე ამშვენებდა ნიკო ნიკოლაძის დიდი ოთახის კედლებს, მთელ ბინას. გიორგიმ კედლებს ღრმად ჩაფიქრებულმა ჩამოუარა, თვალები შთამბეჭდავად კედლების ფრესკულ მხატვრობას გააუღლა, სადაც გამოხატული იყო იტალიელი კომპოზიტორის ლეონკავალოს ოპერის „ჩამბაზების“ მოქმედი პირები: არლეკინი, კოლომბინა და პიერო გიტარით ხელში, აგრეთვე ედმონდ როსტანის პეისის „სირანო დე ბერუერაკის“ როლის შემსრულებლის, ცნობილი ფრანგი ტრაგიკოსი მხახიობის უმცროსი კოკლენის სურათი, რომელიც თეატრალურ ტანსაცმელშია გამოწყობილი. კედლიდან აგრეთვე მხიარულად იცქირება პოლიშინელის კომიკური პერსონაჟები.

ოჰ, რა ძვირფასი კედლის ფრესკული მხატვრობაა — მშვიდად მიმართა იქვე ახლოს მდგომ დედას გიორგიმ.

— შეილო, კედლის ეს მხატვრობა, — შეეპასუხა დედა, — ეკუთვნის ცნობილ რუს მხატვრებს სერგეი სუდოიკინსა და საველი სორინს. ნიკო, როდესაც ბინის რემონტს აკეთებდა ამ ერთი ოთახისათვის ხელი არ უხლია და გამოტოვა. რემონტი არ გაუყეტებია იმისათვის, რომ კედლის ფრესკული მხატვრობა შეენარჩუნებინა. შემდეგ ნიკომ სთხოვა დიმიტრი შევარდნაძესა და ლადო გუდიაშვილს, რომ კედლებიდან ამოეჭრა ფრესკული მხატვრობა და გადაეტანათ ხელოვნების მუზეუმში. ამ წინადადებით დიდად გახარებული დარჩნენ ბატონი დიმიტრი და ბატონი ლადო, მაგრამ ნიკო გარდაიცვალა და კედლიდან ფრესკული მხატვრობის ამოჭრაზე არავის უფიქრია. ისე კი, შეილო, როდესაც ბინას რემონტს გაუკეთებთ, არც თქვენ უნდა შეთხოვნათ ეს შესანიშნავი ქმნილება ხელოვნებისა, რომელსაც ნიკო დიდად აფასებდა. ის ზნირად დადგებოდა ხოლმე კედელთან არლეკინის, კოლომბინას, კოკლენის ფრესკული მხატვრობის წინაშე და დაფიქრებული დიდხანს შეჰყურებდა დიდ ხელოვანთა მიერ შექმნილ კედლის მხატვრობას.

— რასაკვირველია, დედა, თუ რემონტი გავაკეთებთ, კედელს ჩვენ ისე დავტოვებთ, ისე მოუვლით და შევინახავთ, როგორც მამამ დაგვიტოვა. მის ნაანდერძებს და დანატოვარს უოველთვის სათუთად შევინახავთ.

შემდეგ გიორგიმ ხელში აიღო მისი საყვარელი პოეტის ნიკოლოზ ბარათაშვილის 1910 წელს გამოცემული ლექსების კრებული და რამდენიმე გვერდი გადაფურცლა. მას ხომ

ხშირად სამსახურში დაატარებდა, — წიგნიდან რამდენიმე ლექსი ზეპირად წაიკითხა, შიშის დედა გახარებული დარჩა. ცნობილ პედაგოგს ოღდა გურამიშვილს მხედველობიდან არ გამოპარვია შვილის ასე მგრძნობიარედ ნ. ბარათაშვილის ლექსების წაიკითხვა და გიორგის გადაეხვია.

— შეილო, მე და ნიკოს ხშირად გვისაუბრობა იმ დიდ სიყვარულზე, რომელიც შენ გაქვს ნიკოლოზ ბარათაშვილის პოეზიისადმი. მამაშენი ამბობდა, გიორგი ღრმად ერკვევა ნიკოლოზ ბარათაშვილის ლექსების ფილოსოფიურ სიღრმეში და პოეტისადმი სიყვარული და უღრმესი პატივისცემა გიორგისა აქედან გამომდინარეობსო. ეს, შეილო, დიდი შეფასებაა მამაშენისა, რომელიც იცნობს არა მარტო ნიკოლოზ ბარათაშვილის პოეზიას, არამედ მსოფლიოში განთქმულ და სახელმწიფეკიდ დიდი პოეტების შემოქმედებას.

მახსოვს, ერთხელ როცა ნიკოლაძეებთან ვიყავი, გიორგიმ მკითხა.

— აბა, შენ თუ იცი რომელიმე ლექსი ბარათაშვილისაო?

მეც რამდენიმე ლექსი ზეპირად ვთქვი. ამ დროს ოთახში გიორგის მამიდაშვილი ბესო ქიქინაძე შემოვიდა და ლექსების თქმა უცებ შევწყვიტე.

— ვანაგრძე, ვანაგრძეო, — მითხრა ქალბატონმა ოღდა გურამიშვილმა, ბესოს ლექსები ძალიან უყვარს, ისიც ნიკოლოზ ბარათაშვილისა. მეც პოეტის „საყურე“ ვთქვი. ბესოს ძალიან მომიწონა და იქვე მითხრა: შენ ისე კარგად კითხულობ ლექსებს, ესტრადაზე უნდა გამოხვიდეო.

რა დიდებული და ბრწყინვალე პიროვნება იყო ბესო ქიქინაძე, რომელსაც მე ნიკო ნიკოლაძის სახლში ორჯერ თუ სამჯერ შევხვდი. ბესო შეხედულებით, ხასიათით და ადამიანებთან კეთილი ურთიერთობით ძალიან ჭკავდა თავის ბიძა გიორგი ნიკოლაძეს. ამას მკითხველი ადვილად შეინშნავს იმ სურათში, რომელიც მათ გადაუღიათ სტუდენტობის დროს პეტერბურგში 1908 წელს და რომელიც აქვე წიგნშია მოთავსებულიო.

ამის შემდეგ გიორგი ნიკოლაძე მხოლოდ ერთხელ შემხვდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, ხელი ჩამომართვა, კუთხეში გამომიხმო და მითხრა: რამდენიმე დღის წინათ სახლში დედას და მე ლაპარაკი გვქონდა შენს შესახებ. მამამ ხომ დაგავალა შეგესწავლა ფრანგული ენა და რომელიღაც ფრანგული ენის მასწავლებელთან კიდევაც გაგზავნა. მაგრამ ჩვენ ვავიკეთ, რომ შენ მეცადინეობა შეგიწყვიტო. ვიცით რატომ და რისთვის შეწყვიტე მეცადინეობა. გააგრძელებთ, გააგრძელებთ და ნიკოს მეშვიდრეები უველაფერში დაგეხმარებიანო. ამის შემდეგ ბატონი გიორგი სალაპარაკოდ არ შემხვედრია, მიუხედავად

ანისა, რომ ნიკოს სახლში ქალბატონ რუსუ-
ლანთან სწორად დავდიოდი და სწორად ვკამა-
თობლით დიდი სამოციანელების გარშემო,
თომელთანაც რუსულდანი ბავშვობიდანვე ახლოს
იყო.

და აი, ერთ დღეს რუსულდანთან მივედი. ვხე-
დავ სახლში დიდი მისვლა-მოსვლაა, დიდი ფუ-
სფუსია. ვხედავ თეთრხალათიან ექიმებს, ფე-
რსულებს, ნათესავებს. გავწიე იმ ოთახისკენ,
სადაც ხალხი ირეოდა. გიორგი წევს, ძლივს
სუნთქავს, ექიმები მას თავზე ახვევიან და
მსჯელობენ ავადმყოფობის მიმდინარეობაზე. ექი-
მების ცდა ამაოა. გიორგის ავადმყოფობა თა-
ნდათან რთულდება. გიორგის სიმამრი ვახტანგ
დამბაშიძე მეთად დალონებულია. თვალცრემ-
ლიანმა გიორგის დამ, თამრომ, ვახტანგს ჰკი-
თხა: მითხარი, მითხარი, როგორაა გიორგის
საქმე? დადონებული და დარდიანი ვახტანგი
კი კრინტს არ სძრავდა.

გიორგი ცოტა მომჯობინდა, უკეთაა, იღი-
მება, სიუვარულის ნიშნად ახლოს მყოფ მნახ-
ველებს ხელებს უქნევს, მაგრამ უველაფერი ეს
მოჩვენებითია, გადარჩენის იმედი აღარაა.
მისი მეგობრები ამას არ აგრძნობინებენ გიო-
რგის, მაგრამ მოშორდებიან თუ არა ავადმ-
ყოფს, ჩუმად ჰქვითინებენ, სტირიან.

„ავადმყოფობა თანდათან რთულდება. გიო-
რგი — წერს რუსულდანი თავის მოგონებაში,
— უოველ წუთს კითხულობს დედას, როდის
მოვა ჩემთან დედა, როდის? კარგი, კარგი და-
სვენოს ხვალამდე... ხვალამდე ჩემთან დედა
მოვა? დედა ჩემთან მოვა? გიორგი ბოდავს,
ძლივსდა ცნობს მეგობრებს და იქ მდგომ სხვა
პირებს.

— რატომ ხარ ასე მოწყენილი დედაჩემო,
რატომ? — ეკითხება გიორგი დედას. — რა-
ტომ ხართ ასე მოწყენილი, რატომ გაქვთ ასე-
თი სევდიანი სახეები? ვიცე რატომაც, იმიტომ,

რომ მამაჩენი არ არის ჩემო... ჩემო... ჩემო...
არ გვეხმარება საქართველო... ჩემო... ჩემო...
ქართველო იღუბება, მამა კი ჩვენთან არ არის,
მიგვატოვა.

გიორგიმ გამოდიმა, რაღაცის თქმა უნდოდა,
დაიწყო კიდეც, მაგრამ ვერაფერი ვერ გავი-
გე. იმ წამსვე მივხვდი, რომ იგი კვდებოდა,
კვდებოდა. მე ოთახიდან გამოვედი, სამივე
ოთახში ისმოდა გიორგის მძიმე სუნთქვა. სა-
შველი კი არ იყო.

დედა მივარდა მომაკვდავ გიორგისთან. „გი-
ორგი! შვილო გიორგი! ჩემო კაცოცხლდე!
შვილო! შემომხედე, შვილო! ჩემი ხმა გესმის,
გესმის, დედაშენის ხმა. შემომხედე, შვილო,
გიორგი შემომხედე!“... „მამაჩემს ესმის“, იყო
პასუხი მომაკვდავი გიორგისა... „გიორგი! გი-
ორგი!“ — მივარდა გიორგის თამრო: შენი
ჭირიმე, გიორგი, შენი ჭირიმე, ჩემო სხამავე
— გიორგი!“... ეორეფტა, გიორგის მეუღლე,
აქვითინებული დაემხო.

— ჩემო ძვირფასო, ჩემო სიუვარულო ეორ-
ეფტა!

წუხელის მითხარი „შენ ხარ ჩემი საქარ-
თველო“! ამაზე მშვენიერი აბა რა გითქვამხ,
ან რაღას მეთქვი! რა ვიპასუხო სამაგიერო?

სამაგიერ შემხვდი ცხოვრებაში: ერთხელ პა-
ტარა ცემში. მერე — თბილისში. და ბოლოს
პარიზში. თანაც ჩემს გულში იკავებდი შეხა-
ფერის ადგილს, ჭერ პატარას, როგორც არის პა-
ტარა ცემში, მერე — როგორც თბილისი და ბო-
ლოს შენ გახდი ჩემი გულის პარიზი.

ასე გარდაიცვალა გიორგი ნიკოლაძე, მშვე-
ნება და სიღამაზე ქართველი ხალხისა. ის სა-
მარადისოდ დარჩა ერის ხსოვნაში, სამშობლო-
სათვის თავდადების, მამულიშვილობის, უან-
გარო მეგობრობისა და მეცნიერული სინდისის
სიმბოლოდ.

● რედაქციის მისამართი:
თბილისი, რუსთაველის პროსპექტი № 12.

● ტელეფონები: მთ. რედაქტორის — 98-55-11,
მთ. რედაქტორის მოადგილის 98-55-15, პ/მგ
მდივნის — 98-55-18 და განყოფილებების —
98-55-15; 98-55-17; 98-55-20.

გადაეცა სანაწობად 10. 09. 90 წ. ხელმოწერა-
ლია დასაბეჭდად 5. 10. 90 წ. სანაწობის ზომა
7 1/4 x 12. ქაღალდის ფორმატი 70 x 108. ფი-
ზიკური ნაბეჭდი ფურცელი 11. პირბითი ნა-
ბეჭდი ფურცელი 15,5. სააღრ.-საგამომცემლო
თაბახი 16,58. ტირაჟი 30,700. შეკვ. 1979.
საქართველოს კ კ-ის გამომცემლობის სტამბა
მ. კოსტავას ქ. № 14.



გამოიწერეთ ჟურნალი „მნათობი“!

ჟურნალ „მნათობის“ 1990 წლის ერთ-ერთ უახლოეს ნომერში დასრულდება „ახალი აღთქმის“ სრული ტექსტის გეგმა. თუმცა საქართველოს საპატრიარქოში წელს გამოცემა თანამედროვე ქართულ ენაზე თარგმნილი „ბიბლია“. „მნათობის“ კუბლიკაციაში მინც მკითხველთა დიდი მხარდაჭერა და კმაყოფილება გამოიწვია. ამას მოჰყვება რედაქციაში მოსული მაღლობის წერილები, აგრეთვე ის ფაქტიც, რომ მათთვის, ვისაც 1990 წელს „მნათობი“ არ გამოუწვია, ჟურნალის წლებანდელი ნომრები ძნელი საშოვნელი გახდა.

1991 წლის პირველი ნომრიდან ვიწყებთ თანამედროვე ქართულ ენაზე თარგმნილი „ძველი აღთქმის“ გეგმას.

ბირჩვით: დროულად გამოიწერეთ ჟურნალი „მნათობი“!

ჟურნალის საცალო გაყიდვა 1991 წელს უფრო შეზღუდული იქნება და ამოდ მოგიწევთ ცალკეული ნომრების ძებნა ჟურნალ-გაზეთების წიხურებში.

ჟურნალში ძირითადი ადგილი, როგორც უძველესი, დაეთმობა თანამედროვე ქართველი მწერლების საუკეთესო ქმნილებებს: ლექსებს, მოთხრობებს, რომანებს, კრიტიკულ და კუბლიცისტურ წერილებს, ფართოდ იქნება გაუშვებული ჩვენი კულტურისა და მეცნიერების მიღწევები, კოლიტიკური ცხოვრების ასკაქტები.

„მნათობზე“ ხელმოწერის გაფორმება შეუზღუდავად შეიძლება „სოიუზკავატის“ ნაგისიერ განყოფილებაში.

წინასწარ გიხდით მაღლობას ნლობისა და ერთგულ ბისათვის.

« M H A T O B I »

ЕЖЕМЕСЯЧНЫЙ ЛИТЕРАТУРНО-ХУДОЖЕСТВЕННЫЙ
И ОБЩЕСТВЕННО-ПОЛИТИЧЕСКИЙ ЖУРНАЛ

ИЗДАТЕЛЬСТВО ЦК КП ГРУЗИИ